ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახელმძღვანელო წმინდა წერილის ახალი აღთქმის წიგნების შესასწავლად

*

წმინდა პავლე მოციქულის ეპისტოლენი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარეპისკოპოსი ავგერკი (ტაუშევი)

სახელმძღვანელო წმინდა წერილის ახალი აღთქმის წიგნების შესასწავლად

*

წმინდა ჰავლე მოციქულის ეპისტოლენი

წიგნის სახელწოდება: РУКОВОДСТВО К ИЗУЧЕНИЮ СВЯЩЕННОГО ПИСАНИЯ НОВОГО ЗАВЕТА

АРХИЕПИСКОП АВЕРКИЙ (ТАУШЕВ)

© გამომცემლობა „ალილო“

თბილისი
2012

-248.3-277 + 27-296-277
ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმანახი „ფერისცვალება“ დარეგისტრირებულია და რეცენზიას გადის საქართველოს საპატრიარქოს რეცენზირებისა და გამომცემლობის დეპარტამენტში

	სსამეგრდ ჟურნალ-გაზეთების სარეცენზიო სამსახური ძირითადი რეგისტრაციის №.....1.....	მიმდინარე რეგისტრაციის №.....1..... .16.01.10..
დასახელება: ალმანახი „ფერისცვალება“		
რეცენზენტი: ელდარ ბუბულაშვილი		

F106.304
3

ალმანახის სარედაქციო საბჭო: საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის სარეცენზიო კომისიის წევრი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *ელდარ ბუბულაშვილი*; სოლოლაკის ამაღლების ტაძრის წინამძღვარი *არქიმანდრიტი საბა (ჯიშკარიანი)*; ღვთისმეტყველების მეცნიერებათა დოქტორი, *დიაკონი ალექსი ჟუტაშვილი*; სასულიერო აკადემიის ლექტორი *ზურაბ ეკალაძე*.

ტექსტის რედაქტორი *მარინა სარალიძე*.

თარგმნეს – *ელდარ ეკალაძემ* და *ვლადიმერ ჩხიკვაძემ*
დიზაინერი – *ოთარ წიგნაძე*

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდელმთავარი ამბერკი (ტაუშევი)

(1906 წ. 1 ნოემბერი – 1976 წ. 13 აპრილი)

მღვდელმთავარი ამბერკი იყო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსი საზღვარგარეთ; 1961 წლიდან – მთავარეპისკოპოსი სირაკუზისა და ტროიცკის.

1920 წელს ტაუშევების ოჯახი ემიგრაციაში გაემგზავრა. მომავალი მღვდელმთავრის ბავშვობამ ბულგარეთის ქალაქ ვარნაში გაიარა. შემდეგ დაამთავრა სოფიის უნივერსიტეტის საღვთისმეტყველო ფაკულტეტი. 1931 წელს ბერად აღიკვეცა. იმავე წელს მიიღო ბერდიაკვნად ხელდასხმა, 1932 წელს კი მღვდელმონოზვნად აკურთხეს. 1944 წლიდან იგი არქიმანდრიტია. 1951 წელს სამოღვაწეოდ გაემგზავრა ამერიკაში, მთავარეპისკოპოს ვიტალის მიწვევით. იქ წმიდა სამების სასულიერო სემინარიაში, ჯორდანვილში, კითხულობდა ლექციებს ახალ აღთქმაში, ლიტურგიკაში, ჰომილეტიკაში. 1952-1976 წლებში იყო სემინარიის რექტორი. მისი ხელმძღვანელობის დროს სასწავლებელმა მიიღო ნიუიორკის შტატის უნივერსიტეტის სტატუსი. 1960-1976 წლებში იყო, ასევე, წმიდა სამების მონასტრის წინამძღვარი.

ღვთისმეტყველების მეცნიერის, მღვდელთმთავარ ამბერკის შრომებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ახალი აღთქმის განმარტებებს, რომლებიც სასწავლო სახელმძღვანელოდ გამოიყენება მრავალი ქვეყნის სასულიერო სასწავლებლებში.

მღვდელმთავარი ამბერკი დასაფლავებულია ჯორდანვილის წმიდა სამების მონასტერში.

ამასთან, არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან წმინდა მოციქულის ღვთისმეტყველების ის სიმაღლე და სიღრმე, და მისი გამოთქმების ის თავისებურებანი, რომლებიც ზოგჯერ ძნელი აღსაქმელი ხდებოდა და წმინდა წერილის ისეთ დიდ განმმარტებლებსაც კი საგონებელში აგდებდა, როგორებიც იყვნენ: *წმინდა იოანე ოქროპირი, ნეტარი იერონიმე, ნეტარი ავგუსტინე.* ამ ეპისტოლეებში მკაფიოდ გამოჩნდა წმინდა პავლე მოციქულის დიდი განსწავლულობა და ცოდნა წმინდა წერილის ძველი აღთქმის წიგნებისა და ასევე, ქრისტეს ახალაღთქმისეულ სწავლებაში მისი სიღრმისეული წვდომა. ამის ნაყოფია დოგმატური თვისების ან ზნეობრივ-მოძღვრებითი ხასიათის შემცველი მთელი რიგი ახალი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც გამორჩეულად მას ეკუთვნის; მაგალითად: ***„რომლისა თანაცა აღსდეგით“*** (კოლ. 2, 12); ***„ქრისტეს თანა ჯუარცუმულ ვარ“*** (გალ. 2, 19); ***„ქრისტე შეიმოსეთ“*** (გალ. 3, 27); ***„განიძარცუეთ ძველი იგი კაცი“*** (კოლ. 3, 9); ***„მიჯსნნა ჩუენ, ბანითა მით მეორედ შობისადთა“*** (ტიტ. 3, 5); ***„შჯულმან სულისა ცხორებისამან“*** (რომ. 8, 2); ***„ვხედავ სხუასა შჯულსა ასოთა შინა ჩემთა, რომელი-იგი წინაგანეწყვების შჯულსა მას გონებისასა“*** (რომ. 7, 23) და სხვა. თითოეული ეპისტოლე თავის თავში შეიცავს ქრისტიანული სარწმუნოებისა და ზნეობის ჭეშმარიტებებს, რამეთუ თავად ქრისტიანობა არის არა მხოლოდ გარკვეული სარწმუნოება, – გონებით აღიარება გარკვეული ჭეშმარიტებებისა, – არამედ აუცილებლად თვით ამ სარწმუნოების შესაბამისი ცხოვრება რწმენით.

წმინდა პავლე მოციქულის სწავლების კავშირი მის ცხოვრებასთან. წმინდა პავლე მოციქულის ეპისტოლენი არის ნაყოფი მისი მოციქულებრივი მოშურნეობისა. მისი სწავლანი მისივე ცხოვრების სრული ანარეკლია. ამიტომ მათ უკეთ

გასაცნობიერებლად საჭიროა, კარგად შევისწავლოთ თვით წმინდა პავლეს ცხოვრება და ჩავსწვდეთ მისი პიროვნების შინაგან ხასიათს. ამისათვის არ არის აუცილებელი წმინდა პავლეს ცხოვრების ყველა დეტალში შევიდეთ, რომლებიც ჩვენთვის „საქმეთა“ წიგნიდან არის ცნობილი, არამედ საჭიროა მხოლოდ მისი ცხოვრების შინაგან მხარეზე შევჩერდეთ და გავერკვეთ იმ ფაქტებში, რომლებიც, თვით მოციქულის აღნიშვნით, მისთვის წარმოადგენდნენ ქრისტიანული დოგმატიკისა და ქრისტიანული ზნეობის შესახებ სწავლებასთან დაკავშირებული ბევრი საკითხის გადაწყვეტის წყაროს.

წმინდა პავლე მოციქულის ცხოვრება და პიროვნება. ***„რამეთუ მე ვარ ნარჩევი მოციქულთაჲ, რომელი არა ვარ ღირს წოდებად მოციქულად, რამეთუ ვსდევნიდ ეკლესიათა ღრმთისათა. ხოლო მადლითა ღვთისაჲთა ვარ, რაჲ-იგი ვარ; და მადლი იგი მისი, რომელი ჩემდა მომართ იყო, არა ცუდად რაჲ იყო...“*** (1 კორ. 15, 9, 10), – ასე ახასიათებს თავის თავს დიდი „წარმართთა მოციქული“ (ეს ის ზედწოდებაა, რომლითაც წმინდა პავლე მოციქული ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში შევიდა). მას ბუნებით ჰქონდა მინიჭებული მდიდარი გონებრივი შესაძლებლობანი; აღზრდილი და განსწავლული იყო მკაცრი ფარისევლური კანონებით; მისივე სიტყვებით, წარმატებული იყო იუდეველობაში უმეტესად, ვიდრე სხვა მისი თანატოლი, რამეთუ უზომოდ მოშურნე იყო თავისი მამაპაპისეული გადმოცემებისა ***(„და წარვემატებოდე ჰურიაებასა შინა უფროჲს მრავალთა ჰასაკისა სწორთა ჩემთა ნათესავთა შინა ჩემთა, უმეტეს მოშურნე ვიყავ მამულთა ჩემთათჳს მოძღრუებათა“*** – *გალ. 1, 14).* როდესაც უფალმა იგი – დედის მუცლითვე გამორჩეული – სამოციქულო მსახურებაზე განაწესა, მან მთელი

თავისი ენერგია, თავისი უდიდესი სულის მთელი ძალისხმევა შესწირა ქრისტეს სახელის ქადაგებას მაშინდელი სრულიად კულტურული სამყაროს წარმართთა შორის; და ეს მას შემდეგ, რაც მრავალი მწუხარება გადახდა თავს სულიერად დაბრმავებული და ქრისტეს წინააღმდეგ გამძვინვარებული საკუთარი ნათესავებისაგან.

როდესაც წმინდა მოციქულთა საქმეთა წიგნის მიხედვით წმინდა პავლე მოციქულის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ვაკვირდებით, ყოვლად შეუძლებელია, არ გაგვაოცოს ამ დიდი „წარმართთა მოციქულის“ უჩვეულო და შეუმუსრავმა ენერგიამ. ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთ ადამიანს, რომელსაც არ გააჩნდა ძლიერი ორგანიზმი და დიდი ფიზიკური ძალა *(„ხოლო ესე იცით, რამეთუ უძლურებითა ჯორცთაჲთა გახარე თქუენ პირველად“ – გალ. 4, 13)*, შეეძლო გადაეტანა ის ყოვლად დაუჯერებელი სიძნელეები და ხიფათები, რომელთა განცდაც წმინდა პავლე მოციქულს მოუხდა ქრისტეს სახელის ამქვეყნად განსადიდებლად. ყველაზე აღსანიშნავი ის არის, რომ ამ სიძნელეთა და საშიშროებათა გამრავლების ზომისამებრ, მისი მხურვალე მოშურნეობა და ენერგია კი არ იკლებდა, პირიქით, უფრო მეტად ენთებოდა და იწრთობოდა, ვითარცა ფოლადი. როდესაც კორინთოელთა სულის აღსაშენებლად იძულებული გახდა თავისი ნაღვაწი გაეხსენებინა, მან ეს შემდეგნაირად გამოთქვა: ***„...შრომითა უმეტეს, ტანჯვითა უმეტეს, პყრობილებითა გარდარეულად, სიკუდილთა შინა მრავალ-გზის. ჰურიათაგან ხუთ-გზის ორმეოცსა ერთი მოკლებული ცემაჲ მოვიღე. სამ-გზის კუერთხითა ვიეც, ერთ-გზის ქვითა განვიტჯნე, სამ-გზის ნავი დამექცა, ღამე და დღე უფსკრულთა შინა დავყავ. გზისა სლვანი მრავალ-გზის, ჭირნი მდინარეთანი, ჭირნი ავაზაკთანი, ჭირნი ნათესავთაგან, ჭირნი***

წარმართთაგან, ჭირნი ქალაქთა შინა, ჭირნი უდაბნოთა ზედა, ჭირნი ზღუათა შინა, ჭირნი ძმათა-მტყუვართაგან, შრომითა და რუდუნებითა, მღვძარებითა მრავალ-გზის, შიმშილითა და წყურილითა, მარხვითა მრავალ-გზის, ყინელითა და შიშლოებითა" (2 კორ. 11, 23-27).

სხვა მოციქულებთან შედარებისას, იგი თავის თავს სიმდაბლით „მცირეს" უწოდებდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას შეეძლო მთელი სამართლიანობით განეცხადებინა: *„...უმეტეს მათ ყოველთასა დავშუერ; არა მე, არამედ მადლი იგი ღვთისაჲ, რომელი იყო ჩემ თანა"* (1 კორ. 15, 10).

მართლაც, ღვთის მადლის გარეშე, ჩვეულებრივი ადამიანი ვერ შესძლებდა ამგვარი ღვაწლი ეტვირთა და ამოდენა შრომა გაეწია. რამდენადაც გამბედავი, შეუპოვარი და ურყევი იყო წმინდა პავლე თავის მრწამსში მეფეებისა და ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე, იმდენად პრინციპული და წრფელი იყო თავის თანამოძმე მოციქულებთან მიმართებით; მაგალითად, ერთხელ იგი თვით პეტრე მოციქულის მხილებითაც კი გამოვიდა, როდესაც ამ დიდმა მოციქულმა მას საყვედურის საბაბი მისცა ანტიოქიაში, წარმართობის მცირეაზიურ დედაქალაქში (*„და რაჟამს მოვიდა პეტრე ანტიოქიად, წინაშე პირსა მისსა აღუდეგ, რამეთუ შეკდებულ იყო. და რამეთუ პირველ მოსლვადმდე ვიეთამე იაკობისგან წარმართთა თანა ჭამდა; ხოლო რაჟამს მოვიდეს, იჯმნა და განაშორა თავი თჳსი, რამეთუ ეშინოდა წინადაცუეთილთა მათგან. და მის თანა ორგულ იქმნნეს სხუანიცა ჰურიანი, ვიდრე ბარნაბაცა მიერჩდა მათსა მას ორგულებასა. არამედ რაჟამს ვიხილე, ვითარმედ არა მართლ წარმართებულ არიან ჭეშმარიტებისა მიმართ სახარებისა, ვარქუ პეტრეს წინაშე ყოველთასა: უკუეთუ შენ ჰურია ხარ და წარმართებრ და არა ჰურიაებრ სცხონდები, ვითარ აიძულებ*

წარმართთა ჰურიაებად?“ – გალ. 2, 11-14). აღნიშნული ფაქტი მნიშვნელოვანია სხვა რიგ ფაქტთა შორის იმითაც, რომ აშკარად ამხელს რომაელ-კათოლიკეთა ცრუ სწავლებას – თითქოს, პეტრე მოციქული უფლის მიერ იყო დადგინებული „სხვა მოციქულთა მთავრად“ და თვით უფლის ერთგვარ მოადგილედ (რის გამოც, რომის პაპები ვითომცდა ატარებენ „ძე ღვთისას ნაცვალის“ ტიტულს). ნუთუ, გაკადნიერდებოდა წმინდა პავლე მოციქული – ყოფილი მდევნელი ქრისტეს ეკლესიისა და სხვებზე გვიან მისული სამოციქულო მსახურებაზე – ემხილებინა თვით უშუალო შემცვლელი უფალი იესო ქრისტესი სამოციქულო დასში? ეს სრულიად დაუჯერებელია! წმინდა პავლემ ამხილა წმინდა პეტრე, როგორც თანასწორმა თანასწორი, ძმამ – ძმა.

წმინდა პავლე მოციქული თავიდან სავლეს სახელს ატარებდა, მიეკუთვნებოდა ბენიამენის ტომს და დაიბადა კილიკიის ქალაქ ტარსუსში, რომელიც მაშინ განთქმული იყო თავისი ბერძნული აკადემიითა და განათლებული მოსახლეობით. როგორც ამ ქალაქის მკვიდრი ან როგორც რომის მოქალაქეთა მონობიდან გამოსული იუდეველი, პავლე სარგებლობდა რომის მოქალაქის უფლებებით. ტარსუსში პავლემ თავდაპირველი აღზრდა მიიღო და შესაძლოა, წარმართულ სამეცნიერო შრომებსაც გაეცნო, რამეთუ მის სიტყვებსა და ეპისტოლეებში ნათლად ჩანს კვალი იმისა, რომ იგი იცნობდა წარმართი მწერლების თხზულებებს **(საქმ. 17, 28; 1 კორ. 15, 33; ტიტ. 1, 12)**. მთავარი და საბოლოო განათლება მან უკვე რაბინული განათლებით ცნობილ იერუსალიმში მიიღო სახელოვანი მოძღვრის – გამალიელის ფერხთით *(„მე ვარ კაცი ჰურიაჲ, შობილი ტარსუს კილიკიისასა, აღზრდილი ამასა ქალაქსა შინა ფერჴთა თანა გამალიელისთა...“ – საქმ. 22, 3)*, რომელიც რჯულის სინდისად ითვლებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ფარისეველთა პარტიას მიეკუთ-

ვნებოდა, თავისუფალი აზროვნებისა და ბერძნული სიბრძნის ფრიად მოყვარული ადამიანი იყო (*„ხოლო აღ-ვინმე-დგა კრებულსა მას შორის ფარისეველი, სახელად გამალიელ, სჯულისმოძღუარი, პატიოსანი ყოველსა ერსა შორის, და ბრძანა მცირედ გარე განყვანებაჲ მოციქულთაჲ“* – *საქმ. 5, 34).* იქვე, ებრაელებთან მიღებული ჩვეულების თანახმად, ახალგაზრდა სავლემ კარვების დამზადების ხელოვნება შეისწავლა, რაც მას შემდგომში საკუთარი შრომით საარსებო სახსრების მოპოვებაში დაეხმარა **(საქმ. 18, 3; 2 კორ. 11, 8; 2 თეს. 3, 8).**

როგორც ჩანს, ახალგაზრდა პავლე რაბინად მსახურებისთვის ემზადებოდა. ამიტომ მაშინვე, როგორც კი საბოლოო აღზრდა მიიღო და განათლება დაასრულა, მან თავი გამოავლინა ფარისეველური გადმოცემების ძლიერ მოშურნედ და ქრისტეს სარწმუნოების მდევნელად (შეიძლება, ამას აკეთებდა სინედრიონის დავალებით). იგი იყო მოწმე პირველმოწამე სტეფანეს მკვლელობისა **(საქმ. 7, 58; 8, 1),** შემდეგ კი მიიღო უფლება ოფიციალურად ედევნა ქრისტიანები პალესტინის საზღვრებს გარეთაც, კერძოდ – დამასკოში **(საქმ. 9, 1, 2).** მაგრამ უფალმა განჭვრიტა მასში თავისთვის შესაფერისი ჭურჭელი და დამასკოს გზაზე სასწაულებრივად იხმო იგი სამოციქულო მსახურებისათვის. მას შემდეგ, რაც ანანიასგან მოინათლა, სავლე მოშურნე მქადაგებელი გახდა მის მიერვე მანამდე დევნული სწავლებისა. დროებით იგი არაბეთში გაემგზავრა, შემდეგ კი ისევ დამასკოში დაბრუნდა ქრისტეს სახელის საქადაგებლად. ქრისტესკენ მისი მოქცევით იუდეველებში გამოწვეულმა მრისხანებამ სავლე აიძულა იერუსალიმში გაქცეულიყო **(საქმ. 9, 23)** – ქრისტეს შობიდან 38 წელს და იქ მორწმუნეთა საზოგადოებას შეერთებოდა. ელინთა მცდელობის მიზეზით, მოეკლათ იგი **(საქმ. 9, 29),** მოციქული მშობლიურ ქალაქ ტარსუსში გაემგზავრა; იქიდან, დაახლოე-

ბით 43 წელს ბარნაბამ საქადაგებლად ანტიოქიაში მიიწვია და მერე ერთად გაემგზავრნენ იერუსალიმში მოშიმშილეთათვის შეწირულობებით **(საქმ. 11, 30).** მალევე, იერუსალიმიდან დაბრუნების შემდეგ, სულიწმიდის ბრძანებით სავლე ბარნაბასთან ერთად თავის პირველ სამოციქულო მოგზაურობას იწყებს, რომელიც 45 წლიდან 51 წლამდე გაგრძელდა. მოციქულებმა მთელი კვიპროსის კუნძული მოიარეს. იმ დროიდან სავლე, მათ მიერ სარწმუნოებისაკენ პროკონსულ სერგის მოქცევის შემდეგ, უკვე პავლედ იწოდება. შემდგომში მათ დააფუძნეს ქრისტიანული თემები მცირეაზიურ ქალაქებში: პისიდიის ანტიოქიაში, იკონიაში, ლუსტრასა და დერბედში. 51 წელს იერუსალიმში წმინდა პავლემ მონაწილეობა მიიღო მოციქულთა კრების მუშაობაში, სადაც მგზნებარედ გამოვიდა იმ აზრის წინაღმდეგ, რომლის მიხედვითაც მიიჩნეოდა, რომ წარმართობისგან მოქცეულ ქრისტიანებს აუცილებლად უნდა დაეცვათ მოსეს რჯულის წეს-ჩვეულებები. ანტიოქიაში დაბრუნებული პავლე შილასთან ერთად მეორე სამოციქულო მოგზაურობაში გაემართა. უპირველესად მან მოინახულა მის მიერვე დაარსებული ეკლესიები მცირე აზიაში, შემდეგ მაკედონიაში გადავიდა, სადაც დაარსა ქრისტიანული თემები ფილიპეში, თესალონიკესა და ბერიაში. ლუსტრაში წმინდა პავლემ შეიძინა საყვარელი მოწაფე ტიმოთე, ხოლო ტროადადან თავისი მოგზაურობა გააგრძელა მათთან შეერთებულ ჟამთააღმწერელ ლუკასთან ერთად. მაკედონიიდან წმინდა პავლე საბერძნეთში გადავიდა; იქ იქადაგა ათენსა და კორინთოში. ამ უკანასკნელში იგი წელიწად-ნახევარს გაჩერდა, სადაც ორი ეპისტოლე დაწერა თესალონიკელთა მიმართ. მისი მეორე მოგზაურობა 51 წლიდან 55 წლამდე გაგრძელდა, რის შემდეგაც იგი იერუსალიმში გაემგზავრა. გზად წმინდა პავლემ მოინახულა ეფესო და კესარია. იერუსალიმიდან წმინდა

მოციქული ანტიოქიაში დაბრუნდა **(საქმ. მე-17 და მე-18 თავები).** იქ ხანმოკლე ყოფნის შემდეგ, წმინდა პავლემ უკვე მესამე სამოციქულო მოგზაურობა დაიწყო (56-58 წლები).

უპირველესად, თავისი ჩვეულებისამებრ, მან მოიარა მის მიერვე ადრე დაარსებული ეკლესიები მცირე აზიაში; შემდეგ დააარსა ეკლესია ეფესოში, სადაც ორი წლის განმავლობაში ყოველდღე ქადაგებდა ვინმე ტვირანეს სასწავლებელში. იქ მან დაწერა ეპისტოლე გალატეელთა მიმართ. მისი დაწერის მიზეზი იყო იმ დროს გალატეაში იუდაიზმის მიმდევართა პარტიის გაძლიერება. იქვე დაწერა აგრეთვე, პირველი ეპისტოლე კორინთოელთა მიმართ – იქ წარმოშობილი უწესრიგობების გამო და პასუხად მისდამი კორინთოელთა წერილზე. სახალხო ამბოხებამ, რომელიც მის წინააღმდეგ ვერცხლისმჭედელმა დემეტრიოსმა მოაწყო, მოციქული აიძულა ეფესო დაეტოვებინა და მაკედონიაში გადასულიყო **(საქმ. მე-19 თავი).** გზაში მან ტიტესგან მიიღო ცნობა კორინთოს ეკლესიის მდგომარეობის შესახებ და იქ მისი ეპისტოლეს კეთილ შედეგებზე; პასუხად მან მაკედონიიდან უკვე მეორე ეპისტოლე გაგზავნა კორინთოში ტიტეს ხელით. მალე, ამის შემდეგ, თავად ჩავიდა ადგილზე და იქიდან რომაელებს მისწერა ეპისტოლე. ამ დროს წმინდა მოციქული იზრახვიდა მოენახულებინა ჯერ იერუსალიმი, ხოლო შემდეგ რომში ჩასულიყო და იქიდან დასავლეთისკენ გაეგრძელებინა გზა. მელიტონში პავლე დაემშვიდობა ეფესოელ მღვდლებს და იერუსალიმში გაემგზავრა, სადაც მის წინააღმდეგ მოწყობილი ხალხის ამბოხის შედეგად, იგი რომის ხელისუფლებამ დააპატიმრა, – ჯერ პროკუნსულ ფელიქსის დროს, მერე კი მისი შემცვლელი პროკონსულის, ფესტოსის მმართველობისას. ეს მოხდა 59 წელს, ხოლო 61 წელს, იგი, როგორც რომის მოქალაქე, თავისი სურვილით რომში გაამგზავრეს კეისრის სამსჯავროს წინაშე წარსადგომად. გზაში გემმა კატასტროფა განიცადა,

რის გამოც, წმინდა მოციქულმა მხოლოდ 62 წლის ზაფხულში მიაღწია რომს. იქ იგი რომის ხელისუფალთა დიდი სულგრძელობით სარგებლობდა და აუკრძალავად ქადაგებდა. ამით მთავრდება თხრობა მისი ცხოვრების შესახებ, გადმოცემული წიგნში: „საქმე მოციქულთა“ (27-ე და 28-ე თავები). რომიდან წმინდა პავლემ ეპისტოლე მისწერა ფილიპელებს (მადლობით, მისთვის ეპაფროდიტეს ხელით გამოგზავნილი ფულადი დახმარების გამო), კოლასელებს, ეფესოელებს და ფილიმონს – კოლასის მკვიდრს, მისგან გამოქცეული მონის, ონისიმეს გამო. ყველა ეს ეპისტოლე გაგზავნილ იქნა 63 წელს ტვიქიკოსის ხელით. 64 წელს, ასევე რომიდან იქნა გაგზავნილი ეპისტოლე პალესტინელი ებრაელების მიმართ.

წმინდა პავლე მოციქულის შემდგომი ცხოვრება ზუსტად ცნობილი არ არის. ზოგიერთები თვლიან, რომ იგი რომში დარჩა და 64 წელს ნერონის ბრძანებით მოწამეობრივ სიკვდილს ეზიარა. თუმცა, არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ორწლიანი პატიმრობის შემდეგ, პავლე გაათავისუფლეს და მან მეოთხე სამოციქულო მოგზაურობა ჩაატარა, რაზედაც მიანიშნებს მისი ეგრეთ წოდებული „სამწყემსო ეპისტოლენი“ ტიმოთესა და ტიტეს მიმართ. მას შემდეგ, რაც წმინდა პავლემ თავისი საქმიანობა დაიცვა სენატისა და იმპერატორის წინაშე, იგი ტყვეობიდან გაათავისუფლეს. წმინდა მოციქულმა ამის შემდეგ აღმოსავლეთში იმოგზაურა: დიდხანს დაჰყო კუნძულ კრეტაზე და იქ დატოვა თავისი მოწაფე ტიტე, რათა მას ყველა იქაურ ქალაქში მღვდლების ხელდასხმა მოეხდინა **(ტიტ. 1, 5)**, რაც მოწმობს მის მიერ ტიტეს დადგინებას კრეტას ეკლესიის ეპისკოპოსად. თავად პავლემ მოგზაურობა გააგრძელა მცირე აზიის ქვეყნებში და იქიდან გაუგზავნა ეპისტოლე ტიტეს ეპისკოპოსის მოვალეობებთან დაკავშირებით. ეპისტოლედან ჩანს, რომ

ვარაუდობდა ის ზამთარი (64 წლის) ტარსუს მახლობლად ნიკოპოლში გაეტარებინა (**ტიტ. 3, 12**). 65 წლის გაზაფხულზე მან მოიარა დანარჩენი მცირეაზიური ეკლესიები და მელიტონში დატოვა სნეული ტროფიმე, რომლის გამოც წარმოიშვა სახალხო შფოთი იერუსალიმში მოციქულის წინააღმდეგ, რამაც მისი პირველი ტყვეობა გამოიწვია (**2 ტიმ. 4, 20**). გაიარა თუ არა მან ამ დროს ეფესო, ცნობილი არ არის, რადგან ის ამბობდა, რომ ეფესოელი მღვდლები მის სახეს აწ ვეღარ იხილავდნენ (**საქმ. 20, 25**), მაგრამ, როგორც ჩანს, მან ამ დროს ხელნი დაასხა ტიმოთეს ეფესოს ეპისკოპოსად. ამის შემდეგ მოციქულმა გაიარა ტროადა, სადაც ვინმე კარპოსს დაუტოვა თავისი ფელონი და წიგნები (**2 ტიმ. 4, 13**) და იქიდან მაკედონიაში გაემგზავრა.

იქ მან შეიტყო ეფესოში ცრუსწავლების გაძლიერების შესახებ და გაუგზავნა თავისი პირველი ეპისტოლე ტიმოთეს. დარჩა რა ერთხანს კორინთოში (**2 ტიმ. 4, 20**) და შეხვდა გზაში პეტრე მოციქულს, პავლემ მასთან ერთად გააგრძელა გზა დალმატიის გავლით (**2 ტიმ. 4, 10**) იტალიაში, ჩავიდა რომამდე, სადაც დაშორდა პეტრე მოციქულს და 66 წელს გზა გააგრძელა დასავლეთით, ესპანეთისკენ, როგორც ეს დიდი ხნით ადრე ჰქონდა გადაწყვეტილი (**რომ. 15, 24**) და როგორც ამას გადმოცემა მოწმობს. იქვე, ან უკვე რომში დაბრუნების შემდეგ, იგი კვლავ დააპატიმრეს („მეორე ტყვეობა"), და უკვე სიკვდილამდე აღარ გათავისუფლებულა. არსებობს გადმოცემა, რომლის თანახმადაც, რომში დაბრუნებისას წმინდა მოციქული იმპერატორ ნერონის კარზეც კი ქადაგებდა და ქრისტეს რწმენაზე მოაქცია მისი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ხარჭი. ამისთვის წმინდა პავლე სამსჯავროს გადასცეს და თუმც ღვთის წყალობით გამოხსნილ იქნა, – თავისივე გამოთქმით ***„პირისაგან ლომისა"***, ანუ გადაურ-

ჩა ცირკში მხეცებისგან დაგლეჯას (იხ. **2 ტიმ. 4, 16, 17**), – იგი მაინც დააპატიმრეს. ამ მეორე პატიმრობიდან მან მეორე ეპისტოლე მისწერა ტიმოთეს ეფესოში, სადაც მას რომში იწვევდა უკანასკნელი შეხვედრისათვის, რამეთუ გრძნობდა მოახლოებულ სიკვდილს. გადმოცემა არაფერს ამბობს იმაზე, მოასწრო თუ არა ტიმოთემ თავისი მოძღვრის ცოცხლად ნახვა, მაგრამ მის თანახმად ცნობილია, რომ მოციქულს უკვე დიდხანს აღარ მოუწია მოწამეობრივი გვირგვინისთვის ლოდინი: ცხრათვიანი ტყვეობის შემდეგ, მას რომთან ახლოს მახვილით თავი მოჰკვეთეს, როგორც რომის მოქალაქეს.

ეს მოხდა 67 წელს, ნერონის მეფობის მე-12 წელიწადს.

წმინდა პავლე მოციქულის ცხოვრება მკვეთრად იყოფა ორ ნაწილად. ქრისტესკენ თავის მოქცევამდე, მაშინ ჯერ კიდევ სავლე, იგი მკაცრი ფარისეველი იყო, – მოსეს რჯულისა და გადმოცემების დამცველი. მას სწამდა, რომ საქმეებით გამართლდებოდა და თავისი წინაპრების სარწმუნოების ფანატიკური მიმდევარი იყო. მოქცევის შემდეგ, ქრისტეს მოციქული გახდა, მთლიანად შეეწირა სახარების ქადაგების საქმეს, იყო ბედნიერი თავისი მოწოდებით, მაგრამ ამასთან, გაცნობიერებული ჰქონდა საკუთარი უძლურება ესოდენ მაღალი მსახურებისათვის და ყველა თავის ღვაწლსა და დამსახურებას ღვთის მადლს მიაწერდა. თვით ფაქტს, ქრისტესკენ თავისი მოქცევისა, წმინდა მოციქული წარმოაჩენს როგორც მხოლოდ და მხოლოდ ღვთის მადლის მოქმედებას. მოქცევამდე მთელი მისი ცხოვრება, მისივე ღრმა რწმენით, იყო ცდომილება, ცოდვა, და მიჰყავდა არა გამართლებისკენ, არამედ დასჯისკენ და მხოლოდ ღვთის მადლმა გამოიყვანა ამ დამღუპველი ცდომილებიდან. იქიდან მოყოლებული, წმინდა პავლე ერთადერთს იმას ცდილობს, რომ საღვთო მადლის ღირსი იყოს და შეინარჩუნოს თავისი ღვთაებრივი

მოწოდება. ამიტომაც არ არის და არც შეიძლება მის წერილებში საუბარი იყოს მის რაიმე დამსახურებაზე – ყოველივე ღმერთის დამსახურებაა. წმინდა პავლე მოციქულის ეპისტოლეებში გადმოცემული მისი სწავლანი, ზუსტი ანაბეჭდია მისივე ცხოვრებისა და სწორედ ამ ძირითად აზრს შეიცავს: **„ადამიანი მართლდება სარწმუნოებით, რჯულის საქმეებისაგან დამოუკიდებლად“** (შდრ. რომ. 3, 28). მაგრამ აქედან არ შეიძლება დავასკვნათ, თითქოს, წმინდა პავლე მოციქული უარყოფდეს ცხონების საქმეში ადამიანის პირადი ძალისხმევის ყოველგვარ მნიშვნელობას – კეთილ საქმეებს (იხ. მაგალითად: **გალ. 6, 4,** ან **ეფეს. 2, 10,** ან **1 ტიმ. 2, 10** და მრავალი სხვა). „რჯულის საქმეებში“ მის ეპისტოლეებში იგულისხმება არა ზოგადად „კეთილი საქმენი“, არამედ მოსეს რჯულის წეს-ჩვეულებითი საქმენი.

მტკიცედ უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს, რომ პავლე მოციქულს მისი მქადაგებლური მოღვაწეობის პერიოდში მძაფრი ბრძოლის გადატანა მოუხდა იუდეველებთან და იუდეველების ჩვეულებათა მომხრე ქრისტიანებთან. ბევრი იუდეველი ქრისტიანობის მიღების შემდეგაც იმ თვალსაზრისზე იდგა, რომ ქრისტიანებისთვის აუცილებელია მოსეს რჯულის ყველა სარიტუალო განწესების დაცვა. ისინი ამპარტავნული აზრით იყვნენ შეპყრობილნი: თითქოს, ქრისტე ამქვეყნად მხოლოდ იუდეველთა გამოსახსნელად მოვიდა; ამიტომ წარმართნი, ვისაც გადარჩენა სურთ, მათი აზრით, ჯერ იუდეველები უნდა გამხდარიყვნენ, ანუ წინადაცვეთა მიეღოთ და გაწვრთნილიყვნენ მოსეს მთელი რჯულის შესრულებაში. ეს ცდომილება იმდენად უშლიდა ხელს წარმართებში ქრისტიანობის გავრცელებას, რომ მოციქულები იძულებულნი გახდნენ 51 წელს იერუსალიმში კრება მოეწვიათ და მისი განჩინებით გაეუქმებინათ ქრისტიანებისთვის მოსეს რჯულის ჩვეულებათა დაცვის

აუცილებლობა. თუმცა, ამ კრების შემდეგაც ბევრი გაქრისტიანებული იუდეველი კვლავ ჯიუტად აგრძელებდა თავისი პირვანდელი შეხედულების დაცვას და შედეგად, შემდგომში, სრულიად გამოეყვნენ ეკლესიას და შეადგინეს მწვალებლური საზოგადოება. ისინი უპირისპირდებოდნენ პირადად წმინდა პავლე მოციქულს და სარგებლობდნენ რა მისი არყოფნით ამა თუ იმ ეკლესიაში, შფოთი შეჰქონდათ საეკლესიო ცხოვრებაში. ამიტომ წმინდა პავლე იძულებული იყო თავის ეპისტოლეებში მუდმივად გაესვა ხაზი, რომ ქრისტე მთელი კაცობრიობის გამომხსნელია, – როგორც იუდეველების, ისე წარმართების, – და რომ ადამიანი ცხონდება არა რჯულის წეს-ჩვეულებითი საქმეების დაცვით, არამედ ქრისტეს რწმენით. სამწუხაროდ, წმინდა მოციქულის ეს აზრი შერყვნა ლუთერმა და მისმა მიმდევარმა პროტესტანტებმა: თითქოს, პავლე მოციქული საერთოდ უარყოფდეს ყოველგვარი კეთილი საქმის მნიშვნელობას ცხონებისათვის. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ წმინდა პავლე არ იტყოდა კორინთოელთა მიმართ თავის 1 ეპისტოლეში (13, 2), რომ ***„...მაქუნდეს ღათუ ყოველივე სარწმუნეოებაჲ ვიდრე მთათაცა ცვალებადმდე და სიყუარული თუ არა მაქუნდეს, არა-ვე-რაჲ ვარ.“***, რამეთუ სწორედ სიყვარული ავლენს თავის თავს კეთილ საქმეებში.

წმინდა პავლე მოციქულის ეპისტოლეთა რიცხვნობა. სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით, ეკლესიის საერთო ხმა წმინდა პავლე მოციქულს მიაკუთვნებს თოთხმეტ ეპისტოლეს, თუმცა ძველად ბევრი ეჭვი გამოითქმებოდა იმის შესახებ, მიეკუთვნებოდა თუ არა მას ეპისტოლე ებრაელთა მიმართ. ეს თოთხმეტი ეპისტოლე ბიბლიაში შემდეგი თანმიმდევრობით არის განლაგებული: 1) რომაელთა მიმართ, 2) პირველი კორინთოელთა მიმართ, 3) მე-2 კორინთოელთა მიმართ, 4)

F106.309

გალატელთა მიმართ, 5) ეფესოელთა მიმართ, 6) ფილიპელთა მიმართ, 7) კოლასელთა მიმართ, 8) პირველი თესალონიკელთა მიმართ, 9) მე-2 თესალონიკელთა მიმართ, 10) პირველი ტიმოთეს მიმართ, 11) მე-2 ტიმოთეს მიმართ, 12) ტიტეს მიმართ, 13) ფილიმონის მიმართ, 14) ებრაელთა მიმართ.

ეს არ არის ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. როგორც ადვილად შეგვიძლია შევნიშნოთ, ამგვარი თანმიმდევრობა დაცულია თვით ეპისტოლეთა მნიშვნელობისა და მოცულობის გათვალისწინებით და იმ ეკლესიებისა და პირთა მნიშვნელობათა ერთმანეთთან შედარებიდან გამომდინარე, ვისაც ეპისტოლენი მიემართებათ. შვიდი ეკლესიის მიმართ ეპისტოლეებს მოსდევს ეპისტოლენი სამი პირის მიმართ, ხოლო ებრაელთა მიმართ ეპისტოლე, ბოლოშია განთავსებული, რადგან მისი ნამდვილობა ყველაზე გვიან იქნა აღიარებული. ჩვეულებრივ, წმინდა პავლე მოციქულის ეპისტოლენი, ორ არათანაბარ ჯგუფად იყოფა: 1) ზოგადქრისტიანული ეპისტოლენი და 2) სამწყემსო ეპისტოლენი. ამ უკანასკნელთ მიეკუთვნება ორი ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ და ეპისტოლე ტიტეს მიმართ, რადგან მათში მითითებულია საფუძვლები და წესები კეთილმწყემსობისა.

წმინდა პავლე მოციქულის ეპისტოლეთა ზოგიერთი ადგილი, როგორიც არის, მაგალითად, 1 კორ. 5, 9, ასევე, კოლას. 4, 16, იძლეოდა საბაბს გვეფიქრა, რომ არსებობდა პავლე მოციქულის ჩვენამდე მოუღწეველი სხვა ეპისტოლენიც, მაგრამ შეუძლებელია, რომ ისინი დაკარგულიყო იმ მზრუნველობის პირობებში, რასაც პირველდაარსებული ეკლესია იჩენდა წმინდა მოციქულთა წერილებისადმი. პავლე მოციქულს მიაწერდნენ, აგრეთვე, ფილოსოფოს სენეკასთან წარმოებულ მიწერ-მოწერას, რომელიც იყო „საქმე მოციქულთა"-ში მოხსენიებული პროკონსულ გალიონის ძმა **(საქმ. 18, 12),** მაგრამ აღნიშნულმა წერილებმა ნამდვილობის აღიარება ვერ ჰპოვა.

წმინდა პავლე მოციქულის ეპისტოლეთა მნიშვნელობა და მიზანი. ახალი აღთქმის წიგნების შემადგენლობაში უდიდესი მნიშვნელობა უკავია წმინდა პავლე მოციქულის ეპისტოლეებს, რამეთუ მათში ღრმად და ყოველმხრივადაა გახსნილი და განმარტებული სახარებისეული სწავლების ჭეშმარიტებანი. გარდა ცალკეული, წმინდა პავლესთვის ქრისტეს სარწმუნოების განსაკუთრებით საყვარელი ჭეშმარიტებებისა, – როგორებიცაა, მაგალითად, ძველაღთქმისეული რჯულის მნიშვნელობაზე ახალ აღთქმასთან მიმართებით; ადამიანური ბუნების გარყვნისა და გახრწნის თაობაზე; ღმერთის წინაშე გამართლების ერთადერთ საშუალებაზე იესო ქრისტეს სარწმუნოების გზით, – არ არის, შეიძლება ითქვას, არც ერთი კერძო პუნქტი მთელ ქრისტიანულ დოგმატიკაში, რომელიც ვერ იპოვიდა თავისთვის საფუძველსა და დადასტურებას პავლეს ეპისტოლეებში. ამიტომ ვერ იქნება ჭეშმარიტი ღვთისმეტყველი ის, ვისაც არ შეუსწავლია ისინი გულდასმით და ძირფესვიანად. ეპისტოლეთა უდიდესი ნაწილი ჩამოყალიბებულია ერთი და იგივე გეგმის მიხედვით. იწყება ისინი მკითხველისადმი მისალმებით და ღმერთისადმი მადლობით მისი განგებულებითი მოქმედების გამო იმ ადგილზე, სადაც ეპისტოლე იგზავნება. შემდეგ, ჩვეულებრივ, ეპისტოლე იყოფა ორ – დოგმატურ და ზნეობრივ – ნაწილად. ბოლოს კი, ეპისტოლეს დასკვნით ნაწილში, მოციქული ეხება კერძო საქმეებს, იძლევა დავალებებს, საუბრობს საკუთარ მდგომარეობაზე, ადასტურებს თავის კეთილგანწყობას და უთვლის მშვიდობისა და სიყვარულის მოკითხვას. მისი ცოცხალი და მკაფიო მეტყველება ძველაღთქმისეულ წინასწარმეტყველებს გვაგონებს და მოწმობს მის ახლო ნაცნობობას წმინდა წერილთან.

ეპისტოლე რომაელთა მიმართ

რომის ეკლესიის დაარსება და მისი წევრების შემადგენლობა. რომის ეკლესიის დაარსების შესახებ, რომელმაც შემდგომში ესოდენ დიდი მნიშვნელობა შეიძინა ეკლესიის ისტორიაში, არავითარი ზუსტი მონაცემები არ არსებობს. ამის შესახებ მხოლოდ ვარაუდის აგება შეიძლება, თუმცა საკმაოდ სარწმუნო ვარაუდისა. თავად პავლე მოციქული რომაელთა მიმართ ეპისტოლეში წერს, რომ ქრისტიანებს შორის არიან ისეთებიც, რომლებმაც მასზე ადრე ირწმუნეს ქრისტე (კერძოდ, ანდრონიკე და იუნიანი – **რომ. 16, 7**), და რომ რომაელთა რწმენა უკვე მთელ მსოფლიოში იდიდება (***„...სარწმუნოებაᲐ ეგე თქუენი განითქუმის ყოველსა სოფელსა“*** – *რომ. 1, 8).* კლიმენტის რეკოგნიციებში ვკითხულობთ, რომ ჯერ კიდევ უფალი იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრების დროს, მის შესახებ ცნობები რომამდე აღწევდა და ადგილობრივ მოსახლეობაში არამხოლოდ გაკვირვებას იწვევდა, არამედ – რწმენასაც. ამაში უცხო არაფერია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ პომპეუსის მიერ იუდეას რომისადმი დამორჩილების დროიდან, (ქრისტეს ხორციელად შობამდე 63 წელი), რომში მრავალი იუდეველი დამკვიდრდა; შემდგომში, მათთვის, განსაკუთრებული კვარტალიც კი გამოიყო. ისინი დღესასწაულზე იერუსალიმში ადიოდნენ და, რა თქმა უნდა, იქიდან დაბრუნებულებს შეეძლოთ, რომში მოეყოლათ იქაური ამბები. მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლის დღეს, როგორც ამას ჟამთააღმწერელი მოწმობს, ამ უდიდესი მოვლენის მოწმენი რომაელებიც გახდნენ **(საქმ. 2, 10).** მათ შორის, სავსებით შესაძლოა, მორწმუნენიც და ნათელღებულნიც ყოფილიყვნენ, რომლებიც, მერმედ, რომში

პირველი ქრისტიანული საზოგადოების დამაარსებლები გახდნენ. ჩნდება კითხვა, საიდან და რომელი მოციქულისგან იღებს დასაბამს ამ პირველი რომაული თემის საეკლესიო იერარქია? რომის ეკლესიის გადმოცემა ამბობს, რომ რომში იყო წმინდა პეტრე მოციქული, რომელიც იქ იერუსალიმიდან ჩავიდა 43 წელს საპყრობილედან სასწაულებრივად გათავისუფლების შემდეგ და სამღვდელმთავრო მსახურებას ეწეოდა 25 წლის განმავლობაში, ვიდრე მოწამეობრივად აღესრულებოდა 67 წელს; მაგრამ ეს არ ეთანხმება ჩვენს ხელთ არსებულ სხვა მონაცემებს. არ შეიძლება ეჭვის შეტანა იმაში, რომ წმინდა პეტრე რომში არ იმყოფებოდა იმ დროს, როდესაც წმინდა პავლე რომაელების მიმართ ეპისტოლეს წერდა. წმინდა პეტრე მოციქული რომ იმ დროს რომში ეპისკოპოსად ყოფილიყო, მაშინ, ნუთუ, წმინდა პავლე გაკადნიერდებოდა დაემოძღვრა მისი სამწყსო? მაგრამ თუკი მაინც საჭიროდ ჩათვლიდა რომის სამწყსოსათვის ეპისტოლეთი მიემართა, მაშინ, რა თქმა უნდა, ამას გააკეთებდა არა წმინდა პეტრეს გვერდის ავლით, და რამე სახით მაინც მოიხსენიებდა მას თავის ეპისტოლეში. გარდა ამისა, წმინდა პავლე თავად ამბობს, რომ მას არ ჰქონდა ჩვეულება „ეშენებინა სხვის საფუძველზე" (შდრ. **რომ. 15, 20**) და „ექადაგა სხვის სამთავროში" (შდრ. **2 კორ. 10, 16**). არ შეეცდებოდა წმინდა პავლე რომში წასვლას, იქ რომ უკვე ყოფილიყო წმინდა პეტრე; არ ყოფილა იმ დროს რომში წმინდა პეტრე, შესაბამისად – არც წმინდა პავლეს პირველი ტყვეობის დამთავრებამდე. შეუძლებელია, რომ ჟამთააღმწერელს, რომელიც გადმოგვცემს წმინდა პავლეს რომში ჩასვლას და იქ მის ქადაგებას, არ ეხსენებინა, რომ იმ დროს იქ იმყოფებოდა წმინდა პეტრე მოციქული. აქედან ცხადია შემდეგი დასკვნა: წმინდა პეტრე მოციქული რომში შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ წმინდა პავლე მოცი-

ქულის პირველი ტყვეობის შემდეგ, ანუ თავის მოწამეობრივ აღსრულებამდე ცოტა ხნით ადრე.

მაშ, ვინ იყო რომის ეკლესიის დამაარსებელი?

უნდა ვივარაუდოთ: წმინდა პავლე მოციქულის მოწაფენი. რომაელთა მიმართ ეპისტოლეს ბოლოში, წმინდა პავლე მოციქული მოკითხვას უთვლის მთელ რიგ პირებს, როგორც ჩანს, მისთვის ძალიან ახლობელ და კარგად ნაცნობ ადამიანებს. ვინ არიან ეს პირები და როგორ შეეძლო წმინდა პავლე მოციქულს, რომელიც მანამდე რომში ნამყოფი არ იყო, გაცნობოდა მათ? ეჭვი არ არის, რომ ყველა ისინი განდევნილნი იყვნენ რომიდან იმპერატორ კლავდიოსის მიერ და გაბნეულნი – საბერძნეთის, მაკედონიისა და მცირე აზიის ტერიტორიებზე, სადაც გაეცვნენ პავლე მოციქულს. მათგან ერთნი, მის მიერ იქნენ ნათელღებულნი, მეორენი – მისი თანამუშაკნი გახდნენ, კლავდიოსის სიკვდილის შემდეგ კი კვლავ რომში დაბრუნდნენ და სულიერად მართავდნენ რომის საეკლესიო თემს. წმინდა პავლე მოციქული ამიტომაც ილტვოდა რომისკენ ასე სურვილანთებული, რომ მოემკო თავისი მოწაფეების მიერ დათესილიდან აღმოცენებული ნაყოფი.

გადმოცემა კი იმის შესახებ, თითქოს რომის ეკლესია წმინდა პეტრე მოციქულმა დაარსა, შეიძლება აიხსნას იმით, რომ რომის პირველმორწმუნეებს წარმოადგენდნენ ერგასის დღეს მოქცეული პირები, რომლებმაც მოისმინეს წმინდა პეტრე მოციქულის სიტყვა და, ბუნებრივია, იგი თავის სულიერ მამად მიაჩნდათ. ამას ისიც დაემატა, რომ წმინდა პეტრე მოციქულმა სწორედ რომში მიიღო მოწამეობრივი სიკვდილი.

რომის ეკლესიის შემადგენლობაში თავდაპირველად, უმეტესწილად, იუდეველები შედიოდნენ, მაგრამ შემდეგ, ბევრმა წარმართმა ირწმუნა და, ამდენად, მათმა რიცხ-

ვმა იუდეველებისას გადააჭარბა კიდეც. ეს ჩანს რომაელთა მიმართ ეპისტოლედანაც. ადგილობრივი წარმართები, წარმართულ ცრურწმენაში გაცბუნებულნი, იუდეველებთან შეხებაში პროზელიტები ხდებოდნენ, რაც მათ ქრისტიანობაში გადასვლას უადვილებდათ, რადგან ეს უფრო მეტის მომტანი იყო, რამეთუ სრულიად უკმაყოფილებდა მათ სულიერ მოთხოვნილებას. ამასთან დაკავშირებით, რომაელი ფილოსოფოსი სენეკა ამბობდა, რომ დამარცხებულები აძლევენ სარწმუნოების რჯულს გამარჯვებულებს, ხოლო იუბენალი დასცინოდა იუდაური წეს-ჩვეულებების დამცველ რომაელებს, განსაკუთრებით – ქალებს. სვეტონიუსის მოწმობით, იუდეველები რომიდან გააძევა იმპერატორმა კლავდიოსმა, იმ მიზეზით, რომ მათ შორის ხშირად ჰქონდა შფოთს ადგილი იესო ქრისტეს სახელთან დაკავშირებით. ამ დროს, წარმართობიდან მოქცეული მორწმუნენი ვერ დაზარალდებოდნენ, რადგან დევნა მხოლოდ იუდეველებს შეეხოთ, თანაც არა სარწმუნოებისათვის, არამედ საზოგადოებრივი სიმშვიდის დარღვევის მიზეზით. ყოფილი წარმართების თემი იზრდებოდა და ვითარდებოდა უკვე დამოუკიდებლად და, ამგვარად, სრულიად გამოცალკევდა იუდეველებისაგან. შემდეგ, როდესაც იუდეველთაგან მოქცეული ქრისტიანენი დაბრუნდნენ, ისინი მჭიდროდ შეერწყნენ წარმართთაგან მოქცეულთ და მათთან ერთად შეადგინეს ერთობა და საბოლოოდ გამოეყვნენ იუდეველებს. მორწმუნეთა ეს გამოცალკევება იუდეველებისაგან მკაფიოდ გამოჩნდა რომში წმინდა პავლეს შესვლისას, როდესაც მორწმუნენი მის შესახვედრად გამოვიდნენ ***„ვიდრე აპპიოფორადმდე და მესამე ღვნის საფარდულად“*** (საქმ. 28, 15), იუდეველები კი სამი დღის განმავლობაში ერთხელაც არ მისულან მასთან, სანამ პავლემ თავად არ მიიწვია ისინი სასაუბროდ.

ეპისტოლეს დაწერის მიზეზი და მიზანი. რომაელთა მიმართ ეპისტოლედან არ ჩანს, რომ მათ თავად მისცეს პავლეს რამე საბაბი მის დასაწერად. ეპისტოლე სრულიად ზოგადი ხასიათისაა და არ მიუთითებს კონკრეტულად რომაელ ქრისტიანეთა ცხოვრების კერძო მახასიათებელზე. ტყუილად ფიქრობენ, რომ საბაბი იყო რამე სახის კამათი ან დაყოფა მათ შორის, როდესაც მიუთითებენ მე-16 თავის მე-17 მუხლზე (*„გლოცავ თქუენ, ძმანო, ეკრძალებოდეთ მათგან, რომელნი იგი წვალებასა და საცთურსა იქმან გარეშე მის მოძღურებისა, რომელი თქუენ გისწავიეს, და განეშორენით მათგან“*) – ეს ადგილიც ზოგადი ხასიათისაა, როგორც ყველა სხვა შეგონება.

მიზეზი, რამაც პავლე მოციქული ამ ეპისტოლეს დასაწერად აღძრა, თვით წმინდა პავლეში იყო, რომელიც – მას შემდეგ რაც გაიგო, რომ რომაელები მოექცნენ – ესწრაფვოდა შეემოწმებინა, ყველაფერი სათანადოდ ვითარდებოდა თუ არა მათთან. იგი ხომ „წარმართთა მოციქული“ იყო, და მისთვის ბუნებრივი იყო ეზრუნა მთელი მაშინდელი კულტურული სამყაროს დედაქალაქის მცხოვრებთა ქრისტიანულ წარმატებაზე. აპირებდა რა რომაელთა მონახულებას, მან მათ თავისი გამგზავრების წინ ეპისტოლეთი მიმართა, რათა მისი მეშვეობით თავისთან შესახვედრად შეემზადებინა. ეპისტოლეში წმინდა პავლე აყალიბებს მთელი ქრისტიანული სწავლების საერთო პროგრამას და აფრთხილებს, არ დასნებოვდნენ იმათგან, ვინც იუდაურად მოქმედებს.

საბაბი იმისა, რომ სწორედ ამ დროს გაიგზავნა ეპისტოლე, იყო კორინთოდან, – სადაც პავლე იმყოფებოდა, – რომში გამგზავრება ღრმად პატივცემული კენქრელი დედათდიაკვნის ფიბესი, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია სარწმუნოებასა და ეკლესიას და სახარების გავრცელებაში

უშუალოდ ეხმარებოდა პავლე მოციქულს, რასაც წმინდა პავლე თავად ამოწმებს (**16, 1, 2**). მას რომში საქმე ჰქონდა და წმინდა პავლე მოციქულმა, აფასებდა რა მის დამსახურებას, თავის მოვალეობად ჩათვალა წარედგინა იგი რომაელი ქრისტიანებისთვის.

ეპისტოლეს დაწერის დრო და ადგილი. თვით ეპისტოლეს მონაცემებით, შეიძლება ზუსტად დავადგინოთ, რომ ის კორინთოშია დაწერილი. ეს იქიდან ჩანს, რომ წმინდა პავლე რომაელებს მოკითხვას გადასცემს გაიოსისგან, ვისთანაც ის ცხოვრობდა, და ერასტოსგან – ქალაქის ხაზინისმცველისგან (**16, 23**), ხოლო მისი სხვა ეპისტოლედან (**1 კორ. 1, 14 და 2 ტიმ. 4, 20**) ჩანს, რომ ეს პირები კორინთოში ცხოვრობდნენ. ზუსტად ასევე, ფიბეც, ვისი ხელითაც ეპისტოლე გაიგზავნა, იყო კენქრის დედათდიაკონი, კენქრე კი კორინთოს გარეუბანს წარმოადგენდა (მისი ნავსაყუდელი იყო ეგეოსის ზღვისპირზე).

წმინდა პავლე მოციქული არაერთხელ ყოფილა კორინთოში და ამიტომაც ჩნდება კითხვა: კორინთოში, კერძოდ, მისი რომელი ყოფნისას დაწერა მან ეპისტოლე რომაელთა მიმართ? თვით ეპისტოლეში ამაზეც არის ზუსტი მინიშნება. მოციქული რომაელებს ამცნობს, რომ აპირებს იერუსალიმში ასვლას იმ შემოწირულობებით, რაც მან მაკედონიასა და აქაიაში შეაგროვა, ხოლო იერუსალიმიდან – რომსა და შემდეგ, ესპანეთში (**15, 25-28**). თუ ამას შევადარებთ „საქმე მოციქულთა“-ში მონათხრობს (**19, 21** და **20, 3**), დავადგენთ, რომ რომაელთა მიმართ ეპისტოლე პავლე მოციქულის მიერ დაწერილია მისი მესამე სამოციქულო მოგზაურობისას, როდესაც მან სამი თვე დაჰყო ელადაში ანუ, დაახლოებით, 59 წლის გაზაფხულზე.

ეპისტოლეს ნამდვილობა. ყველაზე მკაცრმა კრიტიკამაც კი ვერ შესძლო ეჭვი გამოეთქვა, რომ ეს ეპისტოლე პავლეს არ ეკუთვნის. *წმინდა კლიმენტი რომაელი, წმინდა პოლიკარპე სმირნელი, წმინდა ირინეოს ლიონელი, ტერტულიანე* და *წმინდა კლიმენტი ალექსანდრიელი,* ასევე, ბოლო დროის ყველა მწერალი და მწვალებელიც კი, იცნობს ამ ეპისტოლეს და მის ციტირებას ახდენს. მხოლოდ *მწვალებელი მარკიონი* უარყოფდა ბოლო ორი თავის ნამდვილობას, – დაწყებული მე-14 თავის 24-ე მუხლიდან. ამას მოჰყვა უახლესი კრიტიკა, თითქოს ეს ორი თავი გვიანდელი დამატება ყოფილიყოს, რისთვისაც ორიგენე განიკითხავდა მარკიონს. ამ ორი თავის არსებობა უძველეს ხელნაწერებში, ისევე როგორც მათი შინაარსი, სადაც არაფერია წმინდა პავლე მოციქულის სულის, სწავლისა და ცხოვრების მდგომარეობის საწინააღმდეგო, გვარწმუნებს მის უეჭველ ნამდვილობაში.

ეპისტოლეს შინაარსი და შემადგენლობა. რომაელთა მიმართ ეპისტოლე 16 თავისგან შედგება. მისი შინაარსის მთავარ საგანს წარმოადგენს წარმოჩენა იმისა, რომ ცხონების ერთადერთი გზა, როგორც წარმართების, ისე იუდეველებისათვის, არის უფალი იესო ქრისტე. ამ თემის განხილვა შეადგენს ეპისტოლეს უმეტეს ნაწილს – 11 თავს. ამას შემდგომ თავებში, მე-12-დან მე-15 თავის მე-13 მუხლის ჩათვლით, გადმოცემულია ქრისტიანული ცხოვრების ზოგადი ზნეობითი შეგონებანი. ეპისტოლე იწყება ჩვეულებრივი შესავლით, რომელიც წარმოდგენილია ზედწარწერითა და მისალმებით, ხოლო მთავრდება ბოლოსიტყვაობითა და მასში სხვადასხვა პირის მოკითხვით.

ეპისტოლეს ეგზეგეტიკური განხილვა. რომაელთა მიმართ ეპისტოლე იწყება საკმაოდ ვრცელი ზედწარწერითა და მისალმებით: ***„პავლე, მონაჲ იესუ ქრისტესი, ჩინებული***

მოციქული, რჩეული სახარებასა მას ღვთისასა“. უწოდებს რა თავმდაბლობით თავის თავს „ქრისტეს მონას“, ამის შემდეგ პავლე მოციქული ამბობს, რომ იგი რომაელებს თავისი მზრუნველობის ქვეშ აიყვანს, თვით უფალი იესო ქრისტეს მიერ მისი მოციქულად მოწოდების საფუძველზე, ***„რომლისაგან მოვიღეთ მადლი და მოციქულებაჲ დასამორჩილებელად სარწმუნოებისა ყოველთა წარმართთა სახელისა მისისათჳს“***, რომელთა შორის ისინიც – რომაელებიც არიან. შემდეგ, ჩვეულების თანახმად, მოციქული მათ გადასცემს „მადლსა და მშვიდობას“ (მუხ. 1-7).

ამის შემდეგ, პავლე მოციქული წერს, რომ რომაელებთან ერთობაში შესასვლელად იგი აღძრა იმან, რომ სარწმუნოება მათი ***„განითქუმის ყოველსა სოფელსა“,*** ანუ მოციქულისთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა ქრისტეს ასეთ ღირსეულ მიმდევრებთან გაცნობა იმისათვის, რომ მათი რწმენა კიდევ უფრო მაღალ ხარისხში აიყვანოს: ***„რაჲთა მი-რაჲმე-გცე თქუენ მადლი სულიერი დასამტკიცებელად თქუენდა. ხოლო არს ესე თანანუგეშინისცემა თქუენ შორის ურთიერთარსი იგი სარწმუნოებაჲ თქუენი და ჩემი“*** (მუხ. 8-10). წმინდა პავლე ამბობს, რომ არაერთხელ დააპირა მათთან მისვლა, მაგრამ დაბრკოლებებს ხვდებოდა. ეს დაბრკოლებებია – ყველა იმ ერში ქადაგების წარმატების სურვილი, სადაც კი მანამდე მოციქულს უქადაგია, და აქედან გამოწვეული მოუცლელობა. მე-16 მუხლიდან იწყება სარწმუნოებრივი, დოგმატური ნაწილი ეპისტოლესი, სადაც მოციქული ამტკიცებს, რომ ღმერთის წინაშე ყველა ცოდვილია და თავის გასამართლებელიც არაფერი აქვთ, – როგორც წარმართებს, ისე იუდეველებს, – და რომ ადამიანს აცხონებს მხოლოდ უფლის – იესო ქრისტეს ცოცხალი რწმენა: ***„...მართალი ჩემი სარწმუნოებისაგან ცხონდეს“*** (აბაკ. 2, 4). უპირველესად, მო-

ციქული საუბრობს წარმართთა ცოდვის შესახებ, რომლებმაც არ იზრუნეს შეეცნოთ ჭეშმარიტი ღმერთი მისი შემოქმედების საშუალებით, რამეთუ მისი ძალა და ღმრთეება ***„დაბადებითგან სოფლისაჲთ ქმნულთა მათ შინა საცნაურად იხილვების“*** (მუხ. 18-20). ჭეშმარიტი ღმერთის შეუცნობლობამ ისინი კერპთთაყვანისმცემლობამდე მიიყვანა, კერპთთაყვანისმცემლობამ კი, თავის მხრივ, ყოველგვარ უვარგისობამდე და ბიწიერ უზნეო ცხოვრებამდე (მუხ. 21-32).

მეორე თავში წმინდა მოციქული გადადის იუდეველებზე; ამბობს, რომ წარმართებთან ერთად საღვთო სამსჯავრო იუდეველებსაც მოელით, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ რჯული გაცხადებული ჰქონდათ, მაინც არც ერთ დროში წარმართებზე უკეთესნი არ ყოფილან: განიკითხავდნენ რა წარმართებს მათი უკეთურობის გამო, თავადაც იგივეს იქმოდნენ. თუმცა *ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული,* წმინდა იოანე ოქროპირის* განმარტებაზე დაყრდნობით, შენიშნავს, რომ ამ თავის პირველ 16 მუხლში იგულისხმება არა მხოლოდ იუდეველები, არამედ საერთოდ ყველა ადამიანი, ვინც სხვებს განიკითხავს ცოდვებისთვის, თვითონ კი, ამ დროს, სრულებითაც არ ზრუნავს ცოდვებისგან განრინებას. ეს განსაკუთრებით ეხება ხელისუფალთ, სახალხო მმართველებს, ყველას, ვისაც გასამართლების უფლება აქვს. ასეთებმა უნდა იცოდნენ, რომ ***„არა არს თუალთღებაჲ ღვთისა თანა“,*** და ყოველი შემცოდებელი, ვინც არ უნდა იყოს იგი, დამსახურებისამებრ მიიღებს სასჯელს. აქ მთავარია იმის აღნიშვნა, რომ წარმართები, რომლებსაც ღვთივგაცხადებული რჯული არ გააჩნიათ, ღმერთის მიერ განისჯებიან მათ გულებში დაწ-

* როდესაც ავტორი წინამდებარე ნაშრომზე მუშაობდა, ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული ჯერ კიდევ არ იყო წმინდანად შერაცხული; იგი წმინდანად შერაცხეს 1988 წელს. – რედ.

ერილი სინდისის კანონით: „როდესაც წარმართები, რომლებსაც რჯული არა აქვთ, ბუნებითად რჯულისმიერ მოქმედებენ, მაშინ, არა აქვთ რა რჯული, თავად არიან თავისთვის რჯული: ისინი აჩვენებენ, რომ რჯულის საქმენი მათ გულზე უწერიათ, რასაც მათი სინდისი და გონება მოწმობს, რომლებიც იმ დღეს, როდესაც სახარების თანახმად ღმერთი კაცთა დაფარულ საქმეებს განსჯის, ხან ბრალს დასდებენ ერთიმეორეს, ხან – გაამართლებენ“ (შდრ. მუხ. 1-16).

17-29 მუხლში წმინდა პავლე მოციქული საუბრობს გამორჩეულად იუდეველთა შესახებ, რომ მათ ამაო იმედი აქვთ თავიანთი წინადაცვეთისა და ამაოდ იქადიან ღვთივგაცხადებული რჯულით, რამეთუ მათი წინადაცვეთა და მათთვის მიცემული საღვთო რჯული მეტი სასჯელის მომტანია მათთვის, თუკი ისინი, იქადიან რა რჯულით, რჯულის დარღვევით ღმერთს შეურაცხყოფენ (მუხ. 17-29).

მესამე თავში წმინდა მოციქული აჩვენებს, რომ იუდეველებს არავითარი უპირატესობა არ გააჩნიათ წარმართების წინაშე, „რამეთუ როგორც იუდეველები, ისე ელინები, ყველანი ცოდვის ქვეშ არიან“ (მუხ. 9), ***„ყოველთავე შესცოდეს და დაკლებულ არიან დიდებისაგან ღვთისა“*** (მუხ. 23). ამიტომ, გამართლების მიღება ადამიანს შეუძლია მხოლოდ „სარწმუნოების გზით“, ***„გამოჯსნითა მით იესუ ქრისტესითა“*** (მუხ. 24, 25). და მაინც, იუდეველებს აქვთ ის უპირატესობა, რომ მათ ***„ერწმუნათ ღვთის სიტყვა“*** (მუხ. 2), რომელიც შეიცავს ზეციურ აღთქმას მესიის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ იუდეველები არ აღმოჩნდნენ ერთგულნი, დაეცვათ ეს უდიდესი საღვთო საუნჯე, ღმერთი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, მაინც აუცილებლად შეასრულებს მათთვის მიცემულ აღთქმას. იუდეველებისთვის მიცემული რჯული კიდევ უფრო ამძიმებს მათ პასუხისმგე-

ბლობასა და დანაშაულს. ხოლო, რადგანაც ღმერთი არ არის მხოლოდ იუდეველების ღმერთი, არამედ წარმართებისაც, ამიტომ როგორც ერთთათვის, ისე მეორეთათვისაც ცხონების მხოლოდ ერთი გზა არსებობს – სარწმუნოება. მაგრამ ამით არ აღმოიფხვრება რჯულის მნიშვნელობა, პირიქით – მტკიცდება, რამეთუ ღვთის მადლმა საშუალება მისცა ადამიანებს აღესრულებინათ რჯულის მოთხოვნილებანი.

მეოთხე თავში მოციქული იხსენებს ძველაღთქმისეულ მართლებს – აბრაამსა და დავითს, და მათი სახით აჩვენებს, რომ არა მხოლოდ რჯულის განწესებათა ფორმალური შესრულება ამართლებს ადამიანს ღმერთის წინაშე, არამედ რწმენა ღმერთის ყოვლადძლიერი მადლისა, რომელიც ადამიანს საღვთო წყალობით ეძლევა: ***„ჰრწმენა აბრაჰამს ღმერთი და შეერაცხა მას სიმართლედ“*** (მუხ. 3).

მეხუთე თავში მოციქული გადმოგვცემს ქრისტიანული სწავლების ძირითად ჭეშმარიტებას ცოდვისა და გამოხსნის შესახებ. როგორც ადამიდან, კაცობრიობის ბუნებრივი თავიდან, ცოდვა მთელ კაცთა მოდგმაზე გავრცელდა – ***„ამისთჳს, ვითარცა-იგი ერთისა მის კაცისათჳს ცოდვაჲ სოფლად შემოჴდა და ცოდვისა ძლით – სიკუდილი, და ესრეთ ყოველთა კაცთა ზედა სიკუდილი მოიწია, რომლითა ყოველთა შესცოდეს“*** (რომ. 5, 12), – ასევე ქრისტემ, კაცობრიობის ახალმა სულიერმა თავმა, თავისი გამომსყიდველი ღვაწლით უბოძა ხსნა მთელ კაცთა მოდგმას. ამ თავის მე-12–21-ე მუხლები წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს დოგმატური შინაარსის სიღრმით. იმის მტკიცებულებას, რომ ადამის ცოდვა ნამდვილად გადავიდა მის ყველა შთამომავალზე, ემსახურება სიკვდილის ფაქტი, რომელიც ადამის ცოდვას მოჰყვა შედეგად, ანუ ეგრეთ წოდებულ პირველქმნილ ცოდვას. მოციქული მნიშვნელოვან გარემოებაზე მიუ-

თითებს: მოსემდე რჯული არ არსებობდა, შესაბამისად, ადამიანებს მათი ცოდვები არ მოეკითხებოდათ: ***„ხოლო ცოდვად არად შერაცხილ იყო თჳნიერ შჯულისა“*** (მუხ. 13), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ადამიანები მოსემდეც კვდებოდნენ. აქედან ბუნებრივია დასკვნა, რომ ისინი სიკვდილით ისჯებოდნენ არა საკუთარი ცოდვების გამო, არამედ მათზე მამამთავარ ადამისგან გადასული პირველქმნილი ცოდვის მიზეზით. ხოლო როდესაც რჯული მიეცათ და ადამიანებმა მაინც არ დაანებეს თავი ცოდვებს, ამით მათი დანაშაული ღმერთის წინაშე კიდევ უფრო გაიზარდა (მუხ. 20). როდესაც ამგვარად ცოდვა გამრავლდა, ქრისტეს გამომსყიდველი ღვაწლის წყალობით ადამიანებს მომეტებული ღვთის მადლი მიეცათ – ***„სადა-იგი განმრავლდა ცოდვაჲ, მუნ უფროჲსად გარდაემატა მადლი,“*** (მუხ. 20). ქრისტეს გამომსყიდველი ღვაწლით აღიხოცება არამარტო ადამის პირველქმნილი ცოდვა, არამედ ადამიანთა ყველა კერძო ცოდვაც (მუხ. 16).

მეექვსე მუხლში, იმისათვის, რომ ცრუ დასკვნა არ იყოს გამოტანილი, – თუკი ცოდვის გამრავლებამ ღვთის ყოვლადძლიერი მადლის მოქმედება გამოიწვია, მაშინ ხომ არ სჯობს ცოდვაში დარჩენა, რათა კვლავ გამოვიწვიოთ ღვთის წყალობაო, – მოციქული მოუწოდებს ქრისტიანებს წმინდა, კეთილმოქმედი ცხოვრებისაკენ. ნათლისღების მომენტიდან ქრისტიანი ცოდვისთვის კვდება და ხელახლა იბადება ახალი – წმინდა – ცხოვრებისათვის; მსგავსად იმისა, როგორც ქრისტე მაცხოვარი ჩვენი, ვნებული და ჯვარზე მომკვდარი, მკვდრეთით აღდგა და ცხოვრობს „მარადის ღმერთისთვის“ (*„რომელი-იგი ცხოველ არს, ცხოველ არს ღვთისა“ – მუხ. 10),* – ***„ეგრეცა თქუენ შეჰრაცხენით თავნი თქუენნი მკუდრად ცოდვისათჳს და ცხოველად ღვთისა ქრისტე იესუს მიერ უფლისა ჩუენისა“*** *(მუხ. 11).* ეს ადგილი (6,

3-11) იკითხება საღვთო ლიტურგიაზე დიდ შაბათს, როდესაც მოიხსენიება ქრისტეს მოკვდინება და დაფლვა და მისი საფლავად ყოფნა. ჩვენი *„ძველი იგი კაცი“* (ანუ ცოდვილი, ცოდვისკენ მიდრეკილი), ჯვარს უნდა ეცვას ქრისტეს თანა, რათა *„განქარდეს ჯორცი იგი ცოდვისაჲ, რაჲთა აღარ ვჰმონებდეთ ჩუენ ცოდვასა“.* ცოდვის მონობიდან გათავისუფლება ქრისტიანს ჭეშმარიტ თავისუფლებას ანიჭებს. თუკი ამის შემდეგ ქრისტიანი მაინც არის მონა, ის უკვე სიმართლის მონაა, მაგრამ ეს მონობა მხოლოდ მოჩვენებითია: ასეთად ის მხოლოდ უძლურთათვის ჩანს, რომლებიც სრულიად ჯერ კიდევ არ გათავისუფლებულან ცოდვის მონობისაგან, იმიტომ რომ სიმართლის მსახურების დასაწყისში საჭიროა საკუთარ თავზე ძალდატანება, ცოდვით მიდრეკილებებთან ბრძოლა. მაგრამ, სამაგიეროდ, სიმართლის მონობის, ანუ ღმერთის მონობის ნაყოფი არის სიწმინდე და საუკუნო ცხოვრება, ხოლო ცოდვის მონობის შედეგი ისეთი ნაყოფია, *„რომლისათვის აწ ეგერა გრცხუენის, რამეთუ აღსასრული მათი სიკუდილი არს“* *(მუხ. 16-22).*

მეშვიდე თავში მოციქული გვიხსნის, რომ ცოდვის მონობისაგან გათავისუფლებული ქრისტიანი მოსეს რჯულის შესრულებიდანაც თავისუფალია. *„შჯული უფლებს კაცსა ზედა“,* სანამ იგი ცოცხალია. მაგალითად, ქმრის სიკვდილი ცოლს ათავისუფლებს მეუღლეობის კანონიერი ვალდებულებისაგან და მას შეუძლია სხვაზე გათხოვდეს. *„ამისთჳს თქუენცა, ძმანო ჩემნო,* – ამბობს მოციქული, – *მოჰკუედით შჯულისაგან ჯორცითა მით ქრისტესითა, რაჲთა იყჳნეთ თქუენ სხჳსა მის მკუდრეთით აღდგომილისა,* რაჲთა ნაყოფი*

* მკვდარნი ხართ რჯულისთვის ქრისტეს ხორცით, რათა უკვე სხვას ეკუთვნოდეთ, მკვდრეთით აღმდგარს.

გამოვიღოთ ღვთისა“ (მუხ. 4). მოსეს რჯული დროებითი მნიშვნელობისა იყო, რათა გამოეჩინა ცოდვის მთელი ძალა და კაცობრიობა მიეყვანა იმ აზრამდე, რომ შეუძლებელია ცხონება ღვთის განსაკუთრებული მადლმოსილი შეწევნის გარეშე. რჯულს მხოლოდ ცოდვითი წყლულების წარმოჩენა შეეძლო, მაგრამ არ იძლეოდა მისგან განკურნებას: იგი ადამიანს მხოლოდ და მხოლოდ უძლურების მწარე შეგრძნებას აძლევდა, იმის გამო, რომ არ შეეძლო რჯულის ყველა მოთხოვნა შეესრულებინა და ამით ღმერთისგან გამართლება მიეღო. ახლა კი ჩვენ, ქრისტიანები, რჯულისგან გავთავისუფლდით იმიტომ, რომ ვემსახუროთ ღმერთს ***„განახლებულითა სულითა და არა დაძველებულითა წიგნითა“,*** ანუ – არა რჯულის გარეგანი, ფორმალური განწესებებით. აქვე მოციქული გვაფრთხილებს, რომ არ გამოვიტანოთ ცრუ დასკვნა, თითქოს კანონი შეიცავდეს ცოდვის მიზეზს: რჯული რომ არ ყოფილიყო, არც ცოდვა იქნებოდაო. არა, ცოდვის მიზეზი თვით ადამიანშია. რჯული თავისთავად წმინდაა, და წმინდაა მისი მცნებებიც – სამართლიანია და კეთილისკენ არის მიმართული. რჯული მხოლოდ ავლენს ადამიანის ბუნებაში ფესვგამდგარ ცოდვას, – ბუნებაში, რომელიც შერყვნილია პირველქმნილი ცოდვით. მეშვიდე თავის მეორე ნახევარში (მუხ. 13-25) მოციქული განმარტავს მოჩვენებით შეუსაბამობას იმასთან დაკავშირებით, რომ მოსეს წმინდა რჯულის პირობებში ადამიანის ცოდვიანობა არამცთუ შემცირდა, პირიქით, კიდევ უფრო გაიზარდა. რის გამოც, საჭირო გახდა განსაკუთრებული მადლმოსილი საშუალება ადამიანთა გამოხსნისათვის მხოლოდშობილი ძე ღვთისას გამომსყიდველი ღვაწლის მეშვეობით. ეს წმინდა წერილის ახალაღთქმისეული წიგნების არცთუ ბევრ ადგილთაგან ერთ-ერთია, სადაც ასეთი ძალითა და სიღრმით არის გამოხატული ადამიანის ზნეობრი-

ვი ბუნების ცოდვიანი გარყვნილობა: *„რამეთუ რომელსა-იგი ვიქმნ, არა ვიცი; რამეთუ არა რომელი-იგი მე მნებავს, მას ვიქმ, არამედ რომელი-იგი მძულს, მას ვჰყოფ“* (მუხ. 15). მხოლოდ საკუთარი ძალებით, საღვთო მადლის გარეშე, ადამიანისთვის შეუძლებელია მასში დამკვიდრებული ცოდვის დაძლევა, *„რამეთუ არა რომელი-იგი მნებავს კეთილი, მას ვჰყოფ, არამედ რომელი-იგი არა მნებავს ბოროტი, მას ვიქმ. ხოლო უკუეთუ, რომელი-იგი მე არა მნებავს და მას ვჰყოფ, არღარა მე ვიქმ მას, არამედ რომელი-იგი დამკვ-დრებულ არს ჩემ თანა ცოდვაჲ“* (მუხ. 19, 20). წმინდა მოციქული მთელი სიცხადით წარმოაჩენს გაორების იმ სურათს, რასაც ქმნის ცოდვა ჩვენს დაცემულ ბუნებაში: *„ვპოვო-მეა შჯული, რომელსა უნდეს ჩემდა ყოფად კეთილისა, რამ-ეთუ მე ბოროტი წინა მიც? რამეთუ თანა-მნებავს მე შჯულსა ღვთისასა შინაგანითა მით კაცითა. და ვხედავ სხუასა შჯულსა ასოთა შინა ჩემთა, რომელი-იგი წინა-განეწყვების შჯულსა მას გონებისა ჩემისასა და წარმ-ტყუენავს მე შჯულითა მით ცოდვისაჲთა, რომელი-იგი არს ასოთა შინა ჩემთა“* (მუხ. 21-23); *„უბადრუკი მე ესე კაცი! ვინ-მე მიჴსნეს ჴორცთა ამათგან ამის სიკუდილ-ისათა?“* (მუხ. 24). აღგვიწერა რა ადამიანის ცოდვისადმი დამონების ეს სავალალო მდგომარეობა, წმინდა პავლე ამის შემდეგ მიგვითითებს ჩვენი მაცხოვრის ყოვლადძლიერ შეწ-ევნაზე: *„ხოლო ვჰმადლობ ღმერთსა* (ჩემსა) *ქრისტე იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა...“* (მუხ. 25). უფალ გამომსყიდველს, ჩვენი უბადრუკობის პირობებშიც კი, შეუძლია ჩვენში დამ-კვიდრებულ ცოდვაზე გაგვამარჯვებინოს. დაწვრილებით ამის შესახებ საუბარია ამის შემდგომ (მერვე) თავში.

გამოიკვლია რა ცოდვის ძალა და ქრისტე მაცხოვრის გამომსყიდველი ღვაწლის სიდიადე, რომელმაც გაგვათა-

ვისუფლა ცოდვის ხელმწიფებისაგან და გვიბოძა საშუალება ვიცხოვროთ სულით და არა ხორცით, წმინდა პავლე მოციქული **მერვე თავში** გვარწმუნებს ვებრძოლოთ ცოდვას, რამეთუ ახლა უკვე ვერაფრით გავიმართლებთ თავს, თუ ამ ბრძოლას თავს ავარიდებთ. ჩვენთან არის ქრისტეს ყოვლადძლიერი სული, რომელიც სულიერ ცხოვრებაში გვეწევა, და არა – ხორციელში. ხოლო ***„უკუეთუ ვისმე სული ქრისტესი არა აქუს, იგი არა არს მისი“*** (მუხ. 9). ხოლო რაკი ღვთის სულით დავდივართ, ესე იგი, ღვთის შვილები ვართ (მუხ. 14-16), ***„ხოლო უკუეთუ შვილ, მკვდრცა,* მკვდრ ღვთისა თანა და თანა-მკვდრ ქრისტესა. უკუეთუ მის თანა ვივნოთ, მის თანაცა ვიდიდნეთ“*** (მუხ. 17). სულიერი ცხოვრების სურვილსა და ცოდვასთან ბრძოლას თან ახლავს ტანჯვა, მაგრამ ქრისტიანს ამისი არ უნდა ეშინოდეს, რამეთუ ეს ტანჯვა არაფერია იმ დიდებასთან შედარებით, რაც ჩვენ მომავალ საუკუნეში გველოდება: ***„რამეთუ მე ესრე მგონიეს, ვითარმედ ვერ ღირს არიან ვნებანი იგი ამის ჟამისანი მერმისა მის თანა დიდებისა, რომელ გამოჩინებად არს ჩუენდა მომართ“*** (მუხ. 18). ამ მომავალ დიდებას ჩვენთან ერთად ყველა ქმნილება ელოდება, რამეთუ ისინიც გათავისუფლდებიან სიკვდილის კანონისა და ხრწნილებისაგან, რაც ადამიანის ცოდვით დაცემამ გამოიწვია. ცოდვასთან ბრძოლაში ჩვენ სულიწმიდა გვეხმარება: ***„...სულიცა იგი თანა-შეეწევის უძლურებათა ჩუენთა, რამეთუ რაჲმცა იგი ვილოცეთ, ვითარ-იგი ჯერ-არს, არა ვიცით; არამედ თჳთ იგი სული მეოხ არს ჩუენთჳს სულ-თქუმითა მით უსიტყუელითა“*** (მუხ. 26). ცხონების სასოებაში გვამტკიცებს წინასაუკუნეთა წინასწარგანჩინება ღმერთისა

* მემკვიდრენი

ჩვენი გამოხსნის შესახებ: *„...რომელნი-იგი წინაწარ იცნნა, წინაწარცა განაჩინნა თანა-მსგავსად ხატისა მის ძისა თჳსისა, რაჲთა იყოს იგი პირმშო მრავალთა შორის ძმათა; ხოლო რომელნი-იგი წინაწარ განაჩინნა, მათცა უწოდა; და რომელთა-იგი უწოდა, იგინიცა განამართლნა; და რომელნი-იგი განამართლნა, იგინიცა ადიდნა“* (მუხ. 29, 30). წმინდა პავლე მოციქულის ეპისტოლეს ამ ადგილის სწორად აღქმისათვის, საღვთო წინასწარგანჩინების შესახებ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მოციქული საუბრობს არა უპირობო წინასწარგანჩინებაზე, როგორც ამას კალვინისტები ასწავლიან, არამედ ღმერთის ყოვლისმცოდნეობაზე დაფუძნებული წინასწარგანჩინების შესახებ. ეს არ ნიშნავს, რომ ღმერთმა, ადამიანთა ნების გარეშე, ზოგს ცხონება განუწესა, სხვებს – წარწყმედა, არამედ იმას, რომ მან, ყოვლისმცოდნეობით იცის, ადამიანთაგან ვინ გამოიყენებს თავის თავისუფალ ნებას სასიკეთოდ და ვინ – ბოროტებისთვის. სწორედ ამის მიხედვით განაჩინებს წინასწარ თითოეულის ხვედრს. შეგონების დასასრულს – ვიყოთ მტკიცენი ცხონების სასოებაში – წმინდა მოციქული ღაღადებს: *„ვინ განმაშორნეს ჩუენ სიყუარულსა მას ქრისტესსა...?“* (მუხ. 35) და აღფრთოვანებული აღიარებს თავის სიყვარულსა და ერთგულებას ქრისტე მაცხოვრის მიმართ; ამისკენ მოუწოდებს ყველა მორწმუნესაც (მუხ. 35-39).

სამ შემდგომ თავში – **მეცხრე, მეათე და მეთერთმეტეში** – წმინდა მოციქული გამოხატავს თავის „დიდ მწუხარებას“ და „მოუკლებელ სალმობას გულისას“ ქრისტე მაცხოვრის მიმართ იუდეველთა ჯიუტი ურწმუნოებისა და ქრისტეს ეკლესიისგან ღმერთის მიერ მათი განყენების გამო და ამტკიცებს, რომ თვით ისრაელია ამაში დამნაშავე, რადგან გამართლებას ეძებს არა ქრისტე მაცხოვრის სარწმუნოებაში, არამედ მო-

სეს რჯულის გარეგან წეს-ჩვეულებათა შესრულებაში. ამასთან, წმინდა მოციქული გამოთქვამს რწმენას, რომ ვინაიდან განდგომა არ ეხება ყველა იუდეველს, რამეთუ მათ შორის მორწმუნენიც არიან („ნეშტი" დარჩა – 11, 5), ამიტომ ეს განყენება მარადიული არ იქნება იუდაური ერისთვის: თავის დროზე იუდეველებიც ირწმუნებენ ქრისტეს და შევლენ მის ეკლესიაში. იუდეველების დროებით უარყოფაში, რაც მათ სავსებით დაიმსახურეს, წმინდა მოციქული ხედავს საღვთო სიბრძნის განსაკუთრებულ გამოვლინებას მთელი კაცობრიობის გადარჩენასთან დაკავშირებით. იუდეველების ფანატიზმმა, რაც ქრისტეს, როგორც მესიის ჯიუტად მიუღებლობაში გამოიხატა, პავლე მოციქული აიძულა წარმართებისთვის მიემართა ქრისტეს შესახებ ქადაგებით და, ამგვარად, იუდეველთა გულის გასასტიკებამ მოციქულის ქადაგებასთან მიმართებით, წარმართების ქრისტესკენ მოქცევა გამოიწვა (მუხ. 25). ქრისტეს სარწმუნოების წარმატება წარმართებს შორის და ის სულიერი სიკეთენი, რასაც ისინი იღებენ, იუდეველებში საბოლოოდ მოშურნეობას აღძრავს და შედეგად ***„ყოველი ისრაჱლი ცხონდეს"*** (11, 26). ამიტომ, წმინდა მოციქული მორწმუნე წარმართებს შეაგონებს, რომ ქედი არ აიმაღლონ იუდეველთა წინაშე ცოდვის მონობიდან თავიანთი გამოხსნით. ადარებს რა იუდაურ ერს ბაღის კეთილშობილ ზეთისხილის ხეს, რომელსაც ***„ურწმუნოებითა მათითა"*** მხოლოდ რტონი გარდატყდა, მაგრამ ძირი მისი მთელი და ***„წმიდა არს"***, იმავდროულად, პავლე მოციქული წარმართებს ადარებს ***„ველური ზეთის ხილს"***, დამყნობილს ზეთისხილის ხეზე ნაცვლად გარდამტყდარი რტოებისა: ***„ხოლო შენ ველური ზეთის ხილი იყავ და დაემყენ მათ ზედა და თანა-ზიარ ძირისა და სიპოხისა ზეთის ხილისა იქმენ, ნუ ექადი რტოთა მათ. ხოლო უკუეთუ ექადი, არა თუ შენ ძირი***

იგი გიტკრთავს, არამედ ძირსა მას – შენ“ (11, 17, 18). ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ *„...შემძლებელ არს ღმერთი კუალად დამყნად მათდა“* (მუხ. 23), რამეთუ *„...შენ ბუნებითისა მისგან მოეკუეთე ველურისა ზეთის ხილისა და გარეშე ბუნებისა დაემყენ კეთილსა ზეთის ხილსა, რავდენ უფროს იგინი ბუნებითსა მას დაემყნენ თჳსსავე მას ზეთის ხილსა!“* (11, 24).

საღვთო განგებულების სიდიადე, რომელსაც ბრძნულად მიჰყავს ყველა ერი გადასარჩენად ადამიანთათავის უხილავი ზემოქმედებით ერების ისტორიულ ბედზე, წმინდა მოციქულში აღფრთოვანებულ ღაღადისს იწვევს: *„ჰ სიღრმე სიმდიდრისა და სიბრძნისა და მეცნიერებისა ღვთისაჲ! ვითარ გამოუძიებელ არიან განკითხვანი მისნი და გამოუკულეველ არიან გზანი მისნი! რამეთუ ვინ ცნა გონებაჲ უფლისაჲ? ...მისა დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე. ამინ“* (11, 33-36). ამით მთავრდება სარწმუნოებრივი დოგმატური ნაწილი რომაელთა მიმართ ეპისტოლესი.

მეთორმეტე, მეცამეტე, მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე თავები (მე-13 მუხლის ჩათვლით), შეადგენენ ეპისტოლეს ზნეობით ნაწილს. აქ წმინდა მოციქული აღწერს ქრისტიანის ზნეობრივი ცხოვრების იდეალს. მეთორმეტე თავში იგი საუბრობს ქრისტიანის, როგორც ეკლესიის წევრის მოვალეობაზე ღმერთსა (მუხ. 1, 2) და მოყვასთან (მუხ. 3-5) დამოკიდებულებით; სხვადასხვა ზებუნებრივი ნიჭისა და ჩვეულებრივი მსახურების შესახებ; ქრისტიანის გრძნობასა და განწყობაზე (მუხ. 8-21). მეცამეტე თავში წმინდა მოციქული განიხილავს ქრისტიანის, როგორც სახელმწიფოს მოქალაქისა და საზოგადოების წევრის მოვალეობებს. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეგონება მთავრობისადმი დამორჩილების შესახებ: *„ყოველი სული ჯელმწიფებასა მას უმთავრესი-*

სასა დაემორჩილენ...“ (მუხ. 1). ამ შეგონების სწორად გაგებისათვის, გულისხმა უნდა ვყოთ იმ აზრისადმი, რომელსაც შეიცავს მე-3 და მე-4 მუხლები: ***„ღვთისა მიერ განწესებულ არიან“*** ის ხელისუფლებანი, რომლებიც ხელს უწყობენ სიკეთის ქმნას და სჯიან ბოროტებას. „ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, – *ამბობს ღირსი ისიდორე პელუსიელი,* – რომ თვით საქმე, ვგულისხმობ ხელისუფლებას, ანუ სამეფო მთავრობასა და ხელმწიფებას, დადგენილია ღმერთისგან, მაგრამ თუ რომელიმე ურჯულო ბოროტმოქმედი მიიტაცებს ამ ხელმწიფებას, მაშინ არ ვამტკიცებთ, რომ იგი ღმერთისგან არის დადგენილი, მაგრამ ვამბობთ, რომ დაშვებულია ამოანთხიოს მან ეს მზაკვრობა, როგორც ფარაონის შემთხვევაში, რათა დაისაჯონ ან განიბრძნონ ისინი, ვისთვისაც სისასტიკეა საჭირო, როგორც ბაბილონის მეფემ განაბრძო იუდეველები“ (ნაწ, II, წერილი მე-6). მეთოთხმეტე თავში და მეთხუთმეტე თავის პირველ 13 მუხლში წმინდა მოციქული იძლევა შეგონებას, როგორ უნდა მოვეპყრათ სარწმუნოებაში ჯერ კიდევ უძლურებს, რადგან ამასთან დაკავშირებით რომის ეკლესიაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. წარმართობისგან მოქცეული რომაელი ქრისტიანების უმრავლესობა იქადდა თავისი ქრისტიანული თავისუფლებით იმასთან დაკავშირებით, რომ განურჩევლად იღებდა ყოველგვარ საჭმელსა და სასმელს, რამეთუ ქრისტიანული სარწმუნოება არ ავალდებულებდა რაიმე განსაკუთრებულ აკრძალვას საკვებთან მიმართებით, როგორც არ ავალდებულებდა დღეების განსხვავებას წლის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, იუდეველთაგან მოქცეულნი კვლავ მიიჩნევდნენ უწმინდურად საკვების ზოგიერთ სახეობას და ეშინოდათ მისგან არ შებილწულიყვნენ. ასევე, ყველასთვის სავალდებულოდ მიაჩნდათ ზოგიერთი ძველაღთქმისეული დღესასწაულის აღნიშვნა.

წმინდა პავლე მოციქული მოუწოდებს შეწყვიტონ კამათი და განხეთქილება ყოველივე ამის ნიადაგზე, რამეთუ სარწმუნოებაში მართებულია უძლურების მიმართ სულგრძელობის გამოჩენა, ხოლო კერძო აზრები და შეხედულებები უნდა მიენდოს თითოეულის სინდისს. მთავარია, არ განიკითხონ და გაკიცხონ ერთმანეთი და საცდურის მიზეზი არ მისცენ ერთიმეორეს. ქრისტიანისთვის ყოველივე წმინდაა, მაგრამ თუ შენი ძმა ბრკოლდება, მაშინ სჯობს არ ჭამო ხორცი და არ სვა ღვინო, რათა არ დააბრკოლა ძმა შენი (მუხ. 14, 1-21). მეცამეტე თავის მე-12–მე-14 და მეთოთხმეტე თავის 1-4 მუხლები, იკითხება საღვთო ლიტურგიაზე დიდმარხვის წინ ყველიერის კვირაში და აჩვენებს, როგორი განწყობით უნდა შეუდგეს ქრისტიანი დიდმარხვის ღვაწლს.

ეპისტოლეს დასკვნით ნაწილში (15, 14–16) წმინდა მოციქული გვიცხადებს იმ მიზეზს, რის გამოც მიმართავს იგი რომაელებს თავისი ეპისტოლეთი, აგრეთვე რეკომენდაციას უწევს მათ წინაშე კენქრის ეკლესიის დედათდიაკვან ფიბეს და გადასცემს მთელ რიგ კერძო მისალმებას რომში მცხოვრებ ქრისტიანებს.

პირველი ეპისტოლე კორინთოელთა მიმართ

კორინთოს ეკლესიის დაარსება. *კორინთო მდებარეობს სრუტეზე, რომელიც საბერძნეთს მორასთან, ანუ პელოპონესთან აერთებს.* ის აშენდა ათას ხუთასი წლით ადრე ქრისტეს ხორციელ შობამდე. 44 წელს იულიუს კეისრის დროს კორინთო ნანგრევებიდან აღადგინეს და ის ყველაზე მშვენიერი ქალაქი გახდა მთელ აქაიაში – რომის ერთ-ერთ პროვინციაში. სილამაზის გარდა, ქალაქი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მასში პროკონსულების რეზიდენცია მდებარეობდა. ის სახელგანთქმული იყო, აგრეთვე, მეცნიერებით, ხელოვნებითა და მხიარული ცხოვრებით, რაც მასში მოსახლეობის სიმრავლეს იწვევდა. ქალაქში იმართებოდა ეგრეთ წოდებული „ისტმიის თამაშობანი";* მის განსაკუთრებულ ღირსშესანიშნაობას აფროდიტას ტაძარი წარმოადგენდა. შეიძლება ითქვას, რომ სამოციქულო ქადაგების პერიოდში კორინთო იყო ბერძნული მსუბუქაზროვნების, ქარაფშუტობისა და ხორციელი ვნებების დასაკმაყოფილებელი ადგილი.

კორინთოში ეკლესია დაახლოებით 53 წელს დააარსა სახარების საქადაგებლად მეორედ გამგზავრებულმა წმინდა პავლე მოციქულმა, მას შემდეგ, რაც მან ქადაგებით გაიარა ფილიპე, თესალონიკე, ბერია და ათენი. დატოვა რა მაკედონიაში სარწმუნოების განსამტკიცებლად თავისი მოწაფენი შილა და ტიმოთე, წმინდა პავლემ გეზი საბერძნეთისკენ აიღო, როგორც ამის შესახებ წიგნი „საქმე მოციქულთა" მოგვითხრობს (18, 1). კორინთოში წმინდა მოციქული შეხვდა კეთილ და სტუმართ-

* გარკვეული სახის სპორტული შეჯიბრებები

მოყვარე პონტოელ იუდეველებს – აკვილასა და პრისკილას, რომლებიც ადრე რომში ცხოვრობდნენ, მაგრამ როდესაც იმპერატორმა კლავდიოსმა იქიდან ყველა იუდეველი გააძევა, ისინი კორინთოში გადასახლდნენ. აკვილას საქმიანობა კარვების დამზადება იყო, ხოლო ვინაიდან წმინდა პავლემ ეს ხელობა კარგად იცოდა, ამიტომ ის მათთან დაბინავდა, რათა ერთად ეშრომათ და სარჩო საკუთარი შრომით მოეპოვებინა. თუკი აკვილა და პრისკილა მანამდე მონათლულნი არ ყოფილან, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი პავლე მოციქულმა მოაქცია, მანვე მონათლა და ამის შემდეგ, ორივენი მისი თანამუშაკნი გახდნენ სახარების ქადაგებისა და გავრცელების საქმეში.

ყოველ შაბათს წმინდა მოციქული ქადაგებდა იუდეველთა სინაგოგაში, არწმუნებდა იუდეველებსა და ელინ პროზელიტებს, რომ არ არსებობს ცხონების სხვა გზა, თუ არა უფალ იესო ქრისტეს მიერი. როდესაც მაკედონიიდან შილა და ტიმოთე მოვიდნენ, წმინდა პავლეს შესაძლებლობა მიეცა, გაეძლიერებინა და გაეფართოებინა თავისი ქადაგებითი მოღვაწეობა: ახლა უკვე შაბათის გარდა, კვირის სხვა დღეებშიც ქადაგებდა. თუმცაღა ამ ქადაგებას იუდეველებში დიდი წარმატება არ მოჰყოლია. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ მოციქულს, ბოროტსიტყვაობდნენ როგორც მისი, ისევე, მის მიერ ქადაგებული უფლის გზის მიმართ. მაშინ წმინდა პავლემ დატოვა სინაგოგა იუდეველებისათვის გასაგები მოქმედებითა და სიტყვით: ***განიყარა*** (დაიბერტყა) მტვერი თავისი სამოსელიდან და უთხრა მათ: ***„სისხლი თქუენი თავთა ზედა თქუენთა! უბრალომცა ვარ მე! ამიერითგან წარმართთა მიმართ მივიდე“*** (საქმ. 18, 6). ამ სიტყვების აზრი შემდეგია: „თქვენს წარწყმედაში ბრალი თავად მიგიძღვით: მე წმინდა ვარ ამ საქმეში. მე თქვენ ხსნის გზას გიჩვენებდით, თქვენ კი მისი მიღება არ გსურთ. მაშ, დარჩით თქვენ მიერვე არჩეულ წარსაწყმედელში“.

შემდგომი ქრისტიანული შეკრებების მოწყობა, ქრისტეს შესახებ ქადაგებით, წმინდა პავლემ დაიწყო სინაგოგასთან იქვე ახლოს ვინმე ტიტოსის, იოსტოისის ძის სახლში, რომელიც ჭეშმარიტი ღვთისმსახური იყო. იქვე იკრიბებოდნენ წარმართებიც და სახარების ქადაგების საქმე უკეთ წარიმართა: მრავალმა ირწმუნა და მოინათლა. მოქცეულთა შორის იყო თვით სინაგოგის მთავარიც კრისპოსი, ***ყოვლითურთ სახლეულით მისით*** (საქმ. 18, 8). და მაინც, როგორც ჩანს, ქადაგებამ დიდ წარმატებას ვერ მიაღწია და წმინდა პავლემ საერთოდ გადაწყვიტა გარყვნილი კორინთოს დატოვება, სადაც მისი სიცოცხლის ხელყოფაც კი განიზრახეს **(2 თეს. 3, 2).** ამიტომ თავად უფალი გამოეცხადა მას ღამის ხილვაში, რათა გაემხნევებინა და ძალა შეემატა მისთვის კორინთოში შემდგომი მსახურებისათვის (**საქმ. 18, 9, 10**). ამ გამოცხადებით განმტკიცებული წმინდა მოციქული კორინთოში კიდევ წელიწად-ნახევარი დარჩა და ამ ხნის განმავლობაში მისმა ქადაგებამ იქ უხვი ნაყოფი გამოიღო, რამაც კორინთოს ეკლესიას უხვი სულიერი ნიჭის მქონე ეკლესიის სახელი შესძინა **(1 კორ. 1, 5-7).**

კორინთოს ეკლესიის მოწყობის შემდეგ, წმინდა პავლე მოციქული უკვე სხვა ადგილებს უნდა სწვეოდა სახარების საქადაგებლად. კორინთოდან მისი გამგზავრება დააჩქარა ერთმა სამწუხარო შემთხვევამ: მისი ქადაგებით გაღიზიანებულმა იუდეველებმა შეიპყრეს იგი და პროკონსულ გალიონის სამსჯავროზე მიიყვანეს იმ საჩივრით, რომ ის „***თჳნიერ სჯულისა ურჩ იქმს ესე კაცთა მსახურებად ღვთისა***“ (საქმ. 18, 13). ამ ბრალდების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ პავლე თითქოს გახდა რაღაც ახალი სექტის დამაარსებელი, რომელიც არ ჯდებოდა რომის იმპერიის კანონებით ნებადართული რჯულაღმსარებლობის ჩარჩოებში. ფრიად განათლებული და

კეთილშობილი გალიონი, ცნობილი რომაელი ფილოსოფოსის სენეკას ძმა და პოეტ ლუკანას ბიძა იყო. მან უარი თქვა, გამოეკვლია საქმე, რომელიც სარწმუნოებას ეხებოდა და არა სამოქალაქო საკითხს და იუდეველები სასამართლოდან გააძევა. ელინებმა, რომლებსაც იუდეველები სძაგდათ, გალიონის ასეთი გადაწყვეტილების შემდეგ იქვე სასამართლო დარბაზში მიიტანეს მათზე იერიში, შეიპყრეს შფოთის მოთავე სოსთენი, სინაგოგის მთავარი ***„და სცემდეს საყდარსა წინაშე; და არარას ზრუნვიდა ამათგანსა გალიონ“*** (საქმ. 18, 14-17). შესაძლოა, ამის შემდეგ სოსფენი ქრისტესკენ მოქცეულიყო და სწორედ მას მოიხსენიებდეს მოციქული კორინთოელთა მიმართ თავის ეპისტოლეში (**1 კორ. 1, 1**).

ეჭვგარეშეა, რომ განსაკუთრებული საღვთო განგებით გამოჩნდა კორინთოში პავლეს საქმის გასაგრძელებლად ვინმე იუდეველი, სახელად – აპოლო. იგი დაიბადა და აღიზარდა ალექსანდრიაში, საიდანაც ჯერ ეფესოში ჩავიდა, შემდეგ – კორინთოში. ყამთააღმწერელის სიტყვებით, ის იყო მჭერმეტყველი და წმინდა წერილში გაცნობიერებული ადამიანი **(საქმ. 18, 24).** კორინთოდან წმინდა პავლე გემით გაემგზავრა ეფესოში, იქ მან მცირე ხანს დაჰყო, ადგილზე დატოვა აკვილა და პრისკილა, თავად კი ჯერ იერუსალიმში ავიდა, მერე კი – ანტიოქიაში, საიდანაც დაიწყო თავისი მესამე სამოციქულო მოგზაურობა. ეფესოდან მისი გამგზავრების შემდეგ, იქ ჩავიდა აპოლო, რომელიც უკვე ქრისტიანი იყო და სულანთებული, მაგრამ იცოდა მხოლოდ იოანეს ნათლისღება. მან გაბედულად დაიწყო სინაგოგაში ქადაგება. ***„ესმა მისი აკვლას და პრისკილას და მოიყვანეს იგი და უჭეშმარიტესად-რე უთხრეს მას გზაჲ იგი უფლისაჲ“*** (საქმ. 18, 26). როდესაც მას აქაიაში გამგზავრება დასჭირდა, რომლის დედაქალაქიც იმ დროს კორინთო იყო, ეფესელმა

მორწმუნეებმა მას სარეკომენდაციო წერილი მისცეს იქაურ ქრისტიანებთან. კორინთოში ის ფრიად შეეწია მორწმუნეებს, საჯაროდ ეპაექრებოდა იუდეველებს და ***„უჩუენებდა წიგნთაგან, ვითარმედ არს ქრისტე იესუ“*** (საქმ. 18, 27, 28). აპოლოს ქადაგება კორინთოში ქრისტიანობის განსამტკიცებლად იმდენად დიდი მნიშვნელობისა იყო, რომ წმინდა პავლე მოციქული მას უწოდებს თავის მიერ ქრისტიანული სარწმუნოების დანერგილი თესლის მომრწყველს: ***„მე დავასხ, აპოლომ მორწყო, ხოლო ღმერთმან ააღორძინა“*** (1 კორ. 3, 6). რამდენად დიდხანს დაჰყო აპოლომ კორინთოში, ცნობილი არ არის, მაგრამ კორინთოელთა მიმართ პირველი ეპისტოლეს დაწერის დროს, ჩვენ მას კვლავ ეფესოში ვხედავთ მოციქულთან ერთად **(1 კორ. 16, 12).**

ეპისტოლეს დაწერის მიზეზი. აპოლოს კორინთოში ყოფნის დროს, მას შემდეგ რაც წმინდა პავლემ შეასრულა თავის მიერ დასახული გეგმა – იერუსალიმში პასექის დღესასწაულს დასწრებოდა, მან დაიწყო თავისი მესამე სამოციქულო მოგზაურობა ანტიოქიიდან ***„მიმოვიდოდა შემდგომითი-შემდგომად გალატელთა სოფელსა და ფრიგუაესსა“*** (საქმ. 18, 22, 23) და ჩავიდა ეფესოში ქრისტეს ეკლესიის დასაარსებლად **(საქმ. 19, 1).** აქ მის ყურამდე მიაღწია არასასიამოვნო ხმებმა მის მიერ დატოვებული კორინთოს ეკლესიასთან დაკავშირებით, რის გამოც დააპირა დაბრუნებულიყო კორინთოში ზღვით, პირდაპირ ეფესოდან **(2 კორ. 1, 15, 16),** მაგრამ ეფესოს დატოვება საბოლოოდ მაინც ვერ გადაწყვიტა და თავის ნაცვლად საყვარელი მოწაფე, ტიმოთე წარგზავნა, რომელსაც დაავალა, ჯერ მაკედონია გაევლო და შემდეგ მოეხსენებინა მისთვის ყოველივე, რაც კორინთოს ეკლესიაში ხდებოდა. იმავდროულად, არასასიამოვნო

ხმები კორინთოს ეკლესიის შესახებ, კიდევ უფრო მატულობდა: თითქოს, ერთ-ერთი კორინთოელი ქრისტიანი ისეთი სახის სიძვას კადრულობდა, რომელიც წარმართებთანაც კი დაუშვებლად მიიჩნეოდა (**1 კორ. 5, 1**). შემდგომ ეფესოში მოვიდნენ ერთ-ერთი ქრისტიანი დედაკაცის, ქლოვეს სახლეულნი, რომლებმაც მოციქულს დაუდასტურეს არსებული ხმები და ამასთანვე უამბეს მას ბევრი სხვა უკეთური საქმეების შესახებ, რაც კორინთოელ ქრისტიანებში ხდებოდა. განსაკუთრებით დაამწუხრა მოციქული იქ წარმოებულმა სხვადასხვა სახის რელიგიურმა დავამ და პაექრობამ (**1 კორ. 1, 11, 12**). ისეთი შეხედულება იქმნებოდა, რომ კორინთოში წარმოიშვა სხვადასხვა სახის რელიგიური პარტიები თუ სექტები. წმინდა პავლესთან კორინთოს ეკლესიიდან წარმოგზავნილმა სტეფანემ, ფურტონატემ და აქაიკემ რამდენადმე დაამშვიდეს მოციქულის სული (**1 კორ. 16, 17**), თუმცა მაინც დადასტურდა ეკლესიის მოწყობასთან დაკავშირებული მრავალი დარღვევის არსებობა. წარმოგზავნილებმა დაადასტურეს ხმები სიძვისა და ერთმანეთში უთანხმოების შესახებ და სხვა ამბებიც მოიტანეს: ქრისტიანებს შორის წარმოებული სადავო საკითხების წარმართულ სასამართლოებში განხილვა, უწესრიგობები სიყვარულის სერობებზე, დედაკაცების თავდაუბურავობა ეკლესიებში, ზოგიერთების მხრიდან მკვდრეთით აღდგომის ურწმუნოება. მოციქულს, ასევე, საგანგებო ეპისტოლეში ეკითხებოდნენ ქორწინებისა და ქალწულობის შესახებ, კერპებისათვის შეწირულის ჭამასთან დაკავშირებით, ენების ნიჭთან მიმართებით და ასე შემდეგ. ამის გამო პავლე მოციქულმა გადაწყვიტა, გაეგზავნა კორინთოში ეპისტოლე, რათა აღმოეფხვრა ყოველგვარი მოუწყობლობა და გაეცა პასუხები მათთვის გაურკვეველ საკითხებზე. ამასთან, აღუთქვა, რომ პირადადაც ეწვეოდა (**1**

კორ. 4, 19–21). ეპისტოლეს დაწერის დამატებითი მიზეზი, როგორც ეს 1 კორ. 16, 1-დან ჩანს, იყო ის, რომ შეეგროვებინათ იქ ფულადი შესაწირი პალესტინელი ქრისტიანების დასახმარებლად.

ეპისტოლეს დაწერის დრო და დგილი. როგორც ეს ნათლად ჩანს თვით ეპისტოლედან, ის დაწერილია ეფესოში. ***„არა მნებავს აწ მგზავრ ხილვაჲ თქუენი; ხოლო ვესავ რაოდენისამე ჟამისა დაყოფასა თქუენ თანა, უფალმან თუ გჳბრძანოს. ხოლო დავადგრე ეფესოს შინა ვიდრე მარტჳლიადმდე“*** (1 კორ. 16, 7, 8). წმინდა პავლე წერს, რომ მან კორინთოში წარგზავნა წმინდა ტიმოთე **(1 კორ. 16, 7, 8),** ხოლო „საქმეებში“ ჩვენ ვხედავთ, რომ მან იგი ეფესოდან მაშინ წარგზავნა, როდესაც თავად იქიდან წასვლას აპირებდა **(საქმ. 19, 21, 22).** წლების მიხედვით ეს არის – 58 ან 59.

ეპისტოლეს შინარსი და შემადგენლობა. მისი შინაარსი, როგორც ამას დაწერის მიზეზი მოითხოვდა, საკმაოდ მრავალგვაროვანია: ის ბევრ საკითხს ეხება და იძლევა ამომწურავ პასუხებს იმ კითხვებზე, რომლებსაც კორინთოელები აყენებენ. ეპისტოლე 16 თავისგან შედგება. იწყება ჩვეულებრივი ზედწარწერით და მისალმებით, მთავრდება, ასევე, მოკითხვების გადაცემით.

ეპისტოლეს ეგზეგეტიკური მიმოხილვა. წმინდა პავლე მოციქულის ეს ეპისტოლე მისი სხვა ეპისტოლეებიდან გამოირჩევა მასში წამოჭრილი საკითხების განსაკუთრებული მრავალგვაროვნებით. იგი ჩვენ მიერ აქამდე განხილული რომაელთა მიმართ ეპისტოლესგან იმით განსხვავდება, რომ აქ

წმინდა პავლეს საქმის დაჭერა უწევს არა მხოლოდ იუდაურ ცდომილებებთან, არამედ ბერძნულ კულტურასთან, ბერძნულ მგრძნობიარობასთან, ელინიზმთან, რომელიც ისეთ ფილოსოფიას ეყრდნობა, რომლისთვისაც უცხო არ არის ღრმა წვდომა ცხოვრების სულიერ-ზნეობრივ სფეროში.

ეპისტოლე იწყება ჩვეულებრივი ზედწარწერითა და მისალმებით. თავისთან ერთად, წმინდა პავლე მდაბლად მოიხსენიებს ასევე „ძმას სოსთენეს". *ნეტარი თეოდორიტე* და *წმინდა დიმიტრი როსტოველი* ვარაუდობენ, რომ ეს სოსთენე იყო კორინთოს სინაგოგის ის მთავარი, რომელიც სცემეს იქ პავლე მოციქულის წინააღმდეგ მოწყობილი ამბოხის დროს **(საქმ. 18, 17).** ასეთივე აზრისაა ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებულიც, რომელიც ამბობს, რომ ეს ცემა დაკავშირებული იყო წმინდა პავლეს ქადაგებასთან.

ეპისტოლეს მთელი შემდგომი შინაარსი ორი ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილი, 1-6 თავები უპირატესად შეიცავს მხილებას, ხოლო მეორე ნაწილი – 7-15 თავები უმთავრესად შეგონების შემცველია, დაბოლოს, უკანასკნელი მე-16 თავი წარმოადგენს დასკვნას, სადაც წმინდა მოციქული გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას მოწყალების შეგროვებასთან დაკავშირებით პალესტინელი ქრისტიანებისათვის; ყვება, აგრეთვე, თავის მოგზაურობაზე გზად კორინთოსკენ და ჩვეულებისამებრ გადასცემს მოკითხვებს.

1-4 თავებში წმინდა მოციქული ამხელს კორინთოელებს ურთიერთშორის დავისა და განხეთქილების გამო. თავიდან იგი აქებს მათ სარწმუნოებას, გამოთქვამს რწმენას, რომ უფალი განამტკიცებს მათ ამ სარწმუნოებაში ***„დაგამტკიცნეს თქუენ ვიდრე აღსასრულადმდე უბრალონი დღესა მას უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა"*** (1, 8), ხოლო მე-10 მუხლიდან იწყებს თავის მამხილებელ სიტყვას. წმინდა პავლე

მოციქულის შემდეგ კორინთოში ქადაგებდა მისი მოწაფე აპოლო; იქ ჩავიდნენ, ასევე, პავლე მოციქულის მიერ მოქცეული ქრისტიანები, იყვნენ იქვე პალესტინელი ქრისტიანებიც, რომლებსაც თვით უფალ იესო ქრისტეს ქადაგება ჰქონდათ მოსმენილი. იყვნენ რა მიდრეკილნი პარტიული დაჯგუფებებისაკენ და ემხრობოდნენ, როგორც ჩანს, ჯერაც წარმართულ შეხედულებას სახარების მქადაგებლებზე, როგორც ფილოსოფოსებზე, რომლებიც თითოეული საკუთარ სკოლას აარსებდა, კორინთოელებმა დაიწყეს პარტიებად დაყოფა სახარების მოძღვრების მქადაგებელთა სახელების მიხედვით და თავის თავს უწოდებდნენ: ***„მე – აპოლოგესი, ხოლო მე – კეფაგესი, ხოლო მე – ქრისტესი“.*** თავიდან ამ დაყოფის საფუძველში იდო, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ ამა თუ იმ მქადაგებლისადმი სიყვარულით მიჯაჭვულობის კეთილი გრძნობა, მაგრამ შემდგომში ასეთ დაყოფას შეიძლება სახიფათო შედეგი გამოეწვია თვით სარწმუნოების სიწმინდისათვის; რაც შეეხება ზნეობრივ საკითხს, ასეთ დაყოფას უკვე გამოეწვია მრავალი არაკეთილი გამოვლინება კორინთოელ ქრისტიანთა საზოგადოებაში, რასაც, სწორედ, ამხელს წმინდა მოციქული თავის ეპისტოლეში.

რადგან ეს დაყოფა აღმოჩნდა ამოსავალი წერტილი ზნეობრივი ცხოვრების დაცემის და ყოველივე მოუწყობლობისა, ამიტომ წმინდა მოციქული განსაკუთრებული ძალისხმევითა და ენერგიით ამხელს მას პირველ ოთხ თავში. იმის გამო, რომ ცალკეული პარტიების ხელმძღვანელები, წარმართ ფილოსოფოსთა მსგავსად, ბრბოზე ზემოქმედებდნენ მჭევრმეტყველებითა და ფილოსოფიური მსჯელობებით, წმინდა პავლე პირველ თავში განასხვავებს სახარების ქადაგების თვისებას საერო სიბრძნესთან – ფილოსოფიასთან მიმართებით. წარმართებს, რომლებსაც თავიანთი სწავლულობით თავი მოჰქონ-

დათ, ჯვრის შესახებ ქადაგება ძალზე უბრალო ეჩვენებოდათ და უგუნურობადაც კი მიაჩნდათ, მაშინ, როდესაც, რწმენაში მოქცეულთათვის სიტყვა ჯვრის შესახებ – ეს არის ცხონების მბოძებელი ღვთაებრივი ძალა. იმ დროს, როდესაც საერო სიბრძნე (ფილოსოფია) მოსწყდა ღმერთს – სიბრძნის წყაროს და ცდილობდა დამოუკიდებლად გადაეწყვიტა ყველა ცხოვრებისელი ამოცანები, მაგრამ უძლური აღმოჩნდა ადამიანური ცხოვრების მოწყობაში, ამ დროს სახარებისეული ქადაგება, რომელიც ურწმუნოთათვის უგუნურება იყო, ადამიანებს ჭეშმარიტად აძლევს ყოველივე აუცილებელს, როგორც მათი მიწიერი ცხოვრების კეთილმოსაწყობად, ისევე, – რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, – მათი მარადიული ცხონებისათვის. ***„ვინაჲთგან ჰურიანიცა სასწაულსა ითხოვენ, და წარმართნი სიბრძნესა ეძიებენ. ხოლო ჩუენ ვქადაგებთ ქრისტესა ჯუარ-ცუმულსა: ჰურიათა სამე საცთურ, და წარმართთა სისულელე. ხოლო მათვე ჩინებულთა ჰურიათა და წარმართთა ქრისტე ღვთისა ძალ არს და ღვთისა სიბრძნე“*** (1, 22-24). აქ მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ***„სიბრძნედ“*** („სოფიოდ“), წმიდა წერილის სხვა ადგილებთან შესაბამისობაში, იწოდება სხვა არავინ, თუ არა ყოვლადწმიდა სამების მეორე პირი. შემდეგ, მოციქული ამბობს: ***„რამეთუ სულელი იგი ღვთისაჲ უბრძნეს კაცთა არს, და უძლური იგი ღვთისაჲ უძლიერეს კაცთა არს.“*** (1, 25), რაც იქიდან ჩანს, რომ ***„სულელნი იგი სოფლისანი გამოირჩინა ღმერთმან, რაჲთა არცხჳნოს ბრძენთა და უძლურნი იგი სოფლისანი გამოირჩინა ღმერთმან, რაჲთა არცხჳნოს ძლიერთა“*** (1, 27). ეს აშკარად გამოჩნდა იმით, რომ ღატაკნი, მდაბიონი და უსწავლელი მეთევზურნი, როგორებიც იყვნენ წმინდა მოციქულები და პირველქრისტიანთა უმრავლესობა, რომლებიც ასევე, უმთავრესად, საზოგადოების დაბალ და უსწავლელ ფე-

ნას წარმოადგენდნენ, სარწმუნოების სიმტკიცით და თავიანთი ქადაგებით არცხვენდნენ სწავლულებსა და ფილოსოფოსებს, მთელი წარმართული სიბრძნის შემარცხვენელებად მოგვევლინნენ და მთელი მსოფლიო ქრისტეს ჯვრის ფერხთით მიიყვანეს. „ყოველთა ღმერთმა, – *ამბობს ნეტარი თეოდორიტე,* – უსწავლელებით დაამარცხა სწავლულები, ღატაკებით – მდიდრები, და მეთევზეებით მთელი მსოფლიო მოინადირა". რისთვის იყო ეს საჭირო? „იმისათვის, რომ არც ერთ ხორციელს არ ექადა ღვთის წინაშე" (შდრ. 1, 29), – რათა დაემდაბლებინა ყოველგვარი ამპარტავნება და ქედმაღლობა; ეჩვენებინა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია გადავრჩეთ თავისთავად, რომ ქრისტიანობა – ეს არის ცხონება სიმდაბლის გზით.

ამავე აზრის დასამტკიცებლად, – სახარებისეული ქადაგების უბრალოების შესახებ, რომლისთვისაც უცხოა მჭევრმეტყველების ხიბლი და წარმართი ფილოსოფოსების გარეგნული სიბრძნე და ძლიერია მხოლოდ და მხოლოდ თვით ქადაგების საგნით, ჭეშმარიტებით, – წმინდა მოციქული მეორე თავში იხსენებს, თუ როგორ გაიარა მან კორინთო თავმდაბლად და უბრალო სიტყვით ჯვარცმულის შესახებ, რათა კორინთოელთა სარწმუნოებაში მოსვლა არაფრით ყოფილიყო დამოკიდებული ადამიანურ სიბრძნეზე, არამედ მხოლოდ ღმერთზე: ***„სიტყუაჲ ჩემი და ქადაგებაჲ ჩემი არა რწმუნებითა კაცობრივისა სიბრძნისა სიტყუათაჲთა, არამედ გამოცხადებითა სულისაჲთა და ძალითა"*** (2, 4), ***„რაჲთა სარწმუნოებაჲ ეგე თქუენი არა იყოს სიბრძნითა კაცთაჲთა, არამედ ძალითა ღვთისაჲთა"*** (2, 5). სარწმუნოებაში შედარებით უფრო სრულყოფილთათავის შემდგომში ცხადდება ჭეშმარიტი სიბრძნის შემეცნება – საღვთო სიბრძნის, რომელიც ყოველგვარ ადამიანურ მეცნიერებას აღემატება და მიუწვდომელია ამა ქვეყნის ბრძენთათვის. ***„არამედ ვიტყჳთ***

სიბრძნესა ღვთისასა, საიდუმლოდ დაფარულსა მას, რომელი-იგი პირველადვე განაჩინა ღმერთმან უწინარეს საუკუნეთა სადიდებელად ჩუენდა“ – ეს არის ჩვენი გამოხსნის მოწყობის სახე უფალ იესო ქრისტეს მიერ, მთელი თავისი დასაწყისით და გონებით მოუცველი შედეგებით, ქმნილებათა ყოფიერების ყველა სფეროში (2, 6-8). ***„რომელი თუალმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუჯდა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თჳსთა“*** (2, 9). ***„ხოლო ჩუენ ღმერთმან გამოგჳცხადა სულისა მიერ თჳსისა; რამეთუ სული ყოველსავე გამოეძიებს და სიღრმესაცა ღვთისასა.“*** (2, 10). ქადაგებენ რა ადამიანთა გამოხსნის სიბრძნის შემცველ საიდუმლოზე, მოციქულებს აქვთ ***„გონებაჲ ქრისტესი“***, ამიტომ მათი სწავლების მიღება მთელი სიღრმით შეუძლიათ მხოლოდ სულიერ ადამიანებს, ანუ სულიერ-ზნეობრივ ცხოვრებაში განმტკიცებულთ, რომლებიც სულიერად იშვნენ და უკვე ჭეშმარიტებას იღებენ არა მხოლოდ გონებით, არამედ, ასევე, გულით და ნებით, ანუ მთელი თავიანთი ძალებისა და შესაძლებლობების გამოვლინებით. „მშვინვიერი“ ადამიანი კი, ანუ, რომელსაც ჯერ კიდევ არ განუწმენდია სული ცოდვითი მიდრეკილებებისგან და ცხოვრობს არა სულიერად, არამედ სულის ქვენა თვისებებით, ***„არა შეიწყნარებს სულისა ღვთისაჲსა, რამეთუ სიცოფე უჩნნ მას, და ვერ შემძლებელ არს ცნობად, რამეთუ სულიერად განიკითხვინ“*** (2, 14).

მესამე თავის შინაარსი საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ კორინთოში პავლეს არყოფნისას მისი მოწინააღმდეგენი ცდილობდნენ მის წინააღმდეგ ქრისტიანთა ამხედრებას და მისი მოძღვრობის დაკნინებას. ისინი, როგორც ჩანს, მიუთითებდნენ, რომ სახარების სხვა მქადაგებლები, მაგალითად, პეტრე მოციქული და აპოლო უფრო სიღრმისეულად და მჭე-

ვრმეტყველურად ხსნიან ქრისტეს სწავლების ჭეშმარიტებას. პასუხობდა რა ამგვარ გამოხდომებს, წმინდა პავლე წერს: ***„მე, ძმანო, ვერ უძლე სიტყუად თქუენდა, ვითარცა სულიერთა, არამედ ვითარცა ჯორციელთა, ვითარცა ჩჩჯლთა ქრისტეს მიერ. სძე გასუ თქუენ და არა საჭმელი, რამეთუ არღა გეძლო, არამედ არცაღა აწ გიძლავს, რამეთუ წუთღა ჯორციელვე ხართ“***, რასაც აშკარად ამტკიცებს თქვენ შორის არსებული დავა, კამათი და პარტიებად დაყოფა სხვადასხვა მოძღვარ-მქადაგებელთა გამო. შემდეგ, წმინდა პავლე უხსნის, თუ როგორ უნდა აღიქვან მოციქულები: ისინი მხოლოდ მსახურნი არიან ღვთისა. ***„მსახურნი, რომელთაგან თქუენ გრწმენა“***. საფუძველი კი ქრისტეს მიერ ცხონებაა, რამეთუ ***„საფუძველი სხუაჲ ვერვის ჴელ-ეწიფების დადებად გარეშე მისსა, რომელი-იგი დადებულ არს, რომელ არს იესუ ქრისტე“*** (მუხ. 1-5, 11). ***„მე დავასხ,*** – ამბობს წმინდა პავლე მოციქული, – ***აპოლო მორწყო, ხოლო ღმერთმან აღაორძინა. აწ უკუე არცა დამსხმელი რაჲ არს, არცა მომრწყველი, არამედ აღმაორძინებელი ღმერთი. ხოლო დამსხმელი იგი და მომრწყველი ერთ არიან; და კაცადკაცადმან თჳსი სასყიდელი მიიღოს თჳსისაებრ შრომისა. რამეთუ ღვთისა თანაშემწენი ვართ; ღვთისა ნამუშაკევნი, ღვთისა აღშენებულნი ხართ“*** (მუხ. 6-9). ყოველი ასეთი აღმაშენებელ-მქადაგებლის შრომის ფასი საშინელ სამსჯავროზე გაირკვევა. საფუძველი ერთია – იესო ქრისტე, მაგრამ ამ საფუძველზე შეიძლება ააშენო სხვადასხვა ფასისა და სიმყარის მასალით: ოქროსგან, ვერცხლისგან, ძვირფასი ქვებისგან (***„ანთრაკთა პატიოსანთა“*** – ღვთის სიტყვის წმინდა, ჯანსაღი სწავლება) ან ხისგან, თივისგან, ლერწმისგან (სწავლება, რომელიც განზავებულია ადამიანური სიბრძნის გამონაგონით ან ცარიელი მჭევრმეტყველებით).

საშინელ სამსჯავროზე *„კაცად-კაცადისა იგი საქმე, ვითარ-რაჲ იყოს, ცეცხლმან გამოცადოს“* (მუხ. 12-14). *„რომლისა-იგი საქმე დაიწუეს, იზღვიოს; ხოლო იგი განერეს და ეგრეთ განერეს, ვითარცა ცეცხლისაგან“* (მუხ. 15). ნეტარი ავგუსტინეს მოსაზრებით, წმინდა პავლე მოციქულის ეს გამონათქვამი ეხება სწორედ ისეთ პირებს, რომლებსაც წმინდა პეტრე მოციქული „უსწავლელებსა და დაუმტკიცებლებს“ უწოდებს (**2 პეტ. 3, 16**). მოციქულის სიტყვების აზრის ეს დაფარულობა რომაელ-კათოლიკე ღვთისმეტყველებს საბაბს აძლევს, დაინახონ მათში თავიანთი ცრუდოგმატის დადასტურება, თითქოს, იმქვეყნად არსებობდეს განსაწმენდელი ცეცხლი, რომლითაც ცოდვილები სიკვდილის შემდეგ განიწმინდებიან. ამ სიტყვების სწორად გაგებას ხელს უწყობს სწორედ იმ ხანძრის ცეცხლთან შედარება, რომელმაც სახლი მოიცვა და რომელიც მოჰყავს წმინდა მოციქულს თავის სიტყვაში: „ირგვლივ ცეცხლია, მასში უნდა გააღწიო. რა ხდება ამ დროს? ზოგი ამ ცეცხლს გაირბენს თითქმის ალმოუდებელი, სხვები სხვადასხვა ხარისხის დამწვრობას მიიღებენ, ზოგიერთი კი ცეცხლშივე დარჩება. ამის მსგავსი დაემართებათ იმათ, ვისი სახლებიც (საქმეები) სამსჯავროს ცეცხლში დაიწვება. ერთნი ცეცხლში დაიწვებიან, მეორენი სხვადასხვა ხარისხის სასჯელს მიიღებენ, ხოლო ზოგიერთები შეიწყალებიან კიდეც; და, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ისინი დამნაშავენი არიან იმაში, რომ არამყარი მასალით აგებდნენ, მათი დანაშაული შეიძლება, სხვადასხვა ხარისხის აღმოჩნდეს. ზოგი შეიძლება, ბრალის გარეშეა დამნაშავე: იღვწოდა არამყარ მშენებლობაზე, რადგან არ იცოდა შენების უკეთესი ხერხი, ანდა გარემოებიდან გამომდინარე, ვერ მოასწრო უკეთესისთვის მოეკიდა ხელი, ან სხვა რამე მიზეზით იმსახურებს მიტევებას“ *(წმინდა თეოფანე დაყუ-*

დებული). შეიძლება, თავად სამწყსო იყოს დამნაშავე, რომ დამპალი მასალა გამოდგა, – მაშინ მწყემსი გადაურჩება სასჯელს, მოუსყიდველ საღვთო სამსჯავროზე მისი ცხოვრების მკაცრი გამოკვლევის შემდეგ (ესე იგი, გადარჩება ისე, თითქოს ცეცხლიდან გამოეღწიოს).

მოძღვარ-მქადაგებლებს უნდა ახსოვდეთ, რომ თითოეული ქრისტიანი ღვთის ტაძარია, რამეთუ მასში საიდუმლოს გზით მიღებული სულიწმიდა მკვიდრობს: ***„არა უწყითა, რამეთუ ტაძარნი ღვთისანი ხართ, და სული ღვთისაჲ დამკჳდრებულ არს თქუენ შორის?“*** (მუხ. 16). ამიტომ დიდი სიფრთხილითა და წინდახედულობით უნდა აშენონ ქრისტეს ეკლესიის შენობა. ადამიანურ ამაოდბრძნობას შეუძლია, მოაოხროს ეს ტაძარი, რადგან ***„რამეთუ სიბრძნე ამის სოფლისაჲ სიცოფე არს წინაშე ღვთისა“*** (მუხ. 19). ***„ხოლო თქუენ – ქრისტესნი“*** ხართ (მუხ. 23), ანუ, როგორც კი იწამეთ ქრისტე და მისი ეკლესიის წევრნი გახდით, მას შემდეგ ერთადერთ ქრისტეს ეკუთვნით, ამიტომ, ნუთუ, შეგეფერებათ თქვენ დაყოფა პავლეს, აპოლოს, კეფას ან სხვა მასწავლებელთა გამო?

მეოთხე თავში წმინდა მოციქული მიუთითებს, რომ მოციქულების ღირსებათა ერთმანეთთან შედარებითა და შეფასებით კორინთოელებმა მსაჯულების როლი იკისრეს და ამით გამოავლინეს მთავარი ქრისტიანული სათნოების – სიმდაბლის უკმარისობა. ამაყობდნენ რა თავიანთი სულიერი ცნობიერებით, კორინთოელებმა დაივიწყეს, რომ თუკი მათ მართლაც აქვთ რაიმე ფასეული, ეს მათ მოციქულებისგან მიიღეს, რომელთა შესახებაც მსჯელობა შეიძლება მხოლოდ მათი ერთგულების ხარისხის მიხედვით მათთვის რწმუნებული ქადაგების საქმისადმი, და არა ბუნებრივ ნიჭზე დამოკიდებული რაიმე გარეგნული ხარისხით (როგორც მსჯელობდნენ წარ-

მართი რიტორებისა და ფილოსოფოსების შესახებ). კორინთოელების შეგონებისა და მათში ყველა მოციქულის მიმართ (როგორც მათი სიკეთისთვის მოღვაწეთა მიმართ) ერთნაირი პატივისცემისა და მადლიერების აღსაძვრელად, წმინდა მოციქული მათ მდგომარეობას საკუთარ მდგომარეობასთან ადარებს. ჯერ სარწმუნოების ნაყოფიც არ დაგიგემოვნებიათო, – თითქოს ასე ეუბნება, – თქვენ კი უკვე ***„აწვე განმაძღარ ხართ და აწვე განჰმდიდრდით და თჳნიერ ჩუენსა სუფევდით!“*** (მუხ. 8). „ჩვენ ჯერ კიდევ გაჭირვებაში ვართ, ქადაგების გამო სატანჯველებს განვიცდით, თქვენ კი უკვე სასუფევლითაც დატკბით“ *(წმინდა თეოდორიტე).* „თავი ისე გიჭირავთ, თითქოს, უკვე დიდების სასუფეველი დამკვიდრებულიყოს, გვირგვინები დარიგებულიყოს, ნეტარი მხიარულება დამდგარიყოს, მაგრამ ეს როგორ, ჩვენ გარეშე? ჩვენ ვშრომობთ, ყოველგვარ ნაკლულევანებას ვითმენთ, თქვენ კი თითქოს უკვე სასუფეველში შესულიყოთ“ *(ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული).* მოციქული წარმოაჩენს ყველა იმ მწუხარებისა და სიდუხჭირის სურათს, რასაც სახარებისეული სწავლების მქადაგებლები განიცდიან: ***„ღმერთმან ჩუენ მოციქულნი უკანაესკნელად გამოგუაჩინნა ვითარცა სასიკუდინენი, რამეთუ სახილველ ვიქმნენით სოფლისა და ანგელოზთა და კაცთა. ჩუენ სულელ ქრისტესთჳს, ხოლო თქუენ ბრძენ ქრისტეს მიერ; ჩუენ უძლურ, ხოლო თქუენ ძლიერ; თქუენ დიდებულ, ხოლო ჩუენ გინებულ“*** (მუხ. 9, 10). ეს ურთიერთწინააღმდეგობა უნდა გავიგოთ მამხილებელი ირონიის აზრით. თუმცა ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული ამას სხვაგვარად განმარტავს: „მოციქულების შრომა და ნაკლულევანება მათ დიდებასა და პატივს ემსახურება და სარწმუნოებაში განამტკიცებს იმათ, ვინც მათი ქადაგების მეშვეობით იწამა“. თავის მხილებას წმინდა მოციქული

ამთავრებს რწმენით, რომ იგი ამას აკეთებს ***„არა საკდემელად“*** მათდა,* არამედ შესაგონებლად, ***„ვითარცა შვილთა საყუარელთა“*** მისთა: ***„არა საკდემელად თქუენდა მივსწერ ამას, არამედ ვითარცა შვილთა ჩემთა საყუარელთა გასწავებ. რამეთუ დაღათუ ბევრ მზარდულ გესხნენ ქრისტეს მიერ, არამედ არა მრავალ მამა, რამეთუ ქრისტე იესუას მიერ სახარებისა მისგან მე გშვენ თქუენ. გლოცავ თქუენ: მობაძავ ჩემდა იყვენით“*** (მუხ. 14-16).

ფრიად მნიშვნელოვანი ადგილია! წმინდა მოციქული ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ კორინთოელებს ***„ბევრ მზარდულ“*** ჰყავთ,** მაგრამ ***„არა მრავალ მამა“*** და რომ მან შვა ისინი ***„ქრისტე იესუას მიერ სახარებისა მისგან“***, ესე იგი, მათ სულიერ მამას წარმოადგენს. თვით წმინდა პავლე მოციქული უწოდებს თავის თავს ქრისტიანობაში მის მიერ მოქცეულთა ***მამას***, სექტანტები კი, ამ დროს, უსაფუძვლოდ ეყრდნობიან რა უფალ იესო ქრისტეს სიტყვებს მათეს სახარებიდან (23, 9), რომლებიც მხოლოდ მოციქულებს მიემართებათ, მართლმადიდებელ მწყემსებს უკრძალავენ თავიანთ თავს მორწმუნეთა მამები უწოდონ. კორინთოელთა შესაგონებლად წმინდა მოციქული უგზავნის მათ თავის მოწაფეს – ტიმოთეს და აღუთქვამს, რომ მალე თვითონაც მივა იქ. წმინდა პავლე მოციქულის მოწინააღმდეგენი ავრცელებდნენ ხმებს, თითქოს, იგი თავის მოწინააღმდეგებთან შეხვედრის შიშით (იმის გამო, რომ თითქოს ისინი მასზე უფრო ძლიერნი იყვნენ სიტყვაში), უკვე ოთხი წელია, კორინთოში ვერ ჩადის. მოციქული აღუთქვამს, რომ კორინთოში ჩასვლისას გამოცდის ***„არა სიტყუაჲ იგი განლაღებულთაჲ მათ, არამედ ძალი,***

* არა შესარცხვენელად

** ბევრი დამრიგებელი ჰყავთ

რამეთუ არა სიტყვთა არს სასუფეველი ღვთისაჲ, არამედ ძალითა“ (მუხ. 17-20), ანუ ცხოვრებითა და საქმით.

მეხუთე და მეექვსე თავები შეიცავს ზნეობრივ ნაკლოვანებათა მხილებებს.

მთელი **მეხუთე თავი** მიმართულია სისხლაღმრევი მეძავისადმი, რომელმაც ცოლად მოიყვანა თავისი ***მამის ცოლი,*** – უნდა ვივარაუდოთ, რომ თავისი დედინაცვალი. წმინდა პავლე საყვედურობს კორინთოელებს, ***„განლაღებულთ ხართ და არა უფროჲსად იგლოვეთ“,*** რაც ნიშნავს, რომ არ უნდა შეჰქმნოდათ კორინთოელებს საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა, როცა მათ შორის მსგავსი სისაძაგლეები ხდებოდა. შემდგომი ცდუნების თავიდან ასაცილებლად, წმინდა მოციქული მოუწოდებს, რომ მის ჩასვლამდე მისცენ დამნაშავე ***„ეშმაკსა სატანჯველად ჯორცითა, რაჲთა სული ცხონდეს დღესა მას უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“*** (მუხ. 1-5). ეს არა მხოლოდ ეკლესიიდან განკვეთაა, რომლის გარეთაც „სატანის სფეროა“, არამედ ნამდვილი სასჯელია, როგორც წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: იმის მსგავსი, რაც იობს შეემთხვა, „თუმცა, არა ერთნაირი ძალის: იქ სასჯელი მიეცა დიდებული გვირგვინებისათვის, აქ კი – ცოდვებისაგან დასახსნელად, რათა სატანას დაესაჯა იგი ბოროტი წყლულებით ან სხვა რამე სენით“. „სხეულის ცოდვა სხეულშივე ისჯება“, – გვინმარტავს *ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული:* „დაუძლურებული სხეული ცოდვის ბორკილებს შეასუსტებს და სულს სინანულის სივრცეს დაუთმობს“. ***„არა უწყითა, რამეთუ მცირემან ცომმან ყოველივე შესუარული აღაფუვნის?“*** – ასეთი მკაცრი სასჯელი აუცილებელია იმისათვის, რომ ამ ცუდმა მაგალითმა სხვებიც არ შერყვნას (მუხ. 6). ქრისტიანები საერთოდ უნდა იყვნენ ***„ახალ თჳე“,*** სადაც არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს რაიმე სახის ბიწიერ საფუარს,

ანუ რაიმე ცოდვით ვნებას. ***„ვითარცა-ეგე ხართ უცომო, რამეთუ ზატიკად ჩუენდა, ჩუენთჳს დაიკლა ქრისტე“***, – როგორც საპასექო ტარიგის პირის წინაშე ისრაელიანებს არც ერთ სახლში არ ჰქონდათ რამე აფუებული, ასევე ჩვენც, ჩვენი საპასექო ტარიგის, ქრისტე უფლის პირის წინაშე არაფერი უნდა გვქონდეს ცოდვიანი და ვნებიანი (მუხ. 7, 8). ეს ორი მუხლი და მათთან მიერთებული მე-13 და მე-14 მუხლები – გალატეელთა მიმართ ეპისტოლეს მე-3 თავიდან, შეადგენს სამოციქულო საკითხავს დიდი შაბათის ცისკარზე. სისხლის აღმრევ ცოდვასთან დაკავშირებით, მოციქული მცნებად გვაძლევს, რომ საერთოდ არ ვიქონიოთ ურთიერთობა იმათთან, ვინც თავის თავს ქრისტიანს უწოდებს და, ამასთან, არ უტევებს ბიწიერ ცხოვრებას: ***„ესევითარისა მის თანა არცაღა ჭამად“*** (მუხ. 9-12). ***„და მოსპოთ უკეთური იგი შორის თქუენსა“*** – მოციქული შეახსენებს, რომ ცოდვილის ასეთი განკვეთა, საზოგადოების გასათავისუფლებლად გადამდები ცოდვილი სენისგან, ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში იყო მცნებად მოცემული **(მეორე შჯ. 17, 7).**

მეექვსე თავის პირველი ნახევარი შეიცავს მხილებას ურჯულოთა წინაშე სხვადასხვა დავის წარმართულ სასამართლოებში გადატანისათვის (მუხ. 1-8), მეორე ნახევარი – ვნებიანი ცხოვრების მხილებას ზოგადად, და მუცლის მაამებლობასა და სიძვას კერძოდ. წმინდა იოანე ოქროპირი შენიშნავს, რომ, საკუთრივ, წინმსწრებმა სიტყვამ შიდა სამსჯავროს შესახებ სისხლის აღმრევთა მიმართებით, განაწყო მოციქული იმის სათქმელად, რომ ქრისტიანებმა შიდა საყოფაცხოვრებო საქმეებიც თავადვე უნდა გაარჩიონ ერთმანეთში, არ მიიყვანონ ისინი წარმართ მსაჯულებამდე, რის შემდეგაც მოციქული კვლავ უბრუნდება განხილვის წინა საგანს – მეძავური და, საერთოდ, ცოდვიანი ცხოვრების მხილებას. ***„არა უწყითა, რამეთუ წმი-***

დათა სოფელი განიკითხონ?“ – მოციქული ამაზე საუბრობს, როგორც ყველასათვის ერთობ ცნობილ ამბავზე, რომ წმინდანები, ანუ ქრისტიანები ჩაატარებენ სამსჯავროს, ამიტომ შეუფერებელია მათთვის წარმართულ სამსჯავროსთვის მიმართვა. ***„დედოფალი იგი სამხრისაჲ აღდგეს საშჯელსა მას ნათესავისა ამის თანა“*** და ***„ნინეველნი აღდგენ საშჯელსა მას ნათესავისა ამის თანა“*** (მთ. 12, 41, 42), ***„დასხდეთ თქუენცა ათორმეტთა საყდართა განშჯად ათორმეტთა ტომთა ისრაჱლისათა“*** (მთ. 19, 28) იმ აზრით, რომ ვინც ირწმუნა და ქრისტიანი გახდა, მონაწილეობას მიიღებენ იმათ გასამართლებაში, ვინც არ ირწმუნა. ***„არა უწყითა, რამეთუ ანგელოზნი განვიკითხნეთ“***. აქ იგულისხმება დაცემული ანგელოზები, ანუ დემონები. აქაც ***„განვიკითხნეთ“*** ნათქვამია იგივე აზრით – „განვსჯით“.

ამის შემდეგ წმინდა მოციქული აღნიშნავს, რომ თავისთავად დავა შეუფერებელია ქრისტიანთათვის, რამეთუ ისინი ვალდებულნი არიან ერთმანეთში ძმურად იცხოვრონ (მუხ. 7). განსაკუთრებით იმსახურებს განკითხვას ისეთი დავა, რომელიც ცოდვის მიზეზით წარმოიშვება მოყვასის გასაწყენებლად, მისი კუთვნილების წასართმევად. აქედან, წმინდა პავლე გადადის ყოველგვარი ცოდვის განკითხვაზე, რომლებსაც არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ქრისტიანულ – როგორც წმინდანთა – საზოგადოებაში (მუხ. 8-11). ამის შემდეგ იგი ისევ უბრუნდება სიძვის მხილებას. ეს მუხლები – მე-12–მე-20 – იკითხება უძღები შვილის კვირაში. ***„ყოველივე ჯერ-არს ჩემდა, არამედ არა ყოველი უმჯობეს არს; ყოველივე ჯერ-არს ჩემდა, არამედ მე არავისსა ჴელმწიფებასა დავ-ემორჩილო“***. – იმის გამო, რომ ამის შემდგომ საუბარია „საზრდელზე“ (საჭმელზე), ამიტომ აქ უპირველეს ყოვლისა, ნათქვამია იმის შესახებ, რომ ყველა სახის საზრდელის მიღება

შეიძლება. ქრისტიანის ამ თავისუფალ არჩევანს მოციქული ორ ზღვარს უდებს: პირველი – სარგებელი, მეორე – ის, რომ არაფრით შეიკრას თავი და მოჩვენებითი თავისუფლების გამო არ დაკარგოს ჭეშმარიტი თავისუფლება, ანუ თავისუფლება ყოველგვარი ცოდვისა და ვნებითი მიდრეკილებისაგან. ამიტომ ქრისტიანმა თავი უნდა დაიცვას გრძნობებზე დამონებისაგან მუცლისმაამებლობითა და მასთან დაკავშირებული სიძვის ვნების გზით. სიძვის დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ იგი ბილწავს სულსაც და სხეულსაც და წარმოადგენს მკრეხელობას, რამეთუ ჩვენი სხეული, ისევე, როგორც სული, წარმოადგენს ქრისტეს სხეულის ნაწილს და ეკუთვნის ღმერთს: მეძავი კი არღვევს უფალთან თავის ერთობას და ბილწავს საკუთარ სხეულს, რომელიც წარმოადგენს ჩვენში დამკვიდრებული სულიწმიდის ტაძარს (მუხ. 12, 13; 15, 16; 18, 19). ***„ადიდეთ უკუე ღმერთი ჯორციითა მაგით თქუენითა და სულითა მაგით თქუენითა, რომელი–იგი არს ღვთისაჲ“*** – ამთავრებს მოციქული თავის მამხილებელ სიტყვას.

მეშვიდე თავიდან იწყება ეპისტოლეს მეორე ნაწილი, რომელიც შეიცავს შეგონებებს ქრისტიანული ზნეობრივი ცხოვრებისათვის. სიძვის შესახებ უკანასკნელ მამხილებელ სიტყვასთან დაკავშირებით, წმინდა პავლე, უპირველეს ყოვლისა, იძლევა შეგონებას, რომელიც ეხება ქორწინებას და უქორწინებელ ცხოვრებას ანუ ქალწულებას. ყველა ამ შეგონების ძირითადი აზრი არის ის, რომ ქალწულება ქორწინებაზე უფრო აღმატებულია და ამიტომ ქრისტიანების მხრიდან უპირატესად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ვინც გრძნობს, რომ მკაცრი ქალწულებრივი ცხოვრების ძალა არ შესწევს, მას ურჩევნია, დაქორწინდეს, ვიდრე განმხურვალდეს ანუ დაუმონოს საკუთარი სული სიძვის ვნებას და მუდმივად სიძვის ცოდვაში ჩავარდნის საფრთხეში იმყოფებოდეს. ამგვარად,

ქორწინების პირველი ზნეობრივი მიზანია სიძვისგან განრინება (მუხ. 1, 2). ქმარი და ცოლი მთლიანად ერთმანეთს ეკუთვნიან და საკუთარ თავს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არ ფლობენ. ქორწინებითი ცხოვრებისგან თავშეკავება მათთვის დასაშვებია მხოლოდ ურთიერთშეთანხმებით (მუხ. 3-6). სურს რა ყველასთვის სიკეთე, წმინდა მოციქულს უქორწინებელთა და ქვრივთათვის მაგალითად მოჰყავს საკუთარი უქორწინებლობა, როგორც უმჯობესი მდგომარეობა (მუხ. 7, 8). ხოლო ვისაც არ შეუძლია იტვირთოს უქორწინებლობის ღვაწლი, ის უნდა დაქორწინდეს, თუმცა, ამასთანავე, მკაცრი დაცვა ევალება ცოლ-ქმრული ერთგულებისა და არ უნდა განქორწინდნენ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მეუღლეთაგან ერთ-ერთი მართლმორწმუნე არ არის, რამეთუ უფლის ნება მოითხოვს, რომ თითოეული იმ წოდებაში დარჩეს, რომელ წოდებაშიც მოხმობილ იქნა ქრისტიანობისკენ (მუხ. 10-24).

„რამეთუ განწმიდნების ქმარი იგი ურწმუნოჲ ცოლისა მისგან მორწმუნისა და განწმიდნების ცოლი იგი ურწმუნოჲ ქმრისა მისგან მორწმუნისა. უკუეთუ არა, შვილნიმცა თქუენნი არა-წმიდა იყვნეს, ხოლო აწ წმიდა არიან“ (მუხ. 14), – ამ, არცთუ სავსებით გარკვეული გამონათქვამის აზრი ის არის, რომ ქორწინება არ უნდა დაირღვეს იმ შემთხვევაში, როდესაც მხოლოდ ერთმა მეუღლემ ირწმუნა, ხოლო მეორე ისევ წარმართობაშია დარჩენილი. „სხვაგვარად რომ ვთქვათ, – განმარტავს *ეპიკოპოსი თეოფანე დაყუდებული,* – ურწმუნო ქმართან შენი ქორწინება, მორწმუნე დედაკაცო, არ გადაქცეულა ურჯულო თანაცხოვრებად იმის გამო, რომ შენ სარწმუნოებაში მოექეცი; პირიქით, შენმა რწმენამ განწმინდა ეს შეუღლება და ქმარი შენი – ქორწინებასთნ დამოკიდებულებით“. ზუსტად ასევე, შვილებიც ასეთი ქორწინებიდან, არ უნდა განიხილებოდნენ როგორც „უწმინდურნი“, ანუ უკანონ-

ოდშობილნი. წმინდა მოციქულის მიზანია ოჯახის დაშლის თავიდან აცილება, რასაც შეიძლება, დიდი ხმაური გამოეწვია და სახარების ქადაგებისთვის შეეშალა ხელი. მეორე მხრივ, რადგანაც ურწმუნო ცოლი და ქმარი არ ტოვებენ მორწმუნე ქმარსა და ცოლს, ამიტომ იმედი რჩება იმისა, რომ დროთა განმავლობაში ისინიც სარწმუნოებაში მოექცევიან, როგორც ამას მოციქული პირდაპირ ამბობს (მუხ. 16).

25-ე–მე-40 მუხლებში წმინდა მოციქული ნათლად წარმოაჩენს უქორწინებლობის უპირატესობას: უქორწინებელი თავისუფალია, მას არ აწუხებს *„ჭირი ჯორცთაჲ“*, ანუ ქორწინებით ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სიძნელეები და მწუხარებები, რაც დიდი სიმრავლით იჩენს ხოლმე თავს ოჯახში (მუხ. 25-28). ჩვენი ცხოვრების სწრაფწარმავლობამ და ქრისტეს მეორედ მოსვლისა და ღვთის საშინელი სამსჯავროს მოლოდინმა, თითოეულ ქრისტიანში უნდა აღძრას ისეთი შინაგანი განწყობა, რომლის დროსაც *„რომელთა ესხნენ ცოლ, ესრეთ იყვნენ, ვითარმცა არა ესხნეს“* (მუხ. 29-31); *„უქორწინებელი იგი ზრუნავს უფლისასა, ვითარ-ძი სათნო-ეყოს უფალსა, ხოლო ქორწინებული ზრუნავს სოფლისასა, ვითარ-ძი სათნო-ეყოს ცოლსა“* და ასე შემდეგ (მუხ. 32-35). ოჯახური ცხოვრება ბევრ საზრუნავს ქმნის, რაც ხელს უშლის ადამიანს მთლიანად მიეცეს ღვთის სათნომყოფელობას, არიდებს ღმერთის მსახურებისგან. ამიტომ მოციქული თავის შეგონებებზე დასკვნის სახით დასძენს, რომ უმჯობესია ქალწულობაში დარჩენა, თუმცა, ვინც ქორწინდება, ამით არც ის სცოდავს (მუხ. 35-40).

მერვე თავში წმინდა მოციქული საუბრობს მსხვერპლად შეწირულის ჭამასთან დაკავშირებით ქრისტიანული თავისუფლების ხასიათის შესახებ. ქრისტიანული თავისუფლება

იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ისარგებლო ჭეშმარიტების ცოდნით (რასაც თავისთავად ამპარტავნების გამოწვევა შეუძლია) და აკეთო, რაც მოგესურვება, არამედ იმაში, რომ თავი შეიზღუდო სიყვარულის გამო. სამართლიანად მიიჩნევდნენ რა კერპებს არარად, კორინთოელები თავისუფლად შედიოდნენ საკერპოებში და იქ იღებდნენ მონაწილეობას ტრაპეზში – ჭამდნენ მსხვერპლშესაწირს. ამით ისინი იმ ძმებს აბრკოლებდნენ, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ ამაღლებულნი კერპების არარაობის ასეთ ცნებამდე და რომელთა აზრითაც კერპებისთვის შეწირულის (ნაკერპევის) ჭამა კერპებთან თანაზიარებაში შესვლას ნიშნავდა (ამას მოციქული „გონების უძლურებას“ უწოდებს – მუხ. 7). როდესაც ისინი ხედავდნენ, რომ ძმები კერპებისთვის შეწირულს ჭამდნენ, მათი სინდისი იბილწებოდა ***(„გონებაᲲ იგი მათი უძლური შეიგინების“).*** თავისთავად ***„საჭმელმან ჩუენ არა წარგუადგინნეს ღვთისა. რამეთუ დაღათუ ვჭამოთ, არაᲲ გუემატოს; და არა თუ ვჭამოთ, არაᲲ დაგუაკლდეს“*** (მუხ. 8), მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანი არ არის მხოლოდ ცხოველი, არამედ, არის ზნეობრივ-თავისუფალი არსება და ამიტომ ყველა მის ქმედებას, მათ შორის ჭამას ან არჭამას, ფიზიოლოგიურის გარდა, აქვს კიდევ ზნეობითი მნიშვნელობაც. შესაბამისად, ყოველთვის არ არის უცოდველი გარკვეული სახის საკვების ჭამა ან არჭამა, მაგალითად, ნაკერპევის ან უმარხვო საჭმელის მიღება ეკლესიის მიერ დადგენილი მარხვის დროს. ამიტომ მოციქული გადაჭრით ასკვნის: ***„ამისთჳსცა, უკუეთუ საჭმელი დააბრკოლებდეს ძმასა ჩემსა, არა ვჭამო ჯორცი უკუნისამდე, რაᲲთა არა ძმაᲲ ჩემი დავაბრკოლო“*** (მუხ. 13).

მეცხრე თავში წმინდა მოციქული ავითარებს იმავე აზრს ქრისტიანული თავისუფლების გონივრულად გამოყენ-

ების შესახებ – მისი შეზღუდვის აუცილებლობაზე უმაღლესი მიზნებისათვის. აქ იგი ეფუძნება ძველ განწესებებს და საუბრობს თავის უფლებაზე, მიიღოს სარჩო-საბადებელი მის მიერ მოქცეული მორწმუნეებისგან: ***„არა უწყითა, რამეთუ რომელნი-იგი ბაგინსა ჰმსახურებენ, ბაგინისაგან ჭამიან? და რომელნი საკურთხეველსა წინაშე დგანედ, საკურთხეველისაგან ნაწილი განიღიან?“*** (მუხ. 13). მაგრამ თავადვე ნებაყოფლობით ამბობს უარს თავის კანონიერ უფლებაზე, მიიღოს მის მიერ მოქცეულ მორწმუნეთაგან გასამრჯელო, რათა არ იყოს ***„არა დაბრკოლებაჲ რაჲმე ვსცეთ სახარებასა მას ქრისტესსა“*** (მუხ. 12). ის ყველას და ყოველთვის უანგაროდ ემსახურებოდა. საკუთარი თავისთვის არას ზრუნავდა, მუდამ სხვის საჭიროებას და მდგომარეობას ითვალისწინებდა და ამას მხოლოდ სახარების ქადაგების წარმატებისთვის აკეთებდა (მუხ. 15-23). ***„ვიქმენ ჰურიათა თანა, ვითარცა ჰურიაჲ, რაჲთა ჰურიანი შევიძინნე; შჯულსა ქუეშე მყოფთა თანა, ვითარცა შჯულსა ქუეშე მყოფი, რაჲთა შჯულსა ქუეშე მყოფნი შევიძინნე; უშჯულოთა თანა, ვითარცა უშჯულოჲ, – არა უშჯულოჲ ვიყავ ღვთისა, არამედ შჯულიერი ქრისტესი, – რაჲთა უშჯულონი შევიძინნე; ვიქმენ უძლურთა მათ თანა, ვითარცა უძლური, რაჲთა უძლურნი იგი შევიძინნე; ყოველთა ვექმენ ყოვლად, რაჲთა ყოველნი ვაცხოვნნე“*** (მუხ. 20-22) – ეს არის სანიმუშო წესი ეგრეთ წოდებული „სამწყემსო გამოყენებისათვის“, რასაც ფართოდ იყენებდა პავლე მოციქული, რამეთუ სულგრძელებას იჩენდა მისი თანამედროვე საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლებისადმი, რათა ეხსნა თუნდაც ზოგიერთი მათგანი. ყოველივე ზემოთქმულს წმინდა მოციქული შემდგომში მიუსადაგებს კორინთოელებს. აჩვენა რა თავისი მაგალითით თავშეკავება და პირადი მოთხ-

ოვნილებების უარყოფა მოყვასთათვის სარგებელის მოტანის მიზნით, წმინდა პავლე ცდილობს კორინთოელებიც მსგავსი ქმედებებისკენ მიდრიკოს. ამისთვის ის იყენებს მათთვის კარგად ცნობილ მრბოლელთა და მოჭიდავეთა მაგალითს (კორინთოელები განთქმულნი იყვნენ ისტმიური თამაშებით), რომლებიც ხრწნადი გვირგვინების მისაღებად ცდილობენ თავი შეიკავონ ყოველივე იმისგან, ასუქებს და სხეულს ფიზიკურად აუძლურებს. ***„ესრეთ რბიოდეთ, რაჲთა ეწინეთ“,*** – შეაგონებს მოციქული (24, 25). აქ მას კვლავ თავისი თავი მოჰყავს მაგალითად: ***„აწ ესრეთ ვრბი, ვითარცა არა უჩინოდ; ესრეთ ვიჭირვი, ვითარცა არა ჰაერსა ვსცემ“,*** – ანუ არა ტყუილუბრალოდ, არა უმიზნოდ, არა ისე, როგორც მოკრივე ვარჯიშობს, რომელიც, ნეტარი თეოდორიტეს სიტყვით, „როდესაც წვრთნას ატარებს, მეტოქის ნაცვლად ჰაერს ურტყამს მჯიღებს“, არამედ ნამდვილ დარტყმებს აყენებს ეშმაკს, ადამიანის გამოხსნის მტერს. მიზნის მისაღწევადო, ამბობს: ***„აღვიკრძალავ ჯორცთა ჩემთა და დავიმონებ, ნუუკუე სხუათა უქადაგებდე და მე გამოუცდელ ვიყო“***. აქ რჯულად იდება ქრისტიანული ასკეტიზმი: ხსეულის მოთხოვნილებების ალაგმვის გარეშე შეუძლებელია ცოდვითი ვნებების აღმოფხვრა, შეუძლებელია სულიერ ცხოვრებაში წარმატების მიღწევა.

მეათე თავში კვლავ იმაზეა საუბარი, რომ არ შეიძლება ნაკერპავის ჭამა. მისი მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მსხვერპლისთვის შეწირულის მჭამელნი ეშმაკის ტრაპეზს ეზიარებიან. თავიდან, წმინდა მოციქული ღვთის საშინელი სამსჯავროთი ემუქრება კორინთოელებს კერპთმსახურებისაკენ მიდრეკილების გამო და მოჰყავს მაგალითები ისრეალიანების ძველაღთქმისეული ისტორიიდან. აქ მნიშვნელოვანია ის პარალელი, რომელსაც წმინდა მოციქული ავლებს ისრაელ-

იანებსა და ქრისტიანებს შორის: ***„მამანი ჩუენნი ყოველნი ღრუბელსა ქუეშე იყვნეს და ყოველნი ზღუასა განვდეს, და ყოველთა მოსეს მიერ ნათელ-იღეს ღრუბლითა მით და ზღვთა“*** – წითელი ზღვით გასვლა ნათლისღების წინასახე იყო, მოსე კი – ქრისტეს წინასახე. ***„და ყოველთა იგივე საზრდელი სულიერი ჭამეს; და ყოველთა იგივე სასუმელი სულიერი სუეს; რამეთუ სუმიდეს იგინი სულიერისა მისგან კლდისა, რომელიცა შეუდგა; ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე“*** (მუხ. 1-4). სულიერი საკვები – ეს არის მანანა, რომელიც უფლის სხეულის წინასახეს განახორციელებდა, ხოლო სულიერი სამკალი, წყალი, რომელიც სასწაულებრივად გადმოდინდა კლდიდან – უფლის სისხლის წინასახეს. აზრი ის არის, რომ ადამიანებისთვის მადლმოსილი ძღვენის მომნიჭებელი როგორც ძველ, ისევე, ახალ აღთქმაში არის ერთი და იგივე იესო ქრისტე. ეს ადგილი სამოციქულოდან იკითხება ღვთისგანცხადების (ნათლისღების) დღესასწაულზე დიდი აიაზმის დროს. მას შემდეგ, რაც მოციქული ჩამოთვლის ისრაელიანების მხრიდან ზნეობრივი დაცემის მაგალითებს და მათ გამო საღვთო სასჯელებს, მოციქული კორინთოელებს მიუთითებს იმ საშიშროებებზე, რაც მოჰყვება წარმართების მხრიდან შემოთავაზებულ საცდურებზე აყოლას, თუკი ისინი წარმართებთან ერთად მიიღებენ მონაწილეობას ტრაპეზში: ***„რომელი ჰგონებდეს დგომასა, ეკრძალენ, ნუუკუე დაეცეს“*** (მუხ. 5-12). მე-15–22-ე მუხლებში მოციქული შეაგონებს, რომ კერპებისთვის შეწირულის ჭამა – ეს არის ეშმაკებთან თანაზიარება, როგორც ეშმაკის ტრაპეზში მონაწილეობა, რამეთუ ***„რომელსა-იგი უგებენ წარმართნი, ეშმაკთა უგებენ და არა ღმერთსა“*** (მუხ. 20).

23-ე–33-ე მუხლებში მოციქული ასწავლის, როგორ უნდა მოიქცნენ საჭმელთან მიმართებით ისე, რომ არ შესცოდონ

კერპისთვის შეწირულის ჭამით. უპირველეს ყოვლისა, იგი იმეორებს მე-6 თავის მე-12 მუხლის აზრს: ***„ყოველივე ჯერარს ჩემდა, არამედ არა ყოველი უმჯობეს არს“*** (მუხ. 31), რადგან კორინთოელები, სარგებლობდნენ რა ქრისტიანული თავისუფლებით, ბოროტად იყენებდნენ მას და მშვიდად მონაწილეობდნენ წარმართთა ტრაპეზებში. მოციქული მათ ნებას რთავს ყველაფერი ჭამონ, რაც კი ბაზარში იყიდება და ასევე, რასაც სტუმრად ყოფნისას სთავაზობენ, თუნდაც ურწმუნოებთან, მაგრამ ***„უკუეთუ ვინმე გითხრას თქუენ, ვითარმედ: ესე ნაკერპავი არს, – ნუ შჭამთ მის მაუწყებელისათჳს“***, გინდ ქრისტიანი იყოს და გინდ წარმართი: პირველ შემთხვევაში იმიტომ, რომ ის არ ცდუნდეს, მეორეში კი – რათა მაცდურისაგან დაიცვა საკუთარი ქრისტიანული ღირსება. ყველა მოსაზრებას მოციქული ამტკიცებს ზოგადი წესით: ***„გინა თუ შჭამდეთ, გინა თუ ჰსუმიდეთ, გინა თუ რასაცა იქმოდით, ყოველსავე სადიდებლად ღვთისა იქმოდეთ“*** (მუხ. 31). ყველაზე ძვირფასი ჩვენთვის ღვთის დიდებაა და სწორედ მას უნდა ვითვალისწინებდეთ ყოველთვის და უპირველესად, ჩვენი ცხოვრების ყველა შემთხვევაში.

მეთერთმეტე თავი შეიცავს მხილებას და გამოსწორებას ზოგიერთი უწესობისა, რაც ხდებოდა საეკლესიო შეკრებების დროს, კერძოდ: 1) დედაკაცების მხრიდან თავდაუბურველობა ეკლესიაში და 2) უღირსი საქციელები სიყვარულის სერობებზე.

პირველი შეგონების არსი იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებრივ საეკლესიო შეკრებებს დედაკაცები უნდა ესწრებოდნენ თავდაბურულნი, მამაკაცები კი – თავდაუბურავნი. წმინდა იოანე ოქროპირი ამ შეგონებას იმით ხსნის, რომ კორინთოში „დედაკაცები დაუბურავი თავებით ლოცულობდნენ და წინასწარმეტყველებდნენ, ხოლო მამაკაცები თმას

იზრდიდნენ, – ფილოსოფოსების მსგავსად, – ლოცვისა და წინასწარმეტყველობის დროს კი თავზე იხურავდნენ, რითაც, ერთშიც და მეორეშიც წარმართულ კანონს იცავდნენ". წმინდა მოციქული ამას ქრისტიანებისთვის შეუფერებლად მიიჩნევს და დედაკაცებისგან მოითხოვს, რომ მათ თავი დაიბურონ თავიანთი ქმრებისადმი მორჩილი მდგომარეობის ნიშნად. გარდა ამისა, იმ დროს წარმართი დედაკაცები თავიანთ საკერპოში შედიოდნენ აშკარად უწმინდური მიზნებით და მოღიავებული თავი მათი უსირცხვილობის გამომხატველი იყო. გარყვნილი დედაკაცი თავისი უწესობის გამო თმის გადაპარსვით ისჯებოდა, ამიტომაც ამბობს მოციქული: ***„უკუეთუ არა დაიბურავს დედაკაცი იგი, და იკუეცენცა"****** (მუხ. 1-6). „ჯერ ქმარია, – *ამბობს ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული,* – ღვთის ხატებად, შემდეგ კი მისგან დედაკაცი, როგორც თითქოსდა მამაკაცის ხატებად, რომელიც „ამიტომაც არის ხატება ხატებისა, ანუ წარმოადგენს ქმრის დიდების ანარეკლს". ***„ამისთჳს ჯერ-არს დედაკაცისა, რაჲთა ფლობაჲ აქუნდეს თავსა თჳსსა ზედა ანგელოზთათჳს"*** (მუხ. 10). „თუკი შენ, – ამბობს *წმინდა იოანე ოქროპირი,* – ყურადღებას არ აქცევ ქმარს, მაშინ შეგრცხვეს ანგელოზებისა". ამგვარად, ცოლის ეს თავდაბურულობა გამოხატავს მის სიმდაბლეს, მორჩილებას და ქმრისადმი დაქვემდებარებას.

მაგრამ იმისათვის, რომ ქმარმა ცოლის წინაშე არ იქედმაღლოს და ბოროტად არ გამოიყენოს თავისი უფროსობა, მოციქული განაგრძობს: ***„არცა მამაკაცი თჳნიერ დედაკაცისა, არცა დედაკაცი თჳნიერ მამაკაცისა უფლისა მიერ. რამეთუ ვითარცა-იგი დედაკაცი ქმრისაგან არს, ეგრეთცა ქმარი - ცოლისათჳს; ხოლო ყოველივე ღვთისაგან***

* შეიჭრას

არს“ (მუხ. 11, 12). „განა, თვით ბუნება არ გვასწავლის ჩვენ, რომ თუკი მამაკაცი თმას იზრდის, ეს მისთვის უპატიობაა?“ – ამ სიტყვებით გამოდიან ხშირად სექტანტები გრძელი თმის მატარებელი მართლმადიდებელი მღვდლების წინააღმდეგ. მაგრამ აქ საუბარია არა მღვდლებზე, არამედ რიგით მორწმუნეებზე და იგულისხმება საყოველთაოდ მიღებული ჩვეულება, რომლის თანახმადაც, მხოლოდ დედაკაცები იზრდიან თმას, მამაკაცები კი იკრეჭენ. ამასთან, სექტანტებს ავიწყდებათ, რომ თვით ღმერთის მოწოდებით, მამაკაცებს, რომლებიც ნაზარეველობის აღთქმას დებდნენ, თავზე თმა უნდა გაეზარდათ (**რიცხ. 6, 5**). სწორედ, ნაზარეველობის ამ იდეას, ანუ ღმერთისთვის თავშეწირვას, გამოხატავს თანამედროვე მღვდლებსა და მონოზვნებში თავზე თმის გაზრდა.

მე-17–34-ე მუხლებში მოციქული განიკითხავს იმ წესს, რომლითაც მოქმედებდნენ კორინთოელები სიყვარულის სერობებზე. ჩვეულება, რომელიც იერუსალიმის პირველ ქრისტიანულ თემებში დამკვიდრდა, – რომლის თანახმადაც, მართლმორწმუნეებს ყველაფერი საერთო ჰქონდათ და საჭმელად საერთო მაგიდასთან იკრიბებოდნენ, – კიდევ დიდი ხნის განმავლობაში იყო შენარჩუნებული და მას ყველა ძველ ქრისტიანულ თემში იცავდნენ. ღვთისმსახურების დასრულებისა და ქრისტეს წმინდა საიდუმლოსთან ზიარების შემდეგ, ყველასათვის საერთო ტრაპეზი იმართებოდა, თანაც საჭმელი მდიდრებს მოჰქონდათ, უპოვარებს ისინი უმასპინძლდებოდნენ და ამგვარად, ყველა ერთად ტრაპეზობდა. სწორედ ამას ეწოდებოდა „სიყვარულის სერობა“. მოციქული კორინთოელებს ამხელს უპირველესად იმაში, რომ როდესაც ისინი ეკლესიაში იკრიბებიან, ცალკევდებიან ხოლმე ჯგუფებად, ან ოჯახებად ან ნაცნობებად, და ივიწყებენ ღატაკებს, რითაც ირღვევა თვით ამ შეკრებების მიზანი. აღძრავს რა მათში კეთილკრძა-

ლულ დამოკიდებულებას ასეთი შეკრებებისადმი, წმინდა მოციქული 23-ე–32-ე მუხლებში საუბრობს ევქარისტიის საიდუმლოზე, რომელიც, ჩვეულებრივ, წინ უსწრებდა სიყვარულის სერობებს. ტიპიკონის თანახმად, ეს ადგილი იკითხება დიდი ხუთშაბათის ლიტურგიაზე. აქ ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიტყვები: ***„რომელი ჭამდეს პურსა ამას და სუმიდეს სასუმელსა ამას უფლისასა უღირსებით, თანამდებ არს იგი ჯორცსა და სისხლსა უფლისასა“.*** ეს სიტყვები ღირსშესანიშნავია დოგმატური მნიშვნელობითაც: პური არის ჭეშმარიტი ხორცი ქრისტესი, ხოლო ღვინო – ქრისტეს ჭეშმარიტი სისხლი, და არა მხოლოდ სიმბოლოები, როგორც ამას უწმინდურად ასწავლიან უკიდურესი პროტესტანტები და სექტანტები. ამიტომაც ასე განაგრძობს მოციქული: ***„გამო-ღა-იცადენ კაცმან თავი თჳსი და ესრეთ პურისა მისგან ჭამენ და სასუმელისა მისგან სუნ“*** – ანუ ზიარების მსურველი უნდა მოემზადოს საკუთარი სინდისის გამოცდით და ღირსეული ზიარებისათვის დაბრკოლებების მოშორებით. ამისთვის არის მართლმადიდებელ ეკლესიაში დაწესებული ზიარებისწინა მარხვა და აღსარება. ეს სრულიად აუცილებელია, რამეთუ ***„რომელი არა ღირსად ჭამდეს და სუმიდეს, დასაშჯელად თავისა თჳსისა ჭამს და სუამს, რამეთუ არა გამოიკითხნა ჯორცნი უფლისანი“*** (მუხ. 27-29). დასკვნაში (მუხ. 33, 34) მოციქული შეგონებას იძლევა, რომ სიყვარულის სერობაზე **„ურთიერთას ჰგებდით“**,* ანუ მიიღონ საჭმელი თავშეკავებით, ყოველგვარი სიხარბის გარეშე და დაელოდონ ერთმანეთის მოსვლას. ***„სხუაჲ იგი, ოდეს მოვიდე, მაშინ ვბრძანო“*** (მუხ. 34) – ეს მნიშვნელოვანია: ყოველივე მოციქულებისგან მოდის – ეკლესიაში არსებული ყველა წესი მათ

* ერთმანეთს დაელოდოთ

მიერ არის დადგენილი, თუმცა ყოველივე არ არის გადმოცემული წმინდა წერილში.

მეთორმეტე თავში საუბარია ეკლესიის სულიერ ნიჭზე. მოციქულთა დროის ქრისტეს ეკლესიას განსაკუთრებულად ახასიათებდა საღვთო მადლის უხვად გამოვლინება მორწმუნეებში სულიერ ნიჭთა სახით. მოციქული აქ ჩამოთვლის რამდენიმე სულიერ ნიჭს: სიბრძნე, მეცნიერება, სარწმუნოება, კურნება, წინასწარმეტყველება, განკითხვა (განსჯის უნარი), სხვადასხვა ენაზე საუბარი და თარგმანება ენათა (განმარტება). ეს ნიჭნი უნდა შესწეოდათ სახარების წარმატებულად ქადაგებაში ურწმუნოთა შორის. მაგრამ კორინთოელთა შორის ბევრი სულიწმიდის ამ მადლმოსილ გამოვლინებას უყურებდა როგორც პატივმოყვარეობისა და ქედმაღლობის საბაბს. ცდილობდნენ რა მოეპოვებინათ რაც შეიძლება მეტი საკვირველი ნიჭი, ზოგიერთი ხიბლში ვარდებოდა და მაშინაც კი, როდესაც არანაირ ნიჭს არ ფლობდა, სხვების დასანახად შმაგობდნენ – გამოთქვამდნენ ყველასათვის გაურკვეველ სიტყვებს და არცთუ იშვიათად, გონებისა და გულის დაბნელების მომენტებში, წამოიყვირებდნენ ხოლმე ღვთისგმობ სიტყვებს, მაგალითად, ანათემას იესოზე. აქ ჩანდა წარმართი „ნათელმხილველების“ ზეგავლენა, ისეთების, როგორებიც იყვნენ, მაგალითად: პითია და სიბილა. ხელოვნურად გამოწვეულ ცრუშთაგონებისას, ქაფით პირზე და გაშლილი თმით, ყვიროდნენ გაუგებარ ან ორაზროვან სიტყვებს და ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ ხალხზე, რომელიც, ამის შემდეგ, დაჟინებით ითხოვდა მათგან პასუხებს სხვადასხვა კითხვებზე. ასეთებია თანამედროვე სექტანტებიც, მაგალითად: ორმოცდაათიანელები.

მოციქული გაფრთხილებას აძლევს ქრისტიანებს, ერიდონ წარმართულ მოსაზრებებს სულიერ ნიჭთან მიმართებით და

მათთან დამოკიდებულებას. ის განმარტავს, რომ ეკლესიაში ყველა სულიერი ნიჭი – ეს არის ღვთის სულის მოქმედება (მუხ. 3-11). ამიტომ, როგორც შეუძლებელია, რომ სულიწმიდის გავლენის ქვეშ მოქმედმა პირმა ღმერთზე გმობა წარმოთქვას, ასევე არ შეიძლება, მეტოქეობა ჰქონდეთ ერთმანეთში სხვადასხვა სულიერი ნიჭით დაჯილდოებულთ. როგორც ადამიანის სხეული შედგება სხვადასხვა ნაწილისგან, თითოეულ მათგანს თავისი განსაკუთრებული დანიშნულება აქვს და მათ შორის შეუძლებელია მეტოქეობა, ასევე, ეკლესიაშიც შეუძლებელია ქრისტიანებს შორის მეტოქეობა, რამეთუ ისინი ქრისტეს ერთ სხეულს შეადგენენ, სადაც თითოეულს თავისი განსაკუთრებული მსახურება ეკისრება: ზოგს მოციქულებრივი, ზოგს – წინასწარმეტყველური, ზოგსაც – სამოძღვრო. სხვებმა სასწაულთმოქმედების ნიჭი მიიღეს, კიდევ სხვებმა – განკურნების, დახმარების, განმგებლობის, სხვადასხვა ენაზე ლაპარაკის (მუხ. 12-30). მოციქული კორინთოელებს ურჩევს მოშურნეობა გამოიჩინონ ***„მადლთა მათ უფროესთა“.*** ყველაზე აღმატებული კი მადლმოსილ ნიჭთა შორის – ეს არის სიყვარულის ნიჭი. სწორედ მას ეძღვნება შემდეგი თავი.

მეცამეტე თავი ზოგიერთის მიერ სამართლიანად იწოდება „ქრისტიანული სიყვარულის საოცარ ჰიმნად“. მხოლოდ სიყვარული სძენს ჭეშმარიტ აზრს და ჭეშმარიტ ფასეულობას სულიერ ნიჭს და ადამიანურ მოღვაწეობას. სიყვარულის გარეშე ადამიანმა შეიძლება, ისაუბროს ყველა ადამიანურ და ანგელოზთა ენაზეც კი, მაგრამ მისი სიტყვა იქნება ***„ვითარცა რვალი, რომელი ოხრინ, გინა წინწილანი, რომელნი ჴმობედ“.*** სიყვარულის გარეშე ადამიანი არარაობაა, თუნდაც მას წინასწარმეტყველური ნიჭი ჰქონდეს, იცოდეს ყველა საიდუმლო, ფლობდეს სხვადასხვა მეცნიერებას, ისეთი რწმენისა იყოს, რომ მთებს გადაადგილებდეს. სიყვარულის გა-

რეშე ისეთ თვითუარყოფის ღვაწლსაც არა აქვს მნიშვნელობა, როგორიცაა მთელი თავისი ქონების ღატაკთათვის დარიგება და სხეულით კოცონზე ასვლა.

მე-4–მე-7 მუხლებში გადმოცემულია სიყვარულის თვისებები. ეს თვისებები ისეთი ხასიათისაა, რომ იგი, წმინდა პავლე მოციქულის სიტყვებით (რომ. 13, 10), ჭეშმარიტად წარმოადგენს მთელი რჯულის აღსრულებას. ეს არის: მრავლის დათმენა, გულმოწყალება, არქონა შურიანობის, ქედმაღლობის, ამპარტავნების, უწესობის სულის; ეს არის: უანგარობა, ურისხველობა, დავიწყება შეურაცხყოფისა, სამართლიანობის სიყვარული, სრული რწმენა, მტკიცე სასოება და ყოველგვარი მწუხარების გადატანის მზადყოფნა. ქადაგება, ენების ნიჭი და ცოდნა მხოლოდ დროებითი და აუცილებელი შენაძენია, სიყვარული კი მარადის რჩება. იგი ***„არასადა დავარდების“*** (მუხ. 8-10). იმათ შეუძლია უწოდო ჩვილის ტიტინი, აზროვნება და მსჯელობა, სიყვარული კი სრულყოფილი ადამიანის კუთვნილებაა, როდესაც ის დაინახავს ღმერთს, არა როგორც მკრთალ შუშაში, არა მკითხაობით, არამედ პირისპირ და შეიცნობს მას არა ნაწილობრივ, არამედ სრულად, ზუსტად ისევე, როგორც ახლა იცნობენ ადამიანს (მუხ. 11, 12). ***„აწ ესერა ჰგიეს სარწმუნოებაჲ, სასოებაჲ და სიყუარული, სამი ესე; ხოლო უფროჲს ამათსა სიყუარული არს“*** (მუხ. 13) – ეს ყველაზე უმაღლესი ნიჭებია, მაგრამ მათგან ყველაზე აღმატებული სიყვარულია, იმიტომ რომ, როგორც *წმინდა იოანე ოქროპირი* ამბობს, „სარწმუნოება და სასოება მაშინ მთავრდება, როდესაც მოდის ის სიკეთე, რომელიც რწმენისა და სასოების საგანს შეადგენს (მომავალ საუკუნეში)“. „მომავალ ცხოვრებაში სარწმუნოება ზედმეტია, – ამბობს *ნეტარი თეოდორიტე*, – როდესაც აშკარა გახდება თვით საგნები (ესე იგი, როდესაც თვალნათლივ გამოჩნდება

სარწმუნოების ობიექტი). ასევე ზედმეტია იქ სასოება, მაგრამ სიყვარული კიდევ უფრო ძალმოსილი გახდება, როდესაც დაცხრება ენებები, სხეული გახდება უხრწნელი, სული კი არ აირჩევს დღეს ერთს, ხვალ – მეორეს".

მეთოთხმეტე თავში წმინდა მოციქული საუბრობს ორი სულიერი ნიჭით სარგებლობის შესახებ: ეს არის წინასწარმეტყველებისა და ენების ნიჭი. თავიდან (მუხ. 1-25) იგი ნათელს ხდის პირველი ნიჭის მეორეზე უპირატესობას, შემდეგ (მუხ. 26-38) შეგვაგონებს, თუ როგორ უნდა გამოიყენებოდეს ერთიც და მეორე ნიჭიც ეკლესიაში. დაბოლოს (მუხ. 30-40) აკეთებს დასკვნას ამ ორი ნიჭის შესახებ, სადაც ხაზს უსვამს, რომ ეკლესიაში ***„ყოველივე შუენიერად და წესიერად იქმნებოდენ"***. წინასწარმეტყველური ნიჭის უპირატესობა ენების ნიჭის წინაშე ნიშნავს, რომ ვინც წინასწარმეტყველებს, ანუ ნათლად იუწყება ღვთის ნებას არა მხოლოდ მომავლის შესახებ, არამედ წარსულისა და ახლანდელის შესახებაც, ის ადამიანებს შეაგონებს, არიგებს და ანუგეშებს, ხოლო უცხო ენაზე მოსაუბრეს ვერავინ უგებს, გარდა იმ ენის მცოდნესი. იმ ენის არმცოდნეთათვის კი მისი საუბარი იგივეა, რაც ***„ჰაერსა მეტყველნი"*** ან, რაც სხვადასხვა საკრავების უმწყობრო და არეული ხმები (მუხ. 7-9). ენებით ზედმეტად გატაცება ერთგვარი ბავშვობაა და სრულიად შეუფერებელია სრულყოფილი ქრისტიანისათვის. ამიტომაც შეგვაგონებს მოციქული: ***„ნუ ყრმა იქმნებით გონებითა, არამედ ბოროტისათჳს ყრმა იყვენით, ხოლო გონებითა სრულ იყვენით"*** (მუხ. 20). ამ შეგონების აზრი იგივეა, რასაც ქრისტეს შემდეგი სიტყვები გამოხატავს: ***„იყვენით უკუე მეცნიერ, ვითარცა გუელნი, და უმანკო, ვითარცა ტრედნი"*** (მთ. 10, 16), ესე იგი, იყავით უბოროტონი, როგორც ჩვილნი, მაგრამ გონიერებით – როგორც ზრდასრულნი. უცხო ენით ასეთი

ბავშვური გატაცება არის მორწმუნეებისადმი გულგრილობა (მუხ. 22), ურწმუნოთათვის კი დაცინვის საბაბის მიცემა (მუხ. 23). განსაკუთრებული მადლმოსილი ნიჭის მქონეთათვის საერთო წესია: ***„ყოველივე ესე აღსაშენებელად იქმნებოდენ“,*** ანუ ყველაფერი საერთო აღშენებას უნდა ემსახურებოდეს (მუხ. 26). თუკი არიან უცხო ენაზე მოლაპარაკენი, უნდა ილაპარაკონ არა ყველამ ერთად, არამედ ცალ-ცალკე და ერთმა უნდა განმარტოს; წინასწარმეტყველებმა, ასევე, რიგრიგობით უნდა ასწავლონ და მაშინვე შეწყვიტონ სიტყვა, როდესაც სხვები საღვთო გაცხადებას მიიღებენ, რათა ეკლესიაში არ დაიწყოს უწესრიგობა, ***„რამეთუ არა არს ღმერთი შფოთისაჲ, არამედ მშჳდობისაჲ“*** (მუხ. 27-33). ***„დედანი თქუენნი ეკლესიასა შინა დუმნედ“*** (მუხ. 34) – ასწავლის რა დედაკაცებს თავმდაბლობას და ქმრებისადმი მორჩილებას, წმინდა პავლე მათ უკრძალავს ეკლესიაში არამცთუ სხვების სწავლას, არამედ შეკითხვის დასმასაც კი: ***„რამეთუ საძაგელ არს დედათაჲ ეკლესიასა შინა ზრახვად“*** (მუხ. 35). ბოლოს, მოციქული ურჩევს, მოშურნეობა გამოიჩინონ წინასწარმეტყველობის ნიჭის მისაღებად, თუმცა არც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკს უკრძალავს. ამასთან, შეახსენებს, რომ ეკლესიაში მთავარია კეთილმშვენიერება და წესრიგი: ***„ყოველივე შუენიერად და წესიერად იქმნებოდენ“*** (მუხ. 40).

მეთხუთმეტე თავი წარმოადგენს მკვდრეთით აღდგომასთან დაკავშირებულ ტრაქტატს, რაც ფრიად მნიშვნელოვანია თავისი დოგმატური შინაარსით. უნდა ვივარაუდოთ, რომ წარმართი ფილოსოფოსების ზეგავლენით, კორინთოელ ქრისტიანებს შორის არსებობდა ეჭვი უდიდეს ჭეშმარიტებასთან – მკვდრების აღდგომასთან დაკავშირებით. როდესაც პავლე მოციქულმა საუბარი დაიწყო ათენში მკვდრეთით აღდგომის შესახებ, ზოგიერთებმა მას დასცინეს (საქმ. 17, 32). მსგავსი

ფილოსოფოსები, რომლებსაც მკვდრეთით აღდგომა შეუძლებლად მიაჩნდათ, კორინთოშიც შეიძლება ყოფილიყვნენ. ერთნი, როგორც ჩანს, სავსებით უარყოფდნენ აღდგომას, სხვები კი ამბობდნენ, რომ ეს ალეგორიულად უნდა გაეგოთ, და რომ საყოველთაო აღდგომა უკვე შედგა, რამეთუ მასში უნდა ვიგულისხმოთ სულის განწმენდაო. ტიმოთეს მიმართ ეპისტოლეში (2 ტიმ. 2, 17, 18) წმინდა პავლემ ამ უკეთურ სწავლებას განგრენა *(„სრსვლი“)* უწოდა და მიუთითა მის გამავრცელებლებზე – ვიმინეოსსა და ფილიტოსზე. ზოგიერთები მხოლოდ გაკვირვებას ეძლეოდნენ: როგორ აღდგებიან მკვდრები და როგორი სხეულით? უპირველეს ყოვლისა, წმინდა მოციქული ამტკიცებს უფალ იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის ჭეშმარიტებას, – ეყრდნობა რა იმ ფაქტებს, რომ მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე გამოეცხადა პეტრეს (კეფას), თორმეტ მოციქულს, 500 ძმას, იაკობ მოციქულს, ყველა სხვა თავის მოწაფეს, დაბოლოს, თვით პავლეს (მუხ. 1-8). ქრისტეს აღდგომის ჭეშმარიტებიდან წმინდა პავლეს შემდგომ გამოაქვს დასკვნა, – როგორც გარდაუვალი აუცილებლობა, – რომ ჭეშმარიტად მოხდება საყოველთაო აღდგომა, ღმერთის მიერ წინასწარ განსაზღვრულ დროს, რამეთუ თავისი აღდგომით ქრისტემ დასაბამი დაუდო ჩვენს აღდგომასაც, რამეთუ ***„იქმნა იგი დასაბამ შესუენებულთა“*** (მუხ. 20).

თუკი დავუშვებთ აზრს, რომ საყოველთაო აღდგომა არ იქნება, მაშინ უნდა უარვყოთ ქრისტეს აღდგომის ჭეშმარიტებაც. ეს უარყოფა კი ამხობს მთელ ქრისტიანობას, რამეთუ ***„უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ცუდად სამე არს ქადაგებაჲ ესე ჩუენი და ცუდად არს სარწმუნოებაჲ ეგე თქუენი“*** (მუხ. 14). ამავე დროს, მოციქულთა ქადაგებებს თან ახლდა იმდენად გამაოგნებელი სასწაულები და სულიწმიდის იმდენი შესანიშნავი ნიჭი, რომ მათზე ამაოაო,

კეთილგონიერ ადამიანთაგან ვერავინ იტყოდა. ***„უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ამაო არს სარწმუნოებაჲ ეგე თქუენი; ცოდვათაკე სამელა შინა თქუენთა ხართ აქამომდე“*** (მუხ. 16, 17), ***„და შესუენებულნი იგი ქრისტეს მიერ წარ-ვე სამე-წყმდენ. უკუეთუ ამას ხოლო ცხორებასა ვართ მოსავ ქრისტესა, უსაწყალობელეს ყოველთა კაცთასა ვართ“*** (მუხ. 18, 19). რაზეა დამყარებული ცოდვების მიტევების რწმენა? იმაზე, რომ ჯვარზე მომკვდარმა ქრისტემ ყველასთვის გაიღო გამომსყიდველი მსხვერპლი, ხოლო, ის, რომ ეს მსხვერპლი მიღებულია, მოწმობს მისი აღდგომა. თუ ის არ აღმდგარა, მაშინ მისი მსხვერპლი შეწირული არ არის და მისი სიკვდილი უბრალო ადამიანური სიკვდილი ყოფილა, რომელსაც ვერ ექნება გამომსყიდველი ძალა. მაშინ რწმენაში მკვდარნი და ქრისტესთვის წამების დამთმენნი უბედური, დაღუპული ადამიანები ყოფილან და მეტი არაფერი. მაშინ ქრისტიანები ადამიანთა შორის ყველაზე უბედურები გამოდიან: აქაც ყველაფერს აკლდებიან, დევნას განიცდიან და ამქვეყნიური სიამოვნებებისაგან თავს იკავებენ და იქაც, მომავალ ცხოვრებაში, რომელზედაც სასოებას ამყარებენ, ვერაფერს მიიღებენ. მაშინ აზრი არ ჰქონია ზნეობრივი წესებით ცხოვრებას და საკუთარ ცოდვით მიდრეკილებებთან ბრძოლას. მაშინ უფრო მისაღები იქნება წარმართული ეპიკურელების სკოლის წესებით ხელმძღვანელობა: ***„ვჭამოთ და ვსუათ, რამეთუ ხვალე მოვსწყდებით!“*** (მუხ. 32). ამდენად, მკვდრეთით აღდგომის უარყოფა – ეს არის მთელი ქრისტიანული ზნეობისათვის ძირის გამოთხრა.

შემდეგ, მოციქულს ქრისტეს აღდგომის ჭეშმარიტებიდან გამოაქვს დასკვნა საყოველთაო მკვდრეთით აღდგომის შესახებ, რამეთუ ქრისტე არის მის მიერ განახლებული კაცობრიობის მამამთავარი, ახალი ადამი: ***„და ვითარცა-იგი ადამის გამო***

ყოველნი მოსწყდებიან, ეგრეთცა ქრისტეს მიერ ყოველნი ცხოველ იქმნენ“ (მუხ. 20-28). ამის შემდეგ მოციქული ამბობს, რომ მკვდრეთით აღდგომის უარყოფა მიგვიყვანდა ნათლისღების უმიზნობამდე, მის უაზრობამდე; მაშინ მოციქულთა ყველა ღვაწლი და შრომა ფუჭი იქნებოდა და მთელი ზნეობრიობა დაემხობოდა (მუხ. 29-32). მოციქული აფრთხილებს კორინთოელებს, რომ მათთვის ფრიად საზიანოა წარმართებთან ურთიერთობა, რომლებმაც, როგორც ჩანს, გადასდეს მათ უკდავების ურწმუნოება. იგი იყენებს ძველ ანდაზას: ***„განხრწნიან წესთა კეთილთა ზრახვანი ბოროტნი“*** და არცხვენს მათ იმისთვის, რომ აქვთ ***„უმეცრებაჲ ღვთისაჲ“***, ანუ წარმართულად აზროვნებენ და ვერ წარმოუდგენიათ ღმერთის ყოვლადძლიერება, რომელსაც თავისი ძალით თავისუფლად შეუძლია მკვდრების აღდგინება (მუხ. 33, 34).

35-ე–53-ე მუხლებში მოციქული საუბრობს იმის შესახებ, თუ რაგვარად მოხდება მკვდრეთით აღდგომა: თავიდან ის პასუხობს კითხვას – როგორ აღდგებიან გარდაცვლილთა სხეულები, ანუ რომელი ძალით (მუხ. 36-38), შემდეგ – რა სახით აღდგებიან ისინი (მუხ. 39-50), დაბოლოს, როგორ მოხდება თვით აღდგომა (მუხ. 51-53). პირველ საკითზე პასუხის გასაცემად მოციქული ადამიანის სხეულს მცენარის თესლს ადარებს. იმისათვის, რომ თესლმა ნაყოფი გამოიღოს, ის ჯერ უნდა გაიხრწნას, ამიტომ გარდაცვლილ ადამიანთა სხეულის გახრწნა ვერ იქნება ღვთის ძალით მათი აღდგინების ხელის შემშლელი გარემოება. მეორე საკითხზე მოციქული პასუხობს, რომ მკვდრეთით აღმდგარ ადამიანთა სხეულები განსხვავებული იქნება ახლანდელი უხეში სხეულებისგან: ეს იქნება სულიერი სხეული, მსგავსი მკვდრეთით აღდგომილი ქრისტეს სხეულისა. ისინი უხრწნელნი იქნებიან, რამეთუ ***„ჯორცთა და სისხლთა სასუფეველი ღვთისაჲ დამკვდრებად ვერ ძალ-***

უც, არცა ხრწნილებამან უხრწნელებაჲ დაიმკჳდროს“ (მუხ. 50), ამიტომ *„ყოველთავე უკუე არა შევისუენოთ, ხოლო ყოველნივე განვახლდეთ“* (მუხ. 51), ესე იგი, ისინი, ვინც ჯერ კიდევ ცოცხლები იქნებიან საყოველთაო აღდგომისას, მყისიერად შეიცვლებიან და მათი სხეულებიც ასევე გახდება სულიერი და უხრწნელი. *„რამეთუ ჯერ-არს ხრწნილისა ამის შემოსად უხრწნელებაჲ, და მოკუდავისა ამის შემოსად უკუდავებაჲ“* (მუხ. 53). ყველა ეს სულიერი სხეული განდიდებული იქნება სხვადასხვა წილად, თითოეული ადამიანის ზნეობრივი სიმაღლის შესაბამისად (მუხ. 39-49). თავის აზრს გარდაცვლილთა აღდგომის შესახებ, წმინდა მოციქული ამთავრებს წინასწარმეტყველების – ესაიასა და ოსიას საზეიმო სიტყვებით იმის შესახებ, რომ აღსრულდება წმინდა წერილის სიტყვები: *„დაინთქა სიკუდილ ძლევითა“* და *„სადა არს სიკუდილო საწერტელი შენი? სადა არს ჯოჯოხეთო, ძლევაჲ შენი?“* (ეს. 25, 8; ოს. 13, 14) და ღვთისადმი სამადლობელით, რომელიც სიკვდილზე გამარჯვებას გვანიჭებს. ამის შემდეგ იგი შეგვაგონებს, რომ უნდა ვიყოთ მტკიცენი და ურყევნი ქრისტიანულ სარწმუნოებასა და ცხოვრებაში და *„მარადის უწყოდეთ, რამეთუ შრომაჲ ეგე თქუენი არა ცუდად იყოს უფლისა მიერ“* (მუხ. 54-58).

მეთექვსმეტე თავში მოციქული იძლევა დარიგებას იერუსალიმელი ქრისტიანებისთვის შესაწირის შეგროვებასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც აღუთქვამს, რომ თავად ჩავა კორინთოში ეფესოდან მაკედონიის გავლით; თხოვს, მეგობრულად მიიღონ ტიმოთე. კვლავ შეაგონებს, რომ იფხიზლონ, ახოვნად და მტკიცედ იდგნენ სარწმუნოებაში; მოკითხვას უგზავნის ასიის ეკლესიებისგან, აკვილასა და პრისკილასგან და ყველა ძმისგან, ხოლო იმათ, ვისაც უფალი იესო ქრისტე არ უყვარს, უცხადებს *„იყავნ შეჩუენებულ, მარანათა“*,

რაც ნიშნავს „დე, განკვეთილ იყოს უფლის მოსვლამდე". აი, სად არის იმ ანათემის საფუძვლიანობა, რომელიც ცხადდება ჩვენს ეკლესიებში მართლმადიდებლობის ზეიმის კვირას. პავლე მოციქული ეპისტოლეს ამთავრებს ჩვეული სამოციქულო ლოცვა-კურთხევით.

მეორე ეპისტოლე კორინთოელთა მიმართ

ეპისტოლეს დაწერის მიზეზი. ვიდრე კორინთოში გაემგზავრებოდა, წმინდა პავლეს სურდა გაეგო, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა იქ მისმა პირველმა ეპისტოლემ. გარდა ამისა, უნდოდა, რომ მანამდე იქ გაგზავნილ ტიმოთეს დაემთავრებინა იერუსალიმელი ქრისტიანებისთვის შემოწირულობების შეგროვება (**1 კორ. 4, 17**). ამავე დროს, იგი ვარაუდობდა ეფესოში შეყოვნებას, რათა დაესრულებინა იქ თავისი მისია და საშუალება ჰქონოდა, მეტი დრო დაეთმო კორინთოელებისთვის. მაგრამ დემეტრიოს ვერცხლისმჭედელის ამბოხმა მოციქული აიძულა, დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ქალაქი ეფესო. მაშინვე კორინთოში წასვლა ადრე იყო, რადგან ტიმოთე ჯერ ვერ იქნებოდა იქ შემოწირულობებით და რაც მთავარია, მოციქულმა არ იცოდა მისი პირველი ეპისტოლეს შედეგი. ამიტომ მან კორინთოში თავისი მეორე მოწაფე – ტიტე წარგზავნა დავალებით: გაეგო და დაბრუნებულიყო მასთან კორინთოს ამბებით, თავად კი ტროადაში გაემგზავრა. ლოდინის მდგომარეობა მოციქულისთვის იმდენად დაძაბული აღმოჩნდა, რომ მისი საკუთარი გამოთქმით, სულის სიმშვიდე დაკარგა (**2 კორ. 2, 12, 13**). ამიტომ მაკედონიაში წავიდა, რათა, რაც შეიძლება, მალე შეხვედროდა ტიტეს. მაკედონიაში ტიტესთან შეხვედრამ წმინდა პავლე დაამშვიდა. იქვე შეხვდა იგი ტიმოთესაც, რომელიც კორინთოში მხოლოდ ახლა აპირებდა გამგზავრებას. ტიტემ დიდად გაახარა წმინდა პავლე მოციქული იმ შთაბეჭდილების აღწერით, რაც მისმა ეპისტოლემ კორინთოელებზე მოახდინა, თუმცა, ამასთან, ზოგიერთი უსიამოვნო ამბავიც შეატყობინა. ყველაფერი ის, რაც ტიტემ წმინდა მოციქულს აუწყა კო-

რინთოში მდგომარეობის შესახებ, გახდა მიზეზი მისი *მეორე* ეპისტოლეს დაწერისა; ეს აშკარად ჩანს თვით მისი შინაარსიდან (7, 6-16).

წმინდა ტიტე მოციქულს მოუყვა, რომ პირველი ეპისტოლეს შემდეგ კორინთოელები შეიპყრო ***„ღვთისა მიერმან მწუხარებამან“***, და ამ მწუხარებამ ისინი სინანულში მოიყვანა, აღძრა მათში ღვთის შიში და გამოსწორების სურვილი, რისხვით აანთო სისხლის აღმრევთა წინააღმდეგ (**2 *კორ.* 7, 11**) და გამოიწვია ყოველგვარი წარმართული უწმინდურების მოძაგება. თუმცა, მეორე მხრივ, წმინდა ტიტემ მოციქულს ისიც აუწყა, მთელი ძალიხმევით როგორ ცდილობდნენ მისი შეუპოვარი მოწინააღმდეგენი შეერყიათ მოციქულის ავტორიტეტი კორინთოელთა წინაშე. არ ჰქონდათ რა იმის საშუალება, რომ მოციქული რამე აშკარად გასაკიცხ ქმედებებში დაედანაშაულებინათ, მათ გამოიჩინეს მცდელობა იმისა, რომ კორინთოელთა თვალში რაც შეიძლება მეტი მნიშვნელობა მიენიჭებინათ, მაგალითად, იმისთვის, რომ მოციქულმა რამდენჯერმე შეცვალა თავისი გეგმა კორინთოში ჩასვლასთან დაკავშირებით (**2 *კორ.* 1, 16; 1 *კორ.* 6, 7**). როგორც ჩანს, აქედან მათ სურდათ გამოეტანათ დასკვნა, თითქოს, მოციქულის განწყობა არამყარია, ცვალებადია და ამიტომ თვით მისი სწავლებაც არ შეიძლება ნდობას იმსახურებდეს, – როგორც მსუბუქაზროვანი და არასერიოზული ადამიანისა. კორინთოში ყოფნისას, პავლეს მხრიდან გამოვლენილი არაჩვეულებრივი თავმდაბლობა და უანგარობა, მათ უნდოდათ მის სისუსტედ და სულმოკლეობად წარმოეჩინათ. ***„წიგნები ესე რეცა მძიმე და ძლიერ***, – ამბობდნენ ისინი, – ***ხოლო მოსლვაჲ ჯორცითა უძლურ, და სიტყუაჲ შეურაცხ“*** (2 კორ. 10. 10). ამას არ შეიძლება არ შეეწუხებინა პავლე, რამეთუ ჩრდილს აყენებდა არა მხოლოდ პირადად მას, არამედ მის

მიერ ქადაგებულ სწავლებასაც. ამიტომაც ცდილობდა განემარტა კორინთოელებისთვის მის შესახებ გავრცელებული ხმების უსაფუძვლობა.

ტიტემ ისიც მოუთხრო, რომ ყველა კორინთოელი ჯერ არ იყო გონს მოსული; რომ ზოგიერთები იმდენად ღრმად იყვნენ ჩაძირულნი უწმინდურებაში, მრუშობასა და სხვადასხვა სახის უწესობაში, რომ გამოსწორებას არც კი ფიქრობდნენ **(2 კორ. 12, 20, 21).** საჭირო იყო მათი მოყვანა სინანულში განსაკუთრებული ძალით. პავლე მოციქული ამის შესახებ შემდეგნაირად ამბობს: ***„რადთა მი-რად-ვიდე, არა თუალუხუავად ვიჯუმიო პელმწიფებისა მისებრ, რომელ მომცა მე უფალმან აღსაშენებელად და არა დასარღუეველად“*** (2 კორ. 13, 10).

გარდა ამისა, მოციქულს სურდა კორინთოელები განეწყო უხვი შემოწირულობების გასაღებად პალესტინელი ქრისტიანების სასარგებლოდ, რათა არ შერცხვენილიყო მათ გამო მაკედონელთა წინაშე, რამეთუ პავლე მოციქულმა, თავისივე სიტყვებით, წინასწარ შეაქო ისინი მათი ქველმოქმედებისათვის **(2 კორ. 9, 4).**

ყოველივე ამან აღძრა იგი კორინთოელთა მიმართ მეორე ეპისტოლეს დასაწერად.

ეპისტოლეს დაწერის დრო და ადგილი. მოვლენების განვითარებიდან ჩანს, რომ ეს ეპისტოლე, ისევე, როგორც პირველი, დაწერილია იმავე 58 ან 59 წელს, ხოლო მისი დაწერის ადგილი, ეჭვგარეშეა, არის მაკედონია (კერძოდ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს იყო ქალაქი **ფილიპე**), რაც თვით ეპისტოლედან ჩანს (**2 კორ. 2, 12, 13; 7, 5-7; 8, 1, 2; 9, 2-4**). ეპისტოლე გაიგზავნა ტიტეს და კიდევ სხვა ძმის (ალბათ, ლუკას) ხელით, ***„რომლისა-იგი ქებაჲ სახარებასა შინა“*** (2 კორ. 8, 18),

ეპისტოლეს შინაარსი და შემცველობა. კორინთოელთა მიმართ მეორე ეპისტოლე შეიცავს სულ 13 თავს და თავისი შინაარსით იყოფა შემდეგ ნაწილებად:

1) **შესავალი,** რომელიც ზედწარწერილთან ერთად შეიცავს ჩვეულ მისალმებას და კეთილ სურვილებს – 1, 1-11;

2) **თეორიული ნაწილი**, სადაც წმინდა მოციქული აყალიბებს მიზეზებს, რომელთა გამოც ვერ შესძლო კორინთოში ჩასვლა (1, 12-2, 11), შემდეგ, მსჯელობს მის მიერ ქადაგებული სწავლების ამაღლებულობაზე (2, 12-7, 1), დაბოლოს, უბრუნდება რა მანამდელ სიტყვას, გამოხატავს იმ სიხარულს, რაც მას მოუტანა ტიტეს დაბრუნებამ და ყოველივე იმან, რაც მან კორინთოში ნახა და განიცადა (7, 2-16);

3) **პრაქტიკული ნაწილი** ეძღვნება იერუსალიმელი ძმებისთვის შემოწირულობების შეგროვების შესახებ მსჯელობას – მე-8 და მე-9 თავები;

4) **დაცვითი ნაწილი** ეძღვნება მოციქულის მიერ მისი მქადაგებლური მოღვაწეობისა და მაღალი სამოციქულო ღირსების დაცვას – თავები მე-10–მე-13, 10;

5) **დასკვნა** შედგება სამი მუხლისგან (13, 11-13) და შეიცავს დარიგებას მშვიდობისა და ერთსულოვნების შესახებ, ასევე, მოციქულის მისალმებასა და კურთხევას.

ეპისტოლეს ეგზეგეტიკური განხილვა. მთელი ეპისტოლე განმსჭვალულია მწუხარების გრძნობით, რომლითაც მოცულია მოციქულის სული სამოციქულო მსახურების მძიმე პირობების გამო, მაგრამ ეს მწუხარება არ თრგუნავს მოციქულს: ის ბოლომდე ინთქმება სარწმუნოების იმ ძალაში, თავისი საქმის იმ სამართლიანობის გაცნობიერებასა და აღსრულებული მოვალეობის სიწმინდეში, რითაც მუდმივად გამოირჩეოდა წმინდა პავლე მოციქული.

ეპისტოლე იწყება ჩვეულებრივი ზედწარწერით თვით პავლე მოციქულისა და მისი მოწაფის, ტიმოთეს სახელით და სამოციქულო კურთხევის გადაცემით არა მხოლოდ კორინთოელთა, არამედ აქაიას ყველა ქრისტიანთათვის. შემდეგ, ის ამბობს, რომ ყველა მისი ტანჯვისა და ნუგეშის მიზანს ხედავს კორინთოელთა ნუგეშსა და ცხონებაში და, ამასთან, უყვება მათ იმ სასიკვდილო საფრთხის შესახებ, რაც მას ასიაში გადახდა და რომლისგანაც უფალმა იხსნა კორინთოს ეკლესიის ლოცვითი შეწევნით (მუხ. 1-11). ამის შემდეგ, პირველი თავის მე-12 მუხლიდან მოყოლებული და მთელ მეორე თავში, წმინდა მოციქული კორინთოელებს მოუთხრობს მცირე აზიაში მის მიერ გადატანილი მწუხარებებისა და დევნის თაობაზე; უხსნის, აგრეთვე, რომ კორინთოში მისი ჩასვლის გადადების მიზეზი იყო ის, რომ მას სურდა ენახა ისინი სინანულში მოსულნი და გამოხატავს სიხარულს იმის გამო, რომ მათ უკვე დაიწყეს მუშაობა თავისი ზნეობის გამოსწორებაზე.

პირველი თავის მე-17–მე-20 მუხლებში წმინდა მოციქული ეკამათება იმ ცილისმწამებლებს, რომლებიც მის დადანაშაულებას ცდილობდნენ ხასიათის ცვალებადობაში და ამით თვით ქადაგებისთვის ჩრდილის მიყენებას იზრახვიდნენ: თითქოს, ისიც მასსავით ცვალებადს, დაულაგებელსა და სიცრუეს წარმოადგენდა. ***„ხოლო სარწმუნო არს ღმერთი, რამეთუ სიტყუაჲ იგი ჩუენი, რომელი იყო თქუენდა მიმართ, არა იყო ჰე და არა. რამეთუ ძე ღვთისაჲ, იესუ ქრისტე, რომელი ჩუენ მიერ თქუენ შორის იქადაგა ჩემ მიერ, და ტიმოთეს და სილოანეს, არა იყო ჰე და არა, არამედ ჰე იგი მას შინა იქმნა. ...ღვთისა სადიდებელად ჩუენ მიერ“*** (1, 18-20). ამ სიტყვების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ წმინდა მოციქულის ქადაგება ისეთივე მყარი და უცვალებელია, როგორი უცვალებელიც თვით ქრისტეა.

„რომელმან-იგი განმამტკიცნა ჩუენ თქუენ თანა ქრისტეს მიმართ, და ცხებულ გუყვნა ჩუენ ღმერთმან, და აღგუ-ბეჭდნა ჩუენ და მომცა წინდი იგი სულისაჲ გულთა შინა ჩუენთა“ (მუხ. 21, 22), – აქ საუბარია მირონცხების საიდუმლოზე, რომლის საიდუმლო აღსრულების ფორმულისთვის აქედან აღებულია სიტყვები: „სულიწმიდის ნიჭის ბეჭედი“. მოციქულის სიტყვების აზრი შემდეგია: იმის მტკიცებულებას, რომ ჩემ მიერ თქვენთვის უწყებული სწავლება ჭეშმარიტია, ემსახურება თქვენ მიერ მირონცხებაში მიღებული სულიწმიდის ნიჭის ბეჭედი. ***„მე მოწამედ ღმერთსა ვხადი სულისა ჩემისა“*** – სიტყვები, რომლებიც მოწმობენ, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვან შემთხვევებში ფიცი დასაშვებია (მუხ. 23). წმინდა მოციქული ფიცით იმოწმებს ღმერთს და კორინთოელებს უცხადებს მათთან მისვლის დაგვიანების ჭეშმარიტ მიზეზს, კერძოდ, იგი აქამდე იმიტომ არ მივიდა, რომ არ გამხდარიყო იძულებული, მთელი სიმკაცრით მოქცეოდა მათ და თავად ჩადგომოდა სათავეში მათი რელიგიური ცხოვრების მოწყობას (მუხ. 24). სხვა სიტყვებით, მოციქულს სურდა, კორინთოელებს თვითონვე გამოესწორებინათ საკუთარი გარდახდომები, რის შემდეგაც, უკვე, მათი შეხვედრა ურთიერთსასიხარულო იქნებოდა.

ამასვე ამბობს წმინდა მოციქული მეორე თავშიც: მას არ უნდოდა კორინთოელებთან მისვლა ***მწუხარებით,*** ამიტომაც მიანდო მათ იმათი განსჯა – სისხლაღმრევების. მაგრამ, რადგანაც დამნაშავემ მოინანია, ამიტომ მოციქული მათ ნებას რთავს, შეუნდონ, რათა ***„ნუუკუე უმეტესითა მწუხარებითა დაინთქას ეგევითარი იგი“*** და არ იზეიმოს სატანამ (მუხ. 1-11).

2, 12-დან 7, 1-მდე წმინდა მოციქული მსჯელობს ქრისტიანული გაცხადების, ანუ სახარებისეული ჭეშმარიტების ამაღლებულობაზე და იმის შესახებ, თუ როგორ მკვიდრდება

ეს ჭეშმარიტება ქვეყანაზე. ამ მსჯელობისათვის მოციქული, თითქოსდა, უეცრად აღიძრა, როდესაც გაიხსენა თავის მოგზაურობასთან დაკავშირებით გეგმის შეცვლა და მაკედონიაში მისვლა, იქ ტიტესთან შეხვედრა და მის მიერ მოთხრობილი ამბებით გამოწვეული სიხარული – თავისი პირველი ეპისტოლეს კეთილი გავლენის გამო (მუხ. 12, 13). მოციქული ჰმადლობს ღმერთს, ***„რომელმან მარადის განმაცხადნის ჩუენ ქრისტეს მიერ და სული იგი მეცნიერებისა მისისაჲ გამოაჩინის ჩუენ მიერ ყოველსა ადგილსა“*** (მუხ. 14). სახარებისეული გამოცხადების პირველი თვისება და ქმედება ის არის, რომ იგი არ საჭიროებს თავისთვის გარეშეთა მოწონებას: თავად იძლევა თავისი თავის შეგრძნებას, როგორც ყოველმხრივ განფენილი კეთილსურნელება: ***„ქრისტეს სურნელებანი ვართ“*** (მუხ. 15), თუმცა ეს კეთილსურნელება სხვადასხვანაირად მოქმედებს ადამიანებზე და დამოკიდებულია მათ შინაგან განწყობაზე: ზოგისთვის ის განმაცხოველებელია, სხვებისთვის კი – სიკვდილის მომტანი, და ეს მოციქულების ბრალი არ არის, რამეთუ ისინი ქადაგებენ ქრისტეს წმინდა და შეურყვნელ სწავლებას (მუხ. 14-17).

მესამე და **მეოთხე თავებში** წმინდა მოციქული საუბრობს ახალი აღთქმის გაცხადების უპირატესობაზე ძველ აღთქმასთან მიმართებით და მიუთითებს სახარების ჭეშმარიტი მქადაგებლებისა და თვით სახარების ქადაგების მახასიათებელ თვისებებზე.

როგორც **მესამე თავიდან** ჩანს, მოციქულის მოწინააღმდეგენი (იუდაური ტრადიციების დამცველი პარტიები) კორინთოელთა წინაშე იქადნიდნენ, რომ მიღებული ჰქონდათ სარეკომენდაციო წერილები იერუსალიმიდან და, როგორც ჩანს, ამბობდნენ, რომ პავლე მოციქულის საქმიანობა, – იმის გამო, რომ იგი თითქოს თავის ქადაგებაში აკნინებს ძველაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმისეულ რჯულს, – იერუსალიმელი ქრისტიანების მიერ მოწონებული არ არის. ამის პასუხად, წმინდა მოციქული ამტკიცებს, რომ ახალაღთქმისეული გამოცხადება არ საჭიროებს თავისთვის ვინმეს მხრიდან მოწონებას – ის თავის შესახებ თავადვე აცხადებს და მისი ყველაზე საუკეთესო რეკომენდაცია იმათი რწმენა და კეთილი საქმენია, ვინც ის მიიღო. ***„ანუ არა წიგნ ჩუენდა თქუენ ხართა უფლისა მიერ, დაწერილ გულთა შინა ჩუენთა,*** – ამბობს წმინდა მოციქული, – ***უწყებულ და აღმოკითხულ ყოველთა მიერ კაცთა? საცნაურ ქმნილ, რამეთუ ხართ წიგნ სამოციქულო ქრისტესა, რომელი იმსახურა ჩუენ მიერ, დაწერილნი არა მელნითა, არამედ სულითა ღვთისა ცხოველისაჲთა, არა ფიცართა შინა ქვისათა, არამედ ფიცართა შინა გულისა ჯორციელისათა“*** (მუხ. 1-3).

მოციქულის ასეთი დარწმუნებულობა მისი სამქადაგებლო საქმიანობის ნაყოფიერებაში, თვით უფალ იესო ქრისტესგან მიღებულ შთაგონებაზეა დავანებული. ქრისტიანული გამოცხადება არ არის დამოკიდებული მქადაგებელთა ღირსებასა და შესაძლებლობებზე – ის თავად განადიდებს მქადაგებლებს. თუკი წიგნის მსახურებას – ძველაღთქმისეული რჯულის, რომელიც ადამიანს გამართლებას არ აძლევდა, ისეთი დიდება მოჰქონდა მისი მსახურებისთვის, რომ მოსეს ვერც კი უყურებდნენ სახეზე, როდესაც ის სახედაუფარავად გამოდიოდა, მაშინ რაოდენ მეტად განდიდებულია სულის – ახალი აღთქმის – მსახური, რომელიც ცოდვილ ადამიანს ღვთის წინაშე ამართლებს! რას ნიშნავს აქ გამოთქმა: ***„წიგნი მოაკუდინებს, ხოლო სული აცხოვნებს“?***

შესანიშნავად განმარტავს ამას *წმინდა იოანე ოქროპირი:* „რჯული, თუკი მკვლელს დაიჭერს, მას სიკვდილით სჯის, ხოლო თუკი მკვლელს მადლი დაიჭერს, ის მას განწმედს და

განაცხოველებს. თუმცა, რად ვსაუბრობ მკვლელზე? რჯულმა ისიც კი დაიჭირა და ქვებით ჩაქოლა, ვინც შაბათს შეშა შეაგროვა. აი, რას ნიშნავს – ***„წიგნი მოაკუდინებს“.*** პირიქით, მადლი იჭერს ურიცხვ კაცისმკვლელებსა და ავაზაკებს და განბანს რა მათ ნათლისღების წყლით, მიუტევებს ძველ ბოროტებას. აი, რას ნიშნავს: ***„სული აცხოვნებს“.*** როგორც სულის მსახურნი, წმინდა მოციქულები დიდი კადნიერებით მოქმედებენ და საბურველით არ ფარავენ საღვთო განგებულების საიდუმლოს – ალეგორიით, ან იგავებით; რამეთუ ქრისტემ ძველ აღთქმას საფარველი ახადა. მხოლოდ ძველ აღთქმასთან ბრმად მიჯაჭვული იუდეველებისა და იმათთვის, ვინც იუდეველობს: ***„დღენდელად დღედმდე იგივე საბურველი საკითხავსა მას ზედა ძველისა შჯულისასა ჰგიეს აღუძარცუელად... დღენდელად დღედმდე, რაჟამს აღმოიკითხვის მოსესთჳს, საბურველი გულსა მათსა ძეს. ხოლო რაჟამს მოიქცეს უფლისა, მოეძარცუვის საბურველი იგი“*** (მუხ. 4-16). გამოთქმა – ***„ხოლო უფალი სულ არს; ხოლო სადა სული უფლისაჲ, მუნ აზნაურებაჲ არს“*** (მუხ. 17), – სავსებით ნათელი არ არის და მას სხვადასხვაგვარად განმარტავენ, იმისდა მიხედვით, თუ ვის გულისხმობენ აქ „სულში“. ყოვლადწმიდა სამების მესამე პირს – სულიწმიდას თუ ზოგადად ღმერთს, როგორც სულიერ არსებას. ყველა შემთხვევაში, ამ გამოთქმის აზრი შემდეგია: თუკი ძველ აღთქმაში რჯულის სხვადასხვა განწესებების სირთულე თავისუფლებას ზღუდავდა, ახალ აღთქმაში სულიწმიდის მადლმა საშუალება მოგვცა, თავისუფლად მივახლებოდით თვით უფალ იესო ქრისტეს, ვუმზიროთ მის დიდებას და თავადაც განვიცადოთ ფერისცვალება: ***„მასვე ხატსა მივიცვალებით დიდებითი დიდებად“*** (მუხ. 18).

მეოთხე თავში გადმოცემულია სახარების ჭეშმარიტი მქადაგებლების დამახასიათებელი თვისებები, რომლებიც, მი-

უხედავად თავიანთი მსახურების ყველა სიმძიმისა, ამბობენ: *„არა გუეწყინების“*, რამეთუ ისინი *„არა თუ თავთა თჳსთა“* ქადაგებენ, *„არამედ ქრისტესა იესუს, უფალსა“* (მუხ. 1 და 5). სახარების ეს მქადაგებლები, ზეცით გაბრწყინებულნი და განათლებულნი საღვთო მეცნიერებითა *„დიდებისა ღვთისა წინაშე პირსა იესუ ქრისტესსა“*, თავისთავად, როგორც ადამიანები, უძლურნი არიან. ისინი ატარებენ სახარების ჭეშმარიტების საუნჯეს თითქოსდა თიხის ჭურჭლებში *(„გუაქუს ჩუენ საფასე ესე კეცის ჭურებითა“)*, ეს იმისთვის, რომ *„გარდარეული იგი ძლიერებისაჲ იყოს ღვთისაჲ და არა“* მათი (მუხ. 7). მაგრამ ღვთის ძალა აშკარად ჩანს ამ მყიფე ჭურჭლებში, რომლებიც ბუნებრივად რომ ვიმსჯელოთ, უნდა დამსხვრეულიყო ყველა იმ თავდასხმების შედეგად, რაც მათ თავს გადახდათ თავიანთი მსახურების შესრულებისას. *„ყოველსა შინა ვიჭირვით, არამედ არა იწროება გჳჩნს; წარ-ღათუ-წირულ ვართ, არამედ არა განწირულება გჳჩნს. დევნულ ღათუ ვართ, არამედ არა დატევებულ ვართ; და-ღათუ-ვრდომილ ვართ, არამედ არა წარწყმედულ ვართ. მარადის სიკუდილი იგი უფლისა იესუჲსი ჯორცთა შინა ჩუენთა გჳტჳრთავს, რაჲთა ცხორებაჲცა იგი იესუჲსი ჯორცთა ამათ შინა ჩუენთა გამოცხადნეს“* (მუხ. 8-10), – როგორც ეწამა თვით უფალი, ისევე ეწამებიან მისი სწავლების მქადაგებლებიც, მაგრამ როგორც მასში სიცოცხლემ სიკვდილზე იზეიმა, ასევე ცოცხლობს და მოქმედებს ეს ცხოველმყოფელი ძალა მოციქულებშიც, მათი მეშვეობით კი გადაეცემა ყველა მორწმუნეს. სიკვდილის ის მუდმივი საფრთხე, რომელიც მოციქულთა წინაშე დგას, მათ ვერ აშინებს, რადგან ისინი სულით გაძლიერებულნი არიან საყოველთაო მკვდრეთით აღდგომის სასოებით (მუხ. 11-15). გარდა ამისა, ამ ხორციელ სატანჯველს უდიდესი სარგე-

ბელი მოაქვს სულისთვის, რამეთუ ***„დაღათუ გარეშე ესე კაცი ჩუენი განიხრწნების, არამედ შინაგანი განახლდების დღითი დღედ“*** (მუხ. 16-28).

მეხუთე თავში, აგრძელებს რა სიტყვას, წმინდა მოციქული ამბობს, რომ მათ, სახარების ჭეშმარიტ მქადაგებლებს, სიკვდილი არ აშინებთ, რომ ამ მიწიერი „სხეულის საყოფელის“ დარღვევისთანავე ისინი მიიღებენ „ღვთის მიერ აღშენებულ საუკუნო ხელთუქმნელ სახლს ცათა შინა“ (შდრ. მუხ. 1). მოციქული იმასაც კი ამბობს, რომ ისინი თავადაც „კვნესიან“, რადგან სურთ ***„საყოფელი იგი ჩუენი ზეცით გამოშემოსად“,*** ანუ მომავალი უხრწნელი და ნათლითმოსილი სხეულის მიღება *(წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვებით).* ***„რომელი-იგი შე-თუ-ვიმოსოთ, არღარა შიშველ ვიპოვნეთ“*** – მთავარია, არ აღმოჩნდნენ კეთილ საქმეებსა და ღვთის დიდებას მოკლებულნი (მუხ. 3). ამის შემდეგ მოციქული განმარტავს, რა აზრით არის სასურველი ახლანდელი სხეულის განძარცვა: ***„და რამეთუ რომელნი-ესე ვართ საყოფელსა ამას შინა, ვკუნესით და დაგჯმძიმდების“,*** რა თქმა უნდა, ხორციელი უძლურებისა და ვნებების ტვირთქვეშ, რომლისგანაც გათავისუფლებაც ასე გვწადია. არასწორი იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ჩვენ სავსებით „განძარცვა“ გვსურს სხეულისა: ***„არა გუნებავს განძარცუვად, არამედ შემოსად“*** – ასე ვთქვათ, გვსურს გადავიცვათ უხრწნელი და უკვდავი სხეული, ***„რაჲთა დაინთქას მოკუდავი იგი ცხორებისაგან“,*** რამეთუ ***„შემქმნნა ჩუენ ამისთჳს მებრვე ღმერთმან“,*** ესე იგი, უხრწნელი და უკვდავი ცხოვრებისათვის სულითა და სხეულით (მუხ. 4, 5).

შემდეგ მოციქული განმარტავს, რომ იგი თავის სამქადაგებლო მოღვაწეობას, რომელსაც თან ახლავს ყოველნაირი *იწროება* და *შეჭირვება,* აღწერს არა თავის შესაქებად,

არამედ იმისათვის, რომ კორინთოელებს მისცეს იარაღი მათი დამაბრკოლებელი ცილისმწამებლების წინააღმდეგ, რათა მათ შესძლონ, უთხრან რამე იმათ ***„რომელნი-იგი პირსა წინაშე ხოლო იქადიან და არა გულითაცა“*** (მუხ. 6-12). კორინთოელებში შფოთის შემტანნი, სხვათა შორის, თავიანთი ავტორიტეტის განმტკიცებას იმითაც ცდილობდნენ, რომ ისინი განკაცებულ ქრისტეს პირადად იცნობდნენ და მოსმენილი ჰქონდათ მისი ქადაგება. მოციქული ითვალისწინებს ამას და ამბობს, რომ მთავარია არა განკაცებული ქრისტეს ცნობა, არამედ მისი მოძღვრების სულისმიერი ცხოვრება. ქრისტე ყველასთვის მოკვდა და, შესაბამისად, ყველა უნდა მოკვდეს წინანდელი ცოდვილი ცხოვრებისათვის და გახდეს ახალი ქმნილება ქრისტეს მიერ: ***„რაჲ-იგი არს ქრისტეს მიერ ახალი დაბადებული; პირველი იგი წარჴდა, აჰა ესერა იქმნა ყოველივე ახალ“*** (მუხ. 13-17). ქრისტიანობის არსი – ეს არის ცხოვრების სრული განახლება იესო ქრისტეს მიერ ღმერთთან შერიგების გზით, ხოლო მოციქულები არიან „ქრისტესთვის წარგზავნილები“ ***(„ქრისტესთჳს უკუე ვციქუთ“),*** რომელნიც ქრისტეს სახელით ითხოვენ: „შეურიგდით ღმერთს“ ***(„დაეგენით ღმერთსა“)*** (მუხ. 18-21), რომელმაც (მამა ღმერთმა) ***„რომელმან-იგი არა იცოდა ცოდვაჲ“*** (ანუ იესო), ***„ჩუენთჳს ცოდვაჲ*** (ცოდვისთვის მსხვერპლი) ***ქმნა, რაჲთა ჩუენ ვიქმნნეთ სიმართლე ღვთისა მას შინა“.***

მეექვსე თავში წმინდა პავლე ცხარე პასუხს სცემს იმ ცილისმწამებლებს, რომლებიც ცდილობდნენ შეეგონებინათ კორინთოელთათვის, რომ თითქოს პავლე მოციქულის მიერ გადატანილი დევნისა და სიდუხჭირის მიზეზი მის პირად ნაკლოვანებებში მდგომარეობდა, რის გამოც ის თურმე არ სარგებლობდა იმ ხალხის პატივისცემითა და სიყვარულით, რომელთა შორისაც ქადაგებდა და ამით, თითქოს, აფერ-

ხებდა სახარების ქადაგების წარმატებას. პავლე მოციქული ამბობს, როდესაც ვქადაგებთ, რომ ამჟამად ***„არს ჟამი იგი შეწყნარებისაჲ“*** ღმერთთან შერიგებისა და ***„დღე იგი ცხორებისაჲ“,*** „ჩვენ არავის ვაბრკოლებთ, რათა არ იგმოს ჩვენი მსახურება და ყოველივეში ისე წარმოვადგენთ თავს, როგორც ღვთის მსახურნი“ (მუხ. 6). შემდეგ, მოციქული დიდი შინაგანი ძალით გამოსახავს შეუსაბამობის იმ მკაფიო სურათს, რაც არსებობს თავის შეჭირვებულ და დათრგუნულ მდგომარეობასა, ერთი მხრივ, და იმ დიდ ღვაწლს შორის, მეორე მხრივ, რომელიც იტვირთა იმის გამო, რომ არ მიეცა დაბრკოლების რამე საბაბი მორწმუნეებისთვის. ამ მუხლებში – 1-13 – გამოსახულია ქრისტიანული მსახურების მაღალი იდეალი, რომელიც მოვალეობის შესრულებისათვის სრულ თვითუარყოფას მოითხოვს; ეს არის მტკიცე და გარდაუხდომელი მსახურება, რომელიც დევნილობასა და შეჭირვებაში ძალებს იკრებს თავისი საქმის სამართლიანობის გაცნობიერებასა და ღვთის ყოვლადძლიერი შეწევნის სასოებაში.

გაუხსნა რა კორინთოელებს მათ მიმართ სიყვარულით სავსე თავისი გული, მოციქული მათ საპასუხო სიყვარულისა და მისდამი ნდობისაკენ მოუწოდებს: ***„მასვე სასყიდლის კუალად-გებასა, ვითარცა შვილთა გეტყჳ: განვრცენით თქუენცა“*** – როგორც მე თქვენ მიყვარხართ, თქვენც მსგავსი სიყვარულით განეწყვეთ ჩემდამი, როგორც სულიერი მამისადმი და სრული ნდობით მიიღეთ ჩემგან მოწოდებული სწავლება. ამისათვის საჭიროა, რომ წინასწარ უარი თქვათ წარმართებთან ყოველგვარ ერთობაზე: ***„რაჲ ზიარებაჲ არს ნათლისა და ბნელისა? ანუ რაჲ შეტყუება არს ქრისტესი ბელიარის თანა?“*** ამრიგად: ***„გამოვედით შორის მათსა და გამოეშორენით... და არა-წმიდასა ნუ შეეხებით“*** (მუხ. 14-18).

მეშვიდე თავში წმინდა პავლე აგრძელებს იგივე საუბარს და კორინთოელებს მოუწოდებს: ***„განვიწმიდნეთ თავნი ჩუენნი ყოვლისაგან შეგინებისა ჯორცთაჲსა და სულისა და აღვასრულებდეთ სიწმიდესა შიშითა ღვთისაჲთა“*** (მუხ. 1). ამის შემდეგ კი გამოხატავს ტიტეს დაბრუნებითა და მის მიერ კორინთოში ნანახისა და განცდილის მონათხრობით მიღებულ სიხარულსა და ნუგეშს. მოციქულს იმდენად ახარებს კორინთოელთა ზნეობის გამოსწორება, რომ მზად არის ყოველგვარი მწუხარება დაივიწყოს (მუხ. 4-17). იგი სრულებითაც არ ნანობს, რომ დაამწუხრა ისინი თავისი პირველი ეპისტოლეთი, რადგან ღვთის გამო მწუხარება არამცთუ საზიანო არ არის, არამედ პირიქით, დიდი სულიერი სარგებლის მომტანია, რამეთუ ადამიანში სინანულს აღძრავს: ***„დაღათუ შეგაწუხენ თქუენ წიგნითა მით, არა ვინანი, დაღათუმცა ვინანდი; ვხედავ, რამეთუ წიგნმან მან დაღათუ შეგაწუხნა თქუენ, ჟამ ერთ. აწ მიხარის, არა თუ რომელ შესწუხენით, არამედ რამეთუ შესწუხენით სინანულად; და რამეთუ ღვთისათჳს შესწუხენით, რაჲთა არარაჲთ იზღვინეთ ჩუენგან. რამეთუ ღვთისა მიერი იგი მწუხარებაჲ სინანულისა ცხორებისასა შეუნანებელსა შეიქმნს, ხოლო სოფლისა ამის მწუხარებაჲ სიკუდილსა შეიქმს“*** (მუხ. 8-10). მოციქულის ეპისტოლეთი გამოწვეულმა მწუხარებამ კორინთოელებში კეთილმოქმედი ზნეობრივი გადატრიალება გამოიწვია: მათ გადაწყვიტეს, აღმოეფხვრათ თავის საზოგადოებაში არსებული ზნეობრივი ხარვეზები. მოციქულს ახარებს, რომ კორინთოელებმა მისი ნდობა გაამართლეს, არ შეარცხვინეს თავისი მოძღვარი და რომ მას შეუძლია მათზე დაყრდნობა (მუხ. 11-16).

მერვე და **მეცხრე** თავები წარმოადგენს **ეპისტოლეს** წმინდა **პრაქტიკულ ნაწილს**. მათში წმინდა მოციქული

კორინთოელებს აღძრავს შეწირულობების შესაგროვებლად გაჭირვებაში მყოფი იერუსალიმელი ქრისტიანების სასარგებლოდ. პავლე მოციქული ამას აკეთებს:

1) მაკედონიის ეკლესიების მაგალითების მოყვანით, რომლებიც მდიდარნი არ იყვნენ, მაგრამ გამოიჩინეს დიდი გულუხვობა (მუხ. 1-8);

2) უფალ იესო ქრისტეს მაგალითის შეხსენებით: ***„თქუენთჳს დაგლახაკნა მდიდარი იგი, რაჲთა თქუენ მისითა მით სიგლახაკითა განჰმდიდრდეთ“*** (მუხ. 9);

3) აგრეთვე იმის შეხსენებით, რომ ჯერ კიდევ გასული წლიდან კორინთოელები თავადაც ფრიად მონდომებულნი იყვნენ, დახმარებოდნენ ღატაკ ძმებს (მუხ. 10-12);

4) იმ აზრის მიწოდებით, თუ რაოდენ სასარგებლოა ურთიერთ დახმარება, და რომ შეწირულობის გაღება საჭიროა მხოლოდ შეძლებისდაგვარად, იმ თანაზომიერი სულისკვეთებით, რომელიც შეიმჩნეოდა ისრაელიანებში უდაბნოში მანანის შეგროვებისას (მუხ. 13-15). წმინდა მოციქული ამბობს, რომ მან უკვე შეაქო კორინთოელები მათი გულმოწყალებისთვის და ახლა მათ ჰმართებთ ამ შექების გამართლება, რათა ამაო არ აღმოჩნდეს. გარდა ამისა, მოციქული ამოწმებს მის მიერ შემოწირულობების შემგროვებელთა სრულ სანდოობას – ტიტესი და სხვა ძმისა, რომელიც ყველა ეკლესიაშია ქებული სახარების ქადაგებისთვის (მუხ. 16-24 და მე-9 თავის 1-5 მუხლები). მეცხრე თავის მეორე ნახევარში წმინდა მოციქული შეაგონებს, რომ შეწირულობანი უნდა გაიღონ ყოველგვარი დანანების გარეშე, ნებაყოფლობით და გულუხვად, რამეთუ კეთილი ნებით გამოვლენილი სიუხვის ზომისამებრ იძლევა ღმერთი თავის მხრივ კურთხევას: ***„რომელმან სთესოს რიდობით, რიდობითცა მოიმკოს, და რომელმან სთესოს კურთხევით, კურთხევითცა მოიმკოს“*** (მუხ. 6), ***„მხიარუ-***

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებით მისაცემელი უყუარს უფალსა“ (მუხ. 7). ღმერთი აჯილდოებს იმათ, ვინც უხვად ანიჭებს სიკეთეს მოყვასებს, გარდა ამისა, ქრისტიანული ქველმოქმედება იმითაც არის სასარგებლო, რომ მას მოძრაობაში მოჰყავს ქრისტიანული საზოგადოების მთელი რელიგიური ცხოვრება და ბევრით ეწევიან ეკლესიის დიდებას (მუხ. 8-15).

მეათე, მეთერთმეტე, მეთორმეტე და მეცამეტე თავის 1-10 მუხლები წარმოადგენს ეპისტოლეს **დაცვით ნაწილს**. აქ მოციქული კვლავ გადადის თავისი სამოციქულო ღირსების დაცვაზე იმ ცილისმწამებელთაგან, რომლებიც კორინთოში მასზე ცრუ ხმებსა და აზრს ავრცელებდნენ იმ მიზნით, რომ კორინთოელთა თვალში მისი ავტორიტეტის დაცემა გამოეწვიათ. ეპისტოლეს ეს თავები ტონის სიმკაცრით მკვეთრად განსხვავდება წინა თავებისაგან. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი დაწერილია მოციქულის მიერ იმ ახალი ცილისწამებების შესახებ ცნობების მიღების შემდეგ, რომლებიც მის შესახებ კორინთოელმა ცრუმოძღვრებმა გაავრცელეს. ხელმწიფებრივი ავტორიტეტი და სიყვარულით დათრგუნული მძვინვარების გრძნობა, ეპისტოლეს ამ თავებს განსაკუთრებულ ძალასა და სიმძაფრეს ანიჭებს.

წმინდა პავლე მოციქულის მოწინააღმდეგეებმა, სასაყვედუროდ, საწყის პუნქტად, შემდეგი გარემოება აირჩიეს. როგორც წმინდა თეოფანე დაყუდებული განმარტავს, „წმინდა პავლე აღნაგობით არ გამოირჩეოდა და სუსტი ჯანმრთელობისა იყო. კერძო ქადაგებისას მისი სიტყვა სიწყნარითა და მშვიდი დამაჯერებლობით გამოირჩეოდა. იგი მსმენელებს ზეციდან ბრძანებას კი არ გადასცემდა, არამედ ემუდარებოდა, ერწმუნათ ჯვარცმული. ხოლო ეპისტოლეში, როდესაც მორწმუნეებს სწერდა, მისი სიტყვა მკაცრი და ხელმწიფებრივი იყო. მისი მოწინააღმდეგენი ამ განსხვავებას ჩაეჭიდნენ. ისინი

ამბობდნენ: ***„წიგნები ესე რეცა მძიმე და ძლიერ, ხოლო მოსლვაჲ ჯორციოთა უძლურ, და სიტყუაჲ შეურაცხ“*** (10, 1-10 მუხლები)“. „ეს არ იქნებოდა იმდენად აღმაშფოთებელი, – ამბობს *ეპისკოპოსი თეოფანე*, – მაგრამ ამგვარ განსხვავებას ისინი ისეთ ახსნას აძლევდნენ, რომ ზოგიერთებს წმინდა პავლე შეიძლება ჩაეთვალათ *„ხორციელად მავალი“* (ანუ ნაკლებსულიერად, სოფლისაგანად), ეს კი, თავის მხრივ, ნდობას ურყევდა მის მიერ ქადაგებულ მოძღვრებას. აი, რატომაც წმინდა პავლე მოციქულმა საჭიროდ მიიჩნია, მძაფრად დაეცვა თავისი სამოციქულო ავტორიტეტი“.

მეათე თავში წმინდა პავლე ამბობს, რომ იგი პირისპირაც ისეთივე მკაცრია, – როცა ამას საჭიროება მოითხოვს, – როგორც თავის ეპისტოლეებში და კორინთოელებს სთხოვს, რომ არ აიძულონ იგი, გამოიყენოს ეს სიმკაცრე, როდესაც მათ ეწვევა (მუხ. 1-11). სიმკაცრის უფლებას მას აძლევს თვით მისი სამოციქულო წოდება, რომელსაც იგი იცავს და ამას ამტკიცებს თვით ღმერთისგან მისთვის მინიჭებული სამქადაგებლო წილხვედრზე მითითებით: ***„არა რომელი-იგი თავსა თჳსსა ეწამებოდის, იგი არს გამოცდილი, არამედ რომელსა-იგი უფალი ეწამოს“*** (მუხ. 12-18). მოციქულის მოწინააღმდეგენი თავად აქებენ საკუთარ თავს, მოაქვთ რა თავი კორინთოში მთავარ მოღვაწეებად, და ეს მას შემდეგ, რაც იქ ქრისტიანობა პავლე მოციქულმა დანერგა, წმინდა პავლე კი „უფლისა მიერ იქადის“, ესე იგი, თავის თავს კი არ აქებს, არამედ ღვთის ძალასა და ნიჭს, რომლებიც მას სვლად და საქადაგებლად აღძრავენ.

მეთერთმეტე თავში წმინდა მოციქული, რომელსაც მრავალი საბუთი მოჰყავს და მიზნად მხოლოდ მსმენელის ცხონებას ისახავს, ჩამოთვლის ყოველივე იმას, რაც შეიძლება მას დამსახურებად ჩაეთვალოს და ცილისმწამებელთა საყვე-

დურები აარიდოს. უპირველესად, იგი ხაზს უსვამს საკუთარ უანგარობას, რომ ის კორინთოელებს სახარებას უქადაგებდა *„უსასყიდლოდ“*, ტვირთად არავის აწვებოდა (მუხ. 1-10). მოციქული აქვე განმარტავს, რომ მას არ სურდა, რამე მატერიალურით ესარგებლა კორინთოელთაგან, და ეს არა მათდამი სიყვარულის უკმარისობის მიზეზით, არამედ იმიტომ, რომ არ სურდა დამსგავსებოდა იმ „ცრუმოციქულებს“, რომლებიც მათ ფცქვნიდნენ და ყვლეფდნენ. წმინდა პავლე ასეთებს „თვალთმაქც მუშაკებს“ *(„მუშაკნი ზაკულნი“)* უწოდებს და ამბობს, რომ ისინი მხოლოდ ქრისტეს მოციქულთა ნიღაბებს იფარებენ, სინამდვილეში კი მოციქულებს არ წარმოადგენენ *„და არა საკვრველ არს, რამეთუ თჳთ იგიცა ეშმაკი იცვალვისვე ანგელოზად ნათლისა“* (მუხ. 11-21). ამაოდ იქადიან ისინი ხორციელი უპირატესობებით, რამეთუ მსგავსი უპირატესობები წმინდა მოციქულს გაცილებით მეტი აქვს; იგი ჩამოთვლის ყველა თავის ღვაწლსა და შეჭირვებას, რომელთა გადატანაც მას მოუწია ქრისტეს სახარების ქადაგების გამო და რომელთა მხოლოდ ნაწილია მოციქულთა საქმის წიგნში აღწერილი. ჩამოთვლის რა ყველა იმ დევნასა და სატანჯველს, რაც განიცადა, წმინდა მოციქული მთელ თავის ღვაწლს საღვთო მადლს მიაწერს, საკუთარ თავს კი – მხოლოდ უძლურებას: *„უკუეთუ ჯერ-არს სიქადული, უძლურებისა ჩემისასა ვიქადოდი“* (მუხ. 22-30).

მეთორმეტე თავში წმინდა პავლე იცავს თავის სამოციქულო ღირსებას და ამტკიცებს ამას თავისი მესამე ცამდე აღტაცებით, სადაც მან ნეტარი მდგომარეობა განიცადა და ენით გამოუთქმელი სიტყვები მოისმინა, რომელთა გადმოცემაც ადამიანისთვის შეუძლებელია. მოციქული აქ თავის თავზე საუბრობს მესამე პირში: *„ვიცი კაცი“*. წმინდა იოანე ოქროპირის განმარტებით, წმინდა პავლე მოციქული ამგვა-

რად იმიტომ საუბრობს, „რომ ამით აჩვენოს, თუ როგორ უხალისოდ უდგება საქმეს“, ანუ, რარიგ უსიამოვნოა მისთვის, ილაპარაკოს საკუთარი თავის საქებრად და რომ იგი ამას ჰყვება მხოლოდ იძულებითი აუცილებლობიდან გამომდინარე, რათა ცილისმწამებლებისგან დაიცვას თავისი სამოციქულო ღირსების ამაღლებულობა. „მესამე ცაში“, ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით, უნდა ვიგულისხმოთ სამოთხე. იყო ეს ***„უწინარეს ათოთხმეტისა წლისა“.*** თუკი ეპისტოლე დაწერილია 58 წელს, ესე იგი, ხილვა მომხდარა 44 წელს, როდესაც წმინდა პავლეს და ბარნაბას იერუსალიმში შემოწირულობანი დაჰქონდათ და შემდგომ სულიწმიდის მიერ გამორჩეულ იქნენ დიდი მსახურებისათვის – წარმართებისთვის სახარების საქადაგებლად **(საქმ. 13, 2, 3).**

მოციქული აქვე დასძენს, რომ განსაკუთრებული გამოცხადებებით ქედი რომ არ ამემაღლებინა, გასაფრთხილებლად ***„მომეცა მე საწერტელი ჯორცთაჲ-ანგელოზ სატან, რაჲთა დამქენჯნიდეს მე“.*** „ჩვეულებრივ ითვლებოდა, – *ამბობს ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული,* – რომ ხორცის გამამწარებელი ***(„საწერტელი ჯორცთაჲ“),*** არის რაღაც ისეთი, რაც წმინდა პავლეს მჭმუნვარებაში აგდებდა და მოსვენებას უკარგავდა სხეულის მხრიდან და მდებარეობდა თვით სხეულში. ხოლო, ახალმა განმმარტებლებმა მიიჩნიეს, რომ წმინდა პავლე მოციქული აქ საუბრობს ხორციელი ვნების მოძრაობაზე. მაგრამ ხორციელ ვნებაში განსაკუთრებული რა არის? მას ყველა განიცდის, და არა მხოლოდ უქორწინებელნი, არამედ დაქორწინებულნიც. წმინდა პავლე კი ისეთნაირად გამოხატავს, რომ ამით გვაგებინებს: მას მიეცა რაღაც განსაკუთრებული ბრძოლა, რაც ყველასათვის საერთო არ იყო. ამასთან, მისთვის მიცემული საძაგელი „კოლაფიზი“ ურტყამს მას ყვრიმალებში უმოწყალოდ, მოქმედებს

სასტიკად; ხორციელი ვნება კი ყველაზე მლიქვნელი და შეფარული მტერია, ამიტომ ამ აზრის მიღება არ შეიძლება. ჩვენი განმმარტებლები ვარაუდობენ, რომ წმინდა პავლე აქ, ისევე, როგორც მანამდე, საუბრობს გარეგან ჭირზე და სახარების მტერთა მხრიდან მოძაგებაზე, რომლებიც სატანის იარაღები არიან". წმინდა იოანე ოქროპირი წმინდა მოციქულის ამ სიტყვებს შემდეგნაირად განმარტავს: „ღმერთმა არ ინება, რომ ჩვენი ქადაგება შეუფერხებლად გავრცელებულიყო, რათა დაემდაბლებინა ჩვენი მაღალი წარმოდგენა საკუთარ თავზე. ამიტომ დაუშვა ჩვენზე მოწინააღმდეგეთა თავდასხმა". მტრის ამ ცილისწამებისაგან ითხოვდა მოციქული გათავისუფლებას „სამგზის", ანუ მრავალგზის *(წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვებით)*, მაგრამ გაიგონა უფლის შემდეგი პასუხი: ***„კმა არს შენდა მადლი ჩემი, რამეთუ ძალი ჩემი უძლურებასა შინა სრულ იქმნების"***. საკმარისია შენთვის, რომ მკვდრებს აღადგინებ, ბრმებს კურნავ, კეთროვნებს წმენდ და სხვა სასწაულებს აღასრულებ. ნუ ცდილობ, რომ უსაფრთხოდ და უშიშრად იცხოვრო და უზრუნველად იქადაგო. მაგრამ შენ წუხხარ და დარდობ? ჩემს უძლურებას ნუ მიაწერ იმას, რომ მრავალნი მზაკვრობენ შენ წინააღმდეგ, გჯიჯგნიან, გდევნიან და შოლტს გირტყამენ. სწორედ ეს აჩვენებს ჩემს ძალას. ***„რამეთუ ძალი ჩემი უძლურებასა შინა სრულ იქმნების"***, ანუ, „როდესაც თქვენ, დევნილები, მდევნელებზე იმარჯვებთ; როდესაც თქვენ, ბორკილდადებულნი, ბორკილდამდებლებს სრბად მიაქცევთ" *(წმინდა იოანე ოქროპირი)*. ამიტომაც ამბობს ამის შემდეგ მოციქული: ***„ამისთჳს სათნო-მიჩნს უძლურებათა შინა, გინებათა, ჭირთა, დევნულებათა და იწროებათა ქრისტესთჳს, რამეთუ რაჟამს მოუძლურდე, მაშინ განვძლიერდები"***, რამეთუ მაშინ უფრო მეტად მოქმედებს საღვთო მადლი. დაბოლოს,

თავის სამოციქულო წოდებას წმინდა პავლე ამტკიცებს კორინთოში თავისი მოციქულობის ნიშნებზე მითითებით, რომელნიც სხვადასხვა სახის სასწაულებითა და ძალით გამოიხატა (მუხ. 1-13). დასასრულ, წმინდა მოციქული კვლავ ამბობს, რომ როდესაც იგი კორინთოში მივა, მათგან არაფრით ისარგებლებს არც თვითონ და არც მისგან წარგზავნილი ტიტე. მოციქულის მთავარი მიზანი კორინთოელთა ზნეობის გამოსწორებაა და მისი სიტყვაც სწორედ ამას ემსახურება. მოციქული შიშობს, რომ მათთან მისულმა, ვაი თუ ისინი გამოუსწორებელნი იხილოს (მუხ. 14-21).

მეცამეტე თავში წმინდა პავლე იმუქრება, რომ თუ იგი კორინთოელებს გამოუსწორებელ მდგომარეობაში შეასწრებს, მაშინ მათ მთელი სიმკაცრით მოეპყრობა: ***„უკუეთუ მოვიდე კუალად, არღარაᲲ ვᲰრიდო. ვინაᲲთგან გამოცდასა ეძიებთ მისსა, რომელი-იგი ჩემ მიერ იტყჳს ქრისტე; რომელი-იგი თქუენდა მიმართ არა უძლურ არს, არამედ ძლიერ თქუენ შორის“*** (მუხ. 1-3).

წმინდა პავლე, ეპისკოპოს თეოფანე დაყუდებულის განმარტებით, „თითქოსდა მათ ეუბნება: თქვენ თავად დააყენეთ იმგვარად საკითხი, რომ თუ არ გამოსწორდებით, მაშინ მე იძულებული გავხდები არ დაგინდოთ და გამოვიყენო ჩემთვის მოცემული სამოციქულო ხელმწიფება და ჩემში მოქმედი ქრისტეს ძალა. თქვენთან დაიწყეს ჩემ შესახებ საუბარი: უძლურია სხეულით და მის სიტყვას ძალა აღარ აქვსო. ამით ისინი ჩემ მიერ ქადაგებულ სწავლებასაც შეურაცხყოფენ, თითქოს ის ქრისტესი არ იყოს. ამრიგად, რაკი თქვენთან ჩემ შესახებ ასე ლაპარაკობენ, ამიტომ, თუკი მე თქვენთან მთელ სამოციქულო სიმკაცრეს არ გამოვიჩენ, მაშინ თქვენც ამ აზრში დამკვიდრდებით, ეს კი უდიდეს ზიანს მიაყენებს სახარების გავრცელებისა და თქვენი ცხონების საქმეს. ასე

რომ, აირჩიეთ ორიდან ერთი: ან გამოსწორდით ან იცოდეთ, მე ვერ დაგინდობთ, ჩემთვის მონიჭებული ხელმწიფებით მოვკვეთ ურჩებს ეკლესიიდან, ანდა დავსჯი პირდაპირ რაიმე სასჯელით, როგორც დავსაჯე დაბრმავებით მოგვი ელიმი კვიპროსში და მაშინ დარწმუნდებით, რომ ჩემში ლაპარაკობს და მოქმედებს უფალი ქრისტე".

შემდეგ, მოციქული ამბობს, რომ თავად ქრისტეც ეჩვენებოდათ უძლურებას დაქვემდებარებული, როდესაც ჯვარს აცვეს, ეგონათ, რომ მას არანაირი ძალა არ გააჩნდა, მაგრამ მან მოსპო სიკვდილის ძალა და ჯოჯოხეთი გაანადგურა, მერე კი დიდებით აღდგა. ზუსტად ასევე, ჩვენც, როდესაც გვდევნიან და ჩვენ წინააღმდეგ ილაშქრებენ, ამით ზიანი არ გვადგება, ***„არამედ ვცხონდეთ მის თანა"***, ანუ მტრებისგან დაუმარცხებელნი აღმოვჩნდებით ***„თქუენითურთ"***, თქვენივე სულიერი სარგებელისთვის, თქვენივე ცხონებისთვის (მუხ. 4). წმინდა მოციქული კორინთოელებს სთავაზობს, უკეთ გამოსცადონ და გამოიკვლიონ საკუთარი თავი, არიან თუ არა რწმენაში: ***„ხოლო ვესავ, ვითარმედ სცნათ, რამეთუ ჩუენ არა ვართ გამოუცდელ"*** (მუხ. 5, 6). მაგრამ ამ სიმკაცრის შემდეგ იგი აქვე დასძენს სიყვარულით და გულმოწყალებით სავსე სიტყვებს: ***„ხოლო ვილოცავ ღვთისა მიმართ, რაჲთა არარაჲ ბოროტი გიყოს თქუენ... და ამისთჳს ამას შორით მივსწერ, რაჲთა მი-რაჲ-ვიდე, არა თუალ-უხუავად ვიჯუმიო ჯელმწიფებისა მისებრ, რომელ მომცა მე უფალმან აღსაშენებელად და არა დასარღუეველად"*** (მუხ. 7. 10).

მთელი ეპისტოლეს **დასკვნით ნაწილს** ჩვენ ვპოულობთ მეცამეტე თავის მე-11–მე-13 მუხლებში. აქ წმინდა პავლე თავის კორინთოელ სულიერ შვილებს უსურვებს სიხარულს, სრულყოფას, მშვიდობასა და ერთაზროვნებას, – რითაც შეძლებენ მიიზიდონ ღმერთის სიყვარული და მშვიდობა. ამის

შემდეგ იგი მოუწოდებს მათ მოიკითხონ ურთიერთი ***„ამბორის-ყოფითა წმიდითა“*** – ქრისტიანული ძმობის გამომხატველი წმინდა და წრფელი სიყვარულით, და ჩვეულებისამებრ გადასცემს ქრისტიანებისგან („წმიდანთაგან“) მოკითხვას, რომელთა შორის თვითონაცაა. ეპისტოლე მთავრდება ჩვეული სამოციქულო ლოცვითი მოკითხვით, რომელიც ჩვენ ახლაც გვესმის მღვდლებისა და ეპისკოპოსებისგან, როდესაც ისინი საღვთო ლიტურგიას აღასრულებენ: ***„მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, და სიყუარული ღვთისა და მამისაჲ, და ზიარებაჲ სულისა წმიდისაჲ თქუენ ყოველთა თანა. ამინ“.***

ეპისტოლე გალატელთა მიმართ

ცნობები გალატეად წოდებული ქვეყნის შესახებ. გალატეას უწოდებდნენ მცირე აზიის ოლქს, რომელიც მცირე აზიის თითქმის შუაგულში იმყოფებოდა და ჩრდილოეთიდან ბითვინიით, პაფლაგონიითა და პონტოთი იყო შემოსაზღვრული, ხოლო სამხრეთიდან – ფრიგიით, ლიკაონიითა და კაპადოკიით. ეს ქვეყანა თავიდან ბერძნებით იყო დასახლებული, მაგრამ ქრისტეს ხორციელად შობამდე III საუკუნეში იქ დასახლდნენ ძველი გალები (ერთ-ერთი კელტური ტომი), რომლებიც მდინარე რაინის ნაპირებიდან მაკედონიასა და საბერძნეთში შეიჭრნენ, იქიდან კი მცირე აზიაშიც გადავიდნენ (ქრისტეს ხორციელად შობამდე 280 წელს). მათ ამ მხარეს თავისი სახელი – გალატეა, ანუ გალო-საბერძნეთი დაარქვეს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე (ქრისტეს ხორციელად შობამდე) 189 წელს, რომის კონსულმა მანლიუსმა ეს ქვეყანა რომაელთა ძალაუფლებას დაუმორჩილა და იქ საკუთარი გამგებლობა დაამყარა. ჩვენი წელთაღრიცხვით 26 წელს, ავგუსტუსმა გალატეა რომის პროვინციად აქცია. ადრე მეომარი გალები, აქ დასახლების შემდეგ, მშვიდობიან საქმიანობას შეუდგნენ და თავისი ნაყოფიერი და აყვავებული ქვეყნის დამუშავება დაიწყეს. ისინი თანდათან შეერივნენ ადგილობრივ ბერძნებს და მათი ზნე-ჩვეულებანი და ენა შეითვისეს. გალატეას მდიდარი ქვეყანა ებრაელებსაც იზიდავდა, რომლებიც ალექსანდრე მაკედონელის დროიდან იძულებული იყვნენ, პალესტინიდან სხვა მხარეებში გადასახლებულიყვნენ. იმპერატორმა ავგუსტუსმა თავისი განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ აიყვანა გალატეაში გადასახლებული ებრაელები, რის შესახებაც იუდეველი ისტორიკოსი იოსებ ფლავიოსი გვაუწყებს.

გალატეაში ქრისტიანული ეკლესიების დაფუძნება. გალატეის ქვეყნის ქრისტეს სახელით განათლების შესახებ პირველი ცნობები წმინდა მოციქულთა საქმის წიგნში გვხვდება – წმინდა მოციქულ პავლეს მეორე სამოციქულო მოგზაურობის შესახებ მონათხრობის დასაწყისში. იხსენებს რა უთანხმოებას, რომლის გამოც წმინდა პავლე მოციქული წმინდა ბარნაბას განშორდა მოციქულთა კრების შემდეგ, თანამგზავრად შილა აიყვანა და სახარების ქადაგებით სირია და კილიკია გაიარა, ჟამთააღმწერელი (მოციქულთა საქმის აღმწერი) ამის შემდეგ გვიყვება, რომ გზად მათ კიდევ ერთი ახალი თანამგზავრი – ტიმოთე შეუერთდა და ამბობს: ***„და ვითარცა განჰვლიდეს ქალაქებსა მას, მოწაფეებთან*** (წმინდა პავლე და მასთან მისი მოწაფენი: შილა, ლუკა და ტიმოთე), ***ასწავებდეს მათ დამარხვად მოძღურებათა მათ, დამტკიცებულთა მოციქულთაგან და ხუცესთა, რომელნი-იგი იყვნეს იერუსალიმს შინა. ხოლო ეკლესიანი იგი განმტკიცნებოდეს სარწმუნოებითა და შეეძინებოდა რიცხუსა მას დღითი-დღედ. და მოვლეს ფრიგეაჲ და გალატეელთა სოფელი და დაყენებულ იქმნეს სულისა მიერ წმიდისა სიტყუად სიტყჳსა მის ასიას შინა“*** (საქმ. 16, 4-6). ეჭვგარეშეა, რომ სწორედ ამ დროს დააფუძნა ეკლესიები წმინდა პავლე მოციქულმა გალატეას მთავარ ქალაქებში – ანკვირიაში, პესინაში, თაბიასა და გორდიაში. გალატეას ეკლესიები პავლე მოციქულის მიერ რომ არის დაარსებული, ეს აშკარად ჩანს თვით გალატეელთა მიმართ ეპისტოლედან (**1, 6-9; 4, 13**). თუმცა მოციქულთა საქმის წიგნი ამის შესახებ არანაირ დაწვრილებით ცნობებს არ გვაწვდის, მაგრამ პავლე მოციქულის მესამე სამოციქულო მოგზაურობის აღწერისას, ჟამთააღმწერელი აღნიშნავს, რომ წმინდა პავლე მოციქული ***„განვიდა და მიმოვიდოდა შემდგომითი-***

შემდგომად გალატელთა სოფელსა და ფრიგეველსა და განამტკიცებდა ყოველთა მოწაფეთა“ (საქმ. 18, 23), – სარწმუნოებაში განმტკიცება კი მხოლოდ იმათ შეუძლიათ, ვინც უკვე მოქცეულია მასზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქმეთა წიგნი გალატელთა მოქცევის გარემოებებზე არანაირ ცნობებს არ გვაწვდის, ჩვენ ამის შესახებ გარკვეულწილად თვით გალატელთა მიმართ ეპისტოლედან ვიგებთ. როგორც მე-4 თავის მე-13–მე-15 მუხლებიდან ჩანს, წმინდა პავლე მოციქულს გალატეაში რაღაც ხორციელი სნეულება შეეყარა. სავარაუდოა, რომ სწორედ ამ სნეულებამ დააყოვნა მოციქული იქ განსაზღვრულ დროზე მეტ ხანს და ამან გალატელთათვის დამატებითი მადლი გამოიღო, რადგან წმინდა მოციქულს საშუალება მიეცა, ისე ცოცხლად აღეწერა მათთვის უფალი იესო ქრისტე, რომ ისინი თითქოს თვალნათლივ ხედავდნენ მას ჯვარზე გაკრულს (**გალ. 3, 1**). ამიტომ მათ განსაკუთრებული მხურვალებითა და საოცარი მოშურნეობით ირწმუნეს და თვით მოციქულიც ისე მიიღეს, როგორც ღვთის ანგელოზი, როგორც იესო ქრისტე, და იმდენად შეიყვარეს იგი, რომ მზად იყვნენ საკუთარი თვალებიც კი დაეთხარათ და მისთვის გაეღოთ (**გალ. 4, 14–15**).

ეპისტოლეს დაწერის მიზეზი. გალატელთა მიმართ ეპისტოლეს დაწერის მიზეზი გახდა გალატელთა ეკლესიაში იუდეველ მწვალებელთა შეჭრა, რომლებიც გალატელებს შთააგონებდნენ, რომ ცხონებისათვის აუცილებელი იყო წინადაცვეთა და ძველაღთქმისეული იუდაური რელიგიის სხვა წეს-ჩვეულებების დაცვა. თავისი მესამე სამოციქულო მოგზაურობისას წმინდა პავლე მოციქული გალატელთა მხარიდან ეფესოში მივიდა (**საქმ. 19, 1**). სწორედ იქ მოუვიდა მას ხმები იმ მღელვარებათა შესახებ, რომელიც გალატელთა

შორის იუდეველმა მწვალებლებმა შეიტანეს. როგორც ჩანს, ეს მწვალებლები იქ პალესტინიდან მივიდნენ, რადგან ადგილობრივი იუდეველები, წარმართებთან ხანგრძლივი თანაცხოვრების შედეგად, შეუძლებელი იყო, რომ ასეთ ფანატიკურ, ვიწრო-ეროვნულ იუდაურ თვალსაზრისზე მდგარიყვნენ. ეს მწვალებლები, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ იუდაური წესჩვეულებანი ქრისტიანობაშიც უნდა შენარჩუნებულიყო, პავლე მოციქულის მოძღვრებას, – ძველაღთქმისეული რჯულისგან გათავისუფლების შესახებ, – მხოლოდ წარმართთა შორის სიყვარულის მოპოვების სურვილით ხსნიდნენ და ამის შესახებ შეახსენებდნენ, რომ პავლე მოციქული სამოციქულო მსახურებისთვის იესო ქრისტეს მიერ თავის მიწიერ ცხოვრებაში არ ყოფილა მოწოდებული და არც – მისი საქმეების ცოცხალი მოწმე და მისი მოძღვრების მსმენელი ყოფილა.

წმინდა პავლე მოციქული დიდად გააკვირვა ამ ამბავმა. მას გული ატკინა იმან, რომ მრავალი გალატეელი დაემოძღვრა ამ განმხრწნელ ქადაგებას და გარდაიქცა ***„სხუად სახარებად“*** (გალ. 1. 6), ხოლო მისი პიროვნებისადმი გულცივი გახდა. გალატეელთა ასეთი მოულოდნელი ქარაფშუტობითა და განუსჯელობით მოწყლულმა წმინდა პავლემ მაშინვე გადაწყვიტა მიეწერა მათთვის ეპისტოლე და დაწერა კიდეც (თანაც, საკუთარი ხელით, რათა გადაწერებზე დრო არ დაეკარგა და მისი ნამდვილობის შესახებ ყოველგვარი ეჭვი მოესპო), სადაც მიუთითა მათ ცდომილებებზე და ამხილა მათი შემრყვნელნი (**გალ. 6, 11**).

ეპისტოლეს დაწერის დრო და ადგილი. თვით ეპისტოლეში აღინიშნება პავლე მოციქულის მიერ გალატეის პირველი და მეორე მონახულება (**გალ. 4, 13**). ხოლო რამდენადაც იგი გამოთქვამს გაკვირვებას, რომ გალატეელნი ასე სწრაფად

მიიქცნენ იმ სახარებიდან, რომელსაც ქრისტეს მადლით ეზიარნენ, ***„სხვად სახარებად“*** (გალ. 1, 6), ეს ნიშნავს, რომ ეპისტოლე მოციქულის მიერ გალატეას მეორედ სტუმრობის შემდეგ მალევე დაიწერა. ამის შემდეგ წმინდა პავლე მოციქულმა ეფესოში სამ წელს დაჰყო. აქედან ცხადია, რომ გალატელთა მიმართ ეპისტოლე წმინდა პავლე მოციქულის მიერ დაწერილია მისი მესამე სამოციქულო მოგზაურობისას, ეფესოში ყოფნის წლებში. წმინდა პავლეს სიცოცხლის წლების გამოთვლით, შეიძლება დიდი ალბათობით ვივარაუდოთ, რომ ეს ეპისტოლე ქრისტეს შემდგომ 56 წელს იყოს დაწერილი.

ეპისტოლეს შინაარსი. გალატელთა მიმართ ეპისტოლე ექვს თავს შეიცავს. თავისი შინაარსის მთავარი საგნის მიხედვით, ის ძალიან ჰგავს რომაელთა მიმართ ეპისტოლეს და თავიდან ბოლომდე აღმაფრთოვანებელია, რომელიც ქრისტესადმი მოშურნეობითა და გალატელთადმი სიყვარულით არის განმსჭვალული. გონებისათვის დამაჯერებელი არგუმენტები მუდმივად გადაჯაჭვულია გულისშემძვრელ შეგონებებთან. მთელი ეპისტოლეს ძირითადი აზრი არის ის, რომ ყველა ადამიანი – და არა მხოლოდ იუდეველები – უფლის მიერ არის მოწოდებული მის მიერ დაარსებულ ეკლესიაში და ისინი ეკლესიაში ცხონდებიან არა მოსეს რჯულის წესების შესრულებით, არამედ უფალი იესო ქრისტეს რწმენით, რაც სიყვარულის საქმეში უნდა იყოს გამოხატული.

მთელი შინაარსი ეპისტოლესი, შეიძლება, შემდეგ ნაწილებად დავყოთ:

1) **წინასიტყვაობა,** რომელიც შეიცავს ზედწარწერილს, მისალმებას და შესავალს, რომელშიც წმინდა პავლე მოციქული უკვე თავისი ეპისტოლეს ძირითად აზრებს გამოკვეთს (1, 1-10);

2) **დაცვითი** ნაწილი, რომელშიც წმინდა პავლე მოციქული განმარტავს და ამტკიცებს თავის სამოციქულო ღირსებას, რომელიც გალატელთა თვალში იუდეველი ცრუმოძღვრების მიერ იყო შერყეული (1, 11; 2, 1-21);

3) **სარწმუნოებითი** ნაწილი, სადაც წმინდა პავლე მოციქული მთელი სისავსით აცხადებს ეპისტოლეს ძირითად შინაარსს – ძველი და ახალი აღთქმის ურთიერთდამოკიდებულებას და იმას, რომ ქრისტე-მაცხოვრის მოსვლის შემდეგ, მოსეს წეს-ჩვეულებითმა რჯულმა თავისი ძალა დაკარგა (თავ. 3 და 4);

4) **ზნეობითი** ნაწილი, სადაც გაცხადებულია ქრისტიანული ცხოვრების საწყისები ძველაღთქმისეული რჯულისგან თავისუფლების პირობებში (5; 6, 1-10).

5) **დასკვნა,** რომელშიც მოცემულია სწავლება წინადაცვეთასთან დამოკიდებულებისა და ქრისტეს ჯვრის პატივისცემის შესახებ და გადმოცემულია ჩვეული სამოციქულო კურთხევა (6, 11-18).

ეპისტოლეს ეგზეგეტიკური გარჩევა. პირველი თავი იწყება ზედწარწერითა და მისალმებით, რომელსაც ახასიათებს ის, რომ უკვე მათში მოციქული მთელი თავისი ეპისტოლეს ძირითად დებულებებს მიუთითებს: თავისი სამოციქულო ღირსების მტკიცებულებებს და იმას, თუ რაში მდგომარეობს ჩვენი ცხონება. ***„პავლე მოციქული არა კაცთაგან, არცა კაცთა მიერ, არამედ იესუ ქრისტეს მიერ...“.*** აქ წმინდა პავლე ხაზს უსვამს თავისი მოციქულობის ღვთივრჩეულობას, – მისი ღირსების დამცირების მოსურნე იუდეველების საპირისპიროდ. დამახასიათებელია მოციქულთა მისალმების ფორმაც: ***„მადლი თქუენდა და მშჳდობაჲ ღუთისა მიერ მამისა და უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, რომელმან მისცა თავი თჳსი ცოდ-***

ვათა ჩუენთათჳს, რაჲთა განმარინნეს ჩუენ სოფლისა ამის ბოროტისაგან ნებითა ღვთისა და მამისა ჩუენისაჲთა, რომ-ლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე. ამინ“. აქ აღინ-იშნება, რომ ცხონება ქრისტეშია და არა ძველაღთქმისეულ წეს-ჩვეულებით რჯულში (მუხ. 1-5). მისალმებისთანავე მოციქული გამოთქვამს გაკვირვებას – ჭეშმარიტი მოძღვრებისაგან გალატელთა სწრაფი განდგომის გამო და მრისხანე ანათემას უგზავნის ყველას, ვინც გაბედავს და რამე სხვა მოძღვრებას იქადაგებს, იმისგან განსხვავებულს, რაც მან ახარა – თუნ-დაც ის იყოს *„ანგელოზი ზეცით“* (მუხ. 6-9). აი, სად არის ეკლესიის მიერ მწვალებელთა მიმართ ანათემის გამოცხადების საფუძველი. მე-10 მუხლში წმინდა პავლე უარყოფს ბრალდე-ბას, თითქოსდა, იგი არ არის ჭეშმარიტი მოციქული და რათა წარმართთა კეთილგანწყობა მოიპოვოს, მათ მოსეს რჯულის შესრულებისაგან ათავისუფლებს: *„რამეთუ უკუეთუმცა კაც-თაღა სათნო-ვეყოფვოდე, ქრისტეს მონამცა არა ვიყავ“.*

მე-11 მუხლიდან იწყება ეპისტოლეს დაცვითი ნაწილი. ცრუმოძღვრები წმინდა პავლეს აკნინებდნენ და ამბობდნენ, რომ მას არასოდეს უხილავს უფალი იესო ქრისტე, სახ-არებისეული მოძღვრება კი სხვა მოციქულთაგან ისწავლა; ხოლო შემდეგ, თითქოს, განუდგა მათ და მოსეს რჯულის არასაჭიროების შესახებ თავისი საკუთარი სწავლება ჩამო-აყალიბა, მაგრამ მათგან თავისი განდგომისა და უთანხმოე-ბის დაფარვის მიზნით, იგი სხვა მოციქულებთან ყოფნისას, თითქოს, განგებ მათსავით ლაპარაკობდა და მოქმედებდა. თავისი სამოციქულო ღირსების ცილისმწამებელთაგან დაცვი-სას, წმინდა პავლე, უპირველეს ყოვლისა, თავისი სახარები-სეული მოწოდების არა კაცობრივ, არამედ ღვთაებრივ წარ-მომავლობას აცხადებს და ამტკიცებს, რომ მან ის ისწავლა *„გამოცხადებითა იესუ ქრისტესითა“,* ესე იგი, უშუალოდ

უფლისგან, რომელიც მას გამოეცხადა. შემდეგ იგი სთავაზობს გალატელებს, რომ ღმერთის ნება დაინახონ იმ განსაცვიფრებელ ცვლილებებში, რაც მასში მოხდა და ყვება, თუ ღვთის ეკლესიის სასტიკი მდევნელიდან როგორ გადაიქცა იგი მის მიერ ადრე დევნილი ქრისტეს სარწმუნოების მქადაგებლად (მუხ. 11-24). ამ ავტობიოგრაფიულ სტრიქონებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიტყვები: ***„მეყსეულად არა ვაუწყე იგი ჯორცთა და სისხლთა“***, ანუ ადამიანებს, ამ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ – მოციქულებს, და ***„არცა აღვედ იერუსალიმ მათდა, რომელნი-იგი იყვნეს უწინარეს ჩემსა მოციქულნი, არამედ მივედ არაბიად“***, სადაც ჩანს, რომ წმინდა პავლე თვით უფლის მიერ იყო განსწავლული ქრისტიანული მოძღვრების ყველა საიდუმლოში მრავალგზისი გამოცხადებით, რაც შეგვიძლია დავინახოთ ეფესოელთა მიმართ ეპისტოლედან (3, 3). მხოლოდ სამი წლის შემდეგ ავიდა წმინდა პავლე იერუსალიმში ***„ხილვად პეტრესა“***, – მხოლოდ სანახავად ანუ გასაცნობად ცნობილ მოციქულთან და არა მისგან განსასწავლად. იერუსალიმში წმინდა პავლემ მხოლოდ ***„ათხუთმეტ დღე“*** დაჰყო, რომლის განმავლობაშიც მას მოციქულთაგან არავინ უხილავს, ***„გარნა იაკობ, ძმაჲ უფლისაჲ“***. ყოველივე ამას წმინდა პავლე აღნიშნავს, რათა გვაჩვენოს, რომ სახარებისეული მოძღვრების ცოდნა მას სხვა მოციქულთაგან არ შეუთვისებია. ***„და რომელსაესე მივსწერ თქუენდა, აჰა ესერა წინაშე უფლისა, რამეთუ არა ვტყუვი“*** – ამ სიტყვებში ჩვენ ვხედავთ საჭიროების შემთხვევაში ფიცის კანონიერების ახალ დადასტურებას. შემდეგ მოციქული ამბობს: ***„და მერმე მოვედ ადგილთა მათ ასურეთისა და კილიკიაჲსათა“***. ეს ნიშნავს, რომ კვლავ ვერ შეხვდებოდა მოციქულებს, რომელნიც ამ დროს პალესტინაში ქადაგებდნენ, და რომ იუდეის ეკლესიები მას პირა-

დად არ იცნობდნენ. მოციქულის სიტყვების მიზანი იგივეა: „პეტრესგან არ მისწავლია, ის მხოლოდ ვნახე, – *თითქოსდა ასე ამბობდა მოციქული* – იაკობისგან არ მისწავლია, ისიც მხოლოდ და მხოლოდ ვნახე, მათზე დაბლა მდგომთაგანაც (არცთუ ცნობილ პირთაგან) არ მისწავლია. განა შეიძლება, მესწავლა იმათგან, ვისაც ჩემი სახე არც კი უნახავს?“

მეორე თავი არის მოციქულის იმავე დაცვითი სიტყვის გაგრძელება. მის პირველ 10 მუხლში წმინდა პავლე ყვება, რომ იგი ***„გამოცხადებით“*** ავიდა იერუსალიმში სამოციქულო კრებაზე. სწორედ იქ დაადგინეს, რომ ქრისტიანებისთვის მოსეს რჯულის წეს-ჩვეულებების დაცვა აუცილებლობას არ წარმოადგენდა. პავლე იქ თავის მოწაფესთან – მონათლულ, მაგრამ არა წინადაცვეთილ ტიტესთან ერთად ავიდა და მოციქულებმა მას წინადაცვეთა არ აიძულეს. პავლეს კეთილუწყებამ (სახარებამ) კრებაზე უხუცეს მოციქულთა სრული მხარდაჭერა დაიმსახურა. მათ აღიარეს, რომ პავლეს მინდობილი აქვს სახარება წინადაუცველთათვის, როგორც პეტრეს – წინადაცვეთილთათვის. სრული თანხმობის ნიშნად, იაკობმა, კეფამ და იოანემ, ***„რომელნი-იგი ჰგონებდეს სუეტად თავთა თჳსთა“***, მარჯვენა გაუწოდეს წმინდა პავლეს და ბარნაბას. ამ სიტყვებს *წმინდა იოანე ოქროპირი* შემდეგნაირად განმარტავს: „ქადაგების საქმეში, – *ამბობს წმინდა პავლე*, – ჩვენ მთელი ქვეყნიერება გავიყავით: მე წარმართები ავიყვანე, მათ კი იუდეველები, რამეთუ ასე იყო ღვთისათვის სათნო; ღატაკ იუდეველებზე მზრუნველობაში კი მე მათ ვეხმარებოდი“. მორწმუნე იუდეველთაგან მრავალი იყო ისეთი, რომლებმაც ყველაფერი დაკარგეს, რაც ჰქონდათ და ყველგან დევნას განიცდიდნენ ურწმუნოთა მხრიდან. მათზე წმინდა პავლე განსაკუთრებით ზრუნავდა და მორწმუნე წარმართთა შორის მათთვის მოწყალებას აგროვებდა (მუხ. 1-10).

შემდეგ მოციქული თავისი სარწმუნოების სიმტკიცეზე მიუთითებს, მაშინ როცა სხვა მოციქულები (პეტრე და ბარნაბა), იუდეველთა მიმართ მორიდების გამო, დათმობაზე მიდიოდნენ: თავს არიდებდნენ წარმართებს და მათთან ერთად არ ჭამდნენ. მე-11–21-ე მუხლებში წმინდა პავლე აღწერს, რაოდენ კადნიერად აღუდგა წინ ამაში პეტრეს და ის ყველას წინაშე ამხილა. ეს ნიშანდობლივი შემთხვევა თვალნათლივ ამოწმობს პავლესა და პეტრეს თანაბარუფლებიანობას და უარყოფს მოციქულთა შორის პეტრეს ვითომდა მეთაურობის შესახებ რომაელ-კათოლიკეთა ცრუ დოგმატს. წმინდა პავლე, რა თქმა უნდა, „ქრისტეს ნაცვალს“* მხილებას ვერ გაუბედავდა და თანაც „ყველას წინაშე“.

მას შემდეგ, რაც გალატეელებს პეტრეს მხილების შესახებ მოუყვა (მუხ. 11-14), წმინდა პავლე მაშინვე შეუმჩნევლად გადავიდა თავისი ეპისტოლეს ძირითად საგანზე: ***„არა განმართლდების კაცი საქმეთაგან შჯულისათა, გარნა სარწმუნოებითა იესუ ქრისტესითა... რამეთუ საქმეთაგან შჯულისათა არა განმართლდეს ყოველი ჯორციელი“*** (მუხ. 16). ეს სიტყვები განსაკუთრებით უყვართ სექტანტებს, რომელნიც მასში ცხონებისთვის კეთილ საქმეთა მნიშვნელობის უარყოფას ხედავენ. მაგრამ ხომ ნათელია, რომ აქ საუბარი არ არის „კეთილ საქმეებზე“, არამედ „მოსეს რჯულის ძველაღთქმისეულ საქმეებზე“, რომელმაც ქრისტეს მოსვლით თავისი მნიშვნელობა დაკარგა, რაც საბოლოოდ დადგინდა მოციქულთა კრებაზე იერუსალიმში, რომელიც

* კათოლიკური ეკლესიის სწავლების მიხედვით, პეტრე მოციქული და მისი მემკვიდრე რომის პაპები აღიარებულნი არიან დედამიწაზე „ქრისტეს ნაცვლებად“. დღემდე რომის პაპების ოფიციალურ ტიტულში ნახსენებია „Vicarius Christi“ – ქრისტეს ნაცვალი (რედაქ.)

ქრისტეს ხორციელად შობიდან 50 წელს გაიმართა. შემდგომ, მე-17 მუხლში, მოციქული ამბობს, რომ ძველაღთქმისეული რჯულის დაცვის მოთხოვნა ქრისტიანთაგან ნიშნავს, რომ თვით ქრისტე ირიბად დავადანაშაულოთ ცოდვაში: ***„აწ უკუე ქრისტე ცოდვისა-მე მსახურ იქმნა?“*** – ნუთუ მან ცოდვაში შეგვიყვანა თავისი მოძღვრებით, რომელიც ჩვენ მთელ მსოფლიოს ვამცნეთ? რა თქმა უნდა, არა. თუკი მოსეს რჯულით განმართლდებოდნენ კაცნი, მაშინ ქრისტეს ვნებისა და ჯვარზე სიკვდილის საჭიროება აღარ იქნებოდა: ***„ქრისტე სამე ცუდად მოკუდა?“*** (მუხ. 21). მე-19–მე-20 მუხლებში მოციქული გვიჩვენებს, თუ რაოდენ შემართებით უნდა მივატოვოთ ძველაღთქმისეული რჯული, რათა მთელი ჩვენი არსებით მივეკრათ უფალ მაცხოვარს, მის თანა ჯვარს ვეცვათ, რათა მხოლოდ მისთვის და მისით ვიცხოვროთ: ***„რამეთუ მე შჯულისათჳს შჯულითა მოვკუედ, რაჲთა ღვთისა ვცხოვნდე. ქრისტეს თანა ჯუარ-ცუმულ ვარ. ხოლო ცხოველ არღარა მე ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემ თანა ქრისტე. ხოლო რომელ-ესე აწ ცხოველ ვარ ჯორცითა, სარწმუნოებითა ცხოველ ვარ ძისა ღვთისაჲთა, რომელმან შემიყუარა მე და მისცა თავი თჳსი ჩემთჳს“.***

მესამე თავიდან იწყება ეპისტოლეს სარწმუნოებითი ნაწილი. ის მეოთხე თავშიც გრძელდება და მეხუთე თავის მე-12 მუხლში მთავრდება. ამ ნაწილის ზოგადი აზრი შეიძლება გამოვხატოთ *წმინდა იოანე ოქროპირის* სიტყვებით: „ზემოთ (ესე იგი, პირველ, დაცვით ნაწილში) წმინდა პავლე მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ იგი კაცთაგან და კაცთა მიერ არ გამხდარა მოციქული და რომ მოციქულთაგან სწავლის საჭიროება მას არ ჰქონია; აქ კი, მას შემდეგ, რაც თავი მოძღვრობის ღირსად წარმოაჩინა, უკვე ხელმწიფებით ლაპარაკობს და ერთმანეთთან ადარებს რჯულსა და სარწმუნოე-

ბას". მოციქულის მიერ გალატელთათვის ახსნილი საგნის არსი არის ის, რომ მათ, როგორც წარმართებს, რჯულის საჭიროება არ აქვთ.

მესამე თავში წმინდა პავლე თავიდან გალატელთათვის რჯულის არააუცილებლობაზე წერს: ამის პირველ მტკიცებულებად მას მოჰყავს თვალნათელი მაგალითი თვით გალატელებისა, რომელთაც სულიწმიდა და სასწაულთმოქმედების მადლმოსილი ნიჭი მიიღეს (მუხ. 1-5); რჯულის არასაჭიროების მეორე მტკიცებულება წმინდა პავლეს მოჰყავს გამართლების მეთოდიდან, როგორც თვით აბრაამისა (რომელიც ყველა გამართლებულის მამამთავარია), ასევე – აბრაამის აღთქმის ყველა მემკვიდრისა: ***„აბრაჰამს ჰრწმენა ღმერთი და შეერაცხა მას სიმართლედ".*** აქედან ცხადია, რომ ***„აწ უკუე სარწმუნოებისაგანნი იგი იკურთხევიან მორწმუნისა მის აბრაჰამის თანა"*** (მუხ. 6-9). მესამე მტკიცებულება წმინდა პავლეს რჯულის ყველა განწესების შესრულებისა და მისი წყევლისაგან თავის არიდების შეუძლებლობიდან გამოჰყავს: ***„რაოდენნი-იგი საქმეთაგან შჯულისათა არიან, წყევასა ქუეშე არიან".*** რატომ არის ასე? მოციქული ამას მეორე რჯულის წიგნის 27-ე თავის 26-ე მუხლზე დაყრდნობით განმარტავს: ***„წყეულ იყავნ ყოველი, რომელი არა დაადგრეს ყოველსა წერილსა წიგნისა ამის შჯულისასა ყოფად მისა".*** თავდაპირველი განწესებით, რჯულს ღვთის წინაშე გამართლების ძალა არ ჰქონდა, რაც ცხადია იქიდან, რომ თვით რჯულში წერია: ***„მართალი სარწმუნოებითა ცხონდეს"*** (აბაკ. 2, 4). ამიტომ, თუკი მაინც არსებობდნენ მართალნი ძველ აღთქმაში, ეს მხოლოდ ისინი იყვნენ, ვისაც სწამდა მომავალი კაცთა გამომხსნელი და მისი გამომსყიდველობითი მსხვერპლი, რომლისკენაც წინასახეობითად მიმართავდა რჯული თავისი ძველაღთქმისეული მსახურების ყველა გრძნობასა და აზრს.

მხოლოდ ქრისტემ გაათავისუფლა წყევლისაგან ყველა, ვისაც იგი ამძიმებდა რჯულის შეუსრულებლობის გამო: ***„ქრისტემან ჩუენ მოგვყიდნა წყევისა მისგან შჯულისა და იქმნა ჩუენთჳს წყევასა ქუეშე. რამეთუ წერილ არს: წყეულ იყავნ ყოველი, რომელი დამოეკიდოს ძელსა“.*** ეს სიტყვები იკითხება წირვაზე სამოციქულოს კითხვისას დიდი შაბათის ცისკარზე და უფლის მიერ აღსრულებული კაცობრიობის გამოსყიდვის ღვაწლის აზრსა და შინაარსს გვიხსნის. ***„წყეულ იყავნ ყოველი, რომელი დამოეკიდოს ძელსა“*** – მეორე შჯულის წიგნის სიტყვებია (21, 23). „იმიტომ კი არ არის წყეული, – გვიხსნის *ნეტარი იერონიმე*, – რომ ძელზე ჰკიდია, არამედ იმიტომ, რომ ისეთ მძიმე ცოდვაში ჩავარდა, რომ ჩამოკიდება დაიმსახურა“; „როგორც ყოველივეს ძველ აღთქმაში წინასახითი მნიშვნელობა აქვს, ისევე ამ დადგენილებასაც, – დამნაშავეთა ჩამოკიდებისა და დასამარხად საღამოს მათი ჩამოხსნის შესახებ, – მაცხოვრის ჯვარზე სიკვდილის წინასახითი მნიშვნელობა ჰქონდა. ისიც ძელზე ჩამოჰკიდეს, საღამოს კი ჩამოხსნეს“ *(ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული).* ქრისტემ თავის თავზე მიიღო წყევლა, რომელიც კაცობრიობას ამძიმებდა და გაანადგურა იგი. „ქრისტე ისე მოიქცა, როგორც მავანი, ვინც სასჯელს არ ექვემდებარება, გადაწყვეტს, რომ სიკვდილმისჯილის ნაცვლად მოკვდეს და ამით მას სიკვდილისგან იხსნის: მიიღო რა თავის თავზე წყევლა, მან კაცთა მოდგმა წყევლისგან გამოიხსნა“ *(ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული).* ეს ქრისტემ იმისთვის გააკეთა, ***„რაჲთა წარმართთა მიმართ კურთხევაჲ იგი აბრაჰამისი იყოს ქრისტე იესუს მიერ, რაჲთა აღთქუმაჲ იგი სულისაჲ მოვიღოთ სარწმუნოებითა“*** (მუხ. 10-14).

მესამე თავის მეორე ნახევარი შეიცავს სარწმუნოების განსაკუთრებული მნიშვნელობის (რჯულზე აღმატებულის)

წინააღმდეგ წარმართებში გაჩენილი აზრის უარყოფას (მუხ. 15-29). აქ მოციქული ფანტავს იმ ეჭვებს, რომელიც შეიძლება ებრაელ ქრისტიანებს გასჩენოდათ იმის შესახებ, რომ, ხომ არ აუქმებს ქრისტეს მცნებები აბრაამისთვის მიცემულ აღთქმას, რომელიც მას მისი სარწმუნოების გამო მიეცა და, საერთოდ, რატომ მიეცათ რჯული? მოციქული განმარტავს, რომ „შჯული" შემდეგში მიეცათ, „დანაშაულის მიზეზით, დანაშაულის აღსაკვეთად, რათა ერი შიშში ყოფილიყო, ბიწიერებას არ მისცემოდა, მართლად ეცხოვრა და ღირსი ყოფილიყო იმისა, რომ თავის თავში აღთქმული გამოევლინა" *(ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული);* იმის გამო, რომ იუდეველებს შიშის გარეშე არ ეცხოვრათ და უკიდურეს უწესობამდე არ დაშვებულიყვნენ, მიეცათ მათ რჯული ლაგამის ნაცვლად, განსასწავლად, დასამდაბლებლად და თუ ყველა მცნების არა, ზოგიერთი მათგანის დარღვევისაგან თავის შესაკავებლად. ამიტომ ცოტა სარგებელი როდია რჯულისგან. რჯული მოცემულია, ***„ვიდრემდის მოვიდეს ნათესავი იგი"***, ამით რჯულის დროებითობა და მისი წარმავალი მნიშვნელობაა მითითებული. „თუკი რჯული მხოლოდ ქრისტეს მოსვლამდეა მოცემული, – *ამბობს წმინდა იოანე ოქროპირი მოციქულის სახელით,* – მაშ, რატომღა აგრძელებ მას, ამ დროის ფარგლებს იქით?" რჯულის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ***„იგი მზარდულ გუექმნა ჩუენ ქრისტეს მიმართ, რაჲთა სარწმუნოებითა განვმართლდეთ"*** (მუხ. 24). ესე იგი, ის მხოლოდ გვზრდიდა, ქრისტეს მოძღვრების მისაღებად გვამზადებდა. ***„ხოლო მო-რაჲ-იწია სარწმუნოებაჲ, არღარა მზარდულთა ქუეშე ვართ"*** (მუხ. 25), – ჩვენი განმამართლებელი სარწმუნოების მოსვლით კი, ის საჭირო აღარ არის. ***„რამეთუ ყოველნი შვილნი ღვთისანი ხართ სარწმუნოებითა ქრისტე იესუჲსითა, რამეთუ რაოდენთა***

მიმართ ნათელ-იღეთ, ქრისტე შეიმოსეთ“ (მუხ. 26-27). ქრისტეს სარწმუნოება ადამიანებს იმ უბიწო ბავშვობასთან აბრუნებს, როდესაც ისინი თავისუფლად აღასრულებენ თავისი ზეციერი მამის ნებას და არ არის ამ დროს საჭირო, რომ ისინი მკაცრი დისციპლინით შეიზღუდონ. სწორედ ღვთის ამ შვილობაშია ჩადებული რჯულის, როგორც შემაკავებელი საწყისის არასაჭიროება: ქრისტიანები, როგორც ღვთის შვილები, თავისუფალნი არიან ყოველივე ფორმალური წესებისა და მოთხოვნებისაგან, რამეთუ ისინი ***„ყოველნი*** ერთ არიან ***ქრისტე იესუს მიმართ“***, „ქრისტე შეიმოსეს“ და რაიმე იძულების საჭიროება აღარ აქვთ. ***„არა არს ჰურიაება, არცა წარმართება; არა არს მონება, არცა აზნაურება; არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქუენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესუის მიერ“*** (მუხ. 28). ქრისტეს სულიერ შვილთა სახით, რომელნიც აბრაამის მემკვიდრენი არიან, ქრისტიანები აბრაამის ჭეშმარიტი მემკვიდრენი არიან და ამიტომ იმ კურთხევასა და გამართლებას დაიმკვიდრებენ, რომელიც აბრაამს აღეთქვა (მუხ. 29).

მეოთხე თავი შეიცავს გალატელებისადმი შეგონებას, რომ მიიღონ რჯულის არასაჭიროების შესახებ დამტკიცებული ჭეშმარიტება და თავი აღარ შეიზღუდონ ძველაღთქმისეული წესჩეულებებით. ეს შეგონებები ძირითადად მიემართება: 1) **გონებას** (4, 1-10), 2) **გულს** (4, 11-20), 3) **ნებას** (4, 21-31; 5, 1-12).

„არაფერი ისე არ არწმუნებს გონებას, უარი თქვას თავის აზრებზე, როგორც მათი უაზრობამდე დაყვანა“, – ამბობს ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული. ამასვე აკეთებს წმინდა პავლე. იგი მიუთითებს, თუ რაოდენ უგუნურებაა, რომ გაზრდილმა ძემ თავისი ძიძების მფარველობითა და ხელმძღვანელობით იცხოვროს. ასევე ჩვენც, გარკვეული დროით რჯულის მეთვალყურეობის ქვეშ ვიყავით, მაგრამ დასრულ-

და ეს დრო: ***„ხოლო ოდეს მოიწია აღსასრული ჟამთაჲ, მოავლინა ღმერთმან ძე თჳსი*** (მხოლოდშობილი)“ და მის მიერ მოგვანიჭა ზრდასრულ ძეთა სრული უფლებები. რაოდენ უაზრობა იქნება, რომ ახლა თავი დავუხაროთ რჯულს და მონებთან ერთად ვიყოთ, როცა ჩვენ უკვე შვილნი ვართ, ***„ხოლო უკუეთუ შვილ, მკჳდრცა ღვთისა ქრისტეს მიერ“.***

მე-4–მე-7 მუხლები, ღვთის მიერ თავისი მხოლოდშობილი ძის წარმოგზავნის შესახებ, წარმოადგენს სამოციქულოს საკითხავს ქრისტესშობის დღესასწაულის წირვაზე. ამ შეგონებით მიმართავს იუდეველებს წმინდა მოციქული (მუხ. 1-7) და შემდეგ წარმართებთან გადადის. წარმართებს შეეძლოთ, ეთქვათ: „მაშ, რატომ იყო, რომ ადრე იუდეველობაზე მოგვაქცევდნენ ხოლმე და სრულ ახლობლობას მხოლოდ იმ ჩვენგანთან ამყარებდნენ, ვინც მთლიანად ემორჩილებოდა რჯულს?“ – „მაშინ სხვაგვარად იყო საქმე“, – პასუხობს მათ მოციქული: „მაშინ იუდეველობა დედამიწაზე ერთი ჭეშმარიტი რელიგია იყო და თქვენ კარგად იქცეოდით, როცა მას იღებდით. ახლა კი, როცა ღმერთმა რჯულის გარეშე შეგითვისათ, რჯულის უძლური სტიქიებისაკენ თქვენს მიქცევას არანაირი აზრი არა აქვს“. (4, 8-10-ზე ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული). რადგან გულს შეუძლია გონების ყველა არგუმენტის წინააღმდეგ წავიდეს, ამიტომ წმინდა მოციქული საჭიროდ მიიჩნევს, თავისი შეგონება გალატეელთა გულებს მიმართოს. ეს მუხლები – მე-11–მე-20, ყველაზე გულისშემძვრელია მთელ ეპისტოლეში. მოციქული შეახსენებს გალატეელებს, თუ როგორ მგზნებარდ მიიღეს მათ მისი ქადაგება, როგორი სიყვარულით აენთნენ მის მიმართ და ნუთუ ყოველივე ამის შემდეგ მისი ქადაგება ამაო აღმოჩნდა? „ეს მამობრივი ხმაა, – ამბობს *ნეტარი თეოდორიტე,* – დამახასიათებელი იმისთვის, ვისაც ახსოვს თავისი შრომა და ვინც ვერ ხედავს ამ შრომის ნაყოფს“. მოციქული ფაქ-

იზად საყვედურობს გალატელებს მის მიმართ გრძნობათა და დამოკიდებულებათა ცვლილებების გამო და მოუწოდებს მათ, განსაჯონ, თუ სად იმალება ამ ცვლილების მიზეზი და თვითონ მიუთითებს ამის მიზეზად ახალ მოძღვრებს, რომელნიც ***„გეშურობდა თქუენ არა კეთილისათჳს“***, არამედ, მხოლოდ, თავიანთი პატივმოყვარეობისათვის. გალატელთადმი მოციქულის მამობრივ სიყვარულს ჩვენ ქვემოთ მოყვანილ ამაღელვებელ ღაღადისში ვხედავთ: ***„შვილნო ჩემნო, რომელთათჳს კუალად მელმის, ვიდრემდე გამოიხატოს ქრისტე თქუენ შორის“*** (მუხ. 19). იუდეველობაზე მიდრეკით, გალატელებმა ერთგვარად შებღალეს თავის გულში ქრისტეს ხატება და ამიტომ წმინდა პავლე მკვეთრად გამოხატული მამობრივი სიყვარულით მოშურნეობს მათში ქრისტეს ამ ხატების აღდგენაზე. „ხედავ მამობრივ სიყვარულს და მოციქულისთვის შესაფერის მწუხარებას? გესმის ღაღადისი, უფრო მწარე, ვიდრე მშობიარეს ღაღადისია?“ – ამბობს წმინდა იოანე ოქროპირი პავლეს ამ შეძახილის შესახებ. ***„ხოლო მინდა მისლვად თქუენდა და აწ და ცვალებად ჴმაჲ ჩემი, რამეთუ განკჳრვებულ ვარ მე თქუენთჳს“***, – ანუ შევცვალო იმის მიხედვით, რასაც ვიხილავდი საკუთარი თვალებით *(ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული)* ან „გარდავაქციო მწუხარედ და დავღვარო ცრემლები და თქვენ ყველანი გაიძულოთ, რომ იტიროთ (4, 20-ზე წმინდა იოანე ოქროპირი).

„გონებასა და გრძნობას, – *ეპისკოპოს თეოფანე დაყუდებულის სიტყვებით,* – როცა ჭეშმარიტების მხარეზე გადადიან, თან ნებაც მიჰყავთ... მაგრამ, მას შეუძლია დაყოვნდეს, გადადოს თავისი გადაწყვეტილება“. აი, რატომაა, რომ წმინდა პავლე შემდგომში ცდილობს, უშუალოდ გალატელთა ნებაზე იმოქმედოს, აჩვენებს, თუ რაოდენ სასახელოა რჯულისაგან თავისუფლად ყოფნა (4, 21-31; 5, 1). ამას იგი

აცხადებს ორი აღთქმის წინასახეებით აგარისა და სარას ისტორიიდან: ***„აბრაჰამს ორ ძე ესხნეს: ერთი*** (ისმაელი) ***მჯეველისაგან*** (აგარისაგან), ***და ერთი*** (ისააკი) ***აზნაურისაგან*** (სარასგან)... ***რომელი-იგი არს იგავად, რამეთუ ესენი არიან ორნი შჯულნი“*** (4, 22-24). აგარი იყო ძველი აღთქმისა და მოსეს რჯულის წინასახე, რომელიც ცოდვისაგან სრულ თავისუფლებას არ იძლეოდა, ამყოფებდა ცოდვის მონობაში, სარა კი ახალი აღთქმის რჯულს წარმოსახავს, რომელიც სრულ გამართლებას და ცოდვისაგან გათავისუფლებას გვაძლევს. ***„არამედ ვითარცა-იგი მაშინ ჯორციელად შობილი იგი სდევნიდა სულიერსა მას, ეგრეთცა აწ“,*** ანუ როგორც ისმაელი სდევნიდა ისააკს, ასევე ახლაც, მოსეს რჯულის უგუნური მიმდევარნი ქრისტიანებს დევნიან. მაგრამ, წერილი ამბობს: ***„განაძე მჯეველი ეგე და ძე მაგისი“,*** ასევე, ჩვენც უნდა დავემშვიდობოთ ძველაღთქმისეულ რჯულს, რათა ჩვენთვის მონიჭებულ სამკვიდრებელში შევიდეთ, რამეთუ ჩვენ, ქრისტიანენი, მხევლის (მონის) კი არა, აზნაურის (თავისუფალის) შვილები ვართ (მუხ. 25-31 მუხლი).

მეხუთე თავში წმინდა პავლე მოციქული მოუწოდებს ქრისტიანებს, მტკიცედ ეპყრათ ქრისტესგან მონიჭებული თავისუფლება და მოსეს რჯულის მონობის უღელს აღარ დაუბრუნდნენ. ***„რამეთუ ქრისტე იესუას მიერ არცა წინადაცუეთილებაჲ რას შემძლებელ არს, არცა წინადაუცუეთელებაჲ, არამედ სარწმუნოებაჲ, სიყუარულისაგან შეწევნული“*** (მუხ. 1-6). ამ თავიდან იწყება ეპისტოლეს **ზნეობითი** ნაწილი, რომელიც მთავრდება შემდეგი თავის მე-10 მუხლში.

მოციქულის მთელი ზნეობითი მოძღვრების ძირითადი აზრი, – რომელიც ზემოთ მოყვანილ ქრისტიანულ თავისუფლებასთან არის დაკავშირებული, – გამოხატულია 13-14

მუხლებში: ***„რამეთუ თქუენ აზნაურებასა ჩინებულ ხართ, ძმანო; გარნა ხოლო აზნაურებაჲ ეგე ნუ მიზეზად ჴორცთა, არამედ სიყუარულისა მისთჳს ჰმონებდით ურთიერთარს. რამეთუ ყოველი შჯული ერთითა სიტყჳთა აღესრულების: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი“.*** რატომ არ მოიხსენია აქ მოციქულმა ღვთის სიყვარული, როგორც პირველი და ყველაზე დიდი მცნება თავად უფალ იესო ქრისტეს სიტყვებისამებრ? (მათ. 22, 36-38). აშკარად იმიტომ, რომ მას აზრად ჰქონდა, განეკურნა გალატელთა ერთმანეთის მიმართ შესუსტებული სიყვარული, ხოლო მოყვასის ჭეშმარიტი სიყვარული თავისთავად ყოველთვის გულისხმობს ადამიანში ღვთის სიყვარულის არსებობას. სულით თავისუფალი ცხოვრება ნიშნავს ცოდვის საქმეთაგან განრინებას, როგორიცაა: სიძვა, მრუშობა, მტრობა, ჩხუბი, შური, სიძულვილი, მკვლელობა, ლოთობა და სხვა; და პირიქით – საკუთარ თავში სულის ნაყოფიერების: სიყვარულის, სიხარულის, მშვიდობის, სულგრძელობის, სახიერების, მოწყალების, სარწმუნოების, სიმდაბლის, თავშეკავების აღზრდას. მოციქული აღნიშნავს, რომ ქრისტიანული ზნეობრივი ცხოვრება იოლად არ გვეძლევა, რომ ის ბრძოლაა – სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ეს თვითჯვარცმაა, რომლის შესახებ აზრი ცხადად არის გამოხატული შემდეგ სიტყვებში: ***„ხოლო ქრისტესთა მათ ჴორცნი თჳსნი ჯუარს-აცუნეს ვნებითურთ და გულის თქუმით“*** (მუხ. 24). ხორცის ეს ჯვარცმა სავსებით აუცილებელია ყველასთვის, ვისაც სულიერი ცხოვრება სურს ***„რამეთუ ჴორცთა გული უთქუამს სულისათჳს და სულსა – ჴორცთათჳს; და ესენი მჴდომ არიან ურთიერთარს“****

* ხორცს სურს სულის საწინააღმდეგო, სულს – ხორცის საწინააღმდეგო; ისინი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან

(მუხ. 17). ამიტომ, თუ ჩვენ გადავწყვეტთ „სულით ცხოვრებას“, მაშინ *„სულითაცა ვეგნეთ“** (მუხ. 25).

მეექვსე თავში წმინდა მოციქული ზნეობითი ხასიათის შეგონებებს აძლევს სრულყოფილებს და შეიძლება ვიფიქროთ – ეკლესიის წინამძღოლებს. ის შეაგონებს მათ, რომ შემცოდენი გამოასწორონ *„სულითა მით მშჳდობისაჲთა“*, არ იამპარტავნონ და არ იქედმაღლონ, თითქოს რამეს წარმოადგენდნენ, არამედ დიდი სიფრთხილით, რომ თავადაც არ ჩავარდნენ იმავე ცოდვაში, რამეთუ ღმერთი, ხშირად, სხვა ცოდვილების მიმართ ამპარტავნებისა და უმოწყალობისათვის, ცოდვაში ჩავარდნას უშვებს სიმდაბლეში მოსაყვანად (მუხ. 1-3). *„ურთიერთას სიმძიმე იტჳრთეთ და ესრეთ აღასრულეთ შჯული იგი ქრისტესი“* (მუხ. 2), – აი, ქრისტიანული სიყვარულის მცნება! შეუსუსტებლად სიკეთის კეთებისათვის უძლიერეს აღმძვრელ მოტივად მოციქული ღვთის ყოვლისმცოდნეობას ასახელებს: *„ნუ სცთებით, ღმერთი არა შეურაცხ-იქმნების“* და იმ საბოლოო ანგარიშგებას, რომელიც თითოეულ ჩვენგანს ელის ამ მიწიერი ცხოვრების დასასრულს: *„რამეთუ რაჲ-ცა-იგი სთესოს კაცმან, იგიცა მოიმკოს“* (მუხ. 7-8). არ უნდა მოგვბეზრდეს კეთილი საქმის კეთება, პირიქით, უნდა ვისწრაფვოთ რაც შეიძლება მეტი სიკეთე ვაკეთოთ, *„ვიდრე ჟამი გუაქუს-ღა“*, სანამ დროა, სანამ სიკვდილი არ გვწვევია.

ეპისტოლეს **დასკვნით ნაწილს** შეადგენს მე-6 თავის მე-11–მე-18 მუხლები. მოციქული აქ აღნიშნავს გალატელების მიმართ თავის განსაკუთრებულ მზრუნველობას და ამ თვალსაზრისით შენიშნავს, რომ ეს ეპისტოლე მან საკუთარი ხელით დაწერა (მუხ. 11), მაშინ, როცა იგი ამას, ჩვეულებრივ,

* სულისმიერ უნდა ვიმოქმედოთ

მწერალთა საშუალებით აკეთებდა (რომ. 16, 22). შემდეგ იგი მიუთითებს თავისი მოქმედების აღმძვრელი მოტივაციის სიწმინდეზე, იმ ცრუმოძღვართა მოტივაციისაგან განსხვავებით, რომლებიც გალატელებს წინადაცვეთას აიძულებდნენ მხოლოდ იმის გამო, რომ ქრისტეს ჯვრისთვის დევნა არ განეცადათ (***„რაჲთა თქუენითა მათ ჯორციითა აქადოდიან“,*** – მუხ. 12-13) და მათი წინადაცვეთის ნიშნების სიმრავლით ეკვეხნათ (აქ ირონიაა). ***„ხოლო ჩემდა ნუ იყოფინ სიქადულ,*** – ამბობს მოციქული, – ***გარნა ჯუარითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისათჳს სოფელი ჩემდამო ჯუარცუმულ არს და მე – სოფლისა“*** (მუხ. 14). ქრისტეს ჯვრით სიქადული ნიშნავს – გვწამდეს, რომ მხოლოდ მისით არის ცხონება. „ამ სარწმუნოების აღმსარებლობით, – *ამბობს მოციქული,* – მე თითქოსდა მკვდარი გავხდი ამა სოფლის ამაოებისათვის და ჩემთვის სულერთია, როგორც ამსოფლიური პატივი, ისე დევნა“; „ქრისტიანობის არსი, – *კვლავ იმეორებს იგი,* – არის ის, რომ გავხდეთ ***„ახალი დაბადებული“,*** და მხოლოდ ამისკენ უნდა ვისწრაფვოდეთ, რამეთუ ვინც ასე ცხოვრობს, ***„მშჳდობაჲ მათ ზედა და წყალობაჲ ისრაელსა ზედა ღვთისასა“.*** ანუ ყველა ჭეშმარიტ ისრაელიანზე – ყველა მორწმუნეზე, ვინც მადლის მოძღვრებას მიჰყვება (მუხ. 15-16). ეპისტოლეს მოციქული ასეთი სიტყვებით ამთავრებს: ***„ამიერითგან შრომასა ნუვინ შემამთხუევნ მე“*** – რამეთუ ყველაფერი ახსნილი და განმარტებულია. შემდგომი კითხვების დასმა და გაკვირვების გამოთქმა მხოლოდ კამათის ავადმყოფობის დაკმაყოფილება იქნებოდა, რაც ფუჭი შრომაა. ყველა საწინააღმდეგო აზრის პასუხი – უფალ იესოს წყლულებია, რომელსაც იგი (პავლე) თავის სხეულზე ატარებს. დაე, მათ დაადასტურონ წმინდა მოციქულის ქადაგების ჭეშმარიტება, „თუკი ვინმე იხილავს სისხლიან და მრავალგან დაჭრილ მეო-

მარს, ნუთუ მას ღალატსა და სიმხდალეში დასდებს ბრალს, – *კითხვას სვამს წმინდა იოანე ოქროპირი,* – როცა იგი თავისი სიმამაცის დასტურს საკუთარი ტანით ატარებს? ასე უნდა იმსჯელოთ ჩემზეც, – ამბობს პავლე".

თავის ეპისტოლეს მოციქული მისთვის ჩვეული სამოციქულო კურთხევით ამთავრებს: ***„მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი სულისა თქუენისა თანა, ძმანო. ამინ"*** (მუხ. 18).

ეპისტოლე ეფესოელთა მიმართ

ეფესოს ეკლესიის დაარსება. ეფესო მდინარე კაისტრის პირას მდებარე მცირე აზიის ზღვისპირა ქალაქი იყო. მას ვაჭრობის, ხელოვნებისა და მეცნიერების ცენტრად იცნობდნენ. ამასთან, ის იყო პროკონსულთა პროვინციის – ასიის, მთავარი ქალაქი-მიტროპოლია; ცნობილი იყო ეფესო, აგრეთვე, როგორც წარმართობის მსხვილი ცენტრი. იქ მდებარეობდა ძველად საქვეყნოდ განთქმული ეფესოს არტემიდას (სხვანაირად, დიანას) ტაძარი და თვით ქალაქიც იმ ქალღმერთისთვის შეწირულად მიიჩნეოდა. იქვე წარმართული მაგიის საყდარიც მდებარეობდა, რომელიც არტემიდას მისტერიიდან მომდინარეობდა: პერგამენტის ნაგლეჯებზე დაწერილ საიდუმლო და გაუგებარ სიტყვებს ამულეტად იყენებდნენ, ისევე, როგორც ქალღმერთისა და მისი ტაძრის გამოსახულებებს, რაც ბევრისთვის შემოსავლის წყარო იყო ქცეული. ეფესოში მრავალი იუდეველიც ცხოვრობდა და იქ თავიანთი სინაგოგა ჰქონდათ გახსნილი.

ეფესოში ქრისტიანული ეკლესიის დამფუძნებელი წმინდა პავლე მოციქული იყო, რომელიც, – როგორც ეს „მოციქულთა საქმის“ წიგნის მე-18 თავიდან (მუხ. 19-21) ჩანს, – ეფესოს პირველად ქრისტეს ხორციელად შობიდან 54-ე წელს ეწვია, როდესაც თავისი მეორე სამოციქულო მოგზაურობიდან იერუსალიმში ბრუნდებოდა. მაშინ პავლე მოციქულმა ეფესოში მხოლოდ მცირე ხანს დაჰყო, რადგან იერუსალიმში დღესასწაულზე ეშურებოდა, მაგრამ მაინც ***„იგი შევიდა შესაკრებელსა და ეზრახა ჰურიათა მათ. და ვითარ იგინი ჰლოცვიდეს უმეტესსა-რე ჟამსა დად-გრომად მათ თანა, არა ინება, არამედ იჯმნა მათგან და***

თქუა: ჯერ-არს ჩემდა დღესასწაულსა ამას მომავალსა იერუსალიმს აღსრულებად და კუალად მოვიდე თქუენდა ნებითა ღვთისაჲთა. შევიდა ნავსა ეფესოჲთ" (საქმ. 18, 19-21). ასე მოხდა ეფესოს პირველი განათლება პავლე მოციქულის ქრისტიანული ქადაგებით, რომელსაც იმ დროს თანამუშაკებად აკვილა და პრისკილა ახლდა. აშკარაა, რომ ეს წარმატებული ქადაგება იყო, რამეთუ მოციქულს იქ დარჩენა სთხოვეს, მაგრამ ეფესოში მხოლოდ აკვილა და პრისკილა დარჩნენ. მალე მათ დამხმარედ ალექსანდრიელი სწავლული იუდეველი აპოლო გამოუჩნდათ, რომელმაც, მართალია, თავიდან მხოლოდ იოანეს ნათლისცემა იცოდა, მაგრამ შემდგომში, იქ ჩასულმა, აკვილასა და პრისკილას შეწევნით საუფლო მოძღვრება შეისწავლა, რაზედაც ისევ „საქმე მოციქულთა" მოგვითხრობს (18, 24-28). სახარების წიგნის მოწმობით, აპოლოსმა, როგორც კაცმა *„სიტყვაში მეცნიერმა და წიგნებში ძლიერმა"*, დიდად შეუწყო ხელი ეფესოში ქრისტიანობის განმტკიცებას. თუმცა მას მალე მოუწია აქაიაში წასვლა და ისე გაემგზავრა იქ კორინთოს გავლით, რომ წმინდა პავლე მოციქულის დაბრუნებას ვეღარ დაელოდა.

ეფესოში წმინდა პავლეს საფუძვლიანი მქადაგებლური მოღვაწეობა მისი მესამე სამოციქულო მოგზაურობისას შედგა, რასაც დაწვრილებით მოგვითხრობს „საქმეთა" წიგნის მე-19 თავი. ეფესოდან აპოლოს წამოსვლისა და კორინთოში მისი ყოფნის დროს, წმინდა პავლე მოციქული, რომელიც იერუსალიმსა და ანტიოქიაში იყო და *„ზემო კერძო იგი ადგილი"* (ფრიგია და გალატია) გაიარა, კვლავ ეფესოში დაბრუნდა. იქ მან დაახლოებით 12 მოწაფე ნახა, რომლებმაც, მსგავსად აპოლოსისა, მხოლოდ იოანეს ნათლისცემა იცოდნენ. მოციქულმა ისინი სარწმუნოებაში განამტკიცა; დაარწმუნა, რომ ქრისტეს ნათლობით მონათლულიყვნენ და

ხელდასხმით გადასცა მათ სულიწმიდის მადლი **(საქმ. 19, 1-7).** ამის შემდეგ, წმინდა პავლე მოციქული შეუდგა ეფესოს სახარებისეული ქადაგებით განათლებას. უპირველეს ყოვლისა, თავისი ჩვეულებისამებრ, მან იუდეველებს მიმართა და სინაგოგაში რეგულარული ქადაგება დაიწყო, რაც სამ თვეს შეუწყვეტლივ გრძელდებოდა, მაგრამ ***„ვითარ-იგი ვინმე განფიცხნებოდეს და ურჩ იქმნებოდეს და ძჳრსა იტყოდეს გზისა მისთჳს წინაშე სიმრავლისა მის, განეყენა მათგან და განაშორნა მოწაფენი იგი და დღითი-დღე ეტყოდა მათ სამწიგნობრესა მას ტჳრანეს ვისსამე“,*** რომელიც, შეიძლება, ვინმე სოფისტი ან სახალხო მასწავლებელი ყოფილიყო, რომლებიც იმ დროს მომრავლებული იყვნენ ბერძნულ ქალაქებში **(საქმ. 19, 8, 9).** ***„და ესე იყო ორ წელ, ვიდრემე ყოველთა დამკჳდრებულთა ასიისათა ესმა სიტყუაჲ უფლისა იესუჲსი, ჰურიათა და წარმართთა“*** (მუხ. 10). წმინდა პავლეს ქადაგება მრავალი ნიშებ-სასწაულებით აღინიშნებოდა **(საქმ. 19, 11-20).** იგი ორ წელიწადს ასწავლიდა ამგვარად და, შედეგად, ღვთის ეკლესიამ იქ ღრმად გაიდგა ფესვები. სამწუხაროდ, ამბოხმა, რომელიც წმინდა მოციქულის წინააღმდეგ ვერცხლისმჭედელმა დემეტრეოსმა მოაწყო, იგი აიძულა, ეფესო დაგეგმილზე ადრე დაეტოვებინა **(საქმ. 19, 21-40; 20, 1).** ამბოხის დაცხრომის შემდეგ, წმინდა პავლე მაკედონიის ეკლესიების მოსანახულებლად გაემგზავრა; სამი თვე ელადაში დაჰყო, შემდეგ კი, კვლავ მაკედონიის გავლით, სირიისკენ აიღო გეზი. გზა ეფესოზე გადიოდა, მაგრამ, რადგანაც პავლეს სურდა, იერუსალიმში სულთმოფენობის დღესასწაულისთვის მიესწრო და შიშობდა, რომ თუ ეფესოში შეივლიდა, იქ დაყოვნება მოუწევდა, ამიტომ გემით მიმავალმა ამ ქალაქს გვერდი აუარა. გემი მელიტონში გაჩერდა, – ეფესოსგან ოდნავ სამხრეთით. იქი-

დან წმინდა მოციქულმა თავისთან მიიწვია ეფესოს ეკლესიის მსახურნი – *„მოუწოდა ხუცესთა ეკლესიისათა“* – უკანასკნელი დარიგების მისაცემად და გამოსამშვიდობებლად. ეს შეხვედრა და გამომშვიდობება ფრიად ამაღელვებელი აღმოჩნდა. მოციქულმა მათ მიმართა: *„თქუენ იცით პირველ დღითგან, ვინაჲთგან შემოვედ ასიად, თუ ვითარ ვიყავ თქუენ თანა ყოველსა ჟამსა, და ვჰმონებდ უფალსა ყოვლითა სიმდაბლითა და მრავლითა ცრემლითა და განსაცდელითა, რომელნი შემემთხუეოდეს მე ძჳრის ზრახვათაგან ჰურიათაჲსა. ვითარ-იგი არარაჲ დავაყენე უმჯობესი თქუენი, რომელიმცა არა გითხარ და გასწავე თქუენ ერსა წინაშე და სახლსა შინა. და უწამებდ ჰურიათა და წარმართთა ღვთისა მიმართ სინანულსა და სარწმუნოებასა უფლისა მიმართ ჩუენისა იესუ ქრისტესა. და აწ ესერა კრული სულითა მივალ იერუსალიმს და, მუნ თუ რაჲ შემთხუევად არს ჩემდა, არაჲ ვიცი; გარნა სული წმიდაჲ ქალაქად-ქალაქად მიწამებს მე და მეტყჳს, რამეთუ კრულებანი და ჭირნი მელიან მე. არამედ არარას ვზრუნავ ამისთჳს, არცა უპატიოსნეს სულისა ჩემისა შემირაცხიეს თავი ჩემი, ვითარმცა არა აღვასრულე სრბაჲ ჩემი სიხარულით და მსახურებაჲ, რომელი მოვიღე უფლისა იესუ ქრისტესგან წამებად სახარებაჲ იგი მადლისა ღვთისაჲ. და აწ აჰა-ესერა მე უწყი, რამეთუ არღარა იხილოთ პირი ჩემი თქუენ ყოველთა, რომელთა შორის ვიქცეოდე და ვქადაგებდ სასუფეველსა ღვთისასა. ვინაჲცა გიწამებ თქუენ დღენდელსა ამას დღესა, რამეთუ უბრალო ვარ მე სისხლისაგან თქუენ ყოველთაჲსა. რამეთუ არარაჲ დავაყენე, რომელიმცა არა გითხარ თქუენ ყოველივე ნებაჲ ღვთისაჲ. ეკრძალენით უკუე თავთა თქუენთა და ყოველსავე სამწყსოსა, რომელსა-ეგე თქუენ სულმან წმიდამან*

დაგადგინნა მოღუაწედ და მწყსად ეკლესიასა უფლისა ღვთისასა, რომელი მოიგო სისხლითა თჳსითა. და აჰა მე უწყი ესე, რამეთუ შემოვიდენ თქუენდა შემდგომად განსლვისა ჩემისა მგელნი მძიმენი, რომელნი არა ერიდეზოდიან სამწყსოსა. და თჳთ თქუენგანნი აღდგენ კაცნი, რომელნი იტყოდიან გულარძნილსა, რაჲთა განადგინნენ მოწაფენი შემდგომად მათდა. ამისთჳს იღჳძებდით და მოიჯსენეთ, რამეთუ სამსა წელსა ღამით და დღით არა დავსცხრებოდე ცრემლით სწავლასა კაცად-კაცადისა თქუენისასა“ (საქმ. 20, 18-31). ლოცვის შემდეგ ხუცესებმა ტირილით გააცილეს წმინდა მოციქული გემამდე და დაემშვიდობნენ (**საქმ. 20, 36-38**). ამით დასრულდა წმინდა პავლეს უშუალო ურთიერთობა ეფესოელებთან, მაგრამ არ დასრულებულა მისი ზრუნვა მათზე, რასაც მისი ეპისტოლე მოწმობს.

შემდგომში, ეფესოს საეპისკოპოსო კათედრა სიკვდილამდე წმინდა პავლე მოციქულის უერთგულეს მოწაფეს, წმინდა ტიმოთეს ეპყრა. ხოლო მის შემდეგ იქ ცხოვრობდა და მცირე აზიის ეკლესიებს იქიდან განაგებდა ქრისტეს საყვარელი მოწაფე იოანე ღვთისმეტყველი. 431 წელს ეფესოში მესამე მსოფლიო საეკლესიო კრება ჩატარდა.

ეპისტოლეს დაწერის მიზეზი. თვით ეპისტოლეში არ ჩანს რამე განსაკუთრებული მიზეზი, რასაც შეეძლო, წმინდა პავლე მოციქული მის დასაწერად აღეძრა. როგორც მასში მოყვანილი მრავალი ადგილიდან ჩანს, ის წმინდა პავლეს მიერ დაწერილია პატიმრობაში ყოფნისას (3, 1; 4, 1 და სხვა). მთელი ამ ეპისტოლეს ამაღლებული ტონით თუ ვიმსჯელებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ წმინდა პავლე მოცი-

ქული მის დასაწერად განაწყო ეფესოელთათვის იმ მაღალი ჭვრეტის უწყების სურვილმა, რომელშიც იგი სულიწმიდამ შეიყვანა პატიმრობაში მისი ყოფნის დროს *(ეპისკოპოს თეოფანე დაყუდებულის განმარტებით).* სხვა მიზეზი შეიძლება ყოფილიყო მოციქულის სურვილი, ენუგეშებინა ეფესოელნი, რომელნიც იმ უბედურებათა გამო წუხდნენ, რაც მათ სულიერ მამასა და მოძღვარს დაატყდა თავს (**ეფეს. 3, 13**). დაბოლოს, მესამე მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ეფესოელთა გაფრთხილება, რათა ისინი მორიდებოდნენ ცრუმოძღვრებს, ასევე იმათ სწავლებას, ვინც ჯერ კიდევ იუდეველობდა. ეპისტოლეს მე-3 თავის მე-3-4 მუხლებიდან ჩანს, რომ მოციქულს სურდა გაეცხადებინა ეფესოელთათვის მისთვის საღვთო გამოცხადებით უწყებული ***„განგებულებაᲘ იგი საიდუმლოᲘსაᲘ“***, იმის შესახებ, რომ წარმართები იუდეველთა თანასწორად არიან ხმობილნი ცათა სასუფეველში (3, 6-9).

ეპისტოლეს დაწერის დრო და ადგილი. ამ ეპისტოლეს დაწერის ადგილისა და დროის შესახებ ყველა კომენტატორი როდი რიგდება ურთიერთშორის. ეჭვს არ ტოვებს მხოლოდ ის, რომ წმინდა პავლე მოციქულმა ეპისტოლე პატიმრობაში დაწერა, რამეთუ ის მასში თავის თავს არაერთხელ უწოდებს „იესო ქრისტეს პატიმარს“ (***„კრული ქრისტე იესუᲘსი“*** – 3, 1), „უფლის პატიმარს“ ***(„კრული ესე უფლისა მიერ“ – 4, 1);*** ამბობს, რომ „ბორკილებით ელჩობს“ ***(„ვციქუ ჯაჭვთურთ“ – 6, 20).*** ცნობილია, რომ წმინდა პავლე ბორკილდადებული იყო პალესტინის კესარიაში, სადაც იქაურ მმართველს – ფელიქსს იგი ორი წლის განმავლობაში ჰყავდა დატყვევებული, სანამ კეისრის სამსჯავრო არ მოითხოვა, რის შემდეგაც იგი რომში გაგზავნეს (**საქმ. 23, 35; 24, 27; 25, 10, 11**), სადაც, ასევე, პატიმრობაში იმყოფებოდა (**საქმ. 28, 16**). რომში გა-

ნასხვავებენ პირველ და მეორე პატიმრობას, რომელთა შორისაც, როგორც ვარაუდობენ, გარკვეული დროის მონაკვეთი არსებობდა. ეფესოელთა მიმართ ეპისტოლეზე ძველ წარწერებს მიაკუთვნებენ რომის პატიმრობის პერიოდს, მაგრამ, რადგან მასში მოციქული არაფერს ამბობს მოახლოებულ აღსასრულზე, როგორც ამას გვიანდელ, ტიმოთეს მიმართ რომიდან დაწერილ ეპისტოლეში აკეთებს **(2 ტიმ. 4, 6)**, არამედ იმედოვნებს, რომ კვლავაც თამამად ***(„განცხადებულად“)*** იქადაგოს სახარების საიდუმლოებანი **(ეფეს. 6, 19, 20)**, ამიტომ, ეს შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ პირველი პატიმრობა ყოფილიყო.

ეპიკოპოსი თეოფანე დაყუდებული მიიჩნევს, რომ ეფესოელთა მიმართ ეპისტოლე დაწერილია პალესტინის კესარიიდან, იმის საფუძველზე, რომ: 1) ეპისტოლეში არ არის რაიმე მითითება ეფესოს ეკლესიაში ცვლილებათა თაობაზე ცუდი ან კარგი მიმართულებით, საიდანაც უნდა ვივარაუდოთ, რომ ის ძალზე მალეა მას შემდეგ დაწერილი, რაც წმინდა პავლემ ეფესო დატოვა; 2) წმინდა პავლე სთხოვს ეფესოელთ, ილოცონ, რათა მან თავისი პირით განცხადებულად იქადაგოს სახარების საიდუმლო: ეს უფრო კესარიის პატიმრობას ჰგავს, ვიდრე რომისას, რამეთუ მოციქული რომში დიდი თავისუფლებით სარგებლობდა, ყველას მიღება და ***„ყოვლითა განცხადებულებითა დაუბრკოლებელად“*** ქადაგება შეეძლო, მაშინ როცა კესარიაში იგი მკაცრ პირობებში იყო და ყველას არ ეძლეოდა მასთან შესვლის უფლება (**საქმ. 28, 30, 31** და **საქმ. 24, 23**). ეპისკოპოს თეოფანე დაყუდებულის აზრით, ისეთ ქმედით მოციქულს, როგორიც წმინდა პავლე იყო, ორი წელი ტყვეობაში უქმად ყოფნა არ შეეძლო და ამიტომ მის მიერ მოქცეულ ქრისტიანებს წერილებს სწერდა და სარწმუნოებას ასწავლიდა. თუ თეოფანე დაყუდებულის

ამ არგუმენტს გავითვალისწინებთ, ეფესოელთა მიმართ ეპისტოლე კესარიაში 60 ან 61 წელს არის დაწერილი. სხვა განმმარტებლები – ადარებენ რა ეფესოელთა მიმართ ეპისტოლეს სხვა ეპისტოლეებს და პოულობენ, რომ ის კოლასელთა და ფილიმონის მიმართ ეპისტოლეების თანადროულად და ფილიპელთა მიმართ ეპისტოლეს დაწერიდან მცირე ხნის შემდეგ არის დაწერილი (შდრ. **ეფეს. 6, 21 და კოლას. 4, 7, 8**) – მიიჩნევენ, რომ ეფესოელთა მიმართ ეპისტოლე რომიდან არის დაწერილი 62 ან 63 წელს. ეს ეპისტოლე ისევე როგორც კოლასელთა მიმართ ეპისტოლე, წმინდა პავლე მოციქულმა ტვიქიკეს ხელით გაგზავნა და, ამასთან, დაავალა, რომ თავისი მდგომარეობის შესახებ ამ ეკლესიებისათვის დაწვრილებით მოეყოლა.

ეპისტოლეს ნამდვილობა. მარკიონის წინააღმდეგ თავის პოლემიკაში, ტერტულიანე ამბობს, რომ მარკიონელები ეფესოელთა მიმართ ეპისტოლეს არა ეფესოს, არამედ ლაოდიკიის ეკლესიის მიმართ დაწერილად მიიჩნევდნენ. ზოგიერთ ძველ ხელნაწერში სიტყვა „ენ ეფესო“ – „ეფესოელთა მიმართ“ – გამოტოვებულია, სხვებში მხოლოდ ფურცლების მინდვრებზე გვხვდება. ამავე დროს, კოლასელთა მიმართ ეპისტოლეში, რომელიც მსგავსი შინაარსისაა და დროის მითითების მიხედვით ეფესოელთა მიმართ ეპისტოლეს თანადროულია (შდრ. **ეფეს. 6, 21 და კოლას. 4, 7**), მოციქული ლაოდიკიის ეკლესიის მიმართ ეპისტოლეზე საუბრობს, ასეთი ეპისტოლე კი ჩვენ არ გვაქვს. დაბოლოს, ეფესოელთა მიმართ ეპისტოლეში არ არის პირადი ხასიათის ჩვეული მისალმებანი, რაც ბუნებრივი იქნებოდა, რამეთუ პავლემ მთელი სამი წლის განმავლობაში დაჰყო ეფესოში. ახალ კრიტიკოსებს ყოველივე ეს იმის საბაბს აძლევს, რომ ეპისტოლეს ნამდვილობა უარყ-

ონ. თუმცა, ჯერ კიდევ *წმინდა ეგნატე ღმერთშემოსილი*, რომელმაც თავადაც დაწერა ეფესოელთა მიმართ ეპისტოლე, წმინდა პავლე მოციქულის ასეთივე ეპისტოლეს არსებობას ამოწმებს. ამ დროს ყველა გაუგებრობა იოლად აღმოიფხვრება, თუკი მივიღებთ, რომ ეფესოელთა მიმართ ეპისტოლე ნამდვილი შინაარსით საყოველთაო ეპისტოლე იყო, რომელიც არა მხოლოდ ეფესოს ეკლესიას, არამედ მცირე აზიის ყველა ეკლესიას და, მათ შორის, ლაოდიკიის ეკლესიასაც მიემართებოდა, რომელთან დამოკიდებულებითაც ეფესოს ეკლესია შეიძლება მიტროპოლიად ჩათვლილიყო. ეფესოელთა მიმართ ეპისტოლეს ნამდვილობას ასევე ადასტურებენ წმინდა *პოლიკარპე სმირნელი, წმინდა ირინეოს ლიონელი* და *წმინდა კლიმენტი ალექსანდრიელი*, რომლებსაც ამ ეპისტოლედან სიტყვასიტყვით მოჰყავთ ზოგიერთი გამონათქვამი.

ეპისტოლეს შინაარსი და მისი დაყოფა. ეფესოელთა მიმართ ეპისტოლე ექვს თავს შეიცავს. მისი მთავარი საგანი, როგორც ამის შესახებ თვით ავტორი საუბრობს (ეფეს. 3. 2-9), არის ღვთის განგებულების საიდუმლოს უწყება, შემდეგ კი მისგან გამომდინარე ზნეობითი მოთხოვნილებების ჩამოყალიბება. ამის შესაბამისად, ეპისტოლე ბუნებრივად იყოფა ორ თანაბარ ნაწილად:

1) დოგმატური, რომელიც პირველ სამ თავს შეიცავს და

2) ზნეობითი, რომელიც შეიცავს დანარჩენ სამ თავს (4-6).

დოგმატური ნაწილი წარმოადგენს მთავარი ქრისტიანული ჭეშმარიტებების მოკლე გადმოცემას. უპირატესად ის ავითარებს ეკლესიის, როგორც ქრისტეს სხეულის იდეას; ზნეობითი ნაწილი ასწავლის სარწმუნოების ერთიანობას და ზნეობრივ მოღვაწეობაში ერთსულოვნებას და, ამასთან, აიარაღებს სულიერი ბრძოლისათვის. საერთოდ, ეს ეპისტოლე

ძალზე მნიშვნელოვანია და ქრისტიანობის ბრწყინვალე აპოლოგიას წარმოადგენს. *წმინდა იოანე ოქროპირი* და *ნეტარი იერონიმე* ამ ეპისტოლეს საიდუმლოებრივ სიღრმეზე მიუთითებენ, ხოლო *წმინდა ათანასე* მას ქრისტიანული მოძღვრების კატეხიზმოს უწოდებს. მრავალი განმმარტებელი მასში მთელი სამოციქულო მოძღვრების პროგრამას ხედავს.

ეპისტოლეს ეგზეგეტიკური გარჩევა. ეფესოელთა მიმართ ეპისტოლე ჩვეული ზედწარწერითა და სამოციქულო მისალმებით იწყება: ***„პავლე, მოციქული იესუ ქრისტესი ნებითა ღვთისაჲთა, წმიდათა მაგათ, რომელნი ხართ ეფესოს შინა, და სარწმუნოთა ქრისტე იესუას მიერ: მადლი თქუენდა და მშჳდობაჲ ღვთისა მიერ მამისა ჩუენისა და უფლისა იესუ ქრისტესა“*** (მუხ. 1-2).

მე-3 მუხლიდან იწყება ეპისტოლეს დოგმატური ნაწილი. წმინდა მოციქული, უპირველეს ყოვლისა, ქებას და მადლობას უძღვნის ღმერთსა და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მამას, რომელმაც გვაკურთხა წმინდა ცხოვრებისათვის და გამოგვირჩია ***„უწინარეს სოფლის დაბადებისა“***, რაც იესო ქრისტეს მეშვეობით მამა-ღმერთის მიერ ჩვენ შვილად მიღებას გულისხმობს, რომელმაც (ქრისტემ) თავისი სისხლით გამოგვისყიდა და ადამიანებს ღვთის კეთილი ნების საიდუმლო გაგვიცხადა და რომელიც ყოველივე ზეციურისა და მიწიერის თავად იქცა და ჩვენც ღვთის მემკვიდრეებად გვყო (მუხ. 3-12). შემდეგ მოციქული თავის სულიერ მზერას ეფესოელებს მიაპყრობს, რომლებმაც ქრისტე ირწმუნეს და შესაბამისად, მის მიერ მონიჭებულ სიკეთეთა მონაწილენი გახდნენ. იგი ჰმადლობს ღმერთს მათთვის, იხსენიებს თავის ლოცვებში და უფალს შესთხოვს, რომ მისცეს მათ სული სიბრძნისა და განანათლოს თვალნი გულისა მათისანი, რათა

შეიცნონ მისი მემკვიდრეობის სიმდიდრე და მისი ძლიერების სიმტკიცე (მუხ. 13-19).

მე-20–23-ე მუხლები შეიცავს მნიშვნელოვან სწავლებას მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს შესახებ, კერძოდ მის იმ ნაწილს, სადაც იგი, როგორც ღმერთკაცი, არის ყველა ქმნილებაზე ***„უზეშთაეს“*** და მისდამი არის დამორჩილებული ყოველივე არსებული. აქ ჩვენ ვხედავთ კაცობრივი ბუნების განდიდებას ჩვენი მაცხოვრის მიერ, მოწმობას იმის შესახებ, რომ უფალი იესო ქრისტე, თუნდაც როგორც კაცი, არის ცისა და მიწის, ანგელოზთა და ადამიანთა მეუფე და უფალი. ***„და იგი მოსცა მთავრობად ზეშთა ყოველთა ეკლესიასა, რომელი-იგი არს გუამი მისი, აღსავსებაჲ იგი, რომელმან ყოველივე ყოველსა შინა აღავსო“*** (მუხ. 22-23). როგორც ეკლესიის თავის, ანუ იესო ქრისტეს შესახებ ეს სწავლება ძალზე მნიშვნელოვანია. როგორც ჩვენი სხეულის ნაწილები თავთან ერთად ერთ ცოცხალ ორგანიზმს ქმნიან, ასევე ყველა მორწმუნე ქრისტესთან ერთად იგი ერთ სხეულებრივ-სულიერ ორგანიზმს ქმნის. „ქრისტეში მონათლულები მისით იმოსებიან, მასთან ერთ მთლიანობას შეადგენენ. ამიტომ ქრისტიანებში ქრისტე მოქმედებს, როგორც შემოქმედებითი და განმაცხოველებელი ძალა *(ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული)*. თავზეა დამოკიდებული სხეულის მთელი ცხოვრება – ორგანული და მექანიკური. ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც, თავი, როგორც ტვინის ადგილსამყოფელი, რომელიც გონებრივი მოქმედებისა და გარეგნული შეგრძნებების მთავარი ორგანოა, სულიერი ცხოვრების მთავარ წყაროდ, მის ხელმძღვანელ საწყისად არის აღიარებული. მოციქულის ეს შედარება გამოხატავს იმ აზრს, რომ ეკლესია მთლიანად უფალ იესო ქრისტეზეა დამოკიდებული, რომ ქრისტე თვითონ ხელმძღვანელობს თავის ეკლესიას.

„აღსავსებაᲐ იგი, რომელმან ყოველივე ყოველსა შინა აღავსო“ (მუხ. 23), – ეს სიტყვები ბუნდოვანია და სხვადასხვა აზრს გვთავაზობს. ყველაზე სწორი იქნება, რომ ეს სიტყვები ასე გავიგოთ: ეკლესია სულიერი ორგანიზმია, სადაც არ არის ისეთი ადგილი, სადაც ქრისტეს საღვთო ძალები არ მოქმედებდნენ. „იგი აღსავსეა ქრისტეთი. ქრისტე მას მთლიანად აღავსებს“ *(ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული).* წმინდა იოანე ოქროპირი განმარტავს, თუ რატომ არ შემოიფარგლა მოციქული მხოლოდ იმით, რომ ეწოდებინა ეკლესიისათვის ქრისტეს სხეული, ხოლო ქრისტესთვის – მისი თავი: „რათა შენ, როცა სიტყვა „თავს“ მოისმენ, არ მიიღო იგი მხოლოდ ხელმწიფების აზრით, არამედ საკუთრივი მნიშვნელობითაც; რათა არ ჩათვალო იგი მხოლოდ მეთაურად, არამედ მასში ნამდვილი თავი დაინახო. მოციქული ამატებს: ***„აღსავსებაᲐ იგი*** (ანუ ეკლესია არის სავსება), ***რომელმან ყოველივე ყოველსა შინა აღავსო***“. მოციქული „თავის“ დასახელებას თითქოსდა არასაკმარისად მიიჩნევს, იმისათვის, რომ ქრისტესთან ეკლესიის ნათესაობა და სიახლოვე გვიჩვენოს“.

მეორე თავში მოციქული იმაზე ლაპარაკობს, რომ ღმერთის განგებულების მოქმედებათა სიდიადე გაცხადდა სულიერად მკვდარ ადამიანთა განცხოველებაში, თითქოსდა, მათ მკვდრეთით აღდგენაში, რომლებიც ღმერთმა უკიდურესი დამცირებიდან აღამაღლა და განადიდა. ეს მხოლოდ ღვთის მადლმა მოიმოქმედა, ადამიანის მხრიდან რაიმე დამსახურების გარეშე: ***„რამეთუ მადლითა ხართ გამოჴსნილ სარწმუნოებისა მიერ, და ესე არა თქუენგან, არამედ ღვთისა ნიჭი არს: არა საქმეთაგან, რაᲐთა არავინ იქადოს“*** (2, 8, 9), – ეს სიტყვები ძალიან უყვართ სექტანტებს და მათი დახმარებით, ცხონებისათვის კეთილ საქმეთა არასაჭიროების შესახებ თავისი ცრუსწავლების დამტკიცებას ცდილობენ. მაგრამ, ხომ

ცხადია, რომ აქ ლაპარაკია მხოლოდ პირველ მომენტზე, თვით ღმერთის მიერ ცხონების განგებულებაზე და არა ადამიანთა მიერ ამ ცხონების შეთვისებაზე. ამ უკანასკნელზე ნათქვამია: ***„რამეთუ მისნი შექმნულნი ვართ და დაბადებულნი ქრისტე იესუს მიერ საქმეთათჳს კეთილთა, რომელთათჳს წინაწარ განჰმზადა ღმერთმან, რაჲთა მათ შინა ვიდოდით“*** (მუხ. 10). ყველა ამ სიტყვის აზრი ის არის, რომ „ცხონება ჩვენ განგებულებით გვეძლევა და მოწოდებულნი ვართ მის მისაღებად არა რაიმე საქმისათვის, არამედ მხოლოდ მადლის მიერ. მაგრამ, მოწოდებულნი ვართ არა იმისათვის, რომ ჩვენი მხრიდან არაფერი ვაკეთოთ, არამედ რათა გავმდიდრდეთ კეთილი საქმეებით და ამით ჩვენი ცხონება განვახორციელოთ“ *(ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული).*

შემდეგ, მოციქული საუბრობს ღვთის უდიდეს სახიერებაზე, რომელმაც ისე განაგო, რომ აქამდე ერთმანეთისთვის უცხო წარმართები და იუდეველები ერთ სხეულში შეერთდნენ ***„სისხლითა მით ქრისტესითა“.*** უფალმა თითქოსდა ხელახლა შექმნა კაცობრიობა (მუხ. 11-15), იუდეველნიც და წარმართნიც ღმერთთან ჯვრის მიერ შეარიგა, მოკლა (მოაშთო) რა მასზე ცმულმა მტრობა, ანუ ღმერთთან მტრობა, რაც მისგან ამ ორივე ხალხს განაშორებდა მათი ცოდვიანობის მიზეზით. წმინდა პავლე აქაც ხაზს უსვამს ახალ აღთქმაში ძველაღთქმისეული რჯულის გაუქმებას შემდეგი სიტყვებით: ***„შჯული იგი მცნებათაჲ მათ ბრძანებითა განაქარვა“*** (მუხ. 15) და ***„შუაკედელი ზღუდისაჲ მის დაჰჴსნა“*** (მუხ. 14), ესე იგი, ზღვარი დაუდო რჯულს, რომელიც კედელივით ჰყოფდა იუდეველებსა და წარმართებს. ***„და მოვიდა და გახარა მშჳდობაჲ თქუენ, შორიელთა და მახლობელთა“*** (მუხ. 17), – ქრისტეს სახარების არსი ის იყო, რომ ძე ღვთისამ, რომელიც განკაცდა და ჯვარზე ევნო ჩვენთვის, ღმერთთან შეგვარიგა. „შორეულებს“

მოციქული წარმართებს უწოდებს, „ახლობლებს“ კი – იუდეველებს *(ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით).* ქრისტიანობაში შეერთებულმა იუდეველებმა და წარმართებმა ერთი ეკლესია შეადგინეს, როგორც ერთი შენობა, რომელიც მოციქულებისა და წინასწარმეტყველების საძირკველზე და ქვაკუთხედზე (თავკიდურ ლოდზე) – უფალ იესო ქრისტეზეა დამტკიცებული და ერთი სულით არის შედუღაბებული (მუხ. 17-22). აქ მნიშვნელოვანია, რომ ქრისტე არის ქვაკუთხედი, რომელზედაც დაფუძნებულია ეკლესია და არა პეტრე მოციქული, როგორც ამას ლათინი რომაელ-კათოლიკენი ამტკიცებენ.

მესამე თავში მოციქული საუბრობს ეკლესიაში წარმართთა მოწოდების საიდუმლოს სიწმინდეზე და იმაზე, რომ სწორედ მას აქვს მიცემული მადლი, რათა წარმართებს ქრისტეს ეს საიდუმლო აუწყოს. ამ ქადაგების გამო იგი იუდეველთაგან დიდ შეჭირვებას განიცდის, მაგრამ არ ცხრება და ეფესოელებსაც მოუწოდებს, რომ მასზე არ იმწუხრონ (1-13 მუხლი). მოციქული ეპისტოლეს დოგმატურ ნაწილს ეფესოელთა შესახებ ლოცვით ამთავრებს (მუხ. 14-21), რათა ისინი ქრისტეს სარწმუნოებასა და სიყვარულში განმტკიცდნენ და ჰყონ *„ცნობად გარდარეული იგი მეცნიერებისა სიყუარული ქრისტესი,* რათა აღივსონ *ყოვლითა სავსებითა ღვთისაჲთა“* (მუხ. 19), ანუ ყველა იმ სათნოებით, რითაც აღვსებულია ღმერთი, „რათა მთლიანად დამკვიდრდეს იგი თქვენში“ – ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით. უსურვებს რა ეფესოელებს ქრისტიანულ სრულყოფილებას, წმინდა მოციქული დიდებას აღუვლენს ღმერთს ეკლესიაში *„ქრისტე იესუს მიერ ყოველთა ნათესავთა მიმართ საუკუნეთა უკუნისამდე“* (მუხ. 20-21).

ეფესოელთა მიმართ ეპისტოლეს მეორე ნახევარი, რომელიც ბოლო სამ თავს (4-6) შეიცავს, ზნეობრიობაში განსას-

წავლ ნაწილს წარმოადგენს. პირველ სამ თავში იმის ახსნის შემდეგ, რომ ყველა ქრისტიანი ერთ სხეულს შეადგენს ერთი თავით – ქრისტეთი, წმინდა მოციქული ეპისტოლეს ამ მთავარი აზრიდან ასკვნის, თუ როგორ უნდა ცხოვრობდნენ და მოქმედებდნენ ქრისტეში გაერთიანებული და განახლებული ქრისტიანენი. თავიდან იგი წარმოსახავს: 1) ცხოვრების ზოგად მოწყობას, რომლის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია სარწმუნოებაში ერთსულოვნება (4, 1-16); 2) ყველა სოციალური ფენის ქრისტიანისათვის საერთო ცხოვრების წესს (4, 17-5, 21); 3) ცხოვრების კერძო წესს სხვადასხვა მდგომარეობისათვის, სადაც ჩამოთვლის ურთიერთ ვალდებულებებს მეუღლეებს, შვილებსა და მშობლებს, და მონებსა და ბატონებს შორის (5, 22-6, 9); დაბოლოს, 4) ზოგადად მოუწოდებს ყველა ქრისტიანს ამა სოფელთან და ცოდვასთან ბრძოლას და გვამცნობს ქრისტიანული მოღვაწეობის წესებს (6, 10-18).

მეოთხე თავში წმინდა მოციქული ქრისტიანებს შეაგონებს, რომ იმ წოდების შესაფერისად მოიქცნენ, რომელშიც ჩინებულნი (ხმობილნი) არიან, ანუ ქრისტიანთა წოდებისა. ამას საფუძვლად უნდა ედოს სიმდაბლე, სიმშვიდე, სულგრძელება და სიყვარული. უმთავრესად კი ქრისტიანები უნდა ესწრაფვოდნენ ***„ერთობასა მას სულისასა საკვეელითა მით მშჳდობისაჲთა“*** (მუხ. 3). ყველაზე ძლიერ აღმძვრელ ძალად, ასეთი სულიერი ერთობისათვის, წმინდა მოციქული წარმოაჩენს იმას, რომ ქრისტიანებისთვის ***„ერთ არს უფალ, ერთ სარწმუნოება, ერთ ნათლის-ღებაჲ, ერთ არს ღმერთი და მამაჲ ყოველთაჲ რომელი ყოველთა ზედა არს და ყოველთა მიერ და ჩუენ ყოველთა შორის“*** (მუხ. 1-6). თითოეულ მორწმუნეს, როგორც ორგანიზმში ცალკეულ წევრს, განსაკუთრებული მადლი ეძლევა, განსაკუთრებული ნიჭი,

რომლითაც იგი სხვებს უნდა ემსახუროს საერთო სარგებელისათვის. ნიჭთა სხვადასხვაგვარობა არამცთუ ხელს არ უშლის ერთსულოვნებას, არამედ პირიქით, უფრო მეტად აერთიანებს ქრისტიანებს, მსგავსად იმისა, როგორც სხეულის ნაწილების სხვადასხვაგვარობა ხელს არ უშლის თვით ამ სხეულის გაზრდას და ურთიერთთანადგომით განმტკიცებას. სწორედ თავისი ეკლესიის სხეულის ამ მშვიდობიანი და სასიყვარულო აღმშენებლობისა და აღორძინებისათვის, ***„დასამტკიცებლად წმიდათა, საქმედ მსახურებისა, აღსაშენებელად გუამისა ქრისტესისა“*** (მუხ. 12), ქრისტემ ***„მოსცნა რომელნიმე მოციქულნი, რომელნიმე წინაჲსწარმეტყველნი, რომელნიმე მახარებელნი, რომელნიმე მწყემსნი და მოძღუარნი“*** (მუხ. 11). აქ აშკარად მტკიცდება საეკლესიო იერარქიის ღვთივდადგენილება პროტესტანტთა და სექტანტთა სამხილებლად, რომლებიც კანონიერ იერარქიას უარყოფენ. საეკლესიო იერარქიის დადგენის მიზანია, დაეხმაროს მორწმუნეთა სულიერ სრულყოფას: ***„ვიდრემდე მივიწინეთ ყოველნი ერთობასა სარწმუნოებისასა და მეცნიერებასა ძისა ღვთისასა, მამაკაცად სრულად, საზომად ჰასაკისა სავსებისა მის ქრისტესისა“*** (მუხ. 13), ესე იგი, ვიდრე „ყველა სრულ განსვენებას მიაღწევს ღმერთში და თავის თავში ღვთის ღირსეულ საცხოვრისს შექმნის მის დასამკვიდრებლად. სწორედ ეს არის ქრისტეს სავსების ასაკის საზომი“ *(ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული).* ქრისტიანული ზნეობით ცხოვრების მთავარი ამოცანაა, არ ვიყოთ ჩვილნი, რომელნიც ყოველგვარი მოძღვრების ქარით ირყევიან და მიიტაცებიან, არამედ, ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად, ურთიერთსიყვარულით გაერთიანებულებმა, ავაღორძინოთ ქრისტეს ეკლესიის სხეული ***„მისა მიმართ ყოველსა, რომელ არს თავ მისა ქრისტე“*** (მუხ. 7-16).

ამ თავის მეორე ნაწილში წმინდა მოციქული გამოხატავს წარმართთა (როგორნიც ადრე იყვნენ ეფესოელნი) ცხოვრების უარყოფით მხარეებს და შეაგონებს მათ: ***„განიშორეთ თქუენგან პირველისა მისებრ სლვისა თქუენისა ძველი იგი კაცი, განხრწნილი გულის თქუმისა მისებრ საცთურისა... და შეიმოსეთ ახალი იგი კაცი, ღვთისა მიერ დაბადებული, სიმართლითა და სიწმიდითა ჭეშმარიტებისაჲთა“*** (4, 22, 24). ეს შინაგანი განახლება, უპირველეს ყოვლისა, სიმართლეში უნდა გამოიხატოს: ***„ამისთჳს განიშორეთ ტყუილი, იტყოდეთ ჭეშმარიტსა კაცად-კაცადი მოყუსისა თჳსისა თანა“*** (მუხ. 25); შემდეგ – ურისხველობაში: ***„გული გიწყრებოდენ, და ნუ სცოდავთ: მზე ნუ დაჰვალნ განრისხებასა თქუენსა“*** (მუხ. 26), ანუ მზის ჩასვლამდე შეურიგდით მათ, ვისზეც განრისხდით; შემდეგ მოციქული შეაგონებს, არ იპარონ, – საკუთარი ხელით იშრომონ, ***„რაჲთა აქუნდეს მიცემად, ვის-იგი უჴმდეს“*** (მუხ. 28); ერიდონ უშვერ ანუ ბილწ სიტყვებს, და თავმდაბალნი და მაგალითის მიმცემნი იყვნენ საუბრებში, თავისი ცუდი საქციელით არ შეურაცხყონ სულიწმიდა; ყოველგვარ კამათს და განხეთქილებას, რისხვას, გულისწყრომას, ავსიტყვაობას, ყვირილსა და გააფთრებას განერინონ და ერთმანეთის მიმართ იყვნენ კეთილნი, თანამგრძნობნი და მიმტევებელნი, ***„ვითარცა-იგი ღმერთმან ქრისტეს მიერ მოგუმადლა*** (მოგვიტევა) ***ჩუენ“*** (მუხ. 17-32).

მეხუთე თავში წმინდა მოციქული ისეთივე ზნეობრივ დარიგებებს განაგრძობს და ქრისტიანებს არწმუნებს, რომ სიყვარულში ღმერთს უნდა მიბაძონ, როგორც შვილები ბაძავენ მამას და მისგან ყოველგვარი მაგალითი აიღონ (1-2 მუხლი). წმინდა მოციქული ზნეობრივი ცხოვრებისაკენ აღძრავს მსმენელს, როცა მიუთითებს, რომ ცოდვილნი ცათა სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ და განსაკუთრებით აფრთხი-

ლებს სიძვის, მემთვრალეობისა და ყოველნაირი უწმინდურეობის, მომხვეჭველობისა და განლაღებისაგან; და შეაგონებს ქრისტიანებს: ***„ვითარცა შვილნი ნათლისანი ვიდოდეთ“***, და ***„გამოიცადეთ, რაჲ-იგი არს სათნო უფლისა“*** (5, 8, 10). ზოგიერთი განმმარტებელი ვარაუდობს, რომ ეს სიტყვები წმინდა ესაია წინასწარმეტყველის ნათქვამის თავისუფალ პერიფრაზს წარმოადგენს: ***„განათლდი, განათლდი, იერუსალიმ! რამეთუ მოიწია ნათელი შენი, და დიდებაჲ ღვთისაჲ შენ ზედა აღმობრწყინდა“*** (ესაია, 60, 1; 26, 9, 19). შემდეგ, წმინდა მოციქული ასწავლის, რომ ეს დროებითი ცხოვრება მარადიულობისათვის მოსამზადებლად გვეძლევა, რომ ამ ცხოვრებაში უამრავი ცოდვის საცდური გვხვდება, და შეაგონებს: ***„ეკრძალებოდეთ უკუე, ვითარ-ძი განკრძალულად ხუალთ, ნუ ვითარცა უგუნურნი, არამედ ვითარცა ბრძენნი; გამოიფრდიდით ჟამთა, რამეთუ დღენი ბოროტნი არიან“*** (მუხ. 15-16), ანუ – ძვირფას დროს ტყუილუბრალოდ ნუ დახარჯავთ და იგი მარადიულობისათვის მოსამზადებლად გამოიყენეთ. უპირველეს ყოვლისა, ***„ამისთჳს ნუ იყოფით უგნურ, არამედ გულისჯმა-ჰყოფდით, რაჲ-იგი არს ნებაჲ უფლისაჲ“*** (მუხ. 17). მოციქული განსაკუთრებით ღვინის ბოროტად გამოყენებისაგან აფრთხილებს და ამბობს, რომ მემთვრალეობა ადამიანს სიბილწისაკენ უბიძგებს. ხორციელი ნუგეშის ნაცვლად, ქრისტიანებმა სულიერი ნუგეში უნდა ეძებონ და სულიწმიდით აღვსილებმა, თავი თვისი ფსალმუნებითა და სასულიერო საგალობლებით აღაშენონ. ამასთან, მოითხოვს, რომ ეს ფსალმუნები არა მხოლოდ ენით, არამედ გულითაც იგალობებოდეს (მუხ. 1-20).

მეხუთე თავის მეორე ნაწილი ცოლ-ქმრული ცხოვრების მოვალეობის შესახებ დარიგებებს ეძღვნება. აქ მოციქული ცოლ-ქმრულ კავშირს წარმოადგენს, როგორც ეკლესიასთან

უფალ იესო ქრისტეს საიდუმლო კავშირის სახეს, რის გამოც ეს მუხლები (20-33) ქორწინების საიდუმლოს აღსრულების დროს სამოციქულოს საკითხავის შინაარსს შეადგენს. მოციქული ქმრებისაგან ცოლების მიმართ თავდადებულ სიყვარულს მოითხოვს, ცოლებს კი ქმრების მიმართ სრულ მორჩილებას განუწესებს: ***„ცოლნი თჳსთა ქმართა დაემორჩილენით, ვითარცა უფალსა“*** (მუხ. 22), – რადგან, შემდეგში მოციქული განმარტავს, რომ ***„ქმარი არს თავ ცოლისა, ვითარცა ქრისტე თავ არს ეკლესიისა“*** (მუხ. 23). ამიტომ ***„ვითარცა ეკლესიაჲ დამორჩილებულ არს ქრისტესა, ეგრეთცა ცოლნი – თჳსთა ქმართა ყოვლითა“*** (მუხ. 24), – ანუ ყოველ კეთილ საქმეში. აქედან ცხადია, რომ ცოლებს არა მონური და იძულებითი მორჩილება მიეცათ მცნებად, არამედ ***„ვითარცა უფალსა“***, ესე იგი, გულწრფელი და გულითადი, – სიყვარულზე დაფუძნებული. ქრისტიანულ ქორწინებაში ქმრის მეთაურობა უნდა გავიგოთ როგორც მხოლოდ პირველობა, რომელიც ყოველთვის გარდაუვალია რამდენიმე პირისაგან შემდგარ კავშირსა და საზოგადოებაში, და არა როგორც ხელმწიფება. ქმარი ოჯახის ბუნებრივი მეთაურია უკვე იმიტომ, რომ მას აწევს ოჯახური ვალდებულებების ძირითადი სიმძიმე, რომლის ატანა, – თავისი ბუნებით შედარებითი სინაზისა და ფიზიკურ ძალთა სისუსტის გამო, – ცოლს არ ძალუძს. ***„ქმართა გიყუარდეთ ცოლნი თჳსნი, ვითარცა ქრისტემან შეიყუარა ეკლესიაჲ და თავი თჳსი მისცა მისთჳს“*** (მუხ. 25) – შესაბამისად, ცოლ-ქმრული სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, სულიერი სიყვარული უნდა იყოს და არა ხორციელი, და მას ზნეობრივი მიზანი უნდა ჰქონდეს: ***„რაჲთა იგი წმიდა-იყოს, განწმიდა საბანელითა მით წყლისაჲთა და სიტყჳთა... „რაჲთა იყოს წმიდა და უბიწო“*** (მუხ. 26-27) – აქ ***„საბანელითა მით წყლისაჲთა“***-

ში იგულისხმება ნათლობის საიდუმლო, რომლითაც ქრისტე, მის ეკლესიაში შემსვლელთ, ყოველგვარი სიბილწისა და უწმინდურებისაგან განწმენდს. სწორედ, ასევე უნდა ზრუნავდნენ ქმრები თავიანთი ცოლების ზნეობის სიწმინდესა და მათი სულების ცხონებაზე. ამასთან, თავისი სიყვარული ქმარმა ცოლისადმი, – როგორც საკუთარი სხეულისადმი, – ზრუნვაში უნდა გამოხატოს: ***„ზრდიან და ჰფუფუნებენ მას, ვითარცა ქრისტე ეკლესიასა“*** (მუხ. 28-30). აქ კვლავ მითითებულია ქრისტიანულ ქორწინებაში მეუღლეთა შორის სიყვარულის აუცილებლობა: ქმარი ცოლს ისე უნდა უყურებდეს, როგორც საკუთარი თავის ნაწილს და არა როგორც ხორციელი ტკბობის რაიმე მექანიკურ იარაღს. ამასთან დაკავშირებით, მოციქული ცოლისადმი ასეთი სიყვარულის ბიბლიურ (ძველაღთქმისეულ) დასაბუთებას გვაძლევს: ***„ამისთჳს დაუტეოს კაცმან მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და შეეყოს ცოლსა თჳსსა იყვნენ იგი ერთ ჴორც“*** (შესაქ. 2, 24). ამ სიტყვებით მოციქულს სურს, რომ ქრისტიანი მეუღლეები მყარი ცოლ-ქმრული კავშირისათვის განაწყოს და გვაჩვენოს, თუ როგორი არაბუნებრივი და ღვთისსაწინააღმდეგოა მეუღლეთა შორის უთანხმოება და მითუმეტეს – გაყრა. ***„საიდუმლოჲ ესე დიდ არს; ხოლო მე ვიტყჳ ქრისტესთჳს და ეკლესიისა“*** (მუხ. 32). ამ სიტყვებს ყველაზე უკეთ **წმინდა იოანე ოქროპირი** განმარტავს: „ეს მართლაც საიდუმლოა, რომ ადამიანი ტოვებს მას, ვინც წარმოშვა იგი, ვინც დაბადა, აღზარდა და ჩასახა, ავადმყოფობდა მის გამო, ტკივილით შობა; ტოვებს იმას, ვინც ამდენი სიკეთე გაუკეთა, ვისაც შეეჩვია და ერწყმება იმას, რომელიც ადრე არც უნახავს, რომელთანაც მანამდე საერთო არაფერი ჰქონია და მისი თავი ყველაფერს ურჩევნია... ეს ჭეშმარიტად დიდი საიდუმლოა, რომელიც რაღაც დაფარულ სიბრძნეს შეიცავს“. ***„ხოლო მე ვიტყჳ***

ქრისტესთჳს და ეკლესიისა“ – ამ დამატებით წმინდა მოციქულს სურს, შეაგონოს, რომ ცოლ-ქმრის სიახლოვე და შეერთება კურთხეულ ქრისტიანულ ქორწინებაში იმდენად დიდია და ისეთ საიდუმლოს შეიცავს, რომ ქრისტესა და ეკლესიის საიდუმლო შეერთების საუკეთესო და თვალნათელი მაგალითიც შეიძლება იყოს, რომელშიც აქვს კიდეც მას თავისი უმაღლესი პირველსახე. „ცოტა საიდუმლო როდია ქალისა და კაცის ბუნებრივ ქორწინებაშიც – *თითქოსდა ასე ამბობს მოციქული,* – მაგრამ მე ვსაუბრობ ქრისტიანულ ქორწინებაზე, რომელიც ქრისტესა და ეკლესიის კავშირის სახეა. ასეთი ქორწინება უკვე უდიდესი საიდუმლოა, უკვე საეკლესიო საიდუმლოა“. როგორია ქრისტესა და ეკლესიის კავშირი? ის უმჭიდროესი, სიყვარულით განმსჭვალული, წმინდა და დაურღვეველი კავშირია. ასევე უნდა იყოს მეუღლეობრივი შეერთება ქრისტიანულ ქორწინებაში. დასასრულ, მოციქული ამბობს: ***„გარნა თქუენცა კაცად-კაცადმან თჳსი ცოლი ეგრეთ შეიყუარეთ, ვითარცა თავი თჳსი; ხოლო ცოლსა მას რაჲთა ეშინოდის ქმრისა“*** (მუხ. 33), – მეუღლეებს ყოველივე საერთო უნდა ჰქონდეთ. თავიდან მოციქულმა თქვა: ***„დაემორჩილენით ურთიერთას შიშითა ქრისტესითა“*** (5, 21), მაგრამ ქმარი მაინც თავია, ამიტომ ცოლი ვალდებულია, მას დაემორჩილოს. რამდენადაც ცოლები მძიმდებიან მათზე ქმრის ძალაუფლებით, ქმრები კი მიდრეკილნი არიან, რომ თავისი მდგომარეობა ბოროტად გამოიყენონ, ამიტომ მოციქული მცნებად იძლევა იმას, რაც ქორწინებაში უპირატესად ირღვევა: ქმრებს – სიყვარულს, ცოლებს კი მორჩილებას შეაგონებს. გამოთქმა: ***„ხოლო ცოლსა მას რაჲთა ეშინოდის ქმრისა“,*** რა თქმა უნდა, ხატოვანი გამოთქმაა და ქმრის წინაშე ცოლის მონურ შიშს სულაც არ ნიშნავს, რაც ქრისტიანულ ქორწინებაში არ ხდება და არც უნდა მოხდეს.

ეს შიში, სხვა არაფერია, თუ არა ქმრისადმი პატივისცემა, იმის შიშით, რომ რამეთი არ შეურაცხვყოთ იგი, არ შევამციროთ ჩვენდამი მისი სიყვარული. *ნეტარი იერონიმე* ამ ადგილს ასე თარგმნის: „ცოლმა, დაე, პატივი მიაგოს ქმარს“.

მეექვსე თავში წმინდა მოციქული, უპირველეს ყოვლისა, მშობლების მიმართ შვილების მოვალეობებზე საუბრობს, შემდეგ კი – შვილების მიმართ მშობლებისაზე. შვილები უნდა დაემორჩილონ მშობლებს, რამეთუ ამას სამართლიანობის ბუნებრივი კანონი მოითხოვს და საღვთო რჯულის მეხუთე მცნებაც ამასვე გვამცნობს. მშობლები კი შვილების მიმართ უზომოდ მკაცრნი არ უნდა იყვნენ, ცოდვაში არ უნდა შეიყვანონ, არამედ უფლის სწავლითა და მოძღვრებით გაზარდონ (მუხ. 1-4). შემდეგ, მოციქული მონებს თავისი ბატონების მიმართ მორჩილებას, ბატონებს კი მონების მიმართ სამართლიან და მოწყალე დამოკიდებულებას შეაგონებს. მონობის კანონიერებისა თუ უკანონობის პოლიტიკურ და სოციალურ საკითხს კი მოციქული აქ საერთოდ არ ეხება. **ქრისტიანული ეკლესია, საერთოდ არ ისახავდა ამოცანად გარეგნული პოლიტიკური და სოციალური გადატრიალების მოწყობას; ის მხოლოდ ადამიანთა შინაგან აღორძინებაზე ფიქრობდა, რომელსაც ბუნებრივად უნდა გამოეწვია გარეგნული ცვლილებები მთელ საკაცობრიო ცხოვრებაში** (მუხ. 5-9).

ზნეობრივ დარიგებათა დასასრულს, მოციქული ქრისტიანებს ჩვენი ცხოვრების მტერთან – ეშმაკთან და მის მსახურებთან სულიერი ბრძოლისკენ მოუწოდებს; აქ ჩვენ ვხედავთ ქრისტიანული მოღვაწეობის საფუძველს. ქრისტიანის მთელი ცხოვრება უწყვეტი ბრძოლა უნდა იყოს. მოციქული მოუწოდებს ქრისტიანებს, რომ ამ ბრძოლისათვის ღვთის ***„ყოვლად საჭურველი“*** შეიმოსონ (6, 11), წელნი ჭეშმარიტებით შემოისალტონ და სიმართლის ჯაჭვი ჩაიცვან, ფერხნი შეისხან,

რათა მშვიდობის სახარება იქადაგონ ყველგან, ხოლო ძირითადად კი სარწმუნოების ფარი, ცხონების ჩაფხუტი და სულის მახვილი აიღონ, რომელიც არის ღვთის სიტყვა და ასე შეიარაღებულებმა მტკიცე ბრძოლა გაუმართონ ეშმაკის მანქანებას და ცისქვეშეთის უკეთურ სულებს, რომელნიც ადამიანებს მუდმივად იტაცებენ ცოდვისა და ღვთის ნების საწინააღმდეგო გზაზე. ეს სამოციქულო საკითხავი (მე-10–მე-17) ზოგიერთი ღირსი მამის ხსენების დღეს და მონაზვნად აღკვეცის დროს იკითხება. ამასთან, მთავარი იარაღი უნდა იყოს ლოცვა და თანაც – ***„ყოველსა ჟამსა“.*** ბოროტ (უკეთურ) სულებს აქ „სოფლის მპყრობელნი“ ეწოდებათ. არა იმ აზრით, რომ მათ სოფელზე ხელმწიფება აქვთ მიცემული, არამედ იმიტომ, რომ წუთისოფელში ყოველგვარი ბოროტება და ყველა ბოროტი ადამიანი მათ ნებას ასრულებს: ისინი „ბოროტებაში მყოფი“ სოფლის მპყრობელნი არიან. გამოთქმა ***„ცასა ქუეშე“*** აღნიშნავს, რომ უკეთური სულები ცასა და მიწას შორის ყველგან დახეტიალობენ, ყოველი მხრიდან გარსგვერტყმიან, როგორც ჰაერი გვეკვრის ყოველი მხრიდან, და მუდმივად გვეწებებიან, „როგორც კოღოები ნესტიან ადგილს“, – ხატოვნად წერს ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული. „ღვთის ყოვლად საჭურველი“ განსაკუთრებით აუცილებელია ჩვენთვის, რათა შევძლოთ წინააღმდეგობა გავუწიოთ ამ ბოროტ სულებს ***„დღესა მას ბოროტსა“.*** ამ „ბოროტ დღეში“ უნდა ვიგულისხმოთ ჩვენი ცხოვრების განსაკუთრებით გადამწყვეტი წუთები, როგორიცაა: სიკვდილი და საშინელი სამსჯავრო, როცა ვალდებულნი ვიქნებით, ანგარიში ჩავაბაროთ ღმერთს იმის შესახებ, თუ როგორ განვლიეთ ცხოვრება. ყოველივე აქედან ცხადია, რომ **ქრისტიანები ქრისტეს მხედრები არიან და ვალდებულება აქვთ, რომ განუწყვეტლივ ებრძოლონ ღვთისა და კაცთა ცხონების**

მტერს – ეშმაკსა და მის მსახურებს და მათგან წარმოქმნილ ყოველგვარ ბოროტებას. ქრისტიანი სრულიად შეურიგებელი უნდა იყოს ყოველგვარი სატანური ბოროტებისა, მაგრამ, რა თქმა უნდა, მათთან ქრისტიანისთვის ღირსეული საშუალებებით უნდა იომოს (მუხ. 10-18).

ეპისტოლეს დასასრულს, რომელიც 19-24 მუხლებს მოიცავს, წმინდა მოციქული უპირველესად ითხოვს, რომ მისთვის ილოცონ და ამით გვასწავლის, რომ ეკლესიის ლოცვები უფრო მნიშვნელოვანია და აღმატებული, ვიდრე მასში მსახურებისათვის დადგინებული ნებისმიერი პირი. მეორეც, იგი საუბრობს ეფესოელებთან ტვიქიკეს ელჩობაზე, რომ მან აუწყოს მათ პავლეს საქმეთა შესახებ და ამით მათი გულები ანუგეშოს.

წმინდა პავლე მოციქული თავის ეპისტოლეს ძმათათვის მშვიდობისა და სიყვარულის სურვილით და ჩვეული სამოციქულო კურთხევით ასრულებს: ***„მადლი ყოველთა თანა მოყუარეთა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა უხრწნელებით. ამინ“. „უხრწნელებით“,*** – *წმინდა იოანე ოქროპირის* სიტყვებით, ნიშნავს: „უცოდველად“.

ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ

ფილიპეს ეკლესიის დაფუძნება. ფილიპეს ეკლესია წმინდა პავლე მოციქულმა თავისი მეორე სამოციქულო მოგზაურობის დროს დააარსა. როცა „წარმართთა დიდმა მოციქულმა" თავის თანამგზავრებთან და თანამუშაკებთან – შილასთან, ტიმოთესა და ლუკასთან ერთად გალატია და ფრიგია გაიარა და ეგეოსის ნაპირებს მიაღწია. სულიწმინდამ არ დაუშვა მათი წასვლა არც სამხრეთით – ასიაში და არც ჩრდილოეთით – ბითვინიაში. აქ, ზღვისპირა ქალაქ ტროადაში, წმინდა პავლეს ხილვა ჰქონდა. მის წინაშე წარდგა ვინმე მაკედონელი კაცი და სთხოვა მას: „მოდი მაკედონიაში და დაგვეხმარე". ვარაუდობენ, რომ იგი მაკედონიის მცხოვრებთა მფარველი ანგელოზი იყო. ასეთი მითითების მიღებისთანავე წმინდა პავლე ქალაქ ფილიპეში ზღვით, ნეაპოლის გავლით გაემგზავრა. ფილიპე თრაკიის საზღვარზე, ზღვასთან ახლოს მდებარეობდა. ქალაქმა თავისი სახელწოდება ალექსანდრე მაკედონელის მამის – ფილიპესაგან მიიღო, რომელმაც ააშენა და გაამაგრა ის (ქრისტეს ხორციელად შობამდე 358 წელი). ჟამთააღმწერელი ამბობს, რომ „ეს არის პირველი ქალაქი მაკედონიის იმ ნაწილში" და თანაც – „კოლონიის". რომაელებმა, როცა მაკედონია მისი ბოლო მეფის – პერსევსის დროს დაიპყრეს, ის ოთხ ოლქად დაყვეს, ხოლო იმპერატორმა ავგუსტუსმა, – რათა მაკედონიაში რომაელთა გავლენა გაეძლიერებინა, იქ იტალიის მრავალი ცნობილი მოქალაქე გადაასახლა, რომაული გარნიზონიც განათავსა და იქ მცხოვრებთ იტალიის მკვიდრი მოსახლეობის უფლებები მიანიჭა. ყოველივე ამან ფილიპეს მნიშვნელობა იმდენად გაზარდა, რომ მას ოლქის მთავარ ქალაქზე, ამფიოპოლზე მეტ პატივს მიაგებდნენ.

სწორედ იქ დაჰყო წმინდა მოციქულმა თავის თანამგზავრებთან ერთად რამდენიმე დღე ისე, რომ არაფერი მოუმოქმედებია. შაბათს ისინი ქალაქგარეთ, იუდეველთა სამლოცველო სახლში გაემგზავრნენ და იქ შეკრებილ დედაკაცებს ქადაგებით მიმართეს. მათგან ერთ-ერთი, რომელმაც მოციქულის ქადაგება მიიღო, იყო ლუდია **(საქმ. 16, 14),** ძოწეულით მოვაჭრე, „ღვთის თაყვანისმცემელი", ანუ, როგორც ჩანს, პროზელიტი (იუდეველობის მიმღები წარმართი). მან ირწმუნა და მოინათლა მთელ თავის სახლეულთან ერთად და წმინდა პავლეს და მის თანამგზავრებს თავშესაფარი შესთავაზა. მისი სახლი ყველა მორწმუნისათვის შესაკრებელ ადგილად იქცა. აქედან წმინდა პავლემ თავისი ქადაგება წარმართებისკენაც მიმართა ისე, რომ მდინარის პირას არსებული იუდეველთა სამლოცველო სახლის სტუმრობა არ მიუტოვებია. ყველაფერი წარმატებით და კარგად მიდიოდა, სანამ ერთ–ერთი წარმართული ოჯახის (როგორც ჩანს, საკმაოდ გავლენიანის) სიხარბემ და ანგარებამ ხალხში პავლეს წინააღმდეგ შფოთი არ გამოიწვია. მიზეზი ის იყო, რომ წმინდა პავლემ ამ ოჯახის ერთ-ერთი მსახური ქალიდან, რომელსაც თავისი მისნობით დიდი შემოსავალი შემოჰქონდა თავისი პატრონებისთვის, მისნობის სული განდევნა. როცა წმინდა პავლე მოციქულს და მასთან მყოფებს ხვდებოდა, იგი მათ უკან დაჰყვებოდა და ყვიროდა: ***„ესე კაცნი მონანი არიან ღვთისა მაღლისანი, რომელნი გახარებენ თქუენ გზათა ცხორებისათა"*** (საქმ. 16, 17). როცა წმინდა პავლემ იგრძნო, რომ ლიქნის სულის ამ ქადაგებას, შესაძლოა, ჭეშმარიტების სულის ქადაგებისთვის ევნო, მან ამ სულს აუკრძალა ქადაგება და უფლის სახელით იგი მსახური ქალიდან განდევნა. მტერმა ამის გამო მთელი ქარიშხალი ატეხა. მსახური ქალის ბატონებმა დაინახეს, რომ შემოსავლის წყარო

გაუქრათ, პავლე და შილა შეიპყრეს და მოედანზე ქალაქისთავებთან მიიყვანეს. იქ მათ ბრალად წაუყენეს, რომ ***„ესე კაცნი აღსძრვენ ქალაქსა ამას ჩუენსა“,*** – თითქოს ისინი ავრცელებდნენ რომაელებისთვის მიუღებელ და აკრძალულ ჩვეულებებს. რომის იმპერიის უკანასკნელი კანონების მიხედვით, რომის შესუსტებული სახელმწიფოებრივი ძალის შენარჩუნების მიზნით, ახალი რელიგიური სექტების შექმნა სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლებოდა. მსახურის ბატონებმა შესძლეს, რომ სახარების მქადაგებელთა წინააღმდეგ ხალხის ბრბოც განეწყოთ. ქალაქის თავებმა მოციქულებს ტანისამოსი შემოახიეს, მათი ჯოხებით ცემა ბრძანეს და შემდეგ დილეგში გამოამწყვდიეს. მაგრამ ღვთის განგებულებით წმინდა პავლეს ეს დაპატიმრება მისი უფრო მეტად განდიდებისა და ქადაგების წარმატების საწინდარი გახდა. შუაღამისას, როცა პავლე და შილა ღმერთს უგალობდნენ, ხოლო სხვა პატიმრები მათ უსმენდნენ, უცებ დიდი მიწისძვრა მოხდა ისე, რომ დილეგის საძირკველი შეირყა, მისი კარი თავისთავად გაიღო და ყველა პატიმარს ბორკილები შეეხსნა. დილეგის გუშაგს გამოეღვიძა და იხილა რა ყოველივე, ხმალი იძრო და თავისმოკვლა მოინდომა, რადგან ეგონა, რომ პატიმრები გაიქცნენ და პასუხისმგებლობის შეეშინდა, მაგრამ პავლემ დაამშვიდა იგი, – ყველანი ადგილზე იყვნენ. გუშაგმა სანთელი მოითხოვა იქაურობის დასათვალიერებლად და დარწმუნდა, რომ ყოველივე მომხდარი ღვთის ძალის ქმედება იყო. ამით შეძრწუნებული, პავლეს ფეხებში ჩაუვარდა. მერე ის და შილა გარეთ გაიყვანა და შეეკითხა: ***„უფალნო, რაჲ მიღირს მე ყოფად, რაჲთა ვცხონდე?“*** მათ უპასუხეს: ***„გრწმენინ უფალი იესუ ქრისტე, და სცხონდე შენ და ყოველი სახლი შენი“,*** და უქადაგეს უფლის სიტყვა მას და მთელ მის სახლეულს; ყველამ ირწმუნა და მაშინვე მოინათლნენ.

ამასობაში, გათენებისთანავე ქალაქის თავებმა, რომლებმაც წინა დღეს მათი ცემა დაუშვეს, – ალბათ, უფრო ხალხის დასამშვიდებლად, ვიდრე მათი დანაშაულის რწმენით, – ახლა მათი გაშვება ბრძანეს. თუმცა წმინდა პავლემ, – უეჭველად იმის გამო, რათა მათი უპატიოდ ყოფის გამო ქადაგებისათვის მიყენებული ცუდი შთაბეჭდილება აღეხოცა, – მოითხოვა, რომ ქალაქის თავებს მათთვის ბოდიში მოეხადათ, რადგან ისინი რომის მოქალაქეები იყვნენ. ქალაქის თავები შეშინდნენ, რომ სამსჯავროს გარეშე ფიზიკურად დასაჯეს რომის მოქალაქენი, მივიდნენ, ბოდიში მოუხადეს მათ და ქალაქიდან წასვლა სთხოვეს. მაგრამ მოციქულები მაშინვე არ წასულან, თავიდან ლიდიას სახლში მივიდნენ, რათა მათ მიერ ახალდაარსებული ქრისტიანული თემი სარწმუნოებაში განემტკიცებინათ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც თემისათვის აუცილებელი საქმეები მოაგვარეს, მათ ქალაქი ფილიპე დატოვეს (**საქმ. 16, 9-40**). ასე დაარსდა ქრისტიანული თემი ფილიპეში 51 ან 52 წელს.

ფილიპედან წასვლისას წმინდა პავლემ იქ მოკლე დროით თავისი თანამოღვაწენი – ლუკა და ტიმოთე დატოვა. პავლეს ურთიერთობა ფილიპელებთან ამით არ დამთავრებულა. ფილიპეს ეკლესია ყველაზე მხურვალე და ერთგული აღმოჩნდა თავისი დამფუძნებლის მიმართ და ქრისტიანული გულმოწყალებისა და ქველმოქმედების უხვი ნაყოფი გამოიღო. პავლე მოციქულისადმი ფილიპელთა დამოკიდებულება უსაზღვრო სიყვარულით იყო აღნიშნული. სადაც უნდა ყოფილიყო წმინდა მოციქული, ფილიპელები მას მოყვარული შვილების თვალით უმზერდნენ და მისი შრომითა და მწუხარებით აღსავსე ცხოვრებაში მატერიალურად და მორალურადაც ყოველთვის მხარში ედგნენ. ასეთივე სიყვარულით პასუხობდა მათ მოციქულიც. ***„ძმანო ჩემნო საყუარელნო და სასურველნო,***

სიხარულნო და გვრგვნნო ჩემნო“, – ასე მიმართავდა მათ მოციქული თავის ეპისტოლეში (ფილიპ. 4, 1). ფილიპელებს არაერთხელ გაუგზავნიათ მისთვის დახმარება თესალონიკეში (**ფილიპ. 4, 16**), აგრეთვე, როგორც ჩანს, კორინთოშიც (**2 კორ. 11, 8–9**). როცა მოციქული რომში, კეისრის სამსჯავროზე გაგზავნეს (62-63 წწ.), ფილიპელებმა თავისი უხუცესი მღვდელი ეპაფროდიტე წარგზავნეს მასთან ფულადი შემწეობით.

წმინდა პავლე ყოველ შემთხვევას იყენებდა, რათა პირადად სწვეოდა ფილიპელებს, როცა ამის საშუალება ეძლეოდა. მისი მესამე სამოციქულო მოგზაურობისას მან სამი წელი დაჰყო ეფესოში და როცა აქაიაში წასვლა გადაწყვიტა, იქ მაკედონიის გავლით გაემგზავრა და ჩავიდა როგორც ფილიპეში, ასევე სხვა ქალაქებშიც. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ორჯერ მოხდა (**საქმ. 19, 21; 20, 3–6**).

ეპისტოლეს დაწერის მიზეზი და მიზანი. როცა წმინდა პავლე მოციქული თავისი მესამე მისიონერული მოგზაურობისას იერუსალიმში გაემგზავრა, მას იქ გააფთრებული იუდეველები დაესხნენ თავს და დააპატიმრეს. მან კეისრის სამსჯავრო მოითხოვა, რის შემდეგაც იგი რომში გაგზავნეს. მთელ ამ დროს ფილიპელები მის დახმარებას ცდილობდნენ, რაზედაც წმინდა მოციქული თავად მიგვანიშნებს (**ფილიპ. 4, 10**), მაგრამ გარემოება მათ ხელს არ უწყობდა. ხოლო, როცა მოციქული რომში ჩავიდა, ფილიპელებმა მას დიდძალი ფულადი შემწეობა შეუგროვეს და ეპაფროდიტეს ხელით გაუგზავნეს, რომელსაც წმინდა მოციქული თავის ძმას, თანაშემწეს და თანამოსაგრეს უწოდებს (**ფილიპ. 2, 25**). როცა ფილიპელთაგან ეპაფროდიტეს ხელით შესაწირი მიიღო, როგორც აღსავსე *„სულითა სურნელებისადთა, მსხუერპლითა მით შეწირულითა სათნოთა ღვთისადთა“* (ფილპ. 4, 18),

წმინდა პავლემ მაშინ შეიტყო, რომ ფილიპელები მართალია, ერთი მხრივ, მას გულშემატკივრობდნენ და ქრისტეს დევნილი სარწმუნოების ბედზეც დიდად წუხდნენ, მაგრამ, მეორე მხრივ, დევნილობის მდგომარეობის სიმძიმემ მათში სულმოკლეობა და შიში გამოიწვია, რის გამოც სარწმუნოების მტრების წინაშე ბრძოლაში ერთსულოვნების ნაკლებობამ იჩინა თავი. წმინდა პავლემ შემდგომში ისიც შეიტყო, რომ ფილიპეს ქრისტიანული თემის განსხვავებული ეროვნების მქონე წევრთა შორის ერთმანეთის მიმართ ქედმაღლობა და კამათი შეინიშნებოდა, რაც, საბოლოოდ, სერიოზულ უთანხმოებამდე მივიდა. შესაძლოა, იქაც მორწმუნეებს იუდაური ჩვეულებების მიმდევარი ქრისტიანები აშფოთებდნენ ისევე, როგორც ყველა სხვა ადგილას, სადაც ქრისტიანული თემები იქმნებოდა. ბოლოს, ეპაფროდიტემ წმინდა მოციქულს რამდენიმე პირის შესახებ შეატყობინა, რომ ისინი ფილიპელთათვის საცდურს წარმოადგენდნენ. ყოველივე ამან, ერთობლიობაში, წმინდა პავლე ფილიპელთა მიმართ ეპისტოლეს დასაწერად განაწყო. თუმცა მალე, ეპაფროდიტეს მოსვლა მწუხარებამ დაჩრდილა: ეპაფროდიტე ავად გახდა და თანაც ისე მძიმედ, რომ სიკვდილის პირას მივიდა; ეს ფილიპელებმაც შეიტყვეს. მაგრამ ღმერთმა შეიწყალა იგი და არა მხოლოდ იგი, ***„არამედ მეცა, რაითა არა მწუხარებაი მწუხარებასა ზედა დამერთოს“*** (ფილიპ. 2, 27), – ამბობს პავლე მოციქული. როცა ეპაფროდიტე იმდენად გამოჯანსაღდა, რომ გზის სიძნელეების ატანა შეეძლო, წმინდა პავლემ იგი თავისიანებთან გაგზავნა და თან საკუთარი ეპისტოლე გაატანა.

როგორც მოსალოდნელი იყო ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან, ეპისტოლეს მთავარ მიზანს ფილიპელთა მიმართ სიყვარულისა და მადლიერების გამოხატვა წარმოადგენდა; ასევე, მათი შექება, – როგორც ერთგული და პირუთვნელი

მორწმუნეებისა. თავისთავად ცხადია, მოციქულის ეპისტოლე გვერდს ვერ აუვლიდა სარწმუნოებრივ და ზნეობრივ დარიგებებს, თუმცა ეს მოცემულია ჩვეული მკაცრი ლოგიკური თანმიმდევრობის გარეშე. წინამდებარე ეპისტოლე არ არის დოგმატურ და ზნეობრივ ნაწილებად დაყოფილი, როგორც ეს, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია წმინდა პავლეს ეპისტოლეებისთვის: ის კერძო და არაოფიციალურ ხასიათს ატარებს და უფრო მამობრივ-მეგობრული წერილია, – მშვიდი და ნაზი გრძნობებით აღსავსე. სწორედ იმ გრძნობით აღსავსე, რომელიც წმინდა პავლესა და ფილიპელთა შორის დამყარდა. ამ ეპისტოლეში ვერც მხილების სიმკაცრეს ვხედავთ, ვერც დაბეჯითებით მითითებებს, ვერც მბრძანებლურ სამოციქულო განკარგულებებს. მისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია სწორედ ამ ელემენტის – მხილების არარსებობა.

ეპისტოლეს დაწერის დრო და ადგილი. ფილიპელთა მიმართ დაწერის დრო იქიდან ჩანს, რომ წმინდა პავლე მასში პატიმრობიდან მალე გათავისუფლების და ფილიპეში ჩასვლის იმედს გამოთქვამს (1, 25, 26; 2, 24); აგრეთვე, იქიდან, რომ მასში იგი ატყობინებს, რომ მის მიერ ქადაგებული სარწმუნოება კეისრის სახლამდეც ვრცელდებოდა (4, 22). ის, რომ წმინდა მოციქული ამ დროს რომის საპატიმროში იმყოფებოდა, პრეტორიის შესახებ ამბის თხრობიდან ჩანს (1, 13), ხოლო ეს რომ პირველი პატიმრობა იყო და არა მეორე, იქიდან ჩანს, რომ მოციქული ფილიპელებს მისალმებას უგზავნის ტიმოთესთან ერთად: ***„პავლე და ტიმოთე, მონანი იესუ ქრისტესნი, ყოველთა წმიდათა ქრისტე იესუას მიერ, რომელნი ხართ ფილიპეს შინა, ეპისკოპოსთა თანა და დიაკონთა: მადლი თქუენდა და მშჳდობაჲ ღუთისა მიერ მამისა ჩუენისა და უფლისა იესუ ქრისტესა“*** (1, 1),

რომელიც მასთან ერთად არ იყო მისი მეორე პატიმრობის დროს **(2 ტიმ. 4, 9, 10).** ყველა ზემოთ მოხსენიებული მოსაზრებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ დაწერილია რომში, 63 წლის ბოლოს ან 64 წლის დასაწყისში.

ეპისტოლეს შინაარსი და მისი დაყოფა. ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ მხოლოდ ოთხ თავს შეიცავს და, თუმც მასში გადმოცემის ისეთი ნათელი და გარკვეული გეგმა არ არის, როგორც სხვა ეპისტოლეებში, მაგრამ მაინც, მისი შინაარსი შეიძლება შემდეგნაირად დავყოთ: 1) ჩვეულებრივი წინასიტყვაობა ზედწარწერითა და მისალმებით (1, 1, 2) და ეპისტოლეს დასაწყისი (1, 3-11); 2) უწყება საკუთარ თავზე, კერძოდ, სახარების წარმატებებსა და მისდამი თავის განწყობასა და იმედებზე (1, 12-26) და ამ სახარების შესაფერისი ცხოვრების შესახებ დარიგება (1, 27-2, 18); 3) უწყება თავის განზრახვებზე: ფილიპელებთან ტიმოთეს წარგზავნისა (2, 19-24) და ეპიფროდიტეს უკან დაბრუნების შესახებ (2, 25-30); 4) შეგონება იუდაური ჩვეულებების მიმდევართაგან განრინების შესახებ (3, 1-3) და მისაბაძად საკუთარ მაგალითზე მითითება (3, 4-16). დასასრულ, მოციქული ზოგიერთ პირს შეაგონებს და მათთან ერთად ყველასთვის საერთო დარიგებას იძლევა, თუ როგორ გამოავლინონ თავიანთ ცხოვრებაში ქრისტიანული ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ნიშანთვისებები (4, 2-9). ჩვეულ ბოლოსიტყვაობაში მოციქული მისთვის გაგზავნილ შემწეობას იხსენებს, ყველას მოკითხვას უთვლის და კურთხევას გადასცემს (4, 10-23).

ეპისტოლეს ეგზეგეტიკური გარჩევა. ეპისტოლე იწყება ზედწარწერით: ***„პავლე და ტიმოთე, მონანი იესუ ქრი-***

სტესნი, ყოველთა წმიდათა ქრისტე იესუას მიერ, რომელნი ხართ ფილიპეს შინა, ეპისკოპოსთა თანა და დიაკონთა“ (1, 1). როგორც ჩანს, წმინდა პავლე აქ ტიმოთეს იმიტომ მოიხსენიებს, რომ ის წმინდა პავლესთან ერთად იღვწოდა ფილიპელთა პირველი მოქცევისას და მათთვის ახლობელი იყო. თავისი უკიდურესი სიმდაბლიდან გამომდინარე, წმინდა მოციქული მასთან ერთად თავის თავსაც მხოლოდ „ქრისტეს მონას“ უწოდებს და თავის სამოციქულო ღირსებას არ აღნიშნავს, როგორც სხვა ოფიციალურ ეპისტოლეებში; იქ, სადაც ეს საჭირო იყო ეპისტოლეს უფრო დიდი ავტორიტეტულობისათვის. ***„ეპისკოპოსთა თანა და დიაკონთა“*** – „ნუთუ ერთ ქალაქში მრავალი ეპისკოპოსი იყო? – *კითხვას სვამს წმინდა იოანე ოქროპირი* – და თავად პასუხობს: – არა. მოციქულმა ასე უწოდა ხუცესებს. რამეთუ მაშინ ეს სახელწოდებები საერთო იყო“. „წმინდანი“ ეწოდებოდა ყველა მორწმუნეს, როგორც სულიწმიდის მადლით განწმენდილებს. შემდეგ, ჩვეულებისამებრ, მოდის დალოცვა: ***„მადლი თქუენდა და მშჳდობაჲ ღუთისა მიერ მამისა ჩუენისა და უფლისა იესუ ქრისტესა“*** (1, 2).

პირველ თავში მოციქული ღვთისადმი მადლიერებას გამოხატავს იმ გულმოდგინების გამო, რომელსაც ფილიპელები ქრისტეს სახარების გავრცელებაში იჩენდნენ და ლოცულობს, რომ მათ მიერ დამოწმებული სიყვარული ***„უფროჲს და უმეტეს გარდაერიოს მეცნიერებითა და ყოვლითა ფრთხილებითა“,*** რათა ისინი იყვნენ ***„ჭეშმარიტ და დაუბრკოლებელ დღედმდე ქრისტე იესუჲსა, აღსავსენი ნაყოფითა სიმართლისაჲთა“.*** ცხადია, მოციქულს მიაჩნია, რომ ფილიპელთა ქველმოქმედება ღმერთს მიემართება და არა – პირადად მას; იგი ეევედრება ღმერთს, რომ ფილიპელებმა, რომლებიც სულ უფრო წარემატებიან ქველმოქ-

მედებაში, ღირსეულად შეამზადონ საკუთარი თავი ***„დღედმდე ქრისტე იესუსა“,*** ანუ ქრისტეს მეორედ მოსვლისა და საშინელი სამსჯავროსათვის (1, 3-11).

ფილიპელთა შეშფოთებას, – რომში მის მიერ გადატანილი განსაცდელის გამო, – მოციქული მათთვის იმის უწყებით აცხრობს, რომ იქ მისმა პატიმრობამ დიდად შეუწყო ხელი ქრისტეს შესახებ მისი ქადაგების წარმატებას. რომში მოციქულის პატიმრად ყოფნის ცნობამ (რომელიც სწრაფად გავრცელდა), ქრისტიანთა უმრავლესობა ფრიად გაამხნევა და ღვთის სიტყვის უშიშრად გავრცელება დააწყებინა. მათ დაინახეს, რომ პატიმრობაში მყოფი მოციქულის ქადაგებას არამცთუ რაიმე უბედურება არ გამოუწვევია მისთვის, არამედ, პირიქით – სახელიც კი გაუთქვა უწარჩინებულეს ადამიანთა შორის და თვით პრეტორიაშიც, – როგორც მაშინ მეფის სასახლეს უწოდებდნენ. თუმცა მართალია, ზოგიერთები ქადაგებდნენ არა გულწრფელად, არამედ ***„შურით და ჯდომით“,**** ზოგჯერ კი მოციქულისთვის უსიამოვნების მიყენების მიზნითაც კი, მაგრამ მოციქულს ისიც უხარია, რომ მაინც, ასე თუ ისე, ქრისტეს სახარება მსოფლიოში ვრცელდება. ზოგიერთი, შესაძლოა, მოციქულის საწინააღმდეგოდ, მისი განკარგულების გარეშე მოქმედებდა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ისინი მწვალებლები არ იყვნენ. თავისი თავის გამო მოციქულს არ ეშინია, მას სიკვდილიც ვერ აშინებს – ***„რამეთუ ჩემდა ცხორებაჲ ქრისტე არს, და სიკუდილი – შესაძინელ“*** (1, 12-21). მოციქულს უძნელდება არჩევანის გაკეთება სიცოცხლესა და სიკვდილს შორის: ***„გული მეტყჳს განსლვად და ქრისტეს თანა ყოფად“*** – აი, რა სურს მას, მაგრამ, მეორე მხრივ, ესმის, რომ მისი სიცოცხლე საჭიროა

* კამათის სიყვარულით

სახარების საქმის გასაგრძელებლად: ***„ხოლო დადგრომაჲ ჴორცთა შინა უნებელადრე თქუენთჳს“.***

შემდეგ მოციქული თავისი მალე გათავისუფლების და ფილიპელებთან შეხვედრის იმედს გამოთქვამს. მისი წინასწართქმა მართლაც აღსრულდა. მოციქული შეაგონებს ფილიპელებს: ***„ღირსად ხოლო სახარებისა მის ქრისტესისა ვიდოდეთ“.*** ასეთი ცხოვრების ძირითად თვისებას, იგი იქვე მიუთითებს: ***„სდგათ თქუენ ერთითა სულითა და ერთითა გონებითა და თანა-იღუწით სარწმუნოებასა მას სახარებისასა“.*** ჭეშმარიტებაში ეს მტკიცე დგომა, ერთსულოვნება და უშიშარი აღმსარებლობა, – რისი დანახვაც წმინდა პავლე მოციქულს თავის ფილიპელ მოწაფეებში სურდა, – თითოეული ჭეშმარიტი ქრისტიანის პირველი და ძირითადი თვისებაა. მისთვის სულით მტრულ წუთისოფელში ქრისტეს ეკლესია მებრძოლი ეკლესია უნდა იყოს, ხოლო მისი მიმდევრები – ჭეშმარიტების გამო ტანჯვისთვის განმზადებული მებრძოლნი და აღმსარებელნი (1, 22-30).

მეორე თავში წმინდა მოციქული ფილიპელებს შეაგონებს, რომ სრულ ერთსულოვნებას და სიყვარულს დაუმატონ მეორე მნიშვნელოვანი თვისება – სიმდაბლე, რითაც ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრება ხასიათდება. სიმდაბლის უმაღლეს ნიმუშად და მისაბაძ მაგალითად ქრისტიანებს თვით ქრისტე ჰყავთ, რომელმაც თავი ჯვარცმით სიკვდილამდე დაიმდაბლა: ***„ესე ზრახვაჲ იზრახებოდენ თქუენ შორის, რომელცა-იგი ქრისტე იესუს მიერ. რომელი-იგი ხატი ღვთისაჲ იყო, არა ნატაცებად შეირაცხა ყოფად იგი სწორებად ღვთისა, არამედ თავი თჳსი დაიმდაბლა და ხატი მონისაჲ მიიღო და მსგავს კაცთა იქმნა და ხატითა იპოვა ვითარცა კაცი; დაიმდაბლა თავი თჳსი და იქმნა იგი მორჩილ ვიდრე სიკუდილადმდე და სიკუდილითა მით ჯუარისაჲთა“*** (2, 5-8).

აქ გამოხატულია ღმერთის თვითდამდაბლების, თვითდამცირების სულის შემძვრელი სურათი – „საღვთო დამდაბლება“ კაცთა ცხონებისათვის, როგორც მიბაძვისათვის შთამაგონებელი მაგალითი: თუკი მხოლოდშობილი ძე დამდაბლდა, ჩვენ, უბადრუკმა ცოდვილებმა, თავი როგორ არ უნდა დავიმდაბლოთ? აქ სიმდაბლისათვის ბუნებრივი წაქეზებაა ქრისტეს ყველა ჭეშმარიტი მიმდევრისათვის, რადგანაც ამ სიტყვებში ძე ღვთისას განხორციელებაზეა საუბარი, სოფლად მის კაცად გამოჩინებაზე, ამიტომ ფილიპელთა მიმართ ეპისტოლეს ეს ადგილი შემდეგი სამი მუხლით: 9, 10, 11 ღვთისმშობლის დღესასწაულების საღვთო ლიტურგიაზე იკითხება. ძე ღვთისას სიმდაბლემ მისი განდიდება განაპირობა: ***„ამისთჳსცა იგი ღმერთმან უმეტესად აღამაღლა და მიანიჭა მას სახელი უზეშთაესი უფროს ყოველთა სახელთაჲსა“*** (მუხ. 9). რა თქმა უნდა, აქ საუბარია განკაცებული ძე ღვთისას ამაღლებაზე მისი კაცობრივი ბუნებით, ესე იგი, იმაზე, რომ მისი სიმდაბლის გამო, კაცობრივი ბუნებაც, რომელიც მან მიიღო, განღმრთობილია და შეყვანილია ღმრთეების დიდებასა და ძალაში. ძე ღვთისას ამ თვითდამდაბლებას შედეგად უნდა მოჰყვეს ის, რომ მის წინაშე ***„ყოველი მუჴლი მოდრკეს ზეცისათანი და ქუეყანისათანი და ქუესკნელთანი“ (მუხ. 10),*** ესე იგი, ყოველი ქმნილება – ზეციერნი, ანუ ანგელოზნი ღვთისანი, მიწიერნი – ცოცხალი ადამიანები, და ქვესკნელისანი – ანუ მკვდრები. ***„და ყოველმან ენამან აღუაროს, რამეთუ უფალი იესუ ქრისტე სადიდებელად ღვთისა მამისა“*** (მუხ. 11), რაც ნიშნავს, რომ ყველანი განადიდებენ მას, როგორც უფალსა და ღმერთს, დიდებით მამა ღმერთის თანასწორს. ამის შემდეგ, წმინდა პავლე ფილიპელებს მათი მორჩილებისთვის აქებს და ზნეობრივი ხასიათის დარიგებებს აძლევს და შეაგონებს: ***„შიშით და ძრწოლით თჳსსა ცხ-***

ორებასა იქმოდეთ“ (მუხ. 12. შდრ. ფსალმ. 2, 11), ამასთან, ურჩევს, რომ ყოველივე უდრტვინველად და ეჭვშეურევნელად გააკეთონ, რათა ღვთის უმანკო და უბრალო შვილები იყვნენ გახრწნილ და უნდო მოდგმას შორის. აქ ყურადღებას იპყრობს გამოთქმა: ***„რამეთუ ღმერთი არს, რომელი შეიქმს თქუენ თანა ნებასაცა და შეწევნასა სათნოებისათჳს“*** (2, 13). ეს, რა თქმა უნდა, ადამიანის ნების თავისუფლებას არ ანადგურებს, არამედ მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ჭეშმარიტი კეთილმსახურება ღვთის ნიჭია, რომელიც თავმდაბალთ ეძლევა. მაგრამ ღმერთი მხოლოდ აღძრავს ადამიანში კეთილ საქმეთა სურვილს თავისი მადლის მოქმედებით, ხოლო გამოეხმაურება თუ არა ადამიანი, ეს მხოლოდ მასზე, მის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული. ღვთის მადლი მხოლოდ შეეწევა ადამიანს კეთილ საქმეებში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი საქმესაც ადამიანის ნაცვლად აკეთებს. როცა დედას ახალფეხადგმული ბავშვი ხელჩაკიდებული მიჰყავს, ის მხოლოდ ეხმარება მას, მაგრამ მის მაგივრად ნაბიჯებს არ დგამს. ასეთივეა ღირსი მაკარის სწავლით ჩვენს კეთილ საქმეებში ღვთის თანამოქმედება (12-18).

მეორე თავის დანარჩენ ნაწილში წმინდა პავლე მოციქული ფილიპელებს თავისი განზრახვის შესახებ აუწყებს. მას მხედველობაში აქვს ის, რომ მისი ხვედრი აღელვებს და ჰპირდება მათ, რომ თავის ერთგულ თანაშემწეს, ტიმოთეს გაუგზავნის, როგორც კი მასზე კეისრის სამსჯავრო დასრულდება (19-23). ამ ელჩობის მეორე მიზანია, რომ ფილიპელთა ცხოვრების შესახებ ზუსტი ცნობები მიიღოს, რათა მშვიდად იყოს მათ გამო. „ჰოი, როგორი ნაზი სიყვარულით უყვარდა მას მაკედონია, – ამბობს ამის შესახებ *წმინდა იოანე ოქროპირი,* – ეს უდიდესი მზრუნველობის ნიშანია, როცა მალე მისვლის საშუალება არა აქვს და მოწაფეს გზავნის; ვერ ითმენს, რომ

მცირე ხნით მაინც არ იცოდეს იქ მიმდინარე მოვლენების შესახებ. ტიმოთეს კი იმიტომ გზავნის მოციქული, რომ ის არის მისთვის ყველაზე ერთგული ადამიანი, ვისი ნდობაც ყველაფერში შეუძლია" (მუხ. 20-22-ზე).

წმინდა მოციქულმა სულიწმიდისგან უეჭველად იცის, რომ გათავისუფლდება და ფილიპელებს აღუთქვამს, რომ მალე მივა მათთან. ჯერჯერობით კი მოციქული ეპაფროდიტეს გზავნის, რადგან ეპაფროდიტე რომში ავად იყო და ფილიპელებმა არაფერი იცოდნენ მისი ავადმყოფობის მდგომარეობის შესახებ და ამის გამო ძალზე ღელავდნენ. მოციქული ეპაფროდიტეს ფილიპელებთან გზავნის და მას გაწეული შრომისთვის აქებს: იგი პატიმრობაში მყოფი მოციქულის დასამშვიდებლად ჩავიდა ფილიპედან რომში, 1000 კილომეტრზე მეტ მანძილზე და იქ მძიმე სნეულებით დაავადდა. წმინდა მოციქული მას თავის *ძმას, თანაშემწეს* და *თანამოღვაწეს* უწოდებს და სთხოვს ფილიპელებს: ***„შეიწყნარეთ ეგე უფლისა მიერ ყოვლითა სიხარულითა"*** და პატივი სცენ.

მესამე თავში წმინდა მოციქული ფილიპელებს საუფლო სიხარულს შეაგონებს და მათ იუდეველთაგან გარიდებას ურჩევს. იუდეველები ყველა წარმართს და მათთან ურთიერთობაში მყოფ ებრაელებს „ძაღლებს" უწოდებდნენ. მოციქულს უფრო სამართლიანად მიაჩნია, რომ ეს მეტსახელი თვით მათ მიმართ გამოიყენოს. ***„ეკრძალებოდეთ ძაღლთა მათგან,*** *– წერს იგი, –* ***ბოროტთა მათგან მუშაკთა, ხედევდით* განკუეთილებასა მას"***. ჭეშმარიტი წინადაცვეთილები, მოციქულის სიტყვებით, ისინი არიან, ***„რომელნი სულითა ღვთისა*** მსახურებენ ***და*** იქადიან ***ქრისტე იესუს მიერ და არა ჯორცთა*** ესავენ" (3, 1-3). წინადაცვეთას მოციქული აქ

* მოერიდეთ

ირონიულად *განკუეთას* უწოდებს და მისი დამცირება სურს, რადგან მან თავისი მნიშვნელობა დაკარგა: ადრე ის რჩეული ერის ბეჭედი იყო, ახლა კი სხეულის ნაწილის უბრალო მოკვეთად იქცა, ყოველგვარი მნიშვნელობის გარეშე.

შემდეგ მოციქული თავის თავზე საუბრობს, რომ მას შეეძლო, იუდაური ხორციელი უპირატესობით სხვაზე არანაკლებად და შესაძლოა, უფრო მეტადაც კი ეამაყა, მაგრამ მან ყოველივე ეს დაუტევა ***„ქრისტესთჳს ზღვევად“: „შემირაცხიეს იგი ნაგევად, რაჲთა ქრისტე შევიძინო“*** (3, 8). იგი იუდეველია არამხოლოდ დაბადებით, არამედ, აგრეთვე, გაზრდილია ფარისეველთა სკოლაში და იყო ქრისტეს ეკლესიის მოშურნე მდევნელი. ძველაღთქმისეული მართლობის თვალსაზრისით, მას შეეძლო, თავი „უბიწოდ“ მიეჩნია, მაგრამ ახლა იგი ამას უპირატესობად კი არა, ამაოებად მიიჩნევს და ერთადერთი, რასაც ეძიებს – ეს არის იესო ქრისტეს შემეცნება, მის ვნებათა თანაზიარება და მკვდრეთით აღდგომის მიღწევა (მუხ. 9-11). თავმდაბალი მოციქული მიიჩნევს, რომ სრულყოფილებას ჯერ ვერ მიაღწია, იგი მისკენ მხოლოდ ისწრაფვის: ***„ვსდევ ეგრეთ, რაჲთა ვეწიო, რომლითაცა წევნულ ვიქმენ ქრისტე იესუჲს მიერ“.*** ქრისტესადმი თავის მიმართვას მოციქული იმ სახით წარმოადგენს, თითქოს, უფალი მისდევდა მას, ბოლოს დაეწია და დაიჭირა. ***„უკუანასა მას დავივიწყებ და წინასა მას მივსწუდები, და კრძალულებით ვსდევ გჳრგჳნსა მას ზეცისა ჩინებისა ღვთისასა ქრისტე იესუჲს მიერ“,*** – არაფერი ისე არ ჰყოფს ჩვენს სათნოებებს ამაოდ და არ გვაამპარტავნებს, როგორც ჩვენ მიერ ქმნილი სიკეთის დამახსოვრება. ამიტომაც ამბობს მოციქული, რომ იგი თავის ყველა სიკეთეს ივიწყებს და მუდამ გულმოდგინებით მიილტვის წინ, უმაღლესი ქრისტიანული სრულყოფილებისაკენ (მუხ. 12-14).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მოციქულის შემდეგ სიტყვებს: ***„რაოდენნი უკუე სრულნი ვართ, ამას ვზრახვიდეთ; და სხუასა თუ რასმე ზრახვიდეთ, და იგიცა ღმერთმან გამო-ვე-გიცხადოს თქუენ. გარნა, რომელსა-ესე მივსწუეთით, მასვე ვზრახვიდეთ და მასვე წესსა ზედა ვეგნეთ“*** (მუხ. 15-16), რადგან მათი არგუმენტად მოყვანა უყვართ მისტიკურ სექტებს, რომელნიც საეკლესიო იერარქიას უარყოფენ და მთლიანად შინაგანი გაბრწყინებისა და სულიწმიდის დამოძღვრის იმედად არიან. მოყვანილი სიტყვები სრულებითაც არ ნიშნავს, რომ თითოეულს ისე შეუძლია განსაჯოს და ასწავლოს, როგორც მოეპრიანება და ღმერთი ასეთ პირს ჭეშმარიტებას განუცხადებს. კონტექსტში აქ სხვა აზრია გამოთქმული. როცა ამბობს, ***„რაოდენნი უკუე სრულნი ვართ, ამას ვზრახვიდეთ“***, მოციქული საკუთრივ მართლობისა და საკუთარი არარაობის შესახებ თავმდაბლურად აზროვნებას გულისხმობს, ქრისტე-მაცხოვრის დამსახურებასთან შედარებით, საკუთარ თავზე ასეთი მდაბალი წარმოდგენა ***(„არღარა შემირაცხიეს თავი ჩემი წარწევნულად“)*** აუცილებელია სარწმუნოებაში განმტკიცებული ყველა სრულყოფილი ქრისტიანისთვის. ასე განმარტავს ამას წმინდა იოანე ოქროპირიც, როცა ამბობს: „ეს დოგმატებზე კი არ ითქვა, არამედ ცხოვრების სრულყოფაზე და იმაზე, რომ არ ჩავთვალოთ თავი სრულყოფილად. ***სხუასა თუ რასმე ზრახვიდეთ*** – თუკი ამაზე სხვაგვარად ფიქრობთ, დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი გამოგიცხადებთ თქვენი აზროვნების ცდომილებას და საკუთარ თავზე მდაბალ აზრამდე მიგიყვანთ, რამეთუ ვინც ფიქრობს, რომ ყოველივეს მიაღწია, მას არაფრისთვის მიუღწევია“. ***„გარნა, რომელსა-ესე მივსწუეთით, მასვე ვზრახვიდეთ და მასვე***

წესსა ზედა ვეგნეთ"*. ეს შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: ყველაფერში სინდისს უნდა ვუსმინოთ და რასაც ის ჭეშმარიტად და აუცილებლად აღიარებს – ის მივიღოთ, და მასთან შევათანხმოთ ჩვენი ცხოვრების წესები და საქმეები. აზროვნების და ცხოვრების წესი ჩვენ უნდა შევათანხმოთ იმასთან, რასაც მივაღწიეთ და რაც გავიგეთ, რაშიც დავრწმუნდით. ეკუმენოსი ამას ასე განმარტავს: „სანამ ღმერთი გაგვიცხადებს, მანამდე იმ დონეზე ვიდგეთ, რასაც მივაღწიეთ, რათა უკვე მიღწეული არ დავკარგოთ".

ამის შემდეგ წმინდა პავლე ფილიპელებს შეაგონებს, რომ სამაგალითოდ მისი ცხოვრება აირჩიონ, ხოლო იმათ მიბაძვას ერიდონ, ვინც ქრისტეს ჯვრის მტერსავით იქცევა და ***„რომელთა აღსასრული წარწყმედაჲ არს, რომელთა ღმერთ მუცელი არს და დიდებაჲ – სირცხჳლსა შინა მათსა, რომელნი ქუეყანისასა ზრახჳენ".*** აქ ის ადამიანები იგულისხმება, რომელნიც მთლიანად ხორციელ ცხოვრებასა და მიწიერ სიამოვნებებს მიეცნენ, ვრცელი და ფართო გზით ვლენან და არ სურთ, ეზიარონ ქრისტეს ჯვარცმას, როგორც ეს ჭეშმარიტ ქრისტიანებს შეეფერებათ. „მომბაძეთ, – *ამბობს მოციქული,* – ვიწრო, შეჭირვებული და თვითვნების ჯვარსახოვანი გზით სიარულში, რამეთუ ჩვენ, ქრისტიანებს, არ შეგვშვენის მიწაზე მიწებება, რადგან ჩვენი ***„მოქალაქობაჲ ცათა შინა არს, ვინაცა მაცხოვარსა მოველით, უფალსა იესუ ქრისტესა",*** რომელიც ჩვენს დამცირებულ სხეულს ისე განაახლებს, რომ იგი მის დიდებულ სხეულს დაემსგავსება", – არა მიწიერზე, არამედ ზეციურზე უნდა იფიქრონ ჭეშმარიტმა ქრისტიანებმა და ცათა სასუფევლის წესებითა და კანონებით ცხოვრებას მიეჩვიონ.

---

* რასაც მივაღწიეთ, ისე უნდა ვიმსჯელოთ და იმ წესებით ვიცხოვროთ.

მეოთხე თავს შეადგენს შეგონებები: ***„ესრეთ მტკიცედ დეგით უფლისა მიერ“,*** როგორც ახლახან ასწავლიდა მოციქული. იგი ფილიპელთა მიმართ გულისშემძვრელი მიმართვით იწყება, რომელიც გვიჩვენებს, თუ რაოდენ ძვირფასნი იყვნენ ისინი (ფილიპელები) მოციქულისთვის. იგი მათ ასე უწოდებს: ***„ძმანო ჩემნო საყუარელნო და სასურველნო, სიხარულნო და გჳრგჳნნო ჩემნო“.*** შემდეგ მოდის მიმართვა ორი დედაკაცისადმი – ევოდიასა და სვინტვიქოსადმი: ***„ჰზრახვიდეთ უფლისა მიერ“.*** აშკარაა, რომ ისინი გავლენიანი დედაკაცები იყვნენ და მათი უთანხმოება ქრისტიანული სარწმუნოების ძირითად ჭეშმარიტებასთან შესაძლოა, სხვათათვის გარკვეულწილად საზიანო ყოფილიყო. ამიტომ წმინდა მოციქულმა საჭიროდ ჩათვალა, ისინი განსაკუთრებულად შეეგონებინა. მე-3 მუხლში მოციქული ერთ-ერთ თავის თანამუშაკს მიმართავს (მისი სახელი უცნობია) და სთხოვს, რომ დაეხმაროს ზემოთ მოხსენიებული დედაკაცების შეგონებაში, ***„რომელნი-ეგე სახარებასა მას თანა-მოღუაწე მექმნეს მე კლემენტოსითურთ, და სხუათა მათ თანა-შემწეთა ჩემთა“.*** აქ ნახსენებ „კლემენტოსში“, როგორც წესი, წმინდა კლიმენტის გულისხმობენ, რომელიც რომის ეპისკოპოსი იყო ლინუსისა და ანაკლეტუსის შემდეგ. დასასრულ, მოციქული თითოეულისთვის საერთო დარიგებას იძლევა: ყოველთვის უნდა უხაროდენ უფლის მიერ, იყვნენ მშვიდნი; არ უნდა მიეცნენ მრავალმშფოთვარე ცხოვრებისეულ საზრუნავებს და ლოცვაში, ღვთის წინაშე, უნდა გააცხადონ თავისი სურვილები. ყოველივე ეს ქრისტიანული ცხოვრების დამახასიათებელი ნიშან-თვისებებია. ასეთი ცხოვრების შედეგს კი წარმოადგენს მშვიდობა ღვთისა, ***„რომელი ჰმატს ყოველთა გონებათა“*** და რომელიც დაიცავს გულსა და გონებას, ანუ ვნებებით გამოწვეულ ყველა გრძნობასა და აზრს, ყოველგ-

ვარი უწესრიგობისაგან. მოციქულს სხვა არაფრის ჩამოთვლა არ სურს იმისგან, რაც ქრისტიანის მოვალეობებში შედის. ბოლოს ასწავლის, რომ ყველა სათნოებაზე უნდა იფიქრონ, ***„რომელცა-იგი ისწავეთ და მიიღეთ...“*** და მაშინ – ***„ღმერთი მშჳდობისაჲ იყავნ თქუენ თანა“*** (მუხ. 1-9).

ბოლოსიტყვაობაში წმინდა მოციქული იხსენიებს მისთვის გაგზავნილ შემწეობას და ფილიპელთა ამ მზრუნველობის გამო სიხარულს გამოხატავს; და თუმც იგი არაფერს საჭიროებს, მაგრამ მისთვის ძვირფასი და სასიამოვნოა ეს მზრუნველობა, რომლითაც ფილიპელები ყველა სხვა ეკლესიისგან გამოირჩევიან და ადრეც არაერთხელ გაუგზავნიათ მისთვის შემწეობა. ახლანდელი ძღვენი კი (რომელიც ეპაფროდიტეს ხელით გაუგზავნეს), მოციქულმა მიიღო როგორც ***„სულითა სურნელებისაჲთა, მსხუერპლითა მით შეწირულითა სათნოთა ღვთისაჲთა“.*** ბოლოს, წმინდა მოციქული მოიკითხავს ***„ყოველთა წმიდათა ქრისტე იესუს მიერ“,*** ანუ თითოეულ ქრისტიანს და იძლევა ჩვეულ კურთხევას (მუხ. 10-23).

ეპისტოლე კოლასელთა მიმართ

კოლასეში ქრისტეს ეკლესიის დაფუძნება. ქალაქი კოლასე (კოლოსი) მცირე აზიის ფრიგიის მხარეში, მდინარე ლიკიის ნაპირას მდებარეობს. ძველად ის დიდი და მდიდარი ქალაქი იყო. წიგნში – „საქმე მოციქულთა" – ეს ქალაქი არ იხსენიება და კოლასეს ეკლესიის დაარსების შესახებ არანაირი ზუსტი ცნობები არ გაგვაჩნია. შეიძლება, მხოლოდ, ვივარაუდოთ, რომ კოლასეს ეკლესია ან უშუალოდ წმინდა მოციქულ პავლეს მიერ არის დაარსებული ფრიგიაზე გავლისას, ან მისი მოწაფეების მიერ. „მოციქულთა საქმედან" ჩანს, რომ წმინდა მოციქულმა პავლემ ორჯერ გაიარა ფრიგია: თავისი მეორე სამოციქულო მოგზაურობისას, გზად ევროპისაკენ **(საქმ. 16, 6)** და მესამე მოგზაურობისას, გზად ეფესოსაკენ **(საქმ. 18, 23).** კოლასე მუდმივ სავაჭრო ურთიერთობაში იყო ეფესოსთან, სადაც წმინდა პავლე თავისი მესამე მოგზაურობისას ორ-ნახევარი წლის განმავლობაში იმყოფებოდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თუ პავლე მოციქული თავად არ ყოფილა კოლასეში, მაშინ ქრისტიანობა იქ მისი მოწაფეების – ეპაფრაისისა და ფილიმონის მიერ არის დანერგილი. წმინდა პავლე მოციქული ეპაფრაისს თავის საყვარელ თანაშემწეს უწოდებს და კოლასელთა მიმართ ეპისტოლეში პირდაპირ ამბობს: ***„გესმა და სცანთ მადლი იგი ღვთისაჲ ჭეშმარიტებით, ვითარცა-იგი ისწავეთ ეპაფრაჲსგან, საყუარელისა თანა-მონისა ჩუენისა, რომელ-იგი არს სარწმუნოჲ თქუენდა მიმართ მსახური ქრისტესი"*** (კოლ. 1, 6, 7). მე-4 თავის 12-13 მუხლებიდან ჩანს, რომ ეპაფრაისს დავალებული ჰქონდა როგორც ქალაქ კოლასეს ქრისტიანთა, ასევე მეზობელი ქალაქების – ლაოდიკიის (იმ მხარის მთავარი ქალაქის)

და იეროპოლის მორწმუნეთა სულიერი მზრუნველობა. წმინდა მოციქული ფილიმონს – თავის საყვარელ თანაშემწეს, მის შვილს – არქიპოს კი თავის თანამოსაგრეს უწოდებს (ფილიმ. 1, 1, 2). კოლასელთა მიმართ ეპისტოლეში იგი არქიპოსათვის გადასაცემად გზავნის შემდეგ დარიგებას: ***„ეკრძალე მსახურებასა მას, რომელი მიიღე უფლისა მიერ, რაჲთა იგი აღასრულო“*** (კოლ. 4, 17).

კოლასელთა მიმართ ეპისტოლეს ზოგიერთი ადგილი გვაფიქრებინებს, რომ წმინდა მოციქული პირადად კოლასეში არ ყოფილა, თუმცა მეორე მხრივ, ის ამას კატეგორიულად არ ამტკიცებს (1, 4; 2, 1). *ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული* გვთავაზობს შევჩერდეთ იმ ვარაუდზე, რომ წმინდა პავლე მოციქული კოლასეში არ ყოფილა, თუმცა არც მის იქ ყოფნას გამორიცხავს. ყოველ შემთხვევაში, კოლასეში ქრისტიანობის წარმოშობა მისი დამსახურებაა.

ეპისტოლეს დაწერის მიზეზი და მიზანი. თვით ეპისტოლეს შინაარსიდან ჩანს, რომ მისი დაწერის მიზეზი გახდა მავანი ცრუმოძღვრების გამოჩენა, რომელნიც ქრისტიანული სარწმუნოების სიწმინდეს ემუქრებოდნენ და პავლე მოციქულის სურვილი, რომ კოლასელები ამ ცრუმოძღვრებით გატაცებისგან ეხსნა. იმ სიტყვებიდან, რომლითაც წმინდა პავლე ამ ცრუმოძღვრებს ახასიათებს (2, 4; 2, 8; 2, 16), ჩანს, რომ ეს ცრუმოძღვრებანი მკაცრად განსაზღვრულ რომელიმე სისტემას არ წარმოადგენდნენ და სიცხადით და გარკვეულობით არ გამოირჩეოდნენ, – ეს იყო წარმართული ფილოსოფიის, გნოსტიციზმის საწყისების და იუდეველობის ერთგვარი ნაზავი, და საკვებთან, დღესასწაულებთან და წინადაცვეთასთან მიმართებით ძველ დადგენილებებს მისდევდა (2, 11-15). აღნიშნული ცრუმოძღვრების გამოჩენის შესახებ

წმინდა პავლეს, – რომელიც იმ დროს რომში პატიმრობაში იმყოფებოდა, – ეპაფრაისმა შეატყობინა და მანვე სთხოვა თავის მოძღვარს კოლასელთა მიმართ ეპისტოლეს დაწერა.

ეპისტოლეს მიზანი კოლასელთა გაფრთხილება იყო, რათა ისინი არ ცდუნებულიყვნენ თეოსოფოსთა შემპარავი სიტყვებით, რომ თითქოს ვინმე სხვაზე – გარდა იესო ქრისტესი – შეიძლებოდეს დაყრდნობა და სასოების დამყარება (ამბროსიასტე) და ამასთან, მათი დარწმუნება იმაში, რომ მტკიცედ მდგარიყვნენ, როგორც უდავო ჭეშმარიტებაზე, იმ სწავლებაზე, რომელიც მათ ეპაფრაისმა – ***„რომელ-იგი არს სარწმუნოჲ თქუენდა მიმართ მსახური ქრისტესი“*** – ამცნო (1, 7; 4, 12, 13).

ეპისტოლეს დაწერის დრო და ადგილი. ეპისტოლეში წმინდა პავლე მოციქული ორჯერ იხსენიებს, რომ იგი პატიმრობაში იმყოფება (კოლ. 4, 3, 18). ეს იყო პირველი რომაული პატიმრობა, რადგან ამ დროს მოციქულთან ტიმოთე იმყოფებოდა, რომელიც მეორე პატიმრობისას მას თან არ ახლდა. იგი ფილიპელთა მიმართ ეპისტოლეზე ადრე და ფილიმონის ეპისტოლეს თანადროულად არის დაწერილი. შესაბამისად, მისი დაწერის ადგილი რომია, დრო კი, დაახლოებით, 61 ან 62 წელი. ეპისტოლე კოლასეში ტვიქიკოსისა და ონისიმეს ხელით იქნა გაგზავნილი; ამ უკანასკნელს, ამას გარდა, კიდევ სხვა, განსაკუთრებული ეპისტოლე მიჰქონდა მოციქულისგან თავისი ყოფილი ბატონის – ფილიმონის მიმართ (4, 7-9).

ეპისტოლეს შინაარსი და მისი დაყოფა. კოლასელთა მიმართ ეპისტოლე ოთხ თავს შეიცავს. მასში მთავარი თემა ცრუმოძღვართა უარყოფაა, რომლებიც იმის დამტკიცებას ცდილობდნენ, რომ თითქოს, ღმერთთან მისვლა და ცხონება

უფალ იესო ქრისტეს გარეშეც იყო შესაძლებელი. ეპისტოლე შემდეგ ნაწილებად იყოფა:

1) წინასიტყვაობა (1, 1-11);
2) სარწმუნოებითი ნაწილი (1, 12; 2, 23);
3) ზნეობრითი ნაწილი (3, 4-6);
4) ბოლოსიტყვაობა (4, 7-18).

ეპისტოლეს ეგზეგეტიკური გარჩევა. როგორც ყოველთვის, ეპისტოლე იწყება ზედწარწერითა და მისალმებით: ***„პავლე, მოციქული იესუ ქრისტესი ნებითა ღვთისაჲთა, და ტიმოთე ძმაჲ“*** (1, 1-11). აკურთხებს რა კოლასელებს მადლითა და მშვიდობით, წმინდა მოციქული ამბობს, რომ იმ დროიდან, რაც ეპაფრაისისგან შეიტყო მათი რწმენისა და სიყვარულის შესახებ ყველა წმინდანთა – ანუ ქრისტიანთა – მიმართ, მას არ შეუწყვიტავს მათთვის ლოცვა, რათა ისინი სულ უფრო და უფრო წარემატონ სულიერი სრულყოფილების გზაზე.

რადგანაც ეპისტოლეს მიზანი კოლასელთა გაფრთხილებაა ცრუმოძღვართაგან, ამიტომ ეპისტოლეს სარწმუნოებით ნაწილში წმინდა მოციქული, უპირველეს ყოვლის, ადამიანთა ცხონების განგებულებას ასახავს. ამისთვის იგი, პირველ ყოვლისა, ღმერთს მადლობს ბნელეთის ხელმწიფეებისგან ჩვენი გათავისუფლებისა და თავისი საყვარელი ძის მიერ სასუფეველში შეყვანისთვის (1, 12-14). ამის შემდეგ, მოციქული თვით მაცხოვრის ღვთაებრივ პიროვნებაზე იწყებს საუბარს, ***„რომელი-იგი არს ხატი ღვთისა უხილავისაჲ, პირმშოჲ ყოველთა დაბადებულთაჲ“*** (1, 15). „ხატი, – ამბობს *ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული,* – მიუთითებს მამასთან ერთარსობაზე; ეს საიდან ჩანს? იქიდან, რომ მისგან იშვა, ხოლო, რაკი მამისგან იშვა, ესე იგი, ერთარსია მამისა და, თუ ერთარსია მამისა, მაშასადამე, მისი ხატია“. ***„პირმშოჲ ყოველთა დაბა-***

დებულთაჲ", – აქ ნაჩვენებია, რომ ძე ღვთისა შობილია და, ამდენად, არ არის მამა-ღმერთის ქმნილება. ***„რამეთუ მის მიერ დაებადა ყოველივე ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, ხილულნი და არა-ხილულნი, ანუ თუ საყდარნი, ანუ თუ უფლებანი, გინა თუ მთავრობანი, გინა თუ ჴელმწიფებანი, – ყოველივე მის მიერ და მისა მიმართ დაებადა"*** (1, 16), – აქ გადმოცემულია მნიშვნელოვანი დოგმატური ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ ძე ღვთისა ყოველივე არსებულის შემოქმედია და ამიტომ, ცხადია, თვითონ ვერ იქნება ქმნილება. ამით არ უქმდება შესაქმეში მამა-ღმერთისა და სულიწმიდის მონაწილეობა: მოციქული, რომელსაც ქრისტეს ღმრთეებრიობის უარმყოფელთა დამხობა აქვს განზრახული, ამის მტკიცებით მხოლოდ მის საღვთო ღირსებას უსვამს ხაზს. გარდა ამისა, ამ ადგილის დოგმატური მნიშვნელობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ აქ ანგელოზთა სამყაროს სხვადასხვა იერარქიულ ხარისხზეა საუბარი: ***„საყდარნი, ანუ თუ უფლებანი, გინა თუ მთავრობანი, გინა თუ ჴელმწიფებანი..."*** *(1, 16);* ***„იგი თავადი არს ყოველთა წინა, და ყოველივე მის მიერ დამტკიცნა"*** *(1, 17),* – ხშირად იმეორებს ერთსა და იმავეს, რათა სიტყვათა გახშირებით, თითქოსდა, ხშირი დარტყმებით, ძირშივე აღმოფხვრას ბილწი სწავლება. და ნახე, კი არ თქვა, რომ ყველაზე წინ მოვიდა არსებობაში, არამედ: ***„იგი თავადი არს ყოველთა წინა"***, რაც მხოლოდ ღმერთისთვისაა დამახასიათებელი" *(წმინდა იოანე ოქროპირი).*

ამრიგად, იესო ქრისტე, განხორციელებული ძე ღვთისა, „არა მხოლოდ ყოველივეს შემქმნელია, არამედ ზრუნავს კიდევაც იმაზე, რაც შექმნა, მართავს მას და მხოლოდ მისი სიბრძნითა და ძალით დგას მის მიერ ქმნილი" *(თეოდორიტე კვირელი).* არა ღმერთსა და სამყაროს შორის არსებული სულები, არა ეონები, როგორც გნოსტიკოსები ასწავლიდნენ, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ანგელოზები, არამედ ძე ღვთისა აწესრიგებს სამყაროს, რომელმაც ყოველივე შექმნა და მათ შორის – ანგელოზებიც. ეს სიტყვები დეისტებსაც ამხელს, რომლებიც ღვთის განგებას უარყოფდნენ: სამყარო თავისით, ან ბუნების უსულო კანონებით კი არ იმართება, არამედ – მის ცხოვრებაში შემოქმედის უშუალო მონაწილეობით. ***„ყოველივე მის მიერ დამტკიცნა“***, – ეს ნიშნავს, რომ მისი განგებულების გარეშე რამე რომ დარჩენილიყო, ის რაიმე უეჭველად დაინგრეოდა და დაიღუპებოდა“ (*წმინდა იოანე ოქროპირი, 1, 17-ზე*).

მას შემდეგ, რაც გაგვიცხადა, თუ ვინ არის იესო ქრისტე ღმრთეებრიობით, მოციქული უკვე გვეუბნება, თუ რას წარმოადგენს იგი ჩვენი ცხონების განგებულებით. აქ ცხადდება ორი მნიშვნელოვანი დოგმატური ჭეშმარიტება: პირველი – ეს არის ღმერთკაცის სიმაღლე, რომელიც ეკლესიის თავად იქცა და მეორე – მისი მთავარი საქმე: ყოველის ღმერთთან შერიგება. ***„იგი არს თავი გუამისა მის ეკლესიისაჲ რომელი არს დასაბამი, პირმშოჲ მკუდრეთით, რაჲთა იყოს იგი თავადი ყოველსა შინა მთავარ“*** (1, 18).

„როდესაც ამბობს – „თავი“, – გაგვიმარტავს *წმინდა იოანე ოქროპირი*, – მოციქულს ამით სურს უფლის ჩვენთან სიახლოვე და ამასთან, ღვთის უსაზღვრო კაცთმოყვარეობა გვიჩვენოს: იმან, ვინც ესოდენ მაღალია და ყველაზე მაღლა დგას, კეთილინება მჭიდროდ შეერთებულიყო ჩვენს კნინებასთან, ისე, როგორც თავმა – სხეულთან. იგი ***„არს დასაბამი“*** – ეს ნიშნავს, რომ ქრისტე მის მიერ განახლებული კაცობრიობის ფუძემდებლად იქცა. ***„პირმშოჲ მკუდრეთით“***, – როგორც ყველაზე უწინარეს მკვდრეთით აღმდგარი, ვისაც ყველა სხვა დანარჩენი მიჰყვება“. „...როგორც საფუძველი, ყველასთვის საერთო აღდგომის წყარო“ (*ნეტარი თეოდორიტე*). ***„რაჲთა იყოს იგი თავადი ყოველსა შინა მთავარ“*** –

ესე იგი, რათა იგი ყოველმხრივ პირველი იყოს. ეს იმ „ცრუ-მოძღვართა წინააღმდეგ არის მიმართული, რომელნიც მრავალ ძალასა (ეონს) და მათგან მომდინარე მრავალხელისუფლებიანობას ქადაგებდნენ“ *(ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული).*

„რამეთუ მას შინა სათნო-იყო (მამა-ღმერთისთვის) ***ყოველივე სავსებაჲ დამკჳდრებად“,*** – ანუ მის ძეში ყოველივე სრულყოფილება ყოფილიყო თავმოყრილი – „ყოველივე სრულად, რაც დასჭირდება ნებისმიერს, დროშიც და მარადისობაშიც“ *(ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული).* ეს აზრი გნოსტიკოსთა წინააღმდეგაც არის მიმართული. ისინი ასწავლიდნენ, რომ სავსება, ანუ „პლირომა“, როგორც ისინი ამბობდნენ, არსებათა მრავალრიცხოვანი რიგისგან შედგება, რომელნიც სხვადასხვა სრულყოფილებას ფლობდნენ, მოციქული კი გვასწავლის, რომ ყოველი სრულყოფილება მხოლოდ ძე ღვთისაშია თავმოყრილი (1, 19).

„და მის მიერ დაგებად ყოველი მისა მიმართ, მშჳდობა-ყო სისხლითა მით ჯუარისა მისისაჲთა მის მიერ, გინა თუ ქუეყანასა ზედა, გინა თუ ცათა შინა“ (1, 20), – აქ ღმერთკაცის მთავარ საქმეზეა მითითება – ღმერთთან ყოველის შერიგებაზე. კაცთა ცოდვით დაცემამ ღმერთსა და ქმნილებას შორის მტრობა ჩამოაგდო; ძე ღვთისას ჯვარცმამ მშვიდობა დაამყარა, კაცისგან მისი ცოდვის ბრალი ჩამორეცხა და იგი ღმერთთან შეარიგა. ამან კი, თავის მხრივ, ადამიანებთან ანგელოზებიც შეარიგა, რომელნიც, როგორც ერთგულნი მსახურნი, შეუძლებელია, ცოდვით დაცემული ადამიანის მიმართ მტრულად განწყობილნი არ ყოფილიყვნენ: „ანგელოზები კაცთა წინააღმდეგ შეიარაღდნენ, – ამბობს *წმინდა იოანე ოქროპირი,* – იხილეს რა მათი მხრიდან თავისი მეუფის შეურაცხყოფა“. ახლა კი, უფლის მიერ გამოსყიდვის ღვაწლის აღსრულების შემდგომ, ანგელოზები გვეპყრობიან

როგორც უფროსი ძმები უმცროსებს, როგორც მსახური სულები, როგორც მოვლინებულნი მსახურად იმათთვის, ვინც ცხონება უნდა დაიმკვიდრონ (შდრ. **ებრ. 1, 14**). სწორედ ამას ნიშნავს: ***„ცათა შინა“*** (1, 20).

ჩვენი ცხონების განგებულების არსის წარმოდგენის შემდეგ, წმინდა მოციქული პავლე მის მიერ გადმოცემული მოძღვრების დამატებას იძლევა უპირველესად კოლასელთა მიმართ (1, 21-23), შემდეგ კი თავისი სამოციქულო მსახურების მიმართ (1, 24-29). იგი ამბობს, რომ კოლასელთაც შეუძლიათ, ქრისტეს გამომსყიდველობითი საქმის ნაყოფი იგემონ, თუკი მტკიცედ და შეურყევლად იდგებიან ქრისტეს იმ სარწმუნოებაში, რომელიც მათ პავლემ უქადაგა. თავის შესახებ მოციქული ამბობს, რომ მას უხარია თავისი ტანჯვა როგორც კოლასელთა, ისე ეკლესიის მთელი სხეულისათვის, რამეთუ იგი იტანჯება განგებულის თანახმად, როგორც ღვთის სიტყვის მსახური და იმ ცხონების საიდუმლოს მქადაგებელი, რომელიც მან ახლახან განუმარტა კოლასელებს.

მეორე თავის შინაარსი მთლიანად ცრუმოძღვართა წინააღმდეგ არის მიმართული, რომელნიც კოლასელთა ცდუნებას ცდილობდნენ. წმინდა პავლე მოციქული მათ მხილებას თავის ღვაწლზე მითითებით იწყებს, – სურს, როგორღაც, კოლასელთა ყურადღება მიიპყროს და მათი სრული ნდობა მოიპოვოს. თავიდან კი კოლასელებს და მათთან ერთად ლაოდიკიისა და იერაპოლის მცხოვრებთ აქებს იმის გამო, რომ მათი გულები შეერთებულია სიყვარულში და განმზადებულია სრულყოფილი შემეცნების ყოველგვარი საუნჯის მისაღებად, ღმერთის საიდუმლოთა შესაცნობად – მამისაც და ქრისტესიც, ***„რომელსა შინა არიან ყოველნი საუნჯენი სიბრძნისანი და მეცნიერებისანი დაფარულნი“.*** „პირველი აზრი აქ ის არის, რომ უფალმა იესო ქრისტემ, როგორც ძემ

ღვთისამ და ღმერთმა, თვითონ ყოველივე იცის... თუკი ასეა, მაშინ მას უნდა ვთხოვოთ ყოველივე; იგი იძლევა სიბრძნესა და ცოდნას“ *(წმინდა იოანე ოქროპირი)*, მაგრამ საუბრის მსვლელობისას ამ სიტყვებში ასეთი აზრიც დევს: „ვინც მას შეიმეცნებს, იგი თვით ამ შემეცნებაში მოიხვეჭს ყოველგვარ სიბრძნესა და სრულ ცოდნას“ *(ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული)*, უმაღლეს და უძვირფასეს მეცნიერებას. „ამიტომ, – თითქოსდა, ასე შეაგონებს მოციქული კოლასელებს, – თუკი ვინმე მოვა თქვენთან ბრძენის სახით და იმ სიბრძნეს შემოგთავაზებთ, რომელიც იესო ქრისტეს შესახებ ღვთის საიდუმლოს შემეცნების თანახმიერი არ არის, ნუ მოუსმენთ მას; ის სიბრძნეს კი არა, უაზრო ბრძნობას გთავაზობთ“ *(ამბროსიასტე და ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული)*. ***„ხოლო ამას ვიტყვ, რაჲთა ნუ ვინმე შეურაცხ-გყვნეს თქუენ სიტყვთა მეტნობისაჲთა,**** – უხსნის მოციქული და შეაგონებს კოლასელებს: – ***ეკრძალენით, ნუ ვინმე იყოს წარმტყუენველ თქუენდა სიბრძნის მოყუარებითა და ცუდითა საცთურითა მოძღურებისა მისებრ კაცთაჲსა, წესთა მათებრ ამის სოფლისათა და არა ქრისტეს მიერ“*** (2, 1-8). აქედან ჩანს, რომ ის ცრუმოძღვრება, რომელიც კოლასელთა სარწმუნოების სიწმინდეს ემუქრებოდა, ფილოსოფიურ ხასიათს შეიცავდა; იგი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანური წარმოშობისა იყო და, როგორც ჩანს, სულიერ სამყაროსთან საიდუმლო ურთიერთობის დასამყარებლად ამქვეყნიური სტიქიებით სარგებლობდა, რათა ცრურწმენითი მიზნებისათვის მიეღწია. ეს, ჩვეულებრივ, დამახასიათებელი იყო ძველი მისტიკური სექტებისათვის, ისევე, როგორც ახლა ახასიათებთ სპირიტისტებსა და მისთანებს. ***„რამეთუ მას შინა დამკვდრებულ***

* შეპარულით

არს ყოველივე სავსებაჲ ღმრთეებისაჲ ჯორციელად“, – ანუ ქრისტეში დამკვიდრებულია ღვთის მთელი სავსება ხორციელად, ესე იგი, განხორციელებულად და ხელშესახებად და არა ხატოვნად და რაღაც გადატანითი მნიშვნელობით; დამკვიდრებულია, როგორც სული სხეულში. „მაგრამ არ იფიქრო, – განმარტავს *ნეტარი თეოდორიტე*, – რომ იგი სხეულში ჩაკეტილია, მოცულია, შეზღუდულია, რამეთუ „იგი ღმრთეებრივად აღუწერელია“.

„და ხართ თქუენ მას შინა აღსავსე“, – თქვენ უკვე სულიერად გამდიდრდით მასში, ამიტომ არ უნდა უსმინოთ არანაირ ცრუმოძღვრებს, რამეთუ მასში გაქვთ მთელი სავსება და სხვას არ უნდა მიმართოთ. იგი ყოველგვარ ანგელოზურ ძალთა მთავარია, ***„ყოვლისა მთავრობისა და ჴელმწიფებისაჲ“.*** რადგან, როგორც ჩანს, ცრუმოძღვრები ანგელოზებისადმი თავისებურ, უკანონო მისტიკურ თაყვანისცემას ასწავლიდნენ, ამიტომ მოციქულს სურს, გააფრთხილოს ისინი ამისგან და ასწავლის, რომ იესო ქრისტე ყოველ ანგელოზურ მთავრობათა და ხელმწიფებათა მეთაური და მბრძანებელია (2, 9, 10).

„რომლითაცა წინადაიცჳთეთ წინადაცუეთითა მით ჴელით უქმნელითა... მის თანა დაეფლენით ნათლის-ღებითა მით“, – ეს სიტყვები უეჭველად იმ ქრისტიანებს ეხებათ, რომლებიც იუდეველობდნენ, ანუ იუდაურ წეს-ჩვეულებებიდან გამომდინარე, წინადაცვეთას მოითხოვდნენ. მოციქული მათ პასუხობს, რომ ქრისტიანები წინადაიცვეთებიან ***„წინადაცუეთითა მით ჴელით უქმნელითა“***, რომელიც სრულდება ***„განძარცუვითა მით გუამისა მის ჯორცთა მათ ცოდვათაჲსა“*** და ნათლობის საიდუმლოში ცოდვათაგან განწმენდით. ამ მუხლებში (2, 11-14) გადმოცემულია მნიშვნელოვანი აზრი იმის შესახებ, რომ ძველაღთქმისეული წინადაცვეთა ახალ აღთქმაში ნათლლისღების საიდუმლოთია შეცვლი-

ლი. აღსანიშნავია, რომ მოციქული ნათლობას დაკრძალვას („დაფლვას“) ადარებს. აქედან ცხადია, რომ ამ საიდუმლოს აღსრულებისას სწორი წესი არის წყალში შთაფლვა და არა წყლის გადავლება, როგორც ეს დასავლეთშია მიღებული. ***„განძარცუნა მთავრობანი იგი და ჯელმწიფებანი და საჩუენებელ ქმნნა იგინი კადნიერებით და განაქიქნა იგინი მას შინა“.*** „მოციქული ამას ეშმაკის ძალებზე ამბობს, – *განმარტავს იოანე ოქროპირი,* – რამეთუ კაცობრივი ბუნება თითქოსდა მისით იყო შემოსილი“. აქედან ვიგებთ, რომ ბოროტ სულთა სამყაროშიც თავისი იერარქია არსებობს, ისევე, როგორც კეთილ სულთა სამყაროში. ამით მოციქული კვლავ აფრთხილებს კოლასელებს, რომ თავი შეიკავონ ანგელოზებისადმი რაიმე განსაკუთრებული მსახურებისგან: კეთილ ანგელოზებს არ ძალუძთ რამე უმაღლესი ცოდნა გვაუწყონ, იმასთან შედარებით, რასაც უფალი იესო ქრისტე გვიცხადებს. ბოროტი ანგელოზები კი ძლეულნი არიან და მათ არ შეუძლიათ, ქრსიტეს მორწმუნეებსა და მისი სწავლების მიმდევრებს რაიმე ზიანი მიაყენონ. ამიტომ არ არის მართებული რამე სახის წყევლის გამოყენება მათ წინააღმდეგ ან მათთან რაიმე სახის ურთიერთობაში შესვლა (2, 15).

მეორე თავის ბოლო (16-23) მუხლებში წმინდა მოციქული ჭეშმარიტებისგან გარკვეულ განდგომაზე გვაფრთხილებს. ეს გაფრთხილება სულ სამია. პირველი გაფრთხილება იუდაურ ჩვეულებებს ეხება, რომელთა დაცვაც ქრისტიანებისთვის სავალდებულო არ არის: ***„ნუმცა ვინ უკუე განგიკითხავს თქუენ საჭმლითა და სასუმლითა, გინა კერძო დღესასწაულისაჲთა, გინა თჳს-თავითა, გინა შაბათობითა, რომელი-იგი არს აჩრდილი მერმეთაჲ მათ, ხოლო ჯორცთა - ქრისტესთა“*** (2, 16, 17). მეორე გაფრთხილებით მოციქული შეაგონებს, რომ არ უნდა ცდუნდნენ ცრუმოძღვართა მოჩვე-

ნებითი სიმდაბლითა და ანგელოზების მსახურებით. ცრუმოძღვრები ასწავლიდნენ, რომ ეკლესიის თავის – ქრისტე-მაცხოვრის გარდა, ღმერთთან ერთობა ანგელოზების მეშვეობითაც არის შესაძლებელი, რომლებთანაც ურთიერთობაში საიდუმლო საშუალებებით უნდა შევიდეთ. ამ საშუალებათა შორის ასახელებდნენ ხორცის დაუძლურებასაც. ამაში ისინი, გნოსტიკოსთა მსგავსად, უმაღლეს ცოდნას ხედავდნენ და ნამდვილ ქრისტიანებს ქედმაღლურად ექცეოდნენ, თუმცაღა თავს მდაბლად წარმოაჩენდნენ.

ამ ცრუმოძღვრებამ ისე გაიდგა ფესვები, რომ ლაოდიკიის ადგილობრივმა კრებამ (365 წელი) საჭიროდ ჩათვალა თავისი განსაკუთრებული, 35-ე კანონით აეკრძალა „ფრიგიული ანგელოზთმსახურება“ და მას „საიდუმლო კერპთმსახურება“ უწოდა. ამ ცრუმოძღვრებასთან დაკავშირებით *ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული* წერს: „ხომ არ იყო ეს ჩვენი სპირიტისტების სეანსების მსგავსი, რაიმე მეთოდებითა და ქმედებებით? ყოველ შემთხვევაში, სული ერთია – იქაც და აქაც“. მესამე გაფრთხილება: არ გაგვიტაცოს კაცობრივმა ბრძნობამ რაიმე ნივთისგან თავშეკავების აუცილებლობის მოთხოვნით: ***„ნუ მიეახლები, ნუცა გემოსა იხილავ, ნუცა შეეხები“.*** როგორც ჩანს, აქ საუბარია არა თავშეკავებაზე, არა მარხვის ღვაწლზე, რომელიც ქრისტიანულ ეკლესიაში ყოველთვის არსებობდა, არამედ გარკვეული სახის საკვებისაგან ცრურწმენით თავშეკავებაზე. თეოსოფოსები და ოკულტისტები ახლაც ასწავლიან, რომ ზოგიერთი სახის საკვები სულისთვის მავნებელია და ამიტომ არ უნდა ვიხმიოთ. საკვებს არ უნდა მივანიჭოთ რაიმე სულიერი მნიშვნელობა, რამეთუ საკვებად გამოყენებულ ყველა ნივთიერებას ერთი ბოლო აქვს – გახრწნა. ამიტომ როგორ შეიძლება მივანიჭოთ მათ საიდუმლოებრივი მნიშვნელობა? (2, 20-22).

„რეცა სიტყუაჲ რაჲმე აქუს სიბრძნისაჲ ნეფსითათა მით წესითა და სიმდაბლითა და ურიდებითა ჯორცთაჲთა, არა თუ პატივითა რაჲთმე განსაძღებელად ჯორცთა“ (მუხ. 23), – ამ მოთხოვნებს: ***„ნუ მიეახლები, ნუცა გემოსა იხილავ“***, – „მხოლოდ სიბრძნის სახე აქვს, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ისინი მხოლოდ შიშველ (უშინაარსო, ცარიელ), მაგრამ შეპარულ სიტყვებს შეიცავს“ *(ეკუმენოსი).* „ნეფსით სიბრძნეში“ იგულისხმება ცრუმოძღვართა მიერ გამოგონილი გარეგნული ღვთისთაყვანისცემის სახე, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი თვითონ იგონებდნენ ღვთისმსახურების განსაკუთრებულ წესს, რომელიც მანამდე არსებულს არაფრით ჰგავდა. ამ ცრუმოძღვართა გარეგნულ სახეს **ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული** ასე წარმოადგენს: „უხეში ქსოვილის პერანგი. წყნარი საუბარი, ჩამქრალი მზერა, აწეწილი თმა – აი, მთელი სიმდაბლე. თურმე თურქი დერვიშები ყოფილან ასეთები. როგორი უმნიშვნელოც არ უნდა იყოს, ეს ყოველთვის იზიდავდა და იზიდავს, და არა მხოლოდ უბრალოებს. როგორღაც ძნელია იმ აზრისგან გათავისუფლება, რომ ამგვარი ადამიანები რაღაც განსაკუთრებული, ამაღლებული სულის მატარებლები არიან. ამის გამო მათ არ აკლიათ პატივი და მორჩილება“.

„ურიდებითა* ჯორცთაჲთა, არა თუ პატივითა რაჲთმე განსაძღებელად ჯორცთა“, – ცხადია, ამ ცრუმოძღვრებს ეს თავშეკავებაც არაქრისტიანული ხასიათისა ჰქონდათ. შესაძლოა, რომ ისინიც, მანიქეველთა მსგავსად, ხორცს (ადამიანის სხეულს) ბოროტ საწყისად მიიჩნევდნენ (2, 23).

მესამე თავიდან ეპისტოლეს ზნეობრივი ნაწილი იწყება. აქ წმინდა მოციქული თავიდან ქრისტიანულ ცხოვრებას

* დაუძლურებით

წარმოადგენს ისეთად, როგორიც ის თავისთავად უნდა იყოს (3, 1-17). შემდეგ კი მიუთითებს, თუ როგორი უნდა იყოს ეს ცხოვრება მათი სხვადასხვა მდგომარეობისა და გარემოების შემთხვევაში (3, 18-25–4, 6). ზნეობრივ დარიგებას წმინდა მოციქული შეგონებით იწყებს: ***„ზეცისასა ეძიებდით... ზეცისასა ზრახევდით და ნუ ქუეყანისასა. რამეთუ მოჰკუედით, და ცხორებაჲ თქუენი დაფარულ არს ქრისტეთურთ ღვთისა თანა“*** (3, 1-3). ნათლისღების საიდუმლოში ქრისტიანები ცოდვისთვის კვდებიან და ქრისტესთან ერთად აღდგებიან ახალი ღვთისსათნო ცხოვრებისათვის. ამიტომაც მათ მიწიერზე კი არ უნდა იფიქრონ, არამედ ზეციურზე და ცხოვრებაც მათი მთლიანად ღმერთში ***(„ღვთისა თანა“)*** უნდა იყოს. ეს შინაგანი, სულიერი, სხვათაგან დაფარული ცხოვრებაა. ღმერთში ამ დაფარული ცხოვრების ნაყოფები გაცხადდება, აშკარა გახდება ყველასთვის, ***„რაჟამს ქრისტე გამოცხადნეს“,*** – ქრისტეს მეორედ მოსვლისა და საშინელ სამსჯავროზე საყოველთაო მიგების ჟამს (3, 4). ქრისტიანებს მართალთათვის მოსალოდნელი დიდება უნდა ახსოვდეთ და ბოროტების ყველა სახეს მოერიდონ, რასაც მოციქული მე-5–მე-9 მუხლებში ჩამოთვლის. ქრისტიანის დანიშნულებას იგი ასე გადმოსცემს: ***„განიძარცუეთ ძველი იგი კაცი საქმით მისითურთ და შეიმოსეთ ახალი იგი განახლებული მეცნიერება მსგავსად ხატისა მის დამბადებელისა მისისა“,*** ესე იგი, „განვაგდოთ ჩვენი თვითსათნო მეობა ყველა თავისი ვნებით და გადავწყვიტოთ, თვითუარყოფით ვიცხოვროთ მხოლოდ ღმერთისთვის სათნოდ. ეს გადაწყვეტილება, რომელიც უფალთან სარწმუნოებით მიახლებული და მონათლული ადამიანის მთელ არსებას მოიცავს, არის სწორედ ახალი კაცი“ *(ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული, 3, 9, 10-ზე).* ***„არა არს წარმართ და ჰურია, წინადაცუეთილება და***

წინადაუცუეთილება, ბარბაროზ, სკვთელ, მონება, აზნაურება, არამედ ყოვლად ყოველსა შინა ქრისტე“ (3, 11), – „ღვთის მადლი ქრისტეს მიერ ყველას აერთიანებს და ყველასგან ერთ სხეულს შეადგენს“ *(ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული).*

ქრისტიანის ვნებათაგან განძარცვის შემდეგ, მოციქული მას სათნოებებით მოსავს და მე-12–მე-17 მუხლებში იმ სათნოებებს ჩამოთვლის, რომლებიც მისთვის დამახასიათებელი უნდა იყოს; მათგან განსაკუთრებულ მნიშვნელობას კი სიყვარულს ანიჭებს, ***„რომელ-იგი არს სიმტკიცე სრულებისაჲ“*** (მუხ. 14). ესე იგი, „ყოველივეს მომცველი და შემცველი, რასაც სრულყოფილება ჰქვია, როგორც ერთგვარი ფესვი“ *(ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული).* ღვთისსათნო ქრისტიანულ ცხოვრებაში წარმატების საშუალებებად მოციქული საღვთო ჭეშმარიტებების ცოდნით გონების გამდიდრებას, ლოცვას და ღმერთის სახელით ყოველივეს ქმნას მიიჩნევს (3, 16, 17).

მესამე თავის მეორე ნაწილში (მუხ. 18-25) წმინდა მოციქული ქრისტიანებს მათი მდგომარეობის შესაფერის დარიგებებს აძლევს ცალკეულად: დედაკაცებს, მამაკაცებს, შვილებს, მამებს, მონებს.

მეოთხე თავის პირველ 6 მუხლში ეს ზნეობრივი დარიგებები მთავრდება. მოციქული მცნებად იძლევა მონების მიმართ სამართლიან მოპყრობას, შემდეგ კი ყველა ქრისტიანისთვის საერთო დარიგებაზე გადადის, – მათი საზოგადოებრივი მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად, – და შეაგონებს, მოუკლებლად ილოცონ და სულიერი მღვიძარება იქონიონ მადლიერებით. დასასრულ, მოციქული ითხოვს, ილოცონ მასზე და მის თანაშემწეებზე: ***„რაჲთა ღმერთმან განმიღოს ჩუენ კარი სიტყვსაჲ“,*** – რათა ღმერთი შეეწიოთ მათ მისი სიტყვის დაუბრკოლებლად ქადაგებაში (4, 1-4). ამგვარად,

მოციქული მცნებად იძლევა *„გარეშეთა“* მიმართ კეთილგონივრულ დამოკიდებულებას და შეაგონებს: ***„სიტყუაჲ თქუენი მარადის მადლითა ვითარცა მარილითა შეზავებულ იყავნ“,*** – ანუ გულითადი, გულიდან გამომავალი და კეთილგანწყობით მსუნთქავი, მაგრამ, ამასთან, თავშეკავებული და კეთილგონივრული, რასაც ნიშნავს – ***„შეზავებულ იყავნ“*** (მუხ. 5, 6).

მე-7–მე-18 მუხლები ბოლოსიტყვაობას შეადგენს. მასში მოციქული ამბობს, რომ მისი ეპისტოლე მათ ტვიქიკოსმა უნდა გადასცეს, ***„საყუარელმან ძმამან და სარწმუნომან მსახურმან და თანა-მონამან ჩუენმან უფლისა მიერ“*** (მუხ. 7, 8). მასთან ერთად იგზავნება ონისიმე, ფილიმონის ყოფილი მსახური. დასასრულ, მოკითხვას გადასცემს მათ მასთან მყოფი პირებისგან და მცნებად აძლევს, რომ ეს ეპისტოლე ლაოდიკიის ეკლესიაშიც წაიკითხონ. ეპისტოლე ჩვეული სამოციქულო კურთხევით მთავრდება (მუხ. 16-18).

პირველი ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ

ქრისტეს ეკლესიის შექმნა თესალონიკეში. ქალაქი თესალონიკე (თანამედროვე სალონიკი) მთის ფერდობზეა განლაგებული, ეგეოსის ზღვის თერმანის უბის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში. მოციქულთა დროში ის მაკედონიის ოლქის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და რომის პრეტორის სარეზიდენციო ქალაქი იყო. მისი გეოგრაფიული მდგომარეობა ხელს უწყობდა იმას, რომ ის აყვავებული, მდიდარი, მჭიდროდ დასახლებული სავაჭრო ცენტრი გამხდარიყო. ამის გამო, ის განთქმული იყო ფუფუნებით და ზნეობრივი დაცემით. მკვიდრ მოსახლეობას ბერძნები შეადგენდნენ, მაგრამ მასში, ასევე, იმავე რაოდენობის ჩასახლებული რომაელებიც ცხოვრობდნენ. მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, აგრეთვე, იუდეველები შეადგენდნენ, რომლებიც, უმთავრესად, ვაჭრობით იყვნენ დაკავებულნი. იუდეველებს იქ სინაგოგაც კი ჰქონდათ გახსნილი და არა უბრალო სამლოცველო სახლი, როგორც ფილიპეში **(საქმ. 17, 1).**

თესალონიკეში ქრისტიანული ეკლესიის დაარსების შესახებ მოციქულთა საქმეთა წიგნის მე-17 თავშია მოთხრობილი. ის პავლე მოციქულმა დააარსა თავისი მეორე სამქადაგებლო მოგზაურობისას. ფილიპეს განათლების შემდეგ, პავლე მოციქულმა თავის თანამგზავრებთან – შილასა და ტიმოთესთან ერთად, სახარების ქადაგებით გაიარა ამფიპოლი, აპოლონია და თესალონიკეში ჩავიდა. როგორც ჩანს, ტიმოთე კიდევ ერთხანს დარჩა ფილიპეში ახალმოქცეული ქრისტიანების განსამტკიცებლად და პავლე მოციქულს ცოტა მოგვიანებით შეუერთდა ბერიაში. თავისი ჩვეულებისამებრ, პავლე მოცი-

ქულმა ქადაგება სინაგოგაში დაიწყო. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა წიგნებიდან გამომდინარე, იგი მსმენელთა წინაშე მესიის სახეს წარმოსახავდა, რომლისაც ***„ჯერ-იყო ვნებაჲ და აღდგომაჲ მკუდრეთით“*** (საქმ. 17, 3). მის ქადაგებას დიდი წარმატება მოჰყვა, რამეთუ ჟამთააღმწერელის სიტყვით, ***„რომელთამე მათგანთა ჰრწმენა და შეუდგა პავლეს და შილას მორწმუნეთა წარმართთა სიმრავლე მრავალი და დედათა მთავართა არა მცირედთაჲ“*** (17, 4). რა თქმა უნდა, მოციქული არა მხოლოდ სინაგოგაში ქადაგებდა, არამედ ყველგან – ქუჩებსა და მოედნებზე, რაც თესალონიკელთა ეპისტოლედან ჩანს, სადაც იგი მათთან თავისი ქადაგების ღვაწლს იხსენებს (**1 თესალ. 2, 9-12**). თუმცა იყვნენ ურწმუნონიც, რომლებმაც პავლესა და შილას წინააღმდეგ ხალხში შფოთი გამოიწვიეს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მორწმუნეთა უმრავლესობა პროზელიტი იყო, ხოლო დაბადებით იუდეველთაგან ცოტამ თუ ირწმუნა. სხვები კი ფრიად გააღიზიანა მოციქულთა ქადაგების წარმატებამ, მათ წინააღმდეგ წარმართ ბრბოს შორის ბოროტი ხალხი შეარჩიეს და მასთან ერთად ***„მიადგეს სახლსა იასონისსა და ეძიებდეს მათ*** (პავლესა და შილას) ***გამოყვანებად ერსა წინაშე. და ვითარცა არა პოვნეს იგინი, მიითრევდეს იასონს*** (რომელსაც წმინდა პავლე თავის ნათესავს უწოდებს, – იხ. რომ. 16, 21) ***და სხუათა ვიეთმე ძმათა მთავართა წინაშე ქალაქისათა და ღაღადებდეს, ვითარმედ: რომელთა ყოველი სოფელი აღუშფოთებიეს, იგინი აქაცა მოსრულ არიან, რომელნი შეუწყნარებიან იასონს, და ესე ყოველნი წინააღმდგომსა კეისრისა ბრძანებათასა იქმან, მეუფესა სხუასა იტყჳან ყოფად, იესუს“*** (საქმ. 17, 5-7). ეს იყო იუდეველთა ბრძოლის ჩვეული ხერხი ქრისტეს მოძღვრების მქადაგებლებთან! ამ ცილისწამებამ თავიდან ქალა-

ქის თავნიც აღაშფოთა, მაგრამ, შემდეგ, როცა მოყვანილებს შეხედეს ***„და მოჰკადეს თავს-მდები იასონს, და მაშინ-ღა განუტევნეს იგინი“**** (საქმ. 17, 9). საქმის კეთილად დასრულების მუხედავად, ძმებმა უმჯობესად მიიჩნიეს, რომ პავლე და შილა ბერიაში – თესალონიკეს სამხრეთით მდებარე პატარა ქალაქში გაეგზავნათ.

თესალონიკეში პავლე მოციქულის ქადაგებამ, – როგორც მისივე სიტყვებიდან ჩანს, – მდიდარი ნაყოფი გამოიღო. თესალონიკელებმა მისი ქადაგება მიიღეს ***„არა თუ სიტყუაჲ კაცთაჲ, არამედ ვითარცა არს ჭეშმარიტად სიტყუაჲ ღვთისაჲ“*** (1 თესალ. 2, 13). იქ წმინდა პავლეს ხანმოკლე, სამკვირიანი ყოფნისას, რიცხოვნობით მნიშვნელოვანი, მაგრამ სულით ძლიერი ქრისტიანული თემი ჩამოყალიბდა, რომელიც მაკედონიასა და აქაიას ყველა მორწმუნისთვის სამაგალითო გახდა, რასაც აღნიშნავს კიდეც თავად მოციქული პირველი თავის მე-7 მუხლში.

ეპისტოლეს დაწერის მიზეზი და მიზანი. წმინდა პავლე თესალონიკედან დამწუხრებული წავიდა და, რა თქმა უნდა, ახალმოქცეულთა ბედზე ფიქრი არ შეუწყვიტავს. იგი იქიდან ბერიაში წავიდა და წარმატებით იქადაგა, თუმცა იუდეველები იქაც მიადგნენ და ხალხი კვლავ აღაშფოთეს. მაშინ იგი, რამდენიმე თანმხლებთან ერთად, უფრო სამხრეთით – ათენში გადავიდა. იქ მან სასწრაფოდ გამოიძახა შილა და ტიმოთე, რათა მათგან თესალონიკელთა ამბავი გაეგო **(საქმ. 17, 15).** იმის გამო, რომ ტიმოთე ბერიაში იმყოფებოდა და არა თესალონიკეში, მან წმინდა პავლეს მათ შესახებ ახალი ვერაფერი შეატყობინა, ამიტომ პავლემ იგი პირდაპირ თესალონიკეში

* ანუ მას შემდეგ, რაც დაადგინეს მათი პიროვნება.

წარგზავნა **(1 თესალ. 3, 1-5).** ამ დროის განმავლობაში პავლე მოციქულმა კორინთოში გადასვლაც მოასწრო, სადაც თესალონიკელთა შესახებ დამამშვიდებელი უწყება მიიღო უკან დაბრუნებული ტიმოთესგან **(საქმ. 18, 1-5).** აღმოჩნდა, რომ მოციქულისგან მიღებული საღვთო სიტყვა არ სუსტდება, ის ცხოველმყოფელად მოქმედებს თესალონიკელებში, თავიანთი განმანათლებელი პავლეც კეთილად ახსოვთ და მისი ნახვის სურვილიც აქვთ (***„გსურის ხილვად ჩუენდა, ვითარცა-ესე ჩუენ თქუენდა“*** – 1 თესალ. 3, 6). ამ ცნობამ წმინდა მოციქული ფრიად გაამხნევა. მან ეს გრძნობა თავის ეპისტოლეში ხატოვნად ასახა: ***„აწ ვცხონდით, უკეთუ თქუენ მტკიცედ სდგეთ უფლისა მიერ“*** (1 თეს. 3, 7, 8). თუმცა ამასთანავე, ტიმოთემ თესალონიკეს ეკლესიის არასრულყოფილი წევრის შესახებაც მოუთხრო და იმ გაუგებრობებზეც, რაც თითქმის ყველა იქაურ ქრისტიანულ თემს აღელვებდა: წარმართული ბრძნობის ბიწიერებიდან ბევრი ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლებულიყო და ვერ დაეცვა თავისი ***„ჭურჭელი*** (ხორციელი) *მოგებად სიწმიდით და პატივით“*, ხოლო ზოგიერთი იქცეოდა ***„გარდასლვად და მოანგაჰრებად საქმესა ძმისა თჳსისასა“*** (1 თესალ. 4, 3-11). მორწმუნეებს დიდად აღელვებდათ გარდაცვლილი ქრისტიანი ნათესავების ბედი. ეგონათ, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლისას დიდების სასუფეველს მხოლოდ ისინი დაიმკვიდრებდნენ, ვინც იმ დროს ცოცხალი იქნებოდა. ამიტომ გარდაცვლილთა ხვედრი მათ უსიხარულოდ და შავბნელად ეჩვენებოდათ და სიკვდილის წინაშე ისე ძრწოდნენ, როგორც სასოების უქონელი წარმართები.

პავლე მოციქულისთვის ყოველივე ეს თესალონიკელთა მიმართ ეპისტოლეს დაწერის მიზეზი გახდა, რაც მან დაუყოვნებლივ შეასრულა, რათა უპირველესად, მათი რწმენაში მოქცევისთვის თავისი სიხარული გამოეხატა, მეორეც – ტიმ-

ოთეს მიერ შემჩნეული სულიერი სნეულებებისთვის ემკურნალა, და მესამეც – დაემშვიდებინა გარდაცვლილთა ხვედრით შეწუხებულნი და განესწავლა ისინი ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ მოძღვრებაში.

ეპისტოლეს დაწერის დრო და ადგილი. უეჭველია, რომ თესალონიკელთა მიმართ ეპისტოლე თესალონიკელთა ქრისტიანობაზე მოქცევიდან ძალიან მალეა დაწერილი. ეს იქიდან ჩანს, რომ მასში „მოციქული იმ ცოცხალი შთაბეჭდილებების ქვეშ არის, რაც მასზე თესალონიკელთა მოქცევამ მოახდინა" *(ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული).* როგორც თვით ეპისტოლე, ისე „საქმე მოციქულთა", ცხადად მიგვითითებს ადგილს, სადაც ის დაიწერა. მაგალითად, მესამე თავის დასაწყისში წმინდა პავლე აღნიშნავს: ***„ვერღარა დავთმეთ, ჯერ-ვიჩინეთ ათინას შინა დაშთომაჲ მარტოთა და მივავლინეთ ტიმოთე, ძმაჲ ჩუენი... რაჲთა დაგამტკიცნეს თქუენ და ნუგეშინის-გცეს თქუენ სარწმუნოებისა მაგის თქუენისათჳს"***, ხოლო შემდეგ: ***„აწღა მოვიდა ტიმოთე თქუენით და მახარა ჩუენ სარწმუნოებაჲ და სიყუარული თქუენი... ამისთჳს ნუგეშინის-ცემულ ვიქმნენით, ძმანო, თქუენ ზედა"*** (1 თეს. 3, 1-7). აქედან ჩანს, რომ ეპისტოლე ტიმოთეს დაბრუნებისთანავეა დაწერილი. მოციქულთა საქმეთაგან კი ვიგებთ, რომ უკან დაბრუნებული ტიმოთე შილასთან ერთად პავლე მოციქულთან კორინთოში ჩავიდა და არა ათენში. შესაბამისად, ეპისტოლეც იქ, ანუ კორინთოში დაიწერა. ხოლო, მისი დაწერის დროის განსაზღვრაში გვეხმარება ის ცნობები, რომლებიც მოციქულთა საქმეთა წიგნში პავლე მოციქულის კორინთოში ყოფნის ამბავს შეიცავს. აღნიშნული ცნობების თანახმად, კორინთოში მისული პავლე მოციქული ბინად აკვილასთან და პრისკილასთან გაჩერდა. ისინი იყვნენ იმპერატორ კლავდიოსის მიერ რომიდან

გამოძევებული იუდეველთაგანნი. გამოძევების ეს ბრძანება კი, რომაელ ისტორიკოსთა – სვეტონიუსისა და ტაციტუსის ცნობით, 52 წელს გამოიცა. ამას, სულ მცირე, ერთი წელიწადი უნდა დავუმატოთ, რაც კორინთოში აკვილას გადასახლებას და დაფუძნებას დასჭირდებოდა. ამიტომ ვარაუდობენ, რომ თესალონიკელთა მიმართ ეპისტოლე 53 წელს ან 54 წლის დასაწყისშია დაწერილი. ეს არის ყველაზე ადრეული ეპისტოლე.

ეპისტოლეს შინაარსი და მისი დაყოფა. თესალონიკელთა პირველი ეპისტოლე 5 თავს შეიცავს. შინაარსის მიხედვით ის აშკარად ორი ნაწილისგან შედგება: ისტორიული და ზნეობრივ-დოგმატური. ეპისტოლე, როგორც წესი, იწყება ზედწარწერით, რომელიც მისალმებას შეიცავს, ხოლო სრულდება დასკვნითი განკარგულებებით, კეთილი სურვილებითა და ჩვეული სამოციქულო კურთხევით.

ეპისტოლეს ეგზეგეტიკური გარჩევა. ეპისტოლე პავლეს, სილოანესა და ტიმოთეს სახელით თესალონიკეს ეკლესიისადმი მიცემული კურთხევით იწყება. უკანასკნელი ორი მოიხსენიება როგორც პავლეს თანაშემწენი, რომელთაც თესალონიკელები პირადად იცნობდნენ; იქ იყვნენ, ასწავლიდნენ და განკარგულებებს გასცემდნენ. მათი სახელების მოხსენიება იმანაც განაპირობა, რომ პავლე მოციქულის ეს ეპისტოლე მათგან მიღებული ცნობების საფუძველზე დაყრდნობითაა შედგენილი. „სამივენი, – ამბობს *ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული,* – თითქოსდა ერთი ბაგით ერთ მაცხონებელ სახარებას ქადაგებდნენ“. თავის სამოციქულო ღირსებას წმინდა პავლე აქ არ ახსენებს, ან იმიტომ, რომ თესალონიკელები „ახალმოქცეულნი იყვნენ და მას ახლო არ იცნობდნენ“ *(წმინდა იოანე ოქროპირი),* ან – იგი ისედაც დიდი ავტორიტეტი იყო მათთ-

ვის. ყოველ შემთხვევაში, ამით მისი სიმდაბლე გამომჟღავნდა. თავის სამოციქულო ღირსებაზე, როგორ წესი, ის მხოლოდ მაშინ მიუთითებს, როცა ამას თავისი სამქადაგებლო საქმის სარგებელისთვის აუცილებლად მიიჩნევს.

პირველი თავი ძალიან მოკლეა, სულ 10 მუხლისგან შედგება და მთლიანად ისტორიული შინაარსისაა. მასში წმინდა მოციქული თესალონიკელთა ნათელ-მადლიან ქრისტიანულ მდგომარეობას წარმოაჩენს; მათთან თავისი ქადაგების წარმატებისა და სარწმუნოებაში მათი მტკიცედ დგომისთვის ღმერთს მადლობას სწირავს და თესალონიკელებს ეუბნება: ***„თქუენ სახე ყოველთა მათ მორწმუნეთა, რომელნი არიან მაკედონიას შინა და აქაჲას“*** (მუხ. 7). ეპისტოლეს ეს ისტორიული ნაწილი შემდეგაც გრძელდება – მეორე და მესამე თავში.

მეორე თავში მოციქული აღწერს თესალონიკეში თავის თანაშემწეებთან ერთად ყოფნას, და ის ძირითადად ორ პუნქტს ეხება: თავისი მქადაგებლობისა და მოქმედების ძირითად თვისებებს (მუხ. 1-12) და თესალონიკელთა მორწმუნოებას – სარწმუნოებაში მტკიცედ დგომას (მუხ. 13-16). „ამით მას, როგორც ჩანს, მათი სარწმუნოების განცხოველება და განმტკიცება სურდა, და მათთვის ძალის მიცემა სარწმუნოებაში ურყევად დგომისათვის დევნილობის ჟამს“ *(ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული).* ამავე მიზნით არის იგი განმსჭვალული, როდესაც განსაკუთრებული ხაზგასმით და საკმაოდ ნათლად აღწერს იმ შრომას, რაც მან და მისმა თანაშემწეებმა საღვთო საქმისთვის გასწიეს (მუხ. 9). მაგრამ ამასთანავე, საკუთარ თავზე და თავისი განზრახვის სიწმინდზე პავლე მოციქული იმ საყვედურების საპასუხოდაც საუბრობს, რაც მისი და მისი საქმიანობისადმი სახარების ქადაგების მტერთა-

გან ისმოდა. ამავე მიზეზით საუბრობდა წმინდა პავლე თავის ღვაწლზე გალატელთა და კორინთოელთა მიმართ (მეორე) ეპისტოლეებში. თესალონიკელებისადმი პავლე მოციქულის თანაგრძნობა იმდენად გულწრფელი და სიღრმისეულია, რომ ამ თანაგრძნობაში მათი დაჯერებულობა ვერავინ უნდა შეარყიოს. ***„ხოლო ჩუენ, ძმანო,*** – ამბობს მოციქული, – ***ობოლ ღათუ ვიქმნენით თქუენგან წუთერთ ჟამ პირითა და არა გულითა... ვინაცა ვინებეთ მისლვაჲ თქუენდა მე, პავლე, ერთ-გზის და ორ-გზის, და დამაბრკოლნა ჩუენ სატანა“,*** – რა თქმა უნდა ღვთის დაშვებით. „სატანა აბრკოლებდა მოციქულებს, – *წერს ამბროსიასტე,* – რათა მათ კაცთა შორის ჭეშმარიტების ნათელი არ გაევრცელებინათ. იგი ურწმუნოებს აღძრავდა, რომ მათ მოციქულები ცემით და პატიმრობით აეძულებინათ, უარი ეთქვათ ღვთის სიტყვის ქადაგებაზე“. აშკარაა, რომ წმინდა პავლეს ამ შემთხვევაში მის მიმართ ურწმუნო თესალონიკელ იუდეველთა დამოკიდებულება ჰქონდა მხედველობაში, რომელნიც მის სიცოცხლეს ემუქრებოდნენ. პავლე მოციქულის დევნას ისინი ბერიაშიც განაგრძობდნენ, სადაც იგი თესალონიკედან ჩავიდა, რაც მის მიმართ მათ განსაკუთრებულ გაღიზიანებაზე მეტყველებს.

მესამე თავში მოციქული იხსენებს, თუ როგორ მიავლინა თესალონიკელებთან ტიმოთე, რომელმაც შემდეგ იგი მათ შესახებ კარგი ამბებით დაამშვიდა. მე-6–მე-10 მუხლებში წმინდა მოციქული გამოხატავს თავის უდიდეს სიხარულს, რომელიც მას თესალონიკელთა სარწმუნოებრივმა სიმტკიცემ განაცდევინა: ***„აწ ვცხონდით, უკეთუ თქუენ მტკიცედ სდგეთ უფლისა მიერ“*** (მუხ. 8). სხვა სიტყვებით, მოციქულს სურდა ეთქვა, რომ დიდი ლოდი მოეხსნა გულიდან თესალონიკელთა შესახებ კარგი ამბების მოსმენით და თავს ისე გრძნობს, თითქოსდა გაცოცხლდა იმ მწუხარების შემდეგ,

მის გულს რომ მათ გამო სტანჯავდა. ეს თავი თესალონიკელებისადმი ლოცვით მთავრდება. იგი ევედრება ღმერთს, რომ შეეწიოს მას მათთან მისვლაში, ხოლო მათ – ქრისტიანული სრულყოფილების მიღწევაში, რათა სრულყოფილნი დახვდნენ ქრისტეს მეორედ მოსვლას (მუხ. 11-13).

მეოთხე თავიდან ეპისტოლეს ზნეობრივ-დოგმატური ნაწილი იწყება. საკუთრივ, ეს თავი, ისევე, როგორც მეხუთე, ძირითადად ზნეობის გაკვეთილებს შეიცავს. მათ შორის ამ თავში გადმოცემულია ძალზე მნიშვნელოვანი დოგმატური სწავლება ქრისტეს მეორედ მოსვლისა და მკვდრეთით აღდგომის შესახებ. ზნეობითი სახის დარიგებები, უეჭველია, რომ მოცემულია იმ ბიწიერებასთან დაკავშირებით, რაც ტიმოთემ თესალონიკელებს შეამჩნია. აქ პირველი და ძირითადი შეგონებაა: ***„ნებაჲ ღვთისაჲ, სიწმიდე ეგე თქუენი... არა გჳჩინნა ჩუენ ღმერთმან არაწმიდებად, არამედ სიწმიდედ“*** (3-7 მუხ.). მოციქული ქრისტიანის მთავარ დანიშნულებად სიწმინდის იდეალს მიიჩნევს და მასთან დაკავშირებით თესალონიკელებს სიძვისგან თავშეკავებას შეაგონებს. ეს ცოდვა თესალონიკელებთან წარმართობის დროიდან იყო შემორჩენილი, რამეთუ წარმართები სიძვას ცოდვად (ბიწიერებად) არ მიიჩნევდნენ. მათ თავი უნდა შეიკავონ სიძვისგან, ***„ცნობად კაცად-კაცადისა თქუენისა თავისა თჳსისა ჭურჭელი მოგებად სიწმიდით და პატივით, ნუ ვნებითა გულის თქუმისაჲთა, ვითარცა-იგი წარმართნი, რომელთა არა იციან ღმერთი, არა გარდასლვად და მოანგაჰრებად საქმესა ძმისა თჳსისასა, რამეთუ შურის-მეძიებელ არს ღმერთი ამათ ყოველთათჳს...“***. წმინდა მამათა განმარტებით აქ საუბარია მრუშობაზე. ***„არა გარდასლვად და მოანგაჰრებად საქმესა ძმისა თჳსისასა“***, ნიშნავს: „არ დაეუფლო მის ქონებას მისი ცოლის მისაკუთრებით“. *წმინდა იო-*

ანე ოქროპირი წერს: „მოციქული აქამდე ზოგადად სიძვაზე საუბრობდა, ახლა კი – მრუშობის შესახებ. მრუშობა არც სხვის ცოლთან შეიძლება და არც დაუქორწინებელ ქალთან“. „ღმერთი შურისმაძიებელია ყოველი ურჯულოებისათვის, მაგრამ განსაკუთრებით, სიძვის საქმეთათვის, რადგან ამით ადამიანი ყველაზე მეტად ამცირებს ღვთის ხატებას, რომლის მსგავსადაც შექმნილია“ *(ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული).* წმინდა მოციქული დაბეჯითებით შეგვახსენებს, რომ ხორციელი სიწმინდის შესახებ მცნება საღვთო წარმომავლობისაა, ამიტომ ვინც მას შეურაცხყოფს ის ***„არა კაცსა შეურაცხჰყოფს, არამედ ღმერთსა“*** (მუხ. 3-8). შემდეგ მოციქული თითქოსდა გაკვრით მოიხსენიებს ძმათმოყვარეობას და აქებს თესალონიკელებს ამ სათნოებისათვის. ამასთან, შეაგონებს, რომ კიდევ მეტად უნდა წარემატონ, რისთვისაც საჭიროა უშფოთველი ცხოვრება. ***„პატივის-ცემის მოყუარე იყვენით და მყუდრო და იქმოდეთ თჳსსა და შურებოდეთ ჴელითა თქუენითა, ვითარცა-იგი გამცენით თქუენ, რაჲთა ხჳდოდით შუენიერად გარეშეთა მათ მიმართ“,* ანუ წარმართეების მიმართ (მუხ. 9-12).

მეოთხე თავის მე-13 მუხლიდან დაწყებული, წმინდა მოციქული მნიშვნელოვან დოგმატურ სწავლებას გადმოგვცემს ქრისტეს მეორედ მოსვლისა და მკვდრეთით აღდგომის შესახებ, რომელიც მეხუთე თავის პირველ 11 მუხლსაც მოიცავს. ამ დოგმატურ სწავლებას წმინდა მოციქული მისგან გამომდინარე ზნეობის გაკვეთილებსაც ურთავს. მე-13–მე-17 მუხლები შეადგენს სამოციქულოს საკითხავს მიცვალებულთა დაკრძალვის საეკლესიო წესში; აგრეთვე, შაბათს მიცვალებულთა მოსახსენიებელ საღვთო ლიტურგიაზე.

„არა გუნებავს უმეცრებაჲ თქუენი, ძმანო, შესუენებულთა მათთჳს, რაჲთა არა სწუხდეთ, ვითარცა-იგი სხუა-

ნი, რომელთა არა აქუს სასოებაჲ“ (4, 13) – ამ სიტყვების აზრი ასეთია: „თქვენს დასამშვიდებლად მინდა გადმოგცეთ ზუსტი ცნება მიცვალებულთა მდგომარეობის შესახებ“ *(ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული),* რათა თქვენ არ იმწუხროთ ისე, როგორც სხვები წუხან. ეს „სხვები“ სადუკეველები არიან, რომლებიც მკვდრეთით აღდგომას უარყოფდნენ და მათთან ერთად ყველა ის წარმართიც, ვისაც, მართალია, სწამდა სულის უკვდავებისა, მაგრამ საიქიო ცხოვრება ძალიან უსიხარულოდ და ბნელად წარმოედგინა – შემაძრწუნებელ და შეჭირვებულ მდგომარეობად. „იმედი ცოცხალთათვის არის, – *ამბობს თეოკრიტე,* – მკვდრები კი უიმედონი არიან“, „მზე ჩადის და ამოდის, – *ამბობს კატულუსი,* – ხოლო ჩვენ, როგორც კი ერთხელ ჩაგვიქრება სიცოცხლის სხივი, გაუღვიძებლად მარადიული ღამე უნდა გვეძინოს“. რაც შეეხება ქრისტიანს, მისთვის სიკვდილი შავბნელ დასასრულს არ უნდა წარმოადგენდეს, რამეთუ ***„გურწამს, ვითარმედ იესუ მოკუდა და აღდგა, ეგრეცა ღმერთმან შესუენებულნი იგი იესუჲს მიერ მოიყვანნეს მის თანა“*** (4, 14) – არამხოლოდ აქ, არამედ თავისი ეპისტოლეების ბევრ სხვა ადგილზეც პავლე მოციქული მკვდრების აღდგომას ქრისტეს აღდგომასთან აკავშირებს და მასზე დამოკიდებულს ხდის **(რომ. 8, 11; 1 კორ. 15, 12-23; 6, 14; 2 კორ. 4, 14).** მკდრეთით აღდგომილი ქრისტე შესვენებულთათვის დასაბამია **(1 კორ. 15, 20).** მისი აღდგომა ყოველთა სხვათა აღდგომის საწინდარია. განკაცებული ქრისტე ყველა მორწმუნის თავია და მათთან ერთად ერთ სხეულს შეადგენს. თუკი სხეულის თავი აღდგა, შეუძლებელია, რომ სხეულის ნაწილები მკვდრები დარჩნენ: ისინიც მკვდრეთით აღდგებიან. „მან თავისი სხეულით ყველა ადამიანი აღადგინა (დასაბამი დაუდო ამ აღდგომას), ამიტომაც ეწოდება ***„პირმშოჲ მკუდრეთით“*** (კოლას. 1, 18) *(წმინდა იოანე დამასკელი).*

„ხოლო ამას გეტყვ თქუენ სიტყვთა უფლისაჲთა, ვითარმედ ჩუენ, ცხოველნი ესე, რომელ დაშთომილ ვიყვნეთ მოსლვასა მას უფლისასა, ვერ მივეწინეთ შესუენებულთა მათ“ (4, 15), – აქ სრული დამაჯერებლობით, მისთვის უფლისგან მიცემული გაცხადებით, წმინდა მოციქული არწმუნებს თესალონიკელებს, რომ უფლის მეორედ მოსვლის დროს ცოცხალნი წინ არ გაუსწრებენ მკვდრებს, ანუ მათზე ადრე არ შეხვდებიან დიდებით მომავალ უფალს და მკვდრებზე ადრე არ მიიღებენ მომავალი სასუფევლის სიხარულს, არამედ ყველანი თანაბარ მდგომარეობაში იქნებიან. ***„თავადი უფალი ბრძანებითა და ჴმითა ანგელოზთ მთავრისაჲთა და საყჳრითა ღვთისაჲთა გარდამოჰდეს ზეცით, და მკუდარნი იგი ქრისტეს მიერნი აღდგენ პირველად“*** (4, 16), – აქ ქრისტეს მეორედ მოსვლა თითქოსდა მისი პირველი მოსვლის საპირწონეა: ის წყნარი და შეუმჩნეველი იყო, ეს კი – დიდებით და ყველასათვის გაცხადებულად მოხდება, მთელი მსოფლიოს დასანახად აღსრულდება. უფლის მეორედ მოსვლა „ბრძანებით“ მოხდება, რომლითაც ღმერთი გამოაცხადებს, რომ ჟამი დასრულდა და მკვდართა აღდგომისა და სამყაროს განახლების დრო დადგა. ღმერთის ამ ბრძანებას ანგელოზთა შორის პირველი – მიქაელი მიიღებს, – ღვთის ერის, წინათ ძველი ისრაელის, შემდეგ კი ახალი ისრაელის – ქრისტიანების დამცველი. მთავარანგელოზის ხმით ეს ამბავი ეუწყება სხვა ზეციურ ძალებს, რომლებიც ღვთის საყვირით მთელ ქვეყნიერებას, კიდით-კიდემდე, აუწყებენ ღვთის ამ ბრძანების შესახებ. ***„საყჳრითა ღვთისაჲთა“,*** – აქ მხოლოდ ერთი საყვირი არ იგულისხმება, – განმარტავს *წმინდა იოანე ოქროპირი,* – საყვირი ბევრი იქნება. უფალი კი უკანასკნელი საყვირის შემდეგ გარდამოხდება“. ეს საყვირი მკვდრებს გააღვიძებს და მათ ცოცხლებთან ერთად მოუყრის თავს.

ძველ აღთმაშიც საყვირი ღვთაებრივი ერის მოწვევის ორგანო იყო, რათა ღვთის ნება მოესმინათ და შეესრულებინათ **(ლევ. 25, 9; რიცხ. 10, 2; 31, 6).** ზოგიერთი ვარაუდობს, რომ ამ საყვირში უნდა ვიგულისხმოთ დიდი და ხმაურიანი მოვლენები ბუნებაში **(2 პეტ. 3, 10),** რაც სოფლის აღსასრულისას მოხდება (შდრ. **მათ. 24, 31**). ***„მკუდარნი იგი ქრისტეს მიერნი აღდგენ პირველად“*** – სიტყვა „პირველად“ იმას კი არ ნიშნავს, რასაც ზოგიერთი მწვალებელი და სექტანტი მიიჩნევს, თითქოს, პირველად მორწმუნენი გაცოცხლდებიან, 1000 წლის შემდეგ კი – ურწმუნონი, – ამაზე აქ არანაირი მინიშნება არ არის, – არამედ იმაზე მიუთითებს, რომ პირველად მკვდრები აღდგებიან, შემდეგ ცოცხლად დარჩენილნი მათი სხეულების მყისიერი შეცვლის შემდეგ აღიტაცებიან ღრუბლებში მომავალი უფლის შესახვედრად. ***„და მაშინღა ჩუენ, ცხოველნი ესე, რომელნი დაშთომილ ვიყვნეთ, მათ თანავე აღვიტაცნეთ ღრუბლითა შემთხუევად უფლისა ჰაერთა ზედა და ესრეთ მარადის უფლისა თანა ვიყოფ-ვოდით“*** (4, 17), – მკვდარნი აღდგებიან, ცოცხალნი კი მეყსეულად შეიცვლებიან: მშვინვიერი სხეულების ნაცვლად მსუბუქ, უხრწნელ, სულიერ სხეულებს მიიღებენ, რის შესახებაც პავლე მოციქული სხვა ადგილას წერს, კერძოდ, კორინთოელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში (15, 51, 52): ***„აჰა ესერა საიდუმლოსა გითხრობ თქუენ: ყოველთავე უკუე არა შევისუენოთ, ხოლო ყოველნივე განვახლდეთ მეყსა შინა წამსა თუალისა უკუანაჲსკნელითა მით საყჳრითა, რამეთუ საყჳრსა დაეცეს, და მკუდარნი იგი აღდგენ უხრწნელნი, და ჩუენ განვახლდეთ“.*** მას შემდეგ, რაც ერთნი აღდგებიან, სხვები კი შეიცვლებიან, იქნება სამსჯავრო და ბოროტთა გამოყოფა კეთილთაგან. თუმცა მოციქული ამის შესახებ არ საუბრობს, მაგრამ იგი ამშვიდებს თესალონიკელებს, რომ

ჩვენ, მორწმუნენი ***„მარადის უფლისა თანა ვიყოფვოდით“***, ანუ მისი დიდებისა და ნეტარების თანაზიარნი გავხდებით იქ, სადაც თავად იქნება მარჯვენით მამისა. სახელდობრ სად იქნება ეს, ჩვენთვის დაფარულია. ვიცით მხოლოდ ის, რომ მასთან ნეტარ ერთობაში ვიქნებით და უკვე აღარასოდეს განვეშორებით. „ეს სასოების მწვერვალია, რომელიც ქრისტიანებს აღაფრთოვანებს“ *(ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული).* სამარადისო ტანჯვისთვის მკვდრეთით აღმდგართა შესახებ მოციქული აქ არაფერს წერს, რადგან მკვდრეთით აღდგომის შესახებ საკითხს იგი მხოლოდ თესალონიკელების დასამშვიდებლად ეხება და ამიტომაც ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: ***„ნუგეშინის-ცემდით ურთიერთარს სიტყუათა ამათ მიერ“*** (4, 18).

მეხუთე თავის პირველ 11 მუხლში მოცემულია ქრისტეს შესახებ ახლახან გადმოცემულ სწავლებაზე ზნეობითი ხასიათის დამატება. მოციქული თესალონიკელებს შეახსენებს, რომ თვით უფალი იესო ქრისტეს სიტყვებით, მისი მეორედ მოსვლის დღე – „უფლის დღე“ – მოულოდნელად მოვა ***„ვითარცა მპარავი ღამისაჲ“*** (5, 1, 2). მაგრამ „უფლის დღედ“, როგორც წმინდა მამები ასწავლიან, შეიძლება თითოეული ჩვენგანის სიკვდილის დღეც ვიგულისხმოთ, რომელიც ასევე უცნობია ჩვენთვის, თუმცა – გარდაუვალი, და რომელსაც მაშინვე მივყავართა სამსჯავროზე. „თუკი უფლის ხანგრძლივმა მოუსვლელობამ შეიძლება შეასუსტოს მისი მეყსეულად მოსვლის რწმენა, მაშინ ისე ძლიერ ამისთვის სხვა არაფერი აღძრავს გონებას, როგორც იმის რწმენა, რომ სიკვდილი ყოველწამს შეიძლება მოვიდეს“ *(ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული). წმინდა იოანე ოქროპირი* ამბობს: „თითოეული ჩვენგანის სიცოცხლის დასასრული, განა, ჩვენთვის ქვეყნის აღსასრულიც არ არის? რატომ ცნობისმოყვარეობ საყოველ-

თაო აღსასრულის შესახებ? თუ შენ კარგად მოემზადები შენი კერძო აღსასრულისთვის, მაშინ საყოველთაოსგან არანაირ ბოროტებას არ შეიმთხვევ; შორს იქნება ის თუ ახლოს, – ეს ჩვენს ხვედრზე ვერანაირ გავლენას ვერ იქონიებს". ***„რაჟამს თქუან:*** (უდიერმა ადამიანებმა ქრისტეს მოსვლის წინ) ***„მშვდობაჲ და კრძალულებაჲ", მაშინ მეყსეულად მოიწიოს მათ ზედა მომსრველი, ვითარცა სალმობაჲ შობადისაჲ, და ვერ განერნენ"*** (5, 3). *წმინდა იოანე ოქროპირი* ამ ადგილს შემდეგნაირად განმარტავს: „მოციქულს სურდა, რომ ამ შედარებით არამხოლოდ ჟამის უცნობლობაზე მიეთითებინა, არამედ ტანჯვის სისასტიკეზეც. რამეთუ, როგორც ორსული ქალია უზრუნველად, მხიარულობს და არ იცის, რომ უცებ გამოუთქმელი ტანჯვა მოიცავს და მშობიარობის ტკივილებით გაითანგება, მსგავსადვე მოიწყვლება ასეთ (უზრუნველ, უდიერ) ადამიანთა სულები იმ დღის დადგომისას". უფალი ეგზომ მოულოდნელად იმიტომ კი არ მოვა, რომ ყველას მოულოდნელად დაატყდეს თავს, არამედ ასე მოხდება ადამიანთა უდიერებისა და დაუდევრობის მიზეზით (შდრ. **მათ. 24, 37-39**). ეს უეცარი მოსვლა მხოლოდ ღამის (ბნელის) შვილებისთვისაა საშიში. ნათლის შვილებს კი ეს მოულოდნელობა არ უნდა აშინებდეთ, რამეთუ ისინი მუდამ ფხიზლობენ და უფლის შესახვედრად განმზადებულნი არიან (5, 4-7). ამიტომაც შეაგონებს მოციქული, რომ უზრუნველობას არ მიეცნენ – იმღვიძარონ და იფხიზლონ: ***„შევიმოსოთ ჯაჭვ იგი სარწმუნოებისაჲ და სიყუარულისაჲ და ჩაფხუტი იგი სასოებისაჲ და ცხოვრებისაჲ"*** (მუხ. 8). უნდა გვახსოვდეს, რომ ეს დღე განსაზღვრულია არა ***„რისხვისათჳს, არამედ შესაწევნელად ცხორებისა".*** ჩვენც ყოველმხრივ უნდა მოვემზადოთ იმ დღისთვის, რათა ცხონება მოვიპოვოთ (მუხ. 9).

ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ სწავლებას მოციქული ზნეობის გაკვეთილებს ურთავს (მუხ. 10-22). აქ მოციქული გვესაუბრება იმ სათნოებების შესახებ, რაც ქრისტიანული თემების მოწყობის საფუძველია და რაზეც ამ საზოგადოების სიმტკიცე და კეთილდღეობა დგას. ის მორწმუნეებს ასწავლის, რომ მათთან მოღვაწე მოძღვრებთან, ისე, როგორც ერთმანეთთან, მჭიდრო ერთობაში უნდა იყვნენ (მუხ.12-15). წმინდა პავლე აღნიშნავს აგრეთვე ჭეშმარიტი ქრისტიანისა და ქრისტიანული ცხოვრებისათვის დამახასიათებელ თვისებებს: ქრისტიანი უნდა შეაგონებდეს უწესოებს, ანუგეშებდეს სულმოკლეთ, ეწეოდეს უძლურთ; იყოს სულგრძელი (მიმტევებელი), ყველასათვის კეთილის მოსურნე, მოხარული, მლოცველი, მადლიერი, სულმგზნებარე; არ უნდა შეურაცხყოფდეს წინასწარმეტყველებას; ყოველივეს გამოსცდიდეს და კეთილს ირჩევდეს; ყოველგვარი სახის ბოროტებისაგან თავს იკავებდეს (5, 16-22). 23-ე–24-ე მუხლებში მითითებულია ის საბოლოო მიზანი, რასაც ქრისტიანი უნდა ელტვოდეს: დახვდეს იესო ქრისტეს მეორედ მოსვლას უბიწო სულით, სამშვინველითა და სხეულით. აქ საუბარია ადამიანური არსების სამნაწილედობაზე. ღვთივგაცხადებით გვემცნო, რომ სული სამშვინველის უმაღლესი ნაწილია, სამშვინველი კი ადამიანში სიცოცხლის საწყისია. ეპისტოლე მთავრდება ლოცვის თხოვნით, მისალმებითა და ჩვეული კურთხევით (მუხ. 25-28).

მეორე ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ

ეპისტოლეს დაწერის მიზეზი. თესალონიკელთა მიმართ მეორე ეპისტოლეს დაწერის მიზეზი გახდა პავლე მოციქულის ყურამდე მიღწეული ხმა იმის თაობაზე, რომ თესალონიკელები ღრმად განიმსჭვალნენ პირველი ეპისტოლეს შინაარსით. ცნობამ იმის შესახებ, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლა უეცრად, მოულოდნელად მოხდებოდა, მათი გონებრივი დაბნეულობა და შეშფოთება გამოიწვია. ფიქრობდნენ, რომ დღე-დღეზე მოწეული იყო უფლის დღე (**2 თესალ. 2, 1, 2**). ასეთ მოსაზრებას თესალონიკელ ქრისტიანებში ის დევნილობა და შეჭირვება აძლიერებდა, რასაც ურწმუნოთა მხრიდან განიცდიდნენ (**2 თესალ. 1, 4, 5**). პავლე მოციქულის სიტყვების: ***„ჩუენ, ცხოველნი ესე, რომელ დაშთომილ ვიყვნეთ მოსლვასა მას უფლისასა, ვერ მივეწინეთ შესუენებულთა მათ“**** (1 თესალ. 4, 15) მათეული განმარტებით, წმინდა პავლე თითქოს ვარაუდობდა, რომ უფლის მეორედ მოსვლამდე იცოცხლებდა და, ამდენად, ეს დღე, თითქოს, ახლოა. ასეთმა მოსაზრებამ თესალონიკელთა ცხოვრების ჩვეული რიტმი დაარღვია: ზოგმა საერთოდ დაუტევა ყოველდღიურ ყოფიერ საზრუნავზე ფიქრი და მიეცა უქმ, მეოცნებე ცხოვრებას. სხვები შფოთავდნენ, ადგილს ვერ პოულობდნენ, აღარ შეეძლოთ მშვიდი შრომა და ცხოვრება. მსგავსი განწყობის გაღვივებას, თავის მხრივ, ცრუმოძღვრებიც უწყობდნენ ხელს. ამ მიზნით, როგორც ჩანს, ისინი პავლე მოციქულის ფსევდოეპისტოლესაც კი ავრცელებდნენ (**2**

---

* ჩვენ, რომლებიც ცოცხლები ვიქნებით უფლის მოსვლისას, ვერ გავაფრთხილებთ მკვდრებს.

თესალ. 3, 17, 18). უნდა ვივარაუდოთ, რომ წმინდა პავლემ, თესალონიკელთა შორის ასეთი განწყობის შესახებ მასთან ჩასული მავანი თესალონიკელისაგან გაიგო და ცრუაზრებისაგან მათი სასწრაფო განკურნების აუცილებლობა დაინახა.

ეპისტოლეს დაწერის დრო, ადგილი და მიზანი. თვით ეპისტოლეს შინაარსიდან გამომდინარე, ის პირველი ეპისტოლეს შემდეგ მალევე დაიწერა და მის განმარტებას ემსახურება, – განსაკუთრებით მის იმ ნაწილში, სადაც ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ არის საუბარი. ეპისტოლეს მიხედვით, თესალონიკეში ახალი არაფერი ხდებოდა, თუ არ ჩავთვლით, რა თქმა უნდა, იმ შფოთს, პირველი ეპისტოლეს შინაარსის გაურკვევლობამ რომ გამოიწვია. ამიტომ ყველა საფუძველი გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ მეორე ეპისტოლეც, როგორც პირველი, კორინთოში დაიწერა და, თანაც იმავე 54 წელს. ეს ვარაუდი იმითაც დასტურდება, რომ ეპისტოლე დაწერილია პავლეს, შილას და ტიმოთეს სახელით, ხოლო პავლეს ეს ორი თანამუშაკი ერთდროულად მასთან მხოლოდ კორინთოში იყო. როგორც ჩანს, ეპისტოლე დაწერილია კორინთოში წმინდა პავლეს ყოფნის ბოლო პერიოდში, რამეთუ იგი მასში ითხოვს, რომ უწესო და უკეთურ კაცთაგან მისი განრინების შესახებ ილოცონ, რაც, უეჭველია, კორინთოში მის წინააღმდეგ მოწყობილ ამბოხზე მიუთითებს **(საქმ. 18, 12–22).**

წმინდა პავლე მოციქული ამ (მეორე) ეპისტოლეშიც ზოგადად იმავე მიზანს ისახავს, რასაც პირველში: აუწყოს თესალონიკელებს ქრისტეს მეორედ მოსვლისა და მისი წინმსწრები მოვლენების შესახებ; კერძოდ, ცდილობს, გაუქარწყლოს მათ პირველი ეპისტოლედან გამოტანილი მცდარი დასკვნები და დაუცხროს ცრუმოძღვართა განმარტებებით გამოწვეული შფოთი.

ეპისტოლეს შინაარსი და დაყოფა. თესალონიკელთა მიმართ მეორე ეპისტოლე სულ სამ თავს შეიცავს. ის თავისი შინაარსით 4 ნაწილად შეიძლება დაიყოს: 1) ჩვეულებრივი ზედწარწერილი და მისალმება (1, 1, 2); 2) თესალონიკელთა ცხოვრების ნათელი მხარის აღფრთოვანებით აღწერა, სადაც წმინდა პავლე უქებს მათ რწმენის სიმტკიცეს და მწუხარეების უდრტვინველად დათმენას (1, 3-12); 3) დოგმატური, ანუ აღმსარებლობითი ნაწილი, რომელშიც წმინდა მოციქული ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ თესალონიკელთა მცდარ აზრებს გაფანტავს (2 თავ.); და 4) ზნეობრივ-გამოსასწორებელი ნაწილი, რომელშიც მოციქული უწესოდ მავალთ ამხელს და გამოსწორებისაკენ მოუწოდებს (3 თავ.).

ეპისტოლე, ჩვეულებრივ, მოკითხვითა და კურთხევით მთავრდება (3, 17, 18).

ეპისტოლეს ეგზეგეტიკური გარჩევა. ეპისტოლე იწყება ზედწარწერით, რომელიც პირველი ეპისტოლეს ზედწარწერილის იდენტურია: ***„პავლე და სილოანე და ტიმოთე ეკლესიასა თესალონიკელთასა ღვთისა მიერ მამისა ჩუენისა და უფლისა იესუ ქრისტესა“,*** რასაც მოჰყვება წმინდა პავლესთვის ჩვეული სამოციქულო კურთხევა: ***„მადლი თქუენდა და მშჳდობაჲ...“*** (მუხ. 1, 2). მთელი პირველი თავი თესალონიკეს ეკლესიის წევრთა საქებ თვისებათა წარმოჩინებას ეძღვნება. მოციქული მათ რწმენასა და მოთმინებას აქებს, რასაც ისინი სხვადასხვაგვარ მღელვარებასა და მწუხარებაში ამჟღავნებენ. იგი ღმერთს მადლობას სწირავს, რომ მათში მტკიცდება სარწმუნოება და მრავლდება სიყვარული, ხოლო თვით თესალონიკელებს იმით ამხნევებს, რომ იქნება უკანასკნელი სამსჯავრო, სადაც ყველა მათი მდევნელი ურჯულო დაემხობა და საუკუნო ტანჯვით დაისჯება, ხოლო ამჟამად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევნილ მორწმუნეებს განდიდება და საუკუნო სიხარული მოელით. დასასრულ, მოციქული ლოცულობს, რომ ღმერთმა ინებოს, ბოლომდე დაითმინონ თესალონიკელმა ქრისტიანებმა და თავიანთი წოდების ღირსიქმნენ, რათა ***„იდიდოს სახელი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი*** მათ ***შორის, და*** ისინი ***მის მიერ“*** (მუხ. 3-12).

მეორე თავში წმინდა მოციქული ქრისტეს შესახებ თესალონიკელთა მცდარ აზრს აქარვებს და განმარტავს, რომ „უფლის დღე“ არც ისე ახლოა როგორც მათ ჰგონიათ. რამეთუ მანამდე, მის მოსვლამდე, უნდა გამოჩნდეს ***„კაცი იგი უშჯულოებისაჲ, შვილი იგი წარსაწყმედელისაჲ“*** – ანტიქრისტე, და რომ მისი გამოჩენის შესახებ წინასწარ განჭვრეტილი ნიშნები ჯერ არ ჩანს. ***„ხოლო გეტყჳთ თქუენ, ძმანო, მოსლვისა მისთჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა... არა ადრე აღიძრნეთ თქუენ გონებითა, არცა შეშფოთნეთ არცა სულითა, არცა სიტყჳთა, არცა წიგნითა, ვითარცა ჩუენ მიერ, ვითარმცა მოწევნულ იყო დღე იგი უფლისაჲ“*** (2, 1, 2), – აქ მოციქული მიუთითებს იმ სამ წყაროზე, რომლებმაც თესალონიკელებს „უფლის დღის“ სიახლოვის რწმენა შეუქმნა, ესენია: სული, სიტყვა და ეპისტოლე. ამ „სულში“ წმინდა მამები იმ წინასწარმეტყველურ სულს გულისხმობენ, რომელიც ზოგიერთ ქრისტიანზე მათი ლოცვითი შეკრებების დროს გადმოდიოდა და სხვადასხვა თემებზე აღფრთოვანებულ საუბრებს აწყებინებდა, ხშირად კი მომავალსაც აწინასწარმეტყველებინებდა. თუმცა ყოველი ასეთი აღფრთოვანებული საუბარი საღვთო სულისგან როდია. მოციქული სწორედ ამის შესახებ აფრთხილებს: უფლის მეორედ მოსვლის თაობაზე საუბრებს არ ერწმუნონ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთ საუბრებს თავისი წინასწარმეტყველური ნიჭით ცნობილი პირები აწარმოებენ. ეს მსგავსია იმისა, რასაც პავ-

ლე მოციქული გალატელებს ეპისტოლეში ეუბნება: ***„გინა თუ ანგელოზი ზეცით...“*** (1, 8). „სიტყვაში“ აქ უფლის სიტყვა არ უნდა ვიგულისხმოთ, არამედ ის სიტყვა, რომელიც მცდარად მიეწერებოდა თვითონ პავლეს. ასევე, „წიგნში“ იგულისხმება ფსევდოეპისტოლე, შედგენილი და გავრცელებული წმინდა პავლეს სახელით, რასაც იგი თავად აღნიშნავს, როცა ამბობს: ***„ვითარცა ჩუენ მიერ“. „ვითარმცა მოწევნულ იყო“,*** – რაც ნიშნავს: „თითქოს, უკვე მოწევნულ იყოს უფლის დღე“. თესალონიკელთა ცოდვა ის კი არ არის, რომ ისინი „ქრისტეს დღის“ დადგომას ელიან, რამეთუ უფლის მოსვლას – მისივე მცნებისამებრ – ყოველთვის უნდა ველოდოთ (იხ. **ლუკ. 12, 35-46**), არამედ ის, რომ თავად განსაზღვრავენ და ადგენენ ამ დღეს, რომელიც ღმერთის გარდა ყველასათვის დაფარულია (იხ. **მათ. 25, 13; 24, 36**).

„ნუმცა ვინ გაცთუნებს თქუენ ნუ რომლითა სახითა, რამეთუ უკუეთუ არა მოვიდეს განდგომილებაჲ იგი პირველად, და გამოჩნდეს კაცი იგი უშჯულოებისაჲ, შვილი იგი წარსაწყმედელისაჲ“ (2, 3) – ვიდრე არ მოვა განდგომილება და არ გამოჩნდება ურჯულოების კაცი, წარსაწყმედელის შვილი – ანტიქრისტე, მანამ არ დადგება „უფლის დღე“. „განდგომილებაში“ აქ იგულისხმება უფალი იესო ქრისტეს მიერ წინასწართქმული სარწმუნოებისაგან დიდი და საყოველთაო განდგომილება და გარყვნილების უკიდურესი ხარისხი, – მიუხედავად ყველა ერში სახარების გავრცელებისა. ამ განდგომილებაზე საუბრობს პავლე მოციქულიც ტიმოთეს მიმართ პირველ ეპისტოლეში (4, 1): ***„უკუანაჲსკნელთა ჟამთა გან-ვინმე-დგენ სარწმუნოებისაგან და ერჩდენ იგინი სულთა მათ მაცთურთა და მოძღურებასა ეშმაკთასა“.*** ამასვე ამბობს ტიმოთეს მიმართ მეორე ეპისტოლეშიც (3, 1-8), აგრეთვე, იუდა მოციქული მე-18–მე-19 მუხლებში. უფა-

ლი თავად ამბობდა, რომ როცა იგი ამქვეყნად მოვა, ჰპოვებს კი სარწმუნოებას *„ქუეყანასა ზედა?“* (ლუკ. 18, 8).

„განდგომილების“ ამ შავბნელ სურათს ხატოვნად აღწერს *ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული* თესალონიკელთა მიმართ მეორე ეპისტოლეს განმარტებაში: „სახარება ყველას ეუწყება, მაგრამ ერთი ნაწილი არ ირწმუნებს; მეორე, უფრო დიდი ნაწილი კი მწვალებლობას დაიწყებს. ღვთივმოცემულ სწავლებას კი არ მიჰყვება, არამედ წმიდა წერილის სიტყვების გამოყენებით ახალ სარწმუნოებას ააგებს, თავის მიერ გამოგონილს. ასეთ გამოგონილ სარწმუნოებებს სათვალავი არ ექნება. ამას დასაწყისი პაპმა დაუდო, მერე კი ლუთერმა და კალვინმა გააგრძელეს. მათ ახალ სარწმუნოებას საფუძვლად წმინდა წერილის თავიანთი პირადი წვდომა დაუდეს, რამაც ძლიერი ბიძგი მისცა ახალ-ახალი სარწმუნოების გამოგონებას. ისინი ახლაც ძალზე ბევრნი არიან და კიდევ მეტნი იქნებიან.* ლამის ყოველ სამეფოს თავისი აღმსარებლობა აქვს, შემდეგ კი ყოველ მხარეს, ყოველ ქალაქს; ბოლოს, თითქმის თითოეულს ექნება საკუთარი სარწმუნოება და ყველა მათგანი ქრისტიანის სახელს მიითვისებს. გარკვეული ნაწილი დაიცავს ჭეშმარიტ სარწმუნოებას, – წმინდა მოციქულთა მიერ გადმოცემულს და მართლმადიდებელ ეკლესიაში დამარხულს. თუმცა მათგან არცთუ მცირე ნაწილი მხოლოდ სახელით იქნება ქრისტიანი, გულით კი წუთისოფელი ეყვარება. აი, როგორი დიდი განდგომილება გველოდება წინ. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანები ქვეყნის ყველა კუთხეში იქნებიან და ეკლესიებიც იმოქმედებს, ყოველივე ამას მხოლოდ გარეგნული სახე ექნება, შინაგანად კი განდგომილება დაისადგურებს. ასეთ საყოველთაო სულიერ საფუძველზე დაიბადება ანტიქრისტე და

* მაგალითად, რასელი, – ეგრეთ წოდებული „იეღოვას მოწმეების“ სექტის დამაარსებელი. – რედ.

სულის ასეთივე გარეგნული მდგომარეობით გაიზრდება. შემდეგ სულს სატანას მიჰყიდის, სარწმუნოებას აშკარად განუდგება და მაცდუნებელი მანქანებით შეიარაღებული ყველას, ვინც ჭეშმარიტ სარწმუნოებაში იქნება, ქრისტესგან განდგომასა და მისთვის (ანტიქრისტესთვის) საღვთო პატივის მიგებას აიძულებს. მხოლოდ რჩეულნი არ ცდუნდებიან, თუმცა მას მათი ცდუნების მცდელობაც ექნება. სწორედ იმიტომ, რომ რჩეულნიც არ ცდუნდნენ, ანტიქრისტეს დღეები შეწყდება, გამოჩნდება უფალი ქრისტე და მას, მთელი თავისი საქმეებითურთ, მიწისა პირისაგან აღგვის. აი, რომელ განდგომილებას გულისხმობს წმინდა მოციქული". ამრიგად, ეს უკანასკნელი დროის განდგომილება თვით ანტიქრისტეს მიერ იქნება გამოწვეული. თვითონ მისცემს ამის, ასე ვთქვათ, პირველ ნიშანს და იგი ხილულ, ყველასათვის აშკარა და გაცხადებულ სახეს მიიღებს, განსხვავებით იმისაგან, რომელიც მხოლოდ შინაგანი ხასიათისაა და რომლის შეკავებაც გარკვეულ ხარისხამდე ხდება სახელმწიფო კანონებით, – ასეთი განდგომები აქამდეც ყოფილა და იქნება თავისუფლად მოაზროვნე ადამიანების მხრიდან და ისინი მხოლოდ და მხოლოდ ნიადაგს ამზადებენ ანტიქრისტეს მომავალი საქმიანობისთვის. წმინდა მოციქულის ზემოთ მოყვანილი სიტყვებიდან გამომდინარე, რადგან იგი არ განიხილავს ანტიქრისტეს გამოჩენასა და საყოველთაო განდგომილებას შორის დროის რაიმე მონაკვეთს, რამეთუ ამ ორ მოვლენას ერთდროულად წარმოგვიჩენს, ზოგიერთი წმინდა მამა მიიჩნევდა, რომ მოციქულმა სიტყვა „განდგომილება" „განდგომილის" ნაცვლად გამოიყენა და მასში ანტიქრისტე იგულისხმება *(წმინდა იოანე ოქროპირი, ნეტარი თეოდორიტე, ნეტარი ავგუსტინე)*, თუმცა წმინდა პავლე აშკარად განასხვავებს ანტიქრისტეს მის მიერ წარმოქმნილი განდგომილების საქმისგან.

მე-3–მე-10 მუხლებში მოციქული ანტიქრისტეს შავბნელი პიროვნების დახასიათებას იძლევა. ვინ იქნება ის? – მოცი-

ქული მას პირდაპირ უწოდებს „ადამიანს“. ამიტომ ცდებოდნენ და ცდებიან ისინი, ვინც ფიქრობდნენ და ფიქრობენ, რომ თითქოს ამსოფლის აღსასრულისას ადამიანის სახით თვით სატანა გამოჩნდება ქვეყანაზე, რომლის განკაცებაც მკრეხელურად დაემსგავსება ქრისტეს განკაცებას. ანტიქრისტე იშვება კაცობრიობის უკანონო (ურჯულო) ასულისგან. ის არ იქნება კაცისსახიანი სატანა, არამედ თითქმის გასატანებული ადამიანი, რომელშიც დამკვიდრებული იქნება სატანა და იგი მისით იმოქმედებს, როგორც ყოვლადმორჩილი იარაღი *(ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული). წმინდა იოანე ოქროპირი* სვამს შეკითხვას: „ვინ იქნება ის? ნუთუ სატანა? და თავად პასუხობს: – არა, ვინმე ადამიანი, რომელიც მთელ მის ძალას მიირქვამს“. მსგავსადვე ბჭობს *ეკუმენოსიც:* „ანტიქრისტე სატანა კი არა, ადამიანი იქნება, სატანის მიერ შეპყრობილი და მოქმედი (გასატანებული). იგი მაგიაში დახელოვნებული ვინმე ებრაელი იქნება“.

რა თვისებებით ახასიათებს ანტიქრისტეს პავლე მოციქული?

უპირველეს ყოვლისა, ის იქნება ***„კაცი იგი უშჯულოებისაჲ“*** (მუხ. 3), ესე იგი, ყოვლად ურჯულო – ურჯულოებით ნასაზრდოები. წმინდა მამები ასწავლიან, რომ თვით დაბადება მისი ურჯულო (უკანონო) იქნება, ანუ მეძავისგან იშვება. „ურჯულოდ დაიბადება, ურჯულოდ იცხოვრებს, თვითონ იურჯულოებს და ურჯულოებას ყოველგან გაავრცელებს, და ურჯულოებაშივე დაიღუპება, – ამბობს *ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული,* – იგი ურჯულოების სრული განსახიერება იქნება და მასში ურჯულოების გარდა, სხვა არაფერი იქნება“. მისი სული მთლიანად იქნება სიჯანსაღეს მოკლებული.

მეორე, რასაც წმინდა მოციქული ამბობს მის შესახებ, ეს არის ის, რომ იქნება ***„შვილი იგი წარსაწყმედელისაჲ“,*** რომელიც ნებაყოფლობით მიეცემა წარსაწყმედელს იმის

სრული შეგნებით, რომ წარიწყმიდება, მაგრამ მარტო თვითონ კი არა – სხვებსაც წარწყმედს, რაც იმაში გამოიხატება, რომ აცდუნებს, რათა მის ნებასა და მოძღვრებას მიჰყვნენ და ამით დაღუპავს. კმაყოფილებას მიაღწევს სხვების დამღუპველი გზისკენ მიქცევით და მთელი მისი საზრუნავი იქნება, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი დაღუპოს. გავიხსენოთ, რომ ქრისტე-მაცხოვარმა გამცემ იუდასაც ***„ძე იგი წარწყმედისაჲ“*** უწოდა (იოან. 17, 12). წმინდა იოანე ღვთისმეტყველი გამოცხადებაში ანტიქრისტეს ასე სახელდებს: ***„მხეცი ეგე“,*** რომელიც ღვთისმბრძოლობის შემდეგ ***„წარსაწყმედელად წარვალს“*** (გამოცხ. 17, 8, 11).

შემდეგ ანტიქრისტე ასეთი სიტყვებით ხასიათდება: ***„მჯდომი იგი და განლაღებული ყოველთა ზედა, რომელნი სახელ-დებულ არიან ღმრთად გინა სამსახურებელად, ვითარმედ და-ცა-ჯდეს იგი ტაძარსა მას ღვთისასა და გამოაჩინებდეს თავსა თჳსსა, ვითარცა ღმერთი“*** (მუხ. 4), – აქ წარმოჩენილია ანტიქრისტეს სამი ახალი თვისება: პირველი – ის იქნება „მხდომი“. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ღვთისა და უფალ იესო ქრისტეს მოწინააღმდეგე, საიდანაც წარმოიშვა მისი სახელი „ანტიქრისტე“. პირდაპირ ამ სახელით მოიხსენიებს მას წმინდა იოანე ღვთისმეტყველი (**1 იოან. 2, 18, 22; 4, 3; 2 იოან. 7**). წმინდა იოანე ოქროპირი მას „ანტითეოსს“ უწოდებს – „ღვთისსაწინააღმდეგოს“, ანუ „ღვთისმონაცვალს“ – ქრისტეს ნაცვლად საკუთარი თავის დამდგინებელს, ისევე, როგორც „ანტიქრისტე“ ნიშნავს: „ქრისტეს ადგილზე საკუთარი თავის დამდგინებელს“.

მეორე – ის იქნება ყოვლისდამთრგუნველი ამპარტავანი, რომელიც ყოველივეს უარყოფს, „რასაც ღმერთი და სიწმინდე ეწოდება“, იმის სურვილით, რომ მხოლოდ მას მიაგონ პატივი და ეთაყვანონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე – ის იქნება უმაგალითოდ კადნიერი თავხედი, რომელიც, თავისი ამპარტავნებით მოცული, საღვთო საყდარზე დაჯდება, „ვითარცა ღმერთი“. ტაძარში, როგორც წმინდა მამები განმარტავენ, უნდა ვიგულისხმოთ სწორედ ტაძარი და არა სხვა რამე ტაძრის მსგავსი. თანაც ეს არ იქნება ერთი რომელიმე გარკვეული ტაძარი, მაგალითად, იერუსალიმის, არამედ ტაძარი კრებსითი მნიშვნელობით. *ეპისკოპოს თეოფანე დაყუდებულის* სიტყვებით: „ანტიქრისტეს მოქმედების მთავარი ადგილი, რა თქმა უნდა, სადმე, გარკვეულ ადგილას იქნება, როცა იგი თავს ასეთად (ანუ „ღმერთად“) გამოაცხადებს. სწორედ იმ ადგილის მთავარ ტაძარს გულისხმობს მოციქული და იქ დაჯდება ის, თითქოს ღმერთი იყოს. შემდეგ კი, ასეთივე მნიშვნელობით, ყველა სხვა ტაძარშიც დაჯდება; შესაძლოა, სხვა ტაძრებში დაჯდომა მან სხვა რაიმე ნიშნით დაამოწმოს. გამოცხადებაში მხეცის ხატზეა საუბარი. იქნებ მას ტაძრებში დადგამენ? ტაძრებს ის მიისაკუთრებს ადამიანებთან ერთად, რამეთუ მათში დაისადგურებს ღვთისა და რელიგიისაგან უდიდესი განდგომა“. ძნელია იმის დაშვება, რომ ანტიქრისტე თავის ღმრთეებრიობას ირწმუნებს: ეს მისი მხრიდან მხოლოდ ღვთისმბრძოლი კადნიერება და კაცთაგან საღვთო პატივის მიღების დაუოკებელი სურვილი იქნება. მის თაყვანისმცემელთა შორის სხვადასხვა ადამიანები აღმოჩნდებიან: ერთნი, როგორც ჩანს, სრულიად დაკარგავენ თავს; მეორენი – ცრუმორწმუნენი და განუვითარებელნი, რომელნიც ცრუ ნიშან-სასწაულთა გამო ნამდვილად ირწმუნებენ მას, როგორც ღმერთს; მესამენი არა გულწრფელად, არამედ ლიქნით სცემენ თაყვანს, – მისი სისასტიკით დაშინებულნი, ან ქედს მოუდრეკენ იმ მიწიერი პატივისა და სარგებლის მიღების მიზნით, რითაც ანტიქრისტე თავის თაყვანისმცემლებს გაუმასპინძლდება. ყველა შემთხვევაში, მისდამი თაყვანისცემა იქნება შედეგი ღვთისმოშიშების სრული დაკარგვისა.

მეოთხე – ანტიქრისტე ეშმაკისგან ცრუ ნიშან-სასწაულთა ქმნის უნარს მიიღებს და ამით კაცთა წარმოსახვას უფრო მეტად მოწყლავს. „ისეთი ფუფუნებით გარშემორტყმული იქნება ტაძარში, ისეთ ვითარებას შექმნის ცრუ სასწაულებით, რომ მის ქმედებებში ყველა იქ მყოფს იგი ღმერთად მოეჩვენება, როგორც თავის დროზე სამეფო სამოსელში გამოწყობილი ჰეროდე. ხალხის წინაშე სამსჯავრო ტახტზე მჯდომი, ბევრს უჩვეულოდ მიმზიდველი მოეჩვენა, ისე, რომ თითქოს მისი ხმაც არაადამიანური, ღვთაებრივი ყოფილიყო **(საქმ. 12, 21, 22),** – ამბობს *წმინდა იოანე ოქროპირი.* – ის შეეცდება, თავი ღმერთად მოაჩვენოს, რამეთუ დიდ საქმეებსა და სასწაულებს აღასრულებს“. *ეკუმენოსი* წერდა: „ყოველგვარ ხრიკს მიმართავს – საქმით, ნიშნით და სასწაულით გამოაჩენს, თითქოს ღმერთია“. ერთი სიტყვით, იგი რაღაცით მაგის (მოგვის) თუ ჯადოქრის მსგავსი იქნება.

„არა გაკსოვსა, რამეთუ, ვიდრე-იგიღა ვიყავ თქუენ თანა, ამასვე გეტყოდე თქუენ?“ (2, 5), – აქედან ჩანს, რომ ანტიქრისტეს შესახებ სწავლება, ქრისტიანული სწავლების ყველა სხვა დოგმატთან ერთად, თავდაპირველ სამოციქულო ქადაგებათა ნუსხაში შედიოდა. დამახასიათებელია, რომ თესალონიკეში თავისი ხანმოკლე ყოფნის პერიოდში პავლე მოციქულმა არათუ გვერდი არ აუარა ამ სწავლებას, როგორც მეორეხარისხოვანს, არამედ საჭიროდ მიიჩნია, დაწვრილებით ექადაგა მის შესახებ; ეპისტოლეში კი მხოლოდ შეახსენებს. აი, რატომ ცოდავს ყველა, ვინც ანტიქრისტეს შესახებ სწავლებას ზედაპირულად ეპყრობა და მასზე საუბარიც არ სურს, როგორც ეს ამჟამად ხდება. ხომ არ არის ეს მისი გამოჩენის მოახლოების ნიშანი?

„და აწ, რომელი-იგი დაგისწავიეს, იცით გამოჩინებადი იგი თჳსსა მას ჟამსა“, – რა აკავებს, რა აყოვნებს ან-

ტიქრისტეს გამოჩენას? მოციქულთა სიტყვებიდან ჩანს, რომ თესალონიკელებმა ეს იცოდნენ, ჩვენ კი მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ მოციქულის აზრი წმინდა მამათა განმარტებების საფუძველზე. *წმინდა იოანე ოქროპირი* წერს: „ერთნი ვარაუდობენ, რომ მასში სულიწმიდის მადლი უნდა ვიგულისხმოთ, სხვები კი რომის სახლმწიფოს გულისხმობენ". იმავეს იმეორებენ *თეოდორიტე, ეკუმენოსი, თეოფილაქტე.* თუმცა სხვა მოსაზრებაც არსებობს. *თეოდორიტე* წერს: „შემაკავებელში ზოგი რომის სამეფოს გულისხმობს, ზოგი სულიწმიდის მადლს. ანუ ანტიქრისტე არ მოვა, სანამ სულიწმიდის მადლი მოქმედებს ამქვეყნად. ღვთის განგებულება მას ამჟამად გამოჩენის ნებას არ აძლევს... რადგან ღვთაებრივმა მოციქულმა უწყოდა უფლის ნათქვამი, რომ სახარება ყველა ერს უნდა ექადაგოს და მხოლოდ მას შემდეგ დადგება აღსასრული **(მათ. 24, 14),** მაგრამ ამასთან, ხედავდა, რომ ჯერ კიდევ კერპთმსახურება მძლავრობდა. ამიტომ უფლის სწავლებით თქვა, რომ ცრურწმენის სამეფო დაინგრევა და მაცხონებელი ქადაგება ყველგან გაბრწყინდება და ამის შემდეგ გამოჩნდება ჭეშმარიტების მოწინაღმდეგე ***(„მხდომი")".*** *ფოტიოსის* აზრი *ეკუმენოსის* ნაშრომში: „გამოჩნდება თავის დროზე, ესე იგი როცა მისთვის განსაზღვრული და ღვთის მიერ დაშვებული ანუ ნებადართული ჟამი დადგება". *სევერიოსის* აზრი იმავე *ეკუმენოსთან:* „ურჯულოს გამოჩენას სულიწმიდა აკავებს და არ უშვებს მას. როცა სულიწმიდა, კაცთა შორის ბოროტების გამრავლების შედეგად, განზე გადგება და განშორდება, მაშინ ურჯულო იგი, თავისუფლად განაცხადებს თავს და ასპარეზზე გამოვა, – ხელს ვერავინ შეუშლის".

ყველა ამ მოსაზრებიდან დასკვნა თავისთავად მომდინარეობს: ანტიქრისტე მანამ არ მოვა, სანამ სახარება ყველას არ ექადაგება და სანამ, უფლის ცნობილი იგავის მიხედვით

(მათ. 13, 24-30), იფქლი ღვარძლისგან არ განირჩევა. მხოლოდ მაშინ, როცა სულიწმიდის მადლი ყველა ერისგან ცხონებისუნარიანთ შეკრებს, ყველა დანარჩენში კი ბოროტება უმაღლეს მწვერვალს მიაღწევს ისე, რომ ადამიანები ღმერთსა და სინდისს სრულიად დაივიწყებენ და კანონებსა და ყოველგვარ სახელმწიფო ხელისუფლებასა და მთავრობას უგულებელყოფენ, მაშინ დადგება ყოველივეს აღსასრული და ანტიქრისტეც გამოჩნდება.

რუსი განმმარტებლები, იმის გათვალისწინებით, რომ ძველი დროის წმინდა მამები „შემაკავებელში" რომის იმპერიას გულისხმობდნენ, როგორც მართლმადიდებლობის აპოლოგეტს, მიიჩნევდნენ, რომ რაკი მან არსებობა შეწყვიტა, მის სანაცვლოდ რუსეთის სახელმწიფო უნდა ჩავთვალოთ „შემაკავებლად", რადგან მას მართლმადიდებელი ხელმწიფე მართავდა და მთელ მსოფლოში სარწმუნოებისა და მართლმადიდებელი ეკლესიის მფარველი ერთადერთი ხელისუფალი იყო. აი, რას ამბობს ამის შესახებ *ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული:* „სამეფო ხელისუფლებას თავის ხელში სახალხო მოძრაობის შემაკავებელი საშუალებები უპყრია და თავად ქრისტიანული საწყისების მფარველი, არ დაუშვებს ამ საწყისებისგან ერის განდგომას და შეაკავებს მას. რამდენადაც ანტიქრისტეს მთავარი მიზანი ქრისტესგან ხალხის განდგომაა, ამიტომ იგი მანამდე არ გამოჩნდება, სანამ სამეფო ხელისუფლება ძალაშია. იგი მას ღიად მოქმედების საშუალებას არ აძლევს – სწორედ ეს არის „შემაკავებელი". ხოლო, როცა სამეფო ხელისუფლება დაეცემა და ხალხი ყველგან თვითმმართველობას გამოაცხადებს (რესპუბლიკა, დემოკრატია), მაშინ ანტიქრისტეს მოქმედების სივრცე მიეცემა. სატანა ისევ მოაგროვებს ქრისტესგან განდგომილთა ხმებს, როგორც ეს საფრანგეთის რევოლუციის გამოცდილებამ გვიჩვენა. ვერავინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაადებს ხელმწიფობრივ „ვეტოს“; სარწმუნოებრივ მდაბალ განცხადებას კი არვინ შეისმენს. მაშასადამე, როგორც კი ყველგან ანტიქრისტეს მისწრაფებების ხელშემწყობი წესრიგი დამყარდება, ისიც მაშინ გამოჩნდება. მანამდე კი იცდის, რადგან შეკავებულია“.

ნეტარხსენებული მართალი იოანე კრონშტადტელი წერდა: „ხელმწიფეთა მეშვეობით უფალი მიწიერ სამეფო სიკეთეებს იცავს, განსაკუთრებით – თავისი ეკლესიისას: უღვთო მოძღვრებებს, მწვალებლობებსა და განხეთქილებებს მისი დაპყრობის საშუალებას არ აძლევს, ამიტომ ქვეყნიერების უდიდესი ბოროტმოქმედი – ანტიქრისტე – მანამ არ გამოჩნდება ჩვენ შორის, სანამ სახელმწიფო ხელისუფლება უღმერთოთა უწესო სვლას და უგუნურ სწავლებას აკავებს. მოციქული ამბობს, რომ ანტიქრისტე ქვეყანაზე მანამ არ გამოჩნდება, სანამ ხელმწიფის ხელისუფლება იარსებებს: ***„რამეთუ საიდუმლოჰ იგი აწვე იქმნების უშჯულოებისაჰ, გარნა ხოლო, რომელსა-ესე უპყრიეს აწ, ვიდრემდე შორს განვიდეს, და მაშინ გამოჩნდეს უშჯულოჰ იგი, რომელი-იგი უფალმან აღჯოცოს სულითა პირისა მისისაჰთა“*** (2 თესალ. 2, 7, 8).

„გამოჩინებადი იგი თჳსსა მას ჟამსა“ (2, 6) ნიშნავს, რომ ანტიქრისტე იმ დროს კი არ გამოჩნდება, როცა მას მოესურვება, არამედ – როცა საღვთო განგებულებით ამისთვის დადგენილი ჟამი დადგება. საღვთო განგება მის მომზადებასა და მისი მოქმედების შედეგებსაც ითვალისწინებს. მაგრამ ამის მიზეზი ის კი არ არის, რომ, თითქოს, ღმერთს ადამიანებისთვის ბოროტება სურდეს, არამედ ის, რომ ისინი თავად დაეცემიან იმ დრომდე საკუთარი ცოდვებით. ღმერთმა ეს ჟამი უკანასკნელ შესაძლებლობამდე გადასწია იმის მოლოდინში, რომ მისი მსახურების მსურველნი კიდევ გამოჩნდებიან. ხოლო, როცა ეს მოლოდინი შეწყდება, მაშინ იგი თავის

შემაკავებელ ხელს აიღებს, ბოროტება განიფინება და ანტიქრისტეც გამოჩნდება“ *(ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული).*

„საიდუმლოდ იგი აწვე იქმნების უშჯულოებისად, გარნა ხოლო, რომელსა-ესე უპყრიეს აწ, ვიდრემდე შორს განვიდეს“ (2, 7), – „ღვთის მსახურების საიდუმლოს“ საწინააღმდეგოდ, რომელიც ძე ღვთისას განკაცებაში მდგომარეობს **(1 ტიმ. 3, 16).** ყოველივე ზემოთ თქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ „ურჯულოების საიდუმლოს“ წმიდა მოციქული სატანის დაფარულ და ცბიერ ძალისხმევას უწოდებს, რომლითაც იგი ცდილობს, ადამიანებში ჩვენი ღმრთეებრივი გამომსყიდველის, უფალი იესო ქრისტეს რწმენა შეარყიოს და დაჩრდილოს, და ურჯულოების ყოველგან გავრცელებით კაცობრიობა სრულ ზნეობრივ გარყვნილობამდე მიიყვანოს. ჯერ კიდევ წმინდა მოციქული და მახარებელი იოანე ღვთისმეტყველი ამბობდა: ***„ვითარცა-იგი გასმიეს, ვითარმედ ანტიქრისტე მოვალს და აწცა ანტიქრისტენი მრავალნი არიან“*** (1 იოან. 2, 18). წმინდა იოანე აქ განარჩევს „ანტიქრისტეს“ და „ანტიქრისტეებს“. პირველი მათგანი ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ გამოჩნდება, ხოლო „ანტიქრისტენი“, როგორც მისი წინამორბედნი, ჯერ კიდევ მოციქულთა დროში გამოჩნდნენ და, რა თქმა უნდა, ქრისტიანობის არსებობის ყოველ ჟამს კვლავ და კვლავ იჩენენ თავს, – როგორც ანტიქრისტიანული სულისა და მიმართულების წარმომადგენლები. „ესენი არიან ყველა ჯურის ცრუმოძღვრები, რომელნიც მუდამჟამ ჩნდებოდნენ, ჩნდებიან და კვლავ გამოჩნდებიან ქრისტეს ეკლესიაში და მის გარეთ, რომლებშიც ყოველთვის ერთგვარად ანტიქრისტეს სული ხორციელდება“ *(ეპისკოპოსი მიქაელი, „აპოკალიფსისის განმარტება“, 1, 316). ნეტარი თეოდორიტე* წერს: „ვგონებ, მოციქულმა ამით წარმოქმნილი მწვალებლობანი აღნიშნა, იმიტომ, რომ ეშმაკი მათი სა-

შუალებით მრავალს განაშორებს ჭეშმარიტებისაგან. ხოლო „ურჯულოების საიდუმლო“ იმიტომ უწოდა, რომ მათში დაფრულადაა დაგებული ურჯულოების მახე. ამიტომაც უწოდა ანტიქრისტეს მოსვლას მოციქულმა „გამოჩინება“. რამეთუ, რასაც მუდამ დაფარულად აკეთებდა, მაშინ ღიად და აშკარად გააკეთებს“. იმავეს ამბობს წმინდა იოანე დამასკელიც: „მოციქული ურჯულოების საიდუმლოს მწვალებელთა სწავლებას და მათ ყალბ დოგმატებს უწოდებს. რამეთუ ისინი მისი (ანტიქრისტეს) წინამორბედნი არიან, მას გზას უსწორებენ და ცდუნების ჟამს ამზადებენ“. რამდენ მწვალებელს, სექტანტს, ცრუფილოსოფოსს ვხედავთ ამჟამად, კანონიერი ხელისუფლების ავტორიტეტს რომ არყევენ! კაცთა შორის მათი ერთობლივი განმხრწნელი მოქმედებისგან შედგება „ურჯულოების საიდუმლო“, რომელმაც ის ვითარება უნდა მოამზადოს, რომელიც ანტიქრისტეს ამქვეყნად ღია გამოჩენას შეუწყობს ხელს. სიტყვა: ***„შორს განვიდეს“,*** არ ნიშნავს: „განადგურდება“, „აღარ იქნება“, არამედ – „განერიდება, თავის შემაკავებელ ქმედებას შეწყვეტს“. ***„აწცა“***, – ნიშნავს, რომ არა მხოლოდ მოციქულთა დროში, არამედ ყოველ ჟამს, ***„დღითი დღედ“*** (ებრ. 3, 13). ამით მოციქული ყოველ დროს აღნიშნავს, ვიდრემდის შეაკავებს ის, ***„რომელსა-ესე უპყრიეს აწ“*** *(ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული).*

„და მაშინ გამოჩნდეს უშჯულოჲ იგი, რომელი-იგი უფალმან აღჯოცოს სულითა პირისა მისისაჲთა“ (2, 8) – მაშინ, როდესაც აღარ იქნება „შემაკავებელი“, გამოჩნდება ურჯულო ანტიქრისტე, როგორც მთელი მსოფლიოს მეუფე, რომელსაც ყველა თაყვანს სცემს. სიტყვებით: ***„რომელი-იგი უფალმან აღჯოცოს სულითა პირისა მისისაჲთა“***, მოციქული ანტიქრისტეზე უფალ იესო ქრისტეს გამარჯვების სისწრაფესა და სიიოლეს აღნიშნავს. უფლის ერთი ამოსუნთქვაა საკ-

მარისი, რომ მთელი მისი მოჩვენებითად უძლეველი ძალა საბოლოოდ განქარდეს როგორც კვამლი, როგორც დნება ცვილი პირისაგან ცეცხლისა. ეს ჯერ კიდევ ესაია წინასწარმეტყველმა განჭვრიტა, როცა თქვა: ***„გამოვიდეს კუერთხი ძირისაგან იესესსა“***, ანუ მესია ქრისტე და ***„სულითა ბაგეთა მიერ მოაკუდინოს უთნოდ“*** (ეს. 11, 1, 4). ამიტომ გამოცხადებაში უფალი იესო ქრისტე, რომელსაც იქ სიტყვა ღვთისა ეწოდება, მისი პირისგან გამომავალი ბასრი მახვილით გამოიხატება (**გამოცხ. 19, 15-20**).

„და განაქარვოს იგი (უფალმა ანტიქრისტე) ***გამოჩინებითა მით მოსლვისა მისისადთა“***, ესე იგი, სრულად განადგურდება არამხოლოდ თვით ანტიქრისტე, არამედ ყველა მისი საქმეც. როგორც სინათლე დევნის სიბნელეს, ისე უფალი თავისი მოსვლით ***„ცეცხლითა ალისადთა“*** (2 თესალ. 1, 8) წამისყოფაში დაასრულებს ყოველგვარ ცოდვასა და ურჯულოებას. ღვარძლი იფქლისგან განირჩევა და ახალ ცასა და მიწაზე გამეფდება და დამკვიდრდება მხოლოდ სიმართლე და სიწმინდე (**2 პეტ. 3, 13**).

მე-9–მე-12 მუხლებში ანტიქრისტეს მანქანებასა და იმის მინიშნებას ვპოულობთ, თუ ვის აცდუნებს იგი. ამ სიტყვებით მოციქული გვახვედრებს, რომ ანტიქრისტეს ცდუნებასა და მანქანებას მხოლოდ ის დააღწევს თავს, ვინც სარწმუნოებაში მტკიცედ იდგება. ***„რომლისა-იგი მოსლვაჲ არს შეწევნითა ეშმაკისადთა, ყოვლითავე ძალითა და ნიშებითა და სასწაულებითა ტყუილისადთა“*** (2, 9), – ეს ნიშნავს, რომ ანტიქრისტე სატანის ძალით იმოქმედებს. ამის შესახებ „გამოცხადებაშიც“ არის ნათქვამი: ***„მისცა მას ვეშაპმან მან ძალი თჳსი და საყდარი თჳსი და ჴელმწიფებაჲ დიდი“*** (13, 2). ანტიქრისტე შეეცდება, უფალსა და მოციქულებს ნიშან-სასწაულების აღსრულებით მიემსგავ-

სოს, მაგრამ მისი სასწაულები მოჩვენებითი, ცრუსასწაულები (ფოკუსები) იქნება. „გამოცხადებაში“ ნათქვამია, რომ ***„იქმნ სასწაულთა დიდთა, და რაჲთა ცეცხლი გარდამოჴდეს ზეცით წინაშე კაცთა“***, და ***„მიეცა მას სული მიცემად ხატსა მას მჴეცისასა, რაჲთა იტყოდის ხატი მჴეცისაჲ მის და ქმნას“*** (13, 13, 15) და ასე შემდეგ. ყოველივე ეს მხოლოდ ადამიანის სახილველი გრძნობის მოტყუებაზე იქნება გათვალისწინებული.

„და ყოვლითავე საცთურითა სიცრუისაჲთა და წარწყმედულთა მათ შორის, რამეთუ ვინაჲთგან სიყუარული იგი ჭეშმარიტებისაჲ არა შეიწყნარეს, რაჲთამცა ცხონდეს იგინი“ (2, 10), – ცრუსასწაულთა გარდა, უფრო სერიოზულ ადამიანთა – სხვადასხვა დარგის მეცნიერთა და ხელოვანთა მოსახელთებლად, ანტიქრისტე გამოიყენებს მოხიბლვის ხელოვნებას თავისი სიტყვით, ფსედომეცნიერული და მომხიბლველი სამეცნიერო თეორიებით. ანტიქრისტეს მომხრეების სიმრავლეს მოციქული უწოდებს ***„წარწყმედულთა“***. ეს ის ადამიანებია, რომლებიც ანტიქრისტეს სულისანი არიან და რომლებმაც ***„სიყუარული იგი ჭეშმარიტებისაჲ არა შეიწყნარეს, რაჲთამცა ცხონდეს იგინი“***, რადგან მათ გულში ჭეშმარიტების გრძნობა არ არის. ეს ადამიანები, – *ეპისკოპოს თეოფანეს გამოთქმით*, – „გახევებულნი და გაქვავებულნი არიან“. მათ გულებთან ახლოს იქნება ის, რასაც ანტიქრისტე იტყვის, რომელსაც შეუძლია თითოეული ასეთი ადამიანი თავისი ვერაგი სიტყვებით და იმ მოჩვენებითი სიბრძნით აცდუნოს, რომლის წინაშეც ასეთი ადამიანებისთვის საღვთო ჭეშმარიტების სიბრძნე ძალზე უბრალოდ და პრიმიტიულად გამოჩნდება. ამასთან, ანტიქრისტეს ცბიერი სიტყვით გამოსვლები გარყვნილი გულისთვის მაამებელი იქნება, ასევე – თანამედროვეთა გარყვნილი ცხოვრების გამმართლებელი.

„ამისათჳს მოუვლინოს მათ ღმერთმან შემწე საცთურებისაჲ, რაჲთა ჰრწმენეს მათ ტყუვილისაჲ“ (2, 11) – ეს საშინელი ზნეობითი ხასიათის სასჯელი იქნება ღმერთისგან. რა თქმა უნდა, ეს სიტყვები არა პირდაპირი, არამედ იმ მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, რომ ღმერთი ასეთი ადამიანების დასასჯელად დაუშვებს, რომ ისინი ანტიქრისტეს ტყუილს დაემორჩილებიან. ამგვარადვე განმარტავს ამ ადგილს *ნეტარი თეოფილაქტე:* ***„მოუვლინოს“*** – ნაცვლად: „დაუშვებს მის მოსვლას“. ნახე, თავიდან მათ ჭეშმარიტება უარყვეს, მერე კი მიატოვა ღმერთმა ისინი და სიცრუე დაეუფლა მათ“.

„რაჲთა ისაჯნენ ყოველნი, რომელთა არა ჰრწმენა ჭეშმარიტებისა მის, არამედ სათნო-ეყვნეს სიცრუესა შინა“ (2, 12). *ეპისკოპოსი თეოფანე* ამბობს: „დაუშვებს ღმერთი, გაცხადდება ამ ადამიანთა ბოროტი ზნეობრივ-რელიგიური განწყობა და ისინი სამსჯავროსთვის მომწიფდებიან. დაისჯებიან საკუთარი ზნეობრივი გახრწნის გამო, რის შედეგადაც გული ჭეშმარიტების შეგრძნებას კარგავს და სიცრუისკენ მიისწრაფვის, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სიცრუე კაცობრივი ბუნების უხეშ, ქვენა ინსტიქტებს ესალბუნება“.

თავის უკანასკნელ, მე-13–მე-17 მუხლებში, მოციქული ღმერთს მადლობს მის მიერ სარწმუნოებასთან მიყვანილი თესალონიკელების ნათელი ზნეობრივ-რელიგიური მდგომარეობის გამო, ხოლო თვით თესალონიკელებს არწმუნებს: ***„ამიერითგან, ძმანო, მტკიცედ დეგით და შეიკრძალეთ მოძღურებაჲ ესე, რომელიცა გისწავიეს გინა სიტყჳთა, გინა წიგნითა ჩუენითა“*** – ეს სიტყვები ფრიად მნიშვნელოვანია, რამეთუ ისინი პირდაპირ ამხელს წმინდა გადმოცემის უარმყოფელ პროტესტანტებსა და სექტანტებს. ამის შესახებ *წმინდა იოანე ოქროპირი* ამბობს: „აქედან აშკარაა, რომ მოციქულებმა მორწმუნეებს ყოველივე ეპისტოლარული გზით

კი არ გადასცეს, არამედ ბევრი რამ წიგნების გარეშეც ამცნეს; ამასთან, ერთიც და მეორეც სარწმუნოა. ამიტომ ჩვენ საეკლესიო გადმოცემაც სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ". ამავე საკითხზე *ეპისკოპოსი თეოფანე* წერს: „მოციქულთა მიერ ზეპირად გადმოცემული და მათ მიერ დაწესებული ბევრი რამ შემდგომში მათი მემკვიდრეების, ეკლესიის მწყემსთა, ნაწერებში შევიდა, თუმცა მრავალი რამ, არც მათ მიერ დაწერილა და მხოლოდ ქრისტიანთა გულებში, ან პრაქტიკაში – ცხოვრების წესში, იმარხებოდა. ზოგი რამ განზრახ არ იწერებოდა, როგორც, მაგალითად, საიდუმლოთა აღსრულების წესი, – *კირილე იერუსალიმელის* შენიშვნით, – იმ ურწმუნოთაგან დაფარვის მიზნით, რომელნიც ღირსნი არ არიან ამის შესახებ ისმინონ ან იკითხონ, ვიდრე რწმენაში არ მოვლენ. აქედან, თავისთავად ჩანს, თუ რაოდენ უსაფუძვლოდ უარყოფენ მწვალებლები იმ საეკლესიო მოძღვრებასა და წესებს, რომელნიც წმინდა წერილში არ არის შესული".

მესამე თავი აღმზრდელობით (ზნეობრივ-გამოსწორებით) ნაწილს შეიცავს. პირველი 5 მუხლი ერთგვარი წინასიტყვაობაა. მასში მოციქული თესალონიკელებს სთხოვს, რომ მისი სამქადაგებლო საქმიანობის წარმატებისათვის ილოცონ, – მოციქულის გარშემო მყოფი უწესო და ბოროტი ადამიანების ხრიკების საწინააღმდეგოდ, რომლებიც, როგორც კორინთოში, ისე ყველგან, ხელს უშლიდნენ სახარების გავრცელებას.

საკუთრივ აღმზრდელობითი ნაწილი მე-6 მუხლიდან იწყება: ***„გამცნებ თქუენ, ძმანო, სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა განშორებად თქუენდა ყოვლისაგე მისგან ძმისა, რომელი უწესოდ ვიდოდის, და არა მოძღურებისა მისებრ, რომელი ისწავა ჩუენგან"***, – აქ წარმოდგენილია ქრისტიანული კეთილწესიერების ზოგადი კანონი: ქრისტიანები ყველა საქციელისას მოციქულთა გადმოცემით უნდა ხელმძღვა-

ნელობდნენ და ამ გადმოცემის უარმყოფელებთან ურთიერთობა არ უნდა იქონიონ. ამ სიტყვებში კონკრეტულ მოვლენაზე მინიშნებაც შეიძლება დავინახოთ, რომელსაც მოციქული მე-11 მუხლში ამხელს: ***„მესმის ვიეთთჳსმე, რომელნი იქცევიან თქუენ შორის უწესოდ, არარას იქმან, არამედ მიმოიწულილვენ“.*** ასეთ პირთა სამხილებლად მოციქულს მაგალითად თავისი თავი მოჰყავს და თესალონიკელებს შეახსენებს, რომ მათთან ყოფნისას ***„არცაღა ცუდად პური ვისგანმე ვჭამეთ, არამედ შრომითა და რუდუნებითა ღამე და დღე ვიქმოდეთ“*** (მუხ. 8). იმდენად წმინდა იყო მოციქულის სინდისი, რომ მას შეეძლო თავისი თავი, თავისი საქციელი და ცხოვრების წესი თესალონიკელებისთვის ნიმუშად დაესახა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოციქული მიიჩნევდა, თითქოს, მას უფლება არ ჰქონდა, რომ თესალონიკელთაგან, რომლებსაც ღვთის სიტყვას უქადაგებდა, აუცილებელი საყოფაცხოვრებო დახმარება მიეღო. თვით ქრისტე მაცხოვრის მცნების თანახმად: ***„ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თჳსისა“*** (ლუკ. 10, 7). მას სრული უფლება ჰქონდა, რომ ასეთი შემწეობა მიეღო, მაგრამ იმ დელიკატური და მამა-შვილური გრძნობებიდან გამომდინარე, რასაც წმინდა მოციქული თესალონიკელთა მიმართ განიცდიდა, მას არ სურდა, რომ ისინი რაიმეთი, თუნდაც მცირედით, დაეტვირთა. ან შესაძლოა, იცოდა რა თესალონიკელთა მიდრეკილება ბიწიერებისაკენ, საჭიროდ ჩათვალა, რომ საკუთარი მაგალითით ეჩვენებინა უანგარობა და შრომისმოყვარეობა. ამიტომაც ეუბნება მათ: ***„არათუ რამეთუ არა გუაქუს ჴელმწიფებაᲲ*** (მოვითხოვოთ თქვენგან), ***არამედ რაᲲთა თავნი თჳსნი სახედ მიგცნეთ თქუენ, რაᲲთა მბაძვიდეთ ჩუენ“*** (მუხ. 9). მოცემულ შემთხვევაში, პავლე მოციქული ეკლესიის ყველა მწყემსისთვის საუკუნო მაგალითს იძლევა, კერძოდ, როგორი სიფრთხილითა და კეთილგონიერებით უნდა მი-

უდგნენ სამწყსოსგან შემოწირულობის საკითხს. აღსანიშნავია ამის შემდგომი სიტყვები: ***„ვისმე არა უნებს საქმის, ნუცა ჭამნ“.*** ამ გამოთქმას სოციალისტები და, უფრო მეტად, კომუნისტები იყენებდნენ საკუთრ იდეოლოგიაში; მას თავისებურ განმარტებას აძლევდნენ და იმ ადამიანებს არსებობის უფლებას ართმევდნენ, რომლებიც, მათი აზრით, მუქთახორობდნენ, თუნდაც მათ ეშრომათ, მაგრამ არა ისე, როგორც მათგან ითხოვდნენ. სინამდვილეში კი აღნიშნული სიტყვები გულისხმობს, რომ შრომა, როგორც საარსებო წყარო, ყველასთვის სავალდებულოა, – ცოდვით დაცემული პირველი ადამიანებისათვის ღვთის მიერ განწესებული სასჯელის თანახმად (**შესაქ. 3, 19**). თუმცა შრომა შესაძლოა, სხვადასხვაგვარი იყოს: ფიზიკური, გონებრივი ან სულიერი. მოციქულის ნათქვამის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ვინც უშრომლად ჭამს, ის სინდისზე ძალადობით ჭამს, ცოდვით. მოციქული ქველმოქმედებას კი არ კრძალავს, არამედ სურს, მუქთახორების სინდისი გააღვიძოს. მე-11–მე-12 მუხლებში მოციქული პირდაპირ ამხელს ასეთ უსაქმურებს. მათ „უწესოდ მოსიარულეთ“ უწოდებს და შეაგონებს, რომ ***„მყუდროებით შურებოდინ და თჳსსა პურსა ჭამდენ“.*** აქ მცნებად გვეძლევა „თავმდაბალი, განმარტოებითი, შრომისმოყვარე ცხოვრება, საწინააღმდეგოდ უქმად სიარულისა და დროის უაზრო მოკვლისა“ *(ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული).* დასასრულ, პავლე მოციქული შეაგონებს, რომ უწესოთაგან თავი შორს დაიჭირონ მათი გონზე მოყვანისა და გამოსწორების მიზნით და გადასცემს მათ მისთვის ჩვეულ მოკითხვას, როგორც თავისი ეპისტოლეს ნამდვილობის ნიშანს, განსხვავებით ყალბისაგან.

პირველი ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ

ცნობები წმინდა ტიმოთეს შესახებ. წმინდა ტიმოთე წმინდა პავლე მოციქულის უსაყვარლესი და დაუღალავი თანაშემწე იყო (**რომ. 16, 21**). თავის ბევრ ეპისტოლეში წმინდა პავლე მას დიდად აქებს. იგი მცირე აზიის ლუკაონის მხარის ქალაქ ლუსტრაში დაიბადა. ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ გახდა წმინდა ტიმოთე პავლე მოციქულის მოწაფე, ჩვენ მოციქულთა საქმეთა წიგნში ვხვდებით. ქალაქ ლუსტრას პავლე მოციქული თავისი პირველი სამოციქულო მოგზაურობისას ეწვია. მან იქ, ბარნაბა მოციქულთან ერთად, დაბადებიდან კოჭლი განკურნა და სასწაულით განცვიფრებულმა წარმართებმა ის ღვთაება მერკურად მიიჩნიეს, ბარნაბა კი – ზევსად და მათთვის მსხვერპლის შეწირვას აპირებდნენ. როცა მოციქულებმა დაარწმუნეს, რომ თავად კი არ არიან ღმერთები, არამედ – ჭეშმარიტი ღმერთის მიერ წარგზავნილები იმისათვის, რომ ადამიანები ცრუსწავლებას განარიდონ და ჭეშმარიტთან მიიყვანონ და ამასთანავე, აუხსნეს, თუ რაში მდგომარეობს ეს ჭეშმარიტი სარწმუნოება, – მრავალმა მათგანმა ძველი წარმართული სიბილწე დაუტევა და ქრისტეს სარწმუნოებისკენ მოექცა. გადმოცემის თანახმად, მოქცეულთა რიცხვში იყვნენ ტიმოთეს ბებია ლუდია და დედა – ევნიკა. სავარაუდოდ, ისინი იუდეველები იყვნენ და ქრისტიანობაზე მოქცევამდეც ცდილობდნენ ტიმოთესთვის ჭეშმარიტი ღვთის შიში ჩაენერგათ და მისთვის ძველაღთქმისეული საღვთო რჯული ესწავლებინათ, რაც კარგად ჩანს ტიმოთეს მიმართ პავლე მოციქულის სიტყვებიდან: ***„რამეთუ სიყრმითგან საღმრთონი წიგნნი იცნი, რომელნი შემძლებელ არიან განბრძნობად შენდა***

ცხორებისათჳს სარწმუნოებითა ქრისტე იესუჲსითა" (2 ტიმ. 3, 15). თვით პავლეს სიტყვებიდანაც ვხედავთ, რომ კეთილმორწმუნე დედაკაცის – ლუდიასა და დედა ევნიკასგან სარწმუნოება ტიმოთესაც გადაეცა **(2 ტიმ. 1, 5;** იხ. **საქმ. 14, 6-19).** როდესაც პავლე მოციქული თავისი მეორე სამოციქულო მოგზაურობისას კვლავ ჩავიდა ლისტრაში, ძმებმა იქ და მეზობელ ქალაქ იკონიაში მას ტიმოთეს სარწმუნოება და კეთილმსახურება დაუმოწმეს **(საქმ. 16, 1, 2).** წმინდა პავლემ მასში თავისი მომავალი გულმოდგინე თანამუშაკი განჭვრიტა და თავისთან მისი წაყვანა გადაწყვიტა. რამდენადაც ტიმოთეს მამა წინადაუცვეთელი ელინი იყო, მოციქულმა პავლემ, რომელიც თავის წესს მისდევდა, რათა *„ყოველთა ვექმენ ყოვლად"* (1 კორინ. 9, 20-22), იგი ლისტრადან წასვლის წინ წინადაცვითა *„ჰურიათა მათთჳს, რომელნი იყვნეს მათ ადგილთა"* (საქმ. 16, 3). ეს იმიტომ იყო აუცილებელი, რომ ტიმოთეს იუდეველთა საზოგადოებაში თავისუფლად ემოქმედა, რადგან იმათ წინადაუცვეთელებთან ურთიერთობა არ სურდათ და მის ქადაგებულ სიტყვას არ შეისმენდნენ; არც სინაგოგაში შეუშვებდნენ, საიდანაც წმინდა პავლე ქრისტეზე ქადაგებებს იწყებდა ხოლმე. წმინდა ტიმოთეს ღვაწლზე განსაკუთრებულ მონათხრობს მოციქულთა საქმეთა წიგნში ვერ ვპოულობთ, – მისი ისტორია პავლე მოციქულის სამქადაგებლო ღვაწლის ისტორიას ერწყმის. სადაც პავლე მოციქული მოღვაწეობდა, თითქმის ყოველთვის იქვე იყო ტიმოთეც, უშუალოდ ეხმარებოდა მას ან მის დავალებებს ასრულებდა სხვადასხვა ქალაქსა და ახალდაარსებულ ეკლესიებში. წმინდა პავლეს ზოგიერთი ეპისტოლეს ზედწარწერიდან ჩანს, რომ წმინდა ტიმოთე მასთან რომში იმყოფებოდა მისი პირველი პატიმრობის დროს. ამის შემდეგ, მალე პავლე მოციქულმა ტიმოთე ეფესოს ეპისკო-

პოსად დაადგინა. შემდგომ მან ორჯერ მისწერა ტიმოთეს, არიგებდა და ახალ საპასუხისმგებლო სამწყემსო საქმიანობაში მითითებებს აძლევდა. ამ ეპისტოლეთაგან მეორე უკვე რომში თავისი მეორე პატიმრობის დროს დაწერა, მოწამეობრივ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე. წმინდა ტიმოთე მოციქულს რომში მისივე თხოვნით ეწვია, შემდეგ ეფესოში დაბრუნდა და იქაურ ეკლესიას მოწამეობრივ სიკვდილამდე მართავდა. იგი, აგრეთვე, წმინდა მოციქულ იოანე ღვთისმეტყველის ხელმძღვანელობითაც მოღვაწეობდა, რომელიც იმ დროს ეფესოში ცხოვრობდა და იქიდან მართავდა ყველა ასიელი მოძღვრის საქმიანობას. კუნძულ პატმოსზე წმინდა იოანეს გადასახლების პერიოდში მცირე აზიის ყველა ეკლესიის ხელმძღვანელობა მის ნაცვლად ტიმოთემ იტვირთა.

ეპისტოლეს დაწერის მიზეზი, დრო და ადგილი. წმინდა ტიმოთეს პავლე მოციქულმა ეპისკოპოსად ხელნი დაასხა ქალაქ ეფესოში, თავისი მეოთხე სამოციქულო მოგზაურობისას. რომში წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში პატიმრობაში ყოფნისას პავლე მოციქულს სულით და გულით სურდა სულიერ შვილთა ნახვა მის მიერ დაარსებულ საქრისტიანო თემებში **(ფილიპ. 2, 19, 23-24).** ამიტომ გათავისუფლების შემდეგ მან გარკვეული დროით გადადო ესპანეთში გამგზავრება და ნაცვლად ამისა მცირე აზიაში გაემგზავრა, რის შესახებაც ცნობას ვპოულობთ ტიმოთეს მიმართ მეორე ეპისტოლეს მე-4 თავის მე-13–მე-20 მუხლებში. აქ მან 65 წელს მავნე გნოსტიკური მწვალებლობების გამოჩენა დააფიქსირა, რომელსაც ავრცელებდნენ ***„მგელნი მძიმენი, რომელნი არა ერიდებოდიან სამწყსოსა“,*** რომელთა შესახებაც ჯერ კიდევ ეფესოს ხუცესებთან დამშვიდობებისას წინასწარმეტყველებდა **(საქმ. 20, 20-30),** მის თანმხლებ

ტიმოთეს ეფესოში დარჩენა სთხოვა და დაავალა, რომ მტკიცე შეგონება მიეცა ზოგიერთებისთვის, რათა მათ უცხო რამ არ ესწავლებინათ და ზღაპრებით არ გატაცებულიყვნენ. სურდა რა ტიმოთეს უფრო მჭიდრო დაკავშირება ეფესოსთან, რომლის მოქცევაც „წარმართთა დიდი მოციქულის“ სამწლიანი თავდაუზოგავი შრომის შედეგი იყო **(საქმ. 19, 1-10),** პავლე მოციქულმა იგი ეფესოს ეპისკოპოსად დაადგინა, – მიუხედავად მისი შედარებით ახალგაზრდული ასაკისა (30-35 წელი); თვითონ კი მაკედონიაში გაემგზავრა, საითაც დაუოკებლად მიისწრაფვოდა მისი მამობრივი გული. მაკედონიაში ყოფნისას მოციქულამდე მიაღწია ხმებმა, რომ ეფესოში ცრუსწავლება გაძლიერებულიყო. წმინდა ტიმოთე თითქმის არასდროს შორდებოდა პავლე მოციქულს, ხოლო თუ დროებით სადმე მისი დავალებით მიდიოდა, ყოველთვის მოციქულის უაღრესი მეთვალყურეობითა და ხელმძღვანელობით მოქმედებდა. ახლა იგი მაღალ წოდებაზე მარტოდ დარჩა, მისდამი მამობრივად განმსჭვალულ პავლე მოციქულს კი არ შეიძლება არ დაენახა, თუ როგორ უჭირდა მას ეფესოს სამწყსოს დაცვა მასში შეჭრილი „მტაცებელი მგლებისგან“. ამიტომ დააჩქარა მისი შეწევნა ეპისტოლეთი, რომელიც მას, სავარაუდოდ, მაკედონიიდან – ფილიპედან გაუგზავნა. ამ ვარაუდის საბაბს გვაძლევს ის, რომ წმინდა პავლე ფილიპეში ჩასვლას გეგმავდა, სადაც დარჩენის მიზეზიც ჰქონდა. ეპისტოლეს დაწერის დრო არის პერიოდი პირველ და მეორე პატიმრობას შორის, ანუ პავლე მოციქულის მეოთხე მოგზაურობისას, – 63-64 წლებში.

ეპისტოლეს დაწერის მიზანი. ეპისტოლეს დაწერის მიზანი თვით პავლე მოციქულის სიტყვიდან ჩანს: ***„ამას მივსწერ შენდა და ვესავ ადრე მოსლვასა ჩემსა; ხოლო უკუეთუ***

ვყოვნო, რაჲთა უწყოდი, ვითარ-იგი ჯერ-არს სახლსა შინა ღვთისასა სლვაჲ, რომელ არს ეკლესიაჲ ღვთისა ცხოველისაჲ, სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისაჲ“ (1 ტიმ. 3, 14, 15). როცა ტიმოთეს ეფესოში ტოვებდა, წმინდა პავლემ, რა თქმა უნდა, ბევრი დარიგება დაუტოვა, მაგრამ შესაძლოა, ბევრი საჭირო რამ უთქმელი დარჩა უდროობით, ამიტომ, იმის შიშით, რომ ტიმოთე ვინმეს მისი სიჭაბუკის გამო არ უგულებელეყო (1 ტიმ. 4, 12), იგი მას სამწყემსო საქმიანობის მთელ სახელმძღვანელოს უგზავნის: *„რაჲთა ჰსაგრობდე მას შინა კეთილსა მას საგრობასა“* (1 ტიმ. 1, 18).

ეპისტოლეს შინაარსი და დაყოფა. ტიმოთეს მიმართ პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლე ექვს თავს შეიცავს. მისი შინაარსი, თავისი შემცველობით, შემდეგ ნაწილებად იყოფა:

1) დარიგებანი ტიმოთეს, როგორც სარწმუნოების დამცველს (პირველი თავი);

2) დარიგებანი მას, როგორც ეკლესიის წინამძღოლს:

ა) საეკლესიო შეკრებებთან დაკავშირებით (მე-2 თავი);

ბ) დასში ამოსარჩევ პირებთან დაკავშირებით (3, 1-13).

3) საერთო დარიგებანი მაღალი სამწყემსმთავრო მსახურების სათანადოდ გავლისათვის:

ა) ქრისტიანული სწავლების ძირითად ჭეშმარიტებათა შესახებ (3, 14-16);

ბ) მწყემსმთავრული მოძღვრობის წესები სიტყვით და ცხოვრებით (4, 1-16).

4) დარიგებანი სამწყსოს განსწავლისა და ხელმძღვანელობისათვის, სხვადასხვაგვარი მდგომარეობის პირობებში (5-6, 19);

5) დასკვნითი შეგონება პირადად ტიმოთეს (6, 20, 21).

ეპისტოლეს ეგზეგეტიკური გარჩევა. ეპისტოლე ჩვეული ზედწარწერით იწყება: ***„პავლე, მოციქული იესუ ქრისტესი, ბრძანებითა ღვთისა და მაცხოვრისა ჩუენისაჲთა, და უფლისა იესუ ქრისტეს – სასოებისა ჩუენისაჲთა“,*** – აქ წმინდა პავლე თავის თავს მოციქულს უწოდებს, რათა საზეიმოდ დაამოწმოს იმის ავტორიტეტულობა, რასაც ტიმოთეს, სარწმუნოებაში თავის ჭეშმარიტ შვილს, სწერს, რომელიც მან სულიერად შვა. ამ სიტყვებით იგი ტიმოთეს აქებს და სურს გამოთქვას, რომ იგი სარწმუნოებით მისთვის იგივეა, რაც შვილი – მამისთვის.

პირველი თავი შეიცავს ტიმოთეს, – როგორც სარწმუნოების დამცველის მიმართ, – შეგონებებს. მოციქული მას ასწავლის, რომ შეაგონოს ქრისტიანებს არ დაკავდნენ ისეთი საკითხებით, რომლებიც დავას იწვევს და უქმსიტყვაობამდე მივყავართ (მუხ. 3-7). მან საღვთო რჯულის მნიშვნელობა უნდა განმარტოს, რომელიც მართალთათვის კი არა, ურჯულოთა (მცოდველთა) და დაუმორჩილებლებისათვის არის დადგენილი და გააცხადოს, რომ ჭეშმარიტი მართლობა იესო ქრისტეს რწმენით მიიღწევა, რომელიც ამქვეყნად ცოდვილთა გამოსახსნელად მოვიდა, რომელთა შორის პირველად, პავლე მოციქული თავის თავს მიიჩნევს როგორც წინათ ქრისტეს სარწმუნოების მდევნელი და მაგინებელი; ახლა კი ცოდვილთა შეწყალებისა და გამართლების თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენდა (მუხ. 8-17).

„რომელთაჲ პირველი მე ვარ“ (მუხ. 15), – ამასთან დაკავშირებით *ნეტარი თეოდორიტე* წერს, რომ „როდესაც მოციქული თავის თავს ცოდვილთაგან პირველს უწოდებს, სიმდაბლის ზღვარს გადადის“. „ამით მოციქული ყველა მონანულისთვის ნამდვილი მაგალითია“ *(ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული).* აი, რატომ შედის ეს სიტყვები ზიარებისწინა

ლოცვებში. თავისი უკიდურესი ცოდვილობის ასეთი მდაბალი შეგნება თითოეული ჭეშმარიტი ქრისტიანის განმასხვავებელი ნიშანია. დასასრულ, პავლე მოციქული ღმერთს ადიდებს (მუხ. 17); შეაგონებს ტიმოთეს, რომ სარწმუნოების საკითხებისადმი გულგრილი არ იყოს, პირიქით – სარწმუნოებაში გამოიჩინოს მოშურნეობა და მხნეობა, მსგავსად ახოვანი და მედგარი მეომრისა მტერთა წინააღმდეგ, და იქონიოს რწმენა და კეთილი გონება. „მწყემსებშიც და დამწყსილებშიც მთავარი სარწმუნოება და კეთილსინდისიერებაა“ *(ეპისკოპოსი თეოფანე).* როგორც სარწმუნოებისა და კეთილსინდისიერების ღალატის შემაშფოთებელ მაგალითს, პავლე მოციქული ვიმენეოსსა და ალექსანდროსზე მუთითებს ***„რომელნი-იგი მივსცენ ეშმაკსა, რაჲთა განისწავლნენ არა-გმობად“*** (მუხ. 18-20). აქ პავლე მოციქულს ეს სასჯელი პირველად არ გამოუყენებია – კორინთოში მსგავსადვე დასაჯა სისხლის აღმრევი **(1 კორ. 5, 5).** *წმინდა იოანე ოქროპირის* მოსაზრებით, ეს სასჯელი უპირველესად მდგომარეობდა მცოდველის მორწმუნეთა თემიდან განკვეთაში, რის შემდეგაც ის უკვე სატანის ხელმწიფებაში გადადიოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბრალეულნი ამის შედეგად გარკვეულ ხილულ სასჯელსაც იღებდნენ: ან ავად ხდებოდნენ, ან გონებიდან გადადიოდნენ.

მეორე თავში მოცემული შეგონებები ტიმოთეს მიემართება უკვე როგორც ეკლესიის წინამძღოლს. უპირველესად, ეს ეხება საეკლესიო შეკრების საკითხს. მოციქული ასწავლის, რომ საეკლესიო შეკრებებზე, პირველ ყოვლისა, უნდა აღვასრულებდეთ ***„ვედრებასა, ლოცვასა, თაყუანის-ცემასა და მადლობასა ყოველთა კაცთათჳს, მეფეთათჳს და ყოველთა მთავართა, რაჲთა მშჳდობით და მყუდროებით ვცხონდებოდით ყოვლითა ღვთის მსახურებითა და სიწმიდითა“*** (მუხ. 1, 2).

წმინდა იოანე ოქროპირის თქმით, „მღვდელი თითქოსდა მთელი სამყაროს საერთო მამაა, ამიტომ მას მართებს, სათანადოდ იზრუნოს ყველაზე, მსგავსად იმისა, როგორც ღმერთი ზრუნავს ყოველთა სასარგებლოდ“. ამიტომ მოციქული მცნებად იძლევა უკლებლივ ყველასთვის ლოცვას, – არამხოლოდ ეკლესიის წევრთათვის, არამედ „გარეშეთათვისაც“, ანუ იმათთვისაც, ვინც ეკლესიის წევრი არ არის. განსაკუთრებით კი გვმართებს მეფეთა და სახელმწიფო ხელისუფალთათვის ლოცვა, რათა მთელი მათი საქმიანობა მათი ქვეშევრდომების სასიკეთოდ იყოს მიმართული, და არამხოლოდ გარეგნული, არამედ შინაგანი სიკეთისკენ – ***„ღვთის მსახურებითა და სიწმიდითა“*** (მუხ. 2), – ***„რამეთუ ესე არს კეთილ და სათნო წინაშე მაცხოვრისა ჩუენისა ღვთისა, რომელსა ყოველთა კაცთაჲ ჰნებავს ცხორებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ“*** (მუხ. 3, 4). ცხადია, რომ ეს უნდა იყოს ლოცვა „ყოველთა ცხონებისათვის“, ამიტომ იგი სათნოა ღმერთისთვის, რომელსაც თითოეული ადამიანის ცხონება სურს. ამ სიტყვების დოგმატური მნიშვნელობა ის არის, რომ ამით რეფორმატორთა ცრუსწავლება უკუიგდება, რომელიც ღმერთის უპირობო წინაგანგებულებას ასწავლის, კაცთა ნებისგან დამოუკიდებლად, თითქოსდა, რატომ უნდა ვილოცოთ იმათთვის, ვინც წინასწარ არის საუკუნო წარწყმედისათვის განწირული?

„რამეთუ ერთ არს ღმერთი და ერთ არს შუა-მდგომელ ღვთისა და კაცთაჲ, კაცი იესუ ქრისტე, რომელმან მისცა თავი თჳსი საჴსრად ყოველთა“ (მუხ. 5, 6), – ეს არის იმის დასამოწმებლად ნათქვამი, რომ უკლებლივ ყველა ადამიანი არის საცხონებლად მოწოდებული და ამისთვის ერთი შუამდგომელია ღვთის წინაშე – კაცი იესო ქრისტე, თავისი გამომსყიდველობითი მსხვერპლით. აქ ქრისტეს მხოლოდ

„კაცი“ ეწოდება იმის გამო, რომ ხაზი გაესვას იმას, რომ იგი ჩვენს შუამდგომლად თავისი განკაცების გზით იქცა როგორც ჭეშმარიტი ადამიანი. ამ სიტყვებით ჩვენთვის წმინდანთა ლოცვითი შუამდგომლობა არ გამოირიცხება, როგორც ამის დამტკიცებას სექტანტები ცდილობენ. ქრისტე აქ ერთი შუამდგომელია იმ აზრით, რომ მხოლოდ მან გაიღო ჩვენთვის გამომსყიდველობითი მსხვერპლი ჯვარზე, მაგრამ ამით არანაირად არ უქმდება იმ ადამიანთა ლოცვითი შუამდგომლობა, ვინც ცხონებას მიაღწია და ვისაც სურს, ლოცვით დაგვეხმაროს იმავე მიზნის მიღწევაში. ***„საწამებელად ყამთა თჳსთა“*** (მუხ. 6), – მოწმობს, რომ გამომსყიდველი მესიის ვნების შესახებ ჯერ კიდევ ძველ წინასწარმეტყველებებში იყო ნათქვამი: ***„რომლისათჳს დადგინებულ ვარ მე ქადაგად“*** (მუხ. 7), ესე იგი, ამ მოწმობის საქადაგებლად ვარ დადგინებულიო.

შემდეგ, მოციქული იმის შესახებ საუბრობს, თუ ვინ სად და როგორ უნდა აღასრულოს საერთო ლოცვა საეკლესიო შესაკრებელში. ***„მნებავს უკუე ლოცვაჲ მამათაჲ ყოველსა ადგილსა აპყრობად წმიდად ჴელთა თჳნიერ რისხვისა და გულის ზრახვისა“*** (მუხ. 8), – საეკლესიო ღვთისმსახურება მამაკაცებმა – ეკლესიის წინამძღოლებმა უნდა აღასრულონ, დედაკაცები კი არც ღვთისმსახურებას ასრულებენ და არც სამოძღვრო სიტყვით გამოდიან სამლოცველო შესაკრებლებში. ამის შესახებ წმინდა პავლე პირდაპირ წერდა კორინთოელებს: ***„დედანი თქუენნი ეკლესიასა შინა დუმნედ,... რამეთუ საძაგელ არს დედათაჲ ეკლესიასა შინა ზრახვად“*** (1 კორინ. 14, 34, 35).

როგორც „მოციქულთა საქმეთა“ წიგნიდან ჩანს (14, 23), პავლე მოციქული მის მიერ დაარსებულ ყველა ეკლესიაში საეკლესიო დასს ადგენდა და ხუცესთა ხელდასხმებს აღას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულებდა. 1 კორინ. 14, 10-ში იგი მცნებად იძლევა, რომ ეკლესიებში ყოველივე კეთილად და წესისამებრ აღესრულოს. ამიტომ, უეჭველია, რომ „მამებში“ ეკლესიის წინამძღვრები იგულისხმებიან. ეს ლოცვები, ანუ ღვთისმსახურება შეიძლება „ყოველ ადგილას“ აღესრულებოდეს და არამხოლოდ იერუსალიმის ტაძარში, როგორც ძველ აღთქმაში იყო დაწესებული. ასე ახდა სამარიტელი დედაკაცისათვის ნათქვამი წინასწარმეტყველება უფლისა იმის თაობაზე, რომ ***„მოვალს ჟამი, ოდეს არცა ამას მთასა, არცა იერუსალჷმს თაყუანის-სცემდეთ მამასა“*** (იოან. 4, 21). ეს ნიშნავს, რომ ქრისტიანული ღვთისმსახურება ერთ რომელიმე კონკრეტულ ადგილას არ იქნება მიჯაჭვული, როგორც ეს მალაქია წინასწარმეტყველმა განჭვრიტა: ***„ყოველსა ადგილსა საკუმეველი მოერთუმის სახელსა ჩემსა და მსჯუერპლი წმიდაჲ“*** (1, 1). თუ როგორ უნდა აღესრულებოდეს ეს ლოცვები ანუ ქრისტიანული ღვთისმსახურება, ამას გამოხატავს შემდეგი სიტყვები: ***„აპყრობად წმიდად ჴელთა“***, ანუ ლოცვით ხელაღპყრობას უნდა შეესაბამებოდეს ამაღლებული სულიერი განწყობაც – ***„წმიდად ჴელთა“***, ანუ ბიწიერებით შეუბღალავი წმინდა სინდისი და მოყვასის წინააღმდეგ ბოროტ გრძნობათა და ეჭვთა გაფანტვა – ***„თჳნიერ რისხვისა და გულის ზრახვისა“***.

შემდეგ, მოციქული დედაკაცებს არიგებს, როგორ უნდა იქცეოდნენ საეკლესიო შესაკრებელში: ***„ეგრეთვე დედათაჲ წესიერებისა სამკაულითა მორცხუად და ღირსებით შემკობად თავთა თჳსთა, არა განთხზვითა, ანუ ოქროჲთა ანუ მარგალიტითა ანუ სამოსლითა დიდფასისაჲთა, არამედ, რომელი-იგი ჰშუენის დედათა, რომელთა აღეთქუას ღვთის მსახურებაჲ საქმეთა მიერ კეთილთა*** (მუხ. 9, 10), – ეს ნიშნავს, რომ სალოცავ შესაკრებლებში დედაკაცები უნდა მიდ-

იოდნენ უბრალოდ შემოსილნი; ფიქრობდნენ არა გარეგნულ სამკაულებზე, არამედ შინაგან კეთილ საქმეებზე. ***„დედაკაცი მდუმრიად ისწავებდინ ყოვლითა დამორჩილებითა. მოძღურებად დედათა არა უბრძანებ, არცა მთავრობად ქმრისა, არამედ რაჲთა იყოს იგი მყუდროებით*** (მუხ. 11, 12), – აქ დედაკაცებს ეკრძალებათ ეკლესიაში მასწავლებლობა, ესე იგი, საზოგადო ლოცვით შესაკრებლებში სწავლების წარმოთქმა, რამეთუ ასეთი მასწავლებლობა ქმარზე ხელმწიფობის ტოლფასი იქნებოდა, მაშინ, როცა ღვთის სიტყვა ქალს ქმრის მორჩილებას უწესებს. თუმცა, ეკლესიის გარეთ დედაკაცის მასწავლებლობა არ უქმდება. „ასე, პრისკილა აკვილასთან ერთად, ჯანსაღი სწავლებით მოძღვრავდა აპოლოსს, – ამბობს *ნეტარი თეოდორიტე,* – ამიტომ ქალს არ ეკრძალება ურწმუნო ქმრის დამოძღვრა“; „ხოლო ბავშვების დამოძღვრა, საერთოდ მათ ევალებათ“ *(ეკუმენოსი).* ის, რომ დედაკაცი მამაკაცს უნდა ემორჩილებოდეს და პირველობაზე პრეტენზია არ ჰქონდეს, მოციქულს პირველადამიანთა შექმნიდან და მათი ცოდვითდაცემისგან გამოჰყავს: შემოქმედმა პირველად ადამი შექმნა და მერე ევა, ხოლო პირველად ადამმა კი არ სცოდა, არამედ – ევამ, მისმა ცოლმა. ჯერ კიდევ შესაქმის წიგნშია ნათქვამი (2, 18, 20, 22), რომ ქალი მამაკაცის დამხმარედ არის შექმნილი, ხოლო თანაშემწე, თავისთავად, მეორეხარისხოვან მდგომარეობას იკავებს იმ პირის შემდგომ, რომლის თანაშემწედაც იგი დადგენილია. იქიდან, რომ დედაკაცმა პირველმა შესცოდა, მოციქული ასკვნის, რომ ის ცოდვისკენ ძლიერ მიდრეკილია და, შესაბამისად, მმართველობის უნარი არ გააჩნია. რა თქმა უნდა, აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მოციქული აქ ცალკეულ ქალებსა და კაცებს კი არ გულისხმობს, რომელთა შორის შეიძლება გამონაკლისი იყოს, არამედ, ზოგადად ქალის და კაცის სქესს.

„არამედ ცხონდების შვილთა სხმისაგან, უკუეთუ ეგნენ სარწმუნოებით და სიყუარულით და სიწმიდით ღირსებასა ზედა“ (მუხ.15), – ცხადია, აქ საუბარი იმაზე არ არის, რომ თვით შვილთა სხმის ფიზიკური პროცესი ქალს ცხონებაში შეეწევა, არამედ იმაზე, რომ ქალის ცხონება და შესაბამისად, მისი ცხოვრებისეული მოწოდება – დედობაში და შვილების აღზრდაშია. „ამის გამო მათ არა მცირე, არამედ დიდი ჯილდო მოელით – ამბობს *წმინდა იოანე ოქროპირი*, – თუკი, რა თქმა უნდა, მათ ქრისტეს მხედრები აღზარდეს“. *ნეტარი თეოფილაქტეს* სიტყვებით: „არა მხოლოდ შობა, არამედ აღზრდაა მთავარი, – სწორედ ეს არის ჭეშმარიტი შვილთა სხმა, სხვაგვარად შვილთა სხმა კი არა, შვილთა ხრწნაა“. ამრიგად, დედაკაცი ცხონდება, თუკი შვილთა სხმით ქრისტეს სამეუფეოს გავრცელებას და განმტკიცებას შეუწყობს ხელს და ქრისტეს ჭეშმარიტ შვილებსა და მხედრებს აღუზრდის.

მესამე თავი იმ პირთა შესახებ საუბრობს, ვინც დასში ირჩევიან. უკანასკნელი მუხლები კი ქრისტიანული სარწმუნოების ძირითად ჭეშმარიტებებს გადმოსცემს. ***„უკუეთუ ვისმე ეპისკოპოსობის უნდეს“***, – აქ „ეპისკოპოსობაში“ ხუცესობაც იგულისხმება, – ***„კეთილისა საქმესა გული ეტყვს. ჯერ-არს ეპისკოპოსისაჲ, რაჲთა უბრალო იყოს, ერთის ცოლის ქმარ, ფრთხილ, წმიდა, შემკულ, სტუმართ მოყუარე, სწავლულ“.*** ამ ადგილის განმარტებისას ყურადღება უნდა მივაპყროთ იმას, რომ იმ მოთხოვნების ჩამოყალიბების შემდეგ, რასაც ეპისკოპოსი უნდა აკმაყოფილებდეს, მოციქული მაშინვე „დიაკვნებზე“ გადადის და მღვდლობის მეორე ხარისხზე – ხუცესებზე არაფერს ამბობს.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ მოციქულთა დროს მღვდლობის ამ ორი უმაღლესი ხარისხის მკაცრი გამიჯვნა ჯერ

არ არსებობდა, ამიტომაც „ეპისკოპოსები“, ანუ „მცველები“, სამწყსოს „დაცვის“ თანამდებობის მიხედვით, ხუცესებსაც ეწოდებოდათ **(საქმ. 20, 17-28; ფილიპ. 1, 1).** კითხვაზე, თუ ეპისკოპოსობაში რას გულისხმობს მოციქული, *ნეტარი თეოდორიტე* ასე პასუხობს: „მაშინ ერთსა და იმავე პირებს უწოდებდნენ ხუცესებსაც და ეპისკოპოსებსაც..., მაგრამ აშკარაა, რომ ეპისკოპოსებს პირველებს ავალიათ ამ კანონების დაცვა, როგორც უფრო დიდი პატივის მქონეთ“.

რატომ სურს კეთილი საქმე ეპისკოპოსობის მსურველს? აქ, რა თქმა უნდა, ხარისხთან დაკავშირებული პატივისადმი სწრაფვა არ იგულისხმება, არამედ ეკლესიის მსახურების მოშურნე სურვილი ახლობელთა საკეთილდღეოდ, მათი ცხონებისათვის შრომა. რაც შეეხება მოთხოვნას ეპისკოპოსისთვის, რომ მხოლოდ ერთი ცოლი ჰყავდეს, ეს მოთხოვნა იმას კი არ ნიშნავს, რომ ეპისკოპოსობის კანდიდატს „ერთდროულად ორი ცოლი არ ჰყავდეს, რამეთუ ეს ყველა ქრისტიანს ეკრძალება, არამედ, ერთხელ იყოს დაქორწინებული. ხოლო, ვინც მეორედ არის დაქორწინებული, ეპისკოპოსად არ უნდა დაადგინონ“ *(ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული).* ქრისტიანული ეკლესია, მართალია, ძველთაგანვე იძლეოდა მეორედ ქორწინების უფლებას, მაგარამ მის მიმართ არასდროს ყოფილა კეთილგანწყობილი და მეორედ ქორწინებას ყოველთვის პატიოსან ქვრივობას ამჯობინებდა. ამასთან დაკავშირებით *ამბროსიასტე* წერს: „თუმცაღა მეორედ ქორწინება აკრძალული არ არის, მაგრამ ეპისკოპოსობის ღირსმა პირმა იმისგანაც უნდა შეიკავოს თავი, რაც სხვებისთვის ნებადართულია, – მისი ხარისხის სიმაღლის გამო. მისი მსურველი ყველა დანარჩენზე მაღლა უნდა იდგეს“. *ნეტარი თეოფილაქტე* ამატებს: „როცა ამას ამბობს, მოციქული არ აკანონებს, რომ ეპისკოპოსი აუცილებლად დაქორწინებული უნდა იყოს. როგორ უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეკანონებინა ეს ამის მთქმელს: ***„მნებავს ყოვლისა კაცისა ყოფად, ვითარცა თავი ჩემი“*** (1 კორინ. 7, 7)? ამჟამად ეს სამოციქულო კანონი ისე სრულდება, რომ ერთ ქორწინებაში მყოფნი მხოლოდ ხუცესებად დაიშვებიან, ეპისკოპოსებად კი შეიძლება დადგინდნენ უქორწინებელი ქალწულები ან პირველი ქორწინების შემდეგ დაქვრივებულნი. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში უცოლობა ეპისკოპოსებისთვის უპირობოდ აუცილებელი არ იყო, იმიტომ რომ იმ პეროდში მოქცეულ იუდეველთა და წარმართთა შორის ძნელად საპოვნელი იყო ისეთი კაცი, ვინც მკაცრ ქალწულებრივ ცხოვრებას ატარებდა. აი, რას ამბობს *ნეტარი თეოდორიტე:* „წარმართები ქალწულებაში არ იწვრთნებოდნენ, ხოლო იუდეველები საერთოდ არ უშვებდნენ ამას, რადგან ნაყოფიერებას ღვთის კურთხევად მიიჩნევდნენ“. მაგრამ, როცა ქრისტეს ეკლესია გაიზარდა და გავრცელდა, ქალწულთა რიცხვიც გამრავლდა, ანუ ისეთ პირთა, რომელნიც ცათა სასუფევლის მიღწევისთვის ქორწინებაზე უარს ამბობდნენ **(მათ. 19, 11, 12).** მაშინ დაიწყეს ეპისკოპოსების გამორჩევა უპირატესად ქალწულთა რიცხვიდან, რაც საბოლოოდ VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ თავისი მე-12 კანონით დააკანონა.

შემდეგი მოთხოვნა, რომელიც ეპისკოპოსობის კანდიდატს წარედგინება, უპირველეს ყოვლისა, არის ის, რომ იგი კეთილსინდისიერი თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს, როგორც შინაგანად (იყოს ფხიზელი, წმინდა, პატიოსანი, უბიწო, სტუმართმოყვარე), ისე გარეგნულად (არ იყოს მემთვრალე, მოჩხუბარი, მოდავე,... არამედ იყოს მშვიდობისმოყვარე და, ამასთან, მოძღვრის გონებრივი მონაცემებიც ჰქონდეს); მეორე – მან ეკლესიის მართვის უნარი საკუთარი სახლის წარმატებული მართვით უნდა დაამტკიცოს; მესამე – ქრისტიანობაზე ახალმოქცეული არ უნდა იყოს, რათა თავისი სწრაფი ამა-

ღლებით არ გაამპარტავნდეს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა: ***„რაჲთა წამებაჲცა კეთილი აქუნდეს გარეშეთ-გან“,*** ესე იგი, არაქრისტიანებშიც არ უნდა ჰქონდეს უპატიოსნო სახელი, რათა მათ თვალში ეკლესია არ შეიბღალოს, როგორც ზნეობრივად უღირსების ამმაღლებელი (3, 1-7).

მოთხოვნები, რომელიც დიაკვნობის კანდიდატს წაეყენება, ძალიან ჰგავს იმ მოთხოვნებს, რასაც მოციქული ეპისკოპოსობის კანდიდატებს უყენებს: ***„დიაკონნი ეგრეთვე წმიდა, ნუ ორისმეტყუელ, ნუ ღჳნოსა ფრიადსა მორჩილ, ნუ საძაგელის შემძინელ“.*** დიაკონთა თვისებების ჩამოთვლისას მოციქული არაფერს ამბობს მოძღვრობაზე, თუმცა ამატებს, რომ მათ უნდა ჰქონდეთ ***„საიდუმლოჲ იგი სარწმუნოებისაჲ წმიდითა გონებითა“,*** რაც *ნეტარი თეოფილაქტეს* განმარტებით, ნიშნავს: მართალი დოგმატის დაცვასთან ერთად, მას უბიწო ცხოვრებაც უნდა ჰქონდეს. რამეთუ სუფთა სინდისი მხოლოდ უბიწო ცხოვრების თანამდევია“. მოციქული, აგრეთვე, ითხოვს, რომ ისინი თავდაპირველად გამოიცადონ, მათგან კეთილად მსახურნი კი მაღალი ხარისხის ღირსნი გახდნენ. დიაკონთა შესახებ საუბარში, წმინდა მოციქული რამდენიმე სიტყვას ცოლების შესახებაც ურთავს: ***„ცოლნი მათნი ეგრეთვე ღირსმცა არიან, ნუ მასმენელ, ფრთხილ, მორწმუნე ყოველსა შინა“.*** ზოგი თანამედროვე განმმარტებელი მიიჩნევს, რომ აქ უბრალოდ დიაკვნების ცოლებზეა საუბარი, თუმცა ძველი განმმარტებლები *(წმინდა იოანე ოქროპირი, ნეტარი თეოდორიტე, ეკუმენოსი, ნეტარი თეოფილაქტე)* წერდნენ, რომ მოციქულის ეს სიტყვები დიაკონისებს (დედათდიაკვნებს) მიემართებათ, რომლის ინსტიტუტიც ძველ ეკლესიაში არსებობდა და მათში ის თვისებებია ჩამოთვლილი, რომლებითაც უბრალოდ დიაკვნების ცოლები კი არა, ეკლესიის მსახური დედაკაცები, ანუ დიაკონისები უნდა გამოირჩეოდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთა შესახებაც ჯერ კიდევ VI მსოფლიო საეკლესიო კრება თავის მე-14 კანონში მოიხსენიებს.

მესამე თავის ბოლოში ორი უმნიშვნელოვანესი დოგმატური ჭეშმარიტებაა მოცემული: ***1) „ეკლესიაჲ ღვთისა ცხოველისაჲ, სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისაჲ“*** (მუხ. 15), – რაც ნიშნავს, რომ „ჭეშმარიტებაში ჭეშმარიტების მასწავლებლის ერთადერთი ხელმძღვანელი წმინდა ეკლესიაა“ და 2) ***„დიდ არს ღვთის მსახურებისა საიდუმლოჲ; ღმერთი გამოჩნდა ჯორცითა“ (მუხ. 16),*** – ეს არის პირველი და მთავარი ჭეშმარიტება, რომელიც ჭეშმარიტების მასწავლებელმა უნდა იქადაგოს.

სიტყვებში: ***„ეკლესიაჲ ღვთისა ცხოველისაჲ, სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისაჲ“,*** მოცემულია მნიშვნელოვანი სწავლება ეკლესიის უცოდველობის (უცდომელობის) შესახებ, რამეთუ ეკლესია მხოლოდ ქრისტეს მორწმუნე ადამიანთა გარეგნული ხილული კრებული კი არ არის, არამედ მასთან ერთად უხილავი სულიც, ერთსულოვნებაც, სარწმუნოებაც, მოძღვრებაც, რომელიც მათ ერთმანეთთან და თითოეული მათგანის თავთან – უფალ ქრისტესთან აკავშირებს, ეკლესიის წევრი ცალკეული პირები შეიძლება სცოდავდნენ, მაგრამ მთელი ეკლესია, მთლიანობაში, არასოდეს შესცოდავს და ჭეშმარიტებას არ განუდგება. ეს ჭეშმარიტება კი გამოხატულია ეკლესიის მიერ მიღებულ დოგმატებში, უცვლელად შენახულ მოციქულთა და მამათა გადმოცემებში, საიდუმლოებებში, ღვთისმსახურებებში და ყოველივე იმაში, რაც ეკლესიის სულს შეადგენს და ძველი დროიდან გადმოეცემა შემდგომ და გვიანდელ დროებებს. ეკლესიის უცდომელობის შესახებ ეს მართლმადიდებლური სწავლება რომაელ-კათოლიკეთა და პროტესტანტთა მიერ დამახინჯებულია. რომაელ-კათოლიკები ეკლესიის უცდომელობას ერთ პირს – რომის პაპს მიაწერენ;

პროტესტანტებმა კი, რომლებმაც ეკლესიის მიერ დაცული წმინდა წერილის ავტორიტეტის აღიარება არ მოისურვეს, საერთოდ უარყვეს ეკლესიის უცდომელობის შესახებ სწავლება. ამიტომ ზემოთ მოყვანილ წმინდა წერილის ტექსტს ისინი შემდეგნაირად განმარტავენ: სიტყვების – ***„ეკლესიაჲ ღვთისა ცხოველისაჲ“***-ს შემდეგ ისინი წერტილს სვამენ და, ამდენად, მომდევნო სიტყვებს – ***„სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისაჲ“*** უკავშირებენ არა ***„ეკლესიაჲ“***-ს“, არამედ – ***„დიდ არს ღვთის მსახურებისა საიდუმლოჲ“***-ს. ამგვარად, მთელ ამ ადგილს ასეთნაირად კითხულობენ: „სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა და ღვთისმსახურების უდიდესი საიდუმლო ის არის, რომ ღმერთი ხორცით გამოჩნდა“. მაგრამ ასეთი წაკითხვა ბერძნული ტექსტისა და ძველი მამების მიერ ამ ადგილის განმარტების საწინააღმდეგოა. ეკლესიის ყველა მამა სიტყვებს: „სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა“ – ეკლესიას მიაკუთვნებდნენ. ***„აღსარებულად, დიდ არს ღვთის მსახურებისა საიდუმლოჲ; ღმერთი გამოჩნდა ჯორცითა და განმართლდა სულითა, ეჩუენა ანგელოზთა, იქადაგა წარმართთა შორის, ჰრწმენა სოფელსა და ამაღლდა დიდებითა“*** (მუხ. 16), – ამ სიტყვებით წმინდა პავლე თავის მოწაფე ტიმოთეს უჩვენებს, თუ ქრისტიანული სარწმუნოების რომელი ჭეშმარიტება უნდა დაუდოს საძირკვლად თავის ქადაგებას. *ეპისკოპოსი თეოფანე* ამბობს: „ამ ჭეშმარიტებას წმინდა ეკლესია თავისივე არსებობით ამცნებს და ადასტურებს, რამეთუ იგია შენობა, რომლის საძირკველიც უფალი ქრისტეა **(1 კორინ. 3, 11);** იგია სხეული, რომლის თავიც იგივეა – განხორციელებული სიტყვა ღვთისა. როგორც ცოცხალი სხეულის მხედველია დარწმუნებული, რომ ამ სხეულს თავიც აქვს და როგორც მტკიცე შენობის მხედველია დარწმუნებული, რომ ამ შენობას საძირკველიც აქვს, ასევე, ეკლესიის მხილველიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარწმუნებულია, რომ უეჭველად „ღმერთი გამოჩნდა ხორცით“. წმინდა პავლე თავის მოწაფე ტიმოთეს სთავაზობს, რომ ყოველი მოძღვრება ამ ჭეშმარიტებით გაზომოს და მასთან არათანახმიერი უარყოს, როგორც ქრისტიანობის საწინააღმდეგო. ***„განმართლდა სულითა“*** – ნიშნავს, რომ იესო ქრისტეზე დავანებულმა ღვთის სულმა **(მათ. 3, 16)** დაამოწმა, რომ იგი ნამდვილად განხორციელებული ძე ღვთისაა: ამაზე თვალნათლივ მეტყველებს ყველა ის დიდი საქმე, ნიშანი და სასწაული, რომელსაც იგი ღვთის სულის ძალით იქმოდა **(მათ. 12, 28)** და ის ცხოველმყოფელი სწავლება, რომელსაც იგი აზიარებდა, – იყო რა ღვთის სულით ცხებული და მისი მადლით აღვსილი **(ლუკ. 9, 18; იოან. 7, 17).**

„ეჩუენა ანგელოზთა“ – ნიშნავს, რომ ანგელოზებმაც ჩვენ მსგავსად იხილეს ძე ღვთისა, რომლის ხილვაც ადრე არ შეეძლოთ, რადგან მათთვისაც შეუძლებელია თვით ღვთის ბუნების ხილვა, როგორც ის თავისთავად არის, არამედ მხოლოდ ამ ბუნების გამოვლინების ხილვა შეუძლიათ. „ჰოი, საიდუმლო, – *ამბობს ნეტარი თეოფილაქტე,* – ჩვენთან ერთად ანგელოზებმაც იხილეს ძე ღვთისა, რომელიც წინათ არ ეხილათ. სახარება ამბობს: ***„ანგელოზნი მოვიდეს და ჰმსახურებდეს მას“*** (მათ. 4, 11), და არამხოლოდ აქ, არამედ შობიდან ამაღლებამდე ემსახურებოდნენ მას. შობისას ანგელოზები უგალობენ და მის შესახებ მწყემსებს აუწყებენ და ამაღლებისასაც ემსახურებიან“. ამაღლებისას კი ანგელოზებმა ღმერთკაცი მთელი მისი ზეციური დიდებით იხილეს **(ებრ. 1, 6; 1 პეტ. 3, 22).**

რატომ ეწოდება ***„საიდუმლოდ“*** ხორცშესხმული ღმერთის გამოჩენას? იმიტომ, რომ იგი კაცობრივი გონებისთვის მიუწვდომელია. დიდია საიდუმლო იმითაც, რომ ხორცით გამოჩენილმა ღმერთმა ***„იქადაგა წარმართთა შორის, ჰრწმენა***

სოფელსა“, რამეთუ განხორციელებული და შემდეგ ჯვარცმული ღმერთის შესახებ ქადაგება, რა თქმა უნდა, იუდეველებს საცდურად, ელინებს კი სიგიჟედ უნდა მოსჩვენებოდათ და მიუხედავად ამისა, მან მთელი მსოფლიო დაიპყრო და შეცვალა. რაც შეეხება „დიდებას“, რომლითაც განკაცებული ღმერთი „ამაღლდა“, ამის შესახებ *ეპისკოპოსი თეოფანე* ასე მსჯელობს: „თუმცაღა, თვით – „ამაღლდა“, უკვე ყოვლადდიდებულია, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ უფლის ამაღლება რაღაც განსაკუთრებული, კაცთაგან უხილავი დიდებით მოხდა, მაგრამ ანგელოზებმა იხილეს და დიდებისმეტყველებით უგალობეს“.

„ასეთია ჩვენი ღვთისმსახურების დიდი საიდუმლო, – ამბობს *ეპისკოპოსი თეოფანე,* – და მასთან ერთად განხორციელებული განგებულების ძალა, რომელიც მთელ სამყაროშია ნაუწყები, აღსარებული და საკვირველმოქმედი. ის ეკლესიის საფუძველია, რომელიც მისთვის მინდობილი საიდუმლოს ძალით ჭეშმარიტების სვეტი და სიმტკიცეა. ის ყოველი მორწმუნის ცხონების საფუძველია; მორწმუნეს სუნთქვაზე უფრო ხშირად სჭირდება მისი გახსენება“.

მეოთხე თავში წმინდა პავლე მოციქული ტიმოთეს საქმით და სიტყვით მწყემსმთავრული მოძღვრების კანონებს აძლევს და მომავალში ცრუმოძღვართა – ქრისტიანული სარწმუნოებისაგან განდგომილთა გამოჩენაზე აფრთხილებს. ***„ხოლო სული წმიდაჲ ცხადად იტყჳს, რამეთუ უკუანაჲსკნელთა ჟამთა გან-ვინმე-დგენ სარწმუნოებისაგან და ერჩდენ იგინი სულთა მათ მაცთურთა და მოძღურებასა ეშმაკთასა“.*** აქ, „უკანასკნელ ჟამთა“-ში იგულისხმება არა „უკანასკნელი ჟამი“, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, რომელიც ქვეყნის აღსასრულსა და ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ დადგება, არამედ „უკანასკნელი ჟამი“ ამ სიტყვის ფართო მნიშვნელო-

ბით, რომლითაც აქაც და სხვა ადგილებშიც კაცობრიობის არსებობის უკანასკნელი ეპოქა იგულისხმება, – ეპოქა, რომელიც დედამიწაზე ქვეყნიერების მაცხოვრის მოსვლითა და მის მიერ კაცთა მოდგმის გამომსყიდველობითი საქმის აღსრულებით დადგა (შდრ. **1 კორ. 10, 11**). ამ ცრუმოძღვართა შესახებ წმინდა პავლე მოციქული ჯერ კიდევ ეფესოელ ხუცესებს აფრთხილებდა მათთან გამოსათხოვარი საუბრისას (**საქმ. 20, 29, 30**). „მოძღურებასა ეშმაკთა"-ში ყველა ცრუ სწავლება იგულისხმება, რომელიც ჭეშმარიტი სარწმუნოების სულის საწინააღმდეგოა და ეშაკთაგან წარმოიქმნება (**2 კორ. 11, 13-15**). მაგრამ ეფესოში „ეშმაკისეული მოძღვრებანი" ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობითაც იყო, რის შესახებაც „საქმე მოციქულთა"-შია მოთხრობილი (19, 13-19).

ამ ცრუმოძღვართა გარეგნული ნიშანი თვალთმაქცობა იქნება („ორგულობა") – რაღაც განსაკუთრებული ადამიანების სახის მიღება, თითქოსდა, ისინი ყველა სიბრძნეს ჩასწვდნენ და სიწმინდით არიან შემოსილნი. მათი დამახასიათებელი ნიშანია – „საკუთარი სინდისით დაწვა" ***(„შემწუარნი თჳსითა გონებითა")***, ანუ ისეთი მდგომარეობა, თითქოს, მათი სინდისი დამწვარია ან თვითონ არიან საკუთარი სინდისით დამწვარნი. *ნეტარი თეოდორიტე* წერს: „სინდისით დამწვარნი მოციქულმა მათ იმიტომ უწოდა, რომ მათი უკიდურესი უსინდისობა ეჩვენებინა, რადგან დამწვარი ადგილი ხევდება და მგრძნობელობას კარგავს", ისინი კი მართლაც ისეთ ზნეობრივ მდგომარეობამდე მივიდნენ, რომ თითქოს სინდისი აღარ გააჩნდათ ან მისი შეგონების მიმართ ყრუნი გახდნენ. აქ გამოყენებულია ბერძნული სიტყვა, რომელიც „დამლის ამოწვას" ნიშნავს, რაც მოციქულის მიერ გამოყენებული გამოთქმის კიდევ ერთი განმარტების საბაბს იძლევა. როგორც

ახლა ცხოველებს დაღავენ, ისე ადრე გაქცეულ მონებსა და დამნაშავეებს მხრებზე და შუბლზე განსაკუთრებულ განმასხვავებელ დამღას ადებდნენ. ასევე, ეს ცრუმოძღვრები თავიანთ სინდისზე უწმინდური ცხოვრების ამომწვარ დამღებს ატარებენ (მუხ. 1, 2). შემდეგ მოციქული ცრუმოძღვრების ორ დამახასიათებელ ნიშანზე მიუთითებს, რომელიც ყველას აშკარად თვალში ხვდებოდა: ***„აყენებდენ ქორწილსა და განაშორებდენ საჭმელთა, რომელნი ღმერთმან დაჰბადნა“,*** – აქ, რა თქმა უნდა, უქორწინებლობისა და თავშეკავების ღვაწლზე არ არის საუბარი, არამედ სხეულისა და მისი მოთხოვნილებებისადმი იმ განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე, რომელსაც ეს მწვალებლები ქადაგებდნენ, და რომელთა შესახებაც წმინდა პავლე მოციქული კოლასელთა მიმართ ეპისტოლეში წერს **(კოლას. 2, 21-23).** ისინი II საუკუნეში აყვავებული გნოსტიციზმის წინამორბედნი არიან, რომელიც სხეულზე, – როგორც ადამიანში ბოროტი საწყისის ადგილსამყოფელზე, – დუალისტურ თვალსაზრისს ქადაგებდა. ამ ცრუმოძღვრების განსაკუთრებული საშიშროება იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ძე ღვთისას განკაცების შესახებ დოგმატს ძირს უთხრიდა, რადგან თუკი ადამიანის სხეული ბოროტია და ეშმაკის მიერ არის შექმნილი, – როგორც, მაგალითად, ქორწინების ამკრძალავი ენკრატიტები და, ხორცისა და ღვინის (როგორც, თითქოსდა, სატანის გამოგონილი ნივთიერების) მიღების განმკიცხავი მანიქეველები ასწავლიდნენ, – მაშინ ძე ღვთისა ნამდვილი კაცობრივი ხორცით კი არა, მხოლოდ მოჩვენებითით შეიმოსებოდა და მისი გამომსყიდველობითი ვნების მთელი მნიშვნელობა თავის ძალას დაკარგავდა (მუხ. 3). ცრუმოძღვართა საწინააღმდეგოდ, მოციქული ამბობს, რომ ***„ყოველი დაბადებული ღვთისაჲ კეთილ არს, და არარაჲ არს განსაგდებელ, მადლობით***

მიღებული, რამეთუ განწმიდნების სიტყვთა ღვთისაჲთა და ლოცვითა“, – არაფერი თავისთავად უწმინდური არ არის: ყველაფერი შეიძლება საკვებად იყოს გამოყენებული და ქრისტიანმა არაფერი უნდა შეიზიზღოს ან შეიძულოს იმ მიზეზით, რომ თითქოს ის ბილწია, რამეთუ ღმერთის მიერ შექმნილი ყოველივე არის ***„კეთილ ფრიად“*** (შესაქ. 1, 31); ღვთის სახელის მოხმობა და ჭამის წინ მის მიმართ ლოცვა ყველანაირ საკვებს წმენდს (მუხ. 4, 5).

„ამას ასწავებდ ძმათა“, – ესე იგი, ცრუმოძღვართაგან სამწყსოს დაცვით, – ***„იყო კეთილად მსახურ ქრისტე იესუჲსა“*** (მუხ. 6), რამეთუ მწყემსობა სათავეს იღებს მწყემსმთავარ უფალ იესო ქრისტესგან. დამახასიათებელია, რომ აქ ტიმოთეს – ეპისკოპოსს – „მსახური“ („დიაკონი“) ეწოდება. ეს ახალი მაგალითია მოციქულთა დროინდელ ეკლესიაში სახელწოდებათა განურჩეველი გამოყენებისა. ***„იზარდებოდი სიტყვთა სარწმუნოებისაჲთა და კეთილითა მოძღურებითა, რომელსაცა შეუდგ“,*** – აქ ნაჩვენებია კეთილი მწყემსის მნიშვნელოვანი მოვალეობა: სამწყსოს სწავლებისას თვითონაც უნდა განისწავლოს წმინდა სარწმუნოების ჭეშმარიტებებში, საკუთარ თავს შეაგონოს და ზნეობრივ ქრისტიანულ ცხოვრებაში განმტკიცდეს. *წმინდა იოანე ოქროპირი* ამბობს: „მოციქულის სიტყვის ძალა აქ გამოხატულია სიტყვაში – „იზრდებოდი“. არამხოლოდ სხვები დაარიგე, არამედ თვითონაც იმეცადინე ღვთის სიტყის შემეცნებაში. როგორც ყოველდღიურად ვიღებთ ხორციელ საკვებს, მსგავსადვე უნდა მივიღოთ სარწმუნოების სიტყვაც და მისით მუდმივად ვისაზრდოოთ“.

„ხოლო შეგინებულთა მათ და დედაბერებრთა ზღაპართაგან იჯმენ“ (მუხ. 7), – შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოციქული აქ „ზღაპრებს“ იმ ცრუმოძღვრებათა ნარევს

უწოდებს, რომელიც იუდეველთა მიერ ძველი აღთქმის ცრუ-განმარტებისა და წარმართული სწავლებისგან შედგებოდა. ***„იწუართე თავი შენი ღვთის მსახურებასა, რამეთუ ჯორციელი წურთილებაჲ წუთერთ ჟამ სარგებელ არს; ხოლო ღვთის მსახურებაჲ ყოვლითავე სარგებელ არს“ (მუხ. 7, 8),*** – აქ სახეზეა ხატოვანი შედარება: სულიერ ცხოვრებაშიც წვრთნაა საჭირო. თუკი ადამიანები ამდენ დროსა და შრომას ნაკლებად სასარგებლო ხორციელ ვარჯიშებზე ხარჯავენ, მით უმეტეს უნდა გაწვრთნან სული საღვთისმსახურო ღვაწლით. „ამისთვის ვშრომობთ ჩვენ ყველანი, – *ამბობს მოციქული,* – და შეურაცხყოფას ვითმენთ. ყველა მწყემსმაც თავის სამწყმსოს ეს უნდა ასწავლოს“ (მუხ. 8-11). შემდეგ, წმინდა პავლე მოციქული ტიმოთეს სახით ყველა იმ მწყემსს შეაგონებს, ვისაც სურს, რომ მათ ყოველმხრივ ანგარიში გაუწიონ, მიუხედავად მათი სიჭაბუკისა.

„ნუმცა ვინ სიჭაბუკესა შენსა შეურაცხ-ჰყოფნ; არამედ სახე ექმენ მორწმუნეთა მათ სიტყვთა, სლვითა, სიყუარულითა, სულითა, სარწმუნოებითა, სიწმიდითა“ (მუხ. 12), – აქ საუბარია მოძღვრის ზოგად ვალდებულებაზე – იყოს თავისი სამწყსოსთვის ყოველმხრივ მისაბაძი მაგალითი: ***სიტყვთა*** – ესე იგი, მოძღვარი უნდა იყოს სანიმუშო მასწავლებელი და მქადაგებელი; აგრეთვე, იმაზე ზრუნავდეს, რომ კერძო საუბრებში მისი სიტყვა ყოველთვის დამრიგებლური, კეთილკრძალული და შესაფერისი იყოს. ***„სლვითა“*** – ადამიანებთან ურთიერთობაში თავდაჭერის უნარი და ცხოვრებისეული ტაქტი ჰქონდეს; ***„სიყუარულითა“*** – ყველას მიმართ გულწრფელი მამობრივი სიყვარული იქონიოს; ***„სულითა“*** – მორწმუნენი უნდა ხედავდნენ და გრძნობდნენ, რომ მათი მოძღვარი სულიერი ადამიანია და არა სოფლისაგანი და გონებაგაფანტული; ***„სარწმუნოებითა“*** – მოძღვარი მარ-

თალი და ურყევი მორწმუნის მაგალითს უნდა წარმოადგენდეს; ***„სიწმიდითა“*** – ესე იგი, სიწმინდით და უბიწოებით, არამხოლოდ გარეგნული – ხორციელი სიწმინდით, არამედ – შინაგანი, გულისმიერი, აზრობრივი სიწმინდითაც.

„ვიდრემდე მოვიდე, ეკრძალე საკითხავსა, ნუგეშინისცემასა, მოძღურებასა“ (მუხ. 13). *წმინდა იოანე ოქროპირი* ამ ადგილს შემდეგნაირად განმარტავს: „საღვთო წერილის კითხვით დაკავდი, ნუგეში ეცი იმათ, ვინც ამას საჭიროებს, ყველანი დამოძღვრე“. აქ იგულისხმება წმინდა წერილის ძველი აღთქმის წიგნების კითხვა, რამეთუ ახალი აღთქმის წიგნები მაშინ ჯერ კიდევ შეკრებილი არ იყო და საყოველთაო-სავალდებულოდ არ გამოიყენებოდა. მოციქულთა დროის საეკლესიო შესაკრებლებში ღვთის სიტყვის კითხვას თან ახლდა წინასწარმეტყველებათა და წინასახეთა განმარტება და სხვადასხვა დარიგება. წმინდა პავლე მორწმუნეთა სწორედ ასეთ განსწავლას და ქადაგებას ურჩევს ტიმოთეს, სანამ თვითონ მივა და უფრო დაწვრილებით დაარიგებს მის საეპისკოპოსო მოვალეობებთან დაკავშირებით. ***„ნუ უდებ-ჰყოფ, რომელ-ეგე არს შენ თანა მადლი, რომელი მოგეცა შენ წინაწარმეტყუელებითა, დასხმითა ჴელთა ხუცობისათა“*** (მუხ. 14). ეს ადგილი პროტესტანტთა და სექტანტთა მცდარ აზროვნებას ამხელს, რომელნიც ღვთის მიერ საეკლესიო იერარქიის დაწესებასა და მღვდლობის საიდუმლოს უარყოფენ. წმინდა პავლე მოციქული აქ კატეგორიულად ამბობს, რომ მღვდლობა („ხუცობა“) განსაკუთრებული საღვთო ნიჭია (2 ტიმ. 1, 6), რომელიც ყველაში კი არ მკვიდრობს, არამედ მხოლოდ რჩეულ პირებში და განსაკუთრებული სიმბოლური ქმედებით – მღვდლად ხელდასხმის გზით გადაეცემა (შდრ. 5, 22). „წინასწარმეტყველებაში“ უნდა ვიგულისხმოთ ან ზეგარდამო მითითება, რომლის თანახმადაც ტიმოთე ეპისკოპოსად

იქნა დადგინებული, ან თვით წმინდა სიტყვები, რომელიც მისი დადგინებისას წარმოითქმებოდა – თვით ფორმა იერარქიული დადგინებისა ან ლოცვა, რომლითაც ხელდასხმა აღესრულებოდა. რატომ არის აქ საუბარი ხუცობაზე, მაშინ, როცა ცნობილია, რომ ეპისკოპოსებს (რომელი ხარისხიც ტიმოთეს ჰქონდა) ჯერ კიდევ მოციქულთა დროიდან აკურთხებდნენ ეპისკოპოსები და არა ხუცესები? საქმე ის არის, რომ აქ საუბარია არა ხუცესებზე, არამედ, ზოგადად, სამღვდელო ხარისხის მქონე პირებზე. ჩვენ უკვე ვიცით, რომ მოციქულთა დროში ჯერ კიდევ მკაცრად გამიჯნული არ იყო იერარქიული ხარისხები და წოდებანი – „ეპისკოპოსი" და „ხუცესი" ხშირად ერთმანეთის ნაცვლად გამოიყენებოდა. გარდა ამისა, ვერანაირად დავუშვებთ, რომ ეპისკოპოსად ტიმოთეს ხელნი მღვდლებმა დაასხეს, რადგან 2 ტიმ. 1, 6-დან ცხადად ჩანს, რომ ხელნი თვით პავლე მოციქულმა დაასხა.

მეხუთე თავი შეიცავს დარიგებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვასწავლოთ და ვუხელმძღვანელოთ დამწყსილებს მათი სხვადასხვა მდგომარეობიდან გამომდინარე. ბრძენმა მოძღვარმა ყველას მიმართ ერთნაირად და თანაბრად კი არ უნდა იმოქმედოს, არამედ თითოეულს თავისი ასაკის, ეკლესიური, საზოგადოებრივი და გარეგნული მდგომარეობის შესაბამისად მიუდგეს. უპირველესად, წმინდა მოციქული იძლევა დარიგებას, როგორ უნდა მოიქცეს მოძღვარი ორი რადიკალურად განსხვავებული ასაკის ადამიანების – მოხუცისა და ჭაბუკის შემთხვევაში. ***„მოხუცებულსა ნუ ჰრისხავ, არამედ ჰლოცევდ ვითარცა მამასა" (მუხ. 1),*** – ანუ მოექეცი როგორც საკუთარ შემცოდველ მამას. ასეთივე უნდა იყოს მოძღვრის დამოკიდებულება მოხუც დედაკაცთან მიმართებითაც – როგორც დედების მიმართ. ჭაბუკთა მიმართ კი მეგობრულნი და ალერსიანნი უნდა ვიყოთ, როგორც

საკუთარი ძმებისა და დების მიმართ. რამეთუ „ალერსიანი დამოკიდებულებით უფრო სწრაფად მივაღწევთ იმას, რასაც ხშირად ვერ აღწევს ავტორიტეტული ძალაუფლება“ *(ამბროსიასტე)*. აქ მოციქული ხაზს უსვამს მხოლოდ ქალთა სქესის მიმართ: ***„ყოვლითა სიწმიდითა“***, ანუ სრული უბიწოების დაცვით სიტყვასა და საქციელში, რათა სხვებსაც ცუდი ქცევების ეჭვი არ აღვუძრათ და საკუთარი გულიც ცოდვითი მიდრეკილებებისგან დავიცვათ (მუხ. 1, 2). მე-3–მე-16 მუხლებში მოციქული ქვრივ ქალთა შესახებ საუბრობს. ***„ქურივთა პატივ-ეც, ჭეშმარიტად ქურივთა“*** (მუხ. 3). მოციქული სიტყვას: ***„პატივ-ეც“***, „დახმარების“, საეკლესიო მზრუნველობის ქვეშ აყვანის აზრით იყენებს. შესაბამისად, ამ შეგონების შინაარსი შემდეგია: „საეკლესიო მზრუნველობის ქვეშ აიყვანე კარგი ქცევის ქვრივები, ვინც გულმოწყალებასა და ზრუნვას იმსახურებენ“. შემდგომი, მე-4 მუხლის აზრი კი ის არის, რომ ქვრივებმა, ვისაც ახლო ნათესავები ჰყავთ, ეკლესია თავისი შენახვით არ უნდა დატვირთონ, ხოლო შვილებმა და შვილიშვილებმა დედებისა და ბებიების მიმართ პატივისცემა ისწავლონ, გამოკვებონ ისინი და კეთილად მოექცნენ *(ეკუმენოსი)*. შემდგომი, მეხუთე მუხლის შეგონების აზრი ის არის, რომ საეკლესიო კმაყოფაზე შეიძლება ახალგაზრდა ქვრივებიც აიყვანონ, თუკი კეთილსინდისიერი ცხოვრებით მათ ეს დაიმსახურეს, უარი თქვეს მეორედ გათხოვებაზე და ღვთის შეწევნის სასოებით წმინდა ცხოვრებას ეწევიან. ასეთ კეთილმსახურ ქვრივებს წმინდა მოციქული მე-6 მუხლში ავხორცებს ***(„რომელი-იგი იშუებდეს“)*** უპირისპირებს და ამბობს, რომ ასეთნი ***„ცოცხლივვე მკუდარ არს“***, ანუ ჯერ კიდევ ცოცხალ სხეულში ცოდვებით მომკვდარ სულს ატარებენ. მოციქული მცნებას იძლევა, რომ მათ უბიწო ცხოვრებისკენ მოქცევა შეაგონონ (მუხ. 7),

„ხოლო უკუეთუ ვინმე თჳსთა და უფროესღა სახლეულთა არა მოღუაწე იყოს, სარწმუნოებაჲ უარ-უყოფიეს და არს იგი ურწმუნოჲსა უძჳრეს“ (მუხ. 8). უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მხილება იმათ წინააღმდეგ არის მიმართული, ვინც თავისი მოხუცი ნათესავის გამოკვებაზე არ ზრუნავს და სურს მის დატოვება საეკლესიო კმაყოფაზე.

შემდგომ, მე-9–მე-16 მუხლებში მოციქული საუბრობს იმის შესახებ, რომ საეკლესიო მსახურებაში და ეკლესიის სრულ კმაყოფაზე მიღებულ უნდა იქნენ სამოცი წლის და მეტი ხნის ქვრივები, რომლებიც ერთი ქმრის ცოლები იყვნენ და კეთილი საქმეებით არიან ცნობილნი და არა ახალგაზრდები, რომელნიც სხვადასხვა ცოდვისთვის იოლად მოწყვლადნი არიან. ზოგიერთი განმმარტებელი მიიჩნევს, რომ აქ საუბარია დედათდიაკვნობის კანდიდატზე, რომელთაც დაახლოებით ისეთივე პირობები წარედგინებათ, როგორიც დიაკვნობის კანდიდატებს. თუმცა სხვები მიიჩნევენ, რომ აქ უბრალოდ იმ ქვრივებზე გრძელდება საუბარი, ვინც ეკლესიის ზრუნვას იმსახურებს. ხოლო, იმ ქვრივებს, რომელთაც უჭირთ პატიოსან ქვრივობაში ცხოვრება, მოციქული მეორედ დაქორწინებას ურჩევს, – ეს გაცილებით უმჯობესია, ვიდრე კეთილ გზას გადასცდნენ, რისი მაგალითებიც მოციქულისთვის ცნობილი იყო, როგორც ეს მისივე სიტყვებიდან ჩანს: ***„რამეთუ აწვე ვინმე გარდაიქცეს შედგომად ეშმაკისა“*** (მუხ. 15), რაც, *წმინდა იოანე ოქროპირის* აზრით, ნიშნავს, რომ იმრუშეს. მე-16 მუხლში წმინდა მოციქული კვლავ იმეორებს, რომ მორწმუნენი თავად უნდა ზრუნავდნენ თავის ნათესავ ქვრივებზე და ეკლესია მათი შენახვით არ უნდა დატვირთონ.

მეხუთე თავის მე-2 ნაწილში (მუხ. 17-25) მოციქული ასწავლის ტიმოთეს, როგორ უნდა იქცეოდეს ეპისკოპოსი ხუცესებთან მიმართებით. ***„რომელნი კეთილად ძღოდიან***

ხუცესნი, ორის ნაწილის პატივის ღირს იყვნედ, უფროას ხოლო რომელნი შურებოდიან სიტყვთა და მოძღურებითა“ (მუხ. 17), – აქ „პატივში“, რომლის ღირსნიც უნდა გახდნენ გულმოდგინე ხუცესები, *წმინდა იოანე ოქროპირის* აზრით იგულისხმება მათზე ზრუნვა, ყოველივე აუცილებლით მათი უზრუნველყოფა, რაც მომდევნო, მე-18 მუხლით დასტურდება. ***„ხუცისათჳს შესმენასა ნუ თავს-იდებ, გარნა ორითა და სამითა მოწამითა“*** (მუხ. 19), – ეს იმიტომ, რომ ხუცესები ირჩევიან ყველაზე ღირსეულ ადამიანთა რიცხვიდან, ამიტომ მათ მიმართ ყოველი ბრალდება ნაკლებ სარწმუნოა, და კიდევ იმიტომ, რომ თავისი მოღვაწეობის სამოძღვრო-მამხილებითი და დამრიგებლობითი ხასიათიდან გამომდინარე, ისინი შესაძლოა, ცილისწამებისა და ცრუ ბრალდების მსხვერპლნი გახდნენ. ორი ან სამი მოწმე, მსგავს შემთხვევაში, ძველი აღთქმის მიხედვითაც სავალდებულო იყო **(მეორე შჯ. 19, 15). *„და რომელნი-იგი ცოდვიდენ, წინაშე ყოველთაჲსა ამხილე, რაჲთა სხუათა მათ ეშინოდის“*** (მუხ. 20), – აქ იმავე ხუცესებზეა საუბარი, რომელთა მიმართ ბრალდება დამტკიცებული იქნება. „მაგრამ, უფრო დიდი საცდური არ იქნება, როცა მათ ყველას წინაშე ამხილებ?“– *კითხვას სვამს წმინდა იოანე ოქროპირი* და თავად პასუხობს: – „როცა ცოდვას გაიგებენ და სასჯელს არ იხილავენ, მაშინ ნამდვილად ცდუნდებიან, რამეთუ იმის გამო, რომ მცოდველნი დაუსჯელნი დარჩებიან, ბევრი თვითონაც ცოდვისკენ გაიწევს, და პირიქით – დასჯის შემთხვევაში, მრავალი გამოსწორდება. ასე მოიქცა ღმერთი: მან ფარაონი ყველას წინაშე გამოიყვანა და დასაჯა; ასევე, ვხედავთ, რომ ყველას თვალწინ დაისაჯა ნაბუქოდონოსორიც, აგრეთვე მრავალი სხვა ადამიანი და ქალაქი. შესაბამისად, მოციქულს სურს, რომ ყველას ჰქონდეს ეპისკოპოსის შიში და მას სხვათა

მთავრად აყენებს". ამის შემდეგ მოციქული იმაზე საუბრობს, თუ როგორი სიფრთხილით უნდა გამოარჩიოს ეპისკოპოსმა სამღვდელოდ გამზადებული პირი. ***„ვწამებ წინაშე ღვთისა და უფლისა იესუ ქრისტესა და რჩეულთა ანგელოზთა-სა, რაჲთა-ესე დაიმარხო თჳნიერ ორგულებისა, ნურარას ჰყოფ თუალთ-ღებით. ჴელთა ადრე-ადრე ნუვის დაასხამ"*** (მუხ. 21, 22), – ზოგიერთი მიიჩნევს, რომ 21-ე მუხლის სიტყვები წინა მუხლის სიტყვებს, ანუ ხუცესებზე სამსჯავროს განეკუთვნება, მაგრამ სხვები მიიჩნევენ, რომ იგი ხელდასხმის შესახებ ახალდაწყებულ საუბარს უნდა მივაკუთვნოთ: „ხელდასხმაც, ისე როგორც სამსჯავრო, მიუკერძოებლად, საქმის საგულდაგულო განხილვით უნდა აღესრულოს. საჭიროა, ჯერ კარგად გამოვიკვლიოთ ხელდასასხმელის ცხოვრება და ამის შემდეგ გამოვითხოვოთ მისთვის სულიწმიდის მადლი", – ამბობს *ნეტარი თეოდორიტე*. ***„ნუცა ეზიარები სხჳსა ცოდვათა"***, ესე იგი, „ხელდასასხმელის ცოდვებს, ერისთვის საიდუმლოთა აღმსრულებელის ხარისხში უღირსის აყვანით" *(ეკუმენოსი)*. ***„თავი შენი წმიდად დაიმარხე"*** – საუბრის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ: ***წმიდად***, – ხელდასასხმელის ცოდვებთან ზიარებისგან, მაგრამ სხვები აქ წმინდა ტიმოთესთვის მიცემულ მცნებას ხედავენ – დაიცვას საკუთარი ზნეობრივი სიწმინდე: „სიწმინდის გაკვეთილს აძლევს, სიწმინდის დაცვას შეაგონებს" *(ეკუმენოსი და თეოფილაქტე)*. „კავშირი წინა მუხლთან ასეთი იქნება: იმის გამოკვლევისას, არიან თუ არა სხვები ხელდასხმის ღირსნი, იფრთხილე, თავად არ დაკარგო ღირსება" *(ეპისკოპოსი თეოფანე)*. შემდეგ, წმინდა პავლე იხსენებს ტიმოთეს სუსტ ჯანმრთელობას და თითქოსდა სიწმინდის შესახებ მკაცრ გაკვეთილს აბალანსებსო, მას ურჩევს: ***„არამედ ღჳნოჲცა მცირედ იჴუმიე სტომაქისათჳს"*** (მუხ. 23). სიტყვის აზრი და კავშირი

ასეთია: „როცა მოისმენ: ***„თავი შენი წმიდად დაიმარხე“,*** არ ეცადო თავშეკავების უფრო დიდი ღვაწლის ტვირთვა. ეს არ გააკეთო შენი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, პირიქით, ლმობიერება გჭირდება. ამიტომ, ამიერიდან არა მხოლოდ წყალი სვი, არამედ ცოტა ღვინოც იგემე“ *(ეპისკოპოსი თეოფანე).* 24-ე–25-ე მუხლებში იმავე საკითხებზე საუბრისას მოციქულს სურს თქვას, რომ ყველას არა აქვს გამოაშკარავებული ცოდვები, ამიტომ საჭიროა, რომ სამღვდელო კანდიდატთა ცხოვრება განსაკუთრებული გულმოდგინებით იქნეს გამოკვლეული, რათა გავიგოთ, რამე ისეთი დაფარული ცოდვებისკენ ხომ არ არიან მიდრეკილნი, რომლებიც შემდგომში, შესაძლოა, აშკარადაც გამოვლინდეს. შესაბამისად, სათნოებებიც ზოგიერთს, შეიძლება, დაფარული ჰქონდეს, ამიტომ სასარგებლოა ისეთი პირების მოძებნა და ხარისხში აყვანა, რომელნიც წმინდა ეკლესიას ღირსეულად მოემსახურებიან.

მეექვსე თავი მნიშვნელოვან დარიგებებს შეიცავს. ის სოციალური უთანასწორობის შესახებ მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ საკითხებს (რომლებიც ესოდენ აღელვებთ ადამიანებს) ქრისტიანული სულისკვეთებით წყვეტს. ამ დარიგებათა ზოგადი აზრი ის არის, რომ ქრისტიანობისთვის უცხოა ძალადობრივი საზოგადოებრივი გადატრიალებები. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ქრისტიანობა საზოგადოებრივ ურთიერთობათა გაუმჯობესებას აღწევს ევოლუციის გზით, – ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულის, თანასწორობისა და ძმობის საწყისებზე კაცობრიობის ფართო მასების აღზრდით. რევოლუციის გზას კი ქრისტიანობა უარყოფს, როგორც ბოროტების, ძალადობისა და სისხლიან გზას. ამიტომაც ამბობს მოციქული: ***„რაოდენნი-იგი არიან უღელსა ქუეშე მონებისასა, თჳსნი იგი უფალნი ყოვლისავე პატივისა ღირსად შეჰრაცხნედ, რაჲთა არა სახელი ღვთისაჲ და მოძღურებაჲ***

ესე იგმოს“ (მუხ. 1). განსაკუთრებით ყურადღებიანნი უნდა იყვნენ მონები „მორწმუნე“ (ქრისტიანი) ბატონების მიმართ. არავინ მიიჩნიოს ღვთის მსახურება შემოსავლის წყაროდ *(„ვითარმედ სარეწავ არს ღვთის მსახურებაჲ“).* ვინც სხვაგვარად ასწავლის და კამათობს, იგი *„განლაღებულ არს, არარაჲ უწყის“* (მუხ. 3-5). იმ აზრიდან გამომდინარე, რომ საზოგადოებრივი წყობით უკმაყოფილება ხშირ შემთხვევაში ვერცხლისმოყვარეობაზე, ანგარებასა და მდიდრებისადმი შურზეა დაფუძნებული, და ძმობის, თანასწორობისა და თავისუფლების შესახებ სახარებისეული ჭეშმარიტებების ავტორიტეტით მხოლოდ ინიღბება, მოციქული ანგარებისგან თავის დასაცავად გვაფრთხილებს და მოგვიწოდებს, რომ მცირედითაც დავკმაყოფილდეთ: *„ხოლო მაქუნდეს თუ საზრდელ და საფარველ ჯორცთა, ამათ კმა-ვიყოფდეთ ჩუენ“* (მუხ. 8). გარეგნული მატერიალური სიკეთენი კი სახიფათოა, რამეთუ ხშირად მრავალ ცოდვასა და უბედურებაში გვაგდებს: *„ძირი არს ყოველთა ბოროტთაჲ ვეცხლის მოყუარებაჲ“* (მუხ. 10). მოციქული ასწავლის ტიმოთეს, იყოს უანგარობისა და უპოვარების მაგალითი და მდიდრებს შეაგონოს, რომ ისინი თავის სიმდიდრეს კი არ უნდა ესავდნენ, არამედ – ღმერთს. *„ჰ ტიმოთე, ვედრი იგი დაიმარხე“* (ანუ რჩევა-დარიგება). ასე მთავრდება ეპისტოლე და ამით ხაზგასმით აღინიშნება ეკლესიის მიერ დაცული წმინდა მოციქულთა გადმოცემის მნიშვნელობა (მუხ. 20).

მეორე ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ

ეპისტოლეს დაწერის მიზეზი. ეს ეპისტოლე შეიძლება განვიხილოთ როგორც წმინდა პავლე მოციქულის სიკვდილისწინა ანდერძი თავისი საყვარელი მოწაფისა და თანაშემწის – ტიმოთესადმი. ***„მე აწ ესერა შევიწირვი,*** – წერს წმინდა პავლე მოციქული, – ***და ჟამი იგი მიქცევისა ჩემისაჲ მოიწია“*** (2 ტიმ. 4, 6). მწუხარებით საუბრობს წმინდა პავლე მოციქული მის მიერ განცდილ მძიმე მარტოობაზე, რადგან სხვა მოწაფეებმა ან მიატოვეს იგი, რამეთუ შეიყუარეს ***„სოფელი ესე“*** (4, 10), ან მისი დავალებით სხვადასხვა ადგილზე იყვნენ წარგზავნილნი. მოციქული ტიმოთეს თხოვს, სწრაფად ჩავიდეს მასთან და თან მარკოზი გაიყოლოს (4, 9, 11), აგრეთვე, ზოგიერთი ნივთი მიუტანოს: ***„ფელონი, რომელ დაუტევე ტროადას კარპოსს თანა, მო-რაჲ-ხუდოდი, მოიღე და წიგნებიცა იგი, უფროესღა წიგნის ტყავები“*** (4, 13). ამგვარად, ამ ეპისტოლეს დაწერის მიზეზი იყო წმინდა პავლე მოციქულის სურვილი, რომ წინათგრძნობდა რა მოახლოებულ აღსასრულს, სიკვდილის წინ თავისი უერთგულესი მოწაფენი ენახა და მათთვის თავისი უკანასკნელი დარიგება და ანდერძი გადაეცა.

ეპისტოლეს დაწერის დრო და ადგილი. ამ ეპისტოლეს დაწერის დრო და ადგილი თვით ეპისტოლეს შინაარსიდან შეგვიძლია გავარკვიოთ. მასში წმინდა მოციქული წერს: ***„ნუ უკუე გრცხუენინ წამებაჲ იგი უფლისა ჩუენისაჲ, ნუცა მე, კრული ესე მისი, არამედ თანა-იჭირვოდე სახარებასა მას ძალითა ღვთისაჲთა“*** (1, 8); აგრეთვე: ***„მსგავსად სახარებისა მის ჩემისა, რომელსა შინა ძჳრს***

ვიხილავ ვიდრე კრულებადმდე, ვითარცა ძჳრის-მოქმედი; არამედ სიტყუაჲ იგი ღჳთისაჲ არა შეკრულ არს“ (2, 9). ამდენად, ცხადია, რომ ეს ეპისტოლე წმინდა მოციქულის მიერ პატიმრობაშია დაწერილი. ჩანს, აგრეთვე, რომ ეს რომაული პატიმრობა იყო, რამეთუ აქებს რა ონისიფორეს, რომელსაც მისი პატიმრობისა არ რცხვენოდა, მოციქული ამბობს, რომ იგი ***„მოვიდა ჰრომედ და მოსწრაფედ მეძიებდა მე და მპოვა“*** (1, 16, 17). უეჭველია, ეს მეორე პატიმრობა იყო, რამეთუ პირველი პატიმრობისას წმინდა პავლე შედარებით მეტი თავისუფლებით სარგებლობდა – ქადაგებდა, მცირე აზიის ეკლესიებს თავის შესახებ ცნობებს აწვდიდა **(საქმ. 28, 30, 31; ეფეს. 6, 19, 20; კოლას. 4, 8)** და არამცთუ სასიკვდილო განაჩენს არ ელოდა, არამედ პირიქით, თავისი სწრაფი გათავისუფლების იმედიც კი ჰქონდა **(ფილიპ. 2, 24)** და კოლასეში ფილიმონთან საცხოვრისს იმზადებდა **(ფილიმ. თავ. 22).** მისი ახლანდელი პატიმრობა კი სულ სხვა ხასიათს ატარებდა: იგი ბოროტმოქმედივით იყო გამომწყვდეული (2, 9). მის ქადაგებას დიდი წინააღმდეგობა ხვდებოდა (4, 17). მიტოვებული იყო ყველასგან (4, 16) და ახლო მომავალში ძალადობრივ სიკვდილს წინათგრძნობდა (4, 6). ასეთ მძიმე მდგომარეობაში მყოფი, მაგრამ ნუგეშცემული წმინდა მოციქული ამბობს: ***„მიმელის მე სიმართლისა იგი გჳრგჳნი, რომელი მომცეს მე უფალმან მას დღესა შინა, მართალმან მან მსაჯულმან“*** (4, 8). ამის გათვალისწინებით, როგორც ძველი, ისე ახალი განმმარტებლები ტიმოთეს მიმართ ამ მეორე ეპისტოლეს წმინდა პავლეს ბოლო ეპისტოლედ მიიჩნევენ, რომელიც რომში დაიწერა მის მოწამეობრივ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე – 66 წლის ბოლოს ან 67 წლის დასაწყისში.

ეპისტოლეს დაწერის მიზანი. როცა წმინდა პავლე რომში თავის მოწაფე ტიმოთეს იწვევდა, იგი დარწმუნებული არ იყო, რომ მასთან შეხვედრამდე იცოცხლებდა. ამასთან, მას ძალზე აწუხებდა ის მრავალრიცხოვანი სიძნელეები, რომელთა გადატანაც წმინდა ტიმოთეს ეფესოში თავისი სამწყემსო საქმიანობისას უწევდა. იქ გამრავლდა ხალხი, ვინც სახარებისეულ ჭეშმარიტებას ეწინააღმდეგებოდა ქედმაღალ მოგვთა მსგავსად, რომელნიც მოსეს ეწინააღმდეგებოდნენ, ვისაც *„აქუნდეს ხატი ღვთის მსახურებისაჲ და ძალსა მისსა უარ-ჰყოფდენ... რომელნი შევლენან სახლებსა და გამოსტყუენვენ დედათა“* (3, 5, 6). წმინდა მოციქული ტიმოთესთვის უფრო დიდ სიძნელეებსაც მოელოდა და წინასწარმეტყველებდა, რომ *„უკეთურნი კაცნი და გრძნეულნი წარემატებოდიან უძვრესისა მიმართ, აცთუნებდენ და სცთებოდიან“* (3, 13), და რომ *„იყოს ჟამი, ოდეს სიცოცხლისა ამას მოძღურობასა არა თავს-იდებდენ, არამედ გულის თქუმისაებრ თავისა თჳსისა შეიკრებდენ მოძღუართა ქავილითა ყურთაჲთა; და ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი თჳსნი გარემიიქცინენ და ზღაპრებასა მიექცენ“* (4, 3, 4). ყოველივე ამის გამო პავლე მოციქულმა, რომელიც თავიდან ტიმოთეს მხოლოდ პირად საჭიროებაზე წერდა, გადაწყვიტა, რომ „ეპისტოლესთვის კიდევ დაემატებინა რამე კეთილი მწყემსობის შესახებ“ *(ეპისკოპოსი თეოფანე)*, ხოლო, რამდენადაც ეს საგანი ყველა პირად თხოვნაზე აღმატებულია, მას ეპისტოლეში უპირატესი მდგომარეობა უკავია, მოციქულის თხოვნა კი, თითქოსდა, დამატებად იქცა. ამგვარად, ეპისტოლეს მიზანია, რომ წმინდა ტიმოთე მის სამწყემსო მსახურებაში შეუსუსტებელი მღვიძარებისა და სიმამაცისათვის შემართოს.

ეპისტოლეს შინაარსი და დაყოფა. ტიმოთეს მიმართ წმინდა პავლე მოციქულის მეორე ეპისტოლე ოთხ თავს შეიცავს და სამ ნაწილად იყოფა:

1) შესავალი, ზედწარწერითა და მისალმებით და ეპისტოლეს მთავარი საგნის აღნიშვნით (1, 1-6);

2) დამრიგებლობითი ნაწილი, რომელშიც წმინდა პავლე მოციქული არიგებს ტიმოთეს, თუ როგორ უნდა განვლოს მან თავისი სამწყემსო მსახურება (1, 7-4, 8);

3) ბოლოსიტყვაობა, რომელიც წმინდა პავლე მოციქულის პირად მიზეზებს გადმოგვცემს ამ ეპისტოლეს დასაწერად.

ეპისტოლეს ეგზეგეტიკური გარჩევა. ეპისტოლე იწყება ჩვეული ზედწარწერით: ***„პავლე, მოციქული ქრისტე იესუსი ნებითა ღვთისაჲთა“.*** გამოთქვამს რა თავის ძლიერ სიყვარულს საყვარელი შვილის, ტიმოთეს, მიმართ და იხსენიებს მისი ბებიის – ლუდიასა და დედის – ევნიკას შეუორგულებელ სარწმუნოებას, წმინდა პავლე აქვე შეახსენებს ტიმოთეს, რომ იგი უნდა განაცხოველებდეს ***„მჯურვალედ მადლსა მას ღვთისასა, რომელ არს შენ თანა დასხმითა ჯელთა ჩემთაჲთა“*** (მუხ. 6). აქ ცხადად არის ნათქვამი, რომ მღვდლობის საიდუმლოთი ხელდასასხმელს ღვთის განსაკუთრებული ნიჭი გადაეცემა, ამიტომაც დიდად ცდებიან პროტესტანტები და სექტანტები, რომელნიც მღვდლობის საიდუმლოს უარყოფენ და ამით საკუთარ თავს მადლმოსილ კანონიერ მწყემსობას აკლებენ, რომელიც სათავეს წმინდა მოციქულთაგან იღებს. ეს მადლმოსილი ნიჭი მოძღვარმა სხვა რამით კი არა, მწყემსური მოშურნეობის ცეცხლით უნდა აღანთოს, ანუ სამწყემსო მსახურების კეთილსინდისიერი აღსრულებით.

დამრიგებლობითი ნაწილის პირველი განყოფილების პირველ თავში წმინდა პალე იმ ნაყოფზე მიუთითებს, რომლი-

თაც ტიმოთეში მის მიერ მოციქულის ხელდასხმით მიღებული მადლმოსილი ნიჭის „განმხურვალება“ მოხდება. მოციქული ტიმოთეს შეაგონებს, რომ ***„ნუ უკუე გრცხუენინ წამებაჲ იგი უფლისა ჩუენისაჲ“*** (მუხ. 8), – ანუ მისი ჯვრის შესახებ ქადაგებისა კი არ უნდა შერცხვეს, რომელიც იუდეველთათვის საცდურია, წარმართებისთვის კი – სისულელე, არამედ, თუკი საჭირო იქნება, იტანჯოს კიდეც ქრისტეს სახარებასთან ერთად და აღფრთოვანდეს ქრისტე-მაცხოვრის მიერ აღსრულებული ჩვენი ცხონების განგებულების საქმით და იხელმძღვანელოს როგორც თვით პავლე მოციქულის, ისე ონისიფორეს მაგალითით, რომელსაც წმინდა პავლე იმიტომ აქებს, რომ მას პავლეს პატიმრობისა არ შერცხვენია, პირიქით – რომში ყოფნისას მთელი გულმოდგინებით ეძება და იპოვა, მაშინ, როცა ის ყველა ასიელმა მოწაფემ მიატოვა (მუხ. 7-18).

მეორე თავი სამწყემსო მსახურების გავლისას სულის სიმტკიცისა და თავდადებისაკენ უფრო დაწვრილებით შეგონებებს შეიცავს. აქ პავლე მოციქული სამწყემსო მსახურებას სამხედრო მსახურებასთან ადარებს და ტიმოთეს შეაგონებს, რომ არ შეუშინდეს იმ განსაცდელებს, რომლებიც შეიძლება მას თავს დაატყდეს, როგორც „ქრისტე იესოს კეთილ მოღვაწეს“. ***„და რაჲ-იგი გესმა ჩემგან მრავლითა მოწამებითა, ესე შეჰვედრე მორწმუნეთა კაცთა, რომელნი შემძლებელ იყვნენ სხუათაცა სწავლად“*** (მუხ. 2), ესე იგი, ის, რაც შენ ჩემგან უფალ იესო ქრისტესა და მის მიერ აღსრულებულ კაცობრიობის ცხონების საქმის შესახებ მოგისმენია; რაც მითქვამს შენთვის შეკრთომით და ყურში ჩურჩულით კი არა, არამედ ღიად და ყველას თანდასწრებით, – არ შემშინებია რა ურწმუნოთაგან დევნისა და მხილებისა, – ზუსტად ის გადაეცი ***„მორწმუნეთა კაცთა, რომელნი შემძლებელ იყვნენ სხუათაცა სწავლად“.*** ამ „მორწმუნ-

ეთა კაცებში“ როგორც ძველი, ისე ახალი განმმარტებლები ეპისკოპოსებსა და ხუცესებს გულისხმობენ. აქ საუბარია იმაზე, რომ წმინდა ტიმოთემ მორწმუნეთა შორის ისეთი პირები შეარჩიოს, ვინც ეპისკოპოსად და ხუცესად ხელდასხმის ღირსი იქნება, რათა გადასცეს მათ ღვთივგაცხადებული სწავლების ყველა ჭეშმარიტება, განსაკუთრებით კი, – ზოგიერთი განმმარტებლის ვარაუდით, – საეკლესიო საიდუმლოთა აღსრულების წესი, რომლის გადაცემაც საიდუმლოდ და ზეპირად ხდებოდა, – როგორც ამაში *წმინდა ბასილი დიდი* გვარწმუნებს, – თუმცაღა, უხუცესი მორწმუნეების თანდასწრებით, რათა ეს წესი უფრო სწორად დაეცვათ. ეს იმ ეპისკოპოსებს და ხუცესებს ეხება, ვისთვისაც ტიმოთეს ხელნი უნდა დაესხა *(ფოტიოსი ეკუმენოსთან; ეპისკოპოსი თეოფანე)*. შემდეგ წმინდა პავლე ტიმოთეს სახარების გამო ტანჯვათა და განსაცდელთა გადასატანად ახოვანი მხედრის, ასპარეზზე მორბენალის, მიწათმოქმედის და ბოლოს თვით უფალ იესო ქრისტეს უმაღლესი მაგალითით აღაფრთოვანებს, რომელმაც დიდებაში აღდგომის გზით შესვლამდე, ბევრი იტანჯა და ჯვარზე მოკვდა კიდეც.

„შენ უკუე ჭირი დაითმინე, ვითარცა კეთილმან მოღუაწემან ქრისტე იესუჲსმან“, ესე იგი, მზად იყავი ყოველგვარი შრომისა და მწუხარებისათვის ქრისტეს სახარების საქმეში (მუხ. 3).

„არავინ მოღუაწე შეეყოფვის სოფლისა საქმეთა, რაჲთა ერისთავსა მას სათნო-ეყოს“ (მუხ. 4), – ამ სიტყვებით მოძღვრისაგან ყოველგვარ მიწიერ საქმეთა უარყოფა არ მოითხოვება, რამეთუ თავად მოციქული ამბობს, რომ მოძღვარი, სხვათა შორის, უნდა იყოს ***„თჳსისა სახლისა კეთილად განმგებელ“,*** თანაც ისე, რომ არავის ჰქონდეს სათქმელი ***„უკუეთუ ვინმე თჳსისა სახლისა განგებაჲ არა იცის, ვითარ-მე***

ეკლესიათა ღვთისათა მოღუაწებაა აგოს?“ (1 ტიმ. 3, 4, 5). საეკლესიო კანონები მოძღვარს მხოლოდ იმ თანამდებობების და საერო საქმეებით დაკავებას უკრძალავს, რომელიც მას ეკლესიის ღირსეული მსახურებისაგან მოაცდენს.

„და უკუეთუ ვინმე იღუწიდესცა, არა გჳრგჳნოსან იქმნების, არა თუ შჯულიერად იღუაწოს“ (2, 5), – აქ მოციქული მოძღვრობის ღვაწლს ჯირითში შეჯიბრს ადარებს. როგორც ჯირითში მოასპარეზე მხოლოდ მაშინ იღებს ჯილდოს (გვირგვინს), როცა ყველა წესის დაცვით ასპარეზობს, ასევე მოძღვარიც მხოლოდ მაშინ იღებს ღვთისგან ჯილდოს თავისი ღვაწლისთვის, როცა სიტყვა-ღმერთის მიერ დადგენილი ყველა წესის თანახმად მოღვაწეობს. *ნეტარი თეოდორიტე წერს:* „თამაშებზე ასპარეზობასაც თავისი კანონები აქვს და ვინც ამ კანონებს არ იცავს, იგი გვირგვინს ვერ იღებს“. „მოძღვარი უნდა მოძღვრობდეს არა ისე, როგორც გამოვა, არამედ მკაცრი ყურადღებით და საქმის გონივრული წარმართვით უნდა შეათავსოს თავისი მოქმედებები ადგილთანაც, პიროვნებასთანაც, და შინაგან და გარეგან სამოქალაქოცხოვრებისეულ და სულიერ-მადლიან საქმეთა მიმდინარეობასთანაც“ *(ეპისკოპოსი თეოფანე).*

„მშრომელისა მის ქუეყანის მოქმედისაა ჯერ-არს პირველად ნაყოფისა მოღებაა“ (მუხ. 6), – ეს მესამე მაგალითია. მოძღვარი (მწყემსი) არამხოლოდ მხედარსა და მოასპარეზეს გვაგონებს, არამედ მიწათმოქმედსაც, რომელიც შრომობს და სურს, რომ მის მიერ დამუშავებული მიწიდან ნაყოფი მიიღოს. ასევე, ბუნებრივია, მოძღვარიც ელოდება ნაყოფს თავისი მოშურნე სამწყემსო საქმიანობიდან. „იხილავ ასეთ ნაყოფს და მათგან ნუგეშსა და სულიერ სიხარულს იგემებ, რომელიც შენს სულს თაფლსა და გოლეულზე ტკბილად გამოკვებავს“ *(ეპისკოპოსი თეოფანე).* ამ ნაყოფთა შესახებ აზრმა უნდა

აღაფრთოვანოს მოძღვარი თავისი სამწყემსო მსახურების სათანადოდ გავლისათვის, როგორც მსგავსივე აზრით მიწათმოქმედი აღფრთოვანდებოდა. შემდეგ, მოციქული ტიმოთეს შეაგონებს, რომ მის მიერ მოყვანილ მაგალითებს ჩაუღრმავდეს და მას ქრისტეს სახარების გამო მისი საკუთარი ტანჯვით ამხნევებს (2, 7-10). ასეთივე ტანჯვის გზა გარდაუვლად მოელის ყოველ კეთილ მწყემსს, მაგრამ იგი ქრისტესთან თანამეუფებით დასრულდება: კეთილმა მწყემსმა საკუთარი თავი იმით უნდა შეაგულიანოს, რომ ქრისტესთან ერთად მის დიდებას გაიზიარებს (2, 11-13). მოციქული ურჩევს ტიმოთეს არ ჩაებას ცრუმოძღვრებთან სიტყვიერ კამათში, რამეთუ ასეთი რამ ***„არად საჯმარად, განსადრეკელად მსმენელთა მათ“*** (მუხ. 14). ნაცვლად ამისა, მოძღვარმა ყველას თავისი ცხოვრებით უნდა მისცეს კეთილი მაგალითი (2, 14-16).

მის მიერ მხილებულ ცრუმოძღვართა შორის წმინდა პავლე იხსენებს ***„ჰმენოს და ფილიტოს, რომელნი-იგი ჭეშმარიტებასა განუდგეს, იტყჳან, ვითარმედ: აღდგომაჲ აწვე იყო“*** (მუხ. 18). ესენი, უეჭველია, რომ გნოსტიციზმის ფუძემდებლები იყვნენ, რომელნიც სხეულთა აღდგომას უარყოფდნენ და მას მხოლოდ სულიერი შინაარსით მოიაზრებდნენ: ისინი ასწავლიდნენ, რომ უმეცრებისა და სიცრუის სიბნელიდან გამავალი და ჭეშმარიტების ნათელში შემავალი სული დატოვებს რა ბიწიერებას, ახალი ცხოვრებისთვის აღდგება (2, 17, 18). წმინდა პავლე შფოთისგან გვაფრთხილებს და ამბობს, რომ მათ თავისი ცრუმოძღვრებით ეკლესიის შერყევა არ ძალუძთ: ***„ხოლო მტკიცე იგი საფუძველი ღვთისაჲ ჰგიეს და აქუს ბეჭედი ესე: „იცნის უფალმან, რომელნი-იგი არიან მისნი“ და: „განეშორენ სიცრუისაგან ყოველი, რომელი სახელ-სდებდეს სახელსა უფლისასა“*** (მუხ. 19).

ეკლესიაზე, როგორც ღვთის სახლზე, არის წარწერა, ანუ ბეჭედი, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება. მისი პირველი ნაწილია: ***„იცნის უფალმან, რომელნი-იგი არიან მისნი“,*** – რაც ნიშნავს, რომ ისინი, რომლებიც ჭეშმარიტად ღმერთს ეკუთვნიან, იცის ღმერთმა და მათი რწმენა არ შეირყევა, რამეთუ ღვთის მადლმა იმდენად გარდაქმნა მთელი მათი შინაგანი სამყარო, რომ ისინი ჭეშმარიტებაში ძლიერ განმტკიცდნენ და არანაირი მწვალებლური შფოთის და მანქანების აღარ ეშინიათ. წარწერის მეორე ნახევარი, რომელიც ღვთის რჩეულებზე ბრწყინავს, არის: ***„განეშორენ სიცრუისაგან ყოველი, რომელი სახელ-სდებდეს სახელსა უფლისასა“,*** – რაც ნიშნავს, რომ ღვთის ასეთი რჩეულნი არამხოლოდ ბაგეებით აღიარებენ ღვთისადმი თავის კუთვნილებას, არამედ მთელი თავისი ცხოვრებისეული საქმეებითაც. სხვა სიტყვებით, აქ მითითებულია ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრების ორი მხარე: სარწმუნოება და ცხოვრება სარწმუნოების მიხედვით, ანუ კეთილმსახურება (ღვთისმსახურება).

„სახლსა შინა დიდსა არა არს ჭურჭელი ოქროჲსაჲ ხოლო და ვეცხლისაჲ, არამედ ძელისაჲცა და კეცისაჲცა, რომელნიმე პატიოსნად და რომელნიმე უპატიოდ“ (მუხ. 20), – ამ გამოთქმის შინაარსი შემდეგია: როგორც დიდ სახლშია სხვადასხვა ჭურჭელი, სხვადასხვა ფასისა და ღირებულების, ასევე არიან ქრისტეს ეკლესიაში სხვადასხვა წევრები: სრულყოფილნი და არასრულყოფილნი. შემდეგ მოციქული ტიმოთეს შეაგონებს, რომ იყოს იგი ***„ჭურ პატიოსან“*** და ***„სიჭაბუკისა მათ გულის თქუმათა“*** ელტვოდეს, რომელთა შორისაც არა მხოლოდ სიძვის ნდომა, არამედ, საერთოდ, ყველა ჭაბუკური ვნებათაღელვა იგულისხმება, და შეუდგეს ***„სიმართლესა, სარწმუნოებასა, სიყუარულსა, მშჳდობასა“***, შეაგონებს, რომ არ იდავოს და სიმშვიდით შეაგონოს სარწმუნოების მოწინააღმდეგეთ (2, 21-26).

მესამე თავში მოციქული ამქვეყნად ბოროტებისა და სიბილწის საშინელ გაძლიერებას წინასწარმეტყველებს. ***„ხოლო ესე უწყოდე, რამეთუ უკუანაჲსკნელთა დღეთა მოიწინენ ჟამნი ბოროტნი. და იყვნენ კაცნი თავის მოყუარე, ვეცხლის მოყუარე, ლაღ, თავმოთნე, ამპარტავან...“*** და ასე შემდეგ (3, 1-5). თუმცა ეს სიტყვები მსოფლიოსა და კაცობრიობის უკანასკნელ ჟამს ეხება, მაგრამ როგორც ვნახეთ, „უკანასკნელ დღეებში“ შეიძლება, დროის მთელი ის პერიოდი ვიგულისხმოთ, რომელიც ქვეყნად ქრისტე-მაცხოვრის მოსვლითა და მის მიერ კაცობრიობის გამოსყიდვისათვის აღსრულებული საქმით დაიწყო. ამიტომ ყველაზე მეტად, მოციქულის ეს სიტყვები იმავე ცრუმასწავლებლებს მიემართებათ, რომელთა შესახებაც იგი მეორე თავშიც საუბრობდა. მათი დამახასიათებელი ნიშან-თვისება ის არის, რომ მხოლოდ გარეგნულად იქნებიან კეთილმსახურნი, ესე იგი, თვალთმაქცნი იქნებიან (მუხ. 5).

„რამეთუ ამათგანნი არიან, რომელნი შევლენან სახლებსა და გამოსტყუენვენ დედათა, შეკრებულთა ცოდვითა, მოიპოვებენ გულის თქუმათა თჳთო-სახეთა“ (მუხ. 6). სექტების ისტორიიდან ცნობილია, რომ სექტათა ბელადები თავისი ცრუსწავლების გასავრცელებლად ცდილობდნენ თანაგრძნობის მოპოვებას უპირველესად ისეთ ქალებში, რომლებიც გაფანტულ საერო ცხოვრებას ეწეოდნენ. ასეთები, თავისი არასერიოზულობის, გამძაფრებული გრძნობებისა და ფანტაზიის გამო, უფრო იოლად ენდობოდნენ ცრუმოძღვრებს და ემსახურებოდნენ თავიანთ მაცდუნებელთა ვნებების დაკმაყოფილებას, მალე კი თავადაც იქცეოდნენ მათ ხელში ცდუნების იარაღად. *ნეტარი იერონიმე* ამასთან დაკავშირებით წერს: „სვიმონ მოგვმა თავისი სექტა ურცხვ ელენესთან ერთად დააარსა; ნიკოლოზ ანტიოქიელმა, ვნებათმოყვარე

კაცმა, ქალთა მთელი ბრბო გაიყოლა; მონტანმა ფულით მიიზიდა პრისკილა და მაქსიმილა და აცდუნა ისინი; არიოზმა თავიდან იმპერატორის და აცდუნა, შემდეგ კი მთელი მართლმადიდებლური სამყაროს ცდუნებას შეეცადა; დონატი მხარდაჭერას ლუცილას ფულით იღებდა და ასე შემდეგ".

„და ყოვლადვე ისწავებენ და არასადა მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა შემძლებელ არიან მოსვლად" (მუხ. 7), – ეს იმავე ცრუმოძღვრებზეა საუბარი, რომელნიც ცნობისმოყვარეობის გამო ახალი ფილოსოფიური მიმდინარეობების ლიტერატურული თხზულებებით არიან გატაცებულნი და ყველაფერში რაღაც ახალს და მოდურს ეძებენ. ჭეშმარიტების შეცნობის უუნარობა მათი ბუნებრივი ნაკლი კი არ არის, არამედ მათი ნების არასწორად წარმართვის შედეგია.

„ვითარცა-იგი იანე და იამბრე უჯდებოდეს მოსეს, ეგრეთცა ესენი უჯდებიან ჭეშმარიტებასა, კაცნი განხრწნილნი გონებითა, გამოუცდელნი სარწმუნოებითა" (მუხ. 8), – იანე და იამბრე მოსეს მოწინააღმდეგე მოგვების სახელებია, რომლებიც, როგორც ჩანს, წმინდა პავლესთვის იუდაური გადმოცემიდან იყო ცნობილი, რადგან წმინდა წერილის წიგნებში მათზე საუბარი არსადაა. ამჟამად ამ სახელებს ჩვენ ვხვდებით იონათანის თარგუმში და თალმუდურ წიგნებში, მაგალითად, ზოგარის წიგნში. ეფესო ასევე განთქმული იყო მოგვებით, რის გამოც ეს შედარება საგანთა მდგომარეობას შეესაბამებოდა. ამ შედარებით წმინდა პავლე ტიმოთეს აფრთხილებდა, თუ როგორი წინააღმდეგობა ელოდა მას ცრუმოძღვართა მხრიდან და როგორი სიმტკიცით უნდა ებრძოლა მათთან.

მომდევნო, მე-9 მუხლში წმინდა მოციქული ამხნევებს ტიმოთეს, რომ ეს მოგვები ***„არა წარემატნენ უფროს"***: „მათ მიერ თავსმოხვეული ბურუსი გაიფანტება და აჩრდილები გაქრება" *(ეპისკოპოსი თეოფანე).*

შემდეგ პავლე მოციქული ტიმოთეს აქებს იმის გამო, რომ იგი ყოველივეში მის სამქადაგებლო საქმიანობას მიჰყვა, რომელიც მწუხარებით არის აღსავსე და მას იმ აზრით ანუგეშებს, რომ ***„ყოველთავე რომელთა ჰნებავს ღვთის მსახურებით ცხორებაჲ ქრისტე იესუჲს მიერ, იდევნენ“*** (მუხ. 10-12), – „ადამიანმა, რომელიც ბოროტებას ებრძვის, შეუძლებელია, მწუხარება არ განიცადოს“ *(ეპისკოპოსი თეოფანე).*

„ხოლო უკეთურნი კაცნი და გრძნეულნი წარემატებოდიან უძჳრესისა მიმართ, აცთუნებდენ და სცთებოდიან“ (მუხ. 13). *წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს:* „არ შეგაშფოთოს იმან, რომ ისინი კეთილდღეობენ, შენ კი განსაცდელები გხვდება, რამეთუ ისინი მხოლოდ ჩანან წარმატებულად, სინამდვილეში კი სხვებს აცდუნებენ და თვითონაც ცდუნდებიან. ეს დამღუპველი თავის მოტყუების მდგომარეობაა. მათ თვით კაცთა მოდგმის მტერი ეხმარება“.

„ხოლო შენ დაადგერ მას ზედა, რომელიცა გისწავიეს და გრწმენა, უწყი, ვისგან გისწავიეს“ (მუხ. 14), – ტიმოთეს პავლე მოციქულმა ასწავლა; მაგრამ, რა თქმა უნდა, პავლე მოციქული თავის პირად ავტორიტეტს კი არ გულისხმობს, არამედ სულიწმიდის იმ მადლს, რომელიც მას მის სამოციქულო შრომებში აშკარად ხელმღვანელობდა, ურჩევდა და შეაგონებდა.

„რამეთუ სიყრმითგან საღმრთონი წიგნნი იცნი, რომელნი შემძლებელ არიან განბრძნობად შენდა ცხორებისათჳს სარწმუნოებითა ქრისტე იესუჲსითა“ (მუხ. 15). მეორე მიზეზი, რის გამოც ტიმოთემ მის მიერ მიღებული სწავლება უნდა დაიცვას, არის ის, რომ მან, თავისი იუდეველი დედისა და ბებიის წყალობით, ბავშვობიდანვე იცის ძველი აღთქმის წიგნები, რომლებიც კაცობრიობას მესიის მისაღებად წინასწარმეტყველებითა და წინასახეებით ამზადებდნენ. შემდეგ,

მოციქული წმინდა წერილის მნიშვნელობაზე მიუთითებს თითოეულისთვის და მით უფრო – სულიერი მოძღვრების, ეკლესიის მწყემსებისთვის. ***„ყოველი წიგნი ღვთივ სულიერი და სარგებელი სამოძღურებელად არს და სამხილებელად და განსამართლებელად და სასწავლელად სიმართლისა, რაჲთა აწვე იყოს ღვთისა იგი კაცი, ყოვლისა მიმართ საქმისა კეთილისა განმტკიცებულ“*** (მუხ. 16, 17).

წმინდა წერილი ჩვენ არამხოლოდ სარწმუნოების დოგმატებს, ცხოვრების წესებსაც გვასწავლის, ამხელს სინდისს და ასწორებს ზნეობას. აქედან ნათლად ჩანს წმინდა წერილის შესწავლის მთელი მნიშვნელობა, განსაკუთრებით მწყემსთათავის, რამეთუ სამწყემსო მოღვაწეობა იმაში მდგომარეობს, რომ ***„სარგებელი სამოძღურებელად არს“.*** მოციქულის მიხედვით, ღვთივსულიერი წერილი სასარგებლოა კაცთათვის ჭეშმარიტებისა და სიკეთის სასწავლებლად, მათი ცდომილებისა და ბიწიერების სამხილებლად და ჭეშმარიტების გზაზე დასაყენებლად. თუკი ესოდენ სასარგებლო და მნიშვნელოვანი იყო ძველი აღთქმის წმინდა წერილი, რასაც აქ წმინდა პავლე მოციქული გულისხმობს, მაშინ რაოდენ უფრო აუცილებელი და მნიშვნელოვანია ახალი აღთქმის წმინდა წერილი, რომელიც მთელი სისრულით გვიცხადებს ჩვენ ღვთის ნებას და ძველაღთქმისეული გამოცხადების სათანადოდ გაგების გასაღებსაც წარმოადგენს.

მეოთხე თავის პირველ 8 მუხლში პავლე მოციქული წმინდა ტიმოთეს დასკვნით სამწყემსო დარიგებებს გადასცემს, შემდეგ კი თავის პირად საქმეებზე საუბრობს, რომელნიც, როგორც ჩანს, ამ ეპისტოლეს დაწერის მიზეზი გახდა. აქ პავლე მთელი ძალით „აფუცებს“ თავის მოწაფე ტიმოთეს და საღვთო სამსჯავროს ახსენებს, რომ იგი თავისი სამწყემსო მოვალეობათა შესრულებისას დაუდევარი არ იყოს და შეაგონებს: ***„ქადაგე***

სიტყუაჲ, ზედა-ადეგ ჟამითი-უჟამოდ, ამხილე, შეჰრისხენ და ნუგეშინის-ეც ყოვლითა სულგრძელებითა და მოძღურებითა“ (მუხ. 1, 2). ამ სიტყვებით ჩამოთვლილია სამწყემსო საქმიანობის ყველა სახე, დასამწყესთა ზნეობრივი მდგომარეობის შესაბამისად. ***„ზედა-ადეგ“*** ნიშნავს: მუდამ მასზე იდექი, რათა იქადაგო. განუწყვეტლივ იქადაგე, დაუღალავად ისაუბრე, არა ისე, რომ ერთხელ თქვა და ამით დაამთავრო, არამედ მუდამ ილაპარაკე და ასწავლე“ *(ნეტარი თეოფილაქტე).*

რა ნიშნავს ***„ჟამითი-უჟამოდ“***? – ეს ნიშნავს: „ქადაგებისათვის გარკვეულ დროს ნუ დაიდგენ, დაე, ამისთვის მუდამ გქონდეს დრო და არამხოლოდ სიმშვიდის, სიწყნარისა და ეკლესიაში ყოფნისას; თუნდაც რომ საფრთხეში იყო, თუნდაც დილეგში, პატიმრობაში, ან თუნდაც სიკვდილისთვის ემზადებოდე, მაშინაც კი ამხილე და შეაგონე“ *(წმინდა იოანე ოქროპირი).* გამოთქმის – „უჟამოდ“ – აზრი ის არის, რომ მოძღვარი „უჟამო“ უნდა იყოს, ანუ არ შეარჩიოს და არ დაელოდოს მისთვის მოხერხებულ დროს სახარების საქადაგებლად სამწყსოს ინტერესების საზიანოდ. მაგალითად, უცნაური იქნებოდა, რომ მძინარე და მუშაობით დაღლილი სულიერი შვილი მასთან დამრიგებლური საუბრისთვის გავაღვიძოთ, მაგრამ თუკი მძინარე მოძღვარს მისი სამწყემსო მოვალეობის შესასრულებლად გააღვიძებენ, მან არ უნდა დააყოვნოს და უარი არ უნდა თქვას. უცნაური იქნებოდა, რომ მწყემსს თავისი საუბარი იქ მოეხვია ვინმესთვის თავს, სადაც მისი მიღება და მოსმენა არ სურთ. მაგრამ, თუკი მას უხმობენ ან როცა იგი თვითონ ხედავს, რომ მისი სიტყვა შესაძლოა აუცილებელი და სასარგებლო აღმოჩნდეს, მაშინ თავისი პირადი განწყობის მიუხედავად, ის უნდა ადგეს და წავიდეს იქ, საითკენაც მას თავისი სამწყემსო მოვალეობა უხმობს. რატომ უნდა ვისწრაფოდეთ და ვეცადოთ, რომ ხელიდან არასდროს გავუშვათ ქადაგებისთვის შესაფერისი შემთხვევა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– იმიტომ, რომ ***„იყოს ჟამი, ოდეს სიცოცხლისა ამას მოძღურობასა არა თავს-იდებდენ, არამედ გულის თქუმისაებრ თავისა თჳსისა შეიკრებდენ მოძღუართა ქავილითა ყურთაჲთა; და ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი თჳსნი გარე-მიიქცინენ და ზღაპრებასა მიექცენ“*** (მუხ. 3, 4). „ამ სიტყვაზე უფრო გამომხატველი შეუძლებელია სხვა იყოს: „ეპისორევსუსი“ – „შეიკრებდნენ“ („აირჩევენ“); მოძღვრების უწესრიგო ბრბოს აღნიშნავს, რომელთა წევრებიც თავის ხარისხში მოწაფეთა მიერ იქნებიან არჩეულნი და დამტკიცებულნი“ *(წმინდა იოანე ოქროპირი).* „ისინი კი ამ არჩევისას კეთილგონივრულად კი არ მოიქცევიან, არამედ ისეთებს აირჩევენ, ვინც მათ სურვილებს დააკმაყოფილებს და მხოლოდ კაცთმოთნეობით ილაპარაკებს და იმოქმედებს“ *(ნეტარი თეოფილაქტე).*

„ქავილითა ყურთაჲთა“ იმ მოძღვართა მჭევრმეტყველებაზე, უფრო კი პირმოთნეობაზე მიუთითებს, რომელნიც მსმენელთა ყურის დასაამებლად იქადაგებენ. ჭეშმარიტების მოსმენა ასეთი ადამიანებისთვის მწარე იქნება და ისინიც „ზღაპრებისაკენ“, ესე იგი, ყოველგვარი მეოცნებეობითი სწავლებისაკენ მიიქცევიან, რომელნიც გონების წარმოდგენას მიმზიდველი ფანტაზიებით იკავებენ, სინდისს მშვიდად ტოვებენ: არ აწუხებენ მას, არ აღვიძებენ და არ აშფოთებენ შეხედულებებსა და ცხოვრებაში გამოუსწორებელს გამოსწორების მოთხოვნით“ *(ეპისკოპოსი თეოფანე).* ასეთია მაგალითად, თეოსოფიით, ოკულტიზმით და ყოველგვარი ფილოსოფიური და სექტანტური ცრუსწავლებებით დღევანდელი გატაცება, რომელიც თანამედროვე ადამიანის სურვილებს პასუხობს. მას, რა თქმა უნდა, ამძიმებს ჭეშმარიტი ქრისტიანობის ასკეტური მოთხოვნები.

„ხოლო შენ ფრთხილ იყავ ყოველსა შინა, ძჳრსა იხილევდ, საქმე ქმენ მახარებელისაჲ, მსახურებაჲ შენი კე-

თილად აღასრულე“ (მუხ. 5). გამოთქმით: *„ფრთხილ იყავ“*, კეთილი მწყემსის მოღვაწეობის ზოგადი შინაგანი ხასიათი ან განწყობა განისაზღვრება. „ფრთხილად ყოფნა“ ნიშნავს, რომ ყოველივეს დააკვირდეს და ყოველ მხარეს ყურადღებით იმზიროს: სამწყსოს საიდანმე ხიფათი ხომ არ ემუქრება? – და ამის შესაბამისად წარმართოს თავისი სამწყემსო საქმიანობა. *„ძჯრსა იხილევდ“*, – ამით სამწყემსო მოქმედების ზოგადი გარეგნული ხასიათი განისაზღვრება. ეს ნიშნავს „არა საკუთრივ სარწმუნოებისათვის ტანჯვას და დევნას, არამედ ყოველივე მოსვენების უარყოფას. მძიმე და მტკივნეულ შრომას შეუდექი, ნუ შეიბრალებ და დაინდობ საკუთარ თავს, როცა ამას სამწყსოს სარგებელი მოითხოვს“ *(ეპისკოპოსი თეოფანე)*. გაფანტული და ფუფუნებითი ცხოვრება, მხიარულებისა და სასიამოვნო გართობების ძიება, ჭეშმარიტ მწყემსს არ შეეფერება, რამეთუ ყოველივე ეს საწინააღმდეგოა დარიგებისა – *„ძჯრსა იხილევდ“*.

„საქმე ქმენ მახარებელისაჲ“, – ამით ეკლესიის მწყემსის უმნიშვნელოვანესი მოვალეობა განისაზღვრება, რომელიც მის ყველა სხვა საქმეთა სათავეში უნდა იდგეს. მოძღვარი არამხოლოდ ღვთისმსახურებისა და წესკურთხევების მექანიკური აღმსრულებელია, არამედ, უპირველეს ყოვლისა – ჩვენი ცხონების შესახებ კეთილუწყების (სახარების) მქადაგებელი.

„მსახურებაჲ შენი კეთილად აღასრულე“, ანუ „დამაკმაყოფილებლად აღასრულე, არა როგორღაც, გულგრილად და ზანტად, არამედ მთელი გულისხმიერებით. თავის სამწყემსო დარიგებებს პავლე მოციქული მოახლოებული მოწამეობრივი სიკვდილის წინასწარმეტყველებით ასრულებს. ამით ის, თითქოსდა, ასე ეუბნება: „მახარებლის საქმე გულმოდგინედ აღასრულე, რამეთუ ჩემი აღსასრული მოახლოებულია. ჩემ შემდეგ კი ამ საქმეს შენზე, ჩემს საყვარელ მოწაფეზე უკეთ ვერავინ წარმართავს“ *(ეპისკოპოსი თეოფანე)*. ერთგვარ ან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დერძად უტოვებს წმინდა პავლე მოციქული ტიმოთეს თავისი საკუთარი ცხოვრებისა და მოშურნე სამოციქულო მოღვაწეობის მაგალითს. *წმინდა იოანე ოქროპირი* ამ ადგილთან (მუხ. 6-8) დაკავშირებით წერს: „ხშირად, როცა ხელში მოციქულის ეპისტოლეს ვიღებდი და ამ ადგილს ვკითხულობდი, არ მესმოდა, თუ რატომ აღიმაღლებდა თავის თავს პავლე მოციქული: ***„ღუაწლი კეთილი მომიღუაწებიეს“,*** მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, ღვთის მადლით, ეს გავიგე. – რატომ საუბრობს იგი ასე? მას სურს, დამწუხრებული მოწაფე ანუგეშოს და მოუწოდებს, რომ მხნედ იყოს, რადგან იგი (პავლე) გვირგვინის მისაღებად მიეშურება, როგორც ყოველივეს აღმსრულებელი, როგორც კეთილ დასასრულს მიწევნული; – ამიტომ კი არ უნდა იმწუხროო, – *ამბობს,* – არამედ გიხაროდეს“.

მე-9 მუხლიდან იწყება ბოლოსიტყვაობა, სადაც პავლე მოციქული წმინდა ტიმოთეს სთხოვს: ***„ისწრაფე ზამთრისა წინა მოსლვად“*** (ზამთრის დადგომამდე); მას დავალებას აძლევს და მოკითხვას უთვლის, და ეპისტოლეს ჩვეული სამოციქულო კურთხევით ამთავრებს.

აქ, მე-16–მე-17 მუხლებში, მოციქული სამოქალაქო სამსჯავროზე მისი საქმის პირველ გარჩევაზე საუბრობს, რომელიც მოციქულისთვის კეთილად დამთავრდა, თუმცა ყველამ, რა თქმა უნდა, შიშის გამო იგი მიატოვა: ***„და განვერი პირისაგან ლომისა“,*** – აქ „ლომში“ *წმინდა იონე ოქროპირი* და *ნეტარი თეოდორიტე* სასტიკ ნერონს გულისხმობენ, თუმცა ზოგიერთი ფიქრობს, რომ მოციქულს თავდაპირველად ლომთა შესაჭმელად მიგდება ემუქრებოდა, როგორც მაშინ ხშირად აკეთებდნენ ქრისტიანთა მიმართ, რადგან მათ ველური მხეცებისგან დაგლეჯით სიკვდილს უსჯიდნენ.

ეპისტოლე ტიტეს მიმართ

ცნობები წმინდა ტიტეს შესახებ. წმინდა ტიტეს შესახებ ისტორიული ცნობები ძალზე მწირია. „საქმე მოციქულთა“ მის შესახებ არაფერს ამბობს. ვიცით მხოლოდ ის, რასაც წმინდა პავლეს ეპისტოლენი და გადმოცემები მოგვითხრობს. პირველი ცნობა მის შესახებ გალატელთა მიმართ ეპისტოლეში გვხვდება (2, 3), სადაც ნათქვამია, რომ იგი თან ახლდა პავლე მოციქულს იერუსალიმში გამართულ მოციქულთა კრებაზე. იქიდან ვიგებთ, რომ იგი წარმოშობით ელინი იყო, წარმართი, გადმოცემა კი ამატებს, რომ ის კუნძულ კრეტაზე დაიბადა და იქაურ სამეფო გვარს წარმოადგენდა. ტიტე სიბრძნისმოყვარე, კეთილმსახურების მოშურნე და ქალწული იყო (არაწარმართულად) *(ფილადელფიელთა მიმართ წმინდა ეგნატეს ეპისტოლედან).* გადმოცემის თანახმად, ტიტე თავისი ბიძის, ანთიპატე კრეტელის მიერ ჯერ კიდევ უფლის მიწიერი ცხოვრებისას იქნა გაგზავნილი იერუსალიმში, სადაც ის უფალსა და წმინდა მოციქულებს ხვდებოდა, ესაუბრებოდა და საკვირველ ნიშანსასწაულებს ხედავდა **(იოანე, 12, 20–22);** იყო უფლის ჯვარცმის მოწმე, დარწმუნდა მისი აღდგომის ჭეშმარიტებაში და იმ კრეტელთა შორის იდგა, რომელთაც სულთმოფენობის დღეს მოისმინეს, თუ როგორ საუბრობდნენ მოციქულები მათ ენაზე. ტიტემ ყოველივე ეს კრეტაში დაბრუნებისას თავის თანამემამულეებს აუწყა. იქიდან, უკვე მორწმუნე, იგი ანტიოქიაში გაემგზავრა და წმინდა პავლე მოციქულის უერთგულესი მოწაფე და თანამგზავრი გახდა. ურთიერთსიყვარულის თუ რაოდენ მტკიცე ჯაჭვებით იყვნენ ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული, ეს კარგად ჩანს კორინთოელთა მიმართ პავლე მოციქულის მეორე ეპისტოლედან, სადაც ის მის შესახებ ამბობს: ***„საქმის ზიარისა***

მის ჩუენისა და თქუენისა შემწისა“ (8, 23). სავარაუდოდ, ტიტე თან ახლდა წმინდა პავლეს მისი მეორე სამოციქულო მოგზაურობისას, როცა გალატეელნი გაქრისტიანდნენ, რამეთუ გალატეელთა მიმართ ეპისტოლეში წმინდა პავლე მასზე საუბრობს, როგორც მათთვის ნაცნობ პირზე **(გალ. 2, 1-3).** წმინდა პავლეს ტიტე მესამე მოგზაურობაშიც თან ახლდა, რამეთუ წმინდა პავლემ იგი ეფესოდან კორინთოში მნიშვნელოვანი დავალებით მიავლინა: გაეგო იმ შთაბეჭდილებათა შესახებ, რაც კორინთოელებზე მისმა პირველმა ეპისტოლემ მოახდინა და დაელაგებინა კორინთოს ეკლესიის საქმეები **(2 კორ. 2, 12, 13; 7, 13-15).** ხოლო, როდესაც ტიტესგან მიღებული ცნობების შედეგად, მოციქულმა კორინთოელთა მიმართ თავისი მეორე ეპისტოლე დაწერა, მან ამ ეპისტოლეთი ისევ ტიტე წარგზავნა და პალესტინის გაჭირვებული ეკლესიებისთვის მოწყალების შეგროვება დაავალა **(2 კორ. 8, 6, 16, 17).** ამასთან, წმინდა მოციქულმა ტიტეს კორინთოელებთან რეკომენდაცია გაუწია, როგორც საიმედო და ერთგულ კაცს **(2 კორ. 8, 20-23).** შემდგომ ტიტეს მიმართ წმინდა პავლეს ეპისტოლედან ვხედავთ, რომ ტიტე, პავლე მოციქულს, პირველი პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ, მისი მეორე მოგზაურობის დროსაც თან ახლდა და მის მიერ კუნძულ კრეტაზე დაუმთავრებელ საქმეთა და ყველა ქალაქში ხუცესთა დასადგინებლად იქნა დატოვებული **(ტიტ. 1, 5).** მაგრამ, როგორც ტიტეს მიმართ ეპისტოლედან (3, 12) ვხედავთ, ტიტე კვლავ თავისთან გაიწვია პავლე მოციქულმა და მასთან ერთად იყოფდა მეოთხე სამოციქულო მოგზაურობის მთელ სიძნელეებს. ეს მოგზაურობა კილიკიის ნიკოპოლში დაიწყო და მაკედონიაში, აქაიაში, ესპანეთსა და რომში გაგრძელდა, სადაც მოციქული მეორედ დააპატიმრეს და სადაც მოწამეობრივად აღესრულა. ყოველ შემთხვევაში, 2 ტიმ. 4, 9, 10-დან ნათლად ჩანს, რომ ტიტე მოციქულთან რომშიც

იმყოფებოდა და მის მიერ იქიდან დალმატიაშიც კი გაიგზავნა გარკვეული დავალებით. გადმოცემით ცნობილია, რომ წმინდა ტიტე კრეტაზე ღრმა სიბერემდე ეპისკოპოსად მსახურობდა, მთელი კუნძული ქრისტეს სარწმუნოებით გაანათლა და 94 წლის ასაკში, ქრისტეს ხორციელად შობიდან 110 წელს გარდაიცვალა. იგი სიკვდილამდე ქალწულად დარჩა, მსგავსად თავისი მოძღვრისა. წმინდა ტიტეს ხსენება 25 აგვისტოს აღესრულება.

კრეტელი ქრისტიანების შესახებ. კრეტას ეკლესიის დაარსება. ტიტეს მიმართ ეპისტოლე, რა თქმა უნდა, კრეტელი ქრისტიანებისთვისაც არის დაწერილი, რომელთა ეპისკოპოსადაც ის იყო დადგინებული. კუნძული კრეტა, ანუ კანდია, თავისი სიდიდისა და ნაყოფიერების გამო ხმელთაშუა ზღვის „კუნძულთა დედოფლად" იყო წოდებული. ის ძველად ხალხმრავლობით გამოირჩეოდა და განთქმული იყო სავაჭრო ურთიერთობებითა და სანიმუშო კანონმდებლობით. ბერძნული რესპუბლიკების დაცემით კრეტაშიც დაიწყო იგივე პროცესი. ქრისტესშობამდე 69 წელს რომაელმა კონსულმა მეტელუსმა კრეტა რომის პროვინციად აქცია. გაცხოველებულმა სავაჭრო ურთიერთობებმა კრეტაზე მრავალი დაბალზნეობრივი ადამიანი მიიზიდა სარგებლის მოხვეჭის მიზნით. შედეგად, ზნეობა დაეცა, რაც გარყვნილებასა და ტყუილისადმი მიდრეკილებაში გამოიხატებოდა და ეს იმდენად, რომ ბერძნებში გამოთქმა – „კრეტული საუბარი" – სიტყვა „მოტყუების" სინონიმად იქცა. ჯერ კიდევ ძველი პოეტი, ეპიმანიდე – კრეტის მკვიდრი, აღნიშნავდა თავის თანამემამულეთა ამ თვისებას, ხოლო პავლე მოციქულმა მისი სიტყვების ჭეშმარიტება, ტიტეს მიმართ თავის ეპისტოლეში დაადასტურა (იხ. 1, 12, 13). კრეტის მცხოვრებთა შორის ბევრი იუდეველიც იყო, ვინც იქ ვაჭრობამ მიიზიდა.

ზუსტად როდის გავრცელდა კრეტაზე ქრისტიანობა, ჩვენთვის უცნობია. „საქმე მოციქულთა“-დან (2, 11) ჩანს, რომ სულიწმიდის გარდამოსვლის სასწაულის მოწმეთა შორის კრეტელებიც იყვნენ, რომელნიც მოციქულთა შთამაგონებელ ქადაგებას თავის მშობლიურ ენაზე ისმენდნენ. უეჭველად, სწორედ ისინი იყვნენ თავის ქვეყანაში ქრისტიანობის პირველი მახარებლები. სავსებით შესაძლებელია, რომ კრეტაზე ქრისტიანობის მთავარი მქადაგებელი ტიტე ყოფილიყო, თუმცა იქ ქრისტეს ეკლესიის მყარი დაფუძნება, როგორც ტიტეს მიმართ ეპისტოლედან ჩანს, პავლე მოციქულს ეკუთვნის. კრეტაზე იგი თავისი პირველი პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ მოხვდა, თავისი მეოთხე სამოციქულო მოგზაურობისას. მან ყველა ქალაქში დააარსა ეკლესიები, მაგრამ ყველგან ვერ მოასწრო ხუცესების დადგინება და ეს საქმე ტიტეს მიანდო (1, 5). ტიტეს თანაშემწეთა და თანამუშაკთა შორის იყვნენ „ზინან შჯულისმწერალი“ და თავისი ცოდნითა და მახვილსიტყვაობით ცნობილი აპოლო (3, 13).

ეპისტოლეს დაწერის დრო და ადგილი. *წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს:* „ვგონებ, რომ წმინდა მოციქული ამ ეპისტოლეს პირველ და მეორე პატიმრობებს შორის წერდა. ეს ეპისტოლე, ვფიქრობ, ტიმოთეს მიმართ მეორე ეპისტოლეს წინ უსწრებს, რამეთუ ის მან სიცოცხლის ბოლოს, პატიმრობაში დაწერა, ეს კი მაშინ, როცა პატიმრობიდან (პირველი) თავისუფალი იყო“. პავლე მოციქული პირველი პატიმრობიდან 64 წელს გაათავისუფლეს. იგი მაშინვე თავის მეორე მოგზაურობაში წავიდა და მაშინ ეწვია კრეტას. როცა ის მერე მცირე აზიაში გაემგზავრა იმ ეკლესიების მოსანახულებლად, რომელთა ბედზეც პირველი რომაული პატიმრობისას ბევრს ფიქრობდა, მალე თავისი თანაშემწის, ტიტეს, დახმარების

საჭიროება იგრძნო და იგი თავისთან, ნიკოპოლში, გამოიძახა, სადაც გამოზამთრებას აპირებდა **(ტიტ. 3, 12)**. ამგვარად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტიტეს მიმართ ეპისტოლე 64 წელს რომელიმე მცირეაზიურ ქალაქშია დაწერილი. *წმინდა ათანასე* და *ნეტარი იერონიმე* ვარაუდობენ, რომ ეს ქალაქი სწორედ კილიკიის ნიკოპოლი იყო.

ეპისტოლეს დაწერის მიზეზი და მიზანი. კრეტის ქრისტიანული თემი თავისი შემადგენლობით ძალზე მრავალეროვანი იყო. ეს განსხვავებულობა, ზნეობრივი დაცემა, ანდაზად ქცეული სიცრუისმოყვარეობა, სიზარმაცე და ანგარებისმოყვარეობა, აგრეთვე, იუდეველებისათვის ყველგან დამახასიათებელი ცდომილებანი, რომლითაც ისინი ქრისტიანულ საზოგადოებას აღელვებდნენ, – ყოველივე ეს სამწყემსო ზრუნვისათვის დიდ სიძნელეებს ქმნიდა. გარდა ამისა, ტიტე თვითონ იყო კრეტელი და მისი საქმიანობისათვის განსაკუთრებული ავტორიტეტი უნდა მიენიჭებინათ. ეპისტოლე ტიტესთვის აუცილებელ წერილობით სახელმძღვანელოს წარმოადგენდა, იმ ზეპირ დარიგებათა დამატებით, რომლითაც ის წმინდა პავლემ დამოძღვრა. ცხადია, მოციქულისგან წერილობითი დარიგების მიღების შემდეგ ტიტე უფრო გაბედულად და გადაჭრით იმოქმედებდა, რადგან დაეყრდნობოდა მოციქულის ეპისტოლეს ავტორიტეტს.

ეპისტოლეს შინაარსი და დაყოფა. ტიტეს მიმართ ეპისტოლე სულ სამ თავს შეიცავს. ეპისტოლეში ცხადად გამოიყოფა შემდეგი ოთხი ნაწილი:

1) წინასიტყვაობა ზედწარწერითა და მისალმებით (1, 1-5);

2) დარიგებანი ეკლესიის მოძღვართა არჩევის შესახებ (1, 6-16);

3) დარიგებანი მოძღვრის სამოძღვრო საქმიანობასთან დაკავშირებით (2-3, 1-11);

4) ბოლოსიტყვაობა, რომელიც მოციქულის განკარგულებებს, მოკითხვასა და კურთხევას შეიცავს (3, 12-15).

ეპისტოლეს ეგზეგეტიკური გარჩევა. ტიტეს მიმართ ეპისტოლე ჩვეული ზედწარწერით იწყება, რომელიც ამ ეპისტოლეში განსაკუთრებით საზეიმო და ბევრად უფრო ვრცელია, ვიდრე სხვა ეპისტოლეებში. თავისი განვრცობითა და აზრებით ის რომაელთა და გალატეელთა მიმართ ეპისტოლეების ზედწარწერებს გვაგონებს. ამით მოციქულს სურდა, რომ ეპისტოლეს საგნის მნიშვნელობისათვის განსაკუთრებით გაესვა ხაზი. მოციქული ტიტეს ქებით უწოდებს ***„ერთგულსა შვილსა ზოგადისაებრ სარწმუნეობისა“*** (მუხ. 4), ანუ თავის ნამდვილ ჭეშმარიტ შვილს, რომელსაც უცვლელად უპყრია ის წმინდა სარწმუნოება, რომელიც მას წმინდა პავლემ ასწავლა. წინასიტყვაობა მთავრდება განცხადებით, რომ მოციქულმა იმისთვის დატოვა ტიტე კრეტაზე, ***„რაჲთა ნაკლულევანი იგი*** განაგოს ***და დაადგინოს ქალაქად-ქალაქად ხუცესნი“*** (მუხ. 5).

შემდეგ პირველ თავში მოციქული ტიტეს ურჩევს, რომ სამღვდელო კანდიდატების შერჩევისას განსაკუთრებით ფრთხილი იყოს, რადგან კრეტაზე ბევრი ურჩი, უქმისმეტყველი და მატყუარაა. მოციქული იმ თვისებებსაც ჩამოთვლის, რომლითაც სამღვდელო კანდიდატები უნდა ხასიათდებოდნენ: ***„რომელი იყოს უბრალო, ერთის ცოლისა ქმარ, შვილნიმცა უსხენ მორწმუნენი, ნუმცა შესმენილ არიან ბილწებისათჳს გინა ურჩებისა“*** (მუხ. 6), – „უბრალოებაში“, აქ უნაკლო და მორიდებული ქცევა იგულისხმება. „ერთი ცოლის ქმარი“ ნიშნავს – არაორცოლიანი. ამ მოთხოვნის შესახებ *წმინდა იოანე*

ოქროპირი ასე საუბრობს: „რატომ წარადგენს მოციქული სამღვდელო კანდიდატად ასეთ ადამიანს? – იგი იმ მწვალებლების ბაგეებს ახშობს, რომლებიც ქორწინებას გმობდნენ და აჩვენებს, რომ ეს საქმე არანაირად გასაკიცხი არ არის, არამედ იმდენად პატიოსანია, რომ დაქორწინებულისთვის სამღვდელო საყდარზე ასვლაც კი შეიძლება; ამასთან, იგი თავშეუკავებელ ადამიანებს კიცხავს და მათ უფლებას არ აძლევს, რომ მეორე ქორწინების შემდეგ ეს ხარისხი მიიღონ... თქვენ იცით, რომ თუმც კანონებით მეორე ქორწინება აკრძალული არ არის, მაგრამ ეს საქმე მრავალი საყვედურის ღირსია. მოციქულს კი სურს, რომ ხელმძღვანელმა დაქვემდებარებულებს საყვედურის არანაირი საბაბი არ მისცეს“.

„შვილნიმცა უსხენ მორწმუნენი“ (ესე იგი, მორწმუნე ქრისტიანები და არა წარმართნი ან უღმერთონი), ***ნუმცა შესმენილ არიან ბილწებისათჳს გინა ურჩებისა“,*** – მღვდლების შვილები უკეთურად არ უნდა იქცეოდნენ. *წმინდა იოანე ოქროპირი* ამბობს: „რამეთუ, ვინც თავის შვილს ვერ ასწავლის, მან სხვას როგორ უნდა ასწავლოს?“ *ნეტარი იერონიმე* აღნიშნავს, რომ შვილების ბიწიერებამ შესაძლოა, მამების მასწავლებლობის წარმატებას დაუდოს ზღვარი და საერთოდ შეწყვიტოს. „რამეთუ, როგორ უნდა ვამხილოთ სხვისი შვილები და მართალი გზა ვასწავლოთ, – *ამბობს იგი,* – როცა მხილებულს შეუძლია, გვითხრას: „ჯერ შენსას ასწავლე“. შემდეგ მოციქული უარყოფით თვისებებს ჩამოთვლის, რომელიც ეპისკოპოსს არ უნდა ჰქონდეს (აქ „ეპისკოპოსებში“ ეპისკოპოსებთან ერთად მღვდლებიც უნდა ვიგულისხმოთ, რამეთუ მოციქულთა დროს ეს ტერმინები ჯერ კიდევ არ იყო მკაცრად გამიჯნული). ***„რამეთუ ჯერ-არს ეპისკოპოსისა უბიწო ყოფაჲ, ვითარცა ღვთისა მნისაჲ, ნუ თავჯედ, ნუ გულ-მწყრალ, ნუ მოღჳნე, ნუ მოლალე, ნუ საძაგელის***

შემძინელ“* (მუხ. 7),** – „ღვთის მნე“ იმასვე ნიშნავს, რასაც „ეკონომოსი“, „განმგებელი“ ან სახლის მმართველი. *ნეტარი იერონიმეს ვარაუდით,* აქ პავლე მოციქულს მხედველობაში ჰქონდა უფლის იგავი „სარწმუნო მნის“ შესახებ **(ლუკა, 12, 42).** „უბიწო ყოფა“, – ესე იგი, ეპისკოპოსი არ უნდა იყოს თვითნება, ანუ ყველაზე მაღლა არ უნდა აყენებდეს საკუთარ ნებასა და პირად, ეგოისტურ ინტერესებს. ***„ნუ თავჯედ, ნუ გულ-მწყრალ, ნუ მოღვნე, ნუ მოლალე“, – ყოველივე ეს არ არის დამახასიათებელი კეთილი მწყემსისა და სახლის განმგებლისათვის, ასეთ თვისებებს უფლის იგავიც კიცხავს **(ლუკა, 12, 45).** ***„ნუ საძაგელის შემძინელ“,*** – აქ არამარტო უპატიოსნება იკრძალება, არამედ გამდიდრების ყოველგვარი სურვილი, რაც ქრისტეს ეკლესიის მსახურისათვის, რომელიც მოციქულებს უნდა ბაძავდეს და არანაირ მატერიალურ სარგებელს ეძიებდეს, ყოვლად შეუფერებელია; იგი მხოლოდ აუცილებელით უნდა კმაყოფილდებოდეს – საკვებითა და შესამოსელით **(1 ტიმ. 6, 8).** ამის შემდეგ ჩამოთვლილია ის დადებითი თვისებები, რომელიც მღვდლობის კანდიდატს მოეთხოვება.

„არამედ სტუმრის მოყუარე, კეთილის მოყუარე, წმიდა, მართალ, ღირს, მოთმინე“ (მუხ. 8), – სტუმართმოყვარეობა განსაკუთრებით ფასობდა სარწმუნოების დევნილობისას. „კეთილის მოყვარეს“ მოციქული უწოდებს მშვიდს, წყნარს, არავის აღმაშფოთებელს, არაშურიანს“ *(ნეტარი თეოფილაქტე);* „წმინდა“, – ესე იგი, ხორციელი ცოდვებისაგან სუფთა, რაც ქორწინებაშიც არის შესაძლებელი. ცოლ-ქმარს მოეთხოვებათ ერთმანეთის ერთგულება და სარეცელით ზომიერად სარგებლობა; უქორწინებელთ კი – არამხოლოდ სხეულის, არამედ გულისთქმათა სიწმინდეც. ***„მართალ“,*** – ესე იგი, ადამიანთა მიმართ პირუთვნელი. ***„ღირს“,*** – ესე იგი, ღვთის

მოშიში და სიწმინდის წინაშე კეთილკრძალული. *„მოთმინე“*, – ესე იგი, თავშეკავებული არამხოლოდ ხორციელი ვნებისა და ცოლის ალერსისაგან, არამედ ყველა სულიერი ვნებისგანაც: არ განრისხდეს, არ ჩავარდეს მწუხარებაში, შიშისგან არ დაითრგუნოს და უზომო სიხარულმა არ გაიტაცოს“ *(ნეტარი იერონიმე)*.

შემდეგ მოციქული მიუთითებს, თუ როგორი მასწავლებელი უნდა იყოს მღვდელმსახური: ***„თავს-მდებელ მსგავსად მოძღურებისა მის, სარწმუნეობისა სიტყვსა“***, – ანუ შეურყვნელი ქრისტიანული სწავლებისა, ***„რაჲთა შემძლებელ იყოს ნუგეშინის-ცემადცა მოძღურებასა მას შინა სიცოცხლისასა და სიტყვს-მგებელთა მათ მამხილებელ“*** (მუხ. 9), – ღირსეულმა მოძღვარმა არამხოლოდ ბრწყინვალედ უნდა იცოდეს ქრისტიანული სარწმუნოების ყველა დოგმატი, არამედ მათი „თავს-მდებელიც“ უნდა იყოს, ანუ იცავდეს მათ, უფრთხილდებოდეს საკუთარ სიცოცხლესავით და სხვებსაც შეაგონებდეს; არამხოლოდ ქრისტიანული სარწმუნოების ყველა ძირითად ჭეშმარიტებას ასწავლიდეს, არამედ – მათ სიყვარულსა და პატივისცემასაც. მწყემსი არ უნდა იყოს გონებით მერყევი. გარდა იმისა, რომ თავად უნდა იცოდეს ქრისტიანული სარწმუნოების მთელი მოძღვრება, უნდა შეეძლოს, ასევე, სხვებსაც ნათლად და გასაგებად გადასცეს ის მთელი დამაჯერებლობით. ამასთან, უნდა შეეძლოს ქრისტიანული სარწმუნოების მტრების მოგერიება და მათგან თავისი სამწყსოს დაცვა. აღნიშვნის ღირსია, რომ მოციქულმა ჩამოთვალა რა მღვდლობის კანდიდატისთვის საჭირო თვისებები, „მოძღვრობა“ (მასწავლებლობა) ბოლოს დააყენა. ეს იმიტომ, რომ მღვდელმსახურში მოძღვრობა ყველა კეთილ თვისებას აგვირგვინებს და მის გამორჩეულ ნიშანს წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით *წმინდა იოანე ოქროპირი*

ამბობს: „სხვა თვისებები, როგორიცაა: სიწმინდე, შვილების მორჩილად აღზრდა, სტუმართმოყვარეობა, სამართლიანობა, კეთილმსახურება, – ყველაფერი ეს შეიძლება, დაქვემდებარებულებშიც მოვიძიოთ, მაგრამ ეპისკოპოსსა და ხუცესს განსაკუთრებით ის გამოარჩევს, რომ ერს მოძღვრავენ". შემდეგ მოციქული განმარტავს, თუ რატომ უნდა იყოს ტიტე ფრთხილი მღვდელმსახურთა არჩევის დროს და კრეტელებს პოეტ ეპიმენიდეს სიტყვებით ახასიათებს (ეპიმენიდე კუნძულ კრეტაზე ცხოვრობდა ქრისტესშობამდე 658 წელს): ***„კრიტელნი მარადის მტყუვარნი, მჭეცნი ბოროტნი, მუცელნი უქმნი"*** (მუხ. 12).

„ნუ ერჩიედ ჰურიაებრთა ზღაპართა" (მუხ. 14), – როგორც *ნეტარი თეოდორიტე განმარტავს:* „მოციქულმა იუდეველთა (ჰურიათა) „ზღაპარი" უწოდა არა თვით რჯულს, არამედ იუდეველთა მიერ რჯულის განმარტებას". ამ „ზღაპარში" შეიძლება ვიგულისხმოთ ის აზრი, რომელიც ქრისტიანობაზე მოქცეულ იუდეველებში დიდხანს მკვიდრობდა და უკავშირდებოდა წინადაცვეთას, შაბათს, ნებადართული და აკრძალული საკვების სახეობას და, ზოგადად, მოსეს რჯულის ყველა წეს-ჩვეულებითი განწესებების დაცვის აუცილებლობას. სწორედ აქედან გამომდინარე განაგრძობს შემდგომ მოციქული: ***„ყოველივე წმიდა არს წმიდათათჳს; ხოლო შეგინებულთათჳს და ურწმუნოთა არარაჲ არს წმიდა, არამედ შეგინებულ არს მათი გულიცა და გონებაჲცა"*** (მუხ. 15). ჯერ კიდევ იესო ქრისტე ამბობდა: ***„არათუ პირით შემავალი შეაგინებს კაცსა, არამედ პირით გამომავალი შეაგინებს კაცსა"*** (მათ. 15, 11). იმავე აზრს იმეორებს აქ მოციქული და ამტკიცებს, რომ არაფერი თავისთავად უწმინდური არ არის, არამედ უწმინდური გული და გონება აქცევს ყოველივეს უწმინდურად, ამიტომ მხოლოდ იმაზე უნდა ვზრუნავდეთ, რომ

სული რაიმეთი არ შეურაცხვყოთ. მე-16 მუხლი უეჭველად იმ იუდეველებს ამხელს, რომლებიც იქადიან იმით, რომ „ღმერთი იციან“, მაგრამ ცხოვრებაში, საქმით, ღვთის რჯულს არ აღასრულებენ.

მეორე თავიდან დარიგებები იწყება, – თუ რა და როგორ უნდა ასწავლოს მოძღვარმა მორწმუნეებს. მოციქული ამბობს, რომ მოხუცებულთ უნდა მოვუწოდოთ სიდინჯისა და სარწმუნოებაში სიჯანსაღისაკენ; მოხუც დედებს – შესაფერისი ჩაცმულობისაკენ, აგრეთვე, ცილისწამებისა („ჭორაობა“) და ზედმეტი ღვინისაგან თავშეკავებისაკენ. ასევე, მათი ვალია ყმაწვილქალებს ასწავლონ ქმრებისა და შვილების სიყვარული, და უბიწოების დაცვა. რაც შეეხება ჭაბუკებს, მოძღვრებმა ისინი სიწმინდეში თავის შესანახად უნდა აღძრან, რათა ამით ქრისტიანობის მოწინააღმდეგენი შეარცხვინონ. მოციქული ტიტეს განსაკუთრებით სთხოვს, რომ მან მონებს შეაგონოს თავიანთი ბატონებისადმი მორჩილება და ყოველივეში ქრისტეს სწავლებასთან თანახმიერი ცხოვრება. დარიგებათა შორის, მოციქული შეხსენებას ურთავს იმის თაობაზე, რომ მასწავლებელი თავისი ცხოვრების წესით სხვათათვის სამაგალითო უნდა იყოს (მუხ. 1-10). ყოველივე ამის ჩამოთვლის შემდეგ, მოციქული შეაგონებს, რომ განკაცებული ძე ღვთისას მიერ აღსრულებული სულის საცხონებელი განგებულების მთელი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ შეიტანოს ახალი საწყისი ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში: ***„რამეთუ გამოჩნდა მადლი იგი ღვთისაჲ მაცხოვრად ყოველთა კაცთა სამოძღურებელად ჩუენდა, რაჲთა უარ-ვყოთ უღმრთოებაჲ და სოფლისა გულის თქუმაჲ, სიწმიდით და სიმართლით და ღვთის მსახურებით ვცხოვნდებოდით ამას სოფელსა“*** (მუხ. 11-12), – ამ „მადლის“ ქვეშ შეიძლება მოვიაზროთ ყველა მადლმოსილ ნიჭთა ერთობლიობა, რომე-

ლიც გვებოძა ქრისტეს გამომსყიდველობითი დამსახურებების ძალით. მადლის გამოჩინების მიზანია, გვასწავლოს, უარვყოთ უწმინდურება *(„ულმრთოებაჲ და სოფლის გულის თქუმაჲ“)* და ვიცხოვროთ კეთილმსახურებით *(„სიწმიდით და სიმართლით და ღვთის მსახურებით“).* ამ სიტყვებით ძლიერ იმხილება პროტესტანტიზმის ცრუმოძღვრება, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ რწმენით (კეთილ საქმეთა გარეშე) ცხონებას. აქ წმინდა მოციქული ნათლად გამოხატავს აზრს იმის შესახებ, რომ საღვთო განგებულების მთელი მიზანი ადამიანთა მიწიერი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარდაქმნაა და არამხოლოდ ცხონების დამამშვიდებელი იმედის მიცემა უფლის გამომსყიდველობითი დამსახურებების რწმენის გამო.

„და მოველოდით ნეტარსა მას სასოებასა და გამოჩინებასა დიდებასა დიდისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა“ (მუხ. 13), – დიდების გამოჩენა „დიდისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი“ – ეს არის მისი მეორედ მოსვლა. მადლის გამოჩენამ ადამიანებს დიდების გამოჩენის ლოდინი ასწავლა. ორივე ეს გამოჩენა ისეა ერთმანეთთან გადაჯაჭვული, რომ ვისთვისაც პირველი დადგა, იგი სულით მეორესაც ხედავს. აი, რატომაც ცხოვრობდნენ პირველი ქრისტიანები მეორედ მოსვლის დაძაბული მოლოდინით, და ახლა, სარწმუნოების მოკლების გამო, რატომაც გაფერმკრთალდა თანამედროვე ქრისტიანთა შეგნებაში ეს მოლოდინი. ზოგიერთები კი ამჟამად სრულიად უარყოფენ მეორედ მოსვლის რეალობას და ცდილობენ, ალეგორიული ახსნა მისცენ მას. წმინდა მოციქულის ზემოთ მოყვანილი სიტყვები კიდევ იმით არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ ისინი აშკარად მეტყველებს ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს საღვთო ღირსებაზე: აქ მას პირდაპირ ეწოდება „დიდი

ღმერთი", – *„რომელმან-იგი მისცა თავი თჳსი ჩუენთჳს, რაჲთა მიჳსნნეს ჩუენ ყოვლისაგან ურჩულოებისა და განმწმიდნეს თავისა თჳსისა ერად მოგებულად, მობაძავად კეთილთა საქმეთა"* (მუხ. 14). ეს სიტყვები უფრო მეტი ძალით გამოხატავს მოციქულის წინა აზრს იმის შესახებ, რომ უფალ იესო ქრისტეს სარწმუნოების მიერ ცხონებისათვის აუცილებელია კეთილ საქმეთა ქმნა. ქრისტეს გამომსყიდველობითი ღვაწლის მიზნად აქ დასახულია, გვყოს ჩვენ კეთილ საქმეებში მიმბაძველად *(„მობაძავად კეთილთა საქმეთა")* და ამით ღვთის ერად გვაქციოს *(„თავისა თჳსისა ერად მოგებულად")*, – ანუ, ერთგვარ ღვთის სულიერ წილხვედრად, როგორიც ისრაელის ერი იყო ძველ აღთქმაში. აქედან ცხადია, რომ მხოლოდ ქრისტეს რწმენა ვერ გვაცხოვნებს. მოციქული შეაგონებს ტიტეს, რომ მან ამის შესახებ მოუღლელად იქადაგოს *„ყოვლითა ბრძანებითა"*, რათა არავინ შეურაცხყოს იგი სიტყვაში დაუდევრობის გამო იმ შემთხვევაში, თუკი არავისგან მხილებული ურჯულონი, ღიად დაიწყებენ უწესობის ქმნას (მუხ. 15).

მესამე თავში განაგრძობს დარიგებებს და წმინდა მოციქული წმინდა ტიტეს შეაგონებს, რომ მან კრეტელებს მათი სამოქალაქო ვალდებულებები და ხელისუფლებისადმი მორჩილება შეახსენოს და აგრეთვე ის, რომ *„ყოვლისა მიმართ საქმისა კეთილისა განმზადებულ იყვნენ"* (მუხ. 1-2). იმის შეგნებით, რომ ქრისტეს მოსვლამდე ადამიანებს სათნოებებით ცხოვრება უჭირდათ, მოციქული კრეტელ ქრისტიანებს კვლავ საღვთო განგებულების დიდი საქმის შესახებ აზრით აღფრთოვანებს: *„ხოლო რაჟამს სიტკბოებაჲ და კაცთ მოყუარებაჲ გამოჩნდა მაცხოვრისა ჩუენისა ღვთისაჲ, არა საქმეთაგან სიმართლისათა, რომელნი-იგი ვქმნენით ჩუენ, არამედ წყალობითა თჳსითა მიჳსნნა ჩუენ, ბანითა მით*

მეორედ შობისაჲთა, განახლებითა სულისა წმიდისაჲთა“ (მუხ. 3-5). ***„რომელი-იგი მოჰფინა ჩუენ ზედა მდიდრად იესუ ქრისტეს მიერ, მაცხოვრისა ჩუენისა“*** (მუხ. 6), – აქ ცხონებისათვის კეთილ საქმეთა უსარგებლობა კი არ უნდა დავინახოთ, როგორც პროტესტანტები და სექტანტები ფიქრობენ, არამედ პირიქით: აქ იმაზეა მითითება, რომ ქრისტიანებისთვის მიუტევებელია ძველებურ, ცოდვით მდგომარეობაში დარჩენა მას შემდეგ, რაც უფალმა სულიწმიდით მათი განახლება (ფერისცვალება) გადაწყვიტა. ქრისტიანები ახალი, წმინდა ცხოვრებისათვის არიან მოწოდებულნი და ამისათვის მათ საკმარისად აქვთ ყველა საჭირო მადლმოსილი საშუალება. ღმერთმა იესო ქრისტეს მიერ ჩვენი ცხონების საქმე მოაწყო ჩვენი მონაწილეობის გარეშე, ჩვენი მხრიდან რაიმე კეთილ საქმეთა და დამსახურებათა გარეშე, მაგრამ ამ ცხონების შეთვისება ჩვენ სხვაგვარად არ შეგვიძლია, თუ არა ჩვენი პირადი შრომით, კეთილ საქმეთა პირადი ღვაწლით და ყოველივე ამაში ჩვენთვის ბოძებული ღვთის მადლის შეწევნით. მე-5 მუხლში მოყვანილ სიტყვებში: ***„ბანითა მით მეორედ შობისაჲთა“***, – ნათლობის საიდუმლო იგულისხმება, რომელშიც ადამიანი, თითქოსდა, ხელახლა იბადება, ხოლო სიტყვები: ***„განახლებითა სულისა წმიდისაჲთა“***, – აღნიშნავს სულიწმიდის გარდამოსვლის მეორე საიდუმლოს, რომელიც მოციქულთა დროში ხელდადებით აღესრულებოდა, ამჟამად კი – მირონცხებით.

„რაჲთა განვმართლდეთ მადლითა მით მისითა და მკვდრ ვიქმნნეთ სასოებასა მას ცხორებისა საუკუნოჲსასა“ (მუხ. 7), – ეს ნიშნავს: „ღვთის მადლის შეწევნით მართლები გავხდებით და საუკუნო ცხოვრებას დავიმკვიდრებთ“, და არა იმას, რომ მადლი თვითონ გაგვამართლებს, ავტომატურად, ჩვენი პირადი ძალისხმევის გარეშე, როგორც ამ ადგილს

დამახინჯებულად განმარტავენ სექტანტები. სხვაგვარად, ასე დაბეჯითებით არ მოგვიწოდებდა წმინდა პავლე მოციქული ცხოვრების გამოსწორებისაკენ, როგორც ამას შემდგომში აკეთებს: ***„სარწმუნო არს სიტყუაჲ; და მათთჳსცა მნებავს შენდა განმტკიცებად, რაჲთა ზრუნვიდენ კეთილთა საქმეთა ზედა დგომად მორწმუნენი ღვთისანი: რამეთუ ესე არს კეთილ და სარგებელ კაცთა“*** (მუხ. 8), – აქაც, კვლავ პროტესტანტთა სამხილებლად, სიკეთის ქმნისაკენ დაბეჯითებული მოწოდებაა.

მოციქული გვირჩევს, გავერიდოთ დავასა და კამათს, და ***„მწვალებელსა კაცსა შემდგომად ერთისა და ორისა სწავლისა“*** განვეშოროთ, თუკი ის ჯიუტად ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას და ამით აჩვენებს, რომ საბოლოოდ გაიხრწნა: ***„გარდაგულარძნილ არს“*** (მუხ. 9-11). ეპისტოლე მთავრდება მოციქულის განკარგულებებით, მოკითხვითა და კურთხევით.

ეპისტოლე ფილიმონის მიმართ

ცნობები წმინდა ფილიმონის შესახებ. პავლე მოციქულის საყვარელი მოწაფე ფილიმონი **(ფილიმ. თავ. 1)** ქალაქ კოლასეს მდიდარი და ცნობილი მოქალაქე იყო. პავლე მოციქულის თქმით, ***„თავიცა შენი თანა-გაც ჩემდა“*** (მუხ. 19), ესე იგი, მის მიერ იყო მოქცეული ქრისტეს სარწმუნოებაზე კოლასეში ან ეფესოში, – პავლე მოციქულის ხანგრძლივი ყოფნის დროს (კოლასეს და ეფესოს მჭიდრო სავაჭრო და ადმინისტრაციული ურთიერთობები აკავშირებდა). მას შემდეგ, რაც ქრისტე ირწმუნა, ფილიმონი მთელ საზოგადოებაში სამაგალითო ცხოვრებით ცხოვრობდა. ქრისტიანული ცხოვრების ყველა ღვაწლისას, ფილიმონის უახლოესი თანაშემწე აპფია იყო, მისი ცოლი *(წმინდა იოანე ოქოპირის მიხედვით)*, რომელსაც პავლე მოციქული მიესალმება როგორც საყვარელ დას. მისი თანაშემწე იყო აგრეთვე, არქიპო, – როგორც ვარაუდობენ, მათი ძე, რომელსაც პავლე მოციქულმა პატივი მიაგო წოდებით – „თანამოსაგრე ჩვენი“. *წმინდა იოანე ოქროპირის აზრით,* მათი სახლი ყველა წმინდანის თავშესაფარს წარმოადგენდა და წმინდა პავლეც მოწმობს, რომ ***„ნაწლევნი წმიდათანი განსუენებულ არიან შენთჳს“*** (მუხ. 7). იმის საფუძველზე, რომ მოციქული ფილიმონის სახლს „სახლის ეკლესიას“ უწოდებს, ვარაუდობენ, რომ იქ ნამდვილად იყო ეკლესია, სადაც მსახურებას ფილიმონი და არქიპო აღასრულებდნენ, როგორც სამღვდელო ხარისხის პირები. როგორც ჩანს, კოლასეს ეკლესიის მართვაში ფილიმონი ეხმარებოდა ეპაფრაისს, კოლასეს ეპისკოპოსს და მისი არყოფნისას მას ცვლიდა. გადმოცემით, ფილიმონი მოგვიანებით თავად გახდა კოლასეს ეპისკოპოსი (მოციქულთა განწესე-

ბანი 7, 49) და აპფიასა და არქიპოსთან ერთად მოწამეობრივად აღესრულა. ფილიმონი წარმართთა ბრბომ გათელა. მათი ხსენება 19 თებერვალს და 22 ნოემბერს აღინიშნება. სხვა გადმოცემით, წმინდა არქიპო კოლასეს ეპისკოპოსი იყო, ფილიმონი – ღაზის.

ეპისტოლეს დაწერის მიზეზი. ფილიმონის მიმართ ეპისტოლე პავლე მოციქულმა მისი მონის, ონისიმეს გამო დაწერა, რომელსაც თავისი ბატონის წინაშე გარკვეული დანაშაული მიუძღვოდა (მუხ. 11, 18). სასჯელის შიშით, იგი თავის ბატონს გამოექცა და რომში ჩავიდა, სადაც იმ დროს პავლე მოციქული იყო დაპატიმრებული. რადგან რომში თავისი პირველი პატიმრობისას, წმინდა პავლეს საშუალება ჰქონდა დაუბრკოლებლად ექადაგა **(საქმ. 28, 31),** მან სხვებთან ერთად ქრისტეს სარწმუნოებაზე ონისიმეც მოაქცია. მოციქულმა იმდენად შეიყვარა ონისიმე, რომ თავისთან მისი დატოვებაც კი გადაწყვიტა, მაგრამ შემდეგ უმჯობესად მიიჩნია ფილიმონისთვის მისი დაბრუნება და სთხოვა მას, მიეღო იგი როგორც ***„ნაწლევი“*** (გული) მისი (მუხ. 12). მთელი ეს ეპისტოლე იმისკენ არის მიმართული, რომ სრულიად შეარიგოს ბატონი თავის მონასთან და, რომ ფილიმონმა გაქცეული ონისიმე შეიწყნაროს უკვე ***„არღარა ვითარცა მონაჲ, არამედ უფროჲსღა მონისა, საყუარელი ძმაჲ“*** (მუხ. 16).

ეპისტოლეს დაწერის დრო და ადგილი. ფილიმონის მიმართ ეპისტოლე, როგორც კოლასელთა მიმართ ეპისტოლედან ჩანს (4, 7-9), ამ უკანასკნელთან ერთად არის დაწერილი და გაგზავნილი, შესაბამისად – 61 ან 62 წელს. თვით ფილიმონის მიმართ ეპისტოლედან კი ჩანს (მუხ. 1, 10, 23), რომ პავლე მოციქული ამ დროს პატიმრობაში იმყოფებოდა

ხოლო, რადგან იგი მალე გათავისუფლებას იმედოვნებდა და, ამასთან, სთხოვდა, რომ მისთვის კოლასეში ბინა გაემზადებინა (მუხ. 22), ცხადია, რომ ეს მისი პირველი პატიმრობა იყო რომში, სადაც დაიწერა კიდეც ეს ეპისტოლე.

ეპისტოლეს ეგზეგეტიკური გარჩევა. ფილიმონის მიმართ ეპისტოლე მხოლოდ ერთ თავს შეიცავს, რომელიც 24 მუხლისგან შედგება. ეპისტოლე იწყება შესავლით. პირველ 9 მუხლში, სადაც პავლე მოციქული მას შემდეგ, რაც თავისი და ტიმოთეს სახელით ესალმება ფილიმონს, აპფიასა და არქიპოს და მათ მადლსა და მშვიდობას უსურვებს, იგი ფილიმონის ღვთისმსახურების გამო თავის სიხარულს გამოხატავს და ამბობს, რომ თუმც თამამად შეეძლო მისთვის ებრძანებინა, მაგრამ სიყვარულის გამო ამჯობინებს, სთხოვოს. ეს თხოვნა მე-10–მე-12 მუხლებში გადმოიცემა. მოციქული აქ ფილიმონს ონისიმეს მიღებას სთხოვს, რომელიც მან პატიმრობაში *„შვა“* და, რომელიც ოდესღაც მისთვის *„უხმარ“* იყო. მე-13–მე-21 მუხლებში მოციქულს ონისიმეს სასარგებლო არგუმენტები მოჰყავს:

ა) მოციქულმა იმდენად შეიყვარა მის მიერ მოქცეული ონისიმე, რომ თავისთან მისი დატოვებაც კი განიზრახა, რომ იგი მას დახმარებოდა და მომსახურებოდა, მაგრამ თავი შეიკავა, რათა ფილიმონის კეთილი საქმე ნებაყოფლობითი ყოფილიყო და არა – იძულებითი (მუხ. 13, 14);

ბ) ონისიმესა და ფილიმონის განშორებაში მოციქული ღვთის განგებას ხედავს, რამეთუ ონისიმეს გაქცევამ შედეგად მოციქულთან რომში მისი შეხვედრა და ქრისტიანობაზე მოქცევა გამოიწვია. ონისიმე თითქოსდა იმისთვის განეშორა ბატონს დროებით, რათა შემდეგ მას იგი *„საუკუნოდ“* მიეღო, მაგრამ უკვე არა როგორც მონა, არამედ – *„საყუარელი ძმად“* (მუხ. 15, 16);

გ) წმინდა მოციქულმა იმდენად შეიყვარა მის მიერ მოქცეული ონისიმე, რომ თუ ფილიმონი პავლე მოციქულთან ურთიერთობას უფრთხილდება, მაშინ მან ონისიმე იმგვარად უნდა მიიღოს, როგორც თავად პავლეს მიიღებდა (მუხ. 17);

დ) თუკი ონისიმემ ფილიმონს რაიმე მატერიალური ზიანი მიაყენა, მოციქული ჰპირდება მის ანაზღაურებას და ამბობს, რომ ფილიმონი მისი მოვალეა ***(„თავიცა შენი თანა-გაც ჩემდა“)***, მხედველობაში აქვს ის, რომ წარმართობის წარწყმედული გზიდან იგი წმინდა პავლე მოციქულის მიერ არის მოქცეული. აქედან ასკვნიან, რომ ონისიმემ გაქურდა თავისი ბატონი და ნაძარცვთან ერთად გაიქცა. თუკი მოციქული უბრალოდ სთხოვდა ფილიმონს, რომ ონისიმესთვის ეპატიებინა, მაგრამ ანაზღაურებას არ შესთავაზებდა, სახარების არაკეთილმოსურნეებს შეეძლოთ ეთქვათ: აი, იგი სახარებას და სარწმუნოებას ცხოვრებისეული მიზნების მისაღწევად იყენებს; ფილიმონი სარწმუნოებაზე მოაქცია და ახლა მისგან ითხოვს, რომ მისი გამძარცველი მონა უკან მიიღოს და ნაძარცვიც არ მოსთხოვოს. ასე რომ არ ილაპარაკონ და სახარებასა და სარწმუნოებას ჩრდილი არ მიადგეს, ამიტომ მე არ გეუბნები, – წერს მოციქული, – რომ რადგანაც შენ თავისთავად ჩემი მოვალე ხარ, ამიტომ აპატიო დამნაშავე მონას, არამედ პირიქით, გპირდები, რომ მისგან მოყენებულ მთელ ზარალს აგინაზღაურებ და გთხოვ, როგორც წყალობას, რომ იგი კეთილგანწყობით მიიღო. მაშ, რატომ წერს მაინც მოციქული ასე: ***„იგი მე შემირაცხე“?*** *წმინდა იოანე ოქროპირი* ასე განმარტავს: „სიტყვებს: მე გადავიხდი; აი, შენ ხელწერილი, – ფილიმონის სულში შესაძლოა, უსიამოვნო აზრი წარმოეშვა, კერძოდ, რომ მოციქული არ ენდობა მას, არ სწამს, რომ იგი ასეთი სათნოების შემძლებელია, რომ შეუძლია უანგაროდ აპატიოს ონისიმეს. ასეთი აზრის უარსაყოფად მოციქული

თითქოსდა ეუბნება მას: არ იფიქრო, რომ მე შენში დარწმუნებული არ ვარ. განა, მე არ ვიცი, რომ შენ თავადაც იცი რომ ჩემი მოვალე ხარ? საკმარისია ერთი სიტყვა გითხრა და დარწმუნებული ვარ, შენ ყოველივეს გააკეთებ".

ე) თავისთვის ერთადერთ ჯილდოდ მოციქული ითხოვს თავისი გულის დამშვიდებას ონისიმესთვის (*„განუსუენე ნაწლევთა ჩემთა ქრისტეს მიერ" – მუხ. 20)* და იმედს გამოთქვამს, რომ ფილიმონი ამაზე მეტსაც გააკეთებს. „ამით იგი ფილიმონს შეაგონებს: თუკი მე გიყვარვარ, თუკი ჩემი გულის სიმშვიდისთვის ზრუნავ, მიიღე, შეიწყნარე იგი და ამით ჩემი გული დაამშვიდე, რამეთუ ამის გარეშე ის არ დამშვიდდება. თუკი ამას ჩემ გამო არ გააკეთებ, გააკეთე ქრისტესთვის; უფლის მიმართ იყავ მოწყალე და არა ჩემ მიმართ" *(ეპისკოპოსი თეოფანე).* ამ სიტყვებით: ***„უწყი, რამეთუ რომლისათჳს-ესე გეტყჳ, ჰყოცა"***, – მოციქულმა ფილიმონში ყოველგვარი წინააღმდეგობა გადასძლია (მუხ. 20-21).

ფილიმონის მიმართ ეპისტოლე ნათლად ადასტურებს იმას, რომ ქრისტეს ეკლესია ცოდვისგან ადამიანის გათავისუფლებისას ადამიანთა ურთიერთობებში ძალადობრივ შეღწევას არ ახდენს, სამოქალაქო და სახელმწიფო წყობას თავს არ ესხმის, არამედ ქრისტიანული იდეების ზეგავლენით საზოგადოებრივი წესრიგის გაუმჯობესებას მოთმინებით ელოდება. არამხოლოდ ამ ეპისტოლედან, არამედ სხვებიდანაც, რომლებიც ადრე გავარჩიეთ, ჩანს, რომ ეკლესია, რომელსაც, რა თქმა უნდა, არ შეეძლო, რომ მონობისთვის თანაეგრძნო, ამავე დროს მას არ აუქმებდა და მონებს ბატონებისადმი მორჩილებასაც კი ავალდებულებდა. ამიტომ აქაც ქრისტიანულ სარწმუნოებაზე ონისიმეს მოქცევამ იგი ცოდვისგან გაათავისუფლა და ღვთის სასუფევლის შვილად აქცია, თუმცა არ გაათავისუფლა, როგორც მონა, თავისი ბატონის ძალაუფლებისაგან. ონისიმე

ფილიმონს უნდა დაუბრუნდეს იმის მიუხედავად, რომ მოციქულმა იგი შვილივით შეიყვარა და რომში პატიმრობაში მყოფი მის სამსახურს საჭიროებდა. სამოქალაქო კანონებისადმი მოციქულის პატივისცემა აგრეთვე იმაში ჩანს, რომ მას შეეძლო ფილიმონისთვის ონისიმეს პატიება ებრძანებინა, მაგრამ ამის ნაცვლად, იგი მას დამნაშავე და მონანული მონის შეწყალებას სთხოვს. მოციქულის სიტყვები: ***„თჳნიერ ცნობისა შენისა არა ვინებე ყოფად“*** (მუხ. 14), ცხადად მიანიშნებს, რომ ქრისტიანობას კაცობრიობა პირადი სრულყოფილებისა და საზოგადოებრივი წეს-წყობილების გაუმჯობესებისაკენ მიჰყავს ჭეშმარიტად ძმობის, თანასწორობისა და თავისუფლების საწყისებით; არა ძალადობრივი ქმედებებისა და გადატრიალებების გზით, არამედ – მშვიდობიანი დარწმუნებისა და ზნეობრივი ზემოქმედების გავლენით.

ეპისტოლე ბოლოსიტყვაობით მთავრდება, სადაც პავლე მოციქული ფილიმონს მისთვის ბინის მომზადებას სთხოვს, რადგან მალე გათავისუფლების იმედი აქვს. ამასთანავე, მოკითხვას უთვლის პავლეს მოკავშირე ეპაფრასგან, რომელიც მისი პატიმრობის მწუხარებას მასთან ერთად იზიარებდა. აგრეთვე სახარების ქადაგების საქმეში მისი თანაშემწეების – მარკოზის, არისტარქოსის, დემასისა და ლუკასგან. გადმოცემით ცნობილია, რომ ფილიმონმა ონისიმე გაათავისუფლა და უკან, წმინდა პავლესთან გაუშვა. შემდგომში იგი მაკედონიის ბერიის ეპისკოპოსი იყო და რომში იმპერატორ ტრაიანეს დროს მოწამეობრივად აღესრულა. მისი ხსენება 15 თებერვალს (ძვ. სტ.) აღინიშნება.

ეპისტოლე ებრაელთა მიმართ

ეპისტოლეს ავტორის შესახებ. პავლე მოციქულის ეპისტოლეთა რიგში ბოლო ადგილი ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს უჭირავს. მისი ასეთი მდგომარეობის მიზეზი გვიანდელი წარმომავლობა ან ნაკლები ღირსება როდია, არამედ ეჭვი, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში არსებობდა, თითქოსდა, ამ ეპისტოლეს დამწერი მოციქული არ იყო. ეს ეჭვები გამოწვეული იყო იმით, რომ ეპისტოლეს დასაწყისში არ არის პავლე მოციქულისათვის ჩვეული ზედწარწერა (ეპიგრაფი) მისი სახელის მითითებით, არ არის მიმართვა და მისალმება იმ ეკლესიის დასახელებით, რომელსაც ეს ეპისტოლე მიემართება. ზოგჯერ აღმოაჩენდნენ ხოლმე, რომ ეპისტოლეს ლექსიკაც განსხვავებულია პავლეს სხვა ეპისტოლეთა ლექსიკისაგან. ამას გარდა, მრავალი ძველი მოწმობა, როგორცაა მაგალითად, *წმინდა კლიმენტი რომაელისა, წმინდანთა – ეგნატესი, პოლიკარპესი, იუსტინე წამებულისა, ირინეოს ლიონელისა,* – მხოლოდ ეპისტოლეს უძველესობასა და მის სამოციქულო წარმომავლობაზე საუბრობს, მაგრამ, მისი დამწერის სახელს არ ასახელებს. ორიგენეს მოჰყავს მოსაზრებები, რომლებითაც ეს ეპისტოლე ხან კლიმენტი რომაელს მიეწერება, ხან ლუკა მახარებელს, ხან წმინდა ბარნაბას, ხან აპოლოს ალექსანდრიელს, მაგრამ, ამასთან, იგი გადაწყვეტით ასკვნის: „თუკი ჩვენი ეკლესია ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს პავლესად მიიჩნევს, დაე, ასევე ირწმუნოს ყველამ, რამეთუ ძველებმა უმიზეზოდ როდი გადმოგვცეს ეს ეპისტოლე, როგორც პავლე მოციქულის შემოქმედება“ *(ევსები კესარიელი, საეკლ. ისტ. VI, 25).* აღმოსავლეთის ეკლესიები ყოველთვის ეთანხმებოდა ორიგენეს აზრს და მხოლოდ არი-

ანელები მიიჩნევდნენ ნაყალბევად ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს. დასავლეთში პირიქით, დიდხანს შეჰქონდათ ეჭვი ამ ეპისტოლეს ნამდვილობაში და მხოლოდ ნეტარი ავგუსტინეს გავლენით, იპონის კრებაზე (393 წ.), ის პავლე მოციქულის დანარჩენ 13 ეპისტოლეს მიუერთეს. ლუთერის დროიდან უარყოფითი კრიტიკა კვლავ ცდილობდა გაღვიძებინა ეჭვი, თითქოს ეს ეპისტოლე წმინდა პავლეს არ ეკუთვნოდა.

დაეჭვებულთა ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტი არის ის, რომ პავლე მოციქული ეპისტოლეს დასაწყისში თავის სახელს არ მიუთითებს, როგორც ჩვეულებრივ ამას აკეთებს ხოლმე, მაგრამ ამის ძალზე საფუძვლიან ახსნას ჯერ კიდევ განთქმული ალექსანდრიული სკოლის უფროსი პანტენოსი იძლეოდა (191 წელი). ეპისტოლე მიემართება ებრაელებს, რომელნიც პავლე მოციქულს ყოველთვის ეჭვით უმზერდნენ და ვის მიმართაც თვითონ პავლე – როგორც წინადაუცვეთელთათვის მოწოდებული მოციქული – თავს მოციქულად არ მიიჩნევდა **(გალატ. 1, 16; 2, 7; რომ. 11, 13)** და ამ სახელს მხოლოდ უფალ იესო ქრისტეს აკუთვნებდა **(ებრ. 3, 1; შდრ. მათ. 15, 24)**. პავლე შესაძლოა, უფრთხოდა იმას, რომ ებრაელები მის ეპისტოლეს არ წაიკითხავდენენ, თუკი პირველივე სიტყვებიდან გაიგებდნენ, რომ მის მიერ იყო დაწერილი. ლექსიკაში განსხვავებების არგუმენტი ნაკლებ დამაჯერებელია: იმავე პირებს, რომელთაც ზოგჯერ ეს ეპისტოლე მიეწერებოდა, მრავალ მოსაზრებათა გამო, არ შეიძლება, ის ეკუთვნოდეს.

ამასთან, დეტალური გამოკვლევისას შეუძლებელია, არ ვაღიაროთ, რომ ებრაელთა მიმართ მთელი ეპისტოლე პავლე მოციქულის სულით არის განმსჭვალული: იგივე სწავლება ძველ აღთქმასთან ახალი აღთქმის უპირატესობაზე, იგივე აზრები, იგივე სახეები, დამახასიათებელი გამოთქმებიც კი. მრავალი გამოთქმა შესანიშნავად ემთხვევა იმ გამოთქმებს,

რომლებიც პავლე მოციქულის სხვა ეპისტოლეებში გვხვდება (შედარებისათვის, ებრ. 10, 1 და კოლ. 2, 17; ებრ. 7, 18-19 და რომ. 8, 3; ებრ. 9, 15; და 2კორ. 3, 6; ებრ. 1, 3 და კოლ. 1, 15 და ფილ. 2, 6 და მრავალი სხვა). მე-10, 34-ე და მე-13, მე-19 მუხლებში იგი თავისი პატიმრობის შესახებ იხსენებს; 13, 23-ში ტიმოთეს ძმას უწოდებს; 13, 29-ში იტალიელ ძმათა სახელით მოკითხვას უთვლის; 13, 19-ში ითხოვს ლოცვებს თავის გათავისუფლებისათვის. ეპისტოლე მთავრდება პავლე მოციქულისათვის ჩვეული კურთხევით: ***„მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი თქუენ ყოველთა თანა“***, რომელსაც პავლე მოციქული 2 თეს. 3, 17-18-ში თვითონ გვთავაზობს, რომ მივიღოთ ის, როგორც მისი ეპისტოლეს ნამდვილობის ნიშანი.

ასევე, უნდა გვახსოვდეს, რომ მიუხედავად დამწერის ვინაობის მიმართ ეჭვებისა, ეკლესიის მიერ თვით ეპისტოლე ყოველთვის მიიჩნეოდა კანონიკურად და ღვთივსულიერად. ამის შესახებ სწავლება ასახულია მოციქულთა 85-ე კანონში, ლაოდიკიის კრების მე-60 კანონში და ქრისტიანობის პირველი საუკუნეების მამების მოძღვრებებში, რომელნიც ამ ეპისტოლედან ახდენენ ციტირებას და მოიხსენიებენ მას, როგორც ღვთისულიერსა და დიდად ავტორიტეტულს. მეორე საუკუნის ასურულ თარგმანში (პეშიტო), ებრაელთა მიმართ ეპისტოლე პავლე მოციქულის სხვა ეპისტოლეთა რიცხვშია დასახელებული. ამ ეპისტოლეს პავლესად მიიჩნევდნენ წმინდანები: *ათანასე დიდი, კირილე იერუსალიმელი, ეპიფანე კვიპრელი, ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, გრიგოლ ნოსელი, იოანე ოქროპირი და ნეტარი თეოდორიტე.* მნიშვნელოვანია პეტრე მოციქულის მოწმობა, რომელიც გაფანტულობაში მყოფ ებრაელებს (დიასპორებს) წერს, რომ იგივე მისწერა მათ საყვარელმა ძმამ პავლემ **(2 პეტ. 3, 15).**

თვით ეპისტოლეში აღნიშნული არ არის, თუ კერძოდ ვის მიმართ არის ის დაწერილი. მაგრამ მისი შინაარსი ნათლად მიუთითებს, რომ დაწერილია ებრაელთა მიმართ. ამის შესახებ, ზოგადად, გადმოცემაც მოწმობს. საკითხავი ისაა, თუ უშუალოდ რომელ ებრაელთა მიმართ დაიწერა ეს ეპისტოლე, მორწმუნეებისთვის თუ სარწმუნოებისათვის უცხოთა, პალესტინელი თუ დიასპორის ებრაელების მიმართ? პირველი თავების მიხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ეპისტოლე საერთოდ ყველა ებრაელს მიემართება, მაგრამ მეხუთე თავიდან გვხვდება მინიშნებები, რომ მოციქულის სიტყვა მიმართულია უკვე ქრისტეს მოწამე ებრაელებისადმი, რომელთაც დიდი ხანია სწამთ (5, 12), ბევრი უმსახურიათ და ემსახურებიან წმინდანებს, ანუ ამის საჭიროების მქონე ქრისტიანებს (6, 10), და ბევრიც ევნენ სარწმუნოებისათვის (10, 32-34). ეს განსაკუთრებით ბოლოსიტყვაობიდან ჩანს (13, 18 და შემდგომ). როგორც ძველი, ისე ახალი განმმარტებლების უმრავლესობა იმ აზრისაკენ იხრება, რომ ეს ეპისტოლე ყველა ქრისტეს მორწმუნე ებრაელს კი არა, არამედ უშუალოდ იერუსალიმელ და პალესტინელ ებრაელებს მიემართება. ამის მტკიცებულება შეიძლება იყოს ის, რომ პავლე მოციქული მათი მალე ხილვის იმედს გამოთქვამს, ვისაც ეპისტოლეს სწერს (13, 23); აგრეთვე ის, რომ წმინდა პავლე აქებს მათ, რომ ***„იავარის-ყოფაჲ იგი მონაგებთა თქვენთაჲ სიხარულით შეიწყნარეთ“*** (10, 34). ეს „იავარის-ყოფაჲ მონაგებთა“ (ქონების დატაცება) იმ პალესტინელ ებრაელთა ფანატიზმის შედეგი იყო, ვინც ქრისტე არ ირწმუნა. მოციქულის მსგავსი დაწვრილებითი საუბარი ტაძრისა და იუდაური ღვთისმსახურების შესახებ, იმის აშკარა განზრახვით, რომ ძველაღთქმისეული ჩვეულებებისადმი მკითხველების ბრმა მიჯაჭვულობა შეასუსტოს, აგრეთვე იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ

ეპისტოლე იერუსალიმელ ებრაელებს მიემართება, რომლებშიც ძველაღთქმისეულ ტაძართან სიახლოვის გამო მთელი მდიდარი ძველაღთქმისეული ჩვეულებების მომხიბვლელობა განსაკუთებით ძლიერი იყო.

ეპისტოლეს დაწერის მიზეზი და მიზანი. ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს დაწერის მიზეზი გახდა მორწმუნე ებრაელთა კვლავ იუდეველობაზე მიქცევა და ქრისტიანებთან ერთად სამლოცველო შეკრებებზე უარის თქმა (10, 25). ეს იყო შედეგი ებრაელ ქრისტიანთათვის იმ ძალზე ძნელი გადაწყვეტილების მიღებისა, რომ მთლიანად განეშორებინათ აზრი ძველაღთქმისეული კანონის მნიშვნელობისა და აუცილებლობის შესახებ, და ფუჭი ოცნება მიწიერი იერუსალიმის მეფის სახით მესიის მოსვლისა. მაშინ, როცა პალესტინის გარეთ მცხოვრები ქრისტიანი ებრაელები თანდათან ერწყმოდნენ წარმართობიდან მოსულ ქრისტიანებს და თავის ვიწრო-ეროვნულ თვისებებს და მესიის შესახებ ფუჭ ოცნებებს თმობდნენ, პალესტინელი ქრისტიანები ვერ უძალიანდებოდნენ სულ უფრო აღმავალ საერთო-იუდაურ ნაციონალიზმს, რომელიც ბოლოს იუდეველთათვის დამღუპველ აჯანყებაში გადაიზარდა რომის იმპერიის წინააღმდეგ, – რაც იერუსალიმისა და ტაძრის დანგრევით დასრულდა. მღვდელმთავარ ანანიას დროს, უფლის ძმის – იაკობის მოკვლის შემდეგ, პალესტინის იუდეველებმა განსაკუთრებულად სასტიკი ომი გამოუცხადეს ქრისტიანობას იუდეაში: ისეთი დაუნდობელი დევნა დაიწყო, რომ მრავალმა სულით სუსტმა ქრისტიანმა ქრისტიანული საკრებულოები მიატოვა და იუდაურს მიაშურა (10, 25).

როდესაც ამის შესახებ შეიტყო, პავლე მოციქულმა დაწერა თავისი ეპისტოლე იმ მიზნით, რომ ახალი აღთქმის დიდი უპირატესობა ეჩვენებინა ძველის წინაშე, რომელსაც მხოლოდ

„აჩრდილი აქუნდა ... მერმეთა მათ კეთილთაჲ“ (10, 1), რათა გაემხნევებინა პალესტინელი ქრისტიანები მწუხარეგათა დათმენისათვის სარწმუნოებისათვის დევნის პირობებში – ძველი აღთქმის მართალთა მაგალითების დასახელებით (მე-11–მე-12 თავი) და მიეთითებინა ქრისტიანული სარწმუნოებისაგან განვარდნის საშინელ შედეგებზე (10, 28-31). მიუხედავად იმისა, რომ წმინდა პავლე წარმართთა მოციქული იყო და არა ებრაელებისა, უფლისადმი და თავისი ერისადმი მხურვალე სიყვარულმა **(რომ. 9, 3)** აღძრა იგი ამ ეპისტოლეს დასაწერად, რათა თავისი თანამემამულენი აერიდებინა იმ გზისაგან, რომლითაც ისინი ვიდოდნენ.

რაც შეეხება ენას, რომელზეც ებრაელთა მიმართ ეპისტოლეა დაწერილი, თუმც ზოგი დასავლელი მამა მიიჩნევს, რომ ის თავდაპირველად ებრაულად იყო დაწერილი და მხოლოდ შემდეგ ითარგმნა ბერძნულად, – თითქოსდა, წმინდა ლუკას ან კლიმენტი რომაელის მიერ (ამ აზრს განსაკუთრებით რომაელ-კათოლიკენი ემხრობიან), – მაგრამ ებრაულ ტექსტს ჩვენამდე არ მოულწევია, მხოლოდ ბერძნულმა მოაღწია. ებრაული ტექსტის არსებობა საეჭვოა, რადგან თანამედროვე ბერძნულ ტექსტში ძველი აღთქმის ყველა ციტატა ყოველთვის 70-თა („სეპტუაგინტა“) თარგმანიდან არის მოყვანილი. უნდა გვახსოვდეს, რომ წმინდა პავლესთვის ბერძნული თითქმის მშობლიური ენა იყო, რადგან იგი კილიკიის ტარსუსში დაიბადა, რომელიც თავისი ბერძნული (ელინური) განათლებით იყო ცნობილი.

ეპისტოლეს დაწერის დრო და ადგილი. ეპისტოლედან ჩანს, რომ ის იერუსალიმის დანგრევამდეა დაწერილი, რამეთუ მოციქული მასში იერუსალიმის ტაძარსა და იქ აღსრულებულ ღვთისმსახურებაზე წერს. ტაძარი რომ უკვე დანგრეული ყოფილიყო, მოციქული ამის შესახებ საუბარს გვერდს არ აუვლ-

იდა. ეპისტოლეს დაწერის ადგილი ცხადად ჩანს მოციქულის სიტყვიდან: ***„გიკითხუენ თქვენ, რომელნი არიან იტალიათ“*** (13, 24). შესაბამისად, მოციქული იტალიაში იმყოფებოდა, სავარაუდოდ რომში, სადაც მისი სხვა ეპისტოლეებიც დაიწერა. წმინდა პავლე რომში ორჯერ იყო და ორჯერვე – პატიმრობაში. ებრაელთა მიმართ ეპისტოლეშიც იგი იხსენიებს თავის პატიმრობას, მაგრამ უკვე როგორც განვლილს: ***„რამეთუ კრულებათა მათ ჩემთათვს გელმოდა“*** (10, 34). 13, 19-ში მოციქული იმედს გამოთქვამს, რომ მალე შეხვდება მათ, ვისაც სწერს, ხოლო 13, 23-ში პირდაპირ ამბობს: ***„იცით ტიმოთე, ძმაჲ ჩუენი, რომელი მივავლინე, რომლისა თანა, ადრე თუ მოვიდეს, გიხილნე თქუენ.“*** ამ სიტყვებიდან ცხადია, რომ ეპისტოლე პავლე მოციქულს პირველი პატიმრობიდან გათავისუფლებისთანავე დაუწერია, ან გათავისუფლებამდე მცირე ხნით ადრე – 63 ან 64 წელს.

ეპისტოლეს შინაარსი და მისი დაყოფა. ებრაელთა მიმართ პავლე მოციქულის ეპისტოლე ცამეტ თავს შეიცავს. სხვა ეპისტოლეთაგან განსხვავებით, მას არც შესავალი აქვს და არც წინასიტყვაობა. ის პირდაპირ დოგმატური ნაწილის გადმოცემით იწყება. პავლეს სხვა ეპისტოლეთა მსგავსად, მასში ორი ნაწილია: 1) დოგმატური ნაწილი – პირველი თავიდან მე-10 თავის მე-18 მუხლამდე და 2) ზნეობრივ-სამოძღვრო მე-10 თავის მე-19 მუხლიდან მე-13 თავის მე-17 მუხლამდე, შემდეგ კი მოდის ბოლოსიტყვაობა – 13, 18-25.

ეპისტოლეს ეგზეგეტიკური გარჩევა. პირველი თავი მთლიანად ეძღვნება უფალი იესო ქრისტეს – როგორც ახალი აღთქმის მეოხის – უპირატესობას ანგელოზთა წინაშე და ის თითქოსდა მოციქულის აზრის შესავალი ნაწილია: ძველი

აღთქმის წინაშე ახალი აღთქმის უპირატესობის შესახებ. ძველი აღთქმის რჯული ადამიანებს ანგელოზთა და მოსეს საშუალებით მიეცა, ახალი აღთქმისა კი – იესო ქრისტეს მიერ. ამიტომ მოციქული მიზნად ისახავს, რომ თვით ძველი აღთქმის წმინდა წერილის საფუძველზე დაუმტკიცოს ებრაელებს, რომ ქრისტე ანგელოზებზეც (პირველი და მე-2 თავები) და მოსეზეც მაღლა დგას (მე-3 და მე-4 თავები).

ეპისტოლე იწყება სიტყვებით: ***„მრავლით კერძო და მრავლით სახით მაშინვე ღმერთი ეტყოდა მამათა წინასწარმეტყველთა მიერ, ხოლო უკანაესკნელთა ამათ დღეთა მეტყოდა ჩუენ ძისა მიერ თჳსისა, რომელი-იგი დაადგინა მკჳდრად ყოველთა, რომლისაგანცა შექმნნა საუკუნენი“*** (1, 1-2), – ამ გამოთქმის შინაარსი ასეთია: „რამდენადაც საქმე სარწმუნოებას ეხება, ჭეშმარიტი სარწმუნოება კი მხოლოდ ღმერთმა შეიძლება გვასწავლოს, ამიტომ მისგან იწყებს თავის სიტყვას მოციქული. ძველადაც სარწმუნოებას ღმერთი გვასწავლიდა და ახლაც იგი გვასწავლის. მაგრამ, მაშინ იგი ამას წინასწარმეტყველთა საშუალებით აკეთებდა ახლა კი – თავისი ძის მიერ“ *(ეპისკოპოსი თეოფანე).* წინასწარმეტყველთა გამოცხადებების მრავალგზისობა და მრავალფეროვნება მათ (გამოცხადებათა) ნაკლულოვანებაზე (დაუსრულებლობაზე) მიგვითითებს. მთლიანად და სრულყოფილად კი სარწმუნოების ჭეშმარიტი სწავლება ძე ღვთისას საშუალებით მოგვეცა, რომელიც მამა-ღმერთმა ***„დაადგინა მკჳდრად ყოველთა“,*** ესე იგი, მას ყოველივე გადასცა, ყოველივეს ხელმწიფედ აქცია, არამხოლოდ ღვთაებრივად, რაც მას ადრეც ჰქონდა, არამედ კაცობრივადაც, როგორც თვით უფალმა იესო ქრისტემ უთხრა მოციქულებს თავისი აღდგომის შემდეგ: ***„მომეცა მე ყოველი ხელმწიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა“*** (მათ. 28, 18). „ყოველივე გადაცემულია

უფალი-მაცხოვრის ხელში განხორციელებული განგებულების მიზნის მისაღწევად, რათა ყველა ზეციური და მიწიერი ძალები ამ ერთისაკენ მიმართოს და თავის ირგვლივ შეკრიბოს ყველა, ვინც ცხონდება" *(ეპისკოპოსი თეოფანე).*

„რომლისაგანცა შექმნნა საუკუნენი" – აქ ძე ღვთისას მარადიულობაზეა საუბარი. „ამ სიტყვებით მოციქულმა ძე ღვთისას ღმრთეებრიობაზე მიანიშნა, ვინაიდან შექმნის უნარი, აბსულუტური გაგებით, მხოლოდ ღმერთს აქვს და მარადიულობაც საღვთო თვისებაა" *(ნეტარი თეოდორიტე კვირელი).*

„რომელი-იგი არს ბრწყინვალებაი დიდებისაი და ხატი ძლიერებისა მისისაი, უტჯრთვან ყოველნივე სიტყჳთა მით ძლიერებისა მისისაიჲთა, თავისა თჳსისა განწმედაი ცოდვათა ჩუენთაი ყო: და დაჯდა იგი მარჯუენით სიმდიდრესა მისსა მაღალთა შინა" (1, 3), – ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის დოგმატური სწავლებაა იმის შესახებ, რომ ძე ღვთისა არის მამა-ღმერთის არსებისა და პიროვნების უსრულყოფილესი და მთლიანი ანარეკლი, ანუ იგი მამა ღმერთის თანაბარი და ერთარსია. მამის მსგავსად, ის არამხოლოდ შემოქმედია, არამედ სამყაროს განმგებელიც, რამეთუ ***„უტჯრთვან ყოველნივ სიტყჳთა მით ძლიერებისა მისისაჲთა."*** იგი მღვდელმთავარიცაა, რამეთუ თავისი თავი მსხვერპლად შესწირა კაცთა ცოდვების გამოსასყიდად. მაგრამ იგივე ***„დაჯდა ... მარჯუენით სიმდიდრესა მისსა მაღალთა შინა,"*** რითაც მის მიერ მირქმული კაცობრივი ბუნება ყოველგვარ ქმნილებაზე ზემოთ აამაღლა და განაღმრთო.

პირველი თავის შემდგომ მუხლებში წმინდა პავლე მოციქულს მთელი რიგი ციტატები მოჰყავს ძველი აღთქმიდან, ძირითადად, ფსალმუნებიდან, რომელნიც ცხადად გვიჩვენებს ძე ღვთისას უპირატესობას (ვინც ახალი აღთქმა მოგვანიჭა)

ანგელოზთა წინაშე. ამ გამონათქვამებში მესიას შემდეგი სახელები მიეკუთვნება:

1) არსებითად, ძე ღვთისას სახელი (მუხ. 5-6);

2) სახელი ღვთისა, ვისი საყდარიც საუკუნოა (თავ. 7-8);

3) ღვთის ცხებულის სახელი, რომელიც ყველა ადამიანზე (მეფეებზე, მღვდლებზე და წინასწარმეტყველებზე) მეტად ცხებულია (მუხ. 9);

4) დასაბამიდან არსებული და უცვლელი, ცისა და მიწის შემოქმედის სახელი, რომელიც საუკუნოდ იარსებებს (მუხ. 10-12);

5) ღვთის მარჯვენით მჯდომის სახელი, რომლის ფერხთა წინაშე ყველა მისი მტერი დაემხობა (მუხ. 13).

ასეთია ძველი აღთქმის ფუძემდებლის ღმრთეებრივი ღირსება. ამასთან, ანგელოზები მხოლოდ მომსახურე („მოხარკე") სულები არიან, ***„მსახურებად მოვლინებულ მათთჳს, რომელთა-იგი დამკჳდრებად არს ცხორებაჲ"*** (მუხლ. 14). ანგელოზთა მსახურება ბუნების ძალთა მსახურების მსგავსია, როგორც, მაგალითად, ქარისა და ცეცხლის (მუხლ. 7). ძე ღვთისას კი კაცობრივადაც უკვე ეკუთვნის საღვთო ხელმწიფება მთელ სამყაროზე და ღვთის ანგელოზები მას ეთაყვანებიან. ეს ჩვენ ქრისტეშობის მომენტში ვიხილეთ, როცა ანგელოზებმა იგალობეს: ***„დიდება მაღალთა შინა ღმერთსა".*** აგრეთვე, გამომცდელ ეშმაკზე იესოს გამარჯვების შემდეგ, როცა ანგელოზები მიეახლნენ და მსახურებდნენ – როგორც სიკვდილისა და ჯოჯოხეთის მძლეველს; როცა იგი ზეცად ამაღლდა; ისინი მას თაყვანს სცემენ მაშინაც, როგორც ცისა და ქვეყნის მეუფეს, როცა მისი თანმხლებნი იქნებიან უკანასკნელი საშინელი სამსჯავროს დროს (მუხლ. 6).

მეორე თავი განაგრძობს იმავე აზრს – ანგელოზთა წინაშე ძე ღვთისას უპირატესობისა და, ამის შესაბამისად,

ძველი აღთქმის წინაშე ახალი აღთქმის უპირატესობის შესახებ, მოციქული ამბობს, რომ თუ ანგელოზთა მიერ კაცთათვის გადაცემული ძველი აღთქმის რჯული მკაცრად უნდა ყოფილიყო დაცული და მისი დარღვევა ისჯებოდა, მით უმეტეს უნდა დაისაჯოს ახალი აღთქმის რჯულის დამრღვევი, რამეთუ ის უშუალოდ უფლის მიერ არის მოცემული (მუხ. 1-4). მოციქულთა საქმეების წიგნში ასევე ნათქვამია, რომ ძველი აღთქმის რჯული მიღებულ იქნა ***„ბრძანებისაებრ ანგელოზთაისა“*** (საქ. 7, 53. შდრ. გალ. 3, 19). ძველი აღთქმის წმინდა წერილში ჩვენ ვერ ვპოულობთ მინიშნებას იმის შესახებ, რომ საღვთო რჯული ისრაელის ერს ანგელოზთა მიერ გადასცემოდეს. *წმინდა იოანე ოქროპირი* ვარაუდობს, რომ ანგელოზები ესწრებოდნენ ღვთის მიერ მოსესთვის სინას მთაზე 10 მცნების ფიცრების გადაცემას და ეს ანგელოზები, ვისაც ღვთის რჩეული ერი ჩაჰბარდა, სინას მთაზე საყვირების ხმას გამოსცემდნენ და ბურუსს და ცეცხლს წარმოქმნიდნენ. ისინი ასევე მონაწილეობას იღებდნენ ყოველივეში, რაც ძველ აღთქმაში ითქვა და გაკეთდა. როგორც ჩანს, ანგელოზთა ამ მონაწილეობაზე ხსოვნა იუდაურ გადმოცემაში იყო დაცული.

„რამეთუ არა ანგელოზთა დაამორჩილა ღმერთმან მერმე იგი სოფელი, რომლისათჳს ესე ვიტყჳთ“ (მუხ. 5), – აქ „მერმე იგი სოფელში“ მესიის ახლად განცხადებული სასუფეველი, ანუ მომავალი ცხოვრება უნდა ვიგულისხმოთ, როგორც ამას *ნეტარი ავგუსტინე* განმარტავს.

შემდგომ მუხლებში (მუხ. 6-9) პავლე მოციქული მეფსალმუნის სიტყვებს, – ადამიანის ბუნებრივი უპირატესობის შესახებ მასზე დაქვემდებარებული მიწიერი ქმნილებების წინაშე, – ღმერთკაც იესოს მიაკუთვნებს, რომელმაც დაცემული კაცობრივი ბუნება თავის თავში აღადგინა და ადამიანი იმ

სიმაღლემდე აღამაღლა, რომელ სიმაღლისთვისაც იგი თავდაპირველად იყო შექმნილი ღვთის მიერ. ეს მე-8 ფსალმუნი საერთოდ წინასწარმეტყველურია, რამეთუ უფალმა, იერუსალიმში თავისი საზეიმო შესვლის დროს, სწორედ იქიდან მოიყვანა სიტყვები ჩვილთა და ძუძუმწოვართა ბაგეთა მიერ აღვლენილი ქების შესახებ **(ფს. 8, 3** და **მათ. 21, 16).** ***„ხოლო მცირედ რაᲛᲔ ანგელოზთა დაკლებულად ვხედავთ იესუს ვნებათა მით სიკუდილისაᲛᲗა და დიდებითა და პატივითა გვრგვნოსანსა, რაᲛᲗა მადლითა ღვთისაᲛᲗა ყოვლისავეთვს იხილოს გემოᲛ სიკუდილისაᲛ“*** (მუხ. 9) – აქ სიტყვაში – „დაკლებულად“ იესოს ჯვარცმა და სიკვდილი უნდა ვიგულისხმოთ (შდრ. **ესაია, 53, 3**). ეს მხოლოდ დროებითი დამცირება იყო – „მცირედ რაიმე“, რომელმაც შემდეგ თვით უფლის კაცობრივი ბუნებაც განადიდა და ყოველივე ქმნილებაზე აღამაღლა. თვით მოციქული ამ დამცირებას იმ აზრით განმარტავს, რომ კაცთა მიმართ ღვთის სიყვარულმა გამოიწვია ის, რომ მან ყველასათვის იგემა „გემოᲛ სიკუდილისაᲛ“.

მე-10 მუხლში მოციქული იესო ქრისტეს სიკვდილის საცდურს უკუაგდებს: ***„რამეთუ შე-ვე მისა-ᲰᲒᲕᲐᲜᲓᲐ, რომლისათვს არს ყოველი და რომლისაგან არს ყოველი, რომელმან მრავალნი შვილნი დიდებად მოიყვანნა, და წინამძღუარი იგი ცხოვრებისა ჩუენისაᲛ ვნებითა სრულ ყოფად“.*** ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ცხოვრების წინამძღვარს – ქრისტეს ზუსტად ისეთივე ვნების გზა უნდა გაევლო, რომლითაც ცოდვილი ადამიანები უნდა წასულიყვნენ თვითონ მაცხოვრის გარეშე, რომ შესძლებოდათ იმ დიდებამდე მიღწევა, რისთვისაც ისინი ღმერთმა შექმნა.

„რამეთუ გამწმედელი იგი და განწმედილნი იგი ერთისაგან არიან ყოველნი, რომლისათვსცა არა Ჰრცხვენის

ძმად წოდებაᲐ მათი“ (მე-11 მუხლი). აზრი აქ ისაა, რომ ჩვენი ცოდვების გამომსყიდველი ქრისტეს მიერ კაცთა ცხონება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის შედეგად, რომ ქრისტემ ჩვენი ადამიანური ბუნება მიიღო. უფალი იესო ქრისტესა და მის მიერ გამოსყიდულ ადამიანთა ბუნების ერთიანობის, ანუ კაცობრივად მათი ძმობის შესახებ აზრს პავლე მოციქული მეფსალმუნის სიტყვებზე დაყრდნობით განამტკიცებს **(ფს. 21, 23.** შდრ. **ესაია, 8, 17-18),** რათა იგი ებრაელთათვის უფრო დამაჯერებელი გახადოს.

„რამეთუ ყრმათაცა ეზიარა ჯორცითა და სისხლითა, და თავად-მან მსგავსად მოიღო მათივე, რაითა სიკუდილითა მით განაქარვოს, რომლისა-იგი ჯელმწიფებაი აქუნდა სიკუდილისაი, ესე იგი არს ეშმაკი. და განათავისუფლნეს ესენი, რაოდენნი შიშითა სიკუდილისაითა სამარადისოდ ცხორებად თანა-მდებ იყვნეს კირთებისა“ (2, 14-15), – „ყრმებად“ აქ ყველა ცხონებული იწოდება, ანუ ყველა მოკვდავი ადამიანი. ამ გამონათქვამის აზრი ისაა, რომ ქრისტემ ეშმაკის დასამარცხებლად, რომელმაც ადამიანები სიკვდილს დაუმორჩილა, სიკვდილის შიშის გასანადგურებლად თვითონ, ჩვენ მსგავსად, მიიღო „სისხლი და ხორცი“, ანუ მოკვდავი კაცობრივი ბუნება. „მსგავსად მოიღო“. ამ სიტყვებით მწვალებელ დოკეტთა სიცრუე იმხილება, რომლებიც ამბობენ, უფალ იესო ქრისტეს მხოლოდ მოჩვენებითად ჰქონდა ადამიანური ბუნებაო.

„რამეთუ არასადაᲐთ ანგელოზთაᲐთ იწყო, არამედ ნათესავისაგან აბრაჰამისა იწყო“ (2, 16), – ძე ღვთისამ თავის თავზე მიიღო არა ანგელოზებრივი ბუნება, არამედ კაცობრივი, მსგავსი იმისა, რომელიც აბრაამის შთამომავლებს ჰქონდათ. აქ მოციქულის წინა მსჯელობასთან კავშირია, ანგელოზთა წინაშე იესო ქრისტეს უპირატესობის შესახებ.

უფლის დამდაბლებას თვით საქმის არსი მოითხოვდა: იგი მიწაზე ანგელოზთა კი არა, ადამიანთა საცხონებლად მოვიდა და ამიტომაც თავის თავზე ანგელოზთა ბუნება კი არა, უმდაბლესი – ადამიანური ბუნება მიიღო. მაგრამ ეს კაცობრივი ბუნება, უფლის ამაღლების შემდეგ, ანგელოზთა წინაშე იქნა ამაღლებული, რამეთუ საღვთო დიდებას ეზიარა და მამა-ღმერთის მარჯვენით დაჯდა. გახდა რა ბუნებით ჩვენი – უძლური ადამიანების – მსგავსი, ქრისტე ჩვენს მღვდელმთავრად იქმნა, რომელმაც თავის თავზე კაცობრივი ბუნების უძლურებანი გამოსცადა და რამდენადაც მთლიანად თანაუგრძნობდა ჩვენს უძლურებებს, მას ყველაზე უკეთ შეეძლო კაცობრიობის გამოსყიდვის დიადი საქმე აღესრულებინა (2, 17, 18). რამეთუ ამ მუხლებში (2, 11-18) საუბარია ძე ღვთისას განკაცებაზე, აგრეთვე ქრისტეს გამომსყიდველობით სიკვდილზე. ეს ადგილები იკითხება ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ზოგიერთ დღესასწაულზე (ხარებაზე და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კრებაზე) და დიდი („წითელი“) პარასკევის მე-6 ჟამზე.

მესამე თავში მოციქული, ებრაელი ერის წინამძღოლ მოსესთან შედარებით, ქრისტეს უპირატესობაზე საუბრობს. უფალი იესო ქრისტე მოსეზე მაღლაა უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ იგი სახლის განმგებელია, მოსე კი, მხოლოდ ამ სახლის ერთგული მსახური. ამ „სახლში“ ძველი აღთქმის ეკლესია იგულისხმება (3, 1-6).

მოციქული შემდეგ იხსენებს იმას, თუ როგორ ხშირად დრტვინავდნენ ებრაელები ღმერთზე უდაბნოში თავიანთი 40-წლიანი მოგზაურობის დროს, თუ როგორ განურისხდა მათ ღმერთი და როგორ იფიცებოდა იგი, რომ ისინი ვერ შევიდოდნენ მის განსასვენებელში, ანუ აღთქმულ ქვეყანაში (3, 7-11). ამ ყოველივეს მოციქული 94-ე ფსალმუნის სი-

ტყვებით ამბობს. იგი ამ უარყოფითი ისტორიული მაგალითით სარგებლობს და ქრისტიანებს აფრთხილებს, რომ მსგავსად არ გაიქვავონ გულები და ღვთის რისხვა არ დაიტეხონ, როგორც ოდესღაც ებრაელებმა – უდაბნოში, რათა აღთქმულ განსასვენებელს არ მოაკლდნენ, რომელშიც ახალ აღთქმაში უმაღლესი სულიერი განსასვენებელი იგულისხმება, რომელთან შედარებითაც ძველი აღთქმის ქანაანის მიწა მხოლოდ შორეული ანარეკლია. ახალი აღთქმის ისრაელისთვის სამაგალითო უნდა იყვნენ მოსეს დროის ის მტკიცე და სულით ძლიერი კაცები, რომლებსაც მთელი ორმოცწლიანი მწირობის განმავლობაში სარწმუნოება არ დაუკარგავთ და არ უწუწუნიათ, როგორიც იყო, მაგალითად, ისუ ნავეს ძე (მუხ. 16).

მეოთხე თავში იმ უმაღლეს სულიერ განსასვენებელზეა საუბარი, რომელსაც ის ქრისტიანები დაიმკვიდრებენ, ვისაც სარწმუნოება და სასოება არ შერყევიათ. თუმცა ძველი ებრაელები, აღთქმის მიუხედავად, განსასვენებელ მიწაზე ვერ შევიდნენ თავიანთი ურწმუნოებისა და ღვთის წინაშე დრტვინვის გამო. სხვა მორწმუნენი კი, სახელდობრ, ახალი აღთქმის ქრისტიანები, ღვთის ამ აღთქმით ისარგებლებენ, რამეთუ ღმერთმა ახალ აღთქმაში სხვა „შაბათობა“ დანიშნა, ანუ განსვენების სხვა დღე, როცა ახალი საღვთო ერი, ქრისტიანები, მის განსასვენებელში შევლენ. მოციქული ქრისტიანებს შეაგონებს, რომ ეცადონ ამ სულიერ განსასვენებელში შესვლას, ამისათვის კი ღმერთს არ უნდა ეურჩონ (4, 1-11).

გაფრთხილებას მოციქული იმაზე აფუძნებს, რომ ურჩებისა და მდრტვინველთა წინააღმდეგ მუქარა ღმერთის ბაგეთაგან გამოდის: ***„რამეთუ ცხოველ არს სიტყუაჲ ღვთისაჲ და ძლიერ, და უმკუეთელეს უფროჲს ყოვლისა მახჳლისა ორპირისა: და მისწუთების იგი ვიდრე განსაყოფელად-***

მდე სამშჯველისა და სულისა, ნაწევართა და ტჯნთა, და განმკითხველ გონებათა და ზრახვათა გულისათა. და არარაჲ არს დაბადებული დაფარულ წინაშე მისსა, არამედ ყოველივე შიშველ და ქედდადრეკილ არს წინაშე თუალთა მისთა, რომლისათჳს არს სიტყუაჲ ესე ჩუენი“ (4, 12, 13). ამ გამოთქმის აზრი არის ის, რომ ღვთის სიტყვა ცოცხალი და ქმედითია, ესე იგი, შეუსრულებელი არ დარჩება: იძლევა იმას, რასაც აღგვითქვამს და აკეთებს იმას, რითაც გვემუქრება. ღმერთის სიტყვის მრისხანე და დამსჯელი ძალა ორლესულ მახვილთან არის შედარებული, რომელიც შუაზე ჭრის დამნაშავეს. აქ მნიშვნელოვანია ადამიანის ბუნების სამნაწილედობაზე მინიშნება (სული, სამშვინველი, სხეული), რომელიც პავლე მოციქულთან სხვა ადგილასაც **(1 თეს. 5, 23)** გვხვდება.

მე-4 თავის მე-14 მუხლიდან იწყება საუბარი იესო ქრისტეზე, როგორც დიდ მღვდელმოძღვარზე და ცხადდება მისი უპირატესობა ძველაღთქმისეულ მღვდელმთავრებთან შედარებით.

ამ თავის უკანასკნელ (14-16) მუხლებში მოცემულია თემა, ანუ მთავარი საგანი დოგმატურ-ზნეობრივი განსჯისა ქრისტეს მღვდელმოძღვრობაზე, *„მივის ჩუენ მღდელთ-მოძღუარი დიდი, რომელმან განვლნა ცანი, იესუ, ძე ღვთისაჲ, შევიკრძალოთ აღსარებაჲ იგი მართლ. რამეთუ არა ეგევითარი გჳვის მღდელთმოძღუარი, რომელიმცა ვერ შემძლებელ იყო შეწყალებად უძლურებათა ჩუენთა, გამოცდილი ყოვლითავე მსგავსებითა, თჳნიერ ცოდვისა“.* ამ სიტყვებით მთელი რიგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აზრია გადმოცემული.

ჯერ ერთი, იესო ქრისტე დიდი მღვდელმთავარია, ერთადერთი და ყველა სხვა მღვდელმთავარზე ამაღლებული; მეორე,

მან განვლო ცანი, ანუ თვით ღმერთის წინაშე გამოცხადდა, მაშინ, როცა, ძველი აღთქმის მღვდელმთავრებს მხოლოდ წელიწადში ერთხელ შეეძლოთ წმიდათა წმიდაში შესვლა, რომელიც მხოლოდ ღვთის დიდების გამოვლენის ადგილი იყო; მესამე, იესო ქრისტე არის ძე ღვთისა, მაშინ, როცა, სხვა მღვდელმთავრები მხოლოდ ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანები იყვნენ; მეოთხე, იესო ქრისტე დიდი მღვდელმთავარია, რომელიც, მიუხედავად თავისი მიუწვდომელი დიდებისა, ***„შემძლებელ იყო შეწყალებად უძლურებათა ჩუენთა“***, და რომელიც ყოველივეში გამოცდილი იყო, ***„თჳნიერ ცოდვისა“***. ამიტომ, ასკვნის მოციქული, ***„მოუჴდეთ უკუე განცხადებულად საყდართა მას მადლისასა“***, რომელზედაც ასე ამაღლებული, მაგრამ ამავე დროს ჩვენთვის ასე მისაწვდომი და ჩვენი თანაგრძნობის შემძლე დიდი მღვდელმთავარი ზის.

მეხუთე თავში მოციქული ძველაღთქმისეულ მღვდლობას (აარონის წესით) ქრისტეს მღვდელთმთავრობას ***(„წესსა მას ზედა მელქისედეკისსა“)*** ადარებს. ძველი აღთქმის ადამიანთაგან არჩეული ყოველი მღვდელმთავრის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი იყო ის, რომ ადამიანთა გამო ***„დადგის იგი ღვთისა მიმართ, რაჲთა შესწირვიდეს შესაწირავთა და მსხუერპლთა ცოდვათათჳს შენდობით“***, და არა მხოლოდ სხვებისთვის, არამედ თავისთვისაც, რადგან თვითონ მასაც ***„ზედა-ააც უძლურებაი“***. ამიტომ მღვდელმთავრის პატივი მას არა თავისი თავისგან, არამედ აუცილებლად ღვთისგან უნდა მიეღო, როგორც აარონმა მიიღო (5, 1-4).

ყველა ამ ძირითად თვისებას ჩვენ ქრისტეში ვხედავთ, როგორც ჭეშმარიტ მღვდელმთავარში. თავისი სამღვდელმთავრო მოწოდება ქრისტემ უშუალოდ თვით ღმერთისაგან მიიღო, რასაც მოციქული ებრაელთათვის მეფსალმუნის დამაჯერებელი სიტყვებით ამტკიცებს: ***„ძე ჩემი ხარი***

შენ, მე დღეს მიშობიე შენ“ (ფს. 2, 7), აგრეთვე: *„შენ ხარ მღდელ უკუნისამდე წესსა მას ზედა მელქისედეკისსა“* (ფს. 109; 4). ხოლო ის, რომ ქრისტე ჩვენ მსგავსად, კაცობრივი უძლურების თანაზიარი იყო, ჩანს სიტყვებიდან: *„ვითარცა-იგი დღეთა მათ ჯორცთა მისთასა ვედრებასა და ლოცვასა შემძლებელისა მის მიმართ ჯსნად მისა სიკუდილისაგან ჯმითა მაღლითა და ცრემლითა შესწირვიდა“* (5, 7). აქ იგულისხმება ქრისტეს ლოცვა გეთსამანიის ბაღში, როცა იგი მამა-ღმერთს სთხოვდა, მისთვის ტანჯვის ფიალა აეცილებინა.

„და შეისმინა მისი მოშიშებისა მისგან“, – შეისმინა არა იმ აზრით, რომ სიკვდილისგან იხსნა, რამეთუ იგი ნებაყოფლობით მოვიდა სასიკვდილოდ, არამედ იმ აზრით, რომ ზეციურმა მამამ ანგელოზი მოუვლინა, რომელმაც ტანჯვის ღვაწლისათვის განამტკიცა იგი (ლუკ. 22, 43).

„და რამეთუ ძელა იყო, ისწავა, ვინაითგან იგი ივნო მორჩილებაი“, – ამ სიტყვებით ქრისტეს მღვდლობაზეა მინიშნებული: ქრისტეს ვნებანი ჯვარზე ადამიანთათვის იმ დიდ და მომალბობელ მსხვერპლად გამოჩნდა, რომლის წინასახეც ძველი აღთქმის მღვდელმთავართა მიერ შეწირული მრავალრიცხოვანი და არაერთგზისი მსხვერპლი იყო, *„და სრულ იქმნა და ექმნა ყოველთა მორჩილთა მისთა მიზეზ ცხორებისა საუკუნოჲსა“* (5, 9), – ჯვარზე ვნებით მიაღწია რა უმაღლეს სრულყოფილებას (რა თქმა უნდა, თავისი კაცობრივი ბუნებით), ქრისტე ყველა მისი მორჩილი ადამიანის ცხონების მიზეზი გახდა, ვითარცა ყოვლის შემძლე მეოხი მათთვის ზეციერი მამის საყდრის წინაშე.

ასე შეერთდა უფალ იესო ქრისტეს პიროვნებაში მღვდელმთავრის სამი ყველაზე დამახასიათებელი თვისება: საღვთო მოწოდება, თანამგრძნობლობა ადამიანთა მიმართ –

მათ ბუნებასთან თანაზიარების გამო, და მათთვის ღვთის წინაშე სამღვდელო შუამდგომლობა (5, 5-10). დასასრულ, მოციქული საყვედურობს ებრაელებს, რომ ისინი თავის ფესვგადგმულ იუდაურ ცდომილებებში ისე გაჯიუტდნენ, რომ აღარ ძალუძთ, გაიგონ და მიიღონ მის (პავლეს) მიერ ქადაგებული მნიშვნელოვანი სწავლება ქრისტეს მღვდელმთავრობის შესახებ. ღვთის მიერ ებრაელთა გამორჩევის დროის მიხედვით, მათ შეეძლოთ უკვე მასწავლებლები ყოფილიყვნენ, მაგრამ ამის ნაცვლად, ისინი ჩვილებს ემსგავსებიან, რომელთაც ჯერ კიდევ რძიე სჭირდებათ საზრდელად, ანუ მოციქულს უწევს მათი ქრისტიანული მოძღვრების საწყისებში განსწავლა (5, 11-14), თუმცაღა პავლე მოციქულმა ებრაელებს სარწმუნოებით ჩვილები უწოდა, რომელთაც მყარი საჭმლის მიღება არ შეეძლოთ, მაგრამ მან ეს მხოლოდ სასაყვედუროდ თქვა, რადგან, მიაჩნდა, რომ ისინი მაინც მოახერხებდნენ უმაღლესი ქრისტიანული სწავლების გაგებასაც. ღმერთის შეწევნით (მუხ. 3) მას იმედი აქვს, რომ გადალახავს მთავარ დაბრკოლებას – ებრაელთა ვიწრო ეროვნულ ცრურწმენებს და მეექვსე თავიდან იწყებს ამაღლებული სწავლების გაცხადებას უფალ იესო ქრისტეზე, როგორც მღვდელმთავარზე ***„წესსა მას ზედა მელქისედეკისსა“*** (8, 6-მდე). აქ მოციქული, უპირველეს ყოვლისა, ნათლობის შემდეგ სარწმუნოებიდან განდგომის ცოდვის სიმძიმეზე და ამ განუმეორებელ საიდუმლოს განმეორებით აღორძინების (განახლების) შეუძლებლობაზე საუბრობს: ***„რამეთუ შეუძლებელ არს ერთგზის განათლებულთა მათ, რომელთა გემოჲ ეხილვოს ნიჭთა მათ ზეცისათაჲ და ზიარქმნულ იყვნენ სულისა წმიდისა და კეთილი გემოჲ ეხილვოს სიტყჳსა ღვთისაჲ და ძალი იგი მერმისა მის საუკუნოჲსაჲ და დაცემულთა კუალად განახლებაჲ სინანულად თანა-ჯუარ-ცუმად***

თავთა მათთა ძესა ღვთისასა და განქიქებად“ (6, 4-6). ამ სიტყვებით ნათლად ჩანს მოციქულის მითითება ყველაზე საშინელ ცოდვაზე, რომელსაც თვით უფალი სულიწმიდის გმობას უწოდებს **(მათ. 12, 31).**

ეს გაქვავებული მოუნანიებლობის, ღვთის მიმართ ჯიუტი წინააღმდეგობის ცოდვაა, რომლითაც ეშმაკი და მასთან ერთად ყველა ბოროტი სული სცოდავს, აგრეთვე სცოდავენ სისასტიკით მათ მიმსგავსებული ადამიანები, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, მწიგნობრები და ფარისევლები, რომელნიც ქრისტეს სასწაულებს და მის საკვირველ მოძღვრებას თითქოსდა ვერ ხედავდნენ, არ ისმენდნენ, იგი ჯვარცმამდე მიიყვანეს და ჯვარცმულსაც კი ლანძღავდნენ. ზემოთ მოყვანილ სიტყვებში მითითებულია თვისებები, რომელიც ისეთ ადამიანებს აქვთ, რომლებიც სულიერი სრულყოფის კიბეზე მაღლა ავიდნენ. ასეთთათვის დაცემა განსაკუთრებით მძიმეა და კვლავ მოქცევა – უიმედო. მოციქული მათ გაფუჭებულ ნიადაგს ადარებს, მრავალგზის მოსულ წვიმას რომ შეიწოვს და მაინც მხოლოდ ნარ-ეკალს და სარეველას აღმოაცენებს. ასეთი მიწა არის ***„ურგები და წყევისა მახლობელი, რომლისა უკუანაჲსკნელი დასაწუველად არნ“*** (6, 7, 8). თუმცა მოციქული იმედს გამოთქვამს, რომ ებრაელები, რომელთაც ის სწერს, უკეთეს მდგომარეობაში არიან და მოუწოდებს მათ, რომ ცხონებისთვის მოთმინებით იღვაწონ, – მსგავსად აბრაამისა, რომელმაც ***„სარწმუნოებითა და სულგრძელებითა“*** დაიმკვიდრა აღთქმანი, რომელიც მას ღმერთმა ფიცით აღუთქვა (6, 9-12).

„რამეთუ კაცთა უფროჲსისა მიმართ ფუციან, და ყოვლისა ცილობისა მათისა დასასრულსა დასამტკიცებლად ფიცი არს“, – ეს სიტყვები მნიშვნელოვანია იმით, რომ ცრუმოძღვართა მტკიცებას უარყოფს, თითქოსდა, სიტყვა-ღმერთი

ფიცის გამოყენებას გადაჭრით კრძალავდეს. მოციქული ამბობს, რომ თვით ღმერთმა გამოიყენა ფიცი, როცა აბრაამს თავისი თავი დაუფიცა (მუხ. 13-20). ზუსტად ასევე დაიფიცა მამა-ღმერთმა კაცთა დასარწმუნებლად თავისი ძის საუკუნო მღვდელმთავრობის შესახებ, როგორც ამას მეფსალმუნე გვეუბნება: ***„ფუცა უფალმან და არა შეინანოს: შენ ხარ მღდელ უკუნისამდე წესსა მას ზედა მელქისედეკისსა“*** (ფს. 109, 4).

მთელი მეშვიდე თავი ეთმობა უფალ იესო ქრისტეს – როგორც მელქისედეკის წესის მღვდელმთავრის – შესახებ მოძღვრებას. პირველი სამი მუხლი გვიხსნის, თუ რატომ ეწოდება ქრისტეს „მღვდელმთავარი მელქისედეკის წესით“. შესაქმის წიგნის მე-14 თავში (მუხ. 18-20) მოთხრობილია, თუ როგორ შეეგება ქანაანის მეფეზე გამარჯვების შემდეგ უკან დაბრუნებულ აბრაამს პურითა და ღვინით მელქისედეკი – სალიმის მეფე, რომელიც ამავე დროს უზენაესი ღმერთის მღვდელი იყო და აბრაამი უზენაესი ღმერთის სახელით აკურთხა; ხოლო აბრაამმა მას თავისი ნაალაფევის მეათედი მისცა. სხვა რაიმე ცნობას მელქისედეკის შესახებ წმინდა წერილის წიგნებში ვერ ვპოულობთ, მაგრამ, მისმა სახელმა და იმ იდუმალებამ, რომლითაც იგი გამოჩნდა და გაქრა აბრაამის ცხოვრების ისტორიაში, იგი მნიშვნელოვან, თითქოსდა, ზებუნებრივ პირად აქცია. აი, რატომაა, რომ მეფსალმუნემ, როცა მესია წარმოსახა (109, 4), როგორც საუკუნო მღვდელი, მას „მელქისედეკის წესის მღვდელი“ უწოდა.

მე-7 თავის პირველ სამ მუხლში პავლე მოციქული მელქისედეკსა და უფალ იესო ქრისტეს შორის მსგავსებაზე მიუთითებს და პირველს, ერთგვარად, ძე ღვთისას წინასახედ წარმოსახავს ***(„მიმსგავსებულ არს იგი ძესა ღვთისასა“*** – *მუხ. 9).* ეს მსგავსება ასეთია: თვით სახელი მელქისედეკი,

რაც ნიშნავს „სიმართლის მეფეს“; იგი სალიმის მეფე იყო, რაც ნიშნავს „მშვიდობის მეფეს“; ის უზენაესი ღმერთის მღვდელი იყო; აბრაამთან შესახვედრად გამოსულმა აკურთხა იგი; დაბოლოს, აბრაამმა მას თავისი საუკეთესო მონაპოვრის მეათედი მისცა. მოციქული მელქისედეკის ზოგიერთ უჩვეულო თვისებაზეც მიუთითებს, რომელიც შესაქმის წიგნში არ არის მოხსენებული. სახელდობრ, წარმომავლობის უცნობობასა და იდუმალებაზე: ***„უმამო, უდედო, ნათესავ-მოუჯსენებელ; არცა დასაბამი დღეთაჲ, არცა აღსასრული ცხორებისაჲ აქუს, ხოლო მიმსგავსებულ არს იგი ძესა ღვთისასა“.*** მნიშვნელოვანია, რომ მელქისედეკს წმინდა წერილში პირველს ეწოდება „მღვდელი“ და თანაც უზენაესი ღმერთის მღვდელი და თითქოსდა, მას ეს მღვდლობა თვით ღვთისაგან აქვს მიღებული – ***„ჰგიეს იგი მღდელად სამარადისოდ“*** – რა თქმა უნდა, არა თავისი სახით, არამედ მისი პირველსახის – იესო ქრისტეს სახით.

პავლე მოციქული შემდეგ მუხლებში წარმოგვიდგენს მელქისედეკის მღვდლობის უპირატესობას აბრაამის შთამომავლის – ლევის მღვდლობასთან შედარებით. პირველ ყოვლისა, იგი მიუთითებს იმ მეათედზე, რომელიც მელქისედეკს აბრაამმა თავისი საუკეთესო მონაპოვრიდან შესწირა. მეათედი უფროსებს (უხუცესებს) ეძლეოდა. აბრაამი კი უზარმაზარი სიმდიდრის თავისუფალი და დამოუკიდებელი მფლობელი იყო, რომელმაც მცირე ხნით ადრე ხუთი ქანაანელი მეფე დაამარცხა და ღმერთისაგან უდიდესი აღთქმა მიიღო. თუკი საღვთო ერის ფუძემდებელი აბრაამი დიდი იყო, რამდენად დიდი უნდა ყოფილიყო მელქისედეკი, რომელსაც აბრაამმა თავისი საუკეთესო მონაპოვრის მეათედი მდაბლად მიართვა, როგორც მისმა ხელქვეითმა მოვალემ (მე-4 მუხლი).

მე-5–მე-6 მუხლებში მოციქული კიდევ ერთ თვისებაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუთითებს, რომელიც მელქისედეკს აბრაამზე აღამაღლებს: ეს არის ის, რომ მას აბრაამთან არანაირი ნათესაობა არა აქვს და შესაბამისად, ეს უკანასკნელი ვალდებული არ იყო, მისთვის თავისი ქონების მეათედი მიეცა, როგორც აძლევდნენ ებრაელები ლევის შტოს მღვდლებს; და კიდევ ერთი საყურადღებო ნიშანი: ***„აკურთხა, რომელსა-იგი აღთქუმანი აქუნდეს“***, ანუ აბრაამი, ***„ხოლო თჳნიერ ყოვლისა ცილობისა უმცირესი იგი უმჯობესისაგან იკურთხევის“*** (7, 6, 7).

აბრაამს თვითონ ჰქონდა ღმერთისაგან მიღებული დიდი აღთქმანი და ღმერთის რჩეული ერის ფუძემდებელი იყო, ამასთანავე, მთელი შემდგომი ლევიტელთა სამღვდელოებისა. ამ დროს კი მელქისედეკმა იგი აკურთხა. აქედან, ბუნებრივად გამომდინარეობს, რომ მელქისედეკი აბრაამზე მაღლა იდგა მისგან წარმოშობილ მთელ ლევიტურ სამღვდელოებასთან ერთად. მე-8–მე-10 მუხლებში პავლე მოციქული ბუნებრივად ასკვნის, რომ აბრაამის სახით, თვით ლევიმ და მთელმა მისმა შთამომავლობამ – ძველაღთქმისეულმა სამღვდელოებამ – თავი მელქისედეკის ხელქვეითად აღიარა, როგორც წარუვალი, საუკუნო ღირსების მქონე მღვდლისა.

ყოველივე ზემოთქმულიდან, მოციქული აკეთებს დასკვნას მელქისედეკისეული მღვდლობის უპირატესი თვისებების შესახებ, რომელიც იესო ქრისტეს პიროვნებაში განხორციელდა და მელქისედეკის წესით ქრისტეს მღვდლობის უპირატესობას აცხადებს არასრულყოფილ ლევიტურ მღვდლობასთან შედარებით. მე-11–მე-12 მუხლებში იგი ზოგად შეხედულებას გამოთქვამს, რომ უკვე წინასწარ არის განსაზღვრული მელქისედეკის წესით ახალი სამღვდელოების აღმატებულება აარონის წესით ლევიტურ სამღვდელოებაზე. რადგან ეს უკანასკნელი, როგორც არასრულყოფილი, ოდესღაც პირველით, როგორც უფრო სრულყოფილით, შეიცვლება. ამიტომაც თვით

ძველი აღთქმის რჯულიც, როგორც აარონის მღვდლობასთან დაკავშირებული, შეიცვლება.

შემდეგ მოციქული ხსნის, თუ როგორ განხორციელდა ერთი მღვდლობის შეცვლა მეორეთი:

1) იესო ქრისტე არა სამღვდელო შტოდან (ლევიტელებიდან), არამედ იუდას შტოდან გამობრწყინდა, როგორც მელქისედეკი უცხო იყო აბრაამის მოდგმისათვის (მე-13–მე-15 მუხლი);

2) უფალი იესო ქრისტე მღვდელია *„არა შჯულისა მისებრ მცნებისა ჯორციელისა“*, ესე იგი, მისი მღვდლობა მემკვიდრეობითი არ არის, როგორც ეს ლევიტელთა შტოში იყო, და იგი არის *„მღვდელ უკუნისამდე წესსა მას ზედა მელქისედეკისსა“* (მე-16–მე-17 მუხლი);

3) გამოჩნდა ძველი აღთქმის რჯულის უძლურება, რამეთუ მან ხალხი სრულყოფილებამდე ვერ მიიყვანა, ამიტომაც ღმერთის მიერ ფიცით დადგენილია „უმჯობესი“ ახალი აღთქმა, რომლის თავმდები იესოა; რომელმაც სათავე დაუდო უკეთეს ახალ მღვდლობას (მუხ. 18-22). ამ თავის ბოლოში მოციქული ახალი ქრისტესეული მღვდლობის უპირატესობას აჩვენებს:

1) ქრისტეს მღვდლობა ერთპიროვნული და უცვლელია (მუხ. 23-25);

2) ახალაღთქმისეულ სამღვდელოებას წმინდა და უმანკო მღვდელმთავარი მეთაურობს, ისეთი როგორიც ქრისტეა, რომელმაც თავი თვისი კაცთა ცოდვების გამო შესწირა.

მერვე თავში იგივე აზრი გრძელდება და პირველ ორ მუხლში მითითებულია ქრისტეს, როგორც მღვდელმთავრის მე-3 უპირატესობა – ის, რომ იგი თავის მსახურებას მიწაზე კი არ აღასრულებს, როგორც ძველი აღთქმის მღვდელმთავრები, არამედ ზეცაში, უშუალოდ ღვთის საყდრის წინაშე, რამეთუ

იგი თვითონ დაჯდა *„მარჯუენით საყდართა დიდებისათა ზეცათა შინა“*. ეს მუხლები (7, 26-28 და 8, 1-2) წარმოადგენს სამოციქულო საკითხავს მღვდელმთავართა მოსახსენებელ წირვაზე, რამეთუ ქრისტეს ყოველი მღვდელმთავარი იმით არის დიდი, რომ იგი დიდ მღვდელმთავარს, უფალ იესო ქრისტეს, მის სიწმინდესა და უბიწოებაში ემსგავსება.

შემდეგ მოციქული ცაში ქრისტეს სამღვდელმთავრო მსახურების უპირატესობაზე საუბრობს: ქრისტე იქაც მსხვერპლს სწირავს. ეს თავისი ზეციერი მამის წინაშე ჩვენთვის განუწყვეტელი მეოხებაა, როგორც იმ დიდი მსხვერპლის შედეგი, რომელიც მან ერთხელ და სამუდამოდ ჩვენთვის ჯვარზე მიიტანა (გაიღო) (მუხ. 3). მიწაზე მას მღვდლად ფორმალური მიზეზების გამო არ სცნობდნენ. გარდა ამისა, თვითონ ლევიტელთა მღვდლობასა და ქრისტეს მღვდლობას შორის დიდი სხვაობაა, რამეთუ ძველი აღთქმის მღვდლები აღასრულებდნენ მსახურებას, რომელსაც მხოლოდ სიმბოლური და წინასახითი მნიშვნელობა ჰქონდა – ეს სიმბოლოები და წინასახეები სწორედ ქრისტეში განხორციელდა, რომელმაც ახალი აღთქმა დაადგინა, რომელიც ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში იერემია წინასწარმეტყველის მიერ იყო ნაწინასწარმეტყველები (31, 31-34). წინასწარმეტყველ იერემიას მიერ ნათქვამი სიტყვები ახალი აღთქმის დადგინების შესახებ, პავლე მოციქულს სრულად მოჰყავს მე-8–მე-12 მუხლებში, რის შემდეგაც ასკვნის: *„რაჟამს-იგი თქუას „ახალიო,“ დააძველა პირველი იგი; ხოლო დაძველებადი იგი და დაბერებადი მახლობელ არს განრყუნისა“* (მუხ. 13).

მეცხრე თავი მთლიანად ორი აღთქმის – ძველისა და ახლის – შედარებასა და ახლის შეუდარებელ უპირატესობაზე მითითებას ეძღვნება. მოციქული პირველ 7 მუხლში კარვის მოწყობილობას განიხილავს და აჩვენებს, რომ თვით მისი

მოწყობილობა და მასში მსხვერპლად ცხოველთა მიტანით აღსრულებული ღვთისმსახურება უკვე შთაგვაგონებს აზრს მის დაუკმაყოფილებლობასა და დროებით ხასიათზე. კარვის აღწერისას მოციქული ძირითად ყურადღებას ამახვილებს წმიდათა წმიდას მიუწვდომლობაზე არამხოლოდ მრევლისთვის, არამედ მღვდლებისთვისაც, რომელთაგანაც მხოლოდ ერთს – მღვდელმთავარს შეუძლია იქ შესვლა და ისიც წელიწადში ერთხელ ***„არა თჳნიერ სისხლისა, რომელი-იგი შეწირის თავისა თჳსისათჳს და ერისა უმეცრებისათჳს“*** (მუხ. 7). ეს ნაწყვეტი (ებრ. 9, 1-7) იკითხება საღვთო ლიტურგიაზე ღვთისმშობლის ზოგიერთ დღესასწაულზე, როგორც მაგალითად, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანებასა (21 ნოემბერს ძვ. სტ.) და საფარველზე (1 ოქტომბერს ძვ. სტ.), რამეთუ კარავი დედა ღვთისას წინასახე იყო.

კარვის მოწყობილობა აჩვენებდა, რომ ძველ აღთქმაში ცა კაცთათვის დახშული იყო და ადამიანები ღმერთს იყვნენ განშორებულნი. ყველა ძველაღთქმისეულ ჩვეულებას მხოლოდ დროებითი მნიშვნელობა ჰქონდა (მუხ. 8-10). ახალი აღთქმის უპირატესობა იმაშია, რომ მასში მღვდელმოქმედებს ხელთუქმნელ კარავში ***„ქრისტე ... მღვდელთმოძღუარი იგი ყოფადთა მათ კეთილთაი“***, უკვე არა ვაცთა და ხბოთა ***(„ზვარაკთა“)*** სისხლით, არამედ თავისი საკუთარი სისხლით, რომლითაც მან ერთხელ და სამუდამოდ საუკუნო გამოხსნა მოგვიპოვა (მუხ. 11-14). ქრისტეს ჯვარცმის უდიდესი მნიშვნელობა ის არის, რომ მან ღმერთს მსხვერპლად საკუთარი სისხლი შესწირა და ახალი აღთქმის შუამდგომლად იქცა (მუხ. 15). მე-16 მუხლში მოციქული ახალი აღთქმის შუამდგომლის სიკვდილის აუცილებლობას არკვევს: ***„რამეთუ სადა-იგი წიგნისწერაჲ არს, სიკუდილი უნებლიაჲთ ზედაც წიგნისმწერალსა მას“*** და მე-17 მუხლშიც: ***„რამეთუ***

ანდერძი დაწერილი მკუდართა შემდგომადღა მტკიცე არს, უკუეთუ არა, ვერსადა მტკიცე არნ, ვიდრე ცოცხალღა არნ ანდერძისმწერალი იგი“. ქრისტეს სიკვდილის აუცილებლობა მოციქულს ორი გარემოებიდან გამოჰყავს, რომელიც ერთი ბერძნული სიტყვით – „დიათიკი“ – აღნიშნება. ეს სიტყვა აღთქმასაც აღნიშნავს კავშირისა თუ ორმხრივი ხელშეკრულების აზრით, და ანდერძსაც, სიკვდილის შემდგომი მითითების ან განკარგულების აზრით. ქრისტე იმიტომ უნდა მომკვდარიყო, რომ როგორც ძველი აღთქმა იყო დამყარებული სამსხვერპლო ცხოველთა სისხლზე, ასევე ახალი აღთქმაც მხოლოდ ღმერთსა და კაცთა შორის შუამდგომელისა და შემრიგებლის სისხლზე შეიძლებოდა ყოფილიყო დამყარებული, რამეთუ აუცილებელი იყო სისხლით ცოდვის განადგურება, რომელსაც ეს განყოფა მოჰქონდა. ამასთან, ქრისტე უნდა მომკვდარიყო იმისათვის, რომ კაცთათვის ანდერძი დაეტოვებინა – ისინი მის მიერ გამზადებული საუკუნო ცხოვრების მემკვიდრეებად ექცია.

მე-18–23-ე მუხლებში მოციქული განმარტავს, რომ ვაცებისა და ზვარაკების სისხლს ძველ აღთქმაში მხოლოდ წინასახითი მნიშვნელობა და ძალა ჰქონდა, მხოლოდ როგორც ღვთის ტარიგის – ქრისტეს გამომსყიდველობითი სისხლის წინასახეს, რომელიც მას კაცთა ცოდვების გამო უნდა დაეღვარა. ქრისტეს – როგორც ახალი აღთქმის მღვდელმთავრის უზარმაზარ უპირატესობას წმინდა პავლე მოციქული იმაში ხედავს, რომ იგი ერთხელ შევიდა და ჩვენი ცხონება თავისი სისხლით მოიპოვა და არა წმიდათა წმიდაში, როგორც ძველი აღთქმის მღვდელმთავრები, არამედ ***„თჳთ მათ ცათა, აწვე ჩუენებად პირსა ღვთისასა ჩუენთჳს“*** (მუხ. 24).

„ვითარცა-იგი წინაუც კაცთა ერთგზის სიკუდილი და მისა შემდგომად საშჯელი“ (27-ე მუხლი), – მნიშვნელოვანი

გამონათქვამია, რომელიც უარყოფს ცრუსწავლებას ეგრეთ წოდებულ „სულთა გადასახლებაზე“. რატომ არის ნათქვამი, რომ ქრისტემ თავი თვისი შესწირა მსხვერპლად ***„მრავალთათჳს აჴოცად ცოდვათა“*** და არა „ყველასათვის“? – „იმიტომ, რომ ყველამ არ ირწმუნა. ქრისტე ყველასათვის მოკვდა, რათა ყველა ეცხონებინა, რამდენადაც მასზეა დამოკიდებული, რამეთუ მის სიკვდილს ყველას ცხონება შეეძლო, მაგრამ მან ყველას ცოდვა არ იტვირთა, რადგან თვით მათ არ მოისურვეს ეს“ – *ამბობს წმინდა ოქროპირი.*

მეათე თავში ძველ აღთქმასთან შედარებით ახალი აღთქმის უპირატესობაზეა საუბარი და ძველი აღთქმის მსხვერპლის და ძველაღთქმისეული მღვდლობის, როგორც უსარგებლოს, გაუქმებაზეა ნათქვამი. მოციქული ამბობს, რომ რჯული, ანუ ძველი აღთქმა, იყო მხოლოდ ***„აჩრდილი ... მერმეთა მათ კეთილთაჲ, არა თჳთ იგი ხატი საქმეთაჲ“.*** ესე იგი, მას მხოლოდ წინასახითი მნიშვნელობა ჰქონდა (მუხ. 1). ძველი აღთქმის მსხვერპლი ცოდვას სრულყოფილად არ წმენდდა, რამეთუ მაშინ მათი მუდმივი და მრავალგზისი საჭიროება არ იქნებოდა. ის მხოლოდ ცოდვათა შესახებ ყოველწლიური შეხსენება და იმ ერთი დიდი მსხვერპლის შეხსენება იყო, რომლითაც ქრისტემ ერთხელ და სამუდამოდ განწმინდა („აჴოცა“) კაცთა ცოდვები (1-4 მუხლი).

შემდეგ მოციქულს შესანიშნავი ძველაღთქმისეული წინასწარმეტყველებანი და, უპირველეს ყოვლისა, მეფსალმუნე დავითის სიტყვები მოჰყავს, რომლითაც მისი დიდი შთამომავალი მესია სოფელში შემოსვლისას გამოხატავს მზადყოფნას, საკუთარი სხეული მისცეს ტანჯვისათვის კაცთა გამო, მას შემდეგ, რაც ზეციური მამისათვის სათნო აღარ იქნება ცოდვათათვის ყოვლად დასაწველები და მსხვერპლი: ***„შესაწირავი და მსხუერპლი არა გთნდა, ხოლო ჯორცნი დამამტკი-***

ცენ მე; საკუერთხები და ცოდვისათჳს არა ითხოვე. მაშინ ვთქუ: ესერა მოვალ; თავსა წიგნთასა წერილ არს ჩემთჳს. ყოფად ნებასა შენისა, ღმერთო ჩემო, ვინებე" (ფს. 39; 7-9). ებრაულ ტექსტში სიტყვების, „ჯორცნი დამამტკიცენ მე", ნაცვლად არის: „შენ გახვრიტე ყურნი ჩემნი." უცნობია, თუ საიდან წარმოიშვა ეს სხვაობა, მაგრამ ორივე წაკითხვისას ერთი და იგივე აზრი გამოიხატება ზეციერი მამისადმი ქრისტე მესიის უსიტყვო მორჩილების შესახებ. ძველად ყურებს იმ მონებს უხვრეტდნენ, რომლებიც თავისუფლების მიღების შემდეგ სურვილს გამოთქვამდნენ, რომ თავისი ბატონის სამსახურში სამუდამოდ დარჩენილიყვნენ. ეს სრული ერთგულების სიმბოლური ნიშანი იყო **(გამოსვ. 21, 5, 6)**. ამ წინასწარმეტყველური გამონათქვამიდან მოციქული აკეთებს დასკვნას ძველაღთქმისეულ მსხვერპლთა გაუქმების შესახებ, რომელთა სანაცვლოდაც კაცობრიობას ხსნად მოევლინა იესო ქრისტეს მიერ ერთგზის შეწირული მსხვერპლი (მუხ. 5-10). მღვდელთა მიერ მრავალგზის შეწირულ ძველაღთქმისეულ მსხვერპლს ცოდვათა აღხოცვა არ შეეძლო. ქრისტემ კი თავისი თავი ერთგზის შესწირა ცოდვათათვის და სამუდამოდ *„დაჯდა იგი მარჯუენით ღვთისა"* და *„სრულ იქმნა სამარადისოდ განწმედილთა მათთჳს"* (მუხ. 11-14). ამ ყოველივეს მოციქული იერემია წინასწარმეტყველზე დაყრდნობით ამტკიცებს, სადაც იგი ახალი აღთქმის დადგომისა და ღვთის მიერ კაცთა ცოდვებისა და ურჯულოებათა დავიწყების შესახებ საუბრობს. *„სადა ამათი მოტევებაჲ არს, არღარა ჯამს მსხუერპლი ცოდვათათჳს"*. სხვა სიტყვებით, ქრისტეს სისხლის დაღვრით ძველი აღთქმა მისი აჩრდილისებური მღვდლობით და უძლური მსხვერპლით უნდა შეწყდეს.

მეათე თავის მე-19 მუხლიდან იწყება ებრაელთა მიმართ პავლე მოციქულის ეპისტოლეს უკვე მეორე – ზნეობრივი

ნაწილი. ამ ნაწილის ძირითადი აზრია, რომ სარწმუნოებაში მტკიცენი იყვნენ.

მე-19–39-ე მუხლებში მოციქული ებრაელებს შეაგონებს, რომ მტკიცედ ეპყრათ ქრისტიანული სარწმუნოება. ერთმანეთის სიყვარულით აღვსილნი იყვნენ და ქრისტიანული შეკრებლები არ მიატოვონ და შეაგონებს, რომ თუ მოსეს რჯულის უარმყოფელი სიკვდილით ისჯება, მით უფრო მძიმე სასჯელს დაიტეხენ თავს ქრისტიანული სარწმუნოების უარმყოფელნი: ***„საშინელ არს შევრდომაჲ ჴელთა ღვთისა ცხოველისათა“.*** მოციქული ებრაელებს ქრისტესადმი მათი მოქცევის პირველ ხანებს შეახსენებს, როცა ისინი უდიდესი მოშურნეობით იყვნენ აღვსილნი, ვაჟკაცურად იტანდნენ დევნას და თავისი ქონების დატაცებაც კი სიხარულით მიიღეს და არწმუნებს მათ, რომ ქრისტიანული სასოება არ დაუტევონ, არამედ მოთმინებით აღიჭურვონ, ***„რაჲთა ნებაჲ ღვთისაჲ ჰყოთ და მოიღოთ აღნათქუემი იგი“.*** ის მათ ქრისტეს მეორედ მოსვლის აღთქმით ანუგეშებს, როცა თითოეული სამართლიან მისაგებელს მიიღებს და აბაკუმის წინასწარმეტყველება მოჰყავს, რომ ***„მართალი სარწმუნოებითა ცხონდეს; და უკუეთუ იქმნეთ მისგან, არა სთნავს სულსა ჩემსა მას შინა“,*** როგორც თვით უფალი ამბობს ამ წინასწარმეტყველის ბაგეებით (აბაკუმი, 2. 3, 4) და შეაგონებს, რომ სულის ცხონებისათვის მტკიცედ უნდა იდგნენ სარწმუნოებაში.

მთელი მეთერთმეტე თავი სარწმუნოების შესახებ მნიშვნელოვანი მოძღვრების გადმოცემას ეძღვნება. მოციქული, უპირველეს ყოვლისა, დოგმატური თვალსაზრისით სარწმუნოების ძალიან მნიშვნელოვან განსაზღვრებას გვაძლევს: ***„ხოლო არს სარწმუნოებაჲ მოსავთა მათ ძალ, საქმეთა მამხილებელ არახილულთა“*** (1 მუხლი). ამ განსაზღვრების შინაარსი კარგად არის განმარტებული *ნეტარი თეოდორიტეს*

მიერ: „სარწმუნოება ჩვენთვის მოსალოდნელის ჭვრეტის თვალად იქცევა და ჯერ კიდევ არმომხდარს ისე გვიჩვენებს, თითქოს, მოხდა. როცა ყველა მკვდარი ჯერ კიდევ საფლავშია, სარწმუნოება აღდგომას აღგვიწერს და უკვდავებას სხეულთა ნეშტში წარმოგვიდგენს“. ასეთი რწმენით განითქვნენ ძველი აღთქმის მართლები, რომელთა შესახებ მოგონებებს ეძღვნება შემდგომ ამ თავის მთელი შინაარსი.

სანამ ძველი აღთქმის მართლებზე საუბარს შეუდგებოდეს, მოციქული სარწმუნოების საერთო მნიშვნელობაზე მითითებას იძლევა: ***„სარწმუნოებით გვცნობიეს დამყარებად საუკუნეთა სიტყვთა ღვთისაჲთა, არა-საჩინოჲსაგან ხილულად შექმნულად“*** (მე-3 მუხლი), – მხოლოდ სარწმუნოება გვეხმარება, გავიგოთ, თუ როგორ შეეძლო ღმერთს არაფრიდან შეექმნა ეს ხილული სამყარო, რამეთუ ჩვენი გონებისათვის უფრო იოლი წარმოსადგენია, რომ მატერია მარადიულია და მისგან წარმოიშვა ყოველივე განვითარების ბუნებრივი კანონების გზით, რასაც ასწავლიან კიდეც მატერიალისტები, ვისაც არც ღმერთის სწამს, არც იმის, რომ სამყარო ღმერთმა შექმნა. სამყარო დროში შეიქმნა და თვით დრო – საუკუნეთა თვლა – მხოლოდ მაშინ დაიწყო, როცა ხილული ქმნილი ყოფიერება გამოჩნდა. ამას გამოხატავს მოციქული სიტყვებით „დამყარებად საუკუნეთა“.

ამ თავის მთელი დანარჩენი შინაარსი ძველი აღთქმის წმინდანებზე მოგვითხრობს აბელიდან დაწყებული, რომლებიც სარწმუნოებით ცხოვრობდნენ ღვთის იმ დიდ აღთქმის მოლოდინით, რომლის შესახებ ღმერთმა ცოდვილ ადამიანებს ჯერ კიდევ სამოთხიდან გამოძევების წინ გამოუცხადა, ანუ ქვეყნიერების აღთქმული გამომსყიდველის მოსვლის რწმენით, რომლის ვნებანი ძველ აღთქმაში დადგენილი მსხვერპლით უნდა წინაასახულიყო.

აბელისა და ენოქის შესახებ საუბრის შემდეგ, მოციქულმა შემდეგი მნიშვნელოვანი სიტყვებით გამოთქვა სარწმუნოების აუცილებლობა ღვთის სათნოყოფისათვის: ***„ხოლო თჳნიერ სარწმუნოებისა ვერ შესაძლებელ არს სათნოყოფად; რამეთუ სარწმუნოებად ულირს, რომელი მოუჴდების ღმერთსა, რამეთუ არს და მეძიებელთა მისთა სასყიდლის მიმცემელ იქმნების“*** (11, 6). ეს გამოთქმა კავშირშია წინა სიტყვებთან ენოქის შესახებ, რომელიც ცაში ცოცხლად იქნა აყვანილი, რადგან ჭეშმარიტი სარწმუნოება ჰქონდა, რომლის შედეგად, ***„სათნო ეყო ენუქ ღმერთსა“*** (შესაქ. 5, 22-24), ესე იგი მთელ თავის ცხოვრებაში მხოლოდ ღმერთის ნებით ხელმძღვანელობდა.

„სარწმუნოებით ... ნოემ ... ***ქმნა კიდობანი ... რომლითა*** [სარწმუნოებით] ***დასაჯა სოფელი“*** (11, 7). მხოლოდ ღვთისა და მისი სიტყვების გარდაუვალობის რწმენას საყოველთაო წარღვნის შესახებ შეეძლო აღეძრა ნოე კიდობნის ასაგებად. თავისი რწმენით ნოემ განსაჯა („დასაჯა“) მთელი სოფელი, ანუ დაამტკიცა, რომ ის (სოფელი) დასჯის ღირსია, ვინაიდან მასაც შეეძლო ერწმუნა და გადარჩენილიყო.

„სარწმუნოებით იწოდა რაჲ აბრაჰამ, ერჩდა გამოსლვად ადგილსა მას, რომელი დაპყრობად იყო მისა სამკჳდრებელად“ (11, 8, 9), – აბრაამის სარწმუნოების სიმაღლე და სიწმინდე იმაში გამოჩნდა, რომ იგი, აღთქმულ მიწაზე მისული, კარავში ცხოვრობდა და ღმერთის აღთქმის აღსრულებას ელოდა ზეციური სამშობლოს დამკვიდრების იმედით (მუხ. 13-19). ***„რამეთუ მოელოდა მას, რომელსა-იგი საფუძველ უსხენ ქალაქსა, რომლისა-იგი ხუროთმოძღუარ და შემოქმედ ღმერთი არს“*** (11, 10), ესე იგი, ზეციურ სამშობლოს ელოდა, და თავის თავს – ისევე, როგორც ძველი აღთქმის სხვა მართალნი – გრძნობდა ***„სტუმარ და წარმავალ ... ქუეყანასა ზედა“*** (მუხ. 13).

„სარწმუნოებით შეწირა აბრაჰამ ისაკი ... რომლისათჳსცა იგავით მოიყვანა იგი“ (11, 17-19), – ესე იგი, იმის წინასახედ, რომ ზეციერი მამა კაცთა ცოდვათათვის მსხვერპლად თავის მხოლოდშობილ ძეს შესწირავს, რომელიც მესამე დღეს მკვდრეთით აღდგება.

„სარწმუნოებით იაკობმან, მო-რაი-კუდებოდა ... თაყუანისსცა წუერსა ზედა კუერთხისა მისისასა“ (11, 21), – ამ თაყვანისცემით ის თითქოსდა თვით მესიას ეთაყვანებოდა, რომელიც მისი მოდგმიდან უნდა წარმოშობილიყო.

„სარწმუნოებით მოსე, იშვა რაჲ, დამალეს სამთუე მამა-დედათა მისთა, რამეთუ იხილეს მკჳრცხლ ყრმაჲ იგი, და არა შეიშინეს ბრძანებისა მისგან მეფისა“ (11, 23), – მოციქული მიიჩნევს, რომ მხოლოდ მშობლიურმა სიყვარულმა კი არ შთააგონა მოსეს მშობლებს, რომ დაემალათ იგი, არამედ პირველ ყოვლისა, რწმენამ, რომ ასეთ მშვენიერ ბავშვს რაღაც დიდი წინასწარგანსაზღვრული დანიშნულება ჰქონდა. *წმიდა იოანე ოქროპირი* ამის შესახებ ამბობს: „ასე ეძლევა მართალს მადლი დასაწყისიდანვე, აკვნიდანვე და ამას ბუნება კი არა, ღმერთი იქმს. რამეთუ, იხილე, ახალდაბადებული ბავშვი მშვენიერი აღმოჩნდა და არა უსახური, როგორც მეტ-ნაკლებად ყველა ახალშობილი. ვინ ჰქმნა ასე? არა ბუნებამ, არამედ ღვთის მადლმა, რომელმაც წარმართი ეგვიპტელიც კი აღძრა და ისე აღაფრთოვანა, რომ მან ჩვილი აიყვანა და შეივრდომა“.

„სარწმუნოებით მოსე ... უფროჲსლა გამოირჩია თანაძჳრისსილვაჲ ერსა თანა ღვთისასა ... უფროჲსად სიმდიდრედ შეჰრაცხა ეგჳპტისა საფასეთა ყუედრებაჲ იგი ქრისტესი“ (11, 24-26), – როგორც ქრისტეს წინასახემ, მოსემაც ამჯობინა, რომ თავისი ერისათვის დატანჯულიყო, რათა იგი ეგვიპტელთა მონობისაგან ეხსნა.

„სარწმუნოებით დაუტევა ეგვიპტე და არა შეიშინა გულისწყრომისა მისგან მეფისა“ (11, 27), – „როგორ თუ არ შეეშინდა – *ამბობს წმინდა იოანე ოქროპირი,* – წერილი ამბობს, რომ როცა გაიგო, შეეშინდა და გაქცევა სცადა. გაიქცა, დაიმალა და შემდეგაც შიშის ქვეშ იყო? ყურადღებით ჩასწვდი თქმულს. სიტყვები – ***„არა შეიშინა გულის წყრომისა მისგან მეფისა“,*** იმ გაგებით არის ნათქვამი, რომ იგი შემდგომაც არ წარდგებოდა მეფის წინაშე, არ აიღებდა თავის თავზე შუამდგომლობის საქმეს; და თუკი ეს საქმე შუამდგომლობისა თავის თავზე აიღო, ესე იგი ყოველივეში ღმერთს სასოებდა ... მაშ, რატომ არ დარჩაო, – იტყვით, – ეგვიპტეში? რათა თავისი თავი წინასწარგანჭვრეტილ საფრთხეში არ ჩაეგდო. რამეთუ ღმერთის გამომცედელისათვის დამახასიათებელია საკუთარი თავის საფრთხეში ჩაგდება და თქმა: „შევხედავ, დამიფარავს თუ არა ღმერთი“.

„სარწმუნოებით ყო ზატიკი იგი და პკურებაჲ სისხლისაჲ, რაჲთა არა მომსრველი იგი პირმშოთაჲ შეეხოს მათ“ (11, 28). *ნეტარი თეოდორიტე* ამ ადგილს ასე განმარტავს: „რაში გამოჩნდა აქ მოსეს სარწმუნოება? – სარწმუნოების გარეშე როგორ ირწმუნებდა იგი, რომ ცხვრის სისხლი სიკვდილს შეაჩერებდა? მაგრამ იგი წინასახის საშუალებით თვით ჭეშმარიტებას ჭვრეტდა და სამეუფეო სისხლის ძალა ჰქონდა წარმოდგენილი“.

„სარწმუნოებით ზღუდენი იერიქოჲსანი დაეცენეს გარემოდგომითა შვდ დღე“ (11, 30), – რაში გამოჩნდა ისრაელთა რწმენა ამ ისტორიული მოვლენისას, რომლის შესახებ ისუ ნავეს ძის წიგნი (თავი 6, მუხლი 1-29) მოგვითხრობს? – ღვთის ბრძანების უსიტყვო მორჩილებაში. იერიქონის კედლებს იქით ძლიერი და კარგად შეიარაღებული მტერი იდგა, რომელსაც ნებისმიერ წამს შეეძლო მოალყეებზე თავდასხ-

მა. ისრაელიანებს კი ებრძანათ, რომ ალყის მეშვიდე დღეს შვიდჯერ შემოევლოთ ქალაქისათვის. კაცობრივი განსჯით ასეთ შემოვლას შეეძლო ისინი სრულიად გამოეფიტა, თუმცა, ისინი თავისი ბელადის, ისუ ნავეს ძის განკარგულებას დაემორჩილნენ და საკუთარ იარაღზე მეტად ღვთის შემწეობაზე დაამყარეს იმედი, და მათი ეს რწმენა არ გაცუდდა: წმინდა საყვირთა ხმაზე იერიქონის კედლები დაეცა. *წმინდა იოანე ოქროპირი* ამბობს: „საყვირის ხმას კედლის დანგრევა არ ძალუძს, თუნდაც ვინმე ათასი წელი აყვირებდეს საყვირს, სარწმუნოებას კი ყველაფერი შეუძლია“.

„სარწმუნოებით რააბ, მეძავი იგი, არა წარწყმდა ურჩთა მათ თანა, რამეთუ შეიწყნარნა მსტუარნი იგი მშჳდობით“ (11, 31), – რააბის გმირობაზე, ისუ ნავეს ძის წიგნშია მოთხრობილი (მე-2 თავი), თუ როგორ გადაარჩინა მან მის სახლში დამალული ისრაელელი მსტოვრები. რააბის გმირობაში აღსანიშნავი არის ის, რომ იგი უცხოელი იყო და მსტოვართა მოსვლამდე ჭეშმარიტი სარწმუნოება არ უწყოდა, და მანამდე მისი ცხოვრება გასაკიცხი იყო. სარწმუნოების ძალით, მანამდე ცოდვილი მისი სულის განახლება მოხდა. *წმინდა იოანე ოქროპირი* აღნიშნავს, რომ მოციქულმა განზრახ მოიხსენია რააბი იმ პირთა რიცხვში, ვინც მიბაძვის ღირსია. რამეთუ „ცნობილ პირთა (აბელი, ნოე, აბრაამი და სხვა) დაბლა აღმოჩენა სარწმუნოების მიხედვით არც ისე სამწუხაროა; მაგრამ სამწუხაროა, რომ აღმოვჩნდეთ უცნობ პირებზე დაბლა. ამიტომ მოციქული მოსეს მშობლებიდან იწყებს – უცნობი პირებიდან, ვისაც არაფერი ჰქონდა ისეთი, რაც მოსეს. შემდეგ კი საუბარს განაგრძობს და ძლიერად გამოხატავს ურწმუნოების უმეცრებას, მიუთითებს რა მეძავეებსა და ქვრივებზე“.

შემდეგ მოციქული სხვა ძველაღთქმისეულ მართლებს ჩამოთვლის, ვინც სარწმუნოების ძალით მრავალი საკვირველი

საქმე და სასწაული მოიმოქმედა. ზოგს იგი სახელებით ჩამოთვლის, ზოგს კი საქმით მოიხსენიებს. მოციქულის თქმულს *ნეტარი თეოდორიტე* ასე განმარტავს: „რომელნი სარწმუნოებით ერეოდეს მეფეთა“ – გედეონმა დაამხო მადიანელნი, სამსონმა – ფილისტიმელნი, ბარავმა – სისარა, ლავიდმა – ამონიტელნი, ამალეკელნი და ასურელთა ორივე ტომი (2 მეფ. 10, 6), სამუელმა – ფილისტიმელნი.

„დაუყვნეს პირნი ლომთანი“, – დანიელი.

„დაშრიტეს ძალი ცეცხლისაჲ“, – ანანია, აზარია და მისაელი.

„განერნესა პირსა მახჳლისასა“, – ომში გამარჯვებულნი (32-34).

„განძლიერდეს უძლურებისაგან“, – ზორობაბელთან ერთად დაბრუნებულნი, ვინც ტყვეობიდან გათავისუფლდა და მეზობლები დაამარცხა.

„იქმნეს ძლიერ ბრძოლასა შინა“, – ზემოთ ჩამოთვლილნი და მატათას შვილები: იუდა, იონათანი და სვიმეონი.

„მოიყვანნეს დედათა აღდგომილნი მკუდარნი მათნი“ (11, 35), – ეს დიდი ელიასა და ელისეს სასწაულებია, რომელთაგან ერთმა ქვრივის ძე გააცოცხლა, მეორემ კი – სომანიტელის ვაჟი.

„ხოლო სხუანი წარკუეთითა თავთაჲთა აღესრულნეს, და არა მოიღეს მათ გამოჴსნაჲ, რაჲთა უმჯობესსა აღდგომას ღირს იქმნენ“ – მაგალითად, ელეაზარი, შვიდი მაკაბელი და მათი დედა.

„ქვითა განიტჳნნეს“, – მღვდელი ზაქარია.

„განიხერხნეს“ – ამბობენ, რომ ასე მოექცნენ წინასწარმეტყველ ესაიას.

„იქცეოდეს ხალენებითა და თხის ტყავებითა, ნაკლულევანნი, ჭირვეულნი, ძჳრხილულნი, რომელთა ღირსვე

არა იყო სოფელი ესე (11, 37, 38), – „ასე დიდი ელია, ასე ელისე, მისი მადლის დიდი მემკვიდრე; ანუ წინასწარმეტყველთა უდიდესი ნაწილი, რომელთაც სახლი არ ჰქონდათ, ხეებს ჭრიდნენ და ქოხებს იგებდნენ“ *(ნეტარი თეოდორიტე).*

„და ესე ყოველნი იწამნეს სარწმუნოებით და არღა მოიღეს აღნათქუემი იგი, რამეთუ ღმერთმან ჩუენთჳს უმჯობესი წინაჲსწარ განიგულა, რაჲთა არა თჳნიერ ჩუენსა სრულ იქმნენ“ (11, 39, 40), – *წმინდა იოანე ოქროპირი* ამას ასე განმარტავს; „უკვე ამდენი დრო გავიდა, რაც ისინი (ძველი აღთქმის მართლები) გამარჯვებულნი არიან და ჯერ ისევ არ მიუღიათ ჯილდო, თქვენ კი ჯერ ღვაწლში მყოფნი, წუწუნებთ? ... რა ქნას აბელმა, ვინც ყველაზე უწინ გაიმარჯვა და ჯილდო არ მიუღია? რა ქნან სხვებმა, ვინც მაშინ ცხოვრობდა და შენ და მათ მოეელის, ვინც შენ შემდეგ იქნება?“ ამ სიტყვების შინაარსი ის არის, რომ მოციქულს სურს ამით მოუთმენელი და სულმოკლე პალესტინელი ებრაელები დამოძღვროს, რომელთაც ჯერ ქრისტიანული ღვაწლი არ აღუსრულებიათ, მაგრამ უკვე ქრისტიანულ სასოებათა მოლოდინში არიან; იგი მათ იმის შესახებ წარმოდგენით ანუგეშებს, თუ როგორ დიდხანს მოუწიათ ცდა ძველ აღთქმის წმინდანებს – სანამ ქრისტეს დიდმა მსხვერპლმა მათ ზეციური სასუფეველის კარი არ გაუღო.

შემდგომ მეთორმეტე თავში მოციქული ებრაელებს სთავაზობს, რომ ძველი აღთქმის მართალთა დარად, მოთმინებით გაიარონ ***„წინა-განმზადებულსა მას ჩუენსა ღვაწლსა. და ვხედვიდეთ სარწმუნოებისა ჩუენისა წინამძღუარსა და სრულებისა მოქმედსა იესუს“*** (მუხ. 1, 2), როგორც ყველა მოღვაწეთა უმაღლეს მაგალითს. მე-9–მე-10; მე-17–მე-23 და 32-ე–მე-40 მუხლები მე-11 თავისა, ლიტურგიაზე იკითხება ქრისტეშობის წინა კვირაში, აგრეთვე წმინდა მამათა ხსენე-

ბაზე, როცა ყველა ძველი აღთქმის მართალი მოიხსენიება. მე-12 თავის 1-2 მუხლების დამატებით კი ეს ნაწყვეტი ყოველთა წმინდათა კვირაში ლიტურგიაზე იკითხება.

შემდეგ მე-12 თავში მოციქული ასწავლის მწუხარებათა მნიშვნელობის შესახებ, როგორც ღვთის სასჯელისა იმ ადამიანთა მიმართ, ვინც მის ძეებად იწოდებიან და იგავთა წიგნს ეყრდნობა: ***„რომელი უყუარნ უფალსა, სწავლის და ტანჯის“*** (იგავ. 3, 11, 12). შემდეგ, მთელი მე-12 და მე-13 თავები ეძღვნება მშვიდობის, უბიწოების, ძმათა სიყვარულის, ქველმოქმედების, უფროსთა პატივისცემის შესახებ ზნეობრივ დარიგებებს. ბოლო მუხლები (18-25) შეიცავს ბოლოსიტყვაობას შეხვედრის იმედით, მოკითხვითა და კურთხევით.

„მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი თქუენ ყოველთა თანა. ამინ“.

შინაარსი

შესავალი

პავლე მოციქულის ეპისტოლეთა განსაკუთრებული მნიშვნელობა და მათი შესწავლის სირთულეები..... 4
წმინდა პავლე მოციქულის სწავლების კავშირი მის ცხოვრებასთან 5
წმინდა პავლე მოციქულის ცხოვრება და პიროვნება..... 6
წმინდა პავლე მოციქულის ეპისტოლეთა რიცხოვნობა..... 17
წმინდა პავლე მოციქულის ეპისტოლეთა მნიშვნელობა და მიზანი 19

ეპისტოლე რომაელთა მიმართ

რომის ეკლესიის დაარსება და მისი წევრების შემადგენლობა..... 20
ეპისტოლეს დაწერის მიზეზი და მიზანი..... 24
ეპისტოლეს დაწერის დრო და ადგილი..... 25
ეპისტოლეს ნამდვილობა..... 26
ეპისტოლეს შინაარსი და შემადგენლობა..... 26
ეპისტოლეს ეგზეგეტიკური განხილვა 26

პირველი ეპისტოლე კორინთოელთა მიმართ

კორინთოს ეკლესიის დაარსება..... 41
ეპისტოლეს დაწერის მიზეზი..... 45
ეპისტოლეს დაწერის დრო და დგილი 47
ეპისტოლეს შინარსი და შემადგენლობა 47
ეპისტოლეს ეგზეგეტიკური მიმოხილვა 47

მეორე ეპისტოლე კორინთოელთა მიმართ

ეპისტოლეს დაწერის მიზეზი 82
ეპისტოლეს დაწერის დრო და ადგილი 84
ეპისტოლეს შინაარსი და შემცველობა 85
ეპისტოლეს ეგზეგეტიკური განხილვა 85

ეპისტოლე გალატელთა მიმართ

ცნობები გალატეად წოდებული ქვეყნის შესახებ 105
გალატეაში ქრისტიანული ეკლესიების დაფუძნება 106
ეპისტოლეს დაწერის მიზეზი 107
ეპისტოლეს დაწერის დრო და ადგილი 108
ეპისტოლეს შინაარსი 109
ეპისტოლეს ეგზეგეტიკური გარჩევა 110

ეპისტოლე ეფესელთა მიმართ

ეფესოს ეკლესიის დაარსება 127
ეპისტოლეს დაწერის მიზეზი 131
ეპისტოლეს დაწერის დრო და ადგილი 132
ეპისტოლეს ნამდვილობა 134
ეპისტოლეს შინაარსი და მისი დაყოფა 135
ეპისტოლეს ეგზეგეტიკური გარჩევა 136

ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ

ფილიპეს ეკლესიის დაფუძნება 151
ეპისტოლეს დაწერის მიზეზი და მიზანი 155
ეპისტოლეს დაწერის დრო და ადგილი 157
ეპისტოლეს შინაარსი და მისი დაყოფა 158
ეპისტოლეს ეგზეგეტიკური გარჩევა 158

ეპისტოლე კოლასელთა მიმართ

კოლასეში ქრისტეს ეკლესიის დაფუძნება 170
ეპისტოლეს დაწერის მიზეზი და მიზანი 171
ეპისტოლეს დაწერის დრო და ადგილი 172
ეპისტოლეს შინაარსი და მისი დაყოფა 172
ეპისტოლეს ეგზეგეტიკური გარჩევა 173

პირველი ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ

ქრისტეს ეკლესიის შექმნა თესალონიკეში 186
ეპისტოლეს დაწერის მიზეზი და მიზანი 188
ეპისტოლეს დაწერის დრო და ადგილი 190
ეპისტოლეს შინაარსი და მისი დაყოფა 191
ეპისტოლეს ეგზეგეტიკური გარჩევა 191

მეორე ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ

ეპისტოლეს დაწერის მიზეზი 202
ეპისტოლეს დაწერის დრო, ადგილი და მიზანი 203
ეპისტოლეს შინაარსი და დაყოფა 204
ეპისტოლეს ეგზეგეტიკური გარჩევა 204

პირველი ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ

ცნობები წმინდა ტიმოთეს შესახებ 224
ეპისტოლეს დაწერის მიზეზი, დრო და ადგილი 226
ეპისტოლეს დაწერის მიზანი 227
ეპისტოლეს შინაარსი და დაყოფა 228
ეპისტოლეს ეგზეგეტიკური გარჩევა 229

მეორე ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ

ეპისტოლეს დაწერის მიზეზი 255
ეპისტოლეს დაწერის დრო და ადგილი 255
ეპისტოლეს დაწერის მიზანი 257
ეპისტოლეს შინაარსი და ყოფა 258
ეპისტოლეს ეგზეგეტიკური გარჩევა 258

ეპისტოლე ტიტეს მიმართ

ცნობები წმინდა ტიტეს შესახებ 272
კრეტელი ქრისტიანების შესახებ. კრეტას ეკლესიის დაარსება 274
ეპისტოლეს დაწერის დრო და ადგილი 275
ეპისტოლეს დაწერის მიზეზი და მიზანი 276
ეპისტოლეს შინაარსი და დაყოფა 276
ეპისტოლეს ეგზეგეტიკური გარჩევა 277

ეპისტოლე ფილიმონის მიმართ

ცნობები წმინდა ფილიმონის შესახებ 287
ეპისტოლეს დაწერის მიზეზი 288
ეპისტოლეს დაწერის დრო და ადგილი 288
ეპისტოლეს ეგზეგეტიკური გარჩევა 289

ეპისტოლე ებრაელთა მიმართ

ეპისტოლეს ავტორის შესახებ 293
ეპისტოლეს დაწერის მიზეზი და მიზანი 297
ეპისტოლეს დაწერის დრო და ადგილი 298
ეპისტოლეს შინაარსი და მისი დაყოფა 299
ეპისტოლეს ეგზეგეტიკური გარჩევა 299

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენიშვნებისთვის

F106·304
3